

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თინათინ წერეთლის
სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი

(ეკონომიკური დანაშაული)

F1035
3

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი
2004

წიგნი გამოცემულია საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის მიერ დამტკიცებული პროექტის ფარგლებში

პროექტის დირექტორი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი *გიორგი ხუბუა*

პროექტის კოორდინატორი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სწავლული მდივანი *რუსუდან ბაქანიძე*

რედაქტორი ოთარ გამყრელიძე

ცალკეული მუხლების კომენტარი ეკუთვნით:
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს,
პროფესორ *ოთარ გამყრელიძეს* (177-ე მუხლი)

სამართლის დოქტორს

მერაბ ტურავას (178-ე, 182¹-ე, 183-ე, 204-ე, 206-ე, 207-ე მუხლები)

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატს

გოჩა მაშულაშვილს (181-ე, 189-ე, 192-ე, 196-ე, 197-ე, მე-200 მუხლები)

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატს

თამარ ებრაელიძეს (179-ე, 184-ე, 193-ე, 194-ე, 199-ე, 201-ე, 202-ე მუხლები)

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატს

ნონა თოდუას (180-ე, 182-ე, 185-ე, 190-ე, 191-ე, 195-ე, 198-ე, 205-ე მუხლები)

რუსუდან ბაქანიძეს (186-ე, 187-ე, 188-ე, 203-ე მუხლები)

1313.120
3

*ეძღვნება ინსტიტუტის ყოფილი დირექტორის,
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ
თამაზ შავგულიძის დაბადებიდან 75-ე წლისთავს*

რედაქტორისაგან

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლისა და პროცესის განყოფილებაში მომზადდა მორიგი, მეორე წიგნი, რომელიც სასამართლო პრაქტიკის განმარტებას წარმოადგენს. წიგნში გაანალიზებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-207-ე მუხლების გამოყენების სასამართლო პრაქტიკა.

პირველი წიგნი 2002 წელს დაიბეჭდა. მასში განხილულია 108-136-ე მუხლების (დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ) გამოყენების სასამართლო პრაქტიკა. მკითხველმა ის დიდი ინტერესით მიიღო. იმედია, ეს წიგნიც ასევე დაეხმარება ჩვენს პრაქტიკოს მუშაკებს დანაშაულის კვალიფიკაციის რთული საკითხების გადაწყვეტისას. წიგნი სასწავლო დანიშნულებითაც გამოდგება.

კერძო ნაწილი

კარი მერვე

ეკონომიკური დანაშაული

თავი XXV

დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ

მუხლი 177. ქურდობა

1. ქურდობა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, -

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

2. იგივე ქმედება:

ა) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;

ბ) არაერთგზის;

გ) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, -

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ექვს წლამდე.

3. ქურდობა, ჩადენილი:

ა) ორგანიზებული ჯგუფის მიერ;

ბ) დიდი ოდენობით;

გ) ბინაში, სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით;

დ) იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან თორმეტ წლამდე.

შენიშვნა:

1. კოდექსის ამ თავში დიდ ოდენობად ითვლება ნივთის ღირებულება ათი ათასი ლარის ზევით.

2. ამ კოდექსის 177-186-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული არაერთგზისად ითვლება, თუ მას წინ უსწრებდა ამ მუხლებით და 224-ე, 231-ე, 237-ე და 264-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩადენა.

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი – „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, I, 2000, №18, მუხ. 45-ე; საქართველოს 2000 წლის 30 მაისის კანონი – „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, I, 2000, №20, მუხ. 51-ე).

ქურდობის შემადგენლობის ცნება, რომელიც ამ მუხლით არის განსაზღვრული, მნიშვნელოვნად განსხვავდება საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსით მოცემული ანალოგიური ცნებისაგან. მითითებული კოდექსის 150-ე მუხლით ქურდობად ითვლებოდა „მოქალაქეთა ქონების ფარული გატაცება“. ცალკე თავში (მე-2 თავი, 91-ე, 103-ე მუხლები) მოცემული იყო პასუხისმგებლობა „სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებისათვის“. ჯერ კიდევ ამჟამად მოქმედი კოდექსის მიღებამდე 1998 წლის 18 სექტემბრის კანონით საქართველოს პარლამენტმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი სარჩელის საფუძველზე გააუქმა კოდექსის მეხუთე თავი, რომლითაც განსაზღვრული იყო პასუხისმგებლობა „მოქალაქეთა პირადი ქონების დატაცებისათვის“, ხოლო მე-2 თავის სათაურიდან და ამ თავში შემავალი მუხლებიდან ამოიღო სიტყვები „სახელმწიფო და საზოგადოებრივი“ და მათ ნაცვლად შეიტანა სიტყვა „სხვისი“. ასე რომ, 1998 წლის 18 სექტემბრის კანონით გაუქმდა ქონების დაყოფა სახელმწიფო და საზოგადოებრივი და მოქალაქის ქონებად და ყველა სახის ქონებას დაუწესდა ერთი იურიდიული რეჟიმი.

გარდა ამისა, მოქმედმა კოდექსმა „ქონების დატაცება“ შეცვალა

ახალი ტერმინით – „სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლება“. სიტყვა – „დატაცება“ რუსული „хищение“-ს ქართული შესატყვისია და ამიტომ მისი შეცვლა აუცილებელი იყო. ჩვენ ის შევცვალეთ სიტყვით – „დაუფლება“.¹ „ქონების“ ნაცვლად ასევე შემოვიღეთ ტერმინი „მოძრავი ნივთი“, რადგან „ქონება“ ფართო ცნებაა და მოიცავს „უძრავ ნივთსაც“ და სხვ.

რაც მთავარია, ქურდობისა და სხვა ეკონომიკურ დანაშაულთა შემადგენლობებში არ იყო პირდაპირ მითითებული „მოძრავი ნივთის“ მისაკუთრების მიზანი, რაც ერთგვარ სირთულეებს ქმნიდა სასამართლო პრაქტიკაში. მოქმედ კოდექსში ეს ნაკლიც გამოსწორებულია. 177-ე მუხლი სამნაწილიანია და, ვფიქრობთ, საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით საკმაოდ დახვეწილია.

ამ ნაშრომის მიზანია არა 177-ე მუხლის წმინდა თეორიული ანალიზი, არამედ ამ მუხლის გამოყენების პრაქტიკული საკითხები. ეს, რასაკვირველია, არ გამორიცხავს ზოგიერთი საკითხის თეორიულ ანალიზს, თუკი ეს საჭირო იქნება ხსენებული მუხლის პრაქტიკული გამოყენებისათვის.

ამ მოკლე შესავლის შემდეგ, სანამ სასამართლო პრაქტიკის მასალების კრიტიკული გაანალიზებას დავიწყებდე, უპირველეს ყოვლისა, მინდა შევეხო ქურდობის შემადგენლობის ისეთი ნიშნის გაგებას სასამართლო და საგამოძიებო პრაქტიკაში, როგორცაა სხვისი მოძრავი ნივთის „მითვისების მიზანი“.

ქურდობა განზრახი დანაშაულია და ამიტომ ქურდმა უნდა იცოდეს, რას ეუფლება და ითვისებს ფარულად. „ნივთი“ მატერიალური ღირებულების მქონე საგანია. ამიტომ ქურდს შეცნობილი უნდა ჰქონდეს ეს მომენტი. ქურდმა ხშირად, როცა სხვის მოძრავ ნივთს ეუფლება,

¹ თუმცა ზოგიერთ ქართველ ავტორს „დატაცების“ ღიდი ნოსტალგია გასწვნია და ვერ ელევა ამ ტერმინს (იხ. ზ. წულაია, სისხლის სამართალი, ტ. II, 2001, გვ. 37-41-ე და სხვ.). ეს ტერმინი ხშირად სასამართლო პრაქტიკაშიც გამოიყენება. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ განჩინებაში ვკითხულობთ: „საძოვრიდან ი. ბარათულმა და გამოძიებით დაუდგენელმა პირმა ფარულად გაიტაცეს ჯ. ჩიხლაძის კუთვნილი ორი ძროხა“ (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი, სისხლის სამართლის საქმეებზე. 2003. №1, გვ. 13). საოცარია, როგორ უნდა „გაეტაცათ“ ძროხები დამნაშავეებს.

წინასწარ შეიძლება არც იცოდეს მოპარული ნივთის ღირებულება, ხოლო ფულის მოპარვის შემთხვევაში, ამ ფულის ოდენობა, მაგრამ ქმედების კვალიფიკაციისათვის ამას მნიშვნელობა არა აქვს. მიუხედავად წინასწარ ნივთის ღირებულების არცოდნისა, მას ამ ნივთის ღირებულება მთლიანად შეეარაცება.

მაგალითად, სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როცა ქურდმა წინასწარ არ იცის, რა ღირებულების ნივთს იპარავს. ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 3 სექტემბრის განაჩენით მ. მახნიაშვილს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 მუხლის „გ“ პუნქტით, 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაედო მსჯავრი.

მ. მახნიაშვილმა გ. ირემაშვილის ავტომანქანიდან მოიპარა ქურთუკი, რომელშიც აღმოჩნდა 115 ლარი. ქურთუკი შეფასდა 50 ლარად. მ. მახნიაშვილმა წინასწარ არ იცოდა, რომ ქურთუკში იყო 115 ლარი. მუხედავად ამისა, ამ თანხის მოპარვა ქურდს ბრალად შეეარაცხა და საკითხის ასეთი გადაწყვეტა სწორია. როცა ქურდი ვინმეს ჯიბეში ხელს უყოფს ან საქურდლად ბინაში შედის, რაც იქ დახვედება. ყველაფერს წაიღებს. მას წაღებული ნივთის ღირებულება მთლიანად შეეარაცება ბრალად.

მაგრამ, ვფიქრობ, სხვაგვარად უნდა გადაწყდეს იმ მოძრავი ნივთის დაუფლებასთან დაკავშირებული საკითხი, რომელსაც მატერიალური ღირებულება არ გააჩნია. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს იგივე მ. მახნიაშვილის საქმე. მოპარულ ქურთუკში, როგორც ზემოთ ვთქვით, ფულთან ერთად, დოკუმენტები – ავტომანქანის ტექნიკური პასპორტი და მანქანის მართვის მოწმობა აღმოჩნდა. მ. მახნიაშვილის ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაკვალიფიცირდა.

363-ე მუხლის მე-2 ნაწილით პასუხისმგებლობა დაწესებულია პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან სხვა მნიშვნელოვანი პირადი დოკუმენტის „გატაცებისათვის“ (როგორც ვხედავთ, „გატაცება“ ანაქრონიზმის სახით კანონშიც არის შემორჩენილი). ამ დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური მხარე უთუოდ განზრახვას

გულისხმობს. განზრახვა უნდა იყოს პირდაპირი, რადგან არაპირდაპირი განზრახვით რაიმეს მითვისება წარმოუდგენელია. ღოკუმენტის მითვისების სუბიექტური მხარე უნდა მოიცავდეს წინასწარ იმის წარმოდგენას, რომ სხვისი ღოკუმენტის მითვისება ხდება.

მ. მახნიაშვილის მიზანი მიმართული იყო იმისაკენ, რომ ქურდობის შედეგად მატერიალური გამორჩენა მიეღო. მას წარმოდგენა არ ჰქონდა, რომ ქურთუკში ღოკუმენტაცია იღო. დამნაშავეს ეს არც აინტერესებდა. მან არ იცოდა, რომ სხვის ღოკუმენტაციას ეუფლებოდა. როცა ლაპარაკია სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლებაზე და ეს ნივთი ღოკუმენტია, აუცილებელია დადგინდეს სპეციალური მიზანი, რაც მიმართულია ღოკუმენტის დასაუფლებლად. დამნაშავემ წინასწარ უნდა იცოდეს, რომ სხვის პირად ღოკუმენტს ითვისებს. ამიტომ განაჩენით მ. მახნიაშვილს სწორად არ ჰქონდა წარდგენილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 363-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 4 მარტის განაჩენით დ. პაპავას მსჯავრი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტით და 2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

დ. პაპავამ მ. კიკნაძეს ავტობუსში ჯიბიდან ამოაცალა საფულე, რომელშიც 200 ამერიკული დოლარი და 185 ლარი აღმოჩნდა. სასამართლომ თანხა მნიშვნელოვან ზიანად შეაფასა. დ. პაპავას დამცველმა ეს განაჩენი თბილისის საოლქო სასამართლოში იმ მოტივით გაასაჩივრა, რომ დ. პაპავამ არ იცოდა რა რაოდენობის თანხა იყო საფულეში და ამიტომ მისი განზრახვა არ მოიცავდა 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტს, რომელიც გაძლიერებულ პასუხისმგებლობას აწესებს დაზარალებულის მნიშვნელოვანი დაზიანების გამო.

თბილისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატამ 2002 წლის 16 მაისის განაჩენით დამცველის ამ შუამდგომლობას სავსებით სწორად უარით უპასუხა. თუმცა განაჩენით ეს უარი სათანადოდ არ იყო დასაბუთებული. განაჩენში აღნიშნულია:

„სააპელაციო პალატა თვლის, რომ დ. პაპავას დანაშაულებრივი ქმედება სწორად იქნა დაკვალიფიცირებული სსკ-ს 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, რაც ითვალისწინებს ქურდობას,

რამაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა დაზარალებულებს. დ. პაპავამ დაზარალებულს მოჰპარა 200 ამერიკული დოლარი და 185 ლარი, რითაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა დაზარალებულს“.

როგორც ჩანს, არსებითად სასამართლომ ვერ გასცა პასუხი დამცველის შუამდგომლობას. არადა, სასამართლო ვალდებული იყო დამაჯერებლად დაესაბუთებინა თავისი გადაწყვეტილება.

დამნაშავისათვის არ არის საეალდებულო წინასწარ იმის ცოდნა, რა რაოდენობის თანხა შეიძლება აღმოჩნდეს მოპარულ საფულეში, დამნაშავის განზრახვა წინასწარ მოიცავს ყველაფერს, ის წინასწარვე თანახმაა, მითთვისოს ნებისმიერი ოდენობის თანხა, რაც საფულეში აღმოჩნდება.

საზოგადოდ უნდა ვთქვათ, რომ შესწავლილი საქმეებიდან ერთი მნიშვნელოვანი კანონზომიერება გამოიკვეთა. როცა პრაქტიკაში იყენებენ 177-ე მუხლის ისეთ მაკვალიფიცირებელ ნიშანს, როგორიცაა დაზარალებულის მნიშვნელოვანი დაზიანება, არც წინასწარი გამოძიების ორგანოები და არც სასამართლოები განაჩენში ერთი სიტყვი-თაც კი არ ასაბუთებენ, რატომ იყენებენ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ხსენებულ მაკვალიფიცირებელ ნიშანს.

ამის თვალსაჩინო ნიმუშად გამოდგება დ. ივანოვის საქმე. 2001 წლის 17 ოქტომბერს დ. ივანოვი შევიდა ქ. თბილისში დ. უზნაძის ქუჩაზე მდებარე მანქანათმშენებლობის ინსტიტუტში და „ერთ-ერთ საამქროში მდგარი დაზგებიდან მოხსნა პლატები“. 120 ლარად ღირებული „პლატები“ „მნიშვნელოვან ზიანად“ შეფასდა და ამ ნაწილში დ. ივანოვის ქმედება 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტით დაკვალიფიცირდა.

ასეთი კვალიფიკაცია, რასაკვირველია, სწორი არ არის. განაჩენში არაფერია მითითებული იმაზე, რატომ ჩათვალა სასამართლომ 120 ლარად ღირებული ნივთის მოპარვა „მნიშვნელოვან ზიანად“, მაშინ, როცა საქმე ეხებოდა არა რომელიმე დატაკ ოჯახს, არამედ დაწესებულებას, კერძოდ, „მანქანათმშენებლობის ინსტიტუტს“.

ზოგჯერ სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება შეცდომები ქურდობის დამთავრების მომენტთან დაკავშირებით. ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 4 მარტის გან-

აჩენით დ. პაპავას მსჯავრი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტით.

თბილისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატის 2002 წლის 16 მაისის განაჩენით დამცველის სააპელაციო საჩივრის საფუძველზე მსჯავრდებულის ქმედება გადაკვალიფიცირდა ქურდობის მცდელობად. სააპელაციო სასამართლოს განაჩენში მითითებულია:

„დავით პაპავას ქმედება დაუმთავრებელი მცდელობაა. მან ბოლომდე ამოწურა დანაშაულებრივი ქმედების შინაარსი, რომელსაც შედეგი (სხვისი ნივთის დაუფლებისა და განკარგვის საშუალება) არ მოჰყვა დამნაშავეის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო“.

განაჩენი ამ დებულებას იმით ასაბუთებს, რომ „დ. პაპავას ნივთის დაუფლება-განკარგვაში ხელი შეუშალა მე-3 პირმა, პოლიციელმა, რომელმაც დანაშაულის ჩადენისთანავე დააკავა იგი, რითაც მოუსპო ნაქურდალი ნივთის დაუფლებისა და განკარგვის საშუალება“.

წინასწარი გამოძიებისა და საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვის შედეგად დადგენილია, რომ დ. პაპავამ დაზარალებულ მ. კიკნაძეს ჯიბიდან საფულე ამოაცალა. განაჩენი იშველიებს დაზარალებულის სიტყვებს, რომ „როგორც კი საფულე ამოაცალეს, ქურდი მაშინვე იქნა დაკავებული“ (იხ. განაჩენი).

რამდენად სწორია ამ ქმედების დანაშაულის მცდელობად დაკვალიფიცირება? განა დაზარალებულისათვის „საფულის ამოცლა“ ნივთის დაუფლებას არ ნიშნავს? ნივთის დაუფლება ნიშნავს იმას, რომ ეს ნივთი დაზარალებულის ჯიბიდან ამოღებულია, დაზარალებული მას ფიზიკურად აღარ ფლობს და ამ ნივთს უკვე სხვა ადამიანი, ქურდი დაეპატრონა. ის ქურდის ჯიბეშია. დაუფლებისათვის არა აქვს მნიშვნელობა, რომ ქურდი მაშინვე დააკავეს. „ქურდობა, მაგალითად, – წერს თ. წერეთელი, – დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან როდესაც ქონება ამოღებულია მესაკუთრის ან მე-3 პირის მფლობელობიდან და გადასულია ბოროტმოქმედის მფლობელობაში“.¹

ამ დანაშაულს თავისებურება აქვს ბინის ან სხვა საცავის გაქურდვის შემთხვევაში. ბინაში შეღწევის დროს ქურდობა არ იქნება დამთავრებული, ვიდრე ქურდი ბინიდან არ გამოვა. მაგრამ ბინიდან

¹ თ. წერეთელი, დანაშაულის მოზადება და მცდელობა, გვ. 50.

გამოსვლისთანავე ქურდი ნივთს დაუფლებულია და მისი იქვე დაკავება არ ნიშნავს, რომ ქურდობა დამთავრებული არ არის.

ეს პრინციპი არ მოქმედებს ტრანსპორტის მიმართ, ე.ი. იმ შემთხვევის მიმართ, როცა ქურდობა ტრანსპორტში ხდება. დ. პაპავამ ქურდობა ავტობუსში ჩაიდინა. ამიტომ, როგორც კი მან დაზარალებულს საფულე ამოაცალა, იგი ნივთს დაეუფლა. მით უმეტეს, რომ პოლიციელმა დ. პაპავას პირადობის მოწმობა წარუდგინა და აღინიშნა: ავტობუსიდან ჩაიყვანა. ეს ყველაფერი მოწმობს, რომ დ. პაპავა მოპარულ ნივთს დაუფლებული იყო. რაც შეეხება ნივთის განკარგვის შესაძლებლობას, სასამართლოს არც ეს ცნება არა აქვს გაგებული სწორად. ნივთის განკარგვის შესაძლებლობა მის დაუფლებასთან არის დაკავშირებული. როცა ქურდი ნივთს დაეუფლება, მას უკვე აქვს მისი განკარგვის შესაძლებლობა. ის გარემოება, რომ შემთხვევით ქურდი პოლიციელმა შენიშნა, ამას ქურდობის დამთავრებისათვის მნიშვნელობა არა აქვს. საქმე ის არის, რომ, თუ ქურდს შემთხვევით არ დააკავედნენ, ის ნაქურდალს თავისუფლად განკარგავდა. მაგალითად, ბინაში შესული ქურდიც ეუფლება ნივთს და ჯიბეში იღებს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის იმგვარი დაუფლება, რომ მას განკარგვის შესაძლებლობა ჰქონოდა. ის ჯერ ისევ დაზარალებულის ბინაშია.

სხვის ბინაში ქურდობა დამთავრებული იქნება მაშინ, როცა ნაქურდლის გამოყენება ბინაშივე ხდება; მაგალითად, მოიპარეს სასმელ-საჭმელი და ბინაშივე შეჭამეს და დალიეს.

ამ თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა დ. ივანოვის სისხლის სამართლის საქმე. ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს საქმე. 2002 წლის 31 მაისის განაჩენით დ. ივანოვს მსჯავრი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და „დ“ პუნქტებით. დ. ივანოვი 2001 წლის 17 ოქტომბერს შევიდა ქ. თბილისის უზნაძის ქუჩაზე მდებარე მანქანათმშენებლობის ინსტიტუტში და მითვისების მიზნით ჩანთაში ჩააწყო „პროგრამული მართვის ჩარხი და რობოტის 11 ცალი პლატი“, რომელთა საერთო ღირებულება 120 ლარი იყო. დ. ივანოვი პოლიციამ შენობაშივე დააკავა. სასამართლომ დ. ივანოვის ქმედება დამთავრებულ დანაშაულად დააკვალიფიცირა მე-19 მუხლზე მიუთითებლად. ეს კვალიფიკაცია სწორი არ არის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატის 2003 წლის 20 თებერვლის განჩინებით შეიცვალა დ. ივანოვის ქმედების კვალიფიკაცია, რომელიც ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 31 მაისის განაჩენით იყო განსაზღვრული. უზენაესი სასამართლოს განჩინებაში აღნიშნულია: „საქმის მასალებით დადგენილია და განაჩენითაც არ არის უარყოფილი ის, რომ მსჯავრდებული დ. ივანოვი პოლიციის მუშაკებმა ნაქურდალ პლატებთან ერთად დააკავეს შემთხვევის ადგილზე – მანქანათმშენებლობის კოლეჯის შენობაში. ასეთ ვითარებაში პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ დ. ივანოვს არ ჰქონდა ნაქურდალი ქონების სარგებლობის ან განკარგვის რეალური შესაძლებლობა“.¹

ამ მსჯელობის საფუძველზე პალატამ დ. ივანოვის ქმედება სავსებით სწორად გადააკვალიფიცირა დამთავრებული ქურდობიდან ქურდობის მცდელობაზე. პალატამ დ. ივანოვის ქმედების კვალიფიკაცია მე-19-177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „გ“ პუნქტებითა და მე-19-177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და „დ“ პუნქტებით განსაზღვრა.

საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ სხვაგვარი შეცდომებიც დაგვანახა. მიუხედავად მნიშვნელოვანი ზიანისა, ბრალდებულის ქმედებას ზოგჯერ 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტით მაინც არ აკვალიფიცირებენ.

საბრალდებო დასკვნით ბ. ბერიძეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით ბინაში უკანონო შეღწევით ქურდობისათვის ედებოდა ბრალი. ბ. ბერიძემ გაქურდა თ. ოთიაშვილის ბინა, საიდანაც 1825 ლარის ღირებულების ნივთები წაიღო. ქონების ეს ღირებულება, ეჭვი არ არის, მნიშვნელოვან ზიანად უნდა მივიჩნიოთ. მიუხედავად ამისა, საბრალდებო დასკვნაზე დაყრდნობით, ქ. რუსთავის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 29 ივლისის განაჩენით ბ. ბერიძეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის მხოლოდ „გ“ პუნქტით ბინაში შეღწევით ქურდობისათვის დაედო მსჯავრი.

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2003, №2, გვ. 231.

რაც მთავარია, საქმე ამით არ დამთავრებულა. ამ შეცდომას თავისთავად მე-2 შეცდომაც მოჰყვა. აქ უგულებელყოფილია ერთი მუხლის სხვადასხვა ნაწილით ქმედების დანაშაულთა ერთობლიობით კვალიფიკაციის წესი. ბ. ბერიძის ქმედება 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტებით უნდა დაკვალიფიცირებულიყო და დანაშაულის პასუხისმგებლობა დანაშაულთა ერთობლიობის წესით განსაზღვრულიყო.

ამას პირდაპირ მოითხოვს მოქმედი კანონმდებლობა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 მუხლის მიხედვით „დანაშაულთა ერთობლიობა ნიშნავს ამ კოდექსის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი ქმედების ჩადენას...“ (1-ლი ნაწილი).

საბრალდებო დასკვნითა და განაჩენით მე-16 მუხლის დასახელებული პრინციპი სხვა მხრივაც არის დარღვეული. ბ. ბერიძემ თ. ოთიაშვილის ბინა ორჯერ გაქურდა – ერთხელ, 2000 წლის ნოემბრის დასაწყისში, ხოლო მეორედ 2000 წლის ნოემბრის ბოლოს. ამიტომ მისი ქმედება დამატებით არაერთგზის ქურდობად უნდა დაკვალიფიცირებულიყო 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით, რაც არ გაუკეთებიათ. ეს აშკარა შეცდომაა.

ანალოგიური შეცდომა გვხვდება ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 11 ივლისის განაჩენში, რომლითაც კ. მოდებაძეს, მ. გვიმრაძეს და ნ. ძინძიბაძეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით (ქურდობა ბინაში შეღწევით) დაეღოთ მსჯავრი. კ. მოდებაძე, მ. გვიმრაძე და ნ. ძინძიბაძე წინასწარი შეთანხმებით შევიდნენ ბერიძის სააგარაკო სახლში და იქიდან 900 ლარად ღირებული გენერატორი გამოიტანეს. სახლში შესვლისას მათ, ამავე დროს, 30 ლარად ღირებული ფანჯრის გისოსი დააზიანეს. ასე რომ, საერთო ზარალმა 930 ლარი შეადგინა, რაც წინასწარმა გამოძიებამ „მნიშვნელოვან ზიანად“ შეაფასა. ეს ქმედება საბრალდებო დასკვნით კობა მოდებაძისა და მალხაზ გვიმრაძისა მიმართ სწორად დაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ პუნქტებით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით.

მიუხედავად ამისა, სასამართლომ ეს სწორი კვალიფიკაცია შეცვალა. განაჩენში აღინიშნა: „ბრალდების კვალიფიკაციის განსაზღვრისას სასამართლო თვლის, რომ განსასჯელებს, კობა მოდებამეს და მალხაზ გვიმრაძეს ზედმეტად აქვთ წარდგენილი 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ პუნქტებით გათვალისწინებული ბრალდება, ნოდარ ძინძიბამეს 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტებით წარდგენილი ბრალდება, რადგან სსკ-ს 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტი მოიცავს ზემოაღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილს თავისი შესაბამისი პუნქტებით, რის გამოც მათი დანაშაულებრივი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ს 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით“.

ამ განაჩენით ამჟღავნად დარღვეულია სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 მუხლის მოთხოვნა; ამ მუხლის 1-ლი ნაწილი, როგორც ვთქვით, სასამართლოს ავალდებულებდა ასეთ შემთხვევაში გამოეყენებინა დანაშაულთა ერთობლიობით პასუხისმგებლობის წესი და დამნაშავეთა ქმედებები სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისი პუნქტებით დაეკვალიფიცირებინა.

ბ. ბერიძის საქმისაგან განსხვავებით, მ. გვიმრაძისა და სხვათა დანაშაულებრივი ქმედებები წინასწარმა გამოძიებამ სწორად დააკვალიფიცირა სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისი პუნქტებით.

სწორად დაკვალიფიცირდა ამ მხრივ საბრალდებო დასკვნითა და განაჩენით ქ. ქუხილავას, ჯ. წურწუშიასა და თ. ჩიქოვანის ქმედებები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით. დანაშაულთა ერთობლიობით ამ ქმედებების კვალიფიკაცია აქ სადავოდ არ გამხდარა.

ჯ. ქუხილავამ, ჯ. წურწუშიამ და თ. ჩიქოვანმა წინასწარ შეთანხმებით გაქურდეს ელბოროვას ბინა და იქიდან წაიღეს ტელევიზორი, რომელიც 150 ლარად იყო შეფასებული. მაგრამ არც საბრალდებო დასკვნაში და არც განაჩენში არ ჩანს მსჯელობა იმაზე, რატომ არ შეფასდა ეს ღირებულება „მნიშვნელოვან ზიანად“.

გარდა ამისა, ჯ. ქუხილავას 2001 წლის 14 აგვისტოს ჩადენილი ჰქონდა მ. თოლორდავას ბინის ქურდობა, საიდანაც მან

750 ლარად ღირებული ნივთები გამოიტანა. წინასწარმა გამოძიებამ ეს ქმედება „მნიშვნელოვან ზიანად“ დააკვალიფიცირა.

მიუხედავად ამისა, სასამართლოს განაჩენით ჯ. ქუხილავასათვის დაზარალებულის მნიშვნელოვანი დაზიანების გამო სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტი არ წარუდგენია, რაც აშკარა შეცდომაა.

ანალოგიური შეცდომა გვხვდება დ. სილაგაძისა და ბ. ფრუიძის მიმართ გამოტანილ განაჩენში. დ. სილაგაძეს და ბ. ფრუიძეს ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 4 ივნისის განაჩენით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით დაედოთ მსჯავრი.

2001 წლის 5 აპრილს დ. სილაგაძემ და ბ. ფრუიძემ წინასწარი შეთანხმებით გაქურდეს თბილისის თერმული დაზიანებისა და პლასტიკური ქირურგიის ცენტრის სისხლის გადასხმის კაბინეტი, საიდანაც ვ. აზარაშვილის 50 ლარად ღირებული ხელჩანთა წაიღეს. ხელჩანთაში 20 ლარი და სხვადასხვა ნივთები იყო.

იმავე წლის 7 აპრილს მსჯავრდებულებმა შეაღწიეს თბილისის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს საორდინატორო ოთახში, საიდანაც 30 ლარად ღირებული ხელჩანთა და 4 ლარი წაიღეს. წაღებული თანხა მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალად შეფასდა.

საქმე გასაჩივრდა თბილისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატაში, რომელმაც მსჯავრდებულებს რაიონული სასამართლოს განაჩენით მისჯილი 6-6 წლით თავისუფლების აღკვეთა გაუნახვერა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოში პროკურორი თავის საკასაციო საჩივრით ითხოვდა სააპელაციო განაჩენის გაუქმებას „სასჯელის მეტისმეტი სიმსუბუქის გამო“.

სამწუხაროდ, პროკურორს არ გახსენებია, რომ, უპირველეს ყოვლისა, მას უნდა მოეთხოვა ორივე განაჩენის (რაიონული და სააპელაციო სასამართლოების) გაუქმება ქმედებათა მცდარი კვალიფიკაციის გამო.

მსჯავრდებულებმა ქურდობა ჩაიდინეს წინასწარი შეთანხმებით, არაერთგზის და დაზარალებულები მნიშვნელოვნად დააზიანეს. ამას უნდა დაემატოს ქურდობა შეღწევით. ამიტომ მათი ქმედებები საქართლოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის

„ა“, „ბ“, „გ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტებით უნდა დაკვალიფიცირებულიყო. აქაც დარღვეულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნა.

აბაშის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 24 ივლისის განაჩენით ზ. ტყეშუჩავას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, მე-2 ნაწილის „ბ“ და „გ“ პუნქტებითა და მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით დაედო მსჯავრი. ეს კვალიფიკაცია ქუთაისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატის 2003 წლის 14 თებერვლის განაჩენით არ შეცვლილა. მსჯავრდებულის საკასაციო საჩივრის საფუძველზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი განიხილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატამ, რომელმაც 2003 წლის 6 მაისის განჩინებით სააპელაციო პალატის განაჩენით განსაზღვრული კვალიფიკაცია არ შეცვალა.¹

ეს კვალიფიკაცია სწორი არ არის. 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილით კვალიფიკაცია აქ ზედმეტია. მართალია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 მუხლით დანაშაულთა ერთობლიობის წესით სავსებით შესაძლებელია ქმედების ერთი მუხლის სხვადასხვა ნაწილით კვალიფიკაცია, მაგრამ აქ არავითარ შემთხვევაში არ იგულისხმება მუხლის პირველ ნაწილი. მუხლის 1-ლი ნაწილი ზოგადი ნორმაა, რომელიც ქურდობის ყოველგვარ შემთხვევას მოიცავს. რაც შეეხება 177-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებულ ქმედებებს, ისინი სპეციალური შემთხვევებია. ამიტომ აქ საკითხი „ზოგადი და სპეციალური ნორმების“ ურთიერთობის წესის მიხედვით უნდა გადაწყდეს. სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით; „თუ ქმედება გათვალისწინებულია ზოგადი და სპეციალური ნორმებით, დანაშაულთა ერთობლიობა არ არსებობს და პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება სპეციალური მუხლით“.

ასეთივე შეცდომა გვხვდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 25 ივლისის განაჩენში, რომლითაც გ.

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2003, №5, გვ 561-63.

კახიძეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით („ბ“ პუნქტი) დაედო მსჯავრი. გ. კახაძის ქმედება მხოლოდ 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით უნდა დაკვალიფიცირებულიყო. 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილით კვალიფიკაცია აქ სრულიად ზედმეტია.

მსჯავრდებულის საკასაციო საჩივრის საფუძველზე ეს განაჩენი განიხილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატამ. მიუხედავად ამ შეცდომისა, 2002 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო პალატას ხსენებული განაჩენი არ შეუცვალა.¹

სწორად მოიქცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატა, როცა 2002 წლის 28 მაისის განჩინებით შეცვალა ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 21 დეკემბრის განაჩენი ნ. კ. შვილის მიმართ. ამ განაჩენით ნ. კ. შვილის სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 ნაწილებით დაედო მსჯავრი. საკასაციო პალატამ სავსებით სწორად ამორიცხა განაჩენიდან 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილი ბრალდება.²

ამიტომ მე-16 მუხლის მიხედვით ზემოთ ხსენებული ზ. ტყეშუჩავას და გ. კახიძის ქმედებები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მხოლოდ მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისი პუნქტებით უნდა დაკვალიფიცირებულიყო.

ანალოგიური შეცდომა გვხვდება ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 6 აგვისტოს განაჩენშიც, რომლითაც ი. ბაკრაძეს და ა. გაბელიას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 ნაწილებით დაედოთ მსჯავრი.

ი. ბაკრაძისა და ი. გაბელიას სააპელაციო საჩივრების საფუძველზე ეს განაჩენი განიხილა თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატამ. სააპელაციო

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2002, №11, გვ. 1809-1811.

² საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2002, №7, გვ. 822-829.

პალატის 2002 წლის 11 დეკემბრის რაიონული სასამართლოს განაჩენით მსჯავრდებულებს სასჯელი შეუმსუბუქდათ. მაგრამ 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ბრალდება, რაც მსჯავრდებულებს ზედმეტად ჰქონდათ წარდგენილი, სააპელაციო სასამართლომ განაჩენიდან არ ამორიცხა.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ ცხადყო სხვა სახის შეცდომებიც, რომლებიც დანაშაულთა ერთობლიობის წესით ქმედებათა კვალიფიკაციის საკითხს უკავშირდება. სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ გ.ნ-ძეს საქმე. კასპის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 20 მარტის განაჩენით გ.ნ-ძეს მსჯავრი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „გ“ პუნქტებით და სასჯელის ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ და „ე“ პუნქტებით – 9 წლით თავისუფლების აღკვეთა. სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლით ეს სასჯელები სასამართლომ ნაწილობრივ შეკრიბა და საბოლოოდ გ. ნ-ძეს მოსახდელად 10 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

თბილისის საოლქო სასამართლოს 2001 წლის 26 ივლისის განაჩენით კასპის რაიონული სასამართლოს ხსენებული განაჩენი მხოლოდ სასჯელის ნაწილში შეიცვალა. ამის შემდეგ სასჯელის შემსუბუქების მოტივით განაჩენი საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატაში გასაჩივრდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატამ 2001 წლის 4 ოქტომბრის განჩინებით, კასპის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 20 მარტის განაჩენით განსაზღვრული გ.ნ-ძის ქმედებების კვალიფიკაცია სწორად მიიჩნია. პალატა გ.ნ-ძის ქმედებების 177-ე მუხლის სხვადასხვა ნაწილით კვალიფიკაციას სადავოდ არ ხდის. სამაგიეროდ, პალატა დანაშაულთა ერთობლიობის წესით სასჯელის დანიშვნაზე ამბობს უარს და ამტკიცებს, თითქოს ნ.გ-ძის სასჯელი მხოლოდ 177-ე მუხლის მე-3 ნაწილით უნდა განესაზღვროს.

განჩინებაში მითითებულია: „ვინაიდან გ. ნ-ძეს ქურდობა ჩადენილი აქვს არაერთგზის, რაც მას ბრალად აქვს შერაცხული როგორც

მაკვალიფიცირებული ნიშანი, სასჯელი უნდა განესაზღვროს არა 177-ე მუხლის სხვადასხვა ნაწილით ცალ-ცალკე, არამედ მხოლოდ 177-ე მუხლის მე-3 ნაწილით და მას საბოლოოდ მოსახდელად უნდა დაეტოვოს სსკ-ს 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი...“¹

ეს განჩინება გამონაკლისი როდია. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 2 ივლისის განჩინებაში ნათქვამია: „ვინაიდან ბ. შ-ძის მიერ ქურდობა ჩადენილია ერთი ქმედებით, სასამართლოს მისთვის სასჯელი უნდა დაენიშნა არა სსკ-ს 177-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით ცალ-ცალკე, არამედ მხოლოდ 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.“²

1-ლი, რაც აქ შეიძლება ითქვას, არის ის, რომ, თუ ჩვენ უზენაესი სასამართლოს ამ ორ განჩინებას ერთმანეთს შევადარებთ, დავინახავთ ხსენებული დებულების სხვადასხვა დასაბუთებას. 2001 წლის 4 ოქტომბრის განჩინებაში მითითებულია: „ვინაიდან გ. ნ-ძეს ქურდობები ჩადენილი აქვს არაერთგზის, რაც მას ბრალად აქვს შერაცხული როგორც მაკვალიფიცირებული ნიშანი, სასჯელი უნდა განესაზღვროს არა 177-ე მუხლის სხვადასხვა ნაწილით ცალ-ცალკე, არამედ მხოლოდ 177-ე მუხლის მე-3 ნაწილით...“

2002 წლის 2 ივლისის განჩინებით კი სასჯელის დანიშვნა მხოლოდ 177-ე მუხლის მე-3 ნაწილით თურმე იმიტომ უნდა მოხდეს, რომ „ბ. შ-ძის მიერ ქურდობა ჩადენილია ერთი ქმედებით...“

როგორც ვხედავთ, 177-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით დანაშაულთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნა უნდა მოხდეს მხოლოდ 177-ე მუხლის მე-3 ნაწილით. უზენაესი სასამართლოს სააპელაციო პალატა ამ დებულებას იმით ასაბუთებს, რომ ქურდობა ჩადენილია არაერთგზის, ერთი მოქმედებით.

აღსანიშნავია, რომ არც ერთი ეს დასაბუთება მისაღები არ არის და ამკარად მცდარია. მით უმეტეს, რომ ასეთი დასკვნა არ გამოძინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხ-

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2002, №1, გვ. 22.

² საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2002, №9, გვ. 1011.

ლის ტექსტიდან, რომლითაც დანაშაულთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნის წესია განსაზღვრული. 59-ე მუხლით განსაზღვრულია სასჯელის დანიშვნა დანაშაულთა ერთობლიობის დროს, მიუხედავად იმისა, რეალურ ერთობლიობასთან გვაქვს საქმე თუ იდეალურთან.

სხვაგვარად არის გადაწყვეტილი ეს საკითხი საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 20 მარტის განჩინებით. ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 22 აგვისტოს განაჩენით ვ. ისაევს საქართველოს სსკ-ს 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ პუნქტებით მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით 3 წლით თავისუფლების აღკვეთა; რ. ნადოევს საქართველოს სსკ-ს 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტებით მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 177-ე მუხლის მე-3 ნაწილით „გ“ პუნქტით 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად საბოლოოდ თითოეულ მათგანს 5-5 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.

თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 4 დეკემბრის განაჩენით თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს განაჩენი ვ. ისაევისა და რ. ნადოევის მიმართ არ შეცვლილა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს ხსენებული განაჩენი მხოლოდ სასჯელის ნაწილში შეცვალა. პალატამ ვ. ისაევს სასჯელი 5 წლიდან 4 წლამდე შეუმცირა, ხოლო რ. ნადოევს 3 წლითა და 6 თვით. სხვა მხრივ განაჩენი არ შეცვლილა.¹

უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატის ეს გადაწყვეტილება საეესებით სწორია. ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლო სწორად მოიქცა, როცა დამნაშავეთა ქმედებები დანაშაულთა ერთობლიობის წესით 177-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით დააკვალიფიცირა და სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის საფუძ-

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2003, №3, გვ. 367.

ველზე სასჯელიც ცალ-ცალკე განუსაზღვრა 177-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული ქმედებების ჩადენისათვის.

ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილებით ბ. ჭ-იას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ პუნქტებით დაედო მსჯავრი. თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 3 მაისის განაჩენით ხსენებული განაჩენი არ შეცვლილა. რაიონული სასამართლოს განაჩენი ბ. ქ-იას ქმედებების კვალიფიკაციის ნაწილში არ შეცვლილა არც საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატის განჩინებით.¹

ეს კვალიფიკაცია მთლად ზუსტი არ არის. 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტი, რომლითაც, დასახელებული მუხლის მე-2 ნაწილის სხვა პუნქტებთან ერთად, დაკვალიფიცირებულია ზ. ჭ-იას დანაშაულებრივი ქმედება, დაზარალებულის „მნიშვნელოვან დაზიანებას“ გულისხმობს. რაც შეეხება 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტს, რომლითაც ასევე დაკვალიფიცირებულია ზ. ჭ-იას ქმედება, ეს პუნქტი „დიდი ოდენობით“ ზიანს ითვალისწინებს.

ერთი სიტყვით, მივიღეთ ის, რომ ერთი და იგივე შედეგი, უფრო ზუსტად, მოპარული ნივთის ოდენობის მიხედვით, ქმედება 177-ე მუხლის ორი პუნქტით – მე-2 ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტებით დაკვალიფიცირდა და დამნაშავეს ორჯერ შეერაცხა ბრალად. ეს არის ერთი და იმავე შედეგისათვის კაცის ორჯერ გასამართლება, რაც მიუღებელია თანამედროვე სისხლის სამართლისათვის.

როცა ქმედება 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტით (ქურდობა „დიდი ოდენობით“) კვალიფიცირდება, მაშინ ამ ქმედების დამატებით 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით (მნიშვნელოვანი ზიანი) დაკვალიფიცირება დაუშვებელია. „დიდი ოდენობა“ თავისთავად მოიცავს „მნიშვნელოვან ზიანს“ და ამიტომ ამ ნიშნების ცალ-ცალკე შეფასება საჭირო აღარ არის.

საყურადღებოა ზემოთ განხილული დ. ივანოვის საქმე. დ. ივანოვს,

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2002, №9, გვ. 1009-1011.

როგორც ვთქვით, ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 31 მაისის განაჩენით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „გ“ პუნქტებით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ და „დ“ პუნქტებით დაედო მსჯავრი.

თბილისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატის 2002 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით რაიონული სასამართლოს განაჩენი დ. ივანოვის მიმართ არ შეცვლილა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატის 2003 წლის 20 თებერვლის განჩინებით თბილისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატის 2002 წლის 5 დეკემბრის განაჩენი შეიცვალა მხოლოდ იმ ნაწილში, რომ დ. ივანოვის დანაშაულებრივი ქმედება, დამთავრებული დანაშაულის ნაცვლად, სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის საფუძველზე დანაშაულის მცდელობად დაკვალიფიცირდა.

ასეთი გადაკვალიფიცირება, რასაკვირველია, სწორი იყო. მაგრამ რაიონულ და სააპელაციო განაჩენებში სხვა შეცდომებმაც იჩინა თავი, რაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატამ უყურადღებოდ დატოვა.

საქმე ის არის, რომ დ. ივანოვი ქურდობის ჩადენამდე ხუთჯერ იყო ნასამართლევნი და განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტადაც ითვლებოდა. ამის გამო მისი ქმედება სწორად იყო დაკვალიფიცირებული 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ პუნქტით („ქურდობა იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევნი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის“).

მაგრამ არ იყო სწორი, როცა დ. ივანოვის ქმედება დამატებით 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტითაც დაკვალიფიცირდა (ქურდობა, ჩადენილი „არაერთგზის“). არსებითად აქაც საქმე გვაქვს დანაშაულის ერთი და იგივე მაკვალიფიცირებელი ნიშნისათვის ადამიანის ორჯერ გასამართლებასთან, რაც ეწინააღმდეგება თანამედროვე სისხლის სამართლის პრინციპებს. „ორჯერ ან მეტჯერ“ ნასამართლევისაგან ჩადენილი ქურდობა იგივეა, რაც ქურდობა „არაერთგზის“. განსხვავება 177-ე მუხლის ამ ორ პუნქტს შორის არაარსებითია. „არაერთგზისობის“ დროს იგულისხმება, რომ ქურდი არც ერთი წინა

ქურდობისათვის გასამართლებული არ ყოფილა ან ერთხელ იყო გასამართლებული ამ დანაშაულისათვის. ერთი სიტყვით, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტი მოიცავს ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ პუნქტს და ამიტომ ასეთ შემთხვევაში ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ პუნქტით.

აქ ჩვენ საქმე გვაქვს ზოგადი და სპეციალური შემადგენლობების ურთიერთობასთან. ქურდობა „არაერთგზის“ ფართო ცნებაა და მოიცავს „ორჯერ და მეტჯერ“ ნასამართლობის ნიშანს. ასეთ შემთხვევაში დარღვეულია სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ნორმა, რომლის მიხედვით „თუ ქმედება გათვალისწინებულია ზოგადი და სპეციალური ნორმებით, დანაშაულთა ერთობლიობა არ არსებობს და პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება სპეციალური ნორმით“.

კასპის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 20 მარტის განაჩენით გ. ნ-ძეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „გ“ პუნქტებით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ და „დ“ პუნქტებითა დაედო მსჯავრი.

თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2001 წლის 26 ივლისის განაჩენით კასპის რაიონული სასამართლოს ხსენებული განაჩენი სასჯელის ნაწილში შეიცვალა.

სააპელაციო პალატის განაჩენში ცვლილება შეიტანა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატამ 2001 წლის 4 ოქტომბრის განჩინებით. პალატამ თბილისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატის განაჩენიდან ამორიცხა კ.ნ-სათვის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ პუნქტით წარდგენილი ბრალდება. განჩინებაში მითითებულ იქნა, რომ ხსენებული პუნქტით ბრალდება უნდა ამორიცხოს, „ვინაიდან გ. ნ-ძეს 1980 და 1986 წლების ნასამართლობები გაქარწყლებული აქვს და, ამდენად, იგი არ შეიძლება ჩაითვალოს პირად, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევნი სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის“.¹

ეს გადაწყვეტილება, რასაკვირველია, სწორია. პალატამ სავსე-

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2002, №1, გვ. 20-21.

ბით დასაბუთებულად მოუხსნა გ.ნ-ძეს 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ პუნქტით წარდგენილი ბრალდება. მაგრამ, როცა ამ განჩინებას ეცნობი, რჩება შთაბეჭდილება, რომ პალატა გ.ნ-ძეს ამ ბრალდებას არ მოუხსნიდა, თუ მას ნასამართლობა გაქარწყლებული არ ექნებოდა. ამიტომ განჩინებაში გაკვრით მაინც უნდა ყოფილიყო იმაზე მინიშნებაც, რომ ქმედების 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „დ“ პუნქტების ერთობლიობით კვალიფიკაცია არ შეიძლება.

თელავის რაიონის სასამართლოს 2001 წლის 31 მაისის განაჩენით კ. ბ-შვილს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტებით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით დაედო მსჯავრი. ამავე განჩინებით თ.მ-ძეს მსჯავრი დაედო 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ პუნქტებითა და მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით.

თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2001 წლის 12 სექტემბრის განაჩენით თელავის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 31 მაისის განაჩენი შეიცვალა. ამ განაჩენიდან ამოირიცხა 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული ბრალდება.

177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული ბრალდება, რომელიც წინასწარი შეთანხმებით ქურდობას გულისხმობს, სააპელაციო პალატამ დაუსაბუთებლად მიიჩნია. საბრალდებო დასკვნით კ.ბ-შვილსა და თ.მ-ძეს ბრალად ედებოდათ ა. მ-ძის საცხოვრებელი სახლის ეზოდან ცხვრის მოპარვა. მსჯავრდებულთა ჩვენებებზე დაყრდნობით სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ „ცხვრის მოპარვის განზრახვა მათ გაუჩნდათ მას შემდეგ, რაც შევიდნენ მსჯავრდებულ თ. მ-ძის ბიძის, ა. მ-ძის საცხოვრებელი სახლის ეზოში და დაინახეს ცხვარი“.¹

ეს დასაბუთება ეჭვს იწვევს. ჯერ ერთი, არ ჩანს, რა მიზნით შევიდნენ მსჯავრდებულები დაზარალებულების ეზოში. მეორეც, რა-

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2002, №3, გვ. 259-261.

ტომ არ შეიძლებოდა მსჯავრდებულები დანაშაულის ჩადენაზე წინასწარ შეთანხმებულიყვნენ (ცხვრის დანახვისთანავე). საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის თანახმად, „წინასწარი შეთანხმება“ გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როცა „მონაწილენი წინასწარ შეკავშირდებიან დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად“. ამის მიხედვით უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს „შეკავშირება“ თუ „შეთანხმება“ უნდა მოხდეს დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარის დაწყებამდე. ამის მიხედვით, თუ მსჯავრდებულებს „ცხვრის მოპარვის განზრახვა გაუჩნდათ“ ცხვრის დანახვის შემდეგ, არ შეიძლება გამოირიცხოს წინასწარი შეთანხმების მომენტი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატა 2001 წლის 20 დეკემბრის განაჩენით თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატა ამ ცვლილებას დაეთანხმა. თავის მხრივ, საკასაციო პალატამ შეცვალა სააპელაციო პალატის განაჩენი და განაჩენიდან 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით წარდგენილი ბრალდება ამოირიცხა.

რაიონული და სააპელაციო სასამართლოების განაჩენებით მსჯავრდებულებს წარდგენილი ჰქონდათ „სადგომში შეღწევით“ ცხვრის მოპარვა. უზენაესი სასამართლოს საკასაციო განჩინებას დადგენილად მიაჩნია, რომ „შემთხვევის ადგილი, სადაც ცხვარი იმყოფებოდა, არის ეზოში, ღია ცის ქვეშ, მავთულით შემოღებულ ადგილას“, რომელიც „არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სადგომად“.

ჩემი აზრით, აქ ტერმინოლოგიურ აღრევასთან გვაქვს საქმე, რამაც სასამართლო შეცდომა გამოიწვია. რაიონული და სააპელაციო სასამართლოების განაჩენებში მითითებულია, რომ მსჯავრდებულებმა „შეაღწიეს სადგომში“ და მოიპარეს ცხვარი. ამ ტერმინს დაეყრდნო საკასაციო პალატა და აღინიშნა, რომ ცხვარი იმყოფებოდა „მავთულით შემოღებულ ადგილას“, რაც „სადგომს“ არ წარმოადგენს.

მაგრამ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის ტექსტი ასეთია: ქურდობა „გ. ბინაში, სადგომში ან სხვა საცავეში უკანონო შეღწევით“. ამიტომ, თუ ვიტყვით, რომ ის ადგილი, საიდანაც მსჯავრდებულებმა ცხვარი მოიპარეს, არ იყო „სადგომი“, უნდა გვეფიქრა, ხომ არ იყო

ის ადგილი „სხვა საცავი“. ვფიქრობთ, რომ მავთულით შემოღობილი ადგილი, სადაც ცხვარი იყო, სწორედ „სხვა საცავს“ წარმოადგენდა. სასამართლოს უნდა ემსჯელა ამ საკითხზე და ამის საფუძველზე შეეცავლა ქმედების კვალიფიკაცია.

თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 28 თებერვლის განაჩენით უ. აფრიამაშვილს, ა. კრტიანს, რ. ლიაშენკოს, დ. გელაშვილს და ნ. ხმალაძეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტებით და მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტით დაედოთ მსჯავრი.

უ. აფრიამაშვილისა და ა. კრტიანის საკასაციო საჩივრების საფუძველზე ეს განაჩენი განიხილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატამ, რომელმაც 2003 წლის 13 მაისის განჩინებით საჩივრები არ დააკამყოფილა.¹

მსჯავრდებულები წინასწარი შეთანხმებით მოქმედებდნენ. მათ ოთხი ქურდობა ჰქონდათ ჩადენილი. ამიტომ ამ ნაწილში მათი დანაშაული 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით („წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ“ ქურდობა) დაკვალიფიცირდა. ვფიქრობთ, ეს კვალიფიკაცია სწორი არ არის. რატომღაც სასამართლომ ყურადღება მიაქცია მხოლოდ წინასწარი შეთანხმების ფაქტს და უყურადღებოდ დატოვა ის გარემოება, რომ დამნაშავეთა ჯგუფმა ოთხი ქურდობა ჩაიდინა. ეს იმას ნიშნავს, რომ საქმე გვაქვს მყარ ჯგუფთან. ამიტომ დამნაშავეთა ქმედება უნდა დაკვალიფიცირებულიყო 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტით, სადაც გათვალისწინებულია ქურდობა „ორგანიზებული ჯგუფის მიერ“.

სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის მიხედვით „დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განახორციელა პირთა მყარმა ჯგუფმა, რომლებიც წინასწარ შეკავშირდნენ რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად“ (მე-3 ნაწილი).

მსჯავრდებულებმა ქურდობის ოთხი ეპიზოდი ჩაიდინეს. მაშასადამე, ეს დანაშაული ადამიანთა „მყარმა ჯგუფმა“ ჩაიდინა. როცა

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2003, №5, გვ. 602-604.

წინასწარ შეთანხმებული ჯგუფი მოქმედებს და სჩადის რამდენიმე დანაშაულს, აქ საქმე გვაქვს დამნაშავეთა „მყარ ჯგუფთან“. სიმყარე ნიშნავს იმას, რომ ერთი დანაშაულის ჩადენის შემდეგ ჯგუფი არ იშლება და დანაშაულებრივ საქმიანობას აგრძელებს.

ამიტომ რ. ლიაშენკოს, დ. გელაშვილის, ნ. ხმალაძის, ა. კრტიანის და უ. აფრიაშვილის ქმედებები 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტის ნაცვლად, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტით უნდა დაკვალიფიციერებულიყო.

ასევე საყურადღებოა ბ. ცომაიას ქმედებების კვალიფიკაცია. ბ. ცომაიამ ძმებ გასვიანებთან ერთად, ქურდობების მთელი სერია ჩაიდინა. ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 29 მაისის განაჩენით ბ. ცომაიას სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „გ“ პუნქტებით და მე-3 ნაწილის „ა“ და „გ“ პუნქტებით დაედო მსჯავრი.

ერთი შეხედვით, ეს კვალიფიკაცია სწორია, თუკი გავითვალისწინებთ, რომ ბ. ცომაიამ, ძმებ გასვიანებთან ერთად, ქურდობების მთელი სერია ჩაიდინა. ამიტომ წინასწარმა გამოძიებამ და სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ დამნაშავეებმა ჩაიდინეს არა ქურდობა წინასწარი შეთანხმებით (177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტი), არამედ „ორგანიზებული ჯგუფის მიერ“ (177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტი).

მაგრამ ამ სწორ კვალიფიკაციას, ჩემი აზრით, ერთი მნიშვნელოვანი გარემოება უშლის ხელს. საქმე ის არის, რომ ჯგუფი, წინასწარ შეთანხმებული იყო თუ ორგანიზებული, სულ ერთია, სასამართლოს არ უნახავს. ძმები ლ. და ი. გასვიანები, რომლებთანაც ერთად ბ. ცომაია დანაშაულს სჩადიოდა, გაქცეული ყოფილან და სასამართლო პროცესს არ დასწრებიან. ამიტომ აქ დარღვეულია თანამედროვე საპროცესო სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი, რომელსაც უშუალოდ პრინციპი ეწოდება.

რაც მთავარია, ძმები გასვიანები, რომლებიც სასამართლოს თვალთაც არ უნახავს, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებად ცხადდებიან. შესამოწმებელია მათი ასაკი, ფსიქიკური მდგომარეობა, არ ვიცით, რას იტყვიან ისინი ამ საქმის ირგვლივ და სხვ., რაც მათი დაკითხვი-

სა და უშუალოდ გაუსამართლებლად არ შეიძლება სწორად დადგინდეს. ამიტომ მათი ჯგუფის წევრობა ეჭვის ქვეშ დგება, რაც უარყოფით ზეგავლენას ახდენს ბ. ცომაიას ქმედების კვალიფიკაციაზე.

აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ, თუ ცომაია ჯგუფის წევრად ჩაითვლება, მაშინ ჯგუფის წევრებად უნდა მივიჩნიოთ ძმები გასვიანებიც, მაგრამ როგორ შეიძლება სასამართლომ ჯგუფის წევრად ცნოს ის კაცი, რომელიც თვალთ არ უნახავს.

ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 6 აგვისტოს განაჩენით ი. ბაკრაძესა და ი. გაბელიას მსჯავრი დაედოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების „ა“, „ბ“, „გ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტებით.

განაჩენის მიხედვით ი. ბაკრაძემ და ი. გაბელიამ „მოილაპარაკეს და გადაწყვიტეს ფარულად დაუფლებოდნენ სხვის ქონებას მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით“. სულ ი. ბაკრაძემ და ი. გაბელიამ ერთობლივად ქურდობის რამდენიმე ეპიზოდი ჩაიდინეს. აქ ამჟამად გამოკვეთილი ორგანიზებული ჯგუფია. ამიტომ მათი ქმედებები 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტით უნდა დაკვალიფიცირებულიყო (ქურდობა „ორგანიზებული ჯგუფის მიერ“).

სამაგიეროდ წინასწარმა გამოძიებამ და სასამართლომ ი. ბაკრაძესა და ი. გაბელიას არასწორედ წარუდგინეს 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ (ქურდობა „წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ“) და „ბ“ პუნქტები (ქურდობა „არაერთგზის“), რადგან „ორგანიზებული ჯგუფი“ „წინასწარი შეთანხმებისა“ და „არაერთგზისობის“ მომენტებსაც მოიცავს და ამ ნიშნებით დამატებითი კვალიფიკაცია არ შეიძლება.

უხეში შეცდომაა აგრეთვე ი. ბაკარიძისა და ი. გაბელიას 177-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით დაკვალიფიცირება. ეს კვალიფიკაცია ეწინააღმდეგება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილს, რომლის მიხედვითაც ზოგადი და სპეციალური ნორმებით გათვალისწინებული ქმედებების ერთობლიობა არ შეიძლება. 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ზოგადი ნორმაა, ხოლო მე-2 ნაწილი სპეციალური ნორმაა.

დასკვნა

სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ დაგვანახვა, რომ სასამართლოები, ძირითადად, ქმედების ერთობლიობის წესით კვალიფიკაციის საკითხში ცდებიან. აქ ორი უკიდურესობა შეიმჩნევა. ზოგიერთი სასამართლო საერთოდ უარყოფს ერთი მუხლის სხვადასხვა ნაწილებით კვალიფიკაციას, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 მუხლითაა დაკანონებული. ზოგჯერ კი სასამართლოები, პირიქით, მე-2 უკიდურესობაში ვარდებიან, როცა მე-16 მუხლის პრინციპის გამოყენებით დანაშაულთა ერთობლიობის დროს 177-ე მუხლის პირველ ნაწილსაც იყენებენ, რაც გაუმართლებელია.

177-ე მუხლის პირველ ნაწილი მე-2 და მე-3 ნაწილებთან ისეთ ურთიერთობაშია, როგორც ზოგადი და სპეციალური შემადგენლობები. ასეთ შემთხვევაში დანაშაულთა ერთობლიობის წესით კვალიფიკაცია არ შეიძლება. ქმედება ამ დროს კვალიფიცირდება მხოლოდ სპეციალური მუხლით (იხ. მე-16 მუხლის მე-2 ნაწ.).

რამდენიმე განაჩენის მიხედვით, სადაც 177-ე მუხლის სხვადასხვა ნაწილის ერთობლიობით სწორად არის ქმედების კვალიფიკაცია განსაზღვრული, მაგრამ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატის განჩინებით უარყოფილია სასჯლის ზომის განსაზღვრა ცალ-ცალკე 177-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით. საკითხის ასეთი გადაწყვეტაც აშკარა შეცდომაა და სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მოთხოვნას ეწინააღმდეგება.

გვხვდება ისეთი განაჩენებიც, სადაც ქმედება 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ („მნიშვნელოვანი ზიანი“) და მე-3 ნაწილის „ბ“ („დიდი ოდენობა“) პუნქტებითაა დაკვალიფიცირებული, რაც შეცდომაა. აქაც საქმე გვაქვს ზოგადი და სპეციალური შემადგენლობების ურთიერთობასთან. „დიდი ოდენობა“ მოიცავს „მნიშვნელოვან ზიანს“ და ამიტომ ერთობლიობა გამორიცხულია. ქმედება 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ („დიდი ოდენობა“) პუნქტით უნდა დაკვალიფიცირდეს.

ამ შემთხვევის ანალოგიურად არ შეიძლება ქმედების 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტითა („ქურდობა „არაერთგზის“) და მე-3 ნაწილის „დ“ („ქურდობა იმის მიერ, ვინც ორჯერ და მეტჯერ იყო ნასამართლევი ამ დანაშაულისათვის“) პუნქტებით დაკვალიფიცირდა.

აქაც მე-3 ნაწილის „დ“ პუნქტი მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტის სპეციალური შემთხვევაა და ამიტომ დამატებით 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით ქმედების კვალიფიკაცია საჭირო არ არის.

შესწავლილი საქმეებიდან შეგვხვდა ისეთიც, სადაც დანაშაულის დამთავრების მომენტი არასწორად არის გაგებული. მხედველობაში გვაქვს ნივთის დაუფლებისა და გამოყენების მომენტი. სასამართლომ არასწორად მიიჩნია დამთავრებული ქურდობა მცდელობად იმის გამო, რომ ქურდი ნივთის დაუფლებისთანავე დააპატიმრეს.

მუხლი 178. ძარცვა

1. ძარცვა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით,-

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორიდან სამ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე.

2. იგივე ქმედება:

ა) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;

ბ) არაერთგზის;

გ) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია;

დ) ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის მუქარით,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე.

3. ძარცვა, ჩადენილი:

ა) ორგანიზებული ჯგუფის მიერ;

ბ) დიდი ოდენობით;

გ) ბინაში, სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით;

დ) იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლვეი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან თორმეტ წლამდე.

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №292 – საქართველოს საკანონმდებლო მაცნე I, 2000 წლის , №18, მუხ. 45-ე; საქართველოს 2000 წლის 30 მაისის კანონი №333 – საქართველოს საკანონმდებლო მაცნე I, 2000 წლის , №20, მუხ. 51-ე)

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლი ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ძარცვისათვის. იგი სამი ნაწილისაგან შედგება. 1-ლი ნაწილი წარმოადგენს ძარცვის ძირითად შემადგენლობას, რომელიც შედარებით იშვიათად გვხვდება სასამართლო პრაქტიკაში. ძარცვის კვალიფიციური შემადგენლობები მოცემულია ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებში.

ძარცვის ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობების ნიშნები სსკ-ის 177-ე მუხლით გათვალისწინებული ქურდობის ქმედების შემადგენლობის ანალოგიური ნიშნების იდენტურია. განსხვავება მხოლოდ მისაკუთრების ხერხშია. კერძოდ, ძარცვის დროს სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ხდება აშკარად.

აშკარაა ნივთის ისეთი დაუფლება, რომელიც ხდება დაზარალებულის თანდასწრებით. ნივთი შეიძლება იყოს დაზარალებულის საკუთრება, ასევე შეიძლება მას ეს ნივთი მხოლოდ მფლობელობის ან სარგებლობის უფლებით ჰქონდეს გადაცემული.

რაიონულმა სასამართლომ გ.კ.-ს მიერ ჩადენილი ქმედება, რაც საბრალოდ დასკვნით დაკვალიფიცირდა სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, როგორც დამთავრებული დანაშაული, სწორად შეაფასა ძარცვის მცდელობად (სსკ-ის მე-19 და 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი). დანაშაულებრივი ქმედება ჩადენილ იქნა შემდეგ ვითარებაში: ერთ-ერთი რესტორნის შესასვლელში არსებულ გარდერობში რესტორნის სტუმრებმა ჩააბარეს პალტოები. გ.კ.-მ ისარგებლა იმით, რომ მეგარდერობე ქალი გამოვიდა გარდერობიდან და რამდენიმე წუთით მიატოვა შესანახად ჩააბარებული პალტოები, თუმცა ცდილობდა, ყურადღება მიექცია მათთვის. ასეთ ვითარებაში, გ.კ., მართალია, ხედავდა, რომ რესტორნის შესასვლელში იყო ხალხი, რომლებიც ადვილად შეამჩნევდნენ და მიხვდებოდნენ მის მოქმედებას, მაგრამ მან მაინც ხელი სტაცა ერთ-ერთი მანდილოსნის ძვირად ღირებულ ქურქს და გაიქცა. მეგარდერობე ქალის ხმაურზე დაცვის თანამშრომელმა გ.კ. დააკავა შენობიდან გასვლისთანავე, ქუჩაში. ასეთ ვითარებაში, მართალია, ნივთის მისაკუთრის თანდასწრებით არ მომხდარა ქურქის დაუფლება, მაგრამ

იგი უნდა ჩაითვალოს ნივთის აშკარა დაუფლებად. გარდა ამისა, დამნაშავე გაეიდა რა შენობიდან, იგი ჯერ კიდევ არ იმყოფებოდა ისეთ ვითარებაში, რომელიც მას მისცემდა ნივთის, როგორც საკუთარის, განკარგვის შესაძლებლობას. ამდენად, სახეზე გვაქვს ძარცვის არა დამთავრებული დანაშაული, არამედ – მისი ჩადენის მცდელობა. მართალია, ძარცვა მოხდა შენობაში, მაგრამ იგი არ შეიძლება ჩაითვალოს ბინაში, სადგომში ან სხვა საცავში შეღწევით ჩადენილად, ვინაიდან ამ შენობაში შესვლა არამართლზომიერად არ მომხდარა.

ნივთის აშკარა დაუფლებით ძარცვის შემადგენლობაა იმ შემთხვევაშიც, როცა პირს ნივთი არამართლზომიერ მფლობელობაში აქვს. მაგალითად, ნაქურდალი ნივთი ქურდის ხელში ასევე წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტს. თუ პირი ნაქურდალ ან ყაჩაღობის შედეგად მოპოვებულ ნივთს აშკარად გაიტაცებს მისი არამართლზომიერი მფლობელისაგან, მაგალითად, ქურდის ან ყაჩაღისგან, მიუხედავად იმისა, მან იცის თუ არა ნივთის არამართლზომიერი მფლობელობის შესახებ, ჩადენილი ქმედება უნდა დაკვალიფიციროდეს ძარცვად.

რაიონულმა სასამართლომ სწორად შეაფასა გ.ლ.-ს მოქმედება ქონების აშკარად დაუფლებად იმ ვითარებაში, როცა იგი ლ.მ.-ს მფლობელობაში არსებულ ავტომანქანაში ჩაჯდა ამ უკანასკნელისა და მისი მეგობრების თანდასწრებით და შემთხვევის ადგილიდან ავტომანქანა მითვისების მიზნით წაიყვანა. ლ. მ.-მ ეს ავტომანქანა ყაჩაღური თავდასხმის გზით წაართვა თემქის დასახლების ერთ-ერთ მაცხოვრებელს.

ასევე ძარცვის შემადგენლობა ხორციელდება იმ შემთხვევაშიც, როცა ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ხდება უცხო პირის თანდასწრებით, როცა მას არავითარი სამართლებრივი კავშირი არა აქვს გატაცებულ ნივთთან. ამასთან, აუცილებელია, რომ გამტაცებელს სუბიექტურად შეგნებული ჰქონდეს, რომ დამსწრე პიროვნებას შეგნებული აქვს ჩადენილი ქმედების შინაარსი, რომ ადგილი აქვს სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლებას მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.

თუ დანაშაულის თვითმხილველს არა აქვს შეგნებული ჩადენი-

ლი ქმედების მართლწინააღმდეგობა ან თუ იგი წარმოადგენს დამნაშავეის თანამსრულებელს (თანამონაწილეს), ან თანამოაზრეს, ან ახლობელს, სახეზე გვაქვს არა ძარცვა, არამედ ქურდობა.

პირის ქმედება კვალიფიცირდება ძარცვად, თუ მან სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაიწყო ფარულად, მაგრამ შემდეგ იგი შეამჩნიეს და ფარული მოქმედება გადაიზარდა ამ ნივთის აშკარა დაუფლებაში. ქურდობის ძარცვაში გადაზრდა შეიძლება ნივთის სრულ დაუფლებამდე და მისი განკარგვის შესაძლებლობამდე, სანამ ქურდობა დამთავრებული დანაშაულის სტადიას მიაღწევს.

რაიონულმა სასამართლომ არასწორად დააკვალიფიცირა კ.ლ.-ს ქმედება დამთავრებული ძარცვის შემადგენლობად, ჩადენილი ბინაში უკანონო შეღწევით (სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი). საქმის ფაქტობრივი გარემოებები მდგომარეობდა შემდეგში: კ.ლ. სტუმრად იმყოფებოდა ერთ-ერთ ოჯახში. სახლიდან გამოსვლის დროს მან ოჯახის წევრთა შეუმჩნეველად ჩამოხსნა ბიჭის ქურთუკი. ეზოში გამოსვლის შემდეგ იგი შეამჩნია ოჯახის დიასახლისმა და კ.ლ.-ს მოსთხოვა ქურთუკის დაბრუნება. ეს უკანასკნელი არ დაემორჩილა მას და ქურთუკით ხელში შემთხვევის ადგილიდან მიიშალა.

როგორც ჩანს, ქურდობა გადაიზარდა ძარცვაში. აღნიშნული ქმედების კვალიფიკაცია ძარცვის კვალიფიციურ შემადგენლობად (ბინაში შეღწევა) სამართლებრივად არასწორი იქნება, ვინაიდან ადგილი არ ჰქონია ბინაში არამართლზომიერ შეღწევას ნივთის დაუფლების მიზნით.

ანალოგიურ შემთხვევაში, როცა პირი ბინაში შევიდა ქურდობის მიზნით, მაგრამ ნაქურდალი ნივთებით შეამჩნიეს საცხოვრებელი სახლის ეზოში, რის შემდეგაც ნივთებთან ერთად შემთხვევის ადგილიდან მიიშალა, ეს ქმედება დაკვალიფიცირდა დამთავრებული ძარცვის შემადგენლობად, ჩადენილი ბინაში უკანონო შეღწევით (სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი). ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მართალია, ბინაში შეღწევა განხორციელდა არამართლზომიერად, ნივთის დაუფლების მიზნით, მაგრამ ნივთის დაუფლება უნდა მომხდარიყო არა აშკარად, არამედ ფარულად, რაც განხორციელდა კიდევ.

ამდენად, სახეზე არა გვაქვს ძარცვა შეღწევით. ასეთი ქმედება შეიძლება დაკვალიფიცირდეს ქურდობის მცდელობად, ჩადენილი ბინაში უკანონო შეღწევით (სსკ-ის მე-19, 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი) და დამთავრებული ძარცვის არაკვალიფიციურ შემადგენლობად (სსკ-ის 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), თუ ქურდობის ძარცვაში გადაზრდის დროს არ წარმოიშვა ძარცვის ისეთი მაკვალიფიცირებელი ნიშანი, როგორცაა ძალადობა, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის მუქარა. ქურდობის ძარცვაში გადაზრდის დროს, თუ ეს უკანასკნელი მაკვალიფიცირებელი გარემოება სახეზე გვაქვს, მაშინ პირის ქმედება, ქურდობის მცდელობასთან ერთად, უნდა დაკვალიფიცირდეს ძარცვის ამ მაკვალიფიცირებელი ნიშნით (სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი).

როგორც აღვნიშნეთ, სასამართლო პრაქტიკაში ასევე გვხვდება ქურდობის ძარცვაში გადაზრდისას ქმედების სხვაგვარი კვალიფიკაცია, რომლის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ შემდეგ მაგალითს:

რაიონული სასამართლოს განაჩენით გ.გ. ცნობილი იყო დამნაშავედ სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით. საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის განაჩენით რაიონული სასამართლოს განაჩენი შეიცვალა იმ მიმართებით, რომ გ.გ. ცნობილი იქნა დამნაშავედ სსკ-ის 19,178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

განაჩენით გ.გ.-ს მსჯავრი დაედო შემდეგი დანაშაულის ჩადენისათვის: გ.გ.-მ მორგებული გასაღებით შეაღწია სკოლის შენობაში, დირექტორის სამუშაო ოთახში და ფარულად დაეუფლა მის ხელჩანთას. დერეფანში იგი შენიშნა დირექტორმა ე.ვ.-მ და სთხოვა, გაჩერებულიყო, რათა ხელჩანთა დაებრუნებინა, მაგრამ გ.გ. არ დაემორჩილა ამ თხოვნას და სცადა მიმალვა. მას დაედევნენ ე.ვ. და სკოლის სხვა თანამშრომლები. პოლიციის მუშაკებმა გ.გ. სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს.

პროკურორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა გ.გ.-ს მიმართ განაჩენის გაუქმებასა და საქმის ხელახალი განხილვისათვის იმავე სასა-

მართლოში დაბრუნებას იმ მოტივით, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი არის დაუსაბუთებელი და უკანონო როგორც კვალიფიკაციის, ისე სასჯელის ნაწილში. პროკურორის აზრით, გ.გ.-მ ჩაიდინა დამთავრებული დანაშაული, შეფარდებული სასჯელი არ შეესაბამება მის პიროვნებასა და ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილებულიყო შემდეგ გარემოებათა გამო: პალატამ არ გაიზიარა საკასაციო საჩივრის მოტივი, რომ გ.გ.-მ ჩაიდინა ძარცვა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება, დამთავრებული დანაშაულის სახით. საქმის მასალებით დადგენილია, რომ გ.გ. ხელჩანთას დაეუფლა ფარულად ოთახში, სადაც არავინ იმყოფებოდა. იგი დაზარალებულმა შენიშნა დერეფანში და დაედგინა მას, ე.ი. გ.გ.-ს ქმედება დაიწყო ქურდობით, რაც მას შემდეგ, როცა იგი არ დაემორჩილა დაზარალებულის მოთხოვნას, გადაიზარდა ძარცვაში. საკასაციო პალატამ უსაფუძვლოდ ჩათვალა საჩივრის ავტორის მოსაზრება, რომ რადგან გ.გ. დაიჭირეს არა სკოლის შენობაში, არამედ შენობის გარეთ, მისი ქმედება უნდა ჩაითვალოს დამთავრებულ დანაშაულად. საქმის მასალებით დადგენილია, რომ დაზარალებული და სკოლის თანამშრომლები მაშინვე დაედგინენ გ.გ.-ს, ე.ი. დაზარალებულისა და სხვა პირების მხრიდან გ.გ.-ს დგენა მიმდინარეობდა განუწყვეტლად, რის გამოც გატაცებული ქონება მის ფაქტობრივ მფლობელობაში არ გადასულა და მას ნივთის განკარგვის საშუალება არ მისცემია. მოცემულ შემთხვევაში პირი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დამამძიმებელ გარემოებებში ფარულად დაეუფლა სხვის მოძრავ ნივთს, ხოლო შემდეგ, ვინაიდან იგი შენიშნეს გატაცებული ნივთით, შეიცვალა გატაცების ხერხი და ქმედება გადაიზარდა ნივთის აშკარა დაუფლებაში. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ასეთ შემთხვევაში ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ძარცვის მცდელობად ქმედების თავდაპირველი მაკვალიფიცირებელი ნიშნებით და არა ქურდობის მცდელობად დამამძიმებელ გარემოებებში და ძარცვის მცდელობად დამამძიმებელი გარემოებების გარეშე, ვინაიდან არ შეცვლილა მსჯავრდებულის თავდაპირველი განზრახვა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლების შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ

ჩათვალა, რომ სააპელაციო სასამართლომ გ.გ.-ს ქმედებას სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა და სწორად დააკვალიფიცირა იგი ძარცვის ჩადენის მცდელობად, არაერთგზის, ბინაში, სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით.

სასამართლო პრაქტიკა ქურდობის ძარცვაში გადაზრდის სამართლებრივი კვალიფიკაციის საკითხის გადაწყვეტაში არ არის ერთგვაროვანი. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ წინა მაგალითისაგან განსხვავებული შემთხვევა სასამართლო პრაქტიკიდან:

რაიონული სასამართლოს განაჩენით ზ.გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით. აღნიშნული განაჩენი საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის სააპელაციო პალატის განაჩენით დარჩა უცვლელად. განაჩენით ზ.გ.-ს მსჯავრი დაედო ძარცვისათვის, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, შეღწევით და ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება გამოიხატა შემდეგში: დაახლოებით 22 საათსა და 30 წუთზე, ზ.გ. იმყოფებოდა რა სტუმრად კ.კ.-თან, იმავე საქმეზე ბრალდებულ თ.ჩ.-თან ერთად, მიიღო სპირტიანი სასმელი და დათვრა. დაახლოებით 24 საათზე ზ.გ.-მ და თ.ჩ.-მ დატოვეს მასპინძლის ბინა, გამოვიდნენ ქუჩაში და ფეხით წავიდნენ სახლისაკენ. განიზრახეს რა დაუფლებოდნენ კ.კ.-ს ტყავის ქურთუკს, ისინი უკან მიბრუნდნენ. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, დაახლოებით 01 საათსა და 30 წუთზე, ფარულად შეაღწიეს კ.კ.-ს ეზოში მდებარე დამხმარე სათავსში, სადაც ჩამოკიდებული იყო აღნიშნული ქურთუკი, რომელიც ფარულად ჩამოხსნეს და ეზოში გამოიტანეს. კ.კ.-ს მამამ შენიშნა, თუ როგორ გამოიტანეს თ.ჩ.-მ და ზ.გ.-მ სამზარეულო ოთახიდან ქურთუკი, გამოედევნა მათ და მოუწოდა, დაებრუნებინათ იგი, თან წართმევის მიზნით, ხელი ჩაავლო ქურთუკს. გამტაცებლები შეეცადნენ, გასხლტომოდნენ ა.კ.-ს. ქურთუკის დაუფლებისათვის ჭიდილში სამივე წაიქცა. თ.ჩ.-მ და ზ.გ.-მ ძალის გამოყენებით ა.კ.-ს მიაყენეს სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება, რომელიც საშიში არ იყო სიცოცხლისა

და ჯანმრთელობისათვის, გამოსტაცეს 200 ლარად ღირებული ტყავის ქურთუკი, ჯიბეში არსებულ 20 ლართან ერთად და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, აშკარად დაუფლნენ, რითაც დაზარალებული მნიშვნელოვნად დააზიანეს.

საკასაციო საჩივარში მსჯავრდებული ზ.გ. მიუთითებდა, რომ მის ქმედებას მიცემული აქვს არასწორი სამართლებრივი შეფასება, რაც გამოიხატა შემდეგში: იგი თვლის, რომ მის ქმედებაში არ არის ისეთი მაკვალფიცირებელი ნიშანი, როგორცაა ბინაში უკანონოდ შეღწევა. მას მიაჩნია, რომ ა.კ. შეეცადა მათ მიერ ფარულად დაუფლებული ნივთის (ქურთუკის) უკან დაბრუნებას, ეზოში ჭიდილის დროს კი მიიღო ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება. რამდენადაც ძალადობა განხორციელდა არა საცხოვრებელ ბინაში, არამედ ა.კ.-ს ეზოს ჭიშკართან, უკვე ფარულად დაუფლებული ქონების შენარჩუნების მიზნით და ძალადობა არ განხორციელებულა ბინაში მართლსაწინააღმდეგო შეღწევის დროს, ამდენად, უკანონოა მისი მსჯავრდება ბინაში მართლსაწინააღმდეგო შეღწევით ჩადენილი ძარცვისათვის. მსჯავრდებული ასევე თვლის, რომ მასა და თ.რ.-ს შორის არ ყოფილა არანაირი წინასწარი შეთანხმება დანაშაულის ჩასადენად. ამდენად, მისი დანაშაული არ შეიძლება ჩაითვალოს პირთა ჯგუფის მიერ ჩადენილად.

საკასაციო პალატის პოზიციით, საქმის მასალებით დადგენილია, რომ ზ.გ.-ს თავდაპირველი განზრახვა მიმართული იყო საცავში შეღწევით ფარულად ქურთუკის დაუფლებისაკენ, რაც შეასრულა კიდევ, მაგრამ მან ვერ შეძლო საბოლოოდ დაუფლება მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო – მას შემდეგ, რაც დაზარალებულმა ა.კ.-მ ზ.გ. და თ.რ. დაინახა ეზოში მოპარული ქურთუკით, შეეცადა მათთვის ქურთუკის წართმევას, რაც მათ არ დათმეს და მისი შენარჩუნების მიზნით, გამოიყენეს ძალადობა, რომელიც საშიში არ იყო სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, რის გამოც მათი ქმედება ძარცვაში გადაიზარდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ ზ.გ.-ს ქმედება სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის მე-19, 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე, ხოლო სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2

ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება კვალიფიკაციის ნაწილში უცვლელად დატოვა.

სასჯელის დანიშნასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ერთი გარემოება: იმ შემთხვევაში, როცა ჩადენილი ქმედება დაკვალიფიცირებულია სსკ-ის 178-ე მუხლის ორი – მე-2 და მე-3 ნაწილებით, მსჯავრდებულს ჩადენილი ქმედებისათვის უნდა დაენიშნოს ერთი სასჯელი და არა ცალ-ცალკე სასჯელი მე-2 და მე-3 ნაწილებით. ასევე, ასეთ შემთხვევაში არ გამოიყენება სსკ-ის 59-ე მუხლით დადგენილი სასჯელთა შეკრების პრინციპი, ვინაიდან მოქმედებს პრინციპი – ერთი ქმედებისათვის ერთი სასჯელი!

ქურდობის დამთავრების შემდეგ, თუ გამტაცებელი ან სხვა პირი არ აბრუნებს გატაცებულ ნივთს ან მისი შენარჩუნების მიზნით, გატაცებული ნივთით გაიქცევა, ასეთ შემთხვევაში ჩადენილი ქმედება არ შეიძლება ძარცვად ჩაითვალოს. ბოლო მაგალითში ასეთ შემთხვევასთან არა გვაქვს საქმე, ვინაიდან გამტაცებელს ჯერ კიდევ არ ჰქონდა ნივთის, როგორც საკუთარის, განკარგვის შესაძლებლობა. აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევები, როგორიცაა, მაგალითად, შემდეგი: ა.კ.-მ შეამჩნია, რომ ი.გ. ბაზრობაზე ყიდდა მისთვის მოპარულ ნივთს. იგი შეეცადა ნაქურდალი ნივთის უკან დაბრუნებას, მაგრამ ი.გ. გაიქცა და ეს ნივთიც შენარჩუნების მიზნით თან წაიღო. პოლიციისა და დაცვის მუშაკებმა ი.გ. დააკავეს. ჩადენილი ქმედება არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს ძარცვად.

ძარცვა დამთავრებულია იმ მომენტიდან, როცა პირი დაეუფლება აშკარად გატაცებულ სხვის ნივთს და მიეცემა შესაძლებლობა მისი, როგორც საკუთარის, განკარგვისა.

თუ დამნაშავე თვლის, რომ იგი ნივთს ეუფლება ფარულად და არა აქვს შეგნებული, რომ მის მოქმედებას ხედავენ, ქმედება დაკვალიფიცირდება ქურდობად.

თუ ნივთი წაღებულია მისი განადგურების ან ღრობითი სარგებლობის მიზნით, ჩადენილი არ წარმოადგენს ძარცვას, არამედ – სხვისი ნივთის განადგურებას (მომზადებას, მცდელობას, დამთავრებულ დანაშაულს) ან თვითნებობას. ავტომანქანის აშკარა დაუფლება ღრობითი სარგებლობის მიზნით დასჯადია სისხლის სამართლის

კოდექსის სპეციალური ნორმით, კერძოდ, 184-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლებისათვის მისაკუთრების მიზნის გარეშე და არა ძარცვის ნორმით (სსკ-ის 178-ე მუხლით).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო სსსკ-ის 593-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სწორად გადააკვალიფიცირა ე. კ.-ს ქმედება 1960 წლის სსკ-ის 243-ე მუხლის (სატრანსპორტო საშუალებათა გატაცება) 1-ლი ნაწილიდან დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე და არა 184-ე მუხლის პირველ ნაწილზე. განაჩენის მიხედვით, იგი ავტომანქანას აშკარად დაეუფლა მისაკუთრების მიზნით. დაუფლებული ნივთის – ავტომანქანის ღირებულება კი განსაზღვრული იყო 2500 ლარით.

1960 წლის სსკ-ის 243-ე მუხლი (სატრანსპორტო საშუალებათა გატაცება) სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებდა სატრანსპორტო საშუალებათა გატაცებისათვის, მიუხედავად გატაცების ხერხისა და მისაკუთრების მიზნისა. დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი კი ითვალისწინებს ლიფერენცირებულ კვალიფიკაციას დაუფლების ხერხისა და მისაკუთრების მიზნის მხედველობაში მიღებით.

ძარცვის მაკვალიფიცირებელ ერთ-ერთ ნიშანს წარმოადგენს: ძალადობა, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის მუქარა. შინაარსით ძარცვის სხვა მაკვალიფიცირებელი ნიშნები ქურდობის ანალოგიური ნიშნების მსგავსია.

აშკარა დაუფლება – ეს არის უკან დაბრუნების განზრახვის გარეშე, მითვისების მიზნით სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა წაღება. ამ დანაშაულის შედეგად მატერიალურ (ქონებრივ) გამორჩენას უნდა იღებდეს თვით ამსრულებელი ან სხვა, მე-3 პირი – დამნაშავის ახლობელი ან სხვა ნებისმიერი ადამიანი.

ძარცვის ობიექტს წარმოადგენს ინდივიდუალური სამართლებრივი

სიკეთე — მატერიალური (ქონებრივი) სამართლებრივი სიკეთის სახით, რომელსაც წარმოადგენს სხვისი მოძრავი ნივთი. ასეთი შეიძლება იყოს ნებისმიერი ნივთი, რომელსაც მატერიალური ან სულიერი ღირებულება გააჩნია, მათ შორის — ფული, ფასიანი ქაღალდი, დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს ღირებულების მატარებელი ნივთის ეკვივალენტს. არაქონებრივი ხასიათის დოკუმენტები, ასევე ღირებულების არმქონე დოკუმენტები, რომელთა წარდგენაც ნივთის მიღებაზე (მაგალითად, ბარჯის ქვითრები) უფლებას იძლევა, არ წარმოადგენს ამ დანაშაულის დაცვის ობიექტს.

ძარცვა ქონებრივი დანაშაულია, ამიტომ მის ობიექტს არ წარმოადგენს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები, აგრეთვე — ელექტროენერგია.

ძარცვის ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ სხვისი ქონება, ე.ი. ნივთი, რომელიც არ იმყოფება მიმთვისებლის საკუთრებაში ან კანონიერ მფლობელობაში.

საქართველოს სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები არ ითვალისწინებენ ახლო ნათესავის, მათ შორის — ოჯახის წევრის, ქონების გატაცების შემთხვევაში, დაზარალებულთან შერიგების შესაძლებლობას. ასეთი დანაშაული არც კერძო ბრალდების საქმეს წარმოადგენს, რომელიც შეიძლება აღიძრას მხოლოდ დაზარალებულის საჩივრის საფუძველზე და უნდა შეწყდეს დაზარალებულთან შერიგების შემთხვევაში. სსკ-ის 69-ე მუხლის ძალით, მხოლოდ ზოგიერთი ქონებრივი დანაშაულის შემთხვევაში შეიძლება დაზარალებულთან შერიგებით სისხლის სამართლის საქმის არაღძვრა ან შეწყვეტა (მაგალითად, სსკ-ის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 180-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). ასეთ დანაშაულთა წრეს არ ეკუთვნის ძარცვის შემადგენლობის არც ერთი ნაწილი.

ძარცვის გზით შეიძლება მხოლოდ სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლება, მათ შორის ისეთი ნივთისა, რომელიც ამოღებულია სამოქალაქო ბრუნვიდან. ამასთან, სისხლის სამართლის კოდექსში მითითებულია სპეციალური ნორმები, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა თუ ადამიანთა

ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი ნივთის (რადიაქტიული ნივთიერება – სსკ-ის 231-ე მუხლი, იარაღი – სსკ-ის 237-ე მუხლი, ნარკოტიკული საშუალება – სსკ-ის 264-ე მუხლი და ა.შ.) დაუფლებისათვის.

ძარცვას არ წარმოადგენს ის შემთხვევა, როცა პირი ნივთს აშკარად მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლება ვალის დაფარვის მიზნით, არამედ ასეთ შემთხვევაში ქმედება შეიძლება დაკვალიფიცირდეს თვითნებობად (სსკ-ის 360-ე მუხლი).

როგორც ძარცვის, ასევე ზოგადად სხვა დანაშაულების, სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ფსიქიკურად შერაცხადი პირი 14 წლის ასაკიდან.

ძარცვის სუბიექტური შემადგენლობის აუცილებელი კომპონენტია პირდაპირი განზრახვა და ნივთის მითვისების მიზანი.

ძარცვის ობიექტური შემადგენლობა გამოიხატება სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლებაში. როგორც წესი, ძარცვა ხორციელდება ნივთის მესაკუთრის ან სხვა მფლობელის, ან სხვა პირის (პირთა) თანდასწრებით. თუ ნივთის დაუფლება ხორციელდება ამ პირთა თანდასწრებით, მაგრამ მათ მიერ ამის შეუმჩნეველად, ან თუ პირი ფიქრობს, რომ მას ვერ ამჩნევენ, გვექნება ქურდობა.

შესაძლებელია, ქურდობა ძარცვაში გადაიზარდოს ისევე, როგორც შეიძლება ძარცვის გადაზრდა ყაჩაღობაში. პირველ შემთხვევაში, როგორც წესი, ქმედება კვალიფიცირდება ქურდობის მცდელობისა და ძარცვის ერთობლიობად ან პირდაპირ ძარცვად (სამართლებრივად ორი კვალიფიკაციაა შესაძლებელი, ვინაიდან საბოლოოდ მაინც ერთი ქმედებისათვის ერთი სასჯელი უნდა განისაზღვროს და ასეთ შემთხვევაში არ მოქმედებს სსკ-ის 59-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის დანიშვნის წესი), ხოლო მე-2 შემთხვევაში, იმავე პრინციპიდან გამომდინარე – ძარცვის მცდელობისა და ყაჩაღობის ერთობლიობად ან პირდაპირ ყაჩაღობად.

ძარცვას არ წარმოადგენს ნივთის ისეთი დაუფლება, როცა დაზარალებული ფიზიკური თუ ფსიქიკური მდგომარეობისა თუ სხვა გარემოების გამო ვერ აღიქვამს ზიანს (მაგალითად, სიმთვრალე ან ძილი). ძარცვად არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს ასევე ნივთის

აშკარა დაუფლება მრავალ პირთა თანდასწრებით, თუ დამსწრენი ვერ აღიქვამენ მისი მოქმედების მართლწინააღმდეგობას, ვინაიდან მათ არ იციან, თუ ვის ეკუთვნის ეს ნივთი ან სახეზეა მათი შეცდომაში შემყვანი სხვა გარემოება.

ძარცვის მაკვალიფიცირებელ ნიშანს წარმოადგენს: ძარცვა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ (178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი). სსკ-ის 27-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაული ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებითაა ჩადენილი, თუ მასში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად. ძარცვის შემადგენლობის ეს მაკვალიფიცირებელი ნიშანი მაშინ გვაქვს, როცა მის ჩადენაში მონაწილეობდა ორი ან მეტი ამსრულებელი. თუ ძარცვის შემადგენლობა განახორციელა ორმა ან მეტმა პირმა, რომელთაგან ერთი ამსრულებელია, ხოლო სხვები – თანამონაწილენი, მაშინ არ გვექნება ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით ჩადენილი დანაშაული.

რაიონულმა სასამართლომ არასწორად შეაფასა ა.კ.-ს, მ.ს.-სა და გ.ი.-ს მიერ ჩადენილი ქმედება სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით ძარცვად, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ. ამ სამი პირიდან ა.კ. იყო ძარცვის ამსრულებელი, ხოლო მ.ს. და გ.ი. – მისი თანამონაწილენი, კერძოდ, ერთ-ერთი მათგანი იყო წამქეზებელი, ხოლო მე-2 – დამხმარე. ასეთ შემთხვევაში გვაქვს ძარცვის ჩადენა თანამონაწილეობით და არა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ. თუ იმავე ქმედებას ორი თანამსრულებელი და ერთი თანამონაწილე – წამქეზებელი ან დამხმარე ჩაიდენდნენ, მაშინ ქმედება დაკვალიფიცირდებოდა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილად. მათ შორის თანამონაწილესაც შეერაცხება ბრალად ეს მაკვალიფიცირებელი ნიშანი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას სუბიექტურად შეგნებულ აქვს, რომ იგი ორი ან მეტი თანამსრულებლის მიერ ჩადენილი ძარცვის თანამონაწილეა. სხვა შემთხვევაში მისი ქმედება დაკვალიფიცირდება ამ მაკვალიფიცირებელი ნიშნის გარეშე.

წინასწარი გამოძიების მიერ ა.კ.-ს ქმედება დაკვალიფიცირდა სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წინასწარი

შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილად. საბრალდებო დასკვნის მიხედვით, ა.კ. იყო ძარცვაში მონაწილე პირთა დამხმარე. იგი წინასწარ დაჰპირდა გ.მ.-ს, რომ ძარცვის შედეგად დაუფლებულ ნივთს შეუნახავდა და დაეხმარებოდა გასაღებაში. გ.მ.-მ ეს ქმედება ჩაიდინა ე. ლ.-თან ერთად თანამსრულებლობით, მაგრამ ამ უკანასკნელის მიერ ძარცვაში მონაწილეობა არ იცოდა ა.კ.-მ. რაიონული სასამართლოს განაჩენით მას სწორად მოეხსნა სსკ-ის 178-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება.

ამასთან დაკავშირებით, საგულისხმოა სსკ-ის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილის დებულება, რომლის მიხედვით, განზრახი დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ნიშანი პირს ბრალად შეერაცხება მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ ნიშანს მოიცავდა მისი განზრახვა, რასაც ამ უკანასკნელ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

ძარცვის მაკვალიფიცირებელ ნიშანს წარმოადგენს: ძარცვა არაერთგზის (178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი). არაერთგზისი დანაშაულის ზოგადი ცნება მოცემულია სსკ-ის მე-15 მუხლში. არაერთგზისი დანაშაული ნიშნავს სსკ-ის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენას, ხოლო კოდექსის სხვადასხვა მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაული მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არაერთგზის დანაშაულად, თუ ეს მითითებულია კოდექსის შესაბამის მუხლში. სწორედ ძარცვის შემადგენლობისათვის მნიშვნელოვანი ასეთი მითითება მოცემულია სსკ-ის 177-ე მუხლის შენიშვნაში. ამ შენიშვნის ძალით, ძარცვა არაერთგზის ჩადენილად ითვლება, თუ მას წინ უსწრებდა არა მარტო ძარცვის, არამედ სსკ-ის 177-186-ე მუხლებითა და 224-ე, 231-ე, 237-ე და 264-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩადენა.

კანონის სიტყვასიტყვითი, ვიწრო განმარტებით აქ უდავოდ, წარმოიშობა გარკვეული პრობლემა, რის გამოც სსკ-ის 177-ე მუხლის შენიშვნა გააზრებულ უნდა იქნეს მისი სისტემური ახსნა-განმარტების გზით, თელეოლოგიურად. იმ შემთხვევაში, თუ ძარცვას წინ უსწრებდა ადრე ჩადენილი ძარცვა ან უფრო მსუბუქი დანაშაული (მაგალითად, ქურდობა), ასეთ შემთხვევაში სასა-

მართლო პრაქტიკისათვის პრობლემა არ არის სამართლებრივი კვალიფიკაცია. კერძოდ, ჩადენილი ქმედება კვალიფიცირდება ძარცვად, რომელიც ჩადენილია არაერთგზის. სხვა შემთხვევაში კი, როცა ძარცვას წინ უსწრებს უფრო მძიმე დანაშაულის – ყაჩაღობის ჩადენა, რომლისთვისაც პირი ჯერ არ დასჯილა, ასეთ შემთხვევაში ქმედების კვალიფიკაცია არაერთგზის ძარცვად, სამართლებრივად არასწორი იქნება, ვინაიდან დამატებით ახალი დანაშაულის ჩადენამ პირი პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩააყენა. 1-ლი დანაშაული, ცალკე აღებული, თუ იგი დაკვალიფიცირდებოდა სსკ-ის 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სამიდან ათ წლამდე, ხოლო სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილი – პასუხისმგებლობას ექვსიდან თხუთმეტ წლამდე. ძარცვის არაერთგზის ჩადენა (სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი) კი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამიდან შვიდ წლამდე.

არაერთგზისობა, როცა წინა დანაშაული არ არის დამთავრებული (დასჯადი მომზადება, მცდელობა), ან, პირიქით – იწვევს შემდეგ კვალიფიკაციას: ძარცვის არაერთგზის ჩადენის მცდელობას (სსკ-ის მე-19 და 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი).

არაერთგზისობა გვაქვს მაშინ, როცა პირი წინა დანაშაულისათვის ადრე არ ყოფილა გასამართლებული, ასევე მაშინაც, როცა წინა დანაშაულისათვის გასამართლებულია და შეიძლება მოხდეს იც კი აქვს სასჯელი, თუ ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული არ არის.

არაერთგზისობისათვის არა აქვს მნიშვნელობა პირი ამსრულებელია თუ თანამონაწილე.

თუ ძარცვა ჩადენილია რამდენიმე დაზარალებულის მიმართ, მაგრამ ერთიანი განზრახვით, არ გვექნება არაერთგზისობა.

არაერთგზისობა განსხვავდება ასევე განგრძობადი დანაშაულისაგან.

ძარცვის მაკვალიფიცირებელ ნიშანს წარმოადგენს: ძარცვა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი). მნიშვნელოვანი ზიანი შეფასებითი კატეგორიაა.

შეფასებით კატეგორიას ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსის არაერთი ნორმა. ამ საკითხზე სასამართლო პრაქტიკა არ არის ერთგვაროვანი. ძირითადი ტენდენცია ამ მაკვალიფიცირებელი ნიშნის არსებობის დადგენისას, მდგომარეობს შემდეგში: ამოსავალია როგორც ნივთის ღირებულება, ასევე სხვა არსებითი გარემოებები, როგორცაა: დაზარალებულის მატერიალური მდგომარეობა, ნივთის მნიშვნელობა მისი მესაკუთრის ან სხვა მფლობელისათვის.

სამართლებრივი კვალიფიკაციის თვალსაზრისით, სასამართლო პრაქტიკის ეს პოზიცია პრობლემურია. მართლაც, მატერიალურად გაჭირვებული პირისათვის შეიძლება 2-3 ლარიც მნიშვნელოვან თანხას წარმოადგენდეს, მაგრამ იგი არ შეიძლება ჩაითვალოს მნიშვნელოვან ზიანად. მიგვაჩნია, რომ ამ მაკვალიფიცირებელი ნიშნის დადგენისათვის გადამწყვეტია არა სუბიექტური მომენტი, არამედ — ობიექტური კრიტერიუმი — ნივთის სოციალური ღირებულება.

ძარცვის შედეგად მნიშვნელოვანი ზიანი შეიძლება მიადგეს არა მარტო კონკრეტულ ფიზიკურ პირს, არამედ იურიდიულ და სხვა არაიურიდიულ პირებს.

ძარცვის მაკვალიფიცირებელ ერთ-ერთ ნიშანს წარმოადგენს: ძალადობა, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის მუქარა (178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი), რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ ძარცვისათვის და არ გააჩნია ქურდობის შემადგენლობას, ხოლო ყაჩაღობის შემადგენლობის ერთ-ერთ ნიშანს წარმოადგენს ძალადობა, რომელიც საშიშია სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის მუქარა. ძალადობის გამოყენების ან მისი მუქარის დროს ძარცვის დაცვის ობიექტს, ანუ სამართლებრივ სიკეთეს წარმოადგენს არა მარტო ნივთი, არამედ დაზარალებულის პიროვნება.

ძალადობა, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის მუქარა გულისხმობს ჯანმრთელობის მსუბუქ დაზიანებას ან ფიზიკურ, ან ფსიქიკურ ძალადობას ასეთი დაზიანების გარეშე. მთავარია არა რეალური შედეგი, არამედ დამნაშავეს განზრახვა და დაზარალებულის მიერ ძალადობის ან ძალადობის მუქარის შინაარსის რეალური აღქმა.

რაიონულმა სასამართლომ მ.კ.-ს მოქმედება დააკვალიფიცირა ყაჩაღობად (სსკ-ის 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) და არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა ქმედების ძარცვად (სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი) დაკვალიფიცირების თაობაზე. ქმედების შინაარსი გამოიხატა შემდეგში: სამარშრუტო ტაქსის ბოლო გაჩერებაზე მ.კ.-მ მძღოლს ზურგზე მიაღო სათამაშო პისტოლეტი და მოსთხოვა მისთვის ფულის გადაცემა. მძღოლმა, აღიქვა რა ეს იარაღი ნამდვილად და იმის შიშით, რომ მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრებოდა, მისცა 30 ლარი, რის შემდეგაც მ.კ. შემთხვევის ადგილიდან წავიდა. მას სუბიექტურად განზრახული ჰქონდა შეშინებით მძღოლისთვის ფულის წართმევა.

გაერცვლებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ყაჩაღობის კვალიფიკაციისათვის აუცილებელი ისეთი კომპონენტი, როგორცაა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ან ასეთი ძალადობის მუქარა, გულისხმობს არა მხოლოდ ობიექტურად ასეთი საშიშროების არსებობას. ქმედება კვალიფიცირდება არა ძარცვის, არამედ ყაჩაღობის მუხლით ისეთ შემთხვევაშიც, როცა ასეთი ძალადობა ობიექტურად სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშროებას არ წარმოადგენს და მხოლოდ დაზარალებულის რეალური სუბიექტური წარმოდგენით აღიქმება ასეთად და ბრალდებულები მიზნად ისახავს ასეთი ძალადობის იმიტაციით შეაშინოს დაზარალებული, რათა დაეუფლოს მის ქონებას.

ძარცვის მაკვალიფიცირებელ ნიშანს წარმოადგენს: ძარცვა, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ (178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი). სსკ-ის 27-ე მუხლის მე-3 ნაწილის ძალით, დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განახორციელა პირთა მყარმა ჯგუფმა, რომლის წევრებიც წინასწარ შეკავშირდნენ რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად. ორგანიზებული ჯგუფის ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანია მისი შინაგანი სიმყარე. ეს მაკვალიფიცირებელი ნიშანი ბრალად შეერაცხებათ მხოლოდ იმ თანამსრულებელსა და თანამონაწილეს, რომლებსაც წინასწარი მყარი კავშირი ჰქონდათ იმ ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფთან, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, ე.ი. უნდა იყოს ამ ჯგუფის წევრი.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ მას უნდა ჰქონდეს ამ ჯგუფის წევრობის სამართლებრივი დოკუმენტი და ამ ჯგუფის წევრად მიღებული იყოს გარკვეული სამართლებრივი პროცედურების დაცვით. მთავარია, რომ ნებისმიერ იმ პირს, ვისაც ბრალად შეერაცხება ეს მაკვალიფიცირებული ნიშანი, შეგნებული ჰქონდეს ორგანიზებული ჯგუფის არსებობისა და მოქმედების შესახებ და თავისი წვლილი შეჰქონდეს მის საქმიანობაში. დანაშაულებრივი ჯგუფის ორგანიზება ერთი კონკრეტული დანაშაულის ჩასადენად, მიუხედავად დანაშაულის სიმძიმისა და ჯგუფის სიმყარისა, არ გვაძლევს ამ მაკვალიფიცირებელ ნიშანს, ვინაიდან კანონი, კერძოდ, სსკ-ის 27-ე მუხლის მე-3 ნაწილი, პირდაპირ მიუთითებს ჯგუფის მიერ რამდენიმე დანაშაულის ჩადენის მიზანზე.

რაიონულმა სასამართლომ სწორად არ ჩათვალა ა.თ.-ს, ი.კ.-სა და გ.ხ.-ს ქმედება ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილად (სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი) და გადააკვალიფიცირა იგი 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე (ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ). მართალია, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გარეშე ავტომანქანის აშკარა დაუფლება ჩაიდინა პირთა მყარმა ჯგუფმა, რომლის წევრებიც წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ, ვინაიდან სასამართლო გამოძიებით უტყუარად ვერ დადგინდა ამ ჯგუფის მიერ სხვა დანაშაულების ჩადენა და ვერც მათ მიერ რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად შეკავშირების განზრახვა, განსასჯელებს მოეხსნათ ისეთი მაკვალიფიცირებელი ნიშანი, როგორცაა ორგანიზებული ჯგუფი.

შესაძლებელია, ძარცვის ჩადენის დროს ორ ან მეტ თანამსრულებელს ან თანამონაწილეს ბრალად შეერაცხოთ ეს მაკვალიფიცირებელი ნიშანი, ხოლო სხვებს ეს მაკვალიფიცირებელი ნიშანი სუბიექტურად არ შეერაცხოთ, ვინაიდან სსკ-ის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის ძალით, პერსონალური ნიშანი, რომელიც ერთ-ერთი ამსრულებლის ან თანამონაწილის პიროვნებისათვის არის დამახასიათებელი, შეერაცხება მხოლოდ იმ ამსრულებელს ან თანამონაწილეს, რომელსაც იგი ახასიათებს.

ძარცვის მაკვალიფიცირებელ ნიშანს წარმოადგენს: ძარცვა, ჩადენილი დიდი ოდენობით (სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი). სსკ-ის 177-ე მუხლის შენიშვნის ძალით, ძარცვის დიდ

ოდენობად ითვლება ნივთის ღირებულება ათი ათასი ლარის ზევით. ეს თანხა ძარცვის ერთი ეპიზოდით უნდა იქნეს გატაცებული, ხოლო ძარცვის რამდენიმე ეპიზოდით გატაცებული თანხების შეკრება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სახეზე გვაქვს ერთიანი განზრახვით ჩადენილი ძარცვის რამდენიმე ეპიზოდი.

სასამართლო პრაქტიკაში ზოგჯერ ერთობლივად გვხვდება ისეთი მაკვალიფიცირებული ნიშნების ბრალად შერაცხვა, როგორიცაა: არაერთგზისობა და ღიდი ოდენობა. შეცდომა ძირითადად მდგომარეობს იმაში, რომ ძარცვის ორი ან მეტი შემთხვევა ცალ-ცალკე დამოუკიდებელ ეპიზოდებად განიხილება, რის გამოც იგი კვალიფიცირდება არაერთგზისობად. იმავედროულად ხდება ცალ-ცალკე გატაცებული ნივთების ღირებულების შეჯამება და თუ მთლიანი თანხა ათი ათას ლარს აღემატება, დამატებით ხდება მე-2 მაკვალიფიცირებული ნიშნის – ღიდი ოდენობის ბრალად შერაცხვა. ასეთი კვალიფიკაცია უნდა ჩაითვალოს არასწორად. სწორ სამართლებრივ კვალიფიკაციას წარმოადგენს კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, მხოლოდ ერთ-ერთი მათგანის ბრალად შერაცხვა. გარდა იმ შემთხვევისა, როცა არაერთი განზრახვით ჩადენილი ეპიზოდებიდან ძარცვის თუნდაც ცალკე აღებულ ერთ ეპიზოდში დატაცებული ნივთის ღირებულება აღემატება 10 ათას ლარს.

ძარცვის მაკვალიფიცირებელ ნიშანს წარმოადგენს: ძარცვა, ჩადენილი ბინაში, სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით (178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი).

ბინა – ეს არის საცხოვრებელი სახლი ან ოთახი მრავალბინიან სახლში, რომელიც განკუთვნილია ადამიანთა მუდმივ ან დროებით საცხოვრებლად. მასვე ეკუთვნის ასევე მისი შემადგენელი ნაწილები, რომლებიც გამოიყენება დასასვენებლად, ნივთების შესანახად ან გამოიყენება ადამიანის სხვა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად (მაგალითად, სათავსი, სამზარეულო, აბაზანა, აივანი და ა.შ.).

სადგომს წარმოადგენს დროებითი ან მუდმივი სარგებლობისათვის განკუთვნილი სტაციონარული ან მოძრავი მოწყობილობა, რომელიც განკუთვნილია ადამიანთა მოსათავსებლად ან მატერიალურ ღირებულებათა შესანახად (სამაქრო, მუზეუმი, მაღაზია და ა. შ.).

სხვა საცავში იგულისხმება სპეციალურად დაცული ტერიტორი-

ული მონაკვეთი, რომელიც განკუთვნილია მატერიალურ ღირებულებათა მუდმივი ან დროებითი შენახვისათვის. ასევე კონტინენტები, სეიფები და სხვა მსგავსი საცავები.

საცავს არ წარმოადგენს ის ტერიტორია, რომელიც სპეციალურად არ არის დაცული და გამოიყენება მატერიალურ ფასეულობათა მოსათავსებლად, ასევე ავტომანქანები და სხვა გადახურული საწყობები, რომლებიც იმყოფება არადაცულ მდგომარეობაში, რადგან ისინი არ ქმნიან წინააღმდეგობას იქ არსებული ნივთების დასაუფლებლად.

უკანონო შეღწევა ბინაში, სადგომში ან საცავში ძარცვის დროს შეიძლება მოხდეს ფარულად ან აშკარად. შეღწევა შეიძლება განხორციელდეს როგორც წინააღმდეგობის გადალახვით ან აღამიანთა წინააღმდეგობის დაძლევით, ასევე მის გარეშე. თუ პირი ბინიდან, სადგომიდან ან საცავიდან, ფიზიკური შეღწევის გარეშე, სხვადასხვა ტექნიკურ ან სხვა საშუალებათა გამოყენებით ეუფლება სხვის ქონებას, იგი ამ შემთხვევაშიც, სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით, ქონებას ეუფლება შეღწევით.

ძარცვის კვალიფიციური ნიშანი — შეღწევა არა გვაქვს მაშინ, როცა ძარცვის განზრახვა პირს წარმოეშობა მას შემდეგ, რაც იგი სხვის ბინაში, სადგომში ან სხვა საცავში აღმოჩნდება სხვა მიზნით, მაგალითად, მსხვერპლის მოკვლის განზრახვით, მაგრამ ჩაიღენს ძარცვას. ასეთ შემთხვევაში ქმედება არ დაკვალიფიცირდება როგორც ძარცვა, ჩადენილი შეღწევით. თუ პირი ბინაში შევიდა ნივთის დაუფლების მიზნით, მაგრამ განზრახული ჰქონდა დაუფლება სხვა ხერხით, მაგალითად, ქურდობით ან ყაჩაღობით, მაგრამ ჩაიღინა ძარცვა, მის მიერ ჩადენილი ქმედება დაკვალიფიცირდება ძარცვად ჩადენილი შეღწევით.

ძარცვა არ შეიძლება ჩაითვალოს შეღწევით ჩადენილად, თუ პირს აქვს ბინაში, სადგომში ან სხვა საცავში შესვლის უფლება თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილებიდან გამომდინარე ან შესასრულებელი სამუშაოს ძალით, ასევე იმის მიერ, ვისაც აქვს ერთჯერადი საშვით შესვლის უფლება და ამ უფლების გამოყენების დროს ჩაიღენს აშკარა დაუფლებას.

ავტომანქანის სალონიდან ნივთის აშკარა წაღება არ შეიძლება ჩაითვალოს როგორც ძარცვა საცავში შეღწევით. ასეთი ქმედების

ჩადენა სასამართლო პრაქტიკაში, მართალია, ძირითადად ხდება ფარულად (ქურდობა), მაგრამ ზოგჯერ ადგილი აქვს მის აშკარა დაუფლებადმი გადაზრდას.

წინასწარმა გამოძიებამ არასწორად დააკვალიფიცირა ა.კ.-ს მიერ სადარბაზოსთან გაჩერებული ავტომანქანის სალონიდან ვიდეომაგნიტოფონის ფარული დაუფლება, რომელიც აშკარა დატაცებაში გადაიზარდა, როგორც ძარცვა, ჩადენილი შეღწევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი). რაიონულმა სასამართლომ სწორად მოუხსნა ბრალდებულს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება. მართლაც, ქუჩაში მდგომი ავტომანქანის აშკარა დაუფლება ვიდეომაგნიტოფონთან ერთად, მისაკუთრების მიზნით, სასამართლო პრაქტიკაში არ კვალიფიცირდება ძარცვად, ჩადენილი შეღწევით, რის გამოც, კანონის სისტემური ახსნა-განმარტებიდან გამომდინარე, არც ცალკე აღებული ავტომანქანიდან ვიდეომაგნიტოფონის დაუფლება უნდა დააკვალიფიცირდეს შეღწევით ძარცვად.

გავრცელებული სასამართლო პრაქტიკა არც სოფელში, ეზოდან ნივთის წაღებას არ თვლის ნივთის შეღწევით ჩადენილ დაუფლებად მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. მართალია, ასეთ შემთხვევებში პირი შედის სხვის ეზოში, მაგრამ ეზო არ არის სპეციალურად დაცული ტერიტორია და არ ხდება ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევა, რის გამოც ასეთ ქმედებას არ ეძლევა შეღწევით ჩადენილი დაუფლების კვალიფიკაცია. ასეთი ქმედებების ჩადენა, ძირითადად, ხდება ფარულად, მაგრამ ზოგჯერ ადგილი აქვს მის აშკარა დაუფლებადმი გადაზრდას, რის გამოც ხორციელდება ძარცვის შემადგენლობა.

სასამართლო პრაქტიკაში ბოსლიდან საქონლის გარეკვა არ კვალიფიცირდება შეღწევით ჩადენილ ქმედებად, თუ ბოსელი არ არის სპეციალურად დაცული, თუმცა არის ასეთი ქმედების შეღწევით ჩადენის კვალიფიცირების შემთხვევები. ასეთი სასამართლო პრაქტიკა, ძირითადად, არსებობს ქურდობის საქმეებზე, რის გამოც ჩვენ მას აქ არ შევხებით.

როგორ უნდა დააკვალიფიცირდეს ძარცვა, რომელიც ჩადენილია

უნივერსიტეტში, სუპერმარკეტში ან სხვა სავაჭრო ობიექტში? თუ პირს ასეთ დაწესებულებაში შესვლის შემდეგ გატაცების მიზანი გაუჩნდება, ქმედება არ კვალიფიცირდება შეღწევით ჩადენილად, ხოლო, თუ პირი სავაჭრო დაწესებულებაში შევიდა წინასწარი განზრახვით ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლების მიზნით, ხშირად ასეთ ქმედებას აკვალიფიცირებენ შეღწევით ჩადენილ ძარცვად, რაც სამართლებრივად არასწორია.

ა.მ. უნივერსიტეტში „თბილისში“ შევიდა ნივთის აშკარა დაუფლების განზრახვით. მან საიუველირო განყოფილების გამყიდველს დათვალიერების მიზნით გამოართვა ოქროს სამაჯური, რის შემდეგაც შენობის სახანძრო გასასვლელისაკენ გაიქცა. ჩადენილი ქმედება დაკვალიფიცირდა შეღწევით ჩადენილ ძარცვად. ასეთი კვალიფიკაცია არ არის სწორი, ვინაიდან დამნაშავეს უნივერსიტეტში უკანონოდ არ შეუღწევია, მიუხედავად იმისა, მიმთვისებელს წინასწარ ჰქონდა ასეთი განზრახვა, თუ უნივერსიტეტში ყოფნის დროს წარმოეშვა იგი.

ძარცვის მაკვალიფიცირებელ ნიშანს წარმოადგენს: ძარცვა, ჩადენილი იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის (სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი).

ეს მაკვალიფიცირებელი ნიშანი არსებობს მაშინ, როცა პირი ადრე ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი არა ნებისმიერი დანაშაულისათვის, არამედ კონკრეტულად სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების ან გამოძალვისათვის. თუ პირს ადრე ჩადენილი ჰქონდა ავტომანქანის დაუფლება დროებითი სარგებლობის მიზნით (სსკ-ის 184-ე მუხლი), ამ დანაშაულს ძარცვის მაკვალიფიცირებელი ნიშნისათვის არა აქვს არავითარი სამართლებრივი მნიშვნელობა, ვინაიდან ამ მაკვალიფიცირებელ ნიშანში ხაზგასმულია ადრე ჩადენილი დაუფლების დროს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანზე.

რაიონულმა სასამართლომ არასწორად დააკვალიფიცირა კ.ხ.-ს მიერ ჩადენილი ძარცვა სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით. კ.ხ.-ს ადრე ორჯერ ჩადენილი ჰქონდა ავტომანქანის გატაცება დროებითი სარგებლობის მიზნით (1960 წლის სსკ-ის

243-ე მუხლი, რომელსაც შეესაბამება დღეს მოქმედი სსკ-ის 184-ე მუხლი). წინა გატაცებების საქმეებზე გამოტანილ სასამართლოს განაჩენებში მითითებული იყო იმის შესახებ, რომ ავტომანქანის გატაცება მოხდა მისაკუთრების მიზნის გარეშე, დროებითი სარგებლობის მიზნით. ასეთ ვითარებაში, წინასწარმა გამოძიებამ და რაიონულმა სასამართლომ არასწორად დააკვალიფიცირეს კ.ხ.-ს ქმედება სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით. ქმედების კვალიფიკაციისას დაშვებული ეს შეცდომა გაასწორა საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატამ.

აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ სასამართლოები ამ მაკვალიფიცირებელი ნიშნით ქმედების კვალიფიკაციისას ყურადღებას არ ამახვილებენ იმ გარემოებაზე, რომ პირს წინა დანაშაულისათვის ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული აქვს. სასამართლო შეცდომა, ძირითადად, გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ახალი სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლი („ნასამართლობა“) შინაარსით არსებითად განსხვავდება 2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი კოდექსის ანალოგიური 57-ე მუხლისაგან („ნასამართლობის გაქარწყლება“). კერძოდ, ძველი კოდექსის 57-ე მუხლის ბოლო აბზაცის მსგავს ნორმას ახალი კოდექსი არ შეიცავს, რის გამოც ახალი კოდექსის 79-ე მუხლის ძალით, ნასამართლობის გაქარწყლების ან მოხსნის განსხვავებული წესია დადგენილი.

1960 წლის სსკ-ის 57-ე მუხლის ძალით, თუ პირი, რომელმაც მოიხდა სასჯელი, ნასამართლობის გაქარწყლების ვადის გასვლამდე კვლავ ჩაიდენდა დანაშაულს, ნასამართლობის გაქარწყლებისათვის საჭირო ვადის მიმდინარეობა წყდებოდა. 1-ლი დანაშაულისათვის ნასამართლობის გაქარწყლების ვადა ხელახლა გამოითვლებოდა უკანასკნელი დანაშაულისთვის დანიშნული სასჯელის ფაქტობრივად მოხდის შემდეგ. ასეთ შემთხვევაში პირი ითვლებოდა ნასამართლობის მქონედ ორივე დანაშაულისათვის, ვიდრე გავიდოდა ყველაზე მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლობის გაქარწყლების ვადა. დღეს მოქმედი სსკ-ის 79-ე მუხლით, თითოეული ჩადენილი დანაშაულისათვის ნასამართლობის გაქარწყლების ვადა იანგარიშება დამოუკიდებლად, ამ დანაშაულისთვის დანიშნული სასჯელის ფაქტობრივად მოხდის შემდეგ.

წინასწარმა გამოძიებამ და რაიონულმა სასამართლომ არასწორად დააკვალიფიცირეს გ.მ.-ს მიერ ჩადენილი ქმედება სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით. გ.მ.-ს ქურდობის ჩადენისათვის (1960 წლის სსკ-ის 91-ე მუხლის მე-2 ნაწილი) შეფარებული პქონდა თავისუფლების აღკვეთა ორი წლის ვადით, რომელიც მოიხბადა 1995 წლის 10 იანვარს. ამ დანაშაულისათვის ნასამართლობის გაქარწყლებამდე, 1996 წლის 2 თებერვალს, მან ჩაიდინა ყაჩაღობა (დანაშაული გათვალისწინებული 1960 წლის სსკ-ის 96-ე მუხლის მე-2 ნაწილით), რისთვისაც შეეფარდა შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა. იგი სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლდა 2001 წლის 10 სექტემბერს. ამ დანაშაულისათვის ნასამართლობის გაქარწყლებამდე, 2002 წლის 15 მარტს, მან ჩაიდინა ძარცვა. მისი ქმედება დაკვალიფიცირდა სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, ვინაიდან იგი ადრე ორჯერ (ქურდობისა და ყაჩაღობისათვის) იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის. ეს კვალიფიკაცია სწორად შეცვალა საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატამ და ჩადენილი ქმედება დააკვალიფიცირა სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ძარცვა, ჩადენილი არაერთგზის). ასეთი კვალიფიკაცია გამომდინარეობს დღეს მოქმედი სსკ-ის 79-ე მუხლიდან, ვინაიდან პირს ძარცვის ჩადენის დროისათვის ნასამართლობა 1-ლი დანაშაულისათვის უკვე გაქარწყლებული პქონდა, მაშინ, როდესაც თავდაპირველი კვალიფიკაცია შეესაბამება 1960 წლის სსკ-ის 57-ე მუხლს.

რაიონული სასამართლოს განაჩენით ი.ც., ადრე ნასამართლევი, ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით, სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით.

საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის განაჩენით რაიონული სასამართლოს განაჩენი შეიცვალა იმ მიმართებით, რომ ი.ც.-ს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება მოეხსნა, ვინაიდან იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით.

განაჩენით ი.ც.-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ 2001 წლის 23 იანვარს, დაახლოებით 23 საათზე, თბილისში, დაუდგენელ პირებთან

ერთად, ზ.ბ.-ს გახდა იტალიური წარმოების პალტო, წაართვა ფეხსაცმელი და ფული – 35 ლარი, სულ 374 ლარის ღირებულების საქონელი, რითაც დაზარალებული მნიშვნელოვნად დააზიანა. დაახლოებით 20 წუთის შემდეგ ი.ც. დააკავეს პოლიციის მუშაკებმა.

სააპელაციო პალატამ, იმის გათვალისწინებით, რომ ი.ც. ადრე ორჯერ იყო ნასამართლვი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის და სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი თავისთავად მოიცავდა სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტს (ძარცვას, არაერთგზის), ი.ც.-ს მოუხსნა სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება და სასჯელი განუსაზღვრა სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, რაც არასწორია.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ი.ც. პირველად გასამართლებული იყო 1994 წელს სსკ-ის 151-ე მუხლის მე-2 ნაწილით და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც შეეცვალა სსკ-ის 251-ე მუხლით, ხოლო მეორედ – 1997 წლის 8 მაისს, სსკ-ის 151-ე მუხლის მე-2 ნაწილით და სსკ-ის 252-ე მუხლის მე-3 ნაწილით. ამდენად, ი.ც.-ს, სსკ-ის 79-ე მუხლის შესაბამისად, 1-ლი ნასამართლობა გაქარწყლებული ჰქონდა და მისი ქმედება არ შეიძლებოდა დაკვალიფიცირებულიყო სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (ძარცვა, ჩადენილი იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლვევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების ან გამოძალვისათვის).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ი.ც.-ს ქმედება სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირებულიყო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე და საბოლოოდ მისი ქმედება დაკვალიფიცირდა სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით.

ძარცვის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესწავლის დროს, გარდა ზემოაღნიშნულისა, შესწავლილ იქნა არაერთი სისხლის სამართლის საქმე. სამართლებრივი კვალიფიკაცია ამ კატეგორიის საქმეებზე, ძირითადად, სწორად არის გადაწყვეტილი. ამასთან, არსებობს რამდენიმე პრობლემა, რომელზეც ქვემოთ გავამახვილებთ ყურადღებას:

საბრალდებო დასკვნით ა.ბ.-ს, ს.მ.-სა და გ.ქ.-ს ბრალი დაედოთ შემდეგი დანაშაულის ჩადენაში: 2002 წლის იანვარში ა.ბ. დანაშაულებრივად დაუკავშირდა ს.მ.-სა და გ.ქ.-ს. მათ მოილაპარაკეს, რომ მოქალაქეებს თავს დასხმოდნენ ქონების დაუფლების მიზნით. 2002 წლის 9 იანვარს მოქალაქე გ.კ.-ს დარეკვის მიზნით გამოართვეს მობილური ტელეფონი, შემდეგ ხელიდან შეხსნეს და გასტაცეს ოქროს სამაჯური. დაზარალებულმა, მასთან მყოფ გ.ს.-თან ერთად, წინააღმდეგობა გაუწია თავდამსხმელებს. ამ დროს გ.ქ.-მ ჯიბიდან ამოიღო დასაკეცი დანა და მოკვლით დაემუქრა. გ.კ. კვლავ უწევდა წინააღმდეგობას და სთხოვდა, დაებრუნებინათ წართმეული ნივთები. ვინაიდან დაზარალებული ვერ მოიცილეს, თავდამსხმელებმა, ვითომდა საქმის გარჩევის მიზნით, გაიყვანეს ბაზრობის ტერიტორიაზე, სადაც კვლავ მოხდა შელაპარაკება თავდამსხმელებსა და გ.კ.-ს შორის, რა დროსაც ს.მ.-მ დასაკეცი დანა მიაღო გ.კ.-ს მარჯვენა ილლიის ქვეშ, ხოლო შემდეგ ძირს დაცემულს ქვა ჩაარტყა, ამის შემდეგ თავდამსხმელები მიიმაღნენ. მათვე 16 იანვარს გ.ბ.-ს ხელიდან გასტაცეს „ერიქსონის“ ტიპის მობილური ტელეფონი და მიიმაღნენ. ს.მ.-მ 2001 წლის 19 დეკემბერს თბილისში მოქალაქე ი.ქ.-ს იარაღის მუქარით, აშკარად გასტაცა „ნოკიას“ სისტემის 270 ლარად ღირებული მობილური ტელეფონი და მიიმაღა, რითაც დაზარალებული მნიშვნელოვნად დააზიანა მატერიალურად.

საბრალდებო დასკვნით მათ წარედგინათ ბრალდება სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით.

ზემოაღნიშნული სისხლის სამართლის საქმე განსახილველად გადაეცა რაიონულ სასამართლოს. სისხლის სამართლის საქმის განხილვისას დაზარალებულებმა და მოწმეებმა შეცვალეს ჩვენება ყარაღობის ეპიზოდებში და განმარტეს, რომ მათ დანა არ დაუნახავთ და მხოლოდ პოლიციაში გაიგეს, რომ თავდამსხმელებს დანა ჰქონდათ. პროცესზე დაზარალებულებმა ასევე განაცხადეს, რომ ადგილი არ ჰქონია სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიშ ძალადობას ან ასეთი ძალადობის მუქარას.

პროცესზე სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერმა პროკურორმა,

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სასამართლო სხდომაზე დაზარალებულებმა და მოწმეებმა არ დაადასტურეს ტელეფონისა და სამაგურის დაუფლების დროს დანის გამოყენების მუქარა, სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება მოხსნა და, სსკ-ის 446-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლომ ყაჩაღობის ნაწილში შეწყვიტა სისხლის სამართლის საქმე. სასამართლომ სამივე განსასჯელს მსჯავრი დასდო ძარცვისათვის.

სასამართლო პრაქტიკაში არის არაერთი სისხლის სამართლის საქმე, რომელშიც ქმედების გადაკვალიფიცირება ხდება ყაჩაღობიდან ძარცვის მუხლზე. კვალიფიკაციის შეცვლა, ძირითადად, გამოწვეულია მოწმეთა და დაზარალებულთა ჩვენებების შეცვლითა და სახელმწიფო ბრალმდებლის პოზიციით. ასეთ ვითარებაში, როცა დაზარალებული (სუბსიდიური მდევნელი) და სახელმწიფო ბრალმდებელი აყენებენ ქმედების კვალიფიკაციის შეცვლის საკითხს, სასამართლო ცვლის ქმედების კვალიფიკაციას განსასჯელის სასარგებლოდ.

საბრალდებო დასკვნით კ.გ.-ს ბრალი დაედო იმაში, რომ მან მოქალაქე ს.გ.-ს ჩამოგლიჯა 60 ლარად ღირებული ოქროს ჯვარი და აპირებდა მიმალვას, რა დროსაც დააკავეს პოლიციის მუშაკებმა.

რაიონული სასამართლოს განაჩენით მისი ქმედება დაკვალიფიცირდა სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით. სსკ-ის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მისი დანაშაული ჩაითვალა საშიშ რეციდივად და სასჯელის ზომა განესაზღვრა სსკ-ის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით (სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი სახის სასჯელის ორ მესამედზე მეტი).

მსჯავრდებულის ინტერესების დამცველი ადვოკატის სააპელაციო საჩივრის საფუძველზე საქმე განიხილა საოლქო სასამართლომ და რაიონული სასამართლოს განაჩენიდან ამორიცხა მაკვალიფიცირებელი ნიშანი – მნიშვნელოვანი ზიანი, ასევე გამოიყენა სსკ-ის 58-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული წესი, კერძოდ, გამოიყენა სსკ-ის 55-ე მუხლი და განსასჯელს ისე დაუნიშნა სასჯელი.

რაიონული სასამართლოს განაჩენით ზ.დ.-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ იგი რკინიგზის სადგურის მგზავრთა მოსაცდელ ღარბაზში,

მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, აშკარად დაუფულა მოქალაქე ე.ს.-ს 400 ლარად ღირებულ ქურთუკს, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და სცადა მიმალვა, რა დროსაც დააკავეს პოლიციის მუშაებმა. სასჯელის განსაზღვრისას სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ იგი წარსულში ორჯერ იყო ნასამართლევ. მართალია, მისი ქმედება არ დაკვალიფიცირებულა სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, ვინაიდან ადრე იგი არ ყოფილა გასამართლებული სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის, არამედ — სხეულის განზრახ დაზიანებისათვის, რის გამოც მას სწორად დაუდგინდა განსაკუთრებით საშიში რეციდივი (სსკ-ის მე-17 მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი) და სსკ-ის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით განესაზღვრა სასჯელი (სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი სახის სასჯელის სამ მეოთხედზე მეტი).

რაიონული სასამართლოს განაჩენით მ.ს.-ს მსჯავრი დაედო შემდეგი დანაშაულის ჩადენაში: მან, მთვრალმა, გადაწყვიტა მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებოდა სხვის ქონებას. გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანის მიზნით, დაახლოებით 22 საათზე, ქუჩაში შენიშნა მ.ე., რომელსაც ხელში ეჭირა „მოტოროლას“ ფირმის მობილური ტელეფონი, მიუახლოვდა მას და ძალადობით ხელიდან გასტაცა, რითაც დაზარალებულს მიაყენა 182 ლარის ზიანი. მიყენებული ზიანი სასამართლომ მიიჩნია მნიშვნელოვან ზიანად.

რაიონული სასამართლოს განაჩენით ე.თ.-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ მან ჩაიდინა ძარცვა, რაც გამოიხატა შემდეგში: ე.თ. იმყოფებოდა რა თბილისში, ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, ნასვამმა, იქვე საზამთროთი მოვაჭრე ბ.ქ.-ს შესთავაზა 12 ლარად ღირებული მაგნიტოფონის შეძენა, რაზეც ეს უკანასკნელი არ დაეთანხმა. ცოტა ხნის შემდეგ, ბ.ქ.-მ მოძებნა ე.თ. და შეძენაზე თანხმობა განაცხადა, მაგრამ ამ შემთხვევაში ე.თ.-მ მოითხოვა დაებრუნებინა მისთვის თითქოსდა წაღებული მაგნიტოფონი. ისინი შეკამათდნენ, რა დროსაც ე.თ.-მ მას ისეთი ძალადობის გამოყენებით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, გასტაცა 51 ლარი.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნული ქმედება დააკვალიფიცირა სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის მხოლოდ „დ“ ქვეპუნქტით. ამასთან, სასამართლომ ჩათვალა, რომ ჩადენილ ქმედებას არ გამოუწვევია მნიშვნელოვანი ზიანი, რის გამოც განსასჯელს მოუხსნა სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება.

რაიონული სასამართლოს განაჩენით რ.უ.-ს მსჯავრი დაედო იმის გამო, რომ მან ჩაიდინა ძარცვა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. იგი ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლვეი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში: 2002 წლის 18 ივლისს, დაახლოებით 19 საათზე, რ.უ. ნასვამი იმყოფებოდა თბილისში, შენიშნა მოქალაქე ა.კ., რომელსაც ხელში ეჭირა შავი ფერის ხელჩანთა, აედევნა მას და გასტაცა იგი. საერთო ჯამში ზარალმა შეადგინა 58 ლარი. სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე დაზარალებულისათვის 58 ლარის წართმევა ჩათვალა მნიშვნელოვან ზიანად, მაშინ, როდესაც სხვა საქმეზე 51 ლარი ასეთ ზიანად არ ჩაითვალა.

ისმის კითხვა: სად გადის ზღვარი მნიშვნელოვანი ზიანის განსაზღვრის დროს, მაშინ, როდესაც ასეთი ზიანის დადგენის კრიტერიუმები მყარად არ არის ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკაში?

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ბოლო შემთხვევაში ხელჩანთის დაუფლების დროს პირი მოქმედებდა არაკონკრეტული განზრახვით გატაცებული ქონების ღირებულების განსაზღვრისას, რამაც ასევე ზეგავლენა მოახდინა ქმედების კვალიფიკაციაზე.

სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა 58 ლარზე მეტ თანხასაც ხშირად სასამართლოები არ მიიჩნევენ მნიშვნელოვან ზიანად. ერთ-ერთი ასეთი მაგალითია შემდეგი:

რაიონული სასამართლოს განაჩენით ს.ჩ.-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ მან ჩაიდინა ძარცვა, რაც გამოიხატა შემდეგში: თბილისში, ბაზრობის ტერიტორიაზე, მან მოვაჭრე მ.მ.-ს დახლზე, საფულეში მოთავსებული 63 ლარი წაართვა და გაიქცა, რა დროსაც იგი დააკავეს პოლიციის მუშაკებმა. მისი ქმედება დაკვალიფიცირდა სსკ-ის 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

წინასწარმა გამოძიებამ მას ბრალად არ შერაცხა ძარცვის არც ერთი მაკვალიფიცირებელი ნიშანი. სასამართლო, შესაბამისად, ვერ

დაამძიმებდა განსასჯელის მდგომარეობას, ვინაიდან დაზარალებული ეთანხმებოდა ქმედების ასეთ კვალიფიკაციას.

ზემოთ მითითებული ქმედება შინაარსით წინა შემთხვევის მსგავსია, მაგრამ მიცემული აქვს განსხვავებული სამართლებრივი შეფასება, რაც განსხვავებულ კვალიფიკაციაში გამოიხატა.

სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა გაცილებით უფრო დაბალი თანხის დაუფლებაც მნიშვნელოვან ზიანად მიიჩნევა; მაგალითად, თბილისის მეტროპოლიტენის ერთ-ერთი სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე გ.გ., მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მუშტის მოღერებითა და მოკვლის მუქარით, რაც საშიში არ იყო სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, აშკარად დაეუფლა გ.ბ.-ს 20 ლარად ღირებულ ყილეტსა და 9 ლარს. მას ბრალი წარედგინა სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით.

შეიძლება დაეასკვნათ, რომ ძარცვის ისეთი მაკვალიფიცირებელი ნიშანი, როგორიცაა მნიშვნელოვანი ზიანი, სასამართლო პრაქტიკაში მყარ კრიტერიუმებს არ ემყარება. დაბალი თანხის მნიშვნელოვან ზიანად მიჩნევა არასწორია, რაც იწვევს იმას, რომ ძარცვის ზემოთ მითითებული ნაწილსა და მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტს შორის მკვეთრი ზღვარის გავლება, არსებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, პრაქტიკულად შეუძლებელია.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზის მიზნით შევისწავლეთ სხვა არაერთი სისხლის სამართლის საქმე, რომელთა ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივ შეფასებებზე ქვემოთ გავამახვილებთ ყურადღებას:

2002 წლის 9 სექტემბერს ო.პ.-მ მოქალაქე ა.გ.-ს ჩამოჰკლიჯა ოქროს ჯვარი ძეწკვით. მისი ქმედება დაკვალიფიცირდა სსკ-ის 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 125 დღიური ანაზღაურების ოდენობით. სასამართლომ სასჯელის განსაზღვრისას გაითვალისწინა შემდეგი გარემოებები: წარსულში იგი არ იყო ნასამართლევი, ჩადენილ დანაშაულს აღიარებდა და გულწრფელად ინანიებდა, დანაშაული ჩაადენინა მძიმე მატერიალურმა გაჭირვებამ, ჰყავს მეუღლე და 5 თვის შვილი, დაზარალებულს მის მიმართ პრეტენზია არა აქვს, ზარალი ანაზღაურებულია. ვინაიდან ოქროს

ბეწკვი შეფასდა 35 ლარად, ხოლო ოქროს ჯვარი – 40 ლარად, ჩადენილი ქმედება არ დაკვალიფიცირებულა მნიშვნელოვან ზიანად.

სხვა შემთხვევაში, ა.კ.-მ 2002 წლის 21 მარტს მოქალაქე მ.კ.-ს ყელიდან ჩამოჰგლიჯა 300 ლარად ღირებული ოქროს ბეწკვი და გაიქცა. იგი დააკავეს პოლიციის მუშაეებმა. ეს ქმედება საბრალოდ ბო დასკვნით დაკვალიფიცირდა სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით, ხოლო 1-ლი ინსტანციის სასამართლომ მოუხსნა მას მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება და სასჯელის ზომად განუსაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულმა სააპელაციო საჩივრით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას სასჯელის შემსუბუქების მოთხოვნით. ზემოაღნიშნული განაჩენი თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის განაჩენით კვალიფიკაციის ნაწილში უცვლელად დარჩა. სააპელაციო პალატა ვერც შეცვლიდა განაჩენს მსჯავრდებულის საზიანოდ, ვინაიდან საჩივარი არ შეუტანია არც სახელმწიფო ბრალმძებელს და არც დაზარალებულს. ამ განაჩენში საყურადღებოა ის გარემოება, რომ რაიონულმა სასამართლომ განსასჯელს არასწორად მოუხსნა სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება შემდეგი დასაბუთებით: ჯერ კიდევ წინასწარი გამოძიების დროს დაზარალებულმა წერილობით განაცხადა, რომ დაიბრუნა კუთვნილი ოქროს ბეწკვი, ზარალი ანაზღაურებულია და განსასჯელთან პრეტენზია არ გააჩნია. სასამართლოს ეს პოზიცია არ არის დასაბუთებული: გავრცელებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, 300 ლარის ღირებულების ნივთის დაუფლება მნიშვნელოვან ზიანს წარმოადგენს. ამასთან, ამ ნიშნით კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს დაზარალებულის პოზიციას, ზიანის ანაზღაურებას, რაც შეიძლება მხოლოდ სასჯელის დანიშვნის დროს იქნეს მხედველობაში მიღებული.

ამ განაჩენისაგან განსხვავებულად გადაწყდა მნიშვნელოვანი ზიანის საკითხი სხვა შემთხვევაში. რაიონული სასამართლოს განაჩენით ლ.ჩ.-ს მსჯავრი დაედო შემდეგი დანაშაულის ჩადენისათვის: 2001 წლის 19 აპრილს მან თბილისში, 9 აპრილის სახელობის პარკში,

მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ძალადობის მუქარით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, გ.პ.-ს მისი ნების საწინააღმდეგოდ გახადა 200 ლარად ღირებული ტყავის ქურთუკი, მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა მას და მიიძალა, რითაც დაზარალებული მნიშვნელოვნად დააზიანა. მოგვიანებით იგი დააკავეს პოლიციის მუშაკებმა. სასჯელის ზომად მას განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. ჩადენილი ძარცვის მაკვალიფიცირებელ ნიშნად ამ განაჩენით განსასჯელს ბრალად შეერაცხა მნიშვნელოვანი ზიანი, მიუხედავად იმისა, რომ ეს ზიანი წინა განაჩენით განსაზღვრულ ზიანის ოდენობაზე ნაკლები იყო. მისი ქმედება დაკვალიფიცირდა სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით.

რაიონული სასამართლოს განაჩენით კ.ქ.-ს მსჯავრი დაედო იმისათვის, რომ მან 2002 წლის 8 იანვარს თბილისში, მთვრალმა, შენიშნა ფეხით მოსიარულე ქს. დაუნახა რა მას მხარზე გადაკიდებული ტყავის ხელჩანთა, განიზრახა, გაეძარცვა იგი. კ.ქ. მივიდა მასთან უკანა მხრიდან და ხელი ჩაავლო ხელჩანთას, რომელშიც იდო 5 ლარი და 300 ლარად ღირებული მობილური ტელეფონი, გამოსწია, მაგრამ დაზარალებულმა ხელი არ გაუშვა ხელჩანთას და წინააღმდეგობა გაუწია, რის დასაძლევადაც კ.ქ.-მ მას ხელი ჩაარტყა კეფაში და ასფალტზე წააქცია, რითაც ჯანმრთელობა მსუბუქად დაუზიანა. მან ვერ შეძლო დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანა, დაუფლებოდა 305 ლარის ღირებულების ნივთს, ვინაიდან დაინახა, რომ მისკენ მორბოდა ორი მამაკაცი და იგი გაიქცა. მოგვიანებით იგი დააკავეს პოლიციელებმა. სასჯელის ზომად მას განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. მისი ქმედება დაკვალიფიცირდა სსკ-ის მე-19, 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით.

2002 წლის 10 მარტს თბილისში, მთვრალმა ბ.ბ.-მ მოქალაქე თ.ხ.-ს სთხოვა მობილური ტელეფონი, თითქოს დასარეკად გავიდა გვერდზე, სინამდვილეში კი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით გამოართვა და მიიძალა მობილურ ტელეფონთან ერთად. იგი 2002 წლის 16 მარტს თბილისში, რესტორანთან, შეხვდა თავის ნაცნობებს:

დაზარალებულ ა.ჭ-ს და ამ უკანასკნელთან მყოფ ა.ბ.-ს, რომლებიც დაპატიჟა ლუდზე. შუა ქეიფში ბ.ბ.-ს უკმაყოფილება მოუვიდა ა.ჭ-თან, სახეში ხელი გაარტყა და განიზრახა, მისთვის წაერთმია მობილური ტელეფონი და ოქროს სამაჯური. ამ მიზნით, მან გადაწყვიტა ა.ჭ გაეყვანა რესტორნიდან. მის დასაშინებლად მაგიდიდან აიღო ჩანგალი, მიაღო ყელზე და უთხრა, გარეთ გაპყლოდა, რასაც ა.ჭ დაემორჩილა. გარეთ გასულმა ბ.ბ.-მ ყელში ხელი წაუჭირა და მარცხენა ჯიბიდან ამოუღო 200 ლარად ღირებული მობილური ტელეფონი, მაჯიდან ჩამოჰკლიჯა 100 ლარად ღირებული ოქროს სამაჯური და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მისი ქმედება დაკვალიფიცირდა სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“, „დ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. ჩადენილი ქმედება ჩაითვალა ისეთ ძალადობად, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის, რაც სათანადოდ არ არის დასაბუთებული. ვფიქრობთ, ჩანგლის ყელზე მიღება შეიძლება ჩაითვალოს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშ ძალადობად ან ასეთი ძალადობის მუქარად, რაც, თავისთავად, ყაჩაღობის შემადგენლობის აუცილებელი კომპონენტია.

რაიონული სასამართლოს განაჩენით ზ.გ.-ს მსჯავრი დაედო შემდეგი დანაშაულის ჩადენისათვის: მისთვის ცნობილი იყო ის გარემოება, რომ გლდანის ტერიტორიაზე, ავტომანქანის ბაზრობიდან, მანქანის შემსყიდველი პირები ავტომანქანის გადასაფორმებლად მიდიოდნენ იქვე არსებულ სანოტარო კანტორასთან. დარწმუნებულმა იმაში, რომ იქ მიმსვლელს თან ექნებოდა საკმარის ოდენობის თანხა, ჩაუსაფრდა და შენიშნა მოქალაქე ნ. ჯ. მან დაინახა, რომ ამ უკანასკნელს თან ჰქონდა პოლიეთილენის პარკში გახვეული ფული. იგი მიუახლოვდა მას და ხელი ზურგში დაარტყა, თან ხელი ჩაუყო ქურთუკის უბეში და ამოაცალა 2300 აშშ დოლარი. ზ. გ. გაიქცა და ფული შესანახად გადასცა შემხვედრ ვინმე „მამუკას“, თვითონ კი მიიმალა. იგი დააკავეს პოლიციის მუშაებმა. მისი ქმედება დაკვალიფიცირდა სსკ-ის 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, მე-2 ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით და სასჯელის ზომად განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

შეიძლება ითქვას, რომ მსჯავრდებულს ზედმეტად აქვს წარდგენილი სსკ-ის 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, ვინაიდან ეს უკანასკნელი წარმოადგენს ძალადობის ძირითად შემადგენლობას, რომელიც ამავე ქმედების რომელიმე მაკვალიფიცირებელი ნიშნის არსებობის შემთხვევაში პირს ბრალად არ უნდა წარედგინოს.

საბრალოდ დასკვნით გ. ო.-ს მსჯავრი დაედო იმისათვის, რომ ჩაიდინა ძარცვა, რაც გამოიხატა შემდეგში: 2002 წლის 16 აპრილს გ. ო.-მ თბილისში მ. ს.-ს გასტაცა შავი ფერის, 10 ლარად ღირებული ხელჩანთა და შიგ მოთავსებული პირადი ნივთები: საფულე, ხელსახოცი და 39 ლარი. სასამართლომ მას მსჯავრი დასდო ძარცვისათვის (სსკ-ის 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) და შეუფარდა ჯარიმა – 100 დღიური ანაზღაურების, ანუ 200 ლარის ოდენობით. ჩადენილ ქმედებას იგივე კვალიფიკაცია ჰქონდა მიცემული საბრალოდ დასკვნითაც. მნიშვნელოვანი ზიანი შეფასებითი კატეგორიაა, ამიტომ ძნელია მტკიცება, წარმოადგენს თუ არა ეს მნიშვნელოვან ზიანს. ამ საკითხის გადაწყვეტის დროს საყურადღებოა ასევე, თუ რა ღირებულების ნივთის დაუფლებისკენ იყო მიმართული პირის განზრახვა, რაც არც საბრალოდ დასკვნასა და არც განაჩენში სათანადოდ არ არის გამოკვლეული.

ამ შემთხვევისაგან განსხვავებული კვალიფიკაცია მიეცა შემდეგ ქმედებას: რაიონული სასამართლოს განაჩენით ზ.ბ.-ს მსჯავრი დაედო იმისათვის, რომ მან მოქალაქე ც.ჯ.-ს სამარშრუტო ტაქსში ასვლისას გაუხსნა ხელჩანთა და აშკარად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ამოაცალა შავი საფულე, რაც მაშინვე შეამჩნია ც.ჯ.-მ, მაგრამ მოთხოვნაზე, დაებრუნებინა სასწრაფოდ, იგი გაიქცა გლდანის მიმართულებით, რა დროსაც დააკავეს პოლიციის მუშაკებმა. სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე შეეცვალა პირობითი მსჯავრით, იმავე ვადით. სასამართლომ სასჯელის შეფარდების დროს გაითვალისწინა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, კერძოდ ის, რომ იგი არის ინვალიდი და დანაშაული ჩაიდინა მძიმე ეკონომიკური პირობების გამო.

წინასწარი გამოძიება ნ.ფ.-ს მიმართ წარიმართა სსკ-ის 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც განაპირობა დაზარალებულის ჩვენებებმა, რომელიც აცხადებდა შემდეგს: ნ.ფ.-მ 2001 წლის ნოემბერში თავის ნაცნობ, ვინმე „დათოსთან“ ერთად წინასწარი შეთანხმებით, ტაქსის მძღოლს, რომელიც მართავდა „მიცუბიშის“ მარკის ავტომანქანას, სთხოვა გაეყვანა ისინი მეტრო „ახმეტელთან“. წინასწარი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, დაახლოებით 20 საათზე, ნ.ფ.-მ მძღოლს – გ.ს.-ს, უკნიდან ხელის მოხვევით, ყელზე მიაბჯინა დანა, ხოლო იმავდროულად მისმა თანმხლებმა ვინმე „დათომ“ ამ უკანასკნელს მუცელზე მიაბჯინა ასევე დანა, რა დროსაც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით მას წაართვეს 32 ლარი. ნ.ფ.-მ არ ცნო თავი დამნაშავედ და განაცხადა, რომ, მართალია, მას ჰქონდა დანა, მაგრამ იგი არ გამოუყენებია, ფული წაართვა კატეგორიული მოთხოვნით და არა დანის მუქარით. დაპირისპირებისას დაზარალებულმა გადათქვა ჩვენება და განმარტა, რომ მას სურდა, მკაცრად დასჯილიყვნენ ბოროტმოქმედები, ამიტომ აცხადებდა, რომ მათ ჰქონდათ დანა და დანის მუქარით წაართვეს ფული. გამოძიებამ შეცვალა თავდაპირველი ბრალდება და ჩადენილი ქმედება დააკვალიფიცირა სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით. განაჩენით მას მსჯავრი დაედო ზემოაღნიშნული ნორმებით და სასჯელის ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-64-ე მუხლების შესაბამისად, ჩაეთვალა პირობით და დაენიშნა პირობითი მსჯავრი იმავე ვადით.

გ. ფ.-მ 2001 წლის 22 აგვისტოს, ღამის 3 საათზე, მოქალაქეს გასტაცა ცელოფნის პარკი, რა დროსაც იგი დააკავა პოლიციამ. ჩხრეკის შედეგად მას აღმოაჩნდა 1 ორლარიანი კუპიურა და 1 ცალი პატარა კოსმეტიკური ფანქარი. მისი ქმედება დაკვალიფიცირდა სსკ-ის 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. სასჯელის ზომად მას განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც შეეცვალა პირობითი მსჯავრით, იმავე ვადით. სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას გაითვალისწინა ის გარემოებები, რომ იგი პირველადია სამართალში, გულწრფელად აღიარებს და ინანიებს ჩადენილს, ხოლო კმაყოფაზე ჰყავს მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი.

როგორც ვხედავთ, ზიანი მცირე მნიშვნელობის იყო. მიუხედავად ამისა, სასამართლომ არ იმსჯელა სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენების შესაძლებლობაზე.

2001 წლის 8 ივლისს ი. მ.-მა მოქალაქე ბ. გ.-ს, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, გასტაცა შავი ფერის, 12 ლარად ღირებული ხელჩანთა, რომელშიც იღო 100 ლარად ღირებული მობილური ტელეფონი „მოტოროლა“ და 31 ლარი. ი. მ. ადგილზევე დააკავა პოლიციამ. მისი ქმედება დაკვალიფიცირდა სსკ-ის 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ იგი არის არასრულწლოვანი, დანაშაული ჩაიდინა პირველად, რასაც აღიარებს და გულწრფელად ინანიებს და სასჯელის ზომად განუსაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც შეეცვალა პირობითი მსჯავრით – 3 წლით გამოსაცდელი ვადის დაწესებით.

2001 წლის 1 აგვისტოს მ. კ.-მ მოქალაქე ც. მ.-ს, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, აშკარად გასტაცა შავი ფერის ტყავის ხელჩანთა და შიგ არსებული ნივთები, რაც შეადგენდა სულ 414 ლარს. მისი ქმედება დაკვალიფიცირდა სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და სასჯელის ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. სასამართლომ სასჯელის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ იგი წარსულში 4-ჯერ იყო ნასამართლევი.

საბრალდებო დასკვნით ნ. დ.-ს ბრალი დაედო იმისათვის, რომ იგი 2001 წლის 24 აპრილს დანაშაულებრივად დაუკავშირდა გამოძიებით დაუდგენელ ვინმე „ალიომას“, რა დროსაც მათ მოილაპარაკეს და გადაწყვიტეს, რომ ჩაედინათ ძარცვა. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, თბილისში, სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე, მათ შენიშნეს, რომ სამარშრუტო ტაქსში ავიდა მოქალაქე ლ.ჭ., რომელსაც ეკეთა 600 ლარად ღირებული ოქროს ძეწკვი. ისინი აყენენ მას სამარშრუტო ტაქსში. როცა შეარჩიეს შესაბამისი მომენტი, ნ.დ.-მ მას ჩამოგლიჯა ყელიდან ოქროს ძეწკვი და გადასცა ერთ-ერთ თანამზრახველს. გაქცევისას იგი დააკავეს. მისი ქმედება დაკვალიფიცირდა სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით. საქმეზე დაიკითხა სამარშრუტო

ტაქსის მძღოლი, რომელმაც აჩვენა, რომ ნ.დ.-მ, თავის თანამზრახველთან ერთად, მოქალაქეს ჩამოჰგლიჯა ოქროს ძეწკვი; ასევე განმარტა, რომ ნ.დ.-თან ერთად იქ იმყოფებოდა კიდევ ერთი თანამზრახველი. ასევე, საქმეზე დაიკითხა ამ ამბის უშუალო მოწმე პოლიციელი, რომელმაც მოახერხა ნ.დ.-ს დაკავება და პოლიციაში წარდგენა. დაზარალებული წინასწარი გამოძიების პერიოდში მიუთითებდა და აღნიშნავდა, რომ მას ნ.დ.-მ, სხვა პირთან ერთად, სამარშრუტო ტაქსში ჩამოჰგლიჯა ოქროს ძეწკვი და მიმალვისას იგი პოლიციელთან ერთად დააკავა და წარადგინა პოლიციის განყოფილებაში. პირის ბრალდებულად დაკითხვის დროისათვის საქმეში ჩაება ადვოკატი. ეჭვმიტანილის სახით დაკითხვისას ნ.დ. ჩვენებას იძლეოდა, აღიარა, რომ იგი გაეცნო „ალიომას“ და აპირებდნენ ობიექტის ამორჩევას. ბრალდებულის სახით დაკითხვისას მან, ადვოკატის რჩევით, გამოიყენა დუმილის კონსტიტუციური და პროცესუალური უფლება. საქმე განსახილველად წარიმართა რაიონულ სასამართლოში. სასამართლო პროცესზე პროკურორმა იშუამდგომლა განსასჯელის მიმართ ბრალდების შეცვლა, კერძოდ, მისი ქმედების დაკვალიფიცილება სსკ-ის 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელის ზომად 2 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება. დაზარალებულმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და ითხოვა, რომ ნ.დ.-ს საქმე განხილულიყო მისი დასწრების გარეშე, მსჯავრდებულის მიმართ პრეტენზია არ ჰქონდა და სასჯელის განსაზღვრისას მის მიმართ გამოეჩინათ გულისხმიერება. სასამართლოზე არ დაკითხულან ძირითადი მოწმეები. სასამართლო პროცესზე განსასჯელმა გადათქვა ჩვენება და განაცხადა, რომ იგი მარტო იყო ძარცვისას და წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენებები გამოძიებლის ზემოქმედებითაა დაწერილი. სასამართლომ განაჩენი ნ. დ.-ს მიმართ დაადგინა სსკ-ის 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელის ზომად განუსაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მართლაც, თუ პირი წინასწარი გამოძიების სტადიაზე ადვოკატის მონაწილეობის გარეშე აღიარებს ჩადენილ დანაშაულს, ხოლო საქმეში ადვოკატის ჩართვის შემდეგ იგი ცვლის ჩვენებას ან ირჩევს დუმილის უფლებას, ბუნებრივია, მას აქვს იმის მტკიცების

შესაძლებლობა, რომ დაირღვა მისი უფლებები აღიარებითი ჩვენების მიცემის დროს. ამ საქმეში გასაგებია, მსჯავრდებულისათვის სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდების მოხსნა, ვინაიდან არც საბრალდებო დასკვნით და არც სასამართლო გამოძიებით არ არის დასაბუთებული პირთა ჯგუფის მონაწილეობა ძარცვის ჩადენაში, კერძოდ მეორე თანამსრულებლის როლი ამ დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებაში, ხოლო რაც შეეხება სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდების მოხსნას, დაუსაბუთებელია, რატომ მოითხოვა სახელმწიფო ბრალმდებელმა ამავე მუხლის პირველ ნაწილზე გადასვლა. სახელმწიფო ბრალმდებლისა და სასამართლოს მტკიცება, რომ თვით დაზარალებულს განსასჯელის მიმართ პრეტენზია არა აქვს და ზარალი ანაზღაურებულია, რის გამოც დანაშაული სავსებით თავსდება სსკ-ის 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ფარგლებში, სამართლებრივ დასაბუთებულობას მოკლებულია.

რაიონულმა სასამართლომ განიხილა სისხლის სამართლის საქმე არასრულწლოვან ვ.მ.-ს მიმართ, რომელიც პასუხისმგებია მისცეს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით. კერძოდ, მან ჩაიდინა ძარცვა ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის მუქარით, არაერთგზის.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ მსჯავრდებული ვ.მ. მოძრაობდა რა სამარშრუტო ტაქსით, შეამჩნია ამავე ტრანსპორტში მჯდომი ახალგაზრდა ქალი, რომელიც საუბრობდა მობილური ტელეფონით, ჩაჰყვა ერთ-ერთ გაჩერებაზე, რა დროსაც სწვდა ხელში, წაართვა მობილური ტელეფონი და გაიქცა. დაკავებისას მას აღმოაჩნდა ზემოაღნიშნული მობილური ტელეფონი.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მან მთლიანად ცნო თავი დამნაშავედ და აღიარა დანაშაული. აგრეთვე, ყურადსაღებია ის გარემოება, რომ ვ.მ. დააეადებულია ფსიქიკურად და გადიოდა მკურნალობას ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, რასაც ადასტურებს სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნა, სადაც აღნიშნულია, რომ ვ.მ. დანაშაულის ჩადენის მომენტში იმყოფებოდა შეურაცხად მდგომარე-

ობაში, რაც წარმოადგენს ბრალის გამოძრევილ გარემოებას.

სასამართლოს დადგენილებით ვ. მ. ცნობილია დამნაშავედ სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით, რითაც დაშვებულ იქნა სამართლებრივი შეცდომა. შეურაცხად მდგომარეობაში პირმა შეიძლება ჩაიდინოს მართლსაწინააღმდეგო ქმედება და არა დანაშაული. მის მიმართ სწორად იქნა გამოყენებული სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება.

რაიონულმა სასამართლომ განიხილა სისხლის სამართლის საქმე ა.ჯ.-ს ბრალდების გამო, რომელიც სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ იქნა სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებისათვის. საბრალდებო დასკვნა დადგენილად მიიჩნევს, რომ ა.ჯ.-მ ჩაიდინა ძარცვა ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის მუქარით. კერძოდ, წინასწარი გამოძიებით დადგენილია, რომ ნასვამი ა.ჯ., ფეხით მიდიოდა რა სოფლის გზაზე, შეხვდა მისთვის უცნობ პიროვნებას, რა დროსაც მან განიზრახა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, აშკარად დაუფლებოდა მის კუთვნილ ნივთებს. იგი ძალადობის გამოყენებით, რაც გამოიხატა ცემასა და სხეულის მსუბუქ დაზიანებაში, დაეუფლა მის 25 ლარად შეფასებულ ფეხსაცმელს და 20 ლარს. საბრალდებო დასკვნითა და განაჩენით ცემა და სხეულის მსუბუქი დაზიანება ჩაითვალა ძალადობად, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის. ა.ჯ.-მ დაზარალებულს დაარტყა მარჯვენა ხელის მუჭი მარცხენა თვალში. დარტყმის შედეგად დაზარალებულმა თავი ვერ შეიკავა და წაიქცა, რის შემდეგაც მან ფეხი დაარტყა სახესა და თავში. ამ ძალადობის შედეგად დაზარალებულმა დაკარგა გონება, რის გამოც სუბიექტურად ვერ აღიქვა ქონების გატაცების მომენტი. ეს შემთხვევა დაკვალიფიცირდა ძარცვად, რადგან სასამართლომ ჩათვალა, რომ თავდამსხმელი სხვის ქონებას აშკარად დაეუფლა. სასამართლომ ქმედების ძარცვად კვალიფიკაციისათვის არ ჩათვალა აუცილებლად, რომ დაზარალებულს თვით გატაცების მომენტი აღექვა სრულყოფილად, მან საკმარისად მიიჩნია იმის შეგნება, რომ თავდასხმა ქონების დაუფლების მიზნით მოხდა.

რაიონულმა სასამართლომ განიხილა ლ.კ.-ს ბრალდების საქმე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით. კერძოდ, საბრალდებო დასკვნის მიხედვით, მან ჩაიდინა ძარცვა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

საბრალდებო დასკვნით დადგენილია, რომ ლ. კ.-მ სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლების მიზნით მოქალაქე ნ.პ.-ს გასტაცა ხელჩანთა, რომელშიც იყო 142 ლარის ღირებულების ნივთები. სასამართლომ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი. კერძოდ, ლ.კ.-ს ქმედება სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტიდან გადააკვალიფიცირა ამავე მუხლის 1-ლი ნაწილზე იმ მოტივით, რომ დაზარალებულმა სასამართლოზე დაკითხვისას განაცხადა, რომ ლ.კ.-ს იგი მნიშვნელოვნად არ დაუზიანებია და ნივთები მთლიანად დაუბრუნდა. სასამართლოს ეს მოტივაცია, თავისთავად, მნიშვნელოვანი ზიანის ბრალდების მოსახსნელად არ არის საკმარისი. სასამართლოს შეეძლო ამ უკანასკნელ შემთხვევაში ზიანი ობიექტურად არ ჩაეთვალა მნიშვნელოვან ზიანად და არა მხოლოდ დაზარალებულის პოზიციიდან გამომდინარე.

რაიონულმა სასამართლომ განიხილა გ.შ.-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმე, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით და გაამართლა იგი მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში. კერძოდ, მან ჩაიდინა ძარცვა, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად, ბინაში უკანონო შეღწევით.

წინასწარი გამოძიებით დადგენილია, რომ მსჯავრდებული გ.შ. წინასწარ შეუთანხმდა რ.კ.-ს, გაემძარცვათ საცხოვრებელი ბინა. მათ მოტყუებით გააღებინეს ბინის კარი ოჯახის დიასახლისს, ნიღბიანებმა შეაღწიეს ბინაში და აშკარად დაეუფლნენ 230 ლარს და 1180 ლარის ღირებულების სხვადასხვა ნივთს, რითაც დაზარალებული მნიშვნელოვნად დააზიანეს.

სასამართლომ არასწორად მოუხსნა განსასჯელს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება მხოლოდ იმ მომენტზე მითითებით, რომ მან ანაზღაურა ზიანი და დაზარალებულს მის მიმართ პრეტენზია არა აქვს.

საბრალდებო დასკვნა და განაჩენი ზოგჯერ არასწორად უყენებს პირს ბრალდებას: ზოგადად, ბინაში, სადგომში ან სხვა საცავში უკანონო

შელწვევა. ბრალდების ფორმულირებაში კონკრეტულად უნდა იყოს მითითებული, თუ სად მოხდა შელწვევა (ბინაში, სადგომში თუ სხვა საცაემში) და გადმოწერილი არ უნდა იყოს კანონის ნორმაში მოცემული მაკვალიფიცირებელი ნიშნის გამომხატველი მთლიანი ტექსტი.

სამართლებრივი თვალსაზრისით, ასევე, მართალია, ზოგჯერ ძნელია ზუსტი ზღერის გავლება ძარცვასა და ყაჩაღობას შორის, მაგრამ ისეთ შემთხვევაში, როცა ქონების დასაუფლებლად ბინაში ნიღბიანები შედიან, დამაჯერებლად უნდა იყოს დასაბუთებული, თუ რატომ არ დაკვალიფიცირდა ასეთი შემთხვევა ყაჩაღობად. ამ უკანასკნელ საქმესთან დაკავშირებით, შეიძლება ზაზგასმით აღინიშნოს, რომ არ არის სათანადოდ დასაბუთებული, რომ დაზარალებულის მიმართ არ განხორციელებულა თუნდაც ფსიქოლოგიური ძალადობა და მას არ გასჩენია შიში, რომ მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას რეალური საფრთხე ემუქრებოდა.

ანალოგიურ სიტუაციასთან გვაქვს საქმე შემდეგ შემთხვევაში: რაიონულმა სასამართლომ განიხილა რ.გ.-სა და ნ.ბ.-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმე, სადაც ქმედება დაკვალიფიცირებულია სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით. კერძოდ, მათ ჩაიდინეს ძარცვა, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის მუქარით, ასევე სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება.

საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებით დადგენილია, რომ მათ გადაწყვიტეს, გაეძარცვათ ვალუტის გადამცვლელი ჯიხურის მოლარე. რ.გ.-ს კუთვნილი ავტომანქანით ისინი მივიდნენ აღნიშნულ ჯიხურთან და უთვალთვალებდნენ მანამ, სანამ მოლარე სალაროს დახურავდა. განსასჯელები ავტომანქანით დაედევნენ მოლარეს, დაესხნენ თავს, სცემეს და წაართვეს 350 აშშ დოლარი, 670 გერმანული მარკა, 120 ლარი, 450 ლარად ღირებული მობილური ტელეფონი და 100 ლარად ღირებული საფულე, რითაც იგი მნიშვნელოვნად დააზიანეს. აღსანიშნავია, რომ მათ დაკავებისას აღმოაჩნდათ გადაჭრილი თოფი, რომელსაც რ.გ. მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა და ატარებდა. სასამართლომ, საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, მიიჩნია, რომ გამოძიებამ

ქმედება სწორად დააკალიფიცირა, განსასჯელებს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები არა აქვთ, შემამსუბუქებელ გარემოებას კი წარმოადგენს ის, რომ ისინი პირველად არიან სამართალში. აქედან გამომდინარე, სასამართლომ რ.გ.-ს სასჯელის ზომად განუსაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე, დანიშნული სასჯელი შეცვალა პირობითი მსჯავრით, 3 წლითა და 6 თვით გამოსაცდელი ვადის დაწესებით. მსგავსი სასჯელი გამოყენებულია ნ.ზ.-ს მიმართაც.

ბოლო ორ შემთხვევასთან დაკავშირებით შეიძლება ხაზგასმით აღინიშნოს, რომ საბრალდებო დასკვნაში მოცემული ქმედების კვალიფიკაცია, რომელიც ასევე უცვლელად დატოვა სასამართლომ, სამართლებრივი თვალსაზრისით, საკამათოა. მართალია, სასამართლოს არ შეეძლო განსასჯელთა მდგომარეობის დამძიმება და კვალიფიკაციის მათ საუარესოდ შეცვლა, მაგრამ დაუსაბუთებელია საბრალდებო დასკვნის მიხედვით ქმედების ასეთი კვალიფიკაცია. ჩადენილი ქმედებით გამოწვეული ბრალის ხარისხი სათანადოდ არ შეფასდა არც სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნის დროს, რის გამოც, ვფიქრობთ, დანიშნული სასჯელი აშკარად ლმობიერია.

რაიონულმა სასამართლომ განიხილა რ.ს.-ს საქმე, სადაც ქმედება დაკვალიფიცირებულია სსკ-ის 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. საბრალდებო დასკვნით დადგენილია, რომ რ.ს.-მ შენიშნა მარტოდ მიმავალი ახალგაზრდა ქალი, რომელიც მიწისქვეშა გადასასვლელში ჩადიოდა, მიეპარა მას, ცალი ხელი პირზე ააფარა, გამოჰკლიჯა მხარზე გადაკიდებული ჩანთა, რომელშიც იდო 200 ლარის ღირებულების ნივთები და 63 ლარი. იგი შეეცადა მიმალვას, რა დროსაც დააკავეს პოლიციელებმა.

წინასწარ გამოძიებაში დაკითხულმა რ.ს.-მ თავი მთლიანად ცნო დამნაშავედ წაყენებულ ბრალდებაში და განმარტა, რომ იგი უპატრონოდ გაიზარდა, მაწანწალაა, დღის განმავლობაში მოქალაქეებს ურეცხავს მანქანებს, საიდანაც აღებული ფული საკვების საყიდლად არ ყოფნის, ღამეს ქუჩაში, ვაგზლის ტერიტორიაზე ათევს.

არც საბრალდებო დასკვნამ და არც განაჩენმა ზიანი არ ჩათვალეს მნიშვნელოვნად, რადგან მიიჩნიეს, რომ რ.ს.-მ გატაცების დროს არ იცოდა, თუ რა ღირებულების ქონებას ეუფლებოდა.

ვფიქრობთ, რომ მისი ქმედება შეიძლებოდა დაკვალიფიცირებულიყო დარცვის მცდელობად, ვინაიდან იგი პოლიციელებმა იქვე, შემთხვევის ადგილთან ახლოს, დააკავეს და ვერ შეძლო გაქცევა.

წინა შემთხვევისაგან განსხვავებულად დაკვალიფიცირდა შემდეგი ქმედება: რაიონულმა სასამართლომ განიხილა ც.კ.-სა და მ.ხ.-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმე, სადაც ქმედება დაკვალიფიცირებულია სსკ-ის 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით. კერძოდ, მათ ჩაიდინეს დარცვა, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის. ზემოაღნიშნული დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში: მთვრალი ც.კ. და მ.ხ., იმყოფებოდნენ რა ერთ ერთ ქუჩაზე, მიწისქვეშა გადასავლელთან, შეამჩნიეს მიწისქვეშა გადასასვლელიდან ამომავალი ქალი, რომელსაც მხარზე გადაკიდებული ჰქონდა ხელჩანთა. ც.კ.-მ გამოჰგლიჯა მას ხელჩანთა და შეეცადა მიმალვას, ხოლო მ.ხ. ცდილობდა, ხელი შეეშალა დაზარალებულისათვის, რომ არ დადევნებოდა ც.კ.-ს, მაგრამ ისინი დააკავა პოლიციამ. საერთო ჯამში, მოქალაქე დაზარალდა 158 ლარით.

წინა შემთხვევასთან მსგავსებისა და ნაკლები ღირებულების ნივთის გატაცების მიუხედავად, ეს შემთხვევა შეფასდა დარცვად, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

როგორც დარცვის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, საბრალდებო დასკვნასა და განაჩენში ქმედებები, ძირითადად, სწორად არის დაკვალიფიცირებული. ამასთან, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო პრაქტიკა არ არის ერთგვაროვანი, გვხვდება შეცდომები ქმედებათა სამართლებრივ შეფასებაში. ასევე სასამართლოების მიერ დანიშნული სასჯელი დარცვის საქმეებზე ზოგჯერ არ შეესაბამება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, ბრალის ხარისხს, განსასჯელის პიროვნებას და აშკარად ლმობიერია. არაერთ განაჩენში დაუსაბუთებელია პირობითი მსჯავრის გამოყენების საჭიროება.

ვფიქრობთ, ზემოაღნიშნული ზოგიერთი შენიშვნა გათვალისწინებულ იქნება ამ კატეგორიის საქმეთა გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს.

მუხლი 179. ყაჩაღობა

1. ყაჩაღობა, ესე იგი თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლ-საწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის მუქართ, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) ჯგუფურად;

ბ) არაერთგზის;

გ) ბინაში, სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით;

დ) დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით;

ე) იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან თხუთმეტ წლამდე.

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი – „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, I, 2000, № 18, მუხ. 45-ე)

საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შორის ყაჩაღობა ყველაზე მძიმე დანაშაულია. სამწუხაროდ, მისი ხვედრითი წილი დანაშაულთა საერთო მასაში საკმაოდ დიდია. 2002 წელს საქართველოში ყაჩაღური თავდასხმის 225 შემთხვევა დაფიქსირდა.

ყაჩაღობა ერთდროულად ხელყოფს ორ სიკეთეს – საკუთრებას და ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. სწორედ ამით არის განპირობებული მისი განსაკუთრებული საშიშროება საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ სხვა დანაშაულთა შორის. საკუთრების ხელყოფა ყაჩაღობის დროს ხდება თავდასხმით, რომელსაც თან ახლავს ადამიანის სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა, ანდა ასეთი ძალადობის მუქარა.

თავდასხმის ქვეშ იგულისხმება დამნაშავის აგრესიული ქმედება, რომელიც დაზარალებულისათვის მოულოდნელად, უეცრად ხორციელდ-

ება და დაკავშირებულია ძალადობასთან. თავდასხმა უმეტეს შემთხვევაში ხდება აშკარად და აღიქმება დაზარალებულის მიერ. „ზოგჯერ შეიძლება თავდასხმის ფაქტი მის მიერ არც იყოს გააზრებული (მაგალითად, დანის ჩარტყმა ზურგში, მალულად სროლა და ა.შ.). თავდასხმა შეიძლება გამოიხატებოდეს ასევე დაზარალებულზე აშკარა ან ფარულ ზემოქმედებაში ნერვეულ-პარალიტიკური, ტოქსიკური ან სხვა გამაბრუებელი საშუალებით, რათა მან გონება დაკარგოს და დამნაშავემ დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით განხორციელოს დანაშაულებრივი საქმიანობა. ამგვარი ხასიათის ზემოქმედება ხშირად არ აღიქმება დაზარალებულის მიერ, მაგრამ იგი მაინც თავდასხმად უნდა იყოს მიჩნეული. ამასთან, თავდასხმად ვერ ჩაითვლება დაზარალებულზე ზემოქმედება ალკოჰოლის, ნარკოტიკული საშუალების ან სხვა გამაბრუებელი ნივთიერების გამოყენებით, თუ იგი ნებაყოფლობით იყო მიღებული დაზარალებულის მიერ.“¹

თავდასხმაზე, როგორც ყაჩაღობის დამოუკიდებელ ობიექტურ ნიშანზე, მხოლოდ პირობით შეიძლება ვილაპარაკოთ. ყაჩაღობის შემადგენლობა მხოლოდ მაშინ გვაქვს, თუ თავდასხმას თან ერთვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ან ასეთი ძალადობის მუქარა. ასე რომ, თავდასხმა და ძალადობა ორი განუყოფელი აგრესიული აქტია, რომელთა ორგანული ერთიანობა ყაჩაღობის შემადგენლობას გვაძლევს.

სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშ ძალადობად უნდა ჩაითვალოს დაზარალებულის ჯანმრთელობის მძიმე, ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი დაზიანება, ასევე ისეთი შემთხვევაც, როცა ჯანმრთელობა რეალურად არ დაზიანებულა, მაგრამ ძალადობა მისი განხორციელების მომენტში საშიშროებას ქმნიდა დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის (მაგალითად, დაზარალებულს თავზე პოლიეთილენის პარკი ჩამოაცვეს, წყლით სავსე კასრში თავი ჩააყოფინეს და ა.შ.). თუ ძალადობის შედეგად დადგა დაზარალებულის სიკვდილი, პირმა პასუხი უნდა აგოს დანაშაულთა ერთობლიობით – ყაჩაღობისა და განზრახ ან გაუფრთხილებლობით სიცოცხ-

¹ მ. ლეკვიშვილი, გ. მამულაშვილი, პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის. თბილისი, 1999, გვ. 31.

ლის მოსპობისათვის, რადგან სასიკვდილო შედეგი არ არის მოცული ყაჩაღობის შემადგენლობით.

* * *

ფიზიკური ძალადობით ნივთის დაუფლებისას სასამართლო პრაქტიკაში სირთულეებია ყაჩაღობისა და ძალადობრივი ძარცვის გამიჯვნის თვალსაზრისით.

გ.ს-ძეს, ჯ.ბ-ძესა და რ.მ-ძეს მსჯავრი დაედოთ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის „ა“ პუნქტით (ყაჩაღობა, ჩადენილი ჯგუფურად). საქმის ფაბულა სააპელაციო პალატის განაჩენის მიხედვით ასეთია: 2001 წლის 24 მარტს, დაახლოებით 01 საათზე, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ფერიამში, სოფლის შესასვლელ გზაზე, გ.ს-ძე, ჯ.ბ-ძე და რ.მ-ძე თავს დაესხნენ თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ი.ო-ენს. ფიზიკური ძალისა და დანის გამოყენებით გადაიყვანეს იგი ახლოს მდებარე შენობის ნანგრევებში, სადაც კედელზე თავის რამდენჯერმე მირტყმევიანებით სხეული მსუბუქად დაუზიანეს, რასაც შედეგად მოჰყვა ჯანმრთელობის მოშლა ხანმოკლე ვადით. თავდამსხმელებმა მიისაკუთრეს ი.ო-ენის კუთვნილი ფული და სხვა ნივთები. სულ დაზარალებულს წაართვეს 1486 აშშ დოლარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ მსჯავრდებულთა ქმედება სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტიდან გადააკვალიფიცირა 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ და „დ“ პუნქტებზე (ძარცვა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის მუქარით). კვალიფიკაციის შეცვლას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ პალატამ არ მიიჩნია დადასტურებულად მსჯავრდებულ გ.ს-ძის მიერ დანის გამოყენების ფაქტი. პალატის განჩინებაში ვკითხულობთ: სასამართლომ გაიზიარა დაზარალებულ ი.ო-ენის განმარტება, თითქოს გ.ს-ძეს ხელში ეჭირა დანა და მისი გამოყენებით დაემუქრა, რასაც თვით გ.ს-ძე და მასთან ერთად მსჯავრდებული პირები ჯ.ბ-ძე და რ.მ-ძე კატეგორიულად უარყოფენ. დადგენილია ის გარემოებაც, რომ დანით დაზიანებას ადგილი არ ჰქონია. ამდენად, დარჩა მხოლოდ

დაზარალებულის ჩვენება, რომელიც სხვა რაიმე ობიექტური საბუთით არ დასტურდება.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 132-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ეჭვი დამნაშავედ პირის ცნობისათვის მტკიცებულების უტყუარობისა და მისი საკმარისობის თაობაზე უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ, თუ ეჭვი არ შეიძლება გაბათილდეს დამატებით მტკიცებულებათა შეფასებით.

კანონის აღნიშნული მოთხოვნიდან გამომდინარე, ეჭვი, თითქოს მსჯავრდებულ გ.ს-ქს დაზარალებულისათვის ფულისა და სხვა ნივთების წართმევის დროს ჰქონდა დანა, არ დასტურდება და ამიტომ ეს ეჭვი მსჯავრდებულთა სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს, მით უმეტეს, არ არსებობს დამატებით მტკიცებულებათა მოპოვების შესაძლებლობა“¹.

როგორც ვხედავთ, საკასაციო პალატის განჩინებაში ყურადღება გამახვილებულია მსჯავრდებულ გ.ს-ძის მიერ დანის გამოყენების დაუდასტურებლობაზე, რაც საფუძვლად დაედო კვალიფიკაციის შეცვლას. კერძოდ, ქმედების გადაკვალიფიცირებას 179-ე მუხლიდან 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ პუნქტზე (ძარცვა ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის მუქარით). ჩემი აზრით, მსჯავრდებულთა ქმედება, მათ მიერ დანის გამოყენებლობის შემთხვევაშიც კი ყაჩაღობისათვის დამახასიათებელ ნიშნებს შეიცავს. საკასაციო პალატამ საეჭვოდ მიიჩნია მხოლოდ დანის გამოყენების ფაქტი და არა სააპელაციო სასამართლოს განაჩენში მითითებული სხვა ფაქტები. კერძოდ ის, რომ დაზარალებულს თავს დაესხნენ ღამით, დაახლოებით 01 საათზე, შეიყვანეს ახლოს მდებარე შენობის ნანგრევებში, სადაც კედელზე თავის რამდენჯერმე მირტყმევიებით სხეული მსუბუქად დაუზიანეს, რასაც შედეგად მოჰყვა ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა. ეს გარემოებები, რომელთა უტყუარობა პალატის განჩინებაში ეჭვქვეშ არ არის დაყენებული, მიუთითებს იმაზე, რომ ადგილი ჰქონდა ჯანმრთელობისათვის საშიშ ძალადობას, რომელიც აფუძნებს ყაჩაღობის და არა ძარცვის შემადგენლობას. 179-ე მუხლის დისპოზიციაში

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2002, № 4; გვ. 421.

მითითებულია სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის საშიშ ძალადობაზე. ძალადობრივი ძარცვის შემადგენლობა კი მაშინ გვაქვს, როცა ძალადობა არ არის საშიში სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის, ე.ი. „მან არ უნდა შექმნას საშიშროება სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მისი გამოყენების მომენტში, მით უფრო, არ უნდა მიაყენოს დაზარალებულის ჯანმრთელობას რეალური ზიანი“¹. სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში გაბატონებული თვალსაზრისის თანახმად, ძარცვის დროს „ლაპარაკია ისეთ ძალადობაზე, რომელიც არ ქმნის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ჯანმრთელობის განზრახ მძიმე, ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი დაზიანების დანაშაულის შემადგენლობას, ვინაიდან ამ დროს არ ხდება ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა ან საერთო შრომის უნარის უმნიშვნელო ან არამყარი დაკარგვაც კი“². თუ ძალადობამ გამოიწვია ჯანმრთელობის თუნდაც მსუბუქი დაზიანება ან რეალური საფრთხე შეუქმნა ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, გვექნება ყარალობის და არა ძარცვის შემადგენლობა³.

ძარცვისათვის დამახასიათებელ ძალადობად უნდა მივიჩნიოთ ცემა, დარტყმა და სხვა მოქმედებები, რომლებიც დაკავშირებულია დაზარალებულისათვის ფიზიკურ ტკივილთან, მაგრამ არ გამოუწვევია ჯანმრთელობის მოშლა. აქ იგულისხმება სხეულის ზედაპირული დაზიანებები მცირე ჭრილობების, სისხლნაჟღენთების, დაჟეჟილობების სახით, როდესაც მართალია, სხეულის ანატომიური მთლიანობა დარღვეულია, მაგრამ იგი იმდენად უმნიშვნელო ზარისხისაა, რომ არ გამოუწვევია არც ავადმყოფობა და არც რომელიმე ორგანოს ფუნქციის მოშლა.

ძალადობას, რომელიც არ არის საშიში სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, მიეკუთვნება ასევე დაზარალებულისათვის თავისუფლების

¹ ზ. წულაია, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, ტომი II, თბ., 2001 წ., გვ. 59.

² მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი, პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის, თბ., 1999, გვ. 28.

³ იხ. ზ. წულაია, დასახ. ნაშრ., გვ. 59-60, 62.

Комментарий к Уголовному кодексу Российской Федерации, М., 1999, с.357, 359; Уголовное право России, Особенная часть, М., 1996, с. 128.

აღკვეთა ან მისი შეზღუდვა, თუ ეს მოქმედებანი მიმართულია იქითკენ, რომ დაძლიონ დაზარალებულის წინააღმდეგობა.

თუ ძალადობის შედეგად დაზარალებული უფრო სერიოზულად დაზიანდა, უნდა დადგეს ყაჩაღობისათვის პასუხისმგებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ მოტანილ მაგალითში მსჯავრდებულებს პასუხი უნდა ეგოთ არა სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ და „დ“ პუნქტებით, არამედ 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით (ყაჩაღობა, ჩადენილი ჯგუფურად).

ამრიგად, თუ ძალადობის შედეგად დაზარალებულმა მიიღო ჯანმრთელობის მსუბუქი ხარისხის დაზიანება, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს არა სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ პუნქტით (ძარცვა ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის მუქარით), არამედ 179-ე მუხლით (ყაჩაღობა).

* * *

შეცდომები ქმედების კვალიფიკაციისას გვხვდება მაშინაც, როცა ძალადობის შედეგად დაზარალებულმა მიიღო ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება.

2000 წლის 4 აპრილს, მთვრალი ზ.ბ-შვილი ორ მეგობართან ერთად იმყოფებოდა ქ. თბილისში, გლდანის რაიონის საკოლმეურნეო ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე. დაახლოებით 23 საათისთვის მათ შენიშნეს მეტრო „ახმეტელის“ მხრიდან მათკენ მომავალი გ.ნ-ური, რომელსაც ზ.ბ-შვილი შორიდან იცნობდა. როცა დარწმუნდნენ, რომ ირგვლივ არავინ იყო, გადაწყვიტეს თავს დასხმოდნენ მას და წაერთმიათ ლაბადა და ფული. ზ.ბ-შვილი მივიდა გ.ნ-ურთან და დაუწყო საუბარი. ამ დროს მისმა მეგობარმა კი თავში აგური ჩაარტყა, რის შედეგად ნ-ური წაიქცა. წაქცეულს სამივემ დაუწყო ცემა. როცა დარწმუნდნენ, რომ ნ-ურს წინააღმდეგობის თავი აღარ ჰქონდა, გახადეს ლაბადა, ტყავის ყილეტი, ამოაცალეს ფული და უგონო მდგომარეობაში მყოფი მიატოვეს ქუჩაში. დაზარალებული გონს რომ მოვიდა, ღამის 02 საათისათვის მოახერხა მისვლა მახლობლად მცხოვრები მეგობრის სახლში, რომელმაც დახმარება აღმოუჩინა.

გან-ურს დაუდგინდა დიაგნოზი: მარცხენა ნეკნისა და ცხვირის ძვლების მოტეხილობა, დაუეცილი ჭრილობები თხემ-კეფის მიდამოში. დაზიანებები განისაზღვრა როგორც ნაკლებად მძიმე ხარისხის, რასაც შედეგად მოჰყვა ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლა.

ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონულმა სასამართლომ ზ.ბ-შვილს მსჯავრი დასდო 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 92-ე მუხლის მე-2 ნაწილით (გადარცვა ძალადობის გამოყენებით, რაც საშიში არ არის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის, ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით) და III-ე მუხლის პირველი ნაწილით (სხეულის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება)¹.

დამნაშავეის ქმედების ასეთი კვალიფიკაცია არასწორად უნდა ჩაითვალოს.

როგორც აღნიშნული იყო, ძალადობრივი ძარცვის შემადგენლობა მაშინ გვექნება, როცა ძალადობა არ არის საშიში სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის. ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება, მართალია, საშიში არ არის სიცოცხლისათვის, მაგრამ დაკავშირებულია ჯანმრთელობის ხანგრძლივ მოშლასთან ან საერთო შრომისუნარიანობის მყარ, ერთ მესამედზე ნაკლებად დაკარგვასთან. ცხადია, თუ ძალადობის შედეგად დაზარალებულს ჯანმრთელობა დაუზიანდა, შეუძლებელია ჩავთვალოთ, რომ ასეთი ძალადობა არ არის საშიში ჯანმრთელობისათვის.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მითითებულ მაგალითში ბ-შვილს პასუხი უნდა ეგო არა სსკ-ის 92-ე და III-ე მუხლების ერთობლიობით, არამედ მხოლოდ 96-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი პუნქტით (ყაჩაღობა პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით).

ამასთან, სასამართლოებმა მხედველობაში უნდა იქონიონ, რომ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა, რაც დამახასიათებელია ყაჩაღობისათვის, მოიცავს დაზარალებულის ჯანმრთელობის მძიმე, ნაკლებად მძიმე ან მსუბუქ დაზიანებას და დამატებით სსკ-ის შესაბამისი მუხლებით (117-ე, 118-ე, 120-ე) კვალიფიკაცია საჭირო არ არის.

¹ დანაშაულის დანარჩენი ორი თანაამსრულებელი განაჩენის გამოტანის მომენტი-სათვის იმალებოდა.

გლდანი-ნაძალადევის რაიონულმა სასამართლომ დ.ბ-ძეს მსჯავრი დასდო საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით და 118-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება) და შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა შვიდი წლის ვადით. თბილისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატამ განაჩენი როგორც კვალიფიკაციის, ასევე სასჯელის ნაწილში უცვლელად დატოვა.

2002 წლის 5 მარტს, დაახლოებით 21 საათზე, დ. ბ-ძე (წარსულში რამდენჯერმე სასამართლევი) ქუჩაში შეუმჩნეველად აედევნა არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფ თ.ქ-შვილს, შეჰყვა სადარბაზოში, გაუსწრო კიბეებზე, უცებ მოტრიალდა და მთელი ძალით დაარტყა მუშტი სახეში, რის შედეგადაც ქ-შვილი წაიქცა. ბ-ძემ ფეხებით განაგრძო მისი ცემა, შემდეგ გაუჩხრიკა ჯიბეები, ამოაცალა მობილური ტელეფონი და მიიმალა. ყაჩაღური თავდასხმის შედეგად ქ-შვილმა მიიღო ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება (ცხვირის ძვლებისა და მარცხენა ყვრიმალის რკალის მოტეხილობა).

ბრალდებული დ.ბ-ძე როგორც წინასწარი გამოძიების, ასევე სასამართლო განხილვისას აღნიშნავდა, რომ მას ყაჩაღობა არ ჩაუდენია და მოითხოვდა მისი ქმედების გადაკვალიფიცირებას 179-ე მუხლიდან 178-ე მუხლზე (ძარცვა). ამასთან დაკავშირებით სასამართლოს განაჩენში აღნიშნულია: „... ყაჩაღობა ეს არის თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რომელიც ჩადენილია ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის მუქარით. მოცემულ შემთხვევაში სახეზე გვაქვს დაზარალებულ თ.ქ-შვილისათვის განსასჯელის მხრიდან ჯანმრთელობისათვის საშიში დაზიანება, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი დაეუფლა დაზარალებულის კუთვნილ მობილურ ტელეფონს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ განსასჯელის ქმედება ამ ნაწილში სწორად არის დაკვალიფიცირებული და ამდენად არ იქნება გაზიარებული დ.ბ-ძის განცხადება, რომ თავისი ქმედებით ჩაიდინა ძარცვა და არა ყაჩაღური თავდასხმა“ (სტილი დაცულია, – თ.ე.).

სასამართლო სწორად მოიქცა, როცა განსასჯელის ქმედება ყაჩაღობად (და არა ძარცვად) მიიჩნია, რადგან როგორც განაჩენშია

აღნიშნული, ადგილი ჰქონდა ჯანმრთელობისათვის საშიშ ძალადობას, რასაც მოიცავს ყაჩაღობის შემადგენლობა. სწორი მსჯელობის მიუხედავად, სასამართლო ბოლომდე თანმიმდევრული არ აღმოჩნდა. „ჯანმრთელობისათვის საშიში დაზიანება“, რაზეც სასამართლოს განაჩენშია მითითებული, მოცემულ შემთხვევაში გამოიხატა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებით. თუკი ყაჩაღობის შემადგენლობა მოიცავს ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებას, მაშინ, ცხადია, დანაშაულთა ერთობლიობით ქმედების კვალიფიკაცია საჭირო არ არის და დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს მხოლოდ სსკ-ის 179-ე მუხლით – ყაჩაღობისათვის.

აღსანიშნავია, რომ მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ ქმედება დააკვალიფიცირა 179-ე და 118-ე მუხლების ერთობლიობით, მაგრამ სასჯელი განსაზღვრა არა თითოეული დანაშაულისათვის ცალცალკე, როგორც დანაშაულთა ერთობლიობის დროს უნდა მოხდეს, არამედ პირდაპირ დანიშნა საბოლოო სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა შვიდი წლის ვადით.

ჩემი აზრით, მხოლოდ 179-ე მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს ისეთი შემთხვევა, როცა თავდასხმის დროს განხორციელებული ძალადობის შედეგად დაზარალებულმა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიიღო. ასეთი შემთხვევების კვალიფიკაცია სსკ-ის 179-ე და 117-ე მუხლების ერთობლიობით ნიშნავს, რომ ყაჩაღობის შემადგენლობა არ მოიცავს ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას. მაშასადამე, გამოდის, რომ ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება არ ყოფილა „სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში“, რაც, ცხადია, სინამდვილეს არ შეესაბამება.

ამ საკითხთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია სსკ-ის 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სანქციის (თავისუფლების აღკვეთა სამიდან ათ წლამდე) გაზრდა ისე, რომ იგი გაუთანაბრდეს დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისათვის დაწესებული სასჯელის (თავისუფლების აღკვეთა ხუთიდან თორმეტ წლამდე) მაქსიმუმს. როცა ყაჩაღური თავდასხმის დროს დაზარალებულს ჯანმრთელობა მძიმედ დაუზიანეს, ვთქვათ, განსაკუთრებული სისასტიკით, პირმა პასუხი უნდა აგოს

სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, თუ ყაჩაღობის რომელიმე დამამძიმებელი გარემოება არ არსებობს. ასეთ შემთხვევებში, ცხადია, მიზანშეუწონელი იქნება დამნაშავეს უფრო მსუბუქი სასჯელი შეეფარდოს, ვიდრე განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისათვის არის დაწესებული.

* * *

ზემოთ მოტანილი მაგალითები შეეხებოდა ფიზიკური ძალადობით ჩადენილ ყაჩაღობას. ყაჩაღობისა და ძალადობითი ძარცვის გამოჯენა მეტ სირთულეებთანაა დაკავშირებული მაშინ, როცა ადგილი ჰქონდა არა ფიზიკურ ძალადობას, არამედ ძალადობის გამოყენების მუქარას. ყაჩაღობის შემადგენლობა გულისხმობს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის (მოკვლის, ჯანმრთელობის დაზიანების და ა.შ.) დაუყოვნებლივ გამოყენების მუქარას, თუ დამნაშავეს მხრიდან ნივთის გადაცემის მოთხოვნა არ შესრულდება. როცა მუქარის შინაარსი დაკონკრეტებულია („მოგკლავ“, „დაგჭრი“, „დაგასახიჩრებ“ და ა.შ.), ყაჩაღობისა და ძალადობითი ძარცვის გამოჯენა სირთულეს არ წარმოადგენს. თუ მუქარის შინაარსი დაკონკრეტებული არ არის ან დამნაშავე ქონების გადაცემის მოთხოვნისას საერთოდ არ წარმოთქვამს მუქარის შემცველ სიტყვებს, ქმედების კვალიფიკაციის საკითხი უნდა გადაწყდეს დამნაშავეს მოქმედების ხასიათიდან გამომდინარე, საქმის ყველა გარემოებათა მხედველობაში მიღებით (დანაშაულის ჩადენის ადგილი, დრო, დამნაშავეთა რაოდენობა, საგნები, რომლებიც მათ ხელთ უპყრიათ დანაშაულის ჩადენისას და ა.შ.) ასევე გასათვალისწინებელია დაზარალებულის ასაკი, სქესი, ფიზიკური და ფსიქიკური თავისებურებანი.

მუქარა ყაჩაღობის დროს რეალური უნდა იყოს. უნდა არსებობდეს რეალური საფრთხე იმისა, რომ იგი ნამდვილად განხორციელდება, თუ დაზარალებული ქონების გადაცემის მოთხოვნას არ დააკმაყოფილებს. დაზარალებულმაც ასევე უნდა აღიქვას მუქარის შინაარსი. იგი უნდა გრძნობდეს, რომ მისი სიცოცხლე ან ჯანმრთელობა საფრთხეშია. ამასთან აუცილებელი არ არის, დაზარალებული დარწმუნებული იყოს, რომ მუქარა რეალიზებული იქნება. საკმარისია მას ამის საფუძვლიანი ეჭვი შეექმნას.

თუ ნივთის გადაცემის მოთხოვნისას დამნაშავე ემუქრება დაზა-

რალებულს ძალადობის გამოყენებით, მაგრამ ეს უკანასკნელი ხედავს, რომ მუქარა ვერ განხორციელდება, რადგან დამნაშავეს არა აქვს ამის ფიზიკური შესაძლებლობა, გამორიცხულია როგორც ყაჩაღობის, ასევე ძალადობით ძარცვის შემადგენლობის არსებობა, სათანადო პირობების არსებობისას ქმედება შეიძლება დაკვალიფიცირდეს 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

თიანეთის რაიონის მკვიდრი ლ.ა-ული სტუმრად იმყოფებოდა თბილისში, ხევეძარის ქ. № ... ში მცხოვრებ ნათესავთან, ა.ბ-ულთან. 2000 წლის 25 დეკემბერს, დაახლოებით 23 საათზე, ლ.ა-მ მეტროსადგურ „ახმეტელთან“ არსებულ საკოლმეურნეო ბაზარში უცნობ პირებთან ერთად დალია სპირტიანი სასმელები. ვინაიდან გზის ფული არ ჰქონდა, ფეხით წავიდა ა.ბ-ს სახლისაკენ. შეშელიძის ქუჩაზე მან შენიშნა გაზის გასამართი სადგურის საყარაულო ჯიხური, სადაც სინათლე ენთო. ა-მ დარაჯს – ზ.ჩ-შვილს სთხოვა კარების გაღება, შევიდა ჯიხურში და მოსთხოვა ორი ლარი. როდესაც ზ.ჩ-შვილმა ფულის მიცემაზე უარი განუცხადა, ა-მ, რომელიც სიმთვრალისაგან ფეხზე ძლივს იდგა, უთხრა – აგჩეხავო. ჩ-შვილმა ხელის კვრით გააგდო იგი ჯიხურიდან, რის შემდეგაც თვითონაც გამოვიდა, ბოქლომით დაკეტა კარები და წავიდა. ჯიხურთან დარჩენილმა ა-მ გატეხა ჯიხურის ფანჯრის მინა, შევიდა შიგნით და გაიტაცა ლამფა, ნავთქურა და ვედრო, რომელშიც იღო გაზის გასამართი მოწყობილობები და დეტალები: რედუქტორები, რეზინები, ქანჩები და ა.შ. სულ 97 ლარის ღირებულების ნივთები. იგი დააკავეს იმავე დღეს ნათესავის – ა.ბ-ს სახლში და გატაცებული ნივთები ამოიღეს.

ლ.ა. მიცემულ იქნა პასუხისგებაში და სამართალში სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის „გ“ პუნქტით – „ბინაში, სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით ჩადენილი ყაჩაღობისათვის“. გლდან-ნაძალადევის რაიონულმა სასამართლომ პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე მოუხსნა მას ყაჩაღობისათვის წარდგენილი ბრალდება და მსჯავრი დასდო სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით (ქურდობა ბინაში, სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით).

ჩემი აზრით, სასამართლომ სწორად დააკვალიფიცირა ლ.ა-ს ქმედება. მოცემულ მაგალითში ადგილი არ ჰქონია თავდასხმას, რასაც თან ერთვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში

ძალადობა ან ასეთი ძალადობის მუქარა. დამნაშავეის მოქმედება მოწყალების სათხოვნელად მისული კაცის ქცევას უფრო ჰგავდა, ვიდრე თავდასხმას. რაც შეეხება სიტყვიერ მუქარას („აგჩეხავ“), იგი არ შეიძლება ჩაითვალოს დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის რეალური საფრთხის შექმნად. დამნაშავეს, რომელიც სიმთვრალისაგან ფეხზე ძლივს იდგა, არ შეეძლო არათუ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში, არამედ, საერთოდ, არანაირი ძალადობის განხორციელება დაზარალებულის მიმართ. ასევე აღიქვა მუქარის შინაარსი დაზარალებულმაც. ამას მოწმობს მათი შემდგომი ქცევაც. ზ.რ-შვილმა ხელის კვრით გააგდო გარეთ ლ.ა., რის შემდეგაც ბოქლომით დაკეტა ჯიბურის კარები და წავიდა. ამ ხნის განმავლობაში, ა-ს არავითარი აგრესია არ გამოუვლენია დაზარალებულის მიმართ. იგი ჯიბურის გვერდით იდგა და თვალყურს ადევნებდა მის ქცევას, როდესაც დარწმუნდა, რომ ზ.რ-შვილი საკმაოდ შორს იყო წასული და მას ვერ დაინახავდა, ჩამბტვრია ფანჯრის მინა, გადაძვრა ჯიბურში და გაიტაცა სხვადასხვა ნივთები. აქედან გამომდინარე, ლ.ა-ს ქმედება შეიცავს სხვისი ქონების ფარული დაუფლების ნიშნებს და მას სწორად დაედო მსჯავრი ქურდობისათვის.

* * *

თავდასხმა იარაღის გამოყენებით ყოველთვის ყაჩაღობად უნდა დაკვალიფიციროდეს. მაშინაც კი, როცა ნივთის გადაცემის მოთხოვნისას დამნაშავე იარაღს არ უმიზნებს და არც გასროლით ემუქრება დაზარალებულს. მთავარია, ეს უკანასკნელი ხედავდეს, რომ დამნაშავე შეიარაღებულია. ცხადია, დამნაშავემაც იცის, რომ იარაღით თრგუნავს დაზარალებულის ნებას, რაც აადვილებს ქონების დაუფლების შესაძლებლობას.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარა ყაჩაღობის დროს რეალური და არა მოჩვენებითი უნდა იყოს. ერთი მხრივ, დამნაშავეს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ თავისი მოქმედებით რეალურ საფრთხეს უქმნის დაზარალებულის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ხოლო, მეორე მხრივ დაზარალებულიც უნდა გრძნობდეს, რომ მისი სიცოცხლე (ან ჯანმრთელობა) საფრთხეშია, თუ თავდასხმელის მოთხოვნას არ შეასრულებს და ქონებას არ გადასცემს. ამასთან დაკავშირებით წამოიჭრება საკითხი: როგორ უნდა დაკვალიფიციროდეს ისეთი შემთხვევა, როცა დამნაშავეს ხელთ

უპყრია იარაღი, რომელიც ცოცხალი მიზნის დაზიანებისათვის გამოუსადე-
გარია. მაგალითად, ტექნიკურად გაუმართავი ან თუნდაც სათამაშო
იარაღი, რომელიც გარეგნულად სავსებით ჰგავს ნამდვილს და ასეთ-
დაც აღიქვამს მას დაზარალებული?

ავტორთა უმეტესობა ასეთ ქმედებას ყაჩაღობად მიიჩნევს. ისინი
გამოდინან იქიდან, რომ უვარგისი იარაღის გამოყენებით თავდამ-
სხმელს ისევე შეუძლია დაზარალებულის ნების პარალიზება, როგორც
ნამდვილი და ტექნიკურად გამართული იარაღით თავდასხმისას.
დაზარალებული ფიქრობს, რომ მისი სიცოცხლე რეალურ საფრთხ-
ეშია, თუ თავდამსხმელისათვის ქონების გადაცემაზე უარს იტყვის.

სასამართლო პრაქტიკაშიც ასეთი შემთხვევები ყაჩაღობად კვალ-
იფიცირდება.

2001 წლის 10 ოქტომბერს მ.მ-ძემ გლდანის მე-8 მკრ-ნის ტერ-
იტორიაზე, გზის ნაპირას, ბალახებში იპოვა პისტოლეტი. მან იარ-
აღი გასაყიდად წაიღო ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე, მაგრამ
გაყიდვა ვერ მოახერხა. ორი დღის შემდეგ კვლავ შეეცადა პისტო-
ლეტის გაყიდვას, მაგრამ არავინ არ იყიდა, რადგან იგი ტექნიკურად
გაუმართავი იყო. მ.მ-ძემ რკინიგზის სადგურის ერთ-ერთ ბუფეტში
არაყი დალია და ცირკისაკენ სასეირნოდ წავიდა. იქვე ასახვევთან
მან შენიშნა სიგარეტით მოვაჭრე ქალები. ერთ-ერთმა მათგანმა და-
კეტა ჯიხური და წავიდა. მ-ძემ გადაწყვიტა ნაპოვნი იარაღის გამოყ-
ენებით წაერთმია მისთვის ნავაჭრი თანხა. იგი აედევნა ქალს, მიაღო
იარაღი კისერზე და ფული მოსთხოვა. პოლიციის თანამშრომლების
დროული ჩარევის შედეგად მან ვერ შეძლო მიზნის მიღწევა.

ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მ-ძისაგან ამოღე-
ბული იარაღი არ მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგო-
რიას და აირით დამუხტული ვაზნებით სასროლ პისტოლეტს წარ-
მოადგენს. აირის პისტოლეტი ტექნიკურად გაუმართავი და სროლი-
სათვის უვარგისია (სასხლეტზე დაჭერისას სარტყამი (ჩახმაზი) არ
ურტყამს საცემელს (ნემსას)... საბრძოლო ზამბარის ღერძი გატეხ-
ილია, რის გამოც საბრძოლო ზამბარა თავის მოვალეობას ვერ
ასრულებს. ასევე დეფორმირებულია დამშვები წევა).

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 1 აპრი-
ლის განაჩენით მ.მ-ძეს მსჯავრი დაედო სსკ-ის 179-ე მუხლის 1-ლი
ნაწილით-ყაჩაღობისათვის.

ჩემი აზრით, ასეთი პრაქტიკა არასწორია. უვარგისი იარაღით თავდასხმა ობიექტურად არ ქმნის საშიშროებას დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. სსკ-ის 179-ე მუხლის თანახმად ყაჩაღობის შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია სწორედ „აღამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ანდა ასეთი ძალადობის მუქარა“. ქმედება მხოლოდ დაზარალებულის სუბიექტური წარმოდგენით კი არ უნდა იყოს საშიში მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, არამედ ობიექტურადაც. ყაჩაღობის დროს ძალადობა ან ძალადობის მუქარა რეალურ (და არა მოჩვენებით) საფრთხეს უნდა უქმნიდეს დაზარალებულის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. უვარგისი იარაღით თავდასხმისას კი ასეთი რეალური საფრთხე არ არსებობს. ამიტომ ეს ქმედება ყაჩაღობის შემადგენლობაში ვერ თავსდება¹. ამაზე ისიც მიუთითებს, რომ საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი ყაჩაღობის გვერდით ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას უვარგისი იარაღით თავდასხმისათვის. პროექტის 185-ე მუხლით ისჯებოდა „უვარგისი იარაღით თავდასხმა სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით, თუ თავდაშსხმელმა იცოდა, რომ იყენებდა უვარგის იარაღს, ხოლო დაზარალებულმაც ის ნამდვილ იარაღად აღიქვა“. სამწუხაროდ, ეს მუხლი პროექტის საბოლოო ვარიანტში არ იქნა შეტანილი. სასამართლო პრაქტიკა კი, როგორც აღვნიშნეთ, ასეთ ქმედებას ყაჩაღობად მიიჩნევს. ჩემი აზრით, უმჯობესი იქნებოდა ტექნიკურად გაუმართავი ან სათამაშო იარაღით თავდასხმის შემთხვევები დაკვალიფიცირებულიყო სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ პუნქტით (ძარცვა ძალადობით). ოღონდ სასჯელის განსაზღვრისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ის გარემოება, რომ უვარგისი იარაღით თავდასხმა გაცილებით უფრო დამთრგუნველად მოქმედებს დაზარალებულზე, ვიდრე ძარცვის ტიპური შემთხვევები. დაზარალებულს ჰგონია, რომ მისი სიცოცხლე რეალურ საფრთხეშია. ეს კი აადვილებს თავდამსხმელისათვის ქონების გადაცემის შესაძლებლობას. ამიტომ დამნაშავე

¹ ამ საკითხზე იხილეთ: ოთარ გამყრელიძე, უვარგისი იარაღით თავდასხმა სხვისი ქონების დაუფლებისათვის. წიგნში „ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის“, თბ., 1998, გვ. 209–212.

178-ე მუხლით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში უფრო მკაცრად უნდა დაისაჯოს.

იბადება კითხვა: ხომ არ გამოიწვევს უვარგისი იარაღით თავდასხმის ძარცვის მუხლით კვალიფიცირება დამნაშავეთა მსუბუქ დასჯას? ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოები აკვალიფიცირებენ რა ასეთ ქმედებას სსკ-ის 179-ე მუხლით, სასჯელის დანიშვნისას მაინც ითვალისწინებენ, რომ იგი არ ქმნიდა რეალურ საშიშროებას დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. ამიტომ ამ მუხლით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში ცდილობენ დამნაშავეს ნაკლებად მკაცრი სასჯელი შეუფარდონ. ზემოთ მოტანილ მაგალითში მ-მეს სასჯელის ზომად განესაზღვრა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით. ე.ი. კანონით გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმი (179-ე მუხლი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამიდან ათ წლამდე). ასეთი სასჯელის შეფარდება სავსებით შესაძლებელი იქნებოდა 178-ე მუხლის მე-2 ნაწილით მსჯავრდების შემთხვევაშიც, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამიდან შვიდ წლამდე. რა თქმა უნდა, გამორიცხული არ არის უვარგისი იარაღით თავდასხმის ისეთი შემთხვევების არსებობაც, როცა ძარცვისათვის გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელიც კი არ შეესაბამება ჩადენილი ქმედების საშიშროებას. ცხადია, უმჯობესი იქნებოდა უვარგისი იარაღით თავდასხმა დამოუკიდებელი დანაშაულის სახით იყოს გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსში, რადგან, როგორც მართებულად აღნიშნავს პროფ. ო. გამყრელიძე, ეს ქმედება თავისებური იურიდიული ბუნების მქონე დელიქტს ქმნის და განსხვავდება როგორც ძარცვის, ასევე ყაჩაღობისაგან.¹ მანამდე კი, ნორმათა კონკურენციის პირობებში, ჩემი აზრით, უპირატესობა იმ ნორმას უნდა მიეცეს, რომელიც ნაკლებად მკაცრ სასჯელს ითვალისწინებს.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 23 სექტემბრის განაჩენი მ.დ-ძისა და ზ.ბ-შვილის მიმართ.

¹ ო. გამყრელიძე, დასახ. ნაშრომი.

2001 წლის 29 აგვისტოს, დაახლოებით 06 საათზე, შ.პ.ს. „პიროვნების დაცვის გარანტიის“ თანამშრომელი მ.დ-მე საკუთარი ავტომანქანით მეგობართან, იმავე ფირმის თანამშრომელ ზ.ბ-შვილთან ერთად მოძრაობდა ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირიდან საბურთალოს მიმართულებით. ორივე ნასვამი იყო. მ.დ-მე აღეგნა წითელი ფერის ჟიგულს, წამოეწია სასტუმრო „აჭარის“ მიმდებარე ტერიტორიაზე და მძღოლს – შ.უ-შვილს თავი წარუდგინა რა პოლიციის თანამშრომლად, მოსთხოვა გადაეყენებინა ავტომანქანა. უ-შვილი დაემორჩილა მის მოთხოვნას და მანქანა გააჩერა სასტუმრო „აჭარის“ წინ, ავტოსადგომზე. მ. დ-მე სათანადო ნებართვით ატარებდა საფანტის სისტემის პისტოლეტს. მას მანქანაში ჰქონდა მეგობრის კუთვნილი მეორე ასეთივე პისტოლეტი, რომელიც გადასცა ზ.ბ-შვილს. ორივენი გადმოვიდნენ მანქანიდან და გაემართნენ შ.უ-შვილის მანქანისაკენ. მათ იარაღის მუქარით (შუბლზე მიდებით) წაართვეს უ-შვილს მობილური ტელეფონი, მანქანის მაგნიტოფონი და კასეტები, ჯიბიდან ამოაცალეს ფული, ხოლო უ-შვილთან მყოფ მის მეგობარს შეხსნეს მაჯის საათი. მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულები იარაღის შიშით უსიტყვოდ ასრულებდნენ მათ მოთხოვნებს, ისინი ორივეს ხელებითა და იარაღის ტარით სცემდნენ, რადგან „ნადავლით“ უკმაყოფილონი იყვნენ. როდესაც დასცილდნენ დაზარალებულებს, ბ-შვილმა დაუბრუნა დ-მეს პისტოლეტი. შემთხვევის ადგილიდან ისინი ვაგზლის ბაზრობაზე გაემართნენ, სადაც ნივთები გაყიდეს და თანხა შუაზე გაიყვეს.

დ-მე და ბ-შვილი მისცეს სისხლის სამართლის პასუხისმგებებაში საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით (ყაჩაღობა, ჩადენილი ჯგუფურად).

სასამართლო პაექრობისას პროკურორმა შეცვალა განსასჯელთა მიმართ წარდგენილი ბრალდება და იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე, რომ მათ პასუხისმგებლობა დაკისრებოდათ 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „დ“ პუნქტებით (ძარცვა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის მუქარით). პროკურორის მიერ ბრალდების შეცვლას დაზარალებულმაც დაუჭირა მხარი.

რაიონული სასამართლოს განაჩენით მ.დ-ძე და ზ.ბ-შვილი ყაჩაღობისათვის წარდგენილ ბრალდებაში გაამართლეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 504-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის საფუძველზე („განსასჯელს არ ჩაუდენია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება“). მათ მსჯავრი დაედოთ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „დ“ პუნქტებით. სასამართლოს განაჩენში ვკითხულობთ: „საბრალდებო დასკვნის ავტორის მიერ განსასჯელთა მიმართ არასწორად არის შერაცხული საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, რადგან სსკ-ის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილით „ქმედება პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას“. განსასჯელებს ბრალად ედებათ დანაშაულის ჩადენა საფანტიანი პისტოლეტებით. ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით კი მ. დ-ძისაგან ამოღებული პისტოლეტები არ მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას და, ბუნებრივია, აღნიშნული იარაღით ძალადობა და მუქარა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის რეალურ საფრთხეს არ უქმნიდა დაზარალებულს, რაც ყაჩაღობის მაკვალიფიცირებელი ნიშანია“ (სტილი დაცულია – თე.).

ზემოთ მითითებული ნაწყვეტი განაჩენიდან ჩვენთვის საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ სასამართლოს ყაჩაღობის შემადგენლობის აუცილებელ ნიშნად „დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის რეალური საფრთხის შექმნა“ მიაჩნია. რაკი მან ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში ასეთი რეალური საფრთხე არ შექმნილა, გამორიცხა ყაჩაღობის შემადგენლობის არსებობა, რაც დაუკავშირა დამნაშავეთა მიერ მართლწინააღმდეგობის შეგნების არარსებობას. მოსამართლის მსჯელობა სწორი და ლოგიკურად დასაბუთებულია. ენახოთ, რამდენად სწორად შეაფასა სასამართლომ საქმის ფაქტობრივი გარემოებები. კერძოდ, სწორია თუ არა ის დასკვნა, რომ დამნაშავეთა მიერ გამოყენებული იარ-

აღებით თავდასხმა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის რეალურ საფრთხეს არ უქმნიდა დაზარალებულებს.

დამნაშავეებმა დანაშაული ჩაიდინეს საფანტიანი პისტოლეტების გამოყენებით. საფანტიანი პისტოლეტი, თუ იგი ტექნიკურად გამართულია, სავსებით ვარგისია ცოცხალი მიზნის დაზიანებისათვის. ამაზე გარკვევით მიუთითებს საქმეში არსებული ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნა. ექსპერტს გამოსაკვლევეად წარედგინა მ.დ-ძისაგან ამოღებული ორი პისტოლეტი მჭიდებითა და ოთხი ცალი ვაზნით ექსპერტიზის დასკვნაში ვკითხულობთ: „გამოკვლევაზე წარმოდგენილი ორი ცალი პისტოლეტი წარმოადგენს საფანტით დამუხტული ვაზნებით სასროლ პისტოლეტებს. პისტოლეტები ქარხნული წესით არის დამზადებული... ვაზნების ბრძოლისუნარიანობის დადგენის მიზნით, მოხდა მათი ექსპერიმენტული გასროლა წარმოდგენილი პისტოლეტებიდან (თითო ვაზნა თითო პისტოლეტიდან). გასროლა პისტოლეტებიდან წარიმართა შეფერხების გარეშე, რაც მიგვითითებს პისტოლეტების ვარგისიანობაზე სროლისათვის და ვაზნების ბრძოლისუნარიანობაზე...“ დასკვნით ნაწილში დაფიქსირებულია, რომ: 1. წარმოდგენილი პისტოლეტები არ მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას; 2. წარმოდგენილი პისტოლეტები სროლისათვის ვარგისია; 3. ვაზნები სროლისათვის ვარგისია.

ამრიგად, პისტოლეტები, რომლებიც დამნაშავეებს ხელში ეჭირათ დანაშაულის ჩადენის დროს, სავსებით ვარგისი იყო ცოცხალი მიზნის დაზიანებისათვის. ამიტომ ასეთი პისტოლეტით თავდასხმა, ცხადია, რეალურ საფრთხეს უქმნიდა დაზარალებულთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. სწორედ ასეთად აღიქვა საფრთხე დაზარალებულებმა, რის გამოც უსიტყვოდ ასრულებდნენ დამნაშავეთა მოთხოვნებს. თავის მხრივ, დამნაშავეებსაც შეგნებული ჰქონდათ, რომ რეალურ საფრთხეს უქმნიდნენ დაზარალებულებს. ამიტომ ამ შემთხვევაში არ შეიძლება ვილაპარაკოთ „ისეთი ძალადობის მუქარაზე, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის“ (178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ პუნქტი). ის რომ, დამნაშავეთა მიერ გამოყენებული იარაღები არ მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას, ხელს ვერ შეუშლის ქმედების ყაჩაღობად დაკვალიფიცირებას, უფრო მეტიც, ყაჩაღობის შემადგენლობა გვექნება მაშინაც, როცა დამნაშავეს

ხელთ უპყრია არა ცოცხალი მიზნის დაზიანებისათვის სპეციალურად განკუთვნილი იარაღი, არამედ ამ მიზნით მომარჯვებული საყოფაცხოვრებო თუ სამეურნეო დანიშნულების სხვა საგანი (სამზარეულო დანა, სახრანისი, მძიმეწონიანი გირა და ა.შ.). ძარცვის მუხლით კი უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ ტექნიკურად გაუმართავი ან სათამაშო იარაღით თავდასხმა.

ჩვენს მაგალითში ქმედების არასწორმა დაკვალიფიცირებამ სსკ-ის 178-ე მუხლით დამნაშავეთათვის ზედმეტად ღმობიერი სასჯელის შეფარდება გამოიწვია. მდ-ძეს სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა სამი წლითა და ექვსი თვით. ზ.ბ-შვილს კი სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით (კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა) შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლითა და ოთხი თვით. ჩემი აზრით, დამნაშავეთათვის შეფარდებული სასჯელი აშკარად არ შეესაბამება მათ მიერ ჩადენილი ქმედების საშიშროებას. განსაკუთრებით ეს ითქმის ზ.ბ-შვილისათვის სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით სასჯელის დანიშვნაზე. ამგვარ გადაწყვეტილებას სასამართლოს განაჩენის მიხედვით საფუძვლად დაედო ის, რომ „ზ.ბ-შვილი პირველად არის სამართალში, ხასიათდება დადებითად, არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტი და სპორტსმენი“. სსკ-ის 55-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს „დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებით“ შეუძლია კანონით დაწესებული სასჯელის ზომის უმდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელის დანიშვნა, „თუ არსებობს განსაკუთრებული შემამსუბუქებელი გარემოება“. ასეთი გარემოება კი განსახილველ საქმეში ნამდვილად არ მოიპოვება. სასამართლოს განაჩენში აღნიშნული რამდენიმე გარემოება, რომელიც დამნაშავის პიროვნებას შეეხება, არ არის საკმარისი კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნისათვის.

* * *

როგორც აღნიშნული იყო, ყაჩაღობის შემადგენლობა გვექნება მაშინაც, როცა დამნაშავეს ხელთ აქვს არა ცოცხალი მიზნის დაზიანებისათვის სპეციალურად განკუთვნილი იარაღი, არამედ ამ მიზნით მომარჯვებული საყოფაცხოვრებო თუ სამეურნეო დანიშნულების სხვა საგანი.

2002 წლის 7 იანვარს გ.ა-შვილმა და ს.გ-იანმა მოილაპარაკეს თავს დასხმოდნენ ქ. თბილისში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარე ბენზინგასამართ სადგურს – „ეკო–დიდუბეს“. დაახლოებით 23 საათზე, ნასვამ მდგომარეობაში მყოფნი, ისინი მივიდნენ სადგურთან. გ.ა-შვილმა სადგურის დარაჯს – ა.ა-ოვს უთხრა, რომ მასთან საუბარი სურს და სთხოვა გაეღო ფანჯარა, რაზედაც დარაჯმა უარით უპასუხა. მაშინ ა-შვილმა მთელი ძალით რამდენჯერმე ხელი ჰკრა ფანჯარას და შეამტვრა. როდესაც დაინახა, რომ დარაჯი მარტოა, დაუძახა მანქანაში მჯდომ თავის ამხანაგს – ს.გ-იანს. ამ უკანასკნელმა მანქანიდან გადასვლისას აიღო სახრახნისი, რომელიც წინასწარ მისცა გ.ა-შვილმა, შემტვრეული ფანჯრიდან გადაძვრა ოთახში, ხელი ჰკრა დარაჯს და შიგნიდან გაუღო კარი გ.ა-შვილს. თან ხელში სახრახნისს ატრიალებდა. მათ მოსთხოვეს დარაჯს იქვე მდგომი პატარა სეიფის გაღება. როდესაც გაიგეს, რომ მას გასაღები არ ჰქონდა, ს.გ-იანმა აიღო ხელში სეიფი და ორივე გაემართა კარებისაკენ. გასვლისას გ.ა-შვილმა ორჯერ დაარტყა მუშტი სახეში ა.ა-ოვს და უთხრა – ხმა არ ამოიღო.

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ დამნაშავეებს მსჯავრი დასდო საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტებით.

სააპელაციო საჩივარში ს.გ-იანი მოითხოვდა მისი ქმედების გადაკვალიფიცირებას 178-ე მუხლზე. იგი აღნიშნავდა, რომ მათ სახრახნისი არ გამოუყენებიათ და არც მისი გამოყენებით დამუქრებიან დარაჯს. საქმის მასალებიც არ მიუთითებენ იმაზე, რომ ადგილი ჰქონდა თავდამსხმელთა მხრივ სიტყვიერ მუქარას. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მუქარა ყაჩაღობის დროს შეიძლება გამოიხატოს როგორც სიტყვიერად, ასევე კონკლუდენტური მოქმედებით. მთავარია, მან მოახდინოს დაზარალებულის ნების პარალიზება და აიძულოს ეს უკანასკნელი იმოქმედოს დამნაშავისათვის სასურველი მიმართულებით. სხეულის დასაზიანებლად სპეციალურად მომარჯვებული საგნის ხელში ჭერა და დემონსტრირება, ცხადია, გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში მისი გამოყენებით დამუქრებას. ამიტომ მოცემულ სიტუაციაში არავითარი მნიშვნელობა

არ ჰქონდა, წარმოთქვამდა თუ არა რომელიმე თავდამსხმელი სიტყვებს: „თუ ფულს არ მომცემ, სახრახნისით დაგასახიჩრებ“. დამნაშავეთა მოქმედება აშკარად შეიცავდა სიცოცხლის თუ არა, ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარას, თუმცა ეს მუქარა სიტყვიერად არ ყოფილა წარმოთქმული. ამიტომ დამნაშავეთა ქმედების ყაჩაღობად კვალიფიცირება სწორია.

* * *

მუქარა ყაჩაღობის დროს იმწუთიერი უნდა იყოს, ე.ი. უნდა არსებობდეს მისი დაუყოვნებლივი განხორციელების რეალური საშიშროება, თუ დამნაშავის მხრიდან ნივთის გადაცემის მოთხოვნა არ შესრულდება. სწორედ ამ ნიშნით განსხვავდება ყაჩაღობა გამოძალვისაგან, რომლის დროსაც ასევე ადგილი აქვს ძალადობის გამოყენების მუქარით ნივთის გადაცემის მოთხოვნას. ყაჩაღობისაგან განსხვავებით, მუქარა გამოძალვის დროს მომავლისკენაა მიმართული და განხორციელდება არა უმაღლეს, მოთხოვნის მომენტში, არამედ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ.

ლ.ს-მე (ადრე ქურდობისათვის ნასამართლევი) მიცემული იქნა პასუხისგებაში და სამართალში საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით წინასწარი გამოძიების მასალების მიხედვით საქმის ფაბულა ასეთია: 2000 წლის 27 დეკემბერს, დაახლოებით 06 საათზე, მთვრალ მდგომარეობაში მყოფი ლ. ს-მე გამოძიებით დაუდგენელ ორ პირთან ერთად იმყოფებოდა ქ. თბილისში, ცენტრალური სუპერმარკეტის მიმდებარე ტერიტორიაზე. მათ გააჩერეს „გაზ 24“ მარკის ავტომანქანა ტაქსი, რომლითაც მგზავრობდნენ დაზარალებული მ.გ-ვა, მისი და ს.გ-ვა და მეგობარი მ.მ-ვა. ... ის ქუჩაზე № ... კორპუსთან ლ.ს-მემ მძღოლს გააჩერებინა მანქანა და დანის გამოყენებით აიძულა მ.გ-ვა გადმოსულიყო მანქანიდან და მას გაჰყოლოდა. ს-მემ მ.გ-ვა შეიყვანა თავისი მამიდაშვილის ვ.ხ-შვილის ბინაში და სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით გასტაცა ტყავის ქურთუკი, ოქროს საყურეები, ტყავის ხელჩანთა, რომელშიც იყო 50 აშშ დოლარი და 20 ლარი.

ნასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა დაზარალებული მ.გ-ვა და მოწმეები – ს.გ-ვა და მ.მ-ვა, რომლებიც წინასწარი გამოძიებისას

ამხელდნენ ს-ძეს ყაჩაღობის ჩადენაში. ლ.ს-ძემ, რომელიც წინასწარი გამოძიების დროს დუმილის უფლებას იყენებდა, სასამართლოზე დაკითხვისას აღიარა, რომ 2000 წლის 27 დეკემბერს თავის ორ მეგობართან ერთად გადაწყვიტა მსუბუქი ყოფაქცევის ქალებთან დროს გატარება. მათ გააჩერეს ტაქსი და ქალები მოძებნეს ქუჩაში. თითოეულს შეპირდნენ ას ლარს სქესობრივი ურთიერთობის სანაცვლოდ. ერთი მათგანი – მ.გ-ვა მან წაიყვანა ... ის ქუჩაზე თავისი მამიდაშვილის ბინაში, ცალკე ოთახის გასაღები გამოართვა მამიდაშვილის ცოლს – დ.ლ-ძეს, მ.გ-ვას მისცა 100 ლარი და დაამყარა მასთან სქესობრივი კავშირი. ამის შემდეგ დაენანა მიცემული ფული და მოსთხოვა მისი დაბრუნება, რაზედაც გ-ვამ უარი განაცხადა. იგი დაემუქრა გ-ვას კბილის გაზით ამოძრობით, თუ ფულს არ დაუბრუნებდა. ამაზე მ.გ-ვა შეშინდა და ბინა სასწრაფოდ დატოვა. ბინაში დარჩა ტყავის ქურთუკი და ხელჩანთა, რომლისთვისაც მას ხელი არ უხვლია. განსასჯელმა კატეგორიულად უარყო დანით დამუქრებისა და ამ გზით დაზარალებულისათვის ხსენებული ნივთების წართმევის ფაქტი.

სასამართლო განხილვისას პროკურორმა უარი თქვა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით წარდგენილ ბრალდებაზე და მოითხოვა განსასჯელის ქმედების დაკვალიფიციერება სსკ-ის 181-ე მუხლით. პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლომ ლ.ს-ძეს მოუხსნა ყაჩაღობის ბრალდება და მსჯავრი დასდო სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით (გამოძალვა, ჩადენილი არაერთგზის). ამგვარ კვალიფიკაციას საფუძველად დაედო განსასჯელის მიერ სასამართლოზე მიცემული ჩვენება, რომელშიც მან უარყო დანის გამოყენებით დაზარალებულისათვის ტყავის ქურთუკის, ოქროს საყურეებისა და ხელჩანთის წართმევა. მოგვყავს ნაწყვეტი განაჩენიდან: „სასამართლოზე არ იქნენ დაკითხული დაზარალებული მ.გ-ვა და მოწმე ს.გ-ვა. მათი გამოუცხადებლობის მიზეზით სასამართლო პროცესი არაერთხელ გადაიდო, იძულებითი წარმოდგენის შესახებ დადგენილება პოლიციის მიერ ვერ შესრულდა და სასამართლოს ეცნობა, რომ მათი ადგილსამყოფელი ახლობლებისათვის უცნობია. სასამართლოზე ლ. ს-ძისათვის საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით

წარდგენილი ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეკრება ვერ მოხერხდა, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 503-ე მუხლის თანახმად, გამამტყუნებელ განაჩენს არ შეიძლება საფუძველად დაედოს ვარაუდი. იგი დგინდება მხოლოდ იმ პირობით, თუ სასამართლო განხილვის დროს დამტკიცდა განსასჯელის მიერ დანაშაულის ჩადენა უტყუარ მტკიცებულებათა საფუძველზე... ამიტომ ლ.ს-ძეს უნდა მოეხსნას საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება. იგი ცნობილი უნდა იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში შემდეგ გარემოებათა გამო:

განსასჯელ ლ. ს-ძის სასამართლოზე მიცემული ჩვენებებით დადგენილია, რომ სქესობრივი კავშირის დამყარების შემდეგ იგი დაზარალებულ მ.გ-ვას სთხოვდა მიცემული ფულის უკან დაბრუნებას და ემუქრებოდა ძალადობის გამოყენებით. კერძოდ, რომ ამოაძრობდა კბილს. ლ.ს-ძის ამ ჩვენებას ფაქტობრივად ადასტურებს მოწმე დ.ლ-ძე.

ლ.ს-ძის მიერ ყაჩაღობის ჩადენაზე მიუთითებდნენ დაზარალებული მ.გ-ვა და მოწმე ს.გ-ვა, რომელთა ჩვენებების სასამართლოზე შემოწმება მათი გამოუცხადებლობის გამო შეუძლებელია, ხოლო ყოველგვარი ეჭვი უნდა გადაწყდეს განსასჯელის სასარგებლოდ. ამდენად, სასამართლოს დადასტურებულად მიაჩნია, რომ ლ.ს-ძემ ჩაიდინა გამოძალვა, ე.ი. სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების გადაცემის ან ქონებრივი სარგებლობის მოთხოვნა, რასაც თან ერთვის დაზარალებულის მიმართ ძალადობის გამოყენების მუქარა. დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით“.

როგორც ნაწყვეტიდან ჩანს, კვალიფიკაციის შეცვლისას სასამართლო დაეყრდნო ლ.ს-ძის ჩვენებას, ვინაიდან დაზარალებული და მოწმეები, რომლებიც ამხელდნენ მას ყაჩაღობაში, პროცესზე არ გამოცხადდნენ. რაიმე სხვა არგუმენტი კვალიფიკაციის შეცვლის სასარგებლოდ არც ბრალდების ახალ წერილობით ფორმულირებასა (რომელიც რატომღაც „ცნობად“ იწოდება) და არც სასამართლოს განაჩენში მითითებული არ არის.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: თავიც რომ დავანებოთ დაზარალებულისა და მოწმეების – ს.გ-ვას, მ.მ-ვას, დ. ლ-ძის მიერ წინასწარი გამოძიებისათვის მიცემულ ჩვენებებს, სადაც მათ ამხილეს ლ.ს-ძე დანის გამოყენებით დაზარალებულისათვის ნივთების წართმევაში და სარწმუნოდ მივიჩნიოთ მხოლოდ განსასჯელის მიერ სასამართლოსათვის მიცემული ჩვენება, მაშინაც ვერ დავასაბუთებთ ლ.ს-ძის ქმედებაში გამოძალვის შემადგენლობის არსებობას. გამოძალვისას დამნაშავე რაღაც დროს აძლევს დაზარალებულს, რომლის განმავლობაშიც უნდა მოხდეს ნივთის გადაცემა. მუქარა მოძალკისკენაა მიმართული და რეალიზებულ იქნება, თუ დროის ამ პერიოდში ნივთის გადაცემის მოთხოვნა არ შესრულდება. სასამართლო სხდომაზე განსასჯელმა აღნიშნა, რომ იგი დაზარალებულს სთხოვდა სქესობრივი კავშირის გასამრჯელოდ მიცემული ფულის უკან დაბრუნებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრებოდა კბილის გაზით ამოძრობით. მოწმე დ.ლ-ძემაც, რომლის ბინაშიც მოხდა დანაშაული, აღნიშნა, რომ ს-ძე ქალს ემუქრებოდა ოქროს კბილის ჩამოძრობით და სამზარეულოში ეძებდა „ბრტყელტუჩას“, მაგრამ ვერ იპოვა. დაზარალებული შეშინდა და გაიქცა. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის დაუყოვნებლივ გამოყენების მუქარა, თუ ფულის გადაცემის მოთხოვნა არ შესრულდებოდა. ასევე აღიქვა მუქარის შინაარსი დაზარალებულმაც, რომელიც შეშინდა და გაიქცა. ასეთი მუქარა კი აფუძნებს ყაჩაღობის და არა გამოძალვის შემადგენლობას. არც განსასჯელის ჩვენება და არც მოცემული საქმის სხვა გარემოებები არ მიუთითებს იმაზე, რომ ძალადობის მუქარა მოძალკისკენ იყო მიმართული და დამნაშავეის მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში რეალიზებულ იქნებოდა არა დაუყოვნებლივ, ფულის მოთხოვნის მომენტში, არამედ რაღაც დროის გასვლის შემდეგ. სასამართლოს კი (ისევე როგორც სახელმწიფო ბრალმძებელს ბრალდების შეცვლისას) საერთოდ არ მიუქცევია ყურადღება ამ გარემოებისათვის და სათანადო არგუმენტაციის გარეშე განსასჯელის ქმედება გამოძალვად მიიჩნია.

* * *

ყაჩაღობა დამთავრებულია თავდასხმის განხორციელების მომენტიდან. დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის არა აქვს მნიშ-

ვნელობა, მიაღწია თუ არა დამნაშავემ სასურველ მიზანს, ე.ი. დაე-
უფლა თუ არა დაზარალებულის ქონებას. უკანასკნელი გარემოება
ქმედების ობიექტური შემადგენლობის ფარგლებს სცილდება. ეს
საკითხი სასამართლო პრაქტიკაში სწორად წყდება.

2001 წლის 12 ოქტომბერს, მ.მ-ძე ფეხით მიდიოდა რკინიგზის
სადგურიდან გმირთა მოედნისაკენ. იგი აუღევნა ქუჩაში მიმავალ ქალს,
მიადო რევოლვერი და მოსთხოვა ფული. შეშინებულმა ეტ-ძემ უთხრა,
რომ მას ფული არ ჰქონდა, მაგრამ მის მეგობრებს, მოშორებით მდგომ
სიგარეტით მოვაჭრე ქალებს გამოართმევდა და მისცემდა. ისინი დაბ-
რუნდნენ უკან. მ.მ-ძე შორიანხლოს გაჩერდა, ეტ-ძე კი მივიდა მეგობარ
ქალებთან – ნ.ს-ძესა და ე.თ-შვილთან, აუხსნა საქმის ვითარება და
სთხოვა სასწრაფოდ მიეცათ მისთვის ფული. წინააღმდეგ შემთხვევაში
შორიანხლოს მდგომი მამაკაცი, რომელსაც იარაღი ჰქონდა, მოკლავდა.
ამ ლაპარაკის დროს ნ.ს-ძე თავდამსხმელისაგან შეუშინებლად გავიდა
გზის პირას დახმარების სათხოვნელად. მან ხელი დაუქნია ოპერატი-
ულ შემოვლაზე მყოფ პოლიციის მანქანას და პოლიციის თანამშრომ-
ლებს დახმარება სთხოვა. თან გააფრთხილა, რომ მ.მ-ძეს იარაღი ჰქონ-
და. პოლიციის თანამშრომლებმა თანამოწმეთა თანდასწრებით გაჩხრიკეს
მ.მ-ძე, ამოუღეს იარაღი და პოლიციის განყოფილებაში წაიყვანეს.

თავდამსხმელმა ვერ შეძლო სხვისი ქონების დაუფლება. მას
სწორად დაედო მსჯავრი საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის 1-ლი
ნაწილით – დამთავრებული ყაჩაღობისათვის და არა ყაჩაღობის
მცდელობისათვის.

თუ ყაჩაღურ თავდასხმას თან ახლდა დაზარალებულის ქონების
დაზიანება ან განადგურება, დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს სსკ-ის 179-
ე და 187-ე მუხლების (ნივთის დაზიანება და განადგურება) ერთობლიობით
სასამართლო პრაქტიკაში ეს საკითხი სწორად წყდება.

2000 წლის 25 ივლისს, დაბა ხელვაჩაურში, შეიარაღებული
ზ.ქ-ძე გამოძიებით დაუდგენელ სამ პირთან ერთად შევიდა საცხ-
ოვრებელი კორპუსის მერვე სართულზე მდებარე თავისუფალ ბინა-
ში, ფანჯრიდან თოკით ჩაეშვა მეშვიდე სართულის ერთ-ერთ აივან-
ზე, იქედან კი შეაღწია თ.ლ-შვილის ბინაში, ნიღბით თავს დაესხა ამ
უკანასკნელს და გაიტაცა 3705 ლარის ღირებულების ნივთები.

დამნაშავეებმა ყაჩაღური თავდასხმის დროს გაანადგურეს და დააზიანეს ბინაში არსებული ნივთები. დანით დაჭრეს საბნები, ლეიბები, ფარდები, ბალიშები და სხვა. სულ 100 ლარის ღირებულების.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 30 აგვისტოს განაჩენით ზ.ქ-მეს, გარდა 179-ე მუხლისა, მსჯავრი დაედო სსკ-ის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია).

* * *

სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ყაჩაღობისათვის. ეს გარემოებებია: ყაჩაღობა ჩადენილი: ა) ჯგუფურად; ბ) არაერთგზის; გ) ბინაში, სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით; დ) დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით; ე) იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალკვისათვის.

ყაჩაღობა, ჩადენილი ჯგუფურად

სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის თანახმად, არსებობს ჯგუფის სამი სახე: პირთა ჯგუფი, წინასწარი შეთანხმებით მოქმედი პირთა ჯგუფი და პირთა ორგანიზებული ჯგუფი. ამ მაკვალ-იფიცირებელ გარემოებაში იგულისხმება ჯგუფის სამივე სახე. სასამართლო პრაქტიკაში ყაჩაღობის ჩადენა უმეტესად ხდება ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით. თუმცა შესაძლებელია ამ დანაშაულის ჩადენაში წინასწარ შეუთანხმებლად მონაწილეობა მიიღოს ორმა (ან მეტმა) ამსრულებელმა. მაგალითად, პირი ხედავს, რომ მისი მეგობარი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ცდილობს ქუჩაში გამვლელს გახადოს ქურთუკი, მივიდა მათთან და დაეხმარა დამნაშავეს დაზარალებულის წინააღმდეგობის დაძლევაში. ორივე დამნაშავე პასუხს აგებს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით – ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობისათვის.

ყაჩაღობის დროს შესაძლოა ჯგუფის რომელიმე წევრი არ ახორციელებდეს დაზარალებულის მიმართ სიცოცხლისა და ჯანმ-

რთელობისათვის საშიშ ძალადობას, მაგრამ თუ ამგვარი ძალადობით (ან ძალადობის მუქარით) ნიეთის დაუფლება მოცული იყო მისი განზრახვით, ცხადია, ისიც პასუხს აგებს ჯგუფური ყაჩაღობისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში გვექნება ამსრულებლის ექსცესი, რომლის დროსაც ყაჩაღობისათვის პასუხს აგებს მხოლოდ ის, ვინც ექსცესი დაუშვა, ე.ი. ვინც გასცილდა საერთო დანაშაულებრივ განზრახვას, დანარჩენები კი – იმ მოქმედებისათვის, რაც ჯგუფის წევრთა საერთო განზრახვით იყო მოცული.

თუ პირს ყაჩაღურ თავდასხმაში უშუალოდ არ მიუღია მონაწილეობა, მაგრამ დახმარება აღმოუჩინა სხვას დანაშაულის ჩადენაში (მანქანით მიიყვანა დაზარალებულის სახლთან, გადაატანინა გატაცებული ნივთები და ა.შ.), გვექნება არა ჯგუფური ყაჩაღობა, არამედ თანამონაწილეობა ყაჩაღობაში, კერძოდ, დახმარება. ასეთი შემთხვევების სწორი კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმის გარკვევას, იცოდა თუ არა ამ პირმა ყაჩაღური თავდასხმის ამბავი. თუ კაცმა ობიექტურად დახმარება გაუწია დანაშაულის ჩადენაში, მაგრამ ამ უკანასკნელის მოქმედების შესახებ მხოლოდ დანაშაულის ჩადენის შემდეგ გაიგო, მან არ შეიძლება პასუხი აგოს არც ჯგუფური ყაჩაღობისა და არც ყაჩაღობაში თანამონაწილეობისათვის. ასეთ შემთხვევებში პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს მხოლოდ დანაშაულის დაფარვისათვის (375-ე მუხლი).

ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 5 თებერვლის განაჩენით ბ.ჭ-ძეს მსჯავრი დაედო მასში, რომ მან პირთა ჯგუფთან ერთად, სხვისი ქონების დიდი ოდენობით დაუფლების მიზნით, ჩაიდინა ყაჩაღობა (საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „დ“ პუნქტები). განაჩენის მიხედვით ბ.ჭ-ძე წინასწარ იყო შეთანხმებული ფ.ჩ-ძესთან, ი.ბ-ძესა და ი.ხ-ძესთან წყალტუბოს რაიონის სოფელ . . . ში მცხოვრებ გ.ქ-შვილის ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმის შესახებ. მან დასახელებული პირები ავტომანქანით მიიყვანა გ.ქ-შვილის სახლთან, ხოლო შემდეგ დაბრუნდა თავის სოფელში, რათა დალოდებოდა მათ წინასწარ შეთანხმებულ ადგილას. ფ.ჩ-ძემ და მასთან მყოფმა პირებმა შეიარაღებული ყაჩაღური თავდასხმა განახორციელეს გ.ქ-შვილის ოჯახზე, რის შემდეგაც წავიდნენ სოფელ ...ში, სადაც ერთ-

ერთ სახლთან, შეთანხმებისამებრ მათ ელოდა ბ.ჭ-ძე. ამ უკანასკნელმა ავტომანქანით ი.ხ-ძე და ი.ბ-ძე ქუთაისში წაიყვანა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ მოუხსნა ბ.ჭ-ძეს 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „დ“ პუნქტებით წარდგენილი ბრალდება. საკასაციო პალატის განჩინებაში აღნიშნულია: „სააპელაციო სასამართლომ... არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა ბ.ჭ-ძის მიერ ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას და უტყუარ მტკიცებულებათა მოპოვების გარეშე, საფუძვლიანად ცნო წინასწარი გამოძიების მიერ მასზე წარდგენილი ბრალდება“¹. საკასაციო პალატამ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ბ.ჭ-ძეს უშუალოდ გ.ქ-შვილის ოჯახზე ყჩაღურ თავდასხმაში მონაწილეობა არ მიუღია. იგი წინასწარი და სასამართლო გამოძიების დროს მიცემულ ჩვენებებში კატეგორიულად უარყოფდა ფ.ჩ-ძესთან, ი.ბ-ძესა და ი.ხ-ძესთან წინასწარ შეთანხმებას და გ.ქ-შვილის ოჯახზე ყჩაღურ თავდასხმაში მონაწილეობას, თუმცა ადასტურებდა, რომ შემთხვევის დღეს ისინი ფ.ჩ-ძის თხოვნით, ავტომანქანით მიიყვანა სოფ. ... ში და დატოვა გ.ქ-შვილის სახლთან, შემდეგ კი ი.ხ-ძე და ი.ბ-ძე ქ. ქუთაისში წაიყვანა.

მსჯავრდებულებმა ი.ბ-ძემ და ფ.ჩ-ძემ სასამართლო გამოძიების დროს მიცემულ ჩვენებებში კატეგორიულად უარყვეს ბ.ჭ-ძესთან წინასწარი შეთანხმება და ყჩაღურ თავდასხმაში მისი მონაწილეობა. ისინი განმარტავდნენ, რომ ამ უკანასკნელმა არ იცოდა მათი განზრახვა. ასეთივე ჩვენებები მისცა ი.ხ-ძემ წინასწარი გამოძიებისა და ბ.ჭ-ძის საქმის სასამართლოში განხილვის დროსაც. „მხოლოდ ის გარემოება – აღნიშნულია საკასაციო პალატის განჩინებაში, – რომ ფ.ჩ-ძე და ი.ბ-ძე წინასწარი გამოძიების დროს ამხელდნენ მას ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენაში, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ბრალდების დადასტურების საკმარის მტკიცებულებად“².

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 132-ე მუხლის მე-3 ნაწილზე დაყრდნობით, საკასაციო პალატამ დაასკვნა, რომ ეჭვი დამნაშავედ პირის ცნობისათვის მტკიცებულების უტყუარობისა და მისი საკმარისობის თაობაზე უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგე-

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2002, № 7, გვ. 716.

² იქვე, გვ. 717.

ბლოდ. აქედან გამომდინარე, პალატამ მოუხსნა ბ.ჭ-ძეს 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „დ“ პუნქტებით წარდგენილი ბრალდება. ამავე დროს, საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ბ.ჭ-ძემ „გაიგო ჩადენილი ყაჩაღობის შესახებ, მაგრამ დაფარა დანაშაული“. კერძოდ, ყაჩაღობის ჩადენის შემდეგ მანქანით გადაიყვანა ი.ხ-ძე და ი.ბ-ძე ქ. ქუთაისში. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ბ.ჭ-ძეს მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ-ის 375-ე მუხლით – დანაშაულის დაფარვისათვის.

ბ.ჭ-ძეს დამნაშავეთა მოქმედების ამბავი რომ სცოდნოდა და წინასწარ შეჰპირებოდა მათ დახმარებას, მაშინ მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირებულიყო არა 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „დ“ პუნქტებით, არამედ 24-ე მუხლზე მითითებით, როგორც თანამონაწილეობა (დახმარება) ჯგუფის მიერ ჩადენილ ყაჩაღობაში. ასეთი კვალიფიკაცია ეფუძნება იმას, რომ ბ.ჭ-ძეს ყაჩაღურ თავდასხმაში უშუალო მონაწილეობა არ მიუღია.

* * *

სასამართლო პრაქტიკაში სირთულეებია იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს იმ პირის ქმედება, რომელმაც ყაჩაღობა ჩაიდინა ჯგუფთან ერთად, მაგრამ გამოძიების მიერ ვერ დადგინდა ჯგუფის სხვა წევრების ვინაობა. ასეთ შემთხვევებში, როგორც წესი, პასუხისმგებლობა დგება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით – ჯგუფური ყაჩაღობისათვის. ჩემ მიერ გაცნობილი საქმეებიდან გამონაკლისს წარმოადგენს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განჩინება კ.ჭ-იანის საქმეზე.

კ.ჭ-იანი და მისი ნაცნობი (გამოძიებით დაუდგენელი პირი) 10 დღის განმავლობაში უთვალთვალებდნენ დ.კ-იას. 1998 წლის 15 აპრილს ისინი აედევნენ ჯიხურიდან გამოსულ დ.კ-იას და საცხოვრებელი სახლის სადარბაზოს ლიფტში თავს დაესხნენ. თავდასხმის დროს გამოძიებით დაუდგენელმა პირმა დ.კ-იას შუბლზე იარაღი მიაბჯინა, ხოლო დანით შეიარაღებულმა კ.ჭ-იანმა დაზარალებულს შეაჭრა წელზე გაკეთებული ფულის შესანახი სპეციალური სარტყელი. მანვე პიჯაკის შიდა გულის ჯიბიდან ამოუღო ტყავის საფულე. ყაჩაღური თავდასხმის შედეგად დაზარალებულს გასტაცეს 9000 ლარი.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 31 აგვისტოს განაჩენით კ.ჭ-იანი ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს 1960 წლის სსკ-ის 152-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი პუნქტით (ყაჩაღობა, პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით). სააპელაციო სასამართლომ განაჩენი ქმედების კვალიფიკაციის ნაწილში უცვლელად დატოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ კ.ჭ-იანის ქმედება სსკ-ის 152-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი პუნქტიდან გადააკვალიფიცირა ამავე მუხლის პირველ ნაწილზე და სასჯელის სახით დანიშნული 6 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუმცირა 4 წლამდე. კვალიფიკაციის შეცვლას პალატამ საფუძვლად დაუდო „გამოძიების მიერ ყაჩაღური თავდასხმის მონაწილე პირის დაუდგენლობა“¹.

აღსანიშნავია, რომ უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაც არ არის თანმიმდევრული. განჩინებებში როგორც ყაჩაღობის, ასევე სხვა დანაშაულთა საქმეებზე, პალატა ჯგუფურ დანაშაულად მიიჩნევს ისეთ შემთხვევას, როცა ჯგუფის ორი წევრიდან ერთი მიმალვამია.

ჩემი აზრით, ასეთი პრაქტიკა არასწორია. პირს არ შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროს ჯგუფური დანაშაულისათვის, იქნება ეს ყაჩაღობა, ქურდობა თუ სხვა, თუ ჯგუფის ორი წევრიდან ერთი მიმალვამია ან რაიმე სხვა მიზეზით სამართალში მიცემული არ ყოფილა.

სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლებში მოხსენიებული „ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაული“ თანამონაწილეობის კერძო შემთხვევაა. თანამონაწილეობა კი, ჩვენი კანონმდებლობით, განმარტებულია, როგორც „ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივი მონაწილეობა განზრახი დანაშაულის ჩადენაში“. კანონი მოითხოვს ორი ან მეტი პირის არსებობას. ამასთან, მას მხედველობაში ჰყავს ისეთი პირები, რომლებიც პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წესით. „თანამონაწილეობის ცნება გულისხმობს რამდენიმე შერაცხადი და ბრალეული პირის მიერ დანაშაულებრივი ქმედების ერთობლივად შესრულებას... თანამონაწილედ შეიძლება

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2002, № 7, გვ. 1723.

ჩაითვალოს მხოლოდ ის პირი, რომელმაც არა მარტო ობიექტურად განაპირობა თავისი მოქმედებით დანაშაულებრივი შედეგი, არამედ აგრეთვე ბრალეულად გამოიწვია იგი“.¹ ამიტომ, თუ დანაშაულის მონაწილე პირთაგან ერთი პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით, მეორე კი არა, ეს არ იქნება თანამონაწილეობა და, მაშასადამე, არც ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაული.

ჯგუფი სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით მხოლოდ ორი ან მეტი პირის მექანიკურ გაერთიანებას არ წარმოადგენს. მარტო რაოდენობრივი ნიშანი არ არის საკმარისი ჯგუფის არსებობისათვის. საჭიროა თვისებრივი ნიშანიც. ჯგუფურ დანაშაულზე, ანუ თანაამსრულებლობაზე მხოლოდ მაშინ შეიძლება ვილაპარაკოთ, როცა ჯგუფის ორი წევრიდან ორივე პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით. თუ ვინმე ყაჩაღურ თავდასხმაში მონაწილეობას მიაღებინებს მცირეწლოვანს ან ფსიქიკურად დაავადებულს, მან არ შეიძლება აგოს პასუხი თანაამსრულებლობისათვის. თანაამსრულებლობა გვაქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სულ ცოტა ორი ამსრულებელია. ფსიქიკურად დაავადებული და მცირეწლოვანი არ არის დანაშაულის ამსრულებელი, რადგან არ აგებს პასუხს სისხლის სამართლის წესით. ამიტომ, ცხადია, მეორე პირი ვერ იქნება თანაამსრულებელი. ე.ი. მან არ შეიძლება პასუხი აგოს ჯგუფური დანაშაულისათვის, რადგან ჯგუფი სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით არ არსებობს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ ყაჩაღური თავდასხმის ორი მონაწილიდან ერთი მიმალვაშია და მისი ვინაობა უცნობია, მეორემ არ უნდა აგოს პასუხი 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობისათვის, რადგან არა გვაქვს მონაცემები გამოძიების მიერ დაუდგენელი პირის შერაცხვაუნარიანობის შესახებ. პირის მსჯავრდება ხსენებული ქვეპუნქტით მიზანშეუწონლად მიგვაჩნია მაშინაც, როცა მიმალვაში მყოფის ვინაობა ცნობილია და იგი შერაცხვაუნარიანია, რადგან ამ უკანასკნელის მიმართ ირღვევა უდანაშაულობის პრეზუმფცია. მას აღიარებენ ჯგუფური დანაშაულის მონაწილედ და ე.ი. დამნაშავედ ისე, რომ გასამართლებული არ არის.²

¹ თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბილისი, 1965, გვ. 10, 38.

² ამ საკითხზე იხილეთ: ოთარ გამყრელიძე, სასამართლო პრაქტიკის ერთი საკითხის განმარტებისათვის, „მართლმსაჯულების მაცნე“, 1998, №4, გვ. 37-39.

ყაჩაღობა, ჩადენილი არაერთგზის

არაერთგზისობა მრავალი დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ნიშანია და ნიშნავს კოდექსის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენას. სხვადასხვა მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაული მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არაერთგზის დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია კოდექსის შესაბამის მუხლში. სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებთან დაკავშირებით. სსკ-ის 177-ე მუხლის შენიშვნის შესაბამისად, 177-186-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული არაერთგზისად ითვლება, თუ მას წინ უსწრებდა ამ მუხლებით და 224-ე, 231-ე, 237-ე და 264-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩადენა. ე.ი. ყაჩაღობა არაერთგზის ჩადენილად ითვლება არა მხოლოდ მაშინ, როცა პირს ადრეც ყაჩაღობა ჰქონდა ჩადენილი, არამედ მაშინაც, როცა ჩადენილი ჰქონდა ზემოთ აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული ერთ-ერთი დანაშაული.

დანაშაული არ ჩაითვლება არაერთგზის ჩადენილად, თუ პირი წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის, კანონით დადგენილი წესით, გათავისუფლებული იყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ქმედითი მონანიების, დაზარალებულთან შერიგების, ვითარების შეცვლის, ან ზანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, ანდა, თუ მას წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული ჰქონდა.

არაერთგზისობის ნიშნის არსებობისათვის მნიშვნელობა არა აქვს, პირი ადრე ჩადენილი დანაშაულისათვის ნასამართლევი იყო თუ არა. უკანასკნელ შემთხვევაში გასული არ უნდა იყოს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში მიცემის ზანდაზმულობის ვადა. ამასთან, არაერთგზისობა არ გამორიცხავს დანაშაულთა ერთობლიობით ქმედების კვალიფიკაციის შესაძლებლობას. მაგალითად, თუ პირს ადრე ჩადენილი ჰქონდა ბანდიტიზმი და შემდეგ ყაჩაღობა ჩაიდინა, მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 224-ე მუხლით და 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით. დანაშაულთა ერთობლიობით ქმედების

კვალიფიკაცია საჭირო არ არის მაშინ, როცა დამნაშავეს ადრე ჩადენილი ჰქონდა ყაჩაღობა დამამძიმებელი გარემოებების გარეშე და კვლავ ყაჩაღობა ჩაიდინა. ამ შემთხვევაში იგი პასუხს აგებს 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით. არაერთგზისობის ნიშანი მოიცავს ადრე ჩადენილ ყაჩაღობას და დამატებით კიდევ 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით კვალიფიკაცია საჭირო არ არის.

სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით. ქმედების კვალიფიკაცია სასამართლო პრაქტიკაში ძირითადად სწორად ხდება.

1998 წელს ე.გ-იანი მსჯავრდებულ იქნა პირთა ჯგუფის მიერ ჩადენილი ძარცვისათვის და ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. შეწყალების საფუძველზე სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლდა 1999 წლის მაისში. 2001 წლის 27 მაისს, სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის მუქარით გაიტაცა მოქალაქე გ.ბ-ურის კუთვნილი ავტომანქანა. მას მსჯავრი დაედო სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით (ყაჩაღობა, ჩადენილი არაერთგზის).

საკასაციო საჩივარში ე.გ-იანი აღნიშნავდა, რომ „ვინაიდან ადრინდელი დანაშაულისათვის მისჯილი სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა პრეზიდენტის მიერ განხორციელებული შეწყალების აქტით შეეცვალა პირობითი სასჯელით, ეს ნასამართლობა გაქარწყლებული აქვს“. აქედან გამომდინარე, იგი მოითხოვდა მისი ქმედების გადაკვალიფიცირებას 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტიდან ამავე მუხლის 1-ლ ნაწილზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ არ დააკმაყოფილა მსჯავრდებულის საკასაციო საჩივარი. პალატის განჩინებაში ვკითხულობთ: „ე.გ-იანი ... მსჯავრდებულ იქნა ძარცვისათვის და მიესაჯა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა. ამ სასჯელს ის იხდიდა 1998 წლის 16 აგვისტოდან. სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლდა 1999 წლის 24 მაისს პრეზიდენტის მიერ განხორციელებული შეწყალების აქტით, რაც არ ნიშნავს პირობით მსჯავრდებას. საქართველოს სსკ-ის 79-ე მუხლის მიხედვით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს ნასამართლობა უქარწყლდება სასჯელის მოხდიდან ექვსი

წლის შემდეგ. იმავე მუხლის მეოთხე ნაწილი კი განსაზღვრავს, რომ: „თუ მსჯავრდებული კანონით დადგენილი წესით სასჯელის მოხდისაგან ვადაძლე იქნა გათავისუფლებული, ნასამართლობის გაქარწყლების ვადა შესაბამისად გამოითვლება სასჯელის ფაქტობრივად მოხდილი ვადიდან“. ამდენად, ახალი დანაშაულის – ყაჩაღობის ჩადენის დროს ე.გ.იანს ძარცვის ჩადენისათვის წინანდელი ნასამართლობა გაქარწყლებული არ ჰქონდა. ამიტომ მის მიერ 2001 წლის 27 მაისს ჩადენილი ყაჩაღობა სამართლებრივად სწორად არის დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით“ (სტილი დაცულია).

ყაჩაღობა ბინაში, სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით

საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსით ბინაში, სადგომში ან სხვა საცავში შეღწევა მაკვალიფიცირებულ გარემოებად ითვლებოდა იმისდა მიუხედავად, მართლზომიერად განხორციელდებოდა იგი თუ უკანონოდ. ახალმა კოდექსმა მაკვალიფიცირებულ გარემოებად მხოლოდ „უკანონო შეღწევა“ აღიარა. ე.ი. ისეთი, რომელიც ჩადენილია სხვისი ნივთის დაუფლების მიზნით. ამიტომ თუ პირი ბოროტი განზრახვის გარეშე შევიდა ბინაში (სტუმრად იყო მიწვეული, ამანათი ჰქონდა გადასაცემი და ა.შ.), ხოლო ყაჩაღური თავდასხმის მიზანი შემდეგ აღეძრა, ამჟამად მოქმედი კოდექსის თანახმად, მან არ უნდა აგოს პასუხი დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ყაჩაღობისათვის.

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ მსჯავრი დასდო ვ.შ-შვილს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. საქმის ფაბულა ასეთია: დაზარალებულ ნ.მ-ძის შვილი გ.მ-ძე დაავადებული იყო ფსიქიკურად. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მკურნალობის დროს მან გაიცნო ასევე ფსიქიკურად დაავადებული ვ.შ-შვილი. ისინი დამეგობრდნენ და გამოჯანმრთელების შემდეგ ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. გ.მ-ძემ სახლში მიიყვანა ვ.შ-შვილი და დედას გააცნო. ამის შემდეგ ის ხშირად მიდიოდა მათთან სტუმრად. 2001 წლის 15 მაისს, დაახლოებით 23 საათზე,

ნასვამი ვ.შ-შვილი ესტუმრა გ.მ-ძეს. ეს უკანასკნელი სახლში არ დახვდა. ნ.მ-ძემ სტუმარს სუფრა გაუშალა. ცოტა რომ დალია, შ-შვილმა მოულოდნელად მაგიდიდან აიღო დანა, მიაღო ნ.მ-ძეს ყელზე და ფული და ოქროულობა მოსთხოვა. დაზარალებულმა უთხრა, რომ არ ჰქონდა არც ერთი და არც მეორე. შ-შვილმა სიკვდილის მუქარით დაუწყო ხელების გრეხვა. შეშინებული ნ.მ-მე იძულებული გახდა მიეცა 100 აშშ დოლარი და 100 ლარის ღირებულების ვერცხლის ნივთები. ვ.შ-შვილი მეტს მოითხოვდა, დაიწყო ლოგინებისა და სათავსების გადმობრუნება. ნ.მ-მე დრო იხელთა, გავარდა ბინიდან და კარი გარედან გადაკეტა. საგზაო პოლიციის მუშაკების დახმარებით მან გამოიძახა პოლიცია, რომლებმაც მის ბინაში დააკავეს ვ.შ-შვილი.

სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე დადგინდა, რომ შ-შვილი შეზღუდული შერაცხადობის მქონე პიროვნებაა, ინკრიმინირებული დანაშაულის ჩადენის დროს მას, მართალია, არ შეეძლო სრულად გაეცნობიერებინა და ეკონტროლებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი და მართლწინააღმდეგობა, მაგრამ არ არის ფსიქიკურად დაავადებული იმ დონეზე, რომ მსჯავრდებამ და დასჯამ მასზე გამასწორებელი ზემოქმედება ვერ მოახდინოს. თავისი ფსიქიკური მდგომარეობით იგი სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენებას არ საჭიროებს.

როგორც წინასწარი, ასევე სასამართლო გამოძიების დროს დადგინდა, რომ ვ.შ-შვილი ნ.მ-ძის სახლში ყაჩაღური თავდასხმის მიზნით არ მისულა. მას მეგობრის ნახვა უნდოდა. დანაშაულის ჩადენის განზრახვა ბინაში შესვლის შემდეგ წარმოეშვა, რასაც იმანაც შეუწყო ხელი, რომ ნასვამი იყო. დაზარალებულმაც განმარტა, რომ ვ.შ-შვილი იყო მისი შვილის მეგობარი, ხშირად მოდიოდა მათთან სახლში და ის ყოველთვის უშლიდა სუფრას.

სასამართლო სწორად მოიქცა, როცა ვ.შ-შვილის ქმედება არ ჩათვალა ბინაში უკანონო შეღწევით ჩადენილ ყაჩაღობად და მას მსჯავრი დასდო 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატამ განაჩენი კვალიფიკაციის ნაწილში უცვლელად დატოვა. ამასთან

სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ვ.შ-შვილმა დანაშაული შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში ჩაიდინა და რაიონული სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუმცირა 5 წლამდე.

* * *

თუ ყაჩაღურ თავდასხმას ადგილი ჰქონდა ბინაში, სადგომში ან სხვა საცავში შეღწევამდე, ნივთის დაუფლება კი საცავში შესვლის შემდეგ მოხდა, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს არა სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტით (ყაჩაღობა ბინაში, სადგომში ან სხვა საცავში შეღწევით), არამედ 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. ასეთი კვალიფიკაცია ეფუძნება იმას, რომ ყაჩაღობა დამთავრებულად ითვლება არა ნივთის დაუფლების, არამედ თავდასხმის მომენტიდან. დანაშაულის დამთავრების შემდეგ განხორციელებული ქმედება გავლენას ვერ მოახდენს ყაჩაღობის კვალიფიკაციაზე.

2001 წლის 30 ივნისს, დაახლოებით საღამოს 7 საათზე, ქ. თბილისში, № 5 სამშობიარო სახლთან მდებარე სავაჭრო ჯიხურებთან გავლისას რ.ს-ოვმა შეაჩნია, რომ ერთ-ერთი ჯიხური ღია იყო, გამყიდველი კი კარებთან იდგა. მან განიზრახა არჩისა და სიგარეტის დაუფლება. ამ მიზნით თავს დაესხა ჯიხურის მფლობელს – თა-ურს, მუცელში მოუღერა დასაკეცი დანა და დაეპუქრა დაჭრით, თუ ხმას ამოიღებდა. შეშინებული თა-ური იძულებული იყო ჯიხურში შესულიყო. მას შეჰყვა რ.ს-ოვიც. მან თაროდან აიღო ერთი ბოთლი კონიაკი, ერთი კოლოფი სიგარეტი „მაგნა“ და ნავაჭრი თანხა – 1 ლარი და 40 თეთრი. შემდეგ კვლავ დაეპუქრა დაზარალებულს მოკვლით, თუ ხმას ამოიღებდა და წავიდა. სულ დაზარალებულს 7,40 ლარის ზიანი მიაყენა.

თბილისის გლდანი-ნამღალდევის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 2 ოქტომბრის განაჩენით რ.ს-ოვი ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტით (ყაჩაღობა საცავში შეღწევით) და მიესაჯა ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა, მკაცრი რეჟიმის სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით.

თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატამ რაიონული სასამართლოს განაჩენი კვალიფიკაციის ნაწილში უცვლელად დატოვა. განაჩენი შეიცვალა იმ

მიმართებით, რომ რ.ს-ოვს შეუმცირდა სასჯელის ზომა და განესაზღვრა ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოხდით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ რ.ს-ოვის ქმედება სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტიდან გადააკვალიფიცირა ამავე მუხლის 1-ლ ნაწილზე და სასჯელის ზომად განუსაზღვრა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა. კვალიფიკაციის შეცვლას პალატამ საფუძვლად დაუდო ის გარემოება, რომ რ.ს-ოვმა ჯიხურის მფლობელზე ყაჩაღური თავდასხმა მოახდინა ღია კარებთან. ყაჩაღობა კი დამთავრებულ დანაშაულად ითვლება თავდასხმის განხორციელების მომენტში¹.

* * *

თუ თავდასხმა (სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გარეშე) ბინაში შესვლამდე განხორციელდა, ძალადობა კი – ბინაში შესვლის შემდეგ, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ყაჩაღობად ბინაში უკანონო შეღწევით.

ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს განაჩენით ე.მ-იანს და გ. ჭ-შვილს მსჯავრი დაედოთ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ და „დ“ პუნქტებით.

2000 წლის 11 ნოემბერს ე.მ-იანთან სახლში მივიდა მეგობარი ზ.კ-ლი და შესთავაზა მონაწილეობა მიელო მისი ნათესავის ი.რ-ოვის ბინაზე ყაჩაღურ თავდასხმაში. იმავე დღეს ზ.კ-მ იგი შეახვედრა გ.ჭ-შვილს. მე-2 დღეს სამივენი წავიდნენ ვაჟა-ფშაველას გამზირზე ი.რ-ოვის ბინის სანახავად. კ-მ თანამზრახველებს აჩვენა თვით რ-ოვი და მისი მეუღლე, რომლებიც მუშაობდნენ თავიანთი საცხოვრებელი კორპუსის მახლობლად მდებარე სავაჭრო ჯიხურში. ორი დღის შემდეგ, 14 ნოემბერს, დაახლოებით 14 საათზე ისინი შეთანხმებისამებრ შეხვდნენ ერთმანეთს რ-ოვის კუთვნილი სავაჭრო ჯიხურის მახლობლად და დაუწყეს მას თვალთვალი. დაახლოებით 15 საათზე ი.რ-ოვი ჯიხურიდან გამოვიდა და წავიდა თავისი სახლისაკენ. მ-იანი და ჭ-შვილი აედევნენ მას, წინ გაუსწრეს და შევიდნენ საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოში. ისინი

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2002, № 10, გვ. 1611.

გაჩერდნენ მე-7 და მე-8 სართულებს შორის მდებარე მოედანზე. მალე კიბეზე ამოვიდა რ-ოვი და მე-7 სართულზე გაჩერდა. მ-იანი და ჭ-შვილი დაბლა დაეშენენ და როდესაც რ-ოვმა თავისი ბინის კარები გააღო, მასთან მივარდნენ, ძალით შეიყვანეს ბინაში და კარები სწრაფად მიხურეს. მ-იანმა „სკოჩით“ შეუკრა ხელ-ფეხი რ-ოვს, აუხვია თვალები და დაწვინა იატაკზე. გ.ჭ-შვილმა ქურთუკის უბიდან ამოიღო „საიუველირო“ ხანჯალი, დაზარალებულს ყელზე მიაღო და ფული და ოქრო მოსთხოვა. მალე ბინაში შევიდა ზ.კ-ლი ნიღბით. სამივენი ფულისა და ძვირფასეულობის მოთხოვნით ფეხებით სცემდა დაზარალებულს. რ-ოვმა მათ მიუთითა ადგილი, სადაც ფული და ოქროულობა ჰქონდა შენახული. დამნაშავეებმა გაიტაცეს 7250 აშშ დოლარი და 830 ლარად ღირებული ოქროს სამკაულები.

მოცემულ მაგალითში თავდასხმა განხორციელდა ბინაში შესვლაში, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა კი – ბინაში შესვლის შემდეგ. დამნაშავეებს სწორად დაედოთ მსჯავრი ბინაში უკანონო შეღწევით ჩადენილი ყაჩაღობისათვის. საკითხის ასეთი გადაწყვეტა ეფუძნება იმას, რომ თავდასხმა და ძალადობა ორი განუყოფელი აგრესიული აქტია, რომელთა ორგანული ერთიანობა ყაჩაღობის შემადგენლობას გვაძლევს. თავდასხმაზე, როგორც ყაჩაღობის დამოუკიდებელ ობიექტურ ნიშანზე, მხოლოდ პირობით შეიძლება ვილაპარაკოთ. განსახილველი დანაშაულის შემადგენლობა მხოლოდ მაშინ გვაქვს, თუ თავდასხმას თან ერთვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ან ასეთი ძალადობის მუქარა. ამიტომ ზემოთ აღნიშნულ მაგალითში დანაშაული დამთავრდა ბინაში შესვლის შემდეგ, რადგან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა, რაც ყაჩაღობის შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია, ბინაში განხორციელდა. ამიტომ ასეთი შემთხვევები უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტით – „ყაჩაღობა ბინაში, სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით“.

* * *

ბინაში შეღწევა შეიძლება მოხდეს როგორც ფარულად, ასევე აშკარად. მას შეიძლება თან ახლდეს ძალადობა ბინის პატრონის ან დაწესებულების დაცვის მუშაკის მიმართ. რა თქმა უნდა, ასეთ ძალადობას

მოიცავს ყაჩაღობის შემადგენლობა და დამატებით კოდექსის სხვა მუხლებით კვალიფიკაცია საჭირო არ არის. ბინაში შეღწევის საშუალება შეიძლება იყოს მოტყუება. მაგალითად, ყალბი საშვის ან პირადობის მოწმობის წარდგენა, კურიერად, საუბნო-საარჩევნო კომისიის წევრად, ხელოსნად და ა.შ. თავის გასაღება, ვითომდა მოწყალების სათხოვნელად, ამანათის, წერილის გადასაცემად მისვლა და ა.შ.

2002 წლის 28 ივლისს ვკ-ინმა და ვკ-ინმა გადაწყვიტეს ყაჩაღურად თავს დასხმოდნენ ნაცნობს – თ.მ-შვილს, რომელიც მუშაობდა ანტიკვარიატის მაღაზიაში. საღამოს, დაახლოებით 20 საათზე, ჩანთაში დამალული გადაჭრილი სანადირო თოფითა და რკინის მილით შეიარაღებულნი, მივიდნენ მ-შვილის სახლთან. მას უთხრეს, რომ მოტანილი ჰქონდათ ძველებური დამბაჩა და უნდოდათ მისი შეფასება. ვინაიდან მ-შვილი ორივეს იცნობდა, მაშინვე გაულო კარი და შეიყვანა სახლში. საუბრის დროს ვკ-მ შეუმჩნევლად ამოიღო ჩანთიდან რკინის მილი და თავში ჩაარტყა მ-შვილს, ხოლო ვკ-მ დაუწყო მუშტებით ცემა, შემდეგ მიადო თოფი ყელზე და უბრძანა მიეცა ფული. თავდამსხმელებმა შეშინების მიზნით რიგ-რიგობით მოახდინეს თითო გასროლა. შეშინებულმა თ.მ-შვილმა გამოუტანა მათ 350 აშშ დოლარი. წასვლის წინ თავდამსხმელები დაზარალებულს მოკვლით დაემუქრნენ, თუ მომხდარის შესახებ პოლიციაში განაცხადებდა.

მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ყაჩაღობა ბინაში უკანონო შეღწევით, რადგან ყაჩაღური თავდასხმის მიზანი დამნაშავეებს სახლში შესვლის შემდეგ კი არ აღეძრათ, არამედ სწორედ ამ მიზნით შეაღწიეს მ-შვილის ბინაში. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ სწორად დააკვალიფიცირა მათი ქმედება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ პუნქტებით.

თუ ბინაში, სადგომში ან სხვა საცავში შეღწევას თან ახლდა კარების შემტვრევა, საკეტების დაზიანება, ფანჯრის მინების ჩამტვრევა, კედლის განგრევა და ა.შ., რამაც დაზარალებული მნიშვნელოვნად დააზიანა, ქმედება უნდა დააკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით – 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და 187-ე მუხლით (ნივთის დაზიანება ან განადგურება).

ყაჩაღობა, ჩადენილი დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით

როგორც ცნობილია, ყაჩაღობა დამთავრებულია თავდასხმის განხორციელების მომენტიდან, ამიტომ ამ კვალიფიციური შემადგენლობის არსებობისათვის საჭირო არ არის დიდი ოდენობით ნივთის რეალურად დაუფლება. თუ თავდასხმის დროს დამნაშავეს განზრახვა მიმართული იყო დიდი ოდენობით ნივთის დაუფლებისაკენ, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ პუნქტით, მაშინაც კი, როცა მან განზრახვის რეალიზაცია ვერ შეძლო.

2001 წლის 1 დეკემბერს ლ.გ-ძემ, ჯ.უ-ძემ და დ.შ-ოვმა დაახლოებით ღამის ოთხ საათზე, ქალაქის პოლიციის სამმართველოს მახლობლად გააჩერეს ავტომანქანა „ფიგული“ და ტაქსის მძღოლს – ს.შ-ძეს სთხოვეს დიდ დილომში გაყვანა. დიდ დილომს რომ მიუახლოვდნენ, ლ.გ-ძემ მძღოლს ყურის უკან მიადო „სანთებელა“, რომელიც ამ უკანასკნელმა ცეცხლსასროლ იარაღად აღიქვა, მანვე უბრძანა მანქანა ცენტრალური გზიდან გადაეყვანა და გაეჩერებინა. შეშინებულმა ს.შ-ძემ ბრძანება შეასრულა. მანქანის გაჩერებისთანავე დ.შ-ოვმა მძღოლს უკნიდან ყელზე კაშნე მოხვია და მოუჭირა. დახრჩობის მუქარით მოსთხოვეს მიეცა მათთვის ფული და სხვა ნივთები. დამნაშავეებმა ს.შ-ძეს გახადეს ქურთუკი, წაართვეს 150 ლარად ღირებული მობილური ტელეფონი „ერიქსონი“, 40 ლარად ღირებული მაჯის საათი, ფული – 34 ლარი. ამის შემდეგ განუცხადეს დაზარალებულს, რომ დროებით სჭირდებოდათ მისი მანქანა ჭიათურაში წასასვლელად. იმ მოტივით, რომ არ განეცხადებინა პოლიციაში მომხდარის შესახებ, ძალით ჩასვეს მანქანის საბარგულში, თან შეპირდნენ, რომ ჭიათურაში ჩასვლისთანავე გაათავისუფლებდნენ და მანქანასაც დაუბრუნებდნენ. საჭესთან დაჯდა დ.შ-ოვი. საჩხერის რაიონის ტერიტორიაზე ავტომანქანას გაუტყდა „გიტარა“. მათ მიატოვეს მანქანა მძღოლთან ერთად და ფეხით გაემართნენ სოფელ კორბოულში, სადაც ცოტა ხნით გაჩერდნენ ლ.გ-ძის ახლობლის სახლში. დილით ფეხით ჭიათურის მიმართულებით წავიდნენ. მალე ისინი დააკავეს პოლიციის თანამშრომლებმა.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ განსასჯელ-
თა ქმედება დააკვალიფიცირა საქართველოს სსკ-ის 184-ე მუხლით
(ავტომობილის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზ-
ნის გარეშე) და 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „დ“ პუნქტებით.

სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ პუნქტით ქმედების
კვალიფიკაცია არასწორად მიგვაჩნია. 177-ე მუხლის შენიშვნის თანახ-
მად, საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში „დიდ
ოდენობად ითვლება ნივთის ღირებულება ათი ათასი ლარის ზევით“.
მოცემულ შემთხვევაში დამნაშავეები არც რეალურად დაუფლებიან
ამ ოდენობის ქონებას და არც საქმის მასალები მიუთითებენ იმაზე,
რომ მათ ასეთი მიზანი ჰქონდათ. მით უმეტეს, რომ მანქანა გაიტა-
ცეს არა მისაკუთრების, არამედ დროებით გამოყენების მიზნით. ამაზე
ქმედების 184-ე მუხლით კვალიფიკაცია მიუთითებს (ავტომობილის
ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმ-
დეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნის გარეშე).

* * *

სასამართლო პრაქტიკაში საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როცა
ქმედება შეიცავს 179-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ
ერთ ან რამდენიმე დამამძიმებელ გარემოებას, დამნაშავეს კი მსჯავ-
რი ედება არა მხოლოდ ამ მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისი
პუნქტით, არამედ კიდევ 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილითაც.

აღ-ძემ და ნ.ქ-ელმა, რომლებიც ადრე ორჯერ იყვნენ ნასამართლევი
ქურდობისათვის, წინასწარი შეთანხმებით, სიცოცხლისათვის საშიში
ძალადობის შუქარით (დანის გამოყენებით) გაიტაცეს ხ.კ-ძის კუთვნილი
ავტომანქანა მისაკუთრების მიზნით ვაკე-საბურთალოს რაიონულმა
სასამართლომ მათ მსჯავრი დასდო საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხ-
ლის 1-ლი ნაწილით და მე-2 ნაწილის „ა“ და „ე“ პუნქტებით (ყარალობა
ჯგუფურად, იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი
სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების ან გამოძალვისა-
თვის). ამგვარი კვალიფიკაცია უცვლელად დატოვა თბილისის საოლქო
სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატამ.

სასამართლოებმა მხედველობაში უნდა იქონიონ, რომ მუხლის 1-
ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება არ შეიძლება იდეალურ

ერთობლიობაში იყოს ამავე მუხლის მე-2, ან მე-3 და ა. შ. ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებასთან. 179-ე მუხლის მე-2 ნაწილით ისჯება „იგივე ქმედება“, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში, ე.ი. 1-ლი და მე-2 ნაწილები შესაბამისად ზოგად და სპეციალურ ნორმებს წარმოადგენენ. ამიტომ მათი იდეალური ერთობლიობა შეუძლებელია. ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სპეციალური ნორმით, ანუ 179-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ მოტანილ მაგალითში ა.ლ-ძისა და ნ. ქელის ქმედება დაკვალიფიცირდა 179-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით, მაგრამ სასჯელის განსაზღვრისას სასამართლომ გამოიყენა არა დანაშაულთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნის წესი, როგორც ეს ხდება მუხლის სხვადასხვა ნაწილებით ქმედების კვალიფიკაციის შემთხვევაში, არამედ პირდაპირ განსაზღვრა საბოლოო სასჯელი. სასამართლოს განაჩენში კვითხულობთ: „ა.ლ-ძე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, მე-2 ნაწილის „ა“ და „ე“ პუნქტებით და სასჯელის ზომად შეეფარდოს თავისუფლების აღკვეთა შვიდი წლით და ექვსი თვის ვადით“.

* * *

თუ ყაჩაღური თავდასხმის შედეგად გამოწვეული ზიანი მცირე მოცულობისაა და არსებობს მთელი რიგი შემამსუბუქებელი გარემოებები, სასამართლოს შეუძლია სსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე დამნაშავეს შეუფარდოს კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელი. ხსენებული მუხლი არ გამორიცხავს კანონით გათვალისწინებულზე მსუბუქი სასჯელის დანიშვნის შესაძლებლობას მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. იგი მოითხოვს მხოლოდ „განსაკუთრებული შემამსუბუქებელი გარემოების“ არსებობას და „დამნაშავეს პიროვნების გათვალისწინებას“.

რ.ს-ოვი თავს დაესხა სავაჭრო ჯიხურის მფლობელს, მოუღერა დასაკეცი დანა და ჯიხურიდან გაიტაცა ერთი ბოთლი კონიაკი, ერთი კოლოფი სიგარეტი და ნავაჭრი თანხა – 1 ლარი და 40 თეთრი. სულ გამოწვეული იყო 7 ლარის ზიანი. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონულმა სასამართლომ რ.ს-ოვს მსჯავრი დასდო საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტით (ყაჩაღობა ბინაში,

სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით), რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ექვსიდან თხუთმეტ წლამდე. სასამართლომ რ.ს-ოვს შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა ექვსი წლის ვადით, ე.ი. კანონით გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმი.

რაიონული სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი აშკარად არ შეესაბამება დამნაშავეს მიერ ჩადენილი ქმედების საშიშროებას და თვით დამნაშავეს პიროვნებას. სასამართლომ არ გაითვალისწინა ის, რომ დამნაშავე იყო მრავალშვილიანი მამა და ოჯახის ერთადერთი მარჩენალი, ხასიათდებოდა დადებითად, ადრე ნასამართლვეი არ ყოფილა, დანაშაულის ჩადენა განაპირობა მძიმე მატერიალურმა პირობებმა (საქმის მასალების მიხედვით, სავაჭრო ჯიხურთან გაელისას მან დაინახა, რომ ჯიხურის კარი ღია იყო და გადაწყვიტა არყისა და სიგარეტის გატაცება), დაბოლოს, სასამართლომ არ გაითვალისწინა ზიანის მცირე მოცულობა. მხედველობაში მისაღები, რომ დამნაშავეს შესაძლებლობა ჰქონდა უფრო მეტად დაეზარალებინა ჯიხურის პატრონი. ამ უკანასკნელს დამნაშავეს მიმართ პრეტენზია არ გააჩნდა.

ყველა ამ გარემოებათა მხედველობაში მიღებით თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატამ სსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე რ.ს-ოვს შეუმცირა სასჯელის ზომა და განუსაზღვრა ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის სასჯელდსრულების დაწესებულებაში მოხდით. დამნაშავეს სასჯელი სამ წლამდე შეუმცირდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეცვალა კვალიფიკაცია და რ.ს-ოვის ქმედება სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტიდან გადააკვალიფიცირა ამავე მუხლის პირველ ნაწილზე²⁸.

კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა არ არის გამართლებული იმ შემთხვევაში, როცა ქმედება დაკვალიფიცირებულია სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის ორი ან მეტი პუნქტით და ჩადენილია რამდენიმე დამამძიმებელი გარემოების არსებობისას.

²⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2002, № 10, გვ. 1611.

რაიონული სასამართლოს განაჩენით გ.გ-ძეს მსჯავრი დაედო ქურდობისა და ყაჩაღობისათვის და მიესაჯა ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა. შეწყალების აქტის საფუძველზე იგი ვადაზე ადრე გათავისუფლდა სასჯელის მოხდისაგან. გათავისუფლებიდან სამი თვის შემდეგ, 2001 წლის 1 აპრილს, ღამით, მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა გ.გ-ძემ მარტოხელა ქალს – გ.მ-ძეს მოტყუებით გააღებინა სახლის კარი, ყელში წაუჭირა ხელი, მე-2 ხელი კი პირზე ააფარა და ფული და ოქროულობა მოსთხოვა. ძალადობის პროცესში ორივე იატაკზე წაიქცა. გ.მ-ძემ მოახერხა ნაჯახის აღება, რომელიც თავში ჩაართყა თავდამსხმელს და გონება დააკარგვინა. შემდეგ კი ახლობლების დახმარებით იგი პოლიციას გადასცა.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს მიერ გ.გ-ძეს მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და „ე“ პუნქტებით (ყაჩაღობა ბინაში, სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით, იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის) და მიესაჯა შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა. სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით (კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა) დამნაშავეს შეუმცირა სასჯელის ზომა ოთხ წლამდე. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ განაჩენი უცვლელად დატოვა. კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნას საფუძველად დაედო მსჯავრდებულის მძიმე ოჯახური მდგომარეობა, აგრეთვე ის გარემოებაც, რომ მან დანაშაულის შედეგად ვერაფრის გატაცება ვერ მოახერხა. „მარტოხელა ქალმა თვითონვე შეიპყრო და გადასცა პოლიციას“.¹

ჩემი აზრით, ზემოხსენებულ შემამსუბუქებელ გარემოებებს „გადაწონის“ მოცემულ საქმეში არსებული სხვა გარემოებები, რომლებიც ამძიმებენ პირის პასუხისმგებლობას. ესენია: დანაშაულის ჩადენა ადრე ქურდობისა და ყაჩაღობისათვის ნასამართლევი პირის მიერ, შეწყალებიდან სულ რაღაც სამი თვის შემდეგ, დანაშაულის ჩადენა

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2002. №9. გვ. 1125-1127.

მარტოხელა ქალის მიმართ, ბინაში შეღწევით და სხვ. ამიტომ მიგვაჩნია, რომ კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნით სასამართლომ ზედმეტი ჰუმანურობა გამოიჩინა.

* * *

სასამართლო პრაქტიკის გაცნობამ ცხადყო, რომ ყაჩაღობაში ბრალდებულები პასუხისმგებლობის შემსუბუქების მიზნით, ხშირად უარყოფენ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის ფაქტს. ასეთ შემთხვევებში დაზარალებულის ჩვენების სწორ შეფასებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისა და დამნაშავეს ქმედების სწორი კვალიფიკაციისათვის. ძალიან ხშირია შემთხვევები, როცა დაზარალებულები სასამართლო სხდომაზე საკმაოდ არადამაჯერებელი არგუმენტებით უარყოფენ წინასწარი გამოძიებისათვის მიცემულ ჩვენებას და აღნიშნავენ, რომ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშ ძალადობას ადგილი არ ჰქონია. ამას კი მოსდევს პროკურორის მიერ ბრალდების შეცვლა და ქმედების გადაკვალიფიცირება 179-ე მუხლიდან 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ პუნქტზე, მაშინაც კი, როცა საქმის მასალები სწორედ დაზარალებულის მიერ წინასწარი გამოძიებისათვის მიცემული ჩვენების სისწორეზე მიუთითებს.

2001 წლის 19 ივლისს, დაახლოებით 17 საათზე, ნ.დ-ძემ სასტუმრო „აჭარის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ავტომანქანა „ვოლგო“ გააჩერა და მძღოლს თ.ჩ-შვილს მოსთხოვა დიდ დიღომში წაყვანა. საბრალდებო დასკვნის მიხედვით, როდესაც წერეთლის გამზირს მიუახლოვდნენ, დ-ძემ ჯიბიდან ამოიღო ყავისფერტარიანი დასაკეცი დანა, გახსნა, მოუქნია მძღოლს და თან ნამუშევარი თანხა მოსთხოვა. მძღოლმა უთხრა, რომ ახალი გამოსული იყო სამუშაოდ და ფული არ ჰქონდა. ასეთი პასუხით გაბრაზებულმა დ-ძემ მსუბუქად დაჭრა იგი მარჯვენა წინა მხარში და დაემუქრა: „იცოდე, ფული რომ გინახო, თვალებს დაგთხრი“. შეშინებულმა თ.ჩ-შვილმა მისცა ხელთ არსებული თანხა – ერთი ცალი ხუთლარიანი კუპიურა. როცა დარწმუნდა, რომ მძღოლს მეტი ფული არ ჰქონდა, დ-ძე გადმოვიდა მანქანიდან და ყაჩაღობის კვლავ ჩადენის მიზნით იქვე გაჩერებაზე მდგომ კერძო ტაქსში ჩაჯდა. დიდუბის რაიონის სავაჭრო ცენტრს რომ მიუახლოვდნენ, დ-ძემ დაუკითხავად აიღო

სალონიდან მძღოლის – მ.ჯ-იას ტყავის საფულე, რაც ამ უკანასკნელმა მაშინვე ხელიდან გამოჰგლიჯა. მაშინ დ-ქემ, რომელიც ხელში გაშლილ დანას ატრიალებდა, უთხრა: „მოკლედ, ფული მჭირდება და უნდა მომცო“. როდესაც უარი მიიღო, მან გაშლილი დანა ჩაარტყა მანქანის წინა სავარძელს, დააზიანა მანქანის სალონი და კვლავ გაიმეორა მოთხოვნა. შეშინებულმა მ.ჯ-იამ მისცა 10 ლარი, მოულოდნელად გააჩერა მანქანა და გაიქცა. დ-ქე გამოედევნა და დაეწია მეტრო სადგურ „დიდუბის“ მახლობლად. ერთი ხელი კისერზე მოხვია, მე-2 კი, რომელშიც დანა ეჭირა, მარცხენა გვერდში მიაბჯინა და მანქანაში დაბრუნებას აიძულებდა. ამ დროს იგი დააკავეს პოლიციის მუშაკებმა და დანა წაართვეს.

წინასწარი გამოძიებისათვის მიცემულ ყველა ჩვენებაში ორივე დაზარალებული თანმიმდევრულად აღწერს საქმის გარემოებებს. მათ შორის ნ.დ-ძის მიერ დანის გამოყენების ფაქტს. სასამართლო სხდომაზე კი მათ შეცვალეს წინასწარი გამოძიებისათვის მიცემული ჩვენებები. კერძოდ, დაზარალებულმა თ.ჩ-შვილმა აჩვენა, რომ ნ.დ-ქემ მოსთხოვა ოცლარიანის ხურდა, მაგრამ მას არ ჰქონდა. მაშინ მუქარის ტონით უთხრა: „ფული რაც გაქვს, მომეცი“ და მანაც მისცა 5 ლარი. ამის შემდეგ დ-ქემ გააჩერებინა მანქანა და გადავიდა. დაზარალებულმა უარყო წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენება დ-ძის მიერ დანის გამოყენების ფაქტზე და განმარტა, რომ „მართალია, ადგილი ჰქონდა მუქარას, მაგრამ დ-ქეს დანა არ გამოუყენებია. რაც შეეხება მსუბუქ დაზიანებას მხარზე, იგი, ეტყობა მივიღე მანქანიდან გადასვლისას მჭრელ საგანზე შეხებით. ანერვიულებულს დეტალები აღარ მახსოვს, ისე ვიყავი შეშინებული“.

დაზარალებულმა მ.ჯ-იამ ასევე შეცვალა წინასწარი გამოძიებისათვის მიცემული ჩვენება და აღნიშნა, რომ როცა დ-ქემ მუქარის ტონით ფული მოსთხოვა, შეშინებულმა 10 ლარი მიუგდო და გაიქცა. „დანა დ-ქეს ტაქსის სალონში არ სჭერია და არც სალონი დაუზიანებია... ეს ყველაფერი შეშინებული კაცის მონაყოლი იყო პოლიციაში მიყვანისას“.

თავად ნ.დ-ქე როგორც წინასწარი გამოძიებისას, ასევე სასამართლოზე უარყოფდა დაზარალებულთათვის ფულის წართმევისას

დანის გამოყენებას. მის ჩვენებასა და დაზარალებულების მიერ სასამართლოსათვის მიცემულ ჩვენებებზე დაყრდნობით სახელმწიფო ბრალმდებელმა უარი თქვა ნ.დ-ძისათვის საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით წარდგენილ ბრალდებაზე და მოითხოვა მისი ქმედების დაკვალიფიცირება 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ პუნქტით. პროკურორის მიერ ბრალდების შეცვლას მხარი დაუჭირეს დაზარალებულებმა თ.ჩ-შვილმა და მ.ჯ-იამ.

სახელმწიფო ბრალმდებელს მეტი ყურადღება უნდა მიექცია დაზარალებულთა ჩვენების შეფასებისათვის და გაერკვია მათ მიერ ჩვენებათა შეცვლის მიზეზი. მოცემული საქმის მასალები აშკარად მეტყველებენ დაზარალებულთა მიერ წინასწარი გამოძიებისათვის მიცემულ ჩვენებათა სისწორეზე. ორივე დაზარალებული, რომელთაგან არც ერთს არ დაუნახავს მეორის მიმართ ჩადენილი დანაშაული, გამოძიებისათვის მიცემულ ჩვენებებში მიუთითებს დ-ძის მიერ დანის გამოყენების ფაქტს. წინასწარი გამოძიების მასალების მიხედვით, დაზარალებულ თ.ჩ-შვილს დ-ძემ დანით მხარი მსუბუქად დაუზიანა, ხოლო დაზარალებულ მ.ჯ-იას ასევე დაუზიანა მანქანის სალონი. ყოველივე ეს დამაჯერებლად არის დადასტურებული საქმეში არსებული მასალებით: სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, მოწმე პოლიციელთა ჩვენებებით და ა.შ. სასამართლო სხდომაზე დაზარალებულებმა ფაქტობრივად ვერ ახსნეს ჩვენების შეცვლის მიზეზი: მათ განმარტეს, რომ წინასწარი გამოძიებისათვის მიცემული ჩვენებები, თითქოს დ-ძემ დანა გამოიყენა, იმით იყო განპირობებული, რომ შეშინებულებმა არასწორად გადმოსცეს საქმის გარემოებები. აშკარად არადამაჯერებელია დაზარალებულ თ.ჩ-შვილის მიერ სასამართლო განხილვისას მიცემული ჩვენება, რომ „მსუბუქი დაზიანება, ალბათ, მიიღო მანქანიდან გადასვლისას რაიმე მჭრელ საგანზე შეხებით და ანერვიულებულს დეტალები აღარ ახსოვს, ისე იყო შეშინებული“. იგივე უნდა ითქვას დაზარალებულ მ.ჯ-იას ჩვენებაზე, რომ „ტაქსის სალონის დაზიანების შესახებ მან არაფერი იცის... ეს ყველაფერი შეშინებული კაცის მონაყოლი იყო პოლიციაში მიყვანისას“. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ დ-ძე დააკავეს დანაშაულის ჩადენისთანავე და ამოუღეს დანა, რაც დადასტურებულია პოლ-

იციელების ს.ვ-ას, გ.ა-შვილის და დ.ლ-ძის ჩვენებებით და საქმეში არსებული ნივთმტკიცების წარმოდგენის ოქმით.

აღნიშნულ გარემოებათა იგნორირებით მოხდა ქმედების კვალიფიკაციის შეცვლა. სასამართლომ საქმე განიხილა პროკურორის მიერ წარმოდგენილი ბრალდების ახალი ფორმულირების ფარგლებში და დ-ქეს მსჯავრი დასდო საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ პუნქტით (ძარცვა ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის ანდა ასეთი ძალადობის მუქარით). პროკურორის მიერ ბრალდების შეცვლამ ქმედების არასწორი კვალიფიკაცია და შესაბამისად დამნაშავე პირის მსუბუქად დასჯა გამოიწვია.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 446-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, „პროკურორს უფლება აქვს შეცვალოს ბრალდება განსასჯელის სასარგებლოდ“. სასამართლო პრაქტიკის მასალები გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო ბრალმძებლები არცთუ იშვიათად, არასწორად იყენებენ ამ უფლებას, უარს ამბობენ განსასჯელისათვის 179-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაზე და მოითხოვენ ქმედების კვალიფიკაციას სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ პუნქტით, მაშინ, როცა საქმის მასალებით ყაჩაღობის ფაქტი დამაჯერებლად არის დადასტურებული. უმეტესად ეს ხდება დაზარალებულის მიერ განსასჯელის სასარგებლოდ ჩვენების შეცვლის შემთხვევაში. ხშირად დაზარალებულები სასამართლო სხდომაზე უარყოფენ მათ მიმართ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის ფაქტს. ასეთ დროს დაზარალებულის ჩვენების გულდასმით ანალიზს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დამნაშავეს ქმედების სწორი კვალიფიკაციისათვის. საჭიროა გაირკვეს დაზარალებულის მიერ ჩვენების შეცვლის მიზეზი (ხომ არ ჰქონდა ადგილი დაშინებას, მოსყიდვას, გარიგებას და ა.შ.). სამწუხაროდ, სახელმწიფო ბრალმძებლები ასეთი ანალიზის გარეშე, დაზარალებულის ბოლო ჩვენებაზე დაყრდნობით უარს ამბობენ ყაჩაღობისათვის წარდგენილ სწორ ბრალდებაზე და მოითხოვენ პირის ქმედების გადაკვალიფიციურებას სსკ-ის 178-ე მუხლზე. ამას კი შედეგად მოსდევს არასწორი განაჩენის გამოტანა.

შემდეგი მაგალითი შეეხება შემთხვევას, როცა სასამართლო სხდომაზე მამხილებელი მოწმისა და დაზარალებულების მიერ ჩვენებების შეცვლა საფუძვლად დაედო გამამართლებელი განაჩენის გამოტანას, მაშინ, როცა საქმის მასალები განსასჯელის დამნაშავეობის დამადასტურებელ შეთანხმებულ მტკიცებულებებს შეიცავდა.

თ.ვ-ძე მიცემული იქნა პასუხისგებაში საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ პუნქტებით. წინასწარმა გამოძიებამ დაადგინა შემდეგი: თ.ვ-ძე 1995 წლის ივნისში გაასამართლა ქ. თბილისის რეგიონის სამხედრო კოლეგიამ საქართველოს სსკ-ის 152-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი და მე-4 პუნქტებით (ყაჩაღობა); 243-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით (სატრანსპორტო საშუალებათა გატაცება); 150-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით (ქურდობა); 238-ე მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით (იარაღის, საბრძოლო მასალებისა და ფეთქებად ნივთიერებათა უკანონოდ ტარება, შენახვა, გადაგზავნა, გადაზიდვა, შექმნა, დამზადება ან გასაღება); 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით (გამოძალავე); 212-ე მუხლით (მოქალაქის კუთვნილი ღოკუმენტის გატაცება ან დაზიანება) და მიესაჯა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. 2000 წლის 20 აპრილს გათავისუფლდა შეწყალების აქტის საფუძველზე და სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეეცვალა პირობით ხუთი წლის გამოსაცდელი ვადით. გამოსაცდელი ვადის განმავლობაში მან კვლავ ჩაიდინა დანაშაული. კერძოდ: 2001 წლის 22 აპრილს, დაახლოებით 22 საათზე, თ.ვ-ძე და გამოძიებით დაუდგენელი ხუთი პირი, ცეცხლსასროლი იარაღებითა და დანებით შეიარაღებულნი, ყაჩაღურად თავს დაესხნენ ბ.მ-შვილის ოჯახს. მათ უკანონოდ შეაღწიეს ბ.მ-შვილის საცხოვრებელ სახლში, სადაც იმყოფებოდნენ თვითონ ბ.მ-შვილი, მეუღლე ც.მ-შვილი, შვილი ლ.მ-შვილი, რძალი ნ.ა-ძე და ორი მცირეწლოვანი შვილიშვილი. თავდამსხმელებმა მოითხოვეს ფული და ოქრო, სცემეს ოჯახის უფროსს, ხოლო თ.ვ-ძემ ამ უკანასკნელს თავში პისტოლეტის ყუა ჩაარტყა. ძალადობის შედეგად ბ.მ-შვილმა მიიღო ჯანმრთელობის მსუბუქი ხარისხის დაზიანება. თავდამსხმელები ძალადობას მიმართავენ ასევე ოჯახის სხვა წევრების – ბ.მ-შვილის მეუღლის, შვილის და რძლის მიმართ და ემუქრებოდნენ

მოკვლით. შეშინებულმა ოჯახის უფროსმა მათ აჩვენა ადგილი, სადაც ფული იყო შენახული. წასვლის წინ თავდამსხმელებმა დაზარალებულებს შეუკრეს ხელ-ფეხი და დააწვინეს იატაკზე. მათ გაიტაცეს 4500 აშშ დოლარი, ასევე 8080 ლარის ღირებულების ოქროს სამკაულები და სხვა ნივთები.

დანაშაულის ჩადენიდან ორი კვირის შემდეგ, 2001 წლის 5 მაისს, დაზარალებულმა ნ.ა-ძემ განაცხადა, რომ ვაგზლის მოედანზე არსებულ ოქროს ბირჟაზე ამოიცირო მისი სამკაულები – ოქროს ბეჭედი ბრილიანტის თვლებით და ბრილიანტის თვლებიანი ოქროს საყურეები. ამასთან აღნიშნა, რომ შენახული აქვს ამ ნივთების სასაქონლო იარლიყები. იმავე დღეს დაიკითხა დილერი ე.ჩ-ძე, რომლის დახლზეც აღნიშნული სამკაულები აღმოჩნდა. მან განმარტა რომ, 24 აპრილს (ე.ი. დანაშაულის ჩადენიდან ორი დღის შემდეგ) ეს ნივთები მიუტანა ნაცნობმა – ე.ხ-ლმა. ამ უკანასკნელის მეშვეობით გამოძიება გავიდა ვინმე დ.ჯ-ძეზე, რომელმაც შემდეგი შინაარსის ჩვენება მისცა: 2001 წლის აპრილის ბოლოს, ქ. თბილისში, კოლმეურნეობის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც იგი ეწევა მცირე ბიზნესს, მოვიდა მისი ახლობელი თ.ვ-ძე, მოიტანა ოქროს ბეჭედი და საყურეები ბრილიანტის თვლებით და სთხოვა, გაყიდვაში დახმარებოდა. ვინაიდან დ.ჯ-ძე ოქროს ბირჟაზე არავის არ იცნობდა, სამკაულები გადასცა ამხანაგს – ე.ხ-ლს, რომელმაც ისინი ნაცნობ დილერს – ე.ჩ-ძეს მიჰყიდა. დ.ჯ-ძემ აჩვენა, რომ ე.ხ-ლმა მას წინასწარ, ოქროულობის გაყიდვამდე მისცა 440 აშშ დოლარი, საიდანაც 70 დოლარი აიღო, დანარჩენი 370 კი გადასცა თ.ვ-ძეს და უთხრა: შენი მოტანილი ოქროულობა ამ ფასში გაიყიდაო. ამის შემდეგ თ.ვ-ძე აღარ უნახავს.

ოთხივე დაზარალებულმა ამოიცირო თ.ვ-ძე, როგორც ყაჩაღური თავდასხმის ერთ-ერთი მონაწილე. კერძოდ, თავდამსხმელი, რომელმაც პისტოლეტის ყუა ჩაარტყა თავში ბ.მ-შვილს და ყველას მოკვლით ემუქრებოდა.

სასამართლო სხდომაზე დაკითხვისას მოწმე დ.ჯ-ძემ შეცვალა ჩვენება და აღნიშნა, რომ წინასწარ გამოძიებას მისცა თ.ვ-ძის მამხილებელი ცრუ ჩვენება, რადგან გაბრაზებული იყო მასზე. სინამდვილეში ოქროს სამკაულები გასაყიდად გადასცა არა თ.ვ-ძემ, არამედ

ამ უკანასკნელის ძმამ – ლ.ვ-ძემ, რომელიც იმ დროისათვის გარდაცვლილი იყო.

ჩვენებები შეცვალეს აგრეთვე დაზარალებულებმა, რომლებიც წინასწარი გამოძიებისას თ.ვ-ძეს ყაჩაღურ თავდასხმაში ამხელდნენ. სასამართლო სხდომაზე დაკითხვისას მათ განაცხადეს, რომ წინასწარი გამოძიებისათვის მიცემული ჩვენებები არასწორია, ისინი შეცდნენ და თ. ვ-ძე ამოცნობისას მიაშვავეს ერთ-ერთ თავდამსხმელს. ვ-ძეს არ მიუღია მონაწილეობა მათ ბინაზე ყაჩაღურ თავდასხმაში, რის გამოც მის მიმართ არაერთი პრეტენზია არ გააჩნიათ.

თავად თ.ვ-ძე წინასწარი გამოძიების დროსაც უარყოფდა ყაჩაღურ თავდასხმაში მონაწილეობას და აღნიშნავდა, რომ დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებოდა გურიაში, ოზურგეთის რაიონში. პირები, რომელთაც ამის დადასტურება შეეძლოთ, მან მხოლოდ სასამართლო განხილვისას დაასახელა. კერძოდ, განაცხადა შემდეგი: 2001 წლის 20 აპრილს, მის მეგობარს და თანასოფელს, ოზურგეთის რაიონის მკვიდრს თ.ჭ-ძეს ჰქონდა დაბადების დღე და მეგობრებთან ერთად მასთან იყო სტუმრად. ქეიფის დროს უეცრად ცუდად გახდა, დაეწყო პირღებინება და მეგობრებმა თ.ჭ-ძემ, გ.ჟ-იამ და მ.ლ-ძემ წაიყვანეს სოფელ... ის საუბნო საავადმყოფოში, სადაც ექიმმა რ.გ-ძემ აღმოუჩინა დაზარალება. 3-4 საათის შემდეგ წაიყვანეს სახლში. ექიმი მას ყოველდღე აკითხავდა და უკეთებდა გადასხმებს.

სასამართლო სხდომაზე დაკითხვა დამატებითი მოწმეები: ექიმი რ.გ-ძე, ასევე თ.ვ-ძის მიერ დასახელებული სხვა პირები: თ.ჭ-ძე, გ.ჟ-ია და შ.ი-შვილი. მათ დაადასტურეს განსასჯელის მიერ მიცემული ჩვენების სისწორე და აღნიშნეს, რომ 2001 წლის 20 აპრილიდან 28 აპრილის ჩათვლით თ.ვ-ძე იმყოფებოდა სოფელ...ში და ბინაზე უტარდებოდა ამბულატორიული მკურნალობა ექიმ რ.გ-ძის მეთვალყურეობით.

აღნიშნულ მტკიცებულებებზე, ასევე მოწმე დ.ჯ-ძისა და დაზარალებულების ჩვენებებზე დაყრდნობით, რომლებიც არსებითად განსხვავდებოდა წინასწარი გამოძიებისათვის მიცემული ჩვენებებისაგან, სასამართლომ თ.ვ-ძე სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ პუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში გაამართლა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსე-

ბობის გამო (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტი).

სასამართლოს გადაწყვეტილება ბევრ კითხვას ბადებს. მოცემულ საქმეში არსებული წინასწარი გამოძიების მასალები თ.ვ-ძის დამნაშავეობის დამადასტურებელ შეთანხმებულ მტკიცებულებებს შეიცავს. ამიტომ მათი ერთი ხელის დაკვრით უარყოფა და მთლიანად სასამართლო განხილვისას მოპოვებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობა, ჩემი აზრით, არასწორია. განსაკუთრებით ეს შეეხება მამხილებელი მოწმის – დ.ჯ-ძისა და ოთხივე დაზარალებულის მიერ წინასწარი გამოძიებისათვის მიცემული ჩვენებების შეცვლას განსასჯელის სასარგებლოდ. სასამართლო მეტად უნდა დაფიქრებულიყო იმაზე, ხომ არ ჰქონდა ადგილი ადრე რამდენიმე მძიმე დანაშაულის, მათ შორის დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ყაჩაღობისათვის ნასამართლევი განსასჯელის მხრიდან მოწმისა და დაზარალებულთა დაშინებას, ან მათთან გარიგებას. სასამართლოს განაჩენში არ არის დასაბუთებული, რატომ მიეცა უპირატესობა სასამართლო განხილვისას მიცემულ ჩვენებებს. სასამართლო სხდომაზე პროცესის მონაწილეებმა დამაჯერებლად ვერ დაასაბუთეს ჩვენებათა შეცვლის მიზეზი. მოწმე დ.ჯ-ძემ განმარტა, რომ თ.ვ-ძე ჰპირდებოდა ცოლად შერთვას, მაგრამ შემდეგ მიატოვა და მის მეგობარ ქალთან დაიწყო შეხვედრები. ამიტომ გაბრაზდა და მის საწინააღმდეგოდ მისცა ცრუ ჩვენება.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველ ჩვენებებში დ.ჯ-ძე აღნიშნავდა, რომ სამკაულები გასაყიდად მიუტანა ვინმე ვ.ჩ-შვილმა, რომელიც ცხოვრობს მარნეულის რაიონის სოფელ მარაბდაში. როდესაც გატარებული ღონისძიებების შედეგად დადგინდა, რომ ასეთი პიროვნება არ არსებობს, ჯ-ძე ცნეს ეჭვმიტანილად დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის გასაღებაში. სწორედ მაშინ ამხილა მან თ.ვ-ძე და ეჭვმიტანილის სახით დაკითხვისას განაცხადა, რომ ამ უკანასკნელისადმი შიშის გამო მოატყუა გამოძიება და დაასახელა არარსებული პიროვნება. სინამდვილეში კი სამკაულები მიუტანა თ.ვ-ძემ. მან არ იცოდა, თუ ისინი დანაშაულებრივი გზით იყო მოპოვებული. ეს რომ მცოდნოდა, ამ საქმეში არ ჩავერეოდიო.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ დ.ჯ-ძე პირველად დაიკითხა 2001

წლის 6 მაისს. 7 მაისს თ.ვ-ძე დააკავეს სხვა დანაშაულის ჩადენისათვის ქ. რუსთავში და აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა. ამიტომ სხვა ქალთან შეხვედრებს და აქედან გამომდინარე, დ.ჯ-ძის მიტოვებას ვერ შეძლებდა. ეს უნდა მომხდარიყო დ.ჯ-ძის პირველ დაკითხვამდე, ე.ი. 6 მაისამდე. თ.ვ-ძის მამხილებელი ჩვენება კი დ.ჯ-ძემ მისცა 2001 წლის 22 ივნისს. მანამდე ის რამდენჯერმე დაიკითხა. ბუნებრივია, იბადება კითხვა: თუ დ.ჯ-ძის მიერ სასამართლოსათვის მიცემული ჩვენება სწორია და მან თ.ვ-ძეზე გაბრაზების გამო დააბრალა ამ უკანასკნელს დანაშაულის ჩადენა, რატომ არ გააკეთა ეს გამოძიების საწყის ეტაპზე? უფრო სარწმუნო ის არის, რომ დ.ჯ-ძე ხელს აფარებდა თ.ვ-ძეს და მხოლოდ მაშინ ამხილა, როცა სხვა გზა აღარ ჰქონდა, რადგან გამოვლინდა მის მიერ მიცემულ ჩვენებათა სიცრუე. ცხადია, სასამართლო სხდომაზე ჩვენების შეცვლის შემდეგ, დ.ჯ-ძეს უნდა გაეცა პასუხი კითხვაზე: თუ არა თ.ვ-ძემ, მაშ ვინ მიუტანა გასაყიდად სამკაულები? მან დაასახელა თ.ვ-ძის ძმა – ლ.ვ-ძე, რომელიც იმ დროისათვის გარდაცვლილი იყო. ჩემი აზრით, ეს გარემოებაც იძლევა დ.ჯ-ძის მიერ სასამართლოსათვის მიცემული ჩვენების სისწორეში ეჭვის შეტანის საფუძველს. აქედან გამომდინარე, ვერ დავეთანხმებით მოსამართლეს, რომელიც განაჩენში მიუთითებს, რომ დ.ჯ-ძემ სასამართლო სხდომაზე დასაბუთებულად უარყო წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენებები.

წინასწარი გამოძიების პროცესში თ.ვ-ძე ყაჩაღობისათვის წარდგენილი ბრალდების ირგვლივ ჩვენებას არ იძლეოდა, დაკითხვებისა და დაპირისპირებებისას დუმილის უფლებას იყენებდა და ოქმებს ხელს არ აწერდა. წინასწარი გამოძიების დამამთავრებელ ეტაპზე მან დუმილი დაარღვია და განაცხადა, რომ ბ.მ-შვილის ოჯახზე ყაჩაღურ თავდასხმაში მონაწილეობა არ მიუღია და ვერც მიიღებდა, რადგან ამ დანაშაულის ჩადენის დროს თბილისში არ იმყოფებოდა, იგი ოზურგეთის რაიონში იყო. მეგობართან სტუმრად ყოფნისა და ავად გახდომის ფაქტზე არაფერი უთქვამს. მან განმარტა, რომ უფრო კონკრეტულად სად იმყოფებოდა, საქმის სასამართლო განხილვისას იტყოდა და დაასახელებდა მოწმეებს, რომელთაც ამის დადასტურება შეეძლოთ. იბადება კითხვა: თუ ასეთი ალიბი ჰქონდა თ.ვ-ძეს, რატომ არ განუცხადა ეს წინასწარ გამოძიებას და არ დაუსახელა მოწმეები,

რომლებსაც მისი უდანაშაულობის დამტკიცება შეეძლოთ? იმიტომ ხომ არა, რომ საჭირო იყო მათთან შეთანხმება, რათა ბრალდებულისა და მათი ჩვენებები ერთმანეთს დამთხვეოდა? საკმაოდ არადაძაჯერებელია თვ-ძის განმარტება, რომ მას შეეშინდა, წინასწარ გამოძიებას მის მიერ დასახელებულ მოწმეებზე ზეწოლა არ მოეხდინა.

ზემოთ განხილული საქმე გამონაკლისი არ არის. როგორც აღნიშნული იყო, სასამართლო პრაქტიკაში არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა პროცესის მონაწილეები, მათ შორის დაზარალებულები, სასამართლო სხდომაზე დაკითხვისას ცვლიან ჩვენებას განსასჯელის სასარგებლოდ. ასეთ შემთხვევებში სახელმწიფო ბრალმძებლები და მოსამართლეები იმოწმებენ პრინციპს: „ეჭვი წყდება ბრალდებულის სასარგებლოდ“ და ეყრდნობიან სასამართლო სხდომაზე მიცემულ ჩვენებებს. ამ პრინციპის არსი იმაში მდგომარეობს, რომ თუ ურთიერთდაპირისპირებულ მტკიცებულებათა გულდასმითი ანალიზისა და შეფასების შედეგად მოსამართლეს ეჭვი ეპარება პირის დამნაშაევობაში, მაშინ ის უნდა დაეყრდნოს იმ მტკიცებულებას, რომელიც ბრალდებულის სასარგებლოა. როდესაც ასეთი გულდასმითი ანალიზისა და შეფასების გარეშე ხდება ერთი მტკიცებულების უარყოფა და მე-2ზე დაყრდნობა, მაშინ ზემოხსენებული პრინციპით აპელირება დაუშვებელია. მოცემულ საქმეზე ყურადღებით რომ ყოფილიყო გაანალიზებული ურთიერთდაპირისპირებული მტკიცებულებები და გამოკვლეულიყო პროცესის მონაწილეთა მიერ ჩვენებების შეცვლის მიზეზი, მაშინ ჩემი აზრით, ეჭვის საფუძველიც არ იარსებებდა და არც სასამართლო პროცესზე მიცემული ჩვენებები იქნებოდა გაზიარებული.

* * *

ბოლო წლებში სასამართლო პრაქტიკის დოკუმენტებში საკმაოდ ხშირად გვხვდება სიტყვა „დაყაჩაღება“. მას ვხვდებით როგორც წინასწარი გამოძიების მასალებში, ასევე სასამართლოს განაჩენებში. მაგალითად, „...განვიხილე ჩემს წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმე მ.გ.ვას დაყაჩაღების ფაქტზე“, „დაყაჩაღების მიზნით“, „შემთხვევის ადგილი, სადაც მოხდა დაყაჩაღება“ და ა.შ. უნდა იყოს: „ყაჩაღური თავდასხმის ფაქტზე“, „შემთხვევის ადგილი, სადაც მოხდა ყაჩაღობა“ და ა.შ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვა „დაყაჩაღება“ უკვე ისეა დამკვიდრებული, რომ მასზე უარის თქმა ძალიან ძნელი იქნება.

მუხლი 180. თაღლითობა

1. თაღლითობა, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება ან ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით, –

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ან სამოცდაათიდან ორას საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან ტუსალობით ვადით სამ თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

2. იგივე ქმედება:

ა) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;

ბ) არაერთგზის;

გ) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია;

დ) სამსახურებრივი მდგომარეობით გამოყენებით, –

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ექვს წლამდე.

3. თაღლითობა, ჩადენილი:

ა) ორგანიზებული ჯგუფის მიერ;

ბ) დიდი ოდენობით;

გ) იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევ სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე.

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი – „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, 1, 2000, № 18, მუხ. 45-ე).

თაღლითობისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია საკუთრებითი ურთიერთობები. მის საგანს კი წარმოადგენს სხვისი როგორც უძრავი, ისე მოძრავი ნივთი, ასევე სხვისი ქონებრივი უფლება. ამდენად, მოტყუების გზით ამ დანაშაულის სუბიექტი შეიძლება დაეუფლოს არა მარტო სხვის ნივთს (სახლს, ბინას, ფულს, ძვირფასეულობას), არამედ მოიპოვოს ასევე სხვისი ქონებრივი უფლება. სხვისი ქონებრივი უფლების მოპოვება შეიძლება სხვადასხვა დოკუმენტის ხელში ჩაგდებათ. მაგალითად, პირმა მოტყუებით შესძლო

მის სახელზე გადაეფორმებინა სხვისი სახლი, გაასალა რა თავი ამ სახლის გარდაცვლილი პატრონის მემკვიდრედ, ანდა მოტყუების გზით პირმა მოახერხა დაუფლებოდა ანდერძს, რომლითაც მოიპოვა სხვისი სახლ-კარისა და სხვა ნივთების მისაკუთრების უფლება. ასეთ შემთხვევებში თაღლითობა დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან, როცა პირი მოტყუების გზით მოახერხებს ხელთ ჩაიგდოს ისეთი დოკუმენტი, რომელიც მას აძლევს სხვის ქონებრივ უფლებას. აქ მნიშვნელობა არა აქვს იმას, მოახერხა თუ არა პირმა თვით ამ ნივთის დაუფლება. ზემოხსენებულ შემთხვევაში თაღლითობა დამთავრებულია მაშინ, როცა პირი მოახერხებს მოტყუების გზით გადაიფორმოს თავის სახელზე სხვისი სახლი, ე.ი. მაშინ, როცა ხელთ იგდებს შესაბამის დოკუმენტს და არა აქვს მნიშვნელობა იმას, ფაქტობრივად დაეუფლა თუ არა იგი ამ სახლს.

სხვისი ქონებრივი უფლების მიღება უნდა გავიგოთ, როგორც სხვის ქონებაზე საკუთრების უფლების მიღება. თუკი პირი მოტყუებით მიიღებს სხვისი ქონების არა საკუთრების უფლებას, არამედ მისით დროებით სარგებლობის უფლებას, თაღლითობის შემადგენლობა არა გვაქვს. მაგალითად, როცა პირი მოტყუების გზით სარგებლობისათვის დროებით ეუფლება სხვის ბინას ქირის გადახდის გარეშე, ეს ქმედება არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს თაღლითობად. ეს იმიტომ, რომ თაღლითობა გულისხმობს სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების მიღებას მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. თაღლითს უნდა ამოძრავებდეს სხვისი ნივთის არა დროებითი დაუფლების, არამედ მისი სამუდამო მისაკუთრების მიზანი. ამდენად, ხსენებულ შემთხვევაში, როცა პირი მოტყუებით დროებით და უსასრულოდ ეუფლება სხვის ბინას, სახეზე გვაქვს სს კოდექსის 185-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის – ქონებრივი დაზიანება მოტყუებით – შემადგენლობა. ამ შემთხვევაში პირი არ ამცირებს მესაკუთრის კანონიერ მფლობელობაში არსებულ ქონებას, არ ახდენს ამ ქონების ნაწილის ამოღებას უკანონოდ და უსასყიდლოდ. სსკ 185-ე მუხლის ამსრულებელი არ გადასცემს მესაკუთრეს იმ ქონებას, რაც წესით მისთვის უნდა გადაეცა და, ამდენად, ქონების მესაკუთრე დაზარალდება ანაცდენი მოგებით. ჩვენ მიერ განხილულ შემთხვევაში პირი მოტყუების გზით არ უხდის ბინის ქირას მის მესაკუთრეს

და სწორედ ამ გზით აზარალებს მას. თაღლითობის დროს კი აუცილებელია, პირმა მოტყუების გზით, სამუდამო მისაკუთრების მიზნით, ხელთ იგდოს სხვის საკუთრებაში რეალურად უკვე არსებული ნივთი ან მისი ქონებრივი უფლება.

საქართველოს სასამართლო პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ ხშირად ერთმანეთისაგან ვერ ასხვავებენ ნივთსა და ქონებრივ უფლებას. როცა პირი მოტყუებით ეუფლება სხვის ფულს, ეს შეფასებულია როგორც სხვისი ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით. არის შემთხვევა, როცა სხვისი ფულის მოტყუებით დაუფლება შეფასებულია მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სხვისი ნივთის დაუფლებად და ქონებრივი უფლების მიღებად მოტყუებით. გამოდის, რომ ფული ნივთიც ყოფილა და ქონებრივი უფლებაც. მაგალითად, 2002 წლის 23 მაისს ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ მსჯავრი დასდო მოქალაქე ქათამაშვილს იმაში, რომ მან ჩაიღინა „თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება და ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით“.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ქათამაშვილი მოტყუებით დაეუფლა მოქალაქის ფულს. ფული კი არის ნივთი. იგი არ შეიძლება იყოს ნივთიცა და ქონებრივი უფლებაც ერთდროულად.

ამ საქმეზე წინასწარი გამოძიების მიერ შედგენილი საბრალდებო დასკვნით ქათამაშვილის მიმართ წარდგენილი ბრალდება ფორმულირებულ იქნა როგორც „თაღლითობა, ე.ი. მოქალაქეთა ნდობის მოპოვება და ქონებრივი უფლების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება“¹.

თაღლითობის დროს ნივთის დაუფლების ან ქონებრივი უფლების მიღების საშუალებაა მოტყუება. მოტყუება წინ უნდა უსწრებდეს ნივთის ან ქონებრივი უფლების მიღებას, ე.ი. მოტყუება არის სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების მიღების ხერხი. თაღლითობის ობიექტურ მხარეში შედის მოტყუებაც და ამ გზით სხვისი ნივთისა თუ ქონებრივი უფლების მიღებაც. თავისთავად მოტყუება, თუ იგი მიმართულია სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების მიღებისაკენ, უნდა შეფასდეს თაღლითობის მცდელობად.

¹ იხ. ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რ-ლი სასამართლოს არქივი, საქმე № 0601213. იმავე ხასიათის შეცდომა დაშვებული სხვა საქმეებშიც.

მოტყუება შეიძლება განხორციელდეს აქტიურობითა და პასიურობით. უფრო გავრცელებულია აქტიური მოტყუება, როცა პირს შეაცდენენ ცრუ მონაცემების შეტყობინების გზით. პასიური მოტყუების დროს კი ადგილი აქვს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების შეგნებულ დამალვას დაზარალებულის შესაცდენად და ამ გზით სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების მიღებას. ამ შემთხვევაშიც ამგვარი ინფორმაციის დამალვა წინ უნდა უსწრებდეს ნივთის დაუფლებას. როდესაც პასიურ მოტყუებას ადგილი აქვს სხვისი ნივთის დაუფლების შემდეგ, თაღლითობის შემადგენლობა არ არსებობს. მაგალითად, შემნახველ ბანკში კანონიერად მიღებული თანხის დათვლისას მოქალაქემ აღმოაჩინა, რომ ბანკის მოლარეს მისთვის შეცდომით ორმაგი თანხა გადაუცია. მან კი ეს ამბავი არ შეატყობინა მოლარეს და უკან არ დაუბრუნა ზედმეტი თანხა. ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობა საერთოდ არ ითვალისწინებს პასუხისმგებლობას შემთხვევით ხელში მოხვედრილი სხვისი ნივთის დაუფლებისათვის, მსგავსი შემთხვევები კრიმინალიზაციის გარეთ რჩება.

აქტიური მოტყუება კი შეიძლება იყოს როგორც ზეპირი, ისე წერილობითი. წერილობითი მოტყუება ხშირად დაკავშირებულია ყალბი დოკუმენტის წარდგენასთან. ამ დროს პირი სწორედ ამ ყალბი დოკუმენტის წარდგენით ახერხებს მე-2 პირის მოტყუებას. მოტყუებული და შეცდენილი პირი კი ნებაყოფლობით გადასცემს თაღლითს ნივთის ან ქონებრივი უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს. ამდენად, ყალბი დოკუმენტის გამოყენება მოტყუების ნაირსახეობაა და იგი არ საჭიროებს დამატებით კვალიფიკაციას სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლით. საქართველოს სასამართლო პრაქტიკის შესწავლით გამოვლინდა, რომ ზოგ შემთხვევაში სასამართლოებს ეს საკითხი არასწორად აქვთ გაგებული. მაგალითად, 2002 წლის 6 თებერვალს ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ დამნაშავედ ცნო ე-ი. და ჩ-ი თაღლითობაში, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ, ასევე ყალბი პირადობის მოწმობისა და სხვა ოფიციალური დოკუმენტის გამოყენებაში, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი.

საქმის მასალებით დგინდება, რომ ე-ი დაუკავშირდა მ-ლ-ს, რომელ-

მაც დაუდგენელ პირს დაამზადებინა ყალბი პირადობის მოწმობა. ამ მოწმობის გამოყენებით ე-მ მოახერხა იპოტეკით დაეტივრთა სხვისი კუთვნილი ბინა სანოტარო წესით და 2000 წლის ივლისში, 2 აგვისტოსა და 23 აგვისტოს ამ გზით სხვადასხვა მოქალაქეებისაგან მოტყუებით მიიღო ფულადი თანხა.

როგორც ვხედავთ, ე-ს თვითონ არ დაუმზადებია ყალბში დოკუმენტი, დოკუმენტი მან მხოლოდ თაღლითობის ჩასადენად გამოიყენა. ყალბი დოკუმენტის გამოყენება კი მოტყუების ერთ-ერთი ნაირსახეობაა და დამატებით კვალიფიკაციას არ საჭიროებს¹.

ამ საქმის გადაწყვეტისას სასამართლომ სხვა სახის შეცდომაც დაუშვა. თ-ეს ქმედება თაღლითობასთან ერთად დაკვალიფიცირდა სს კოდექსის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, მე-2 ნაწილის „ა“; „ბ“ პუნქტებით.

ჯერ ერთი, 362-ე მუხლის მე-2 ნაწილი გულისხმობს იმავე ქმედებას, თუ ის ჩადენილია არაერთგზის ან გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი („ა“, „ბ“ პუნქ.). ეს იმას ნიშნავს, რომ ამ მუხლის მე-2 ნაწილი მოიცავს პირველ ნაწილში გათვალისწინებულ ქმედებასაც და ამდენად, მე-2 ნაწილით კვალიფიკაციისას ზედმეტია მითითება 362-ე მუხლის 1-ლ ნაწილზეც.

მეორეც, განაჩენით თ-ე-ს ბრალი ედება თაღლითობაში, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი და ამავე დროს ყალბი პირადობის მოწმობის გამოყენებაში, რომელმაც ასევე გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი (362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტი). ამდენად, ერთი და იგივე მნიშვნელოვანი ზიანის დადგომა სასამართლომ ორჯერ შეაფასა და მას ორჯერ მიანიჭა მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა: ერთის მხრივ, თაღლითობის კვალიფიკაციისას, მეორეს მხრივ კი – ყალბი დოკუმენტის გამოყენების კვალიფიკაციისას, რაც დაუშვებელია².

თაღლითობის შედეგად ზარალის ოდენობა წარმოადგენს იმ თანხას, რისი დაუფლებაც მოტყუების გზით მოახერხა ამ დანაშაულის სუბ-

¹ იხ. ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რ-ლი სასამართლოს არქივი, საქმე № 960.

² იმავე ხარისხის შეცდომებია დაშვებული ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში № 8802050-1/428, აგრეთვე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში № 8801060-1/109.

იექტმა, ე.ი. რაც მან ხელთ იგდო. ის დამატებითი ზიანი, რაც დამატებით განიცადა დაზარალებულმა თაღლითობის შედეგად და რომელიც არ მიუთვისებია თაღლითს, არ უნდა ჩაითვალოს თაღლითობით გამოწვეულ ზიანად.

სასამართლოები ზოგ შემთხვევაში ამ მიმართებით შეცდომას უშვებენ. ასე, მაგალითად, 2002 წლის 13 დეკემბერს ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონის სასამართლომ დამნაშავედ ცნო გ.თ. ი თაღლითობაში არაერთგზის, დიდი ოდენობით, აგრეთვე ყალბი დოკუმენტის დამზადებასა და გასაღებაში და დოკუმენტის მართლ-საწინააღმდეგო მისაკუთრებაში – სსკ 320-ე მუხლის მე-2 ნაწლის „ბ“ პუნქტით, მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტით, 362-ე მუხლის მე-2 ნაწლის „ა“ პუნქტითა და 363-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

გ.თ-მა 1996 წელს შექმნა ინდივიდუალური საწარმო. 1999 წლიდან მან წინასწარი განზრახვით დაიწყო აშშ-ში წასვლის მსურველ პირთა მოზიდვა და მათზე აშშ-ის ნამდვილი ვიზების სახით ყალბი ვიზების გასაღება. ამ გზით იგი სხვადასხვა პირებისაგან მოტყუებით დაეუფლა თანხას, რომლის საერთო რაოდენობა შეადგენდა 49920 აშშ დოლარსა და 1600 ლარს.

გ.თ-ის დანაშაულებრივი ქმედებით სხვადასხვა ქალაქში მოტყუებით დარჩენილ მოქალაქეებს დაეხარჯათ გარკვეული თანხა ამ ქალაქებში ცხოვრების დროს, ასევე თბილისში დასაბრუნებლად და ახალი პასპორტების ასაღებად.

სასამართლომ გ.თ-ის მიერ მოქალაქეთათვის მოტყუებით მიყენებულ ქონებრივ ზიანს მიუმატა ის ქონებრივი ზიანი, რაც მათ განიცადეს უცხო ქალაქებში მოტყუებით დარჩენის შემდეგ და მისი ოდენობა განსაზღვრა 52290 აშშ დოლარის, 1705 ლარისა და 30 რუსული რუბლის ოდენობით.

თაღლითობის შედეგად გამოწვეული ქონებრივი ზიანის ოდენობის განსაზღვრისას არ შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული არაპირდაპირი ქონებრივი ზიანი. არაპირდაპირი ქონებრივი ზიანისათვის თაღლითობის სუბიექტს უნდა დაეკისროს სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ამ კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის იურიდიული შე-

ფასების დროს სასამართლომ სხვა სახის შეცდომაც დაუშვა. კერძოდ, ერთი მხრივ, გ.თ-ის მიერ ჩადენილი თაღლითობა – დაკვილიფიცირებულია როგორც არაერთგზისი, (ე.ი. ჩადენილი არა ერთიანი, არამედ სხვადასხვა განზრახვით. ამავე დროს სხვადასხვა მოქალაქეებიდან მოტყუებით მიღებული თანხა შეჯამებულია და ზიანის ოდენობად ჩათვლილია შეკრების შედეგად მიღებული ჯამი და არა ის ოდენობა, რასაც გ.თ-ი დაეუფლა ცალკეული მოქალაქის მოტყუების გზით).

საქმის მასალებით დადგენილია, რომ გ.თ-მა მის მიერ დამზადებული ყალბი ვიზების მეშვეობით 1999 წლის ოქტომბრიდან 2001 წლის იანვრის ჩათვლით მოატყუა მოქალაქეები, რომელთაც სურდათ გამგზავრება აშშ-ში და ამ გზით მართლსაწინააღმდეგო მითვისების მიზნით დაეუფლა სხვადასხვა ოდენობის ფულად თანხას.

როგორც აღვნიშნეთ, სასამართლომ თითოეული ეპიზოდიდან მოტყუებით მიღებული თანხა შეკრიბა და გ.თ-ის ბრალად წარუდგინა თაღლითობა, ჩადენილი დიდი ოდენობით. საქმეში კი არ მოიპოვება იმის საფუძველი, რომ თაღლითობა შეფასდეს დიდი ოდენობით ჩაადენილად. ამგვარი კვალიფიკაცია სწორი იქნებოდა მაშინ, გ.თ-ი თუნდაც ერთი რომელიმე მოქალაქიდან მოტყუების გზით თუ მიიღებდა 10000 ლარზე მეტ თანხას. ის ფაქტი, რომ გ.თ-მა ინდივიდუალურ საწარმო ფირმის შექმნის შემდეგ განიზრახა ამერიკაში წამსვლელ პირთა მოზიდვა და მათზე ყალბი ვიზების გასაღება; არ გვაძლევს საფუძველს მის მიერ სხვადასხვა დროს ჩადენილი თაღლითობა ჩავთვალოთ ერთიანი განზრახვით ჩადენილ დანაშაულად. არ არსებობს ზოგადი განზრახვა, არამედ განზრახვა არსებობს კონკრეტული ქმედებისა და ამ ქმედებით გამოწვეული ზიანის მიმართ¹, ამდენად, არ არსებობს ზოგადად თაღლითობის ჩადენის განზრახვა. ზოგადად შეიძლება არსებობდეს თაღლითობის ჩადენის განწყობა. მაგრამ ერთია დანაშაულის ჩადენის განწყობა და მეორეა მისი ჩადენის განზრახვა. არსებობს კონკრეტული პირის (ფიზიკური თუ იურიდიული პირის) ნივთის ან ქონებრივი უფლების თაღლითური გზით დაუფლების განზრახვა. გ.თ-ს თაღლითობის ჩადენის განზრახ-

¹ Лекшас Ион, Вина как субъективная сторона преступного деяния, М., 1958, гв. 39-34.

ვა იმდენჯერ აღმოუცუნდა, რამდენი მოქალაქეც მან მოატყუა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გ.თ-ს კონკრეტული პირების მოტყუების განზრახვა აღმოუცუნდებოდა მას შემდეგ, როცა ისინი მიმართავდნენ მას აშშ-ში გამგზავრების მიზნით. მანამდე კი მას არ შეიძლებოდა ჰქონოდა მათი მოტყუების განზრახვა თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ან საერთოდ არ იცნობდა მათ, ან არაფერი იცოდა მათ აშშ-ში გამგზავრების სურვილის შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში გ.თ-ის მიერ სხვადასხვა მოქალაქეებისაგან მოტყუებით მიღებული თანხის დაჯამება იმიტომაც არ შეიძლება, რომ დაზარალდა არა ერთი პირის, არამედ სხვადასხვა მოქალაქის საკუთრებითი უფლება. ამიტომ გ.თ-ის ქმედებით გამოწვეული ზიანის ოდენობა გამოიხატება ცალკეული პირების ზიანის ოდენობაში.

გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღინიშნა, სასამართლომ გ.თ-ის მიერ ჩადენილი თაღლითობა დააკვალიფიცირა არაერთგზისობის ნიშნით. ამით იგი ლოგიკურ წინააღმდეგობაში მოექცა. თუ თაღლითობა ჩადენილია არაერთგზის, ეს იმას ნიშნავს, რომ ცალკეულ ეპიზოდებს თაღლითი სწადიოდა ახლად აღმოცენებული განზრახვით. მოცემული სისხლის სამართლის საქმეზე ეს მართლაც ასე იყო და თუკი თაღლითობა ჩადენილია არაერთგზის, მაშინ სასამართლოს თაღლითობით გამოწვეული ზიანის განსაზღვრისას არ უნდა შეეკრიბა ცალკეული პირებიდან მოტყუებით მიღებული თანხები. ამდენად, გ.თ-ის ქმედება არ უნდა დაეკვალიფიცირებინათ, როგორც თაღლითობა დიდი ოდენობით¹.

თაღლითობა სს კოდექსის 180-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მხოლოდ მაშინ უნდა დაკვალიფიცირდეს, როცა არ არსებობს ამ მუხლის მე-2 ან მე-3 ნაწილით გათვალისწინებული მაკვალიფიცირებელი გარემოებები. თუ პირის ქმედებაში არის 180-ე მუხლით გათვალისწინებული თუნდაც ერთი მაკვალიფიცირებელი გარემოება, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს 180-ე მუხლის არა 1-ლი, არამედ მე-2 ან მე-3 ნაწილის შესაბამისი პუნქტით. სასამართლოები ზოგჯერ ამ მიმართებითაც უშვებენ შეცდომას. მაგალითად, 2002 წლის 11 მარტის განაჩენით ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა

¹ იხ. იგივე სისხლის სამართლის საქმე.

სასამართლომ გ.ა. დამნაშავედ ცნო 180-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მაშინ, როცა მას ბრალი ედებოდა თაღლითობაში, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია:

გ.თ. 2000 წლის აპრილში თბილისში, პუშკინის ქუჩაზე მდებარე შპს „კარდინალის“ ოფისში, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელიც თვითვე იყო, შეხვდა მოქალაქე დ.-ეს და შეპირდა, რომ 500 აშშ დოლარის საფასურად მის ქალიშვილს სამუშაოდ და სასწავლებლად გააგზავნიდა აშშ-ში. დ-მ მას ქალიშვილის პასპორტთან ერთად ეტაპობრივად გადასცა შესაბამისი თანხა. შემდეგ დ.-მ გააცნო გ.-ს თავისი მეგობარი, რომელსაც ასევე უნდოდა მისი ქალიშვილის გამგზავრება საზღვარგარეთ და სამუშაოზე მოწყობა. გ. მასაც დაჰპირდა დახმარებას და გამოართვა 600 აშშ დოლარი. გ.-ეს არ შეუსრულებია დანაპირები, ორივე მოქალაქისაგან მოტყუებით მიღებული თანხა მართლსაწინააღმდეგოდ მითთვისა და პირადი საჭიროებისათვის გამოიყენა.

როგორც ვხედავთ, გ.-მ სხვადასხვა დროს მოატყუა ორი მოქალაქე, ე.ი. მან თაღლითობა ჩაიდინა არაერთგზის. ამავე დროს, თითოეული მათგანის ზარალი მნიშვნელოვანი იყო (ერთის 500 აშშ დოლარი, ხოლო მეორეს 600 აშშ დოლარი გამოართვა). ამ საქმეზე ჩატარებული არც წინასწარი გამოძიების ეტაპზე და არც სასამართლო განხილვის დროს გ.-ზე წარდგენილ ბრალდებაში არ დაფიქსირებულა ის ფაქტი, რომ მან თაღლითობა ჩაიდინა არაერთგზის. შესაბამისად, არაერთგზისობა არ ასახულა თაღლითობის კვალიფიკაციისას. რაც შეეხება მნიშვნელოვან ზიანს, იგი დაფიქსირებულია როგორც საბრალდებო დასკვნით, ისე განაჩენით მაგრამ მხედველობაში არ არის მიღებული ქმედების კვალიფიკაციის დროს. კერძოდ, განაჩენში მითითებულია, რომ გ.-მ თაღლითობით დაზარალებულებს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. ამის მიუხედავად გ.-ს ქმედება დაკვალიფიცირებულია სსკ 180-ე მუხლის 1-ლი ნაწილით¹.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლით გამოიკვეთა, რომ ზოგჯერ სასამართლოები ვერ ასხვავებენ ერთმანეთისაგან თაღლითობისა და სამეწარმეო საქმიანობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს. მაგალ-

¹ იხ. ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს არქივი, საქმე № 0601211-1/118.

ითად, თაღლითობად აკვალიფიცირებენ უკანონო სამეწარმეო საქმიანობას. ამგვარი შეცდომის ნიმუშად გამოდგება 2002 წლის 14 მარტს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი, რომლითაც კუპატაშვილი ცნობილია დამნაშავედ თაღლითობაში, ჩადენილი არაერთგზის და რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (სსკ 180 მუხლის მე-2 ნაწლის „ბ“ და „გ“ პუნქ.), ასევე ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებასა და გამოყენებაში, არაერთგზის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (სსკ 362 მუხლის მე-2 ნაწლის „ა“ და „ბ“ პუნქ.). საქმის ფაბულა მდგომარეობდა შემდეგში:

კუპატაშვილმა ქ. ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტის შენობაში დროებითი სარგებლობისათვის აიღო ერთი ოთახი. შემდეგ კომპიუტერზე თვითონვე დაბეჭდა და გამოაქვეყნა განცხადებისა და ყალბი სერტიფიკატების ნიმუშები, რითაც, თითქოს, მას უფლება ჰქონდა ჩამოეყალიბებინა ბუღალტრის სპეციალობის შემსწავლელი ორთვიანი კურსები. მან დაიქირავა ორი პედაგოგი და მიიღო ორი მსმენელი, მათთან გააფორმა ყალბში ხელშეკრულება. კუპატაშვილმა ერთი მსმენელისაგან მიიღო 100 ლარი სწავლის ქირის სახით, ხოლო დამატებით 10 ლარი – სერტიფიკატისათვის. ამ მსმენელმა ბოლომდე გაიარა სწავლების კურსი, მაგრამ სერტიფიკატი ვერ მიიღო. მე-2 მსმენელისაგან კუპატაშვილმა მიიღო 50 ლარი სწავლის ქირა. ამ მსმენელმა სწავლების კურსი დაიწყო, მაგრამ მალევე მიატოვა, ხოლო კუპატაშვილმა მას ფული არ დაუბრუნა და მისი 50 ლარი მიითვისა. მანვე ერთ პედაგოგს, შეთანხმებისამებრ, გადაუხადა 60 ლარი, მე-2 კი მოატყუა და არ გადაუხადა ფული.

განაჩენით კუპატაშვილი დამნაშავედ იქნა ცნობილი იმაში, რომ თაღლითური გზით მოატყუა როგორც მსმენელები, ასევე ერთ-ერთი პედაგოგი და არაერთგზის მიაყენა მათ მნიშვნელოვანი ზიანი³⁶.

საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასებას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ კუპატაშვილის ქმედებაში არის სს კოდექსის 192-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის – უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ნიშნები. მის მიერ ჩადენილი ქმედება არ წარმოადგენს თაღლითობას, რადგან კუპატაშვილმა მართლაც გახსნა საბუღალტრო

³⁶ იხ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს არქივი, საქმე № 8801060 – 1/109.

კურსები, დაიქირავა სპეციალისტები, რომლებმაც სათანადო მეცადინეობები ჩაატარეს და შესაბამისი ცოდნაც მისცეს მსმენელს. ამ ნაწილით კუპატაშვილის ქმედებაში არ არის სხვისი ნივთის (ფულის) მოტყუებით დაუფლების შემადგენლობა, რადგან მსმენელმა მიიღო გაცემული თანხის შესაბამისი ცოდნა. თუმცა, რადგანაც მან ეს საქმიანობა კანონით დადგენილი სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) გარეშე დაიწყო და ამით მნიშვნელოვნად დააზარალა კურსების მსმენელი, კუპატაშვილის ქმედება უნდა დაკვალიფიცირებულიყო სს კოდექსის 192-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. მნიშვნელოვანი ზიანი ამ კონკრეტულ შემთხვევაში გამოიხატა იმაში, რომ მსმენელმა ვერ მიიღო სერტიფიკატი, რომელიც მას სათანადო დაწესებულებაში ბუღალტრული საქმიანობის დაწყების შესაძლებლობას მისცემდა.

ამდენად, მართალია, კურსის მსმენელმა რეალურად მიიღო მის მიერ გაცემული თანხის შესაბამისი ცოდნა, მაგრამ ვერ მიიღო ამ ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი – სერტიფიკატი.

თაღლითობის შემადგენლობის არსებობაზე შეიძლება საუბარი იმ ეპიზოდში, როცა კუპატაშვილმა არ მისცა კუთვნილი ხელფასი მე-2 პედაგოგს, თუმცა ამისათვის საჭიროა დასაბუთდეს, რომ მას პედაგოგის მოტყუების განზრახვა თავიდანვე ჰქონდა. ამდენად, უნდა დასაბუთდეს, რომ მე-2 პედაგოგისათვის ხელფასის გაუცემლობის მიზეზი არ იყო ის ფაქტი, რომ ერთ-ერთმა მსმენელმა ბოლომდე არ გადაიხადა სწავლის ქირა და თავი დაანება სწავლას.

თაღლითობის დროს მოტყუება შეიძლება გამოიხატოს იმაში, რომ დანაშაულის სუბიექტი დაზარალებულს ძვირადღირებული ნივთის სახით გადასცემს გაცილებით ნაკლებად ღირებულ ნივთს. ამ შემთხვევაში თაღლითობით გამოწვეული ზიანის ოდენობა უნდა განისაზღვროს გადასაცემი ნივთისა და სინამდვილეში გადაცემული ნივთის ღირებულებას შორის სხვაობის დადგენით. ზოგჯერ სასამართლოები ამ მიმართებითაც ცდებიან. მაგალითად, 2002 წლის 18 სექტემბერს ქუთაისის საქალაქო სასამართლომ დამნაშავედ ცნო გ. ბერაძე მასზედ, რომ მან წააქეზა გაბიცინაშვილი ფალსიფიკაციის ჩადენაში (სსკ 24-197-ე მუხლის 1-ლი ნაწილი); ასევე ყალბი პირადობის მოწმობის დამზადებასა და გამოყენებაში (სსკ 362-ე მუხლის ნაწილი); იგივე

ქმედებაში ჩადენილი არაერთგზის და რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი (სსკ 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ პუნქ.); ასევე თაღლითობის მცდელობაში, ჩადენილი წინასწარ შეთანხმებით, არაერთგზის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (სსკ 19 – 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტი და თაღლითობაში, რაც ჩადენილია წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ და რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (სსკ 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ პუნქ.). საქმის არსი მდგომარეობდა შემდეგში:

2002 წლის მარტში გ. ბერაძემ ოქრომჭედელ დ. გაბიციანაშვილს დაამზადებინა ფალსიფიცირებული ოქროს ბეჭდები. კერძოდ, დ. გაბიციანაშვილმა საიუველირო მაღაზიაში შეიძინა ოთხი ოქროს ბეჭედი საერთო წონით 0,3 გრამი რომლებზეც ამოტვიფრული იყო სინჯის მაჩვენებელი და სახელობითი დამლა. შემდეგ ოქროს 583 სინჯისა და სახელობითი დამლის მაჩვენებელი ნაწილი ამოჭრა, ვერცხლის 875 სინჯის ზედა ნაწილებს მიუკავშირა და ამგვარად დამზადებული 42,46 გრამის საერთო წონის ოთხი ვერცხლის ბეჭედი ე. წ. ოქროს წყალში ამოავლო.

გ. ბერაძემ გააყალბა შემთხვევით ნაპოვნი სხვისი პირადობის მოწმობა და მისი გამოყენებითა და გაბიციანაშვილთან შეთანხმებით, 40 აშშ დოლარის ოდენობით სესხის გატანის მოტივით ქ. ქუთაისის ერთ-ერთ ლომბარდს 10,52 გრამის ფალსიფიცირებული ბეჭედი ჩააბარა და მოტყუებით მიისაკუთრა 89,4 ლარი, რითაც მნიშვნელოვნად დააზიანა დაზარალებული.

ერთი კვირის შემდეგ იგი მივიდა სხვა ლომბარდში და განმეორებით გამოიყენა რა ყალბი პირადობის მოწმობა, ლომბარდის მესაკუთრეს წარუდგინა ოქროს მსგავსი სამი ფალსიფიცირებული ბეჭედი და ცდილობდა ფულის დაუფლებას, მაგრამ მხილებულ იქნა თაღლითობის მცდელობაში³⁷.

როგორც ვხედავთ, სასამართლომ გ. აბესაძის მიერ ლომბარდის ზარალი განსაზღვრა იმ თანხის ოდენობით, რასაც იგი დაეუფლა ფალსიფიცირებული ბეჭდის ჩაბარებით (89,4 ლარი). გამოდის, რომ გ. ბერაძეს ლომბარდში არ ჩაუბარებია რაიმე ღირებულების ნივთი ფუ-

³⁷ იხ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს არქივი, სს საქმე № 8802050 – 1/428.

ლის მისაღებად, არადა მან რეალურად ჩააბარა 875 სინჯის ვერცხლის 10,52 გრამიანი ბეჭდი და მას თავისი ღირებულება გააჩნდა. ამიტომ ლომბარდის ზიანის განსაზღვრამდე უნდა დაედგინათ ჩაბარებული ბეჭდის რეალური ღირებულება და ზიანი უნდა განესაზღვრათ ოქროსა და ვერცხლის ბეჭდის ღირებულების სხვაობის დადგენის გზით.

ამ საქმის განხილვისას სასამართლომ დაუშვა სხვა სახის შეცდომაც, კერძოდ, გ-ს ქმედება დაკვალიფიცირებულია თაღლითობის მცდელობად, რომელმაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი (19-180-ე მუხლის მე-2 ნაწლის „გ“ პუნქ.). თაღლითობის მცდელობა ნიშნავს იმას, რომ პირმა ვერ მოახერხა მოტყუებით სხვისი ნივთის დაუფლება, ე. ი. სხვისი საკუთრებითი ურთიერთობა ვერ დააზიანა, თუმცა შეეცადა ამას. ამიტომაც, გაუგებარია, როგორ შეიძლება თაღლითობის მცდელობით რაიმე ზიანის, მით უმეტეს, მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება დაზარალებულზე.

საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში პრობლემურია საკითხი თაღლითობისა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ სხვა დანაშაულთა ურთიერთგამიჯვნის საკითხიც. თაღლითობის დროს მოტყუება არის დანაშაულისათვის ნივთის გადაცემის საფუძველი, ე.ი. დაზარალებული, რომელიც თაღლითმა შეაცდინა, ნებაყოფლობით გადასცემს მას ნივთის ან ქონებრივი უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს, ხოლო, როდესაც მოტყუება არის სხვისი ქონების არა ნებაყოფლობით მიღების, არამედ ფარულად ან აშკარად დაუფლების გაადვილების საშუალება, ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს ქურდობას ან ძარცვას. აქვე მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რა იგულისხმება ქონების ნებაყოფლობით გადაცემაში. თაღლითობა არის მატერიალური დანაშაული, ე.ი. ის დამთავრებულია იმ მომენტიდან, როცა დანაშავეს მიეცემა მოტყუების გზით მიღებული ქონების განკარგვის შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე, ნებაყოფლობით გადაცემას ადგილი აქვს მაშინ, როცა დაზარალებული დანაშავეს გადასცემს ნივთს არა ამწუთიერი და ერთჯერადი გამოყენებისათვის, არამედ გარკვეული დროის განაკვეთში ან სულაც განუსაზღვრელი დროით მისი მრავალჯერადი გამოყენებისათვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დანაშავეს დაზარალებული აძლევს უფლებას გადაადგილოს ეს ნივთი სივრცეში, მრავალჯერადად ისარგებლოს მისით და ა.შ.

ზოგჯერ ხდება ისე, რომ დამნაშავეს მიერ მოტყუებული დაზარალებული თავის ნივთს გადასცემს მას იმ პირობით, რომ იმწუთიერად მიაქციოს ყურადღება, გამოიყენოს ის ერთჯერადად (მაგალითად, ქუჩაში მოქალაქემ უცნობი მოქალაქისაგან ითხოვა მობილური ტელეფონი იმწუთიერი სარგებლობისათვის), ხოლო დამნაშავე ხელთ იგდებს რა ამ ნივთს, ამკარად ან ფარულად ეუფლება მას. ამ შემთხვევაში საქმე არა გვაქვს თაღლითობასთან, თუნდაც ნივთის გადაცემას წინ უსწრებდეს მოტყუება. ამგვარი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს შესაბამისად ან ძარცვით, ან ქურდობით. სასამართლო პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ ეს საკითხი ერთმნიშვნელოვნად არ არის გაგებული.

მაგალითად 2002 წლის იანვარში ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონულმა სასამართლომ დ-ი დამნაშავედ ცნო საქართველოს სს კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით. საქმის ფაქტობრივი გარემოება მდგომარეობს შემდეგში: წარსულში ძარცვისა და თაღლითობისათვის ნასამართლევა დ-მ განიზრახა დაუფლებოდა ნ-ას კუთვნილ მობილურ ტელეფონს. ამ მიზნით იგი როგორც პოლიციის თანამშრომელი მივიდა ნ-თან და შემოწმების მიზნით გამოართვა ტელეფონი, შემდეგ სთხოვა წაყოლოდა პოლიციაში იმის გასარკვევად, ხომ არ იყო აღნიშნული ტელეფონი მოპარული. ისინი ჩასხდნენ სამარშრუტო ტაქსში. სანზონაში ე. წლის „პლატონას დუქანთან“ დ-მ გააჩერებინა ტაქსი და ისინი ჩამოვიდნენ. შემდეგ დ-მ სთხოვა დაზარალებულს იქვე კორპუსში მცხოვრები მისი ახლობელი ვინმე ჯიმშერი ჩამოეყვანა მასთან, თვითონ კი ქუჩაში დაელოდებოდა. დაზარალებულმა მისი ტელეფონი დაუტოვა დ-ს, როგორც პოლიციის მუშაკს და თვითონ წავიდა მითითებული კორპუსისაკენ. როგორც კი ნ-ი მხედველობის არეს მიეფარა, დ-მ ისარგებლა ამით და მობილურ ტელეფონთან ერთად შემთხვევის ადგილიდან მიიძალა.

დ-ს ქმედება არ უნდა დაკვალიფიცირებულიყო თაღლითობად მიუხედავად იმისა, რომ მან მოტყუებით ჩაიგდო ხელში მობილური ტელეფონი და მოტყუებითვე მოახერხა დაზარალებულის გატყუება შემთხვევის ადგილიდან. ეს იმიტომ, რომ დაზარალებულ ნ-ს მისთვის ტელეფონი არ გადაუცია შეხედულებისამებრ განკარგვისათვის, არ მიუცია უფლება გადაეადგილებინა იგი სივრცეში, არამედ უნდა შეენახა

მესაკუთრის უკან დაბრუნებამდე. დ-მ კი დაარღვია ეს შეთანხმება და როგორც კი ნ. თვალს მოეფარა, გაიქცა და ტელეფონიც თან წაიღო. ე.ი. ფარულად, მესაკუთრისაგან მალულად დაეუფლა მის ნივთს. ამდენად, დ-მ ჩაიდინა ქურდობა, ე.ი. ეს არის სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მითვისების მიზნით ჩადენილი არაერთგზის (სსკ 177-ე მუხლის მე-2 ნაწლის „ბ“ პუნქტი)¹.

იგივე შეცდომა დაშვებული სხვა განაჩენშიც.

ჭ. იმყოფებოდა რკინიგზის სადგურის ბაქანზე. მას თხოვნით მიმართა მოქალაქე ს-მ, რათა მიეწოდებინა მისთვის ვაგონში იქვე ბაქანზე დაწყობილი სამი ხელჩანთა, რაზეც ჭ. დათანხმდა. მან ს-ს მიაწოდა ორი ხელჩანთა და განიზრახა მიესაკუთრებინა მე-3. ამიტომ უთხრა ს-ს, რომ მე-3 ხელჩანთას თვითონ აუტანდა ვაგონში. ს-მ უთხრა, თუ თვითონაც ამოდიოდა ვაგონში, ამოეტანა მისთვის მე-3 ხელჩანთა. ჭ-მ აღუთქვა, რომ ჩანთას აიტანდა და დადებდა ვაგონში. ჭ-მ ხელი მოჰკიდა ხელჩანთას და ავიდა ვაგონში. გაიხედა და ნახა, რომ ს. მას არ უყურებდა. ისარგებლა რა ამ მომენტით, ვაგონის სალონი გამოიარა ისე, რომ ს-ს იგი არ შეუძინევია და ვაგონის მე-2 კიბიდან ჩავიდა ბაქანზე ხელჩანთით. შემდეგ მან ხელჩანთაში შენახული ხორცი ჩააბარა სადგურის სასადილოს².

როგორც ვხედავთ, აქაც დაზარალებულ ს-ს თავისი ხელჩანთა არ გადაუცია ჭ-თვის გარკვეული დროის მანძილზე სურვილისამებრ მრავალჯერადი სარგებლობისათვის. მან მხოლოდ სთხოვა ამოეტანა მისთვის ხელჩანთა ვაგონში. ე.ი. ეს ხელჩანთა მათი შეთანხმებისამებრ არ უნდა გამოსულიყო დაზარალებულის მფლობელობიდან და არ უნდა გადასულიყო ჭ-ს მფლობელობაში. ამ ნივთის მიმართ ჯ-ს მხოლოდ ტექნიკური ხასიათის ქმედება უნდა განეხორციელებინა, მაგრამ მან დაარღვია ეს შეთანხმება და ფარულად დაეუფლა ნივთს. მართალია, აქ ჭ-ს მიერ გამოყენებულია მოტყუება, მაგრამ ეს მოტყუება არ იყო ნივთის მის მფლობელობაში (ე.ი. მისი სურვილისამებრ განსაკარგავად) გადასვლის საშუალება. ნივთის მის მფლობელობაში გადასვლა მოხდა სხვა

¹ იხ. ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რ-ლი სასამართლოს არქივი, საქმე № 0101195 - 1/52.

² იხ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს არქივი, საქმე № 050128-1/69.

ხერხის გამოყენებით, კერძოდ, ფარულად. აქ მოტყუებამ უბრალოდ, გაუადვილა დამნაშავეს ფარულად დაუფლებოდა სხვის ნივთს.

თაღლითობის დროს დამნაშავეს მიერ მიწოდებული ტყუილი ცნობა შეიძლება ეხებოდეს რაიმე იურიდიულ ფაქტს, ვთქვათ, ნივთის მესაკუთრის ვინაობას. თაღლითობად უნდა დაკვალიფიცირდეს ისეთი შემთხვევა, როცა პირი თავის საკუთრებად ასაღებს ამა თუ იმ ნივთს, რომელიც სინამდვილეში ეკუთვნის სხვას და ყიდის ამ ნივთის, როგორც საკუთარს. მართალია, ასეთი ქმედება ხდება ნამდვილი მესაკუთრისაგან მალულად, მაგრამ იგი არ უნდა დაკვალიფიცირდეს ქურდობად, რადგან ქურდობის დროს დამნაშავე თვითონ ისაკუთრებს სხვის ნივთს ფარულად და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მიჰყიდოს იგი სხვას. მოგვყავს მაგალითი ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს პრაქტიკიდან. 2002 წლის 16 აპრილს ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რ-მა სასამართლომ სწორად დააკვალიფიცირა ე-ს ქმედება თაღლითობად და სხვისი ნივთის განადგურებად (სსკ 180-ე და 187-ე მუხლები). საქმის არსი მდგომარეობდა შემდეგში: ე. დაუკავშირდა მოქალაქე ბ-ს, მიიყვანა იგი ერთ-ერთ მშენებარე ობიექტზე და მოატყუა, რომ იქ განთავსებული და დაკომპლექტებული 3 ცალი დაზგა-დანადგარი მისი კუთვნილება იყო და თითქოს ჰყიდიდა მას. მასვე შესთავაზა, დაეჭრა ისინი და ჯართის სახით ჩაებარებინა, ხოლო მისთვის კი გადაეხადა 190 აშშ დოლარი. ბ-მ ირწმუნა მისი სიტყვები და დაქირავებულ მუშებს დააჭრევინა დაზგა-დანადგარები ჯართის სახით, ჩააბარა იგი ერთ-ერთ ფირმას და მიღებული ფულიდან 190 აშშ დოლარი გადაუხადა ე-ს. ამ ქმედებით დაზგა-დანადგარების მესაკუთრე ორგანიზაცია დაზარალდა 900 ლარით. აღნიშნული ქმედებისათვის ე-ს 2000 წლის 10 ოქტომბერს წარუდგინეს ქურდობის ბრალდება სსკ 177 მუხლით. ხოლო 2000 წლის 3 დეკემბრის დადგენილებით მისი ქმედების კვალიფიკაცია მოხდა თაღლითობით, ხოლო ქურდობის ნაწილში მის მიმართ აღძრული სს საქმის წარმოება შეწყდა¹.

ამდენად, 2000 წლის 10 ოქტომბრის დადგენილებით ე-ს ქმედება იურიდიულად სწორად შეფასდა, როცა ქურდობის ნაწილში შეწყდა

¹ იხ. ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რ-ლი სასამართლოს არქივი, საქმე № 0700143 - 1-73-02.

საქმის წარმოება. ე-მ სამშენებლო ობიექტიდან გაატანა მოქალაქე ბ-ს დაზგა-დანადგარები, გაასაღა რა ისინი მის საკუთრებად და დაუმალა დაზარალებულს ამ დანადგარების ნამდვილი მესაკუთრის ვინაობა. ამდენად, ე-ს ფარულად არ მიუსაკუთრებია სხვისი ქონება, მას თავის მფლობელობაში არ მოუქცევია ისინი. ამდენად, აქ ქურდობას არა აქვს ადგილი. არამედ ე. მოტყუებით დაეუფლა მოქალაქე ბ-ს ნივთს (ფულს), რომელიც შეაცდინეს.

ასევე სწორად შეაფასა ეს საქმე ვაკე-საბურთალოს სასამართლომ. მოტყუება შეიძლება როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით. უმოქმედობით მოტყუებას ადგილი აქვს მაშინ, როცა პირი მალავს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტს, რომლის შეტყობინებაც სავალდებულო იყო დაზარალებულისათვის და ამ გზით ეუფლება სხვის ნივთს.

ზოგჯერ სასამართლოები ფორმალურად უდგებიან საკითხს, როდესაც უმოქმედობით ჩადენილ თაღლითობად აკვალიფიცირებენ ამა თუ იმ ქმედებას. მაგალითად, 2002 წლის 16 მაისს ქუთაისის საქალაქო სასამართლომ გ-ი დამნაშავედ ცნო თაღლითობაში, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, რაც გამოიხატა შემდეგში:

1960 წლიდან გ. მუშაობდა ერთ-ერთი ქარხანაში, სადაც 1988 წელს ასაკის გამო დაენიშნა პენსია. პენსიის დანიშვნის შემდეგ იგი განაგრძობდა მუშაობას სხვადასხვა თანამდებობაზე, რის გამოც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, არ ღებულობდა პენსიას.

1995 წლის აგვისტოდან იგი ქარხნის აღმინისტრაციის ინიციატივით გათავისუფლდა სამუშაოდან და ამ პერიოდის მასზე დაიწყო პენსიის გაცემა თვეში 14 ლარის ოდენობით. შესაბამისად იგი გაფრთხილებულ იქნა ხელწერილით, რომ მუშაობის დაწყების შემთხვევაში ვალდებული იყო ეცნობებინა სოცუზრუნველყოფის ფონდის განყოფილებისათვის.

1996 წლის სექტემბრიდან გ-მა კვლავ დაიწყო მუშაობა ქარხანაში, მაგრამ არ აცნობა სოცუზრუნველყოფის განყოფილებას, შეაცდინა ეს ორგანო და 2002 წლის თებერვლამდე ხელფასთან ერთად იღებდა პენსიასაც, რაც საპენსიო უზრუნველყოფის კანონით დაუშვებელია. 2001 წლის დეკემბერში იგი ამხილეს 576 ლარის თაღლითური გზით მითვისებაში. გ-მ როგორც წინასწარ, ისე სასამართ-

ლო გამოძიებაზე მიუთითა, რომ მან არ განაცხადა მუშაობის დაწყების ფაქტი, რადგან ქარხანა სანახევროდ გაჩერებული იყო, ამ დროს იგი პენსიით ირჩენდა თავს და რომ არა პენსია, უმუშევრობის პერიოდში იგი საერთოდ უსახსროდ დარჩებოდა.

არც წინასწარი გამოძიება და არც სასამართლო არ დაინტერესებულა ამგვარი ჩვენების რეალობის შემოწმებით, არ გაურკვევია, მართლაც სანახევროდ იყო თუ არა ქარხანა გაჩერებული. ამ ფაქტის გარკვევას კი დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს გ-ს ქმედების სწორი სამართლებრივი შეფასებისათვის. თუ დადგინდებოდა, რომ ქარხანა მართლაც სანახევროდ გაჩერებული იყო და ამ დროს მუშაკებს ხელფასი არ ურიგდებოდათ, გ-ს ქმედებაში თაღლითობის შემადგენლობაც უნდა გამოირიცხოს. ყოველ შემთხვევაში, მისი ქმედებით გამოწვეული ზიანის დაანგარიშებისას მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული ქარხნის გაჩერების დროს გაცემული პენსიის ოდენობა¹.

თაღლითობის ერთ-ერთი დამამძიმებელი გარემოებაა მისი ჩადენა ორგანიზებული ჯგუფის მიერ. თაღლითობა ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილად შეიძლება ჩაითვალოს მაშინ, თუ იგი განახორციელა პირთა მყარმა ჯგუფმა, რომლებიც წინასწარ იყვნენ შეკავშირებული რამდენიმე თაღლითობის ჩასადენად (იხ. სსრ კოდექსის 27-ე მუხლის მე-3 ნაწილი). ჯგუფის სიმყარეში იგულისხმება რამდენიმე ნიშანი. კერძოდ, პირთა ჯგუფი მყარად რომ ჩაითვალოს, მას აუცილებლად უნდა ჰყავდეს ხელმძღვანელი (ორგანიზატორი), რომელმაც შექმნა ეს ჯგუფი ან ხელმძღვანელობს სხვის მიერ უკვე შექმნილ ჯგუფს. თუკი პირთა ჯგუფი სტიქიურად, ხელმძღვანელის გარეშე ჩადის რამდენიმე თაღლითობას, ასეთი დანაშაული არ ჩაითვლება ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილად.

ჯგუფის სიმყარის შემდეგი ნიშანი არის ის, რომ ჯგუფის წევრები არ იცვლებიან. სხვა სიტყვებით რამ ვთქვათ, არ ხდება წევრთა დენადობა. წევრს არ შეუძლია თვითნებურად, ხელმძღვანელის თანხმობის გარეშე დატოვოს ჯგუფი. ამავდროულად ჯგუფში ახალი წევრის მიღება არ ატარებს შემთხვევით ხასიათს. ჯგუფის ხელმძღვანელი პირის ორგანიზაციაში მიღებამდე წინასწარ უნდა გაეცნოს უნდა იყოს მის პიროვნულ მონაცემებს, მის წარსულს, აწმყოს და ა.შ.

¹ იხ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს არქივი, საქმე № 4102827-1/251.

ორგანიზებულ ჯგუფს შექმნისთანავე განზრახული აქვს არა ერთი, არამედ რამდენიმე თაღლითობის ჩადენა. აქედან გამომდინარე, ჯგუფის სიმყარეს განსაზღვრავს ასევე მისი ხანგრძლივი დროით მოქმედების განზრახვა. ასეთი ჯგუფისათვის დამახასიათებელია შინაგანი დისციპლინა, რაც გამოხატულებას პოულობს ხელმძღვანელის ბრძანების უსიტყვოდ შესრულებაში.

აქედან გამომდინარე, არ შეიძლება თაღლითობა დაკვალიფიცირდეს ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილად მხოლოდ იმის გამო, რომ პირთა ერთი და იმავე ჯგუფმა ჩაიდინა რამდენიმე თაღლითობა. სასამართლო პრაქტიკის ანალიზით გამოვლინდა, რომ ზოგ შემთხვევაში ერთმანეთისაგან არაა განსხვავებული თაღლითობა ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ და თაღლითობა ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ. მაგალითად, 2002 წლის 6 თებერვალს ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ დამნაშავედ ცნო ე. და ჩ. თაღლითობაში, რაც ჩადენილ იქნა ორგანიზებული ჯგუფის მიერ და შეუფარდა შესაბამისი სასჯელები. საქმის მასალებით დადგინდა შემდეგი: ე-ი 2000 წლის ივლისში დანაშაულებრივად დაუკავშირდა ლ-ს, რომელმაც გამოძიებით დაუდგენელ პირს დაამზადებინა ყალბი პირადობის მოწმობა. მან ამ მოწმობის გამოყენებით სანოტარო წესით სხვადასხვა დროს იპოთეკით დატვირთა სამი მოქალაქის ბინა და მოტყუებით დაეუფლა შესაბამისად სამი დაზარალებულის ფულს სხვადასხვა ოდენობით.

რაც შეეხება ჩ-ს, ისიც 2000 წლის ივლისში დაუკავშირდა იგივე ლ-ს, რომელმაც ასევე გამოძიებით დაუდგენელ პირს დაამზადებინა ყალბი პირადობის მოწმობა. ამ მოწმობის გამოყენებით მათ სანოტარო წესით იპოთეკით დატვირთეს ერთ-ერთი მოქალაქის ბინა და მოატყუეს ორი მოქალაქე, რომელთაც გადაახდევინეს სხვადასხვა რაოდენობის თანხა.

საქმის მასალებით არაა დადგენილი საერთოდ თუ იცნობდნენ ერთმანეთს ე-ი. და ჩ-ე. დადგენილია მხოლოდ ის ფაქტი, რომ ორივე ცალ-ცალკე, ერთმანეთთან მოლაპარაკების გარეშე დაუკავშირდნენ ლ-ს, რომელმაც გამოძიებით დაუდგენელ პირს დაამზადებინა ყალბი პირადობის მოწმობა. საქმეში საერთოდ არაა გამოკვეთილი, თუნდაც სავარაუდოდ, ამ დანაშაულებრივი საქმიანობის ხელმძღვანელი, არა-

და ორივე პირის (ე-ისა და ჩ-ის) თაღლითური ქმედება შეფასებულია, როგორც ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ. ისმის კითხვა: თუკი ასეთი ჯგუფი არსებობდა, ვინ იყვნენ მისი წევრები, ვინ იყო მათი ხელმძღვანელი? ანდა რით საბუთდება, რომ მათ წინასწარვე გადაწყვეტილი ჰქონდათ რამდენიმე თაღლითობის ჩადენა? არც ერთ ამგვარ საკითხზე არც განაჩენში და არც საბრალდებო დასკვნაში სააღბათო პასუხიც კი არაა გაცემული. უფრო მეტიც, არცაა ამგვარი ნიშნების დასაბუთების მცდელობა. უბრალოდ მითითებულია, რომ თაღლითობა ჩადენილია ორგანიზებული ჯგუფის მიერ¹.

მუხლი 181. ბამოძალვა

1. გამოძალვა, ესე იგი სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების გადაცემის ან ქონებრივი სარგებლობის მოთხოვნა, რასაც თან ერთვის დაზარალებულის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების ან მათი ნივთის განადგურების, ან დაზიანებისა ანდა სახელგამტეხი ცნობის გახმაურების, ან სხვა ისეთი ცნობის გავრცელების მუქარა, რამაც შეიძლება არსებითად დააზიანოს მათი. უფლებები, — ისჯება ჯარიმით ან ტუსალობით ვადით ექვს თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე.

2. იგივე ქმედება ჩადენილი:

ა) ჯგუფურად;

ბ) არაერთგზის;

გ) დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით;

დ) იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლვეი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვს წლამდე.

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი — „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, 1, 2000, №18, მუხ. 45-ე)

¹ იხ. ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს არქივი, საქმე № 0700173-1/99-01.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლით აღწერილი ქმედების შემადგენლობა თითქმის არ განსხვავდება 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ანალოგიური შემადგენლობისაგან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის კვალიფიციურ შემადგენლობაში რამდენიმე დამამძიმებელი გარემოების დამატებას. ამავე დროს, საქართველოს სსკ 181-ე მუხლით გათვალისწინებული გამოძალვის შემადგენლობა განსხვავდება დღეს ქვეყნების სისხლის სამართლის მოდელური კოდექსით, ასევე რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული გამოძალვის შემადგენლობისაგან.

უახლესი სასამართლო პრაქტიკის გაცნობამდე ვფიქრობდით, რომ გამოძალვის კვალიფიკაციის დროს შეცდომები ნაკლებად იყო მოსალოდნელი, ვინაიდან ჩვენს ქვეყანაში ანალოგიური ნორმის შეფარდების ორმოცწლიანი გამოცდილება არსებობდა. მაგრამ სსკ 181-ე მუხლით განხილულ სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის ანალიზის შემდეგ იმ დასკვნამდე მივედით, რომ სამართალშემფარდებელი ორგანოებისათვის რამდენადმე პრობლემატურია გამოძალვის გამიჯვნა ძარცვისა და ყაჩაღობისაგან. სასამართლო პრაქტიკა ძირითადად შეცდომებს უშვებს გამოძალვის დროს ძალადობის მუქარის შეფასებისას.

სსკ 181-ე მუხლის მიხედვით, გამოძალვის ობიექტური შემადგენლობა გამოიხატება ქონების მესაკუთრის ან ქონების მფლობელისათვის დამნაშავის მიერ წაყენებულ მოთხოვნაში (უღტიმატუმში), გადასცეს ნივთი ან მასზე უფლება, ანდა ქონებით სარგებლობის უფლება. ამასთანავე, ამ მოთხოვნას თან ერთვის დაზარალებულის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ მუქარა. სახელდობრ, ამ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად დაზარალებულის შანტაჟი მუქარის სხვადასხვა ფორმით გამოიხატება: მუქარა შეიძლება შეიცავდეს ძალადობის გამოყენებას, სხვისი ქონების დაზიანებას ან განადგურებას, ანდა სახელგამტეხი ცნობის გახმაურების ან სხვა ისეთი ცნობის გავრცელების მუქარას, რამაც შეიძლება არსებითად დაზიანოს დაზარალებულის ან მისი ახლო ნათესავის უფლებები. ამგვარად, გამოძალვის ობიექტური მხარე ორი მოქმედებისა-

გან შედგება – ქონებრივი შინაარსის მოთხოვნის წაყენებისა და რაიმე სიკეთის დაზიანების მუქარისაგან (შანტაჟისაგან). ქმედების გამოძალვით კვალიფიკაციისათვის მუქარის გამოხატვის ფორმას მნიშვნელობა არა აქვს (ზეპირი, წერილობითი თუ სხვა ფორმა). გამოძალვის შემადგენლობისათვის ასევე მნიშვნელობა არა აქვს დამნაშავე რეალურად აპირებდა თუ არა მუქარის განხორციელებას. მთავარია დაზარალებულის მიერ ეს მუქარა რეალურად აღიქმებოდა. გამოძალვისათვის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ისიც, რომ ძალადობის გამოყენების მუქარა ხორციელდება არა უმაღლვე, არამედ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ. ამასთანავე, რამდენადაც ძალადობის მუქარის შინაარსი კანონში დაკონკრეტებული არ არის, ამდენად, იგი ნებისმიერი შინაარსის მუქარას გულისხმობს, მათ შორის მოკვლის მუქარასაც და დამატებით სსკ 151-ე მუხლის შეფარდება საჭირო არ არის.

ძარცვისა და ყაჩაღობის მსგავსად, გამოძალვაც ორობიექტიანი დანაშაულია და თავისი ობიექტური ნიშნებით გარკვეულწილად ემსგავსება მათ. მაგრამ ძალადობრივი ძარცვისა და ყაჩაღობისაგან განსხვავებით, რომელთა ჩადენის დროს ძალადობის გამოყენების მუქარა ქონების დაუფლებისთანავე ხორციელდება, გამოძალვის დროს ეს მუქარა მომავლისკენაა მიმართული. ამიტომაც ქონების დაუფლებაც მაშინვე კი არ ხდება, როგორც ძარცვისა და ყაჩაღობის დროს, არამედ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ.

გამოძალვის დროს მუქარა ფსიქიკური იძულების საშუალებად გამოიყენება. თუ გამოძალველის მიერ მუქარა რეალურად განხორციელდა, მაშინ ადგილი ექნება დანაშაულთა ერთობლიობას. მაგალითად, ძალადობის ფაქტობრივი გამოყენება, რომლითაც იმუქრებოდა დამნაშავე, ამ დანაშაულის შემადგენლობით არ არის მოცული და ამიტომ გამოყენებული ძალადობის ხარისხის მიხედვით იგი უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით – გამოძალვა და ადამიანის ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, ანდა გამოძალვა და სიცოცხლის განზრახ ან გაუფრთხილებლობით მოსპობა.

თუ დამნაშავემ, მუქარის მიუხედავად, ვერ მიაღწია საწადელს და დაზარალებულს ქონება ვერ გამოსძალა, ხოლო შემდგომ ძალა-

დობის გამოყენებით მაინც დაეუფლა ქონებას, მაშინ ასეთ შემთხვევაში საქმე გვექნება დანაშაულთა რეალურ ერთობლიობასთან — გამოძალვა და ძარცვა ან ყაჩაღობა.

სასამართლო პრაქტიკაში დაშვებული შეცდომები გამოძალვის დროს ძალადობის მუქარის შეფასებისას შესაძლებელია გამოწვეული იყოს რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარების არასწორი ინტერპრეტაციით ჩვენი სამართალდამცავი ორგანოების მუშაკების მიერ.

იმის არგუმენტად, რომ გამოძალვის დროს ძალადობის მუქარა მის იმწუთიერ რეალიზაციას არ გულისხმობს, რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 163-ე მუხლის (გამოძალვა) დღევანდელი სტრუქტურაც გამოდგება. კერძოდ, 163-ე მუხლით აღწერილი გამოძალვის ძირითადი შემადგენლობა ძალადობის რეალურ და იმწუთიერ გამოყენებას არ მოიცავს, ხოლო მე-2 და მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ კვალიფიციურ შემადგენლობებში მუქარის რეალობა შეიძლება გამყარებულ იქნეს ფიზიკური ძალადობის გამოყენებით.

რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის ერთ-ერთი კომენტატორი წერს, რომ ძალადობის ფაქტობრივად გამოყენებას, რომლითაც იმუქრებოდა გამომძალველი, არ მოიცავს გამოძალვის ძირითადი შემადგენლობა და ძალადობის ხარისხზე დამოკიდებულებით 163-ე მუხლის მე-2 ან მე-3 ნაწილით უნდა მოხდეს კვალიფიკაცია. თუ ძარცვისა და ყაჩაღობის დროს ძალადობა ქონების უშუალოდ დაუფლების საშუალებაა, გამოძალვის დროს ძალადობა დაზარალებულის ნების დათრგუნვისა და გამომძალველის მოთხოვნის შესრულებისათვის იძულების საშუალებაა. ძარცვისა და ყაჩაღობის დროს ქონების დაუფლება ხდება ძალადობის მუქარის პარალელურად ანდა მისი გამოთქმისთანავე, გამოძალვის დროს კი დამნაშაის განზრახვა მიმართულია ამ ქონების დაზარალებულის ხელიდან მისაღებად მომავალში. თუ გამოძალვას თან ახლავს ქონების უშუალოდ ამოღება დაზარალებულისაგან, იგი გადაიზრდება ძალადობრივ ძარცვაში ან ყაჩაღობაში და კვალიფიკაცია ამ მუხლებით უნდა მოხდეს. ძალადობის გამოყენება დაზარალებულის ან მისი ახლობლებისადმი მოთხოვნის შესრულებაზე უარის თქმისათვის

შურისძიების მოტივით დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით – გამოძალვა და ჯანმრთელობის საწინააღმდეგო დანაშაული¹.

ანალოგიური აზრია გამოთქმული 1999 წელს გამოცემულ სისხლის სამართლის სახელმძღვანელოშიც, რომელშიც ვკითხულობთ, რომ ძალადობრივი გამოძალვის დროს დამნაშავის ქონებრივი მოთხოვნების რეალიზაცია იგულისხმება მომავალში და არა დაუყოვნებლივ, ვინაიდან ამ უკანასკნელ შემთხვევაში სახეზეა ძარცვა ან ყაჩაღობა².

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსში ძალადობა გამოძალვის შემადგენლობის მაკვალიფიცირებელი ნიშანია, მისი კომენტატორები გამორიცხავენ ძალადობის დაუყოვნებლივ რეალიზაციას ქონების დასაუფლებლად.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლით აღწერილი შემადგენლობა ამგვარი დასკვნის გაკეთების საფუძველს მით უფრო არ გვაძლევს, ვინაიდან ძალადობა არც ძირითად და არც კვალიფიციურ შემადგენლობაში გათვალისწინებული არ არის. ჩვენი კოდექსით გამოძალვა ე. წ. ფორმალური შემადგენლობის მქონე დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება და იგი დამთავრებულ დანაშაულად ითვლება დაზარალებულისათვის ქონებრივი შინაარსის მოთხოვნის წაყენების მომენტიდან. მუქარის რეალურად განხორციელების შედეგი ყოველთვის დანაშაულთა ერთობლიობით დაკვალიფიცირდება. მაშასადამე, 181-ე მუხლით აღწერილი ქმედების შემადგენლობაში კანონმდებელს მხედველობაში აქვს მხოლოდ არარეალიზებადი მუქარა.

საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკა 181-ე მუხლით დაკვალიფიცირებულ ქმედებებთან დაკავშირებით ასეთია:

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ 2002 წლის 12 ივნისის განაჩენით მსჯავრი დასდო გ.ფ.-ს საქართველოს სსკ 181-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

სასამართლომ შეკრებილი მტკიცებულებების საფუძველზე დადგენილად ცნო შემდეგი: „ნასვამმა გ.ფ.-მ 2002 წლის 12 თებერვალს ღამით, გააჩერა ტაქსი და მძღოლს, გ.შ.-ს მოსთხოვა თბილისის

¹ Комментарий к Уголовному кодексу Российской Федерации (Особенная часть), М., 1996, стр. 147.

² Уголовное право, Учебник, М., 1999, стр. 417.

ერთ-ერთ უბანში წაყვანა. გზაში მძღოლს დაუწყო ძალადობა და ავტომანქანის დაზიანების მუქარით ფულის გამოძალვა. მძღოლმა გადასცა სამი ლარი, გ.ფ-მ მოითხოვა უფრო მეტი თანხა და ხელი დასარტყმელად მოუქნია. გ.შ-მ მოიგერია მისი ხელი, გააჩერა ავტომანქანა და გაიქცა. განაწყენებულმა გ.ფ-მ ჩაამტვერია ავტომანქანის წინა საქარე მინა, დააზიანა კარები და ძრავის საფარი, რითაც დაზარალებულ გ.შ-ს მიაყენა 265 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი“.

ამრიგად, სასამართლომ დადგენილად ჩათვალა, რომ გ. ფ-მ ჩაიდინა გამოძალვა და სხვისი ნივთის დაზიანება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (საქმე № 01/362 – 2002).

ჩვენი შეხედულებით არასწორია მსჯავრდებულის ქმედების გამოძალვად კვალიფიკაცია. თუ მხედველობაში არ მივიღებთ წინასწარი გამოძიების დროს დაშვებულ ხარვეზებს და გავიზიარებთ იმას, რომ ადგილი ჰქონდა ძალადობის ფაქტობრივად გამოყენებას ქონების იმწუთიერად დასაუფლებლად, მაშინ დამნაშავის მოქმედება ძალადობის ხარისხის მიხედვით, რომელიც განაჩენში დაკონკრეტებულნი არც არის, ძარცვად უნდა შეფასებულიყო.

ადიგენის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 18 აპრილის განაჩენით ა. ე. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ მე-19-181 მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ პუნქტით (გამოძალვის მცდელობა იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლვეი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების ან გამოძალვისათვის).

საბრალდებო დასკვნით ა.ე-ს ბრალი ედებოდა მასზედ, რომ „იგი წარსულში სამჯერ იყო ნასამართლვეი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის და კვლავ ჩაიდინა ძარცვის მცდელობა, რაც გამოიხატა შემდეგში: 2001 წლის 9 დეკემბერს ადიგენის რაიონის ერთ-ერთ სოფელში მცხოვრები ა.ე. არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი, დაახლოებით 22 საათზე, ფულისა და ოქროს ნივთების წართმევის მიზნით მივიდა ამავე სოფელში მცხოვრებ ნ.გ-ს საცხოვრებელ სახლთან, ფეხის ჩარტყმით ჩაუშხვრია საძინებელი ოთახის ფანჯრის მინები და ძალადობის გამოყენების მუქარით მოსთხოვა ფული და ოქროს ნივთები. დაზარალებული ნ.გ. ყვირილით ითხოვდა მეზობლებისაგან დახმარებას, ა.ე კი აგრძელებდა

მის მიმართ ლანძღვა-გინებას და მუქარას, ვიდრე მასთან ხმაურის გამო მივიდოდნენ შემთხვევით გამვლელი თ.ე. და ჯ.გ., რომელთა მიერ აღკვეთილი იქნა ა.ე-ს ქმედება“.

წინასწარმა გამოძიებამ ა.ე-ს ქმედება დააკვალიფიცირა საქართველოს სსკ 19-178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ პუნქტით (ძარცვის მცდელობა იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლავი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების ან გამოძლვისათვის).

რაიონულ სასამართლოში საქმის განხილვისას სახელმწიფო ბრალდების მხარემ მოითხოვა განსასჯელის ქმედების კვალიფიკაციის შეცვლა ძარცვის მცდელობიდან გამოძალვის მცდელობით, რაც გაიზიარა სასამართლომ და გამამტყუნებელი განაჩენი დაადგინა სსკ მე-19-181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ პუნქტით (საქმე № 1/17 – 2002).

მკითხველს, რომელიც ამ საქმეს გაეცნობა, ცალსახა დასკვნის გაკეთება გაუჭირდება. წინასწარი გამოძიების და სასამართლოს შემაჯამებელ დოკუმენტებში მთელი მსჯელობა ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ აქ უნდა იყოს ყაჩაღობა ან მინიმუმ ძარცვის მცდელობა, თუმცა ხსენებულ დოკუმენტებში მუქარის შინაარსი დაკონკრეტებული არ არის.

დაზარალებულმა ნ.გ-მ წინასწარი გამოძიების დროს მიცემულ ჩვენებაში განაცხადა, რომ ა.ე. ემუქრებოდა გაუპატიურებით, შემდეგ მოკვლითა და ფულისა და ოქროს ნივთების გატაცებით. თანასოფლელები – თ.ე. და ჯ.გ. რომ არ მოსულიყვნენ, მოძალადე ფანჯრიდან შევიდოდა და მოკლავდა. დაზარალებული სასამართლო პროცესზე ვერ გამოცხადდა და მოითხოვა წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენების გაზიარება.

მოწმებმა – თ.ე-მ და ჯ.გ-მ დაკითხვის დროს განაცხადეს, რომ გვიან ღამით ბრუნდებოდნენ სახლში და ნ.გ-ს სახლთან გავლისას შემოესმათ ყვირილის, ბრაზუნისა და მინების მსხვერვეის ხმა. მათვე მოესმათ მამაკაცის მუქარანარევი შემახილი – „გააღე კარები“. ხმაზე იცნეს ა.ე., რომელიც იგინებოდა ნ.გ-ს მისამართით და იმუქრებოდა, თუ სახლში არ შეუშვებდა, მოკლავდა. ისინი მიხვდნენ, რომ ა.ე. სჩადიოდა დანაშაულს, იგი გამოიყვანეს ნ.გ-ს ეზოდან და სახლისაკენ წაიყვანეს.

ამრიგად, დაზარალებულისა და ორი მოწმის ჩვენებით დასტურდება, რომ ა.ე-ს მხრიდან ადგილი ჰქონდა იმწუთიერ და რეალურ ძალადობასა და მუქარას სხვისი ქონების დაუფლების მიზნით, რაც საკმარისი საფუძველია იმისათვის, რომ გამოირიცხოს გამოძალვის შემადგენლობა, მით უფრო მისი მცდელობა. ეს კვალიფიკაცია კუროზად უფრო უნდა ჩაითვალოს, ვიდრე საქმის ფაქტობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე ქმედების იურიდიულ შეფასებად, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამოძალვა ფორმალური დანაშაულია და იგი დამთავრებულია დაზარალებულისათვის მოთხოვნის წაყენების მომენტიდან.

გარდაბნის რაიონულმა სასამართლომ 2002 წლის 21 მარტის განაჩენით კ.ჭ და მ.ლ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სსკ 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით – ჯგუფურ გამოძალვაში.

წინასწარმა გამოძიებამ მათ ბრალი დასდო ჯგუფურ ყაჩაღობაში, სადგომში უკანონო შეღწევით (საქართველოს სსკ 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, და „გ“ პუნქტები).

საბრალდებო დასკვნის მიხედვით მათ ჩაიდინეს ჯგუფური ყაჩაღობა, რაც გამოიხატა იმაში, რომ „2001 წლის 19 თებერვალს, დაახლოებით 04 საათზე, ნასვამი კ.ჭ და მ.ლ. მსუბუქი ავტომანქანით, რომელსაც მართავდა ზ.ს., მივიდნენ გარდაბნის რაიონის სოფელ მარტყოფის ტერიტორიაზე მდებარე ავტოგასამართ სადგურთან ავტომანქანაში ბენზინის ჩასასხმელად. კ.ჭ და მ.ლ. შევიდნენ ოპერატორის ჯიხურში, სადაც დანის გამოყენების მუქართა და ფიზიკური ძალადობით ოპერატორებს – რ.პ-სა და ი.შ-ს მოსთხოვეს ასი ლარი, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. ოპერატორებმა მათ წინააღმდეგობა გაუწიეს, რის გამოც ფულს ვერ დაეუფლნენ. თავდამსხმელებმა სცადეს შემთხვევის ადგილიდან მიმალვა, რა დროსაც დააკავეს პოლიციის მუშაკებმა. პირადი ჩხრეკის დროს კ.ჭ-ს ჯიბეში აღმოაჩნდა ნარკოტიკული ნივთიერება „მარიხუანა“, ხოლო მ.ლ-ს დანა. ეჭვმიტანილების პირადი ჩხრეკის დროს დაშვებული საპროცესო ნორმების უხეში დარღვევის გამო რაიონულმა სასამართლომ საქმე დაუბრუნა პროკურატურას დამატებითი გამოძიების ჩატარების მიზნით.

2002 წლის 28 თებერვალს აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე საბრალდებო დასკვნით, იმავე კვალიფიკაციით გადაიგზავნა გარდაბნის რაიონულ სასამართლოში, რომელმაც განსასჯელები კ. ჭ და მ.ლ. სამართალში მისცა შესაბამისად სსკ 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ პუნქტებით და 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

დაზარალებული რ.ა. როგორც წინასწარ გამოძიებაში, ასევე სასამართლო განხილვისას უჩვენებდა, რომ „2002 წლის 19 თებერვალს იმყოფებოდა ბენზინგასამართ სადგურზე და ი.შ-სთან ერთად ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას. დაახლოებით 04 საათზე, შემოესმა კარებზე კაკუნის ხმა, გაიხედა და დაინახა თავისი თანასოფლეელი კ.ჭ, რომელიც კარების გაღებას ითხოვდა. გაულო მას კარები და კ.ჭ შევიდა ჯიხურში. იგი მთვრალი იყო. მან მოითხოვა ასი ლარის გადაცემა, რაზედაც რ.ა-მ უარი განუცხადა, ვინაიდან ფული არ ჰქონდა. საპასუხოდ კ.ჭ-მ მას დაუწყო გინება და მუქარა, მიაყენა ფიზიკური შეურაწყოფა, ხელი გაარტყა სახის არეში და კვლავ ითხოვდა ფულს. ამ დროს ჯიხურში შევიდა მ.ლ., რომელსაც ხელში ეკავა დანა და კ.ჭ-სთან ერთად მანაც დაუწყო მუქარა ფულის გამოძალვის მიზნით. ხმაურზე ჯიხურში შევიდა მე-2 ოპერატორიც – ი.შ., რომელმაც სცადა მათი დაწყნარება, მაგრამ ორივე პიროვნება იყო მთვრალი, ისინი იმუქრებოდნენ და ძალის გამოყენებით ცდილობდნენ წაერთმიათ ფული. მიმხვდურების მოსაგერიებლად რ.ა-მ და ი.შ-მ იქვე, ჯიხურში მონახეს ჯოხები და ძალის გამოყენებით ორივე გაყარეს გარეთ. კ.ჭ კიდევ შემობრუნდა ჩხუბის გასაგრძელებლად, მაგრამ წინააღმდეგობა რომ შეხვდათ, გაიქცნენ. დაზარალებულებმა დარეკეს პოლიციაში, საიდანაც მივიდა ოპერატიული ჯგუფი და ორივე პიროვნება დააკავა“.

ანალოგიური ჩვენება მისცა მე-2 დაზარალებულმა – ი.შ-მ. სასამართლო განხილვისას, ისე როგორც წინასწარ გამოძიებაში, განსასჯელებმა წარდგენილ ბრალდებაში თავი არ ცნეს დამნაშავედ, თუმცა არ უარყვეს ის ფაქტი, რომ ფიზიკური ძალადობის გამოყენების მუქარით ცდილობდნენ ბენზინგასამართი სადგურის ოპერატორისაგან ასი ლარის გამოძალვას. მაგრამ ორივე ოპერატორმა მათ წინააღმდეგობა გაუწია და ხელში მომარჯვებული ჯოხებით ისინი ჯიხურიდან გამოაძევეს. მათ უარყვეს დანისა და ნარკოტიკული ნივთიერების

თან ქონის ფაქტი. სასამართლო პროცესზე ორივე განსასჯელმა თავი დამნაშავედ ცნო ფულის გამოძალვაში და მოითხოვეს მათი ქმედების ყაჩაღობიდან გამოძალვაზე გადაკვალიფიცირება.

სასამართლო კამათის დროს სახელმწიფო ბრალმდებელმა სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა, რომ განსასჯელს – კ.ჭ-ს მოხსნოდა ბრალდება 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ პუნქტებით, ასევე, 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, ხოლო მ. ლ-ს 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ პუნქტებით წარდგენილი დაუსაბუთებელი ბრალდება. სახელმწიფო ბრალდების მხარემ მოითხოვა ორივე განსასჯელის ქმედების გადაკვალიფიცირება სსკ 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტზე – გამოძალვა ჯგუფურად.

სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია ჯგუფური გამოძალვის ფაქტი, მოუხსნა განსასჯელებს ყაჩაღობის ბრალდება და საბოლოოდ სსკ 181-ე მუხლის მე-2 ნაწილით განუსაზღვრა მათ სასჯელი.

ვფიქრობთ, რომ წინასწარმა გამოძიებამ სწორი კვალიფიკაცია მისცა კ. ჭ-სა და მ. ლ-ს ქმედებას ჯგუფური ყაჩაღობის ნაწილში, და საპროცესო ნორმების უხეში დარღვევის მიუხედავად, სახელმწიფო ბრალდების მხარეს არავითარი იურიდიული საფუძველი არ ჰქონდა შეეცვალა თავდაპირველი უფრო მძიმე ბრალდება – ჯგუფური ყაჩაღობა, შედარებით უფრო მსუბუქი ბრალდებით – ჯგუფური გამოძალვით.

საქმის მასალებიდან არც ის ჩანს, რომ დაზარალებულებს სუბსიდიური სისხლისსამართლებრივი დევნის შესაძლებლობა მიეცათ. მართალია, პროკურორმა მოხსნა უფრო მძიმე ბრალდება, მაგრამ დაზარალებულთა ჩვენებები სასამართლო პროცესზეც ყაჩაღობის ფაქტს ადასტურებენ. ისინი 1-ლი ახსნა-განმარტებიდან მოყოლებული აცხადებდნენ, რომ იყვნენ ყაჩაღური თავდასხმის მსხვერპლნი, ორჯერ მოიგერიეს თავდამსხმელები ჯოხებით. დაზარალებულთა ჩვენებების გასაბათილებელი მტკიცებულება საქმეში ვერ ვნახეთ. სასამართლოსამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით დაზარალებულ რ. ა-ს 2001 წლის 19 თებერვალს შემოწმების დროს ქვედა ტუჩის არეში აღენიშნებოდა სისხლნაჟღენთი, რომელიც მიეკუთვნება დაზიანების მსუბუქ ხარისხს ჯანმრთელობის მოუშლელად. ეს მტკიცებულებაც ადასტურებს თავდასხმისა და იმწუთიერი ძალადობის ფაქტს. გარდა ამისა,

დანაშაულის შემთხვევიდან მეორე დღეს დაზარალებულები ექვმიტანილ მ.ლ-სთან დაპირისპირების დროს მას ამხელდნენ ფიზიკური ძალადობითა და დანის მუქარით თავდასხმაში, ექვმიტანილი კი ვერაფერს იხსენებდა. მხოლოდ თვენახევრის შემდეგ დაკითხვის დროს „გაიხსენა“ მან, რომ დანა საერთოდ არ ჰქონია.

საბოლოო განაჩენის დადგენის დროს სასამართლო მიდის იმ დასკვნამდე, რომ, მართალია, „განსასჯელთა ქმედება ფორმალურად მოიცავს საქართველოს სსკ 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის ნიშნებს (ჯგუფური ყაჩაღობა), მაგრამ იურიდიულად დაუსაბუთებელია“. ვთქვათ, ყაჩაღობა დაუსაბუთებელია. საკითხავია, რითი დაასაბუთეს გამოძალვა? ჯერ ერთი, განაჩენში მუქარის შინაარსი საერთოდ არ არის დაკონკრეტებული, მეორეც, განა დაზარალებულისათვის მუშტის გარტყმა და იმწუთიერი ფიზიკური ძალადობით ასი ლარის მოთხოვნა, გამოძალვაა? თუკი სასამართლომ გაიზიარა განსასჯელთა ეს ჩვენებები, მაშინ მას ძარცვის მცდელობაზე უნდა ემსჯელა და არა გამოძალვაზე. ისეთი შინაარსის მუქარა, რაც ბოლო დაკითხვის დროს აღიარეს განსასჯელებმა, ძარცვის მცდელობაზე მიანიშნებს.

ამ საქმის წამკითხველს ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ საპროცესო გარიგება შედგა განსასჯელებსა და ბრალდების მხარეს შორის – „მოვიხსნით ყაჩაღობის ბრალდებას და სანაცვლოდ აღიარეთ გამოძალვა“. და ეს ზდება იმ სასამართლო პროცესზე, სადაც დაზარალებული რ.ა. დაკითხვის დროს უჩვენებს, რომ განსასჯელები სახეში მუშტის გარტყმით და დანის მუქარით ითხოვდნენ ას ლარს. რით აბათილებენ ამ ჩვენებას, მკითხველისათვის გაუგებარია. ავადმყოფობის გამო მე-2 დაზარალებულის სასამართლოზე დაკითხვა ვერ მოხერხდა, წინასწარ გამოძიებაში მიცემული მისი ჩვენება კი ცალსახად ყაჩაღობის ფაქტს ადასტურებს.

მართალია, განსასჯელთა პირადი ჩხრეკის ოქმი სასამართლომ დაუშვებელ მტკიცებულებად ცნო, რითაც ამოღებულმა დანამ მტკიცებულების მნიშვნელობა დაკარგა, მაგრამ მის გარეშეც შეიძლებოდა ყაჩაღობის ან მინიმუმ ძარცვის მცდელობის დასაბუთება.

ამრიგად, მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების არაპროფესიონალიზმმა საქმის გაჭიანურება და ქმედების კვალიფიკაციის სიმცდარე განაპირობა.

მუქარა და ძალადობა სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით წინასწარმა გამოძიებამ ძარცვის მცდელობად შეაფასა, ხოლო სასამართლომ – გამოძალვად.

წინასწარმა გამოძიებამ ა.კ-სა და ს.ა-ს ბრალი დასდო იმაში, რომ 2000 წლის 6 დეკემბერს მათ, მოვრალეებმა, გადაწყვიტეს ვალეს საბაჟო გამშვებ პუნქტში გაედარცვათ თურქეთის რესპუბლიკიდან აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მიმავალი მოქალაქეები. ამ მიზნით ისინი მივიდნენ საბაჟოს დაცვა-გაცილების პოლიციის საგუშაგოსთან, სადაც გაჩერებული იყო თურქეთის რესპუბლიკიდან გადმოსული აზერბაიჯანის რესპუბლიკის ექვსი მოქალაქე, რომელთაგან ერთ-ერთი მოქალაქე ე.ვ. იმყოფებოდა მისსავე კუთვნილ ავტომანქანაში. ა.კ-მ მას მოსთხოვა ექვსივე ავტომანქანაზე 10-10 აშშ დოლარის (სულ 60 დოლარის) გადახდა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრა, რომ სპეციალურად მომარჯვებული სახრახნისით მიაყენებდა სხეულის დაზიანებას. როდესაც ე.ვ-მ უარი განაცხადა თანხის მიცემაზე, ა.კ-მ და ს.ა-მ იგი სცემეს და სხეული მსუბუქად დაუზიანეს. ა.კ-სა და ს.ა-ს მართლსაწინააღმდეგო ქმედება აღკვეთეს შემთხვევის ადგილზე მყოფმა პოლიციის თანამშრომლებმა.

წინასწარი გამოძიებისათვის დაზარალებულ ე.ვ-ს მიერ მიცემული ჩვენებით დადგენილია, რომ 2000 წლის 6 დეკემბერს ვალეს საბაჟო გამშვები პუნქტის მიმდებარე ტერიტორიაზე იმ დროს, როცა მისი მეგობრები დაცვის პოლიციის საგუშაგოში იმყოფებოდნენ, ხოლო თვითონ იმყოფებოდა მისსავე კუთვნილ ავტომანქანაში, მასთან მივიდა ა.კ. და უთხრა: „ეხლავე მომცემ 60 დოლარს, თუ არადა, სახრახნისს მუცელში გაგიყრიო, მე მას ვუთხარი, რომ ფულს ვერ მიეცემდი და ჩემთვის თავი დაენებებინა, მან კიდევ მუქარით მითხრა, რომ 10-10 დოლარს აკრეფავ თითო მანქანაზე, სულ 60 დოლარს“. დაზარალებულისაგან უარის მიღების შემდეგ ა.კ-მ და ს.ა-მ იგი სცემეს და სხეული დაუზიანეს.

განსასჯელმა ა.კ-მ სასამართლო პროცესზე უჩვენა, რომ ს.ა-სთან შეთანხმებით მივიდა თურქეთიდან აზერბაიჯანში მიმავალ მოქალაქე ე.ვ-სთან და მოსთხოვა 60 აშშ დოლარი, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრა სხეულის დაზიანებით. მას ხელში ეკავა რკინის კალამი, რომელიც აზერბაიჯანელმა მოქალაქემ სახრახნისად აღიქვა. როცა

დაზარალებულმა მათ უარი განუცხადა თანხის მიცემაზე, ა.კ-მ და ს.ა-სთან ერთად სცემა ე.ვ-ს და მას ჯანმრთელობა მსუბუქად დაუზიანა.

წინასწარმა გამოძიებამ ა.კ-ს და ს.ა-ს ზემოაღნიშნული ქმედება ძარცვის მცდელობად შეაფასა. ამ კვალიფიკაციას სახელმწიფო ბრალმდებელი მხარს უჭერდა სასამართლო პროცესზეც და მას დაცვის მხარეც დაეთანხმა. მიუხედავად ამისა, სასამართლომ შეცვალა კვალიფიკაცია და ა.კ-სა და ს.ა-ს ქმედება ჯგუფურ გამოძალვად შეაფასა. განაჩენში ვკითხულობთ, რომ „ვერც წინასწარი და ვერც სასამართლო გამოძიებისას ვერ დადასტურდა ძარცვის მცდელობის ფაქტი. ძარცვის მცდელობის დროს საქმე გვაქვს ნივთის აშკარა დაუფლების მცდელობასთან მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. მოცემულ შემთხვევაში კი საქმე გვაქვს გამოძალვასთან, რადგან გამოძალვა გამოიხატება დამნაშავეის მიერ ქონების მფლობელისადმი მიმართულ მოთხოვნაში – მისთვის გადაეცათ ნივთი. წინამდებარე საქმეზე ა.კ-მ და ს.ა-მ 60 აშშ დოლარი მოსთხოვეს ე.ვ-ს, გამოძალვისას ადგილი ჰქონდა მუქარასაც. განსასჯელები ემუქრებოდნენ ე. ვ-ს სხეულის დაზიანებით, რაც რეალურად განახორციელეს კიდევ და მას სხეულის დაზიანება მიაყენეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო თვლის, რომ ა. კ-სა და ს. ა-ს უნდა მოეხსნათ საქართველოს სსკ მე-19-178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ პუნქტებით წარდგენილი ბრალდება და მათი დანაშაულებრივი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით და პასუხიც ამ მუხლით უნდა აგონ კანონის წინაშე“. სასამართლომ საბოლოო სასჯელი განსასჯელებს სწორედ 181-ე მუხლით განუსაზღვრა.

საბოლოო ჯამში, მკითხველისათვის მაინც გაურკვეველი რჩება, თუ რა შინაარსის მუქარა გაიზიარა წინასწარმა გამოძიებამ ან სასამართლომ ქმედების კვალიფიკაციის დროს. წინასწარი გამოძიებისა და სასამართლოს შემაჯამებელ დოკუმენტებში მკითხველი ვერც ძარცვის მცდელობის და ვერც გამოძალვის დამადასტურებელ არგუმენტებს ვერ ნახავს, როგორც ძარცვის მცდელობის, ისე გამოძალვის დასაბუთება აშკარად უსუსურია. დაზარალებულის ჩვენება ყაჩაღობის ფაქტს ადასტურებს და მისი ჩვენების გასაბათილებელი მტკიცებულება საქმეში ვერ ვნახეთ. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს სსკ 181-ე მუხლით აღწერილი ქმედების შემადგენლობა არ

მოიცავს ძალადობის რეალურად გამოყენებას, ამიტომ სასამართლოს განსასჯელთა ქმედება დანაშაულთა ერთობლიობით მაინც უნდა დაეკვალიფიცირებინა – გამოძალვა და ადამიანის ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ცემა).

გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ 2002 წლის 22 იანვრის განაჩენით ზ.ტ. და ს.ჩ. დამნაშავედ ცნო გამოძალვაში, ხოლო ო.ე. და ნ.გ. იძულებაში.

წინასწარი და სასამართლო გამოძიებით დადგენილ იქნა, რომ გურჯაანში მცხოვრები ვ.ზ. შვილთან, გ.ზ-სთან და ძმასთან გ.ზ-სთან ერთად სამუშაოდ იმყოფებოდა ესპანეთში. ისინი ერთი წლის განმავლობაში მუშაობდნენ მშენებლობაზე. 2001 წლის 18 თებერვალს ვ.ზ. დაბრუნდა საქართველოში, თავის სახლში, ხოლო შვილი და ძმა ესპანეთში დარჩნენ სამუშაოდ. 2001 წლის აპრილის თვეში გ.ზ-მ გაიცნო ესპანეთში ჩასული რამდენიმე ქართველი ახალგაზრდა, რომლებმაც მასთან დაამყარეს მეგობრული ურთიერთობა, მოიპოვეს მისი ნდობა, შემდეგ კი მათ განიზრახეს გ.ზ-სთვის თავისუფლების აღკვეთა და ფულის გამოძალვა. მათ, მართლაც, მოახერხეს და გ.ზ. მოტყუებით მიიყვანეს ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში, სადაც უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება და მოსთხოვეს ფული. როდესაც დარწმუნდნენ, რომ გ.ზ-ს არავითარი თანხა არ ჰქონდა, ერთ-ერთი დამნაშავე – თ.ჩ. ესპანეთიდან საქართველოში დაუკავშირდა თავის ახლობლებს – ს.ჩ-ს და ზ.ტ-ს, აუწყა მათ მის მიერ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედება და სთხოვა მათ დახმარება საქართველოში დაბრუნებული გ.ზ-ს მამისაგან, ვ.ზ-სგან დიდი ოდენობით თანხის გამოძალვაში, რაზედაც ეს უკანასკნელნი დათანხმდნენ. თავის მხრივ, ერთიანი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ს.ჩ. და ზ.ტ. დაუკავშირდნენ გურჯაანის რაიონში მცხოვრებ ნ.გ-ს, გაანდეს მომხდარი დანაშაულის ამბავი და სთხოვეს დახმარება განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, რაზედაც მან თანხმობა განაცხადა.

დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა წინასწარ შეადგინეს მოქმედების გეგმა და ურთიერთშორის გაინაწილეს როლები. ამ გეგმის მიხედვით 2001 წლის 27 აპრილს გ.ზ-ს მამასთან სახლში მივიდა ო.ე. და უთხრა, რომ მასთან შეხვედრა სურდა ნ.გ-ს. ვ.ზ. დაეთანხმა და მართლაც მივიდა შეხვედრისათვის დათქმულ ერთ-ერთი მოქალა-

ქის საცხოვრებელ სახლში, სადაც ნ.გ., ს.ჩ. და ზ.ტ. დახვდნენ. ნ.გ-მ მას უთხრა, რომ თბილისიდან ჩამოსულ მის მეგობრებს სურდათ მასთან დალაპარაკება. ვ.ზ-მ ს.ჩ-სა და ზ.ტ-სგან შეიტყო, რომ მათთან დაახლოებულ პირებს ესპანეთში დაკავებული ჰყავდათ მისი შვილი და მის გამოსახსნელად მოითხოვეს 18000 დოლარი. ვ.ზ-მ თავიდან ეს არ დაიჯერა, მაგრამ როცა მათ მობილური ტელეფონით დალაპარაკეს თავის შვილს, მან დაუდასტურა, რომ იგი თავისუფლებადკვეთილი იყო, მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა და ყველა ღონე ეხმარა მის გასათავისუფლებლად. როდესაც ვ.ზ. დარწმუნდა დამნაშავეთა ჯგუფის მუქარის რეალობაში, შვილის სიცოცხლის გადასარჩენად დათანხმდა 15000 დოლარის გადაცემას, მაგრამ მის მოსაპოვებლად ორი დღის შუალედი ითხოვა, რაზეც შეთანხმდნენ კიდევ.

შეთანხმებისამებრ, 2001 წლის 29 აპრილს ვ.ზ-ს სახლში მიაკითხა ო.ე-მ, რომელსაც დაზარალებულმა ვ.ზ-მ განუცხადა, რომ მხოლოდ 3500 დოლარის შოვნა შეძლო და სთხოვა, ამ თანხის საფასურად გაეთავისუფლებინათ მისი შვილი, თანაც შეჰპირდა დანარჩენი თანხის გადაცემას უმოკლეს დროში. ამაზე ო.ე-მ განუცხადა, რომ ს.ჩ. და ზ.ტ. იმყოფებოდნენ ნ. გ.-სთან სახლში, მისუღიყო და თვითონ გაერკვია მათთან ეს საკითხი. ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად დამნაშავეთა ჯგუფი პოლიციამ დააკავა.

საბრალდებო დასკვნის მიხედვით ოთხივე ბრალდებულს წარედგინა ბრალდება საქართველოს სსკ 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ პუნქტებით (გამოძალგა ჯგუფურად და დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით).

სასამართლომ ნ.გ-სა და ო.ე-ს 181-ე მუხლით წარდგენილი ბრალდება მოუხსნა იმ მოტივით, რომ ისინი გამოძალგაში უშუალო მონაწილეობას არ იღებდნენ, ასეთი მოთხოვნა დაზარალებულს ს.ჩ-მ და ზ.ტ-მ წაუყენეს, ხოლო ნ.გ. და ო.ე. იქ ყოფნით იძულებულს ხდიდნენ ვ.ზ-ს ემოქმედა საკუთარი სურვილის წინააღმდეგ. ამიტომ მათი ქმედება არ სცილდება საქართველოს სსკ 150-ე მუხლის (იძულება) ფარგლებს.

სასამართლომ დადგენილად ჩათვალა ის ფაქტი, რომ, რადგან ს.ჩ. და ზ.ტ. არ იცნობდნენ ვ.ზ-ს, ნ.გ-ს სთხოვეს დახმარება მასთან შესახვედრად, ამ უკანასკნელმა კი დახმარება ო.ე-ს სთხოვა და მისი

დახმარებით შეხვდნენ ვ.ზ.-ს. მართალია, გამოძალვა უშუალოდ ს.ჩ.-მ და ზ.ტ.-მ განახორციელეს, მაგრამ ნ.გ. და ო.ე. დამხმარეები იყვნენ. გასაოცარია განაჩენში იმის აღნიშვნა, რომ „ნ.გ.-მ და ო.ე.-მ მხოლოდ შეახვედრეს ს.ჩ. და ზ.ტ. ვ.ზ.-ს, მათ მონაწილეობა არ მიუღიათ საუბარში და მათი მხრიდან ფულის გამოძალვის მოთხოვნა არ ყოფილა, ამდენად, ისინი არ მონაწილეობდნენ გამოძალვაში. ამავე დროს, ნ.გ. და ო.ე.; როგორც „დამნაშავეთა სამყაროს“ წარმომადგენლები, იქ ყოფნით (ე.ი. შეხვედრის დროს) იძულებულს ხდიდნენ ვ.ზ.-ს გადაეცა ფული მისი სურვილის საწინააღმდეგოდ, ე.ი. ეს იყო მათი მხრიდან ფსიქიკური იძულება, რის გამოც ნ.გ.-სა და ო.ე.-ს მოქმედება არ სცილდება სსკ 150-ე მუხლის (იძულება) ფარგლებს“. მოსამართლის ამგვარი მსჯელობა სწორედ იმას მიანიშნებს, რომ მათ დახმარება გაუწევიათ გამოძალვაში. ამდენად, მათი ქმედების კვალიფიკაცია თანამსრულებლობით თუ არა თანამონაწილეობით მაინც უნდა მომხდარიყო. ეს ფსიქიკური დახმარების შემთხვევაა. მათი ქმედების 150-ე მუხლით კვალიფიკაცია უფრო ამყარებს თანამონაწილეობის ფაქტს, ვინაიდან ამ მუხლით აღწერილ შემადგენლობაში მუქარა წარმოადგენს მოქმედების საშუალებას, ხოლო, თავის მხრივ, ფსიქიკური იძულება გამოძალვის შემადგენელი ნაწილია. მუქარა მაშინაც არსებობს, როცა პირი პასიურად განიცდის ზემოქმედებას ფსიქიკაზე. ამასთანავე, თუ მუქარის მიზანია, აიძულოს პირი ჩაიდინოს რაიმე მოქმედება, ასეთ შემთხვევაში მუქარა უკვე მოქმედების განსაზღვრულ საშუალებად გვევლინება და იგი სხვა დანაშაულში გადაიზრდება.

წინასწარმა გამოძიებამ და სასამართლომ სწორი შეფასება მისცეს გ.ბ.-ს მოქმედებას, რომელმაც ფულის გამოძალვის მიზნით შანტაჟი მოუწყო პოლიციის მუშაკებს.

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 28 იანვრის განაჩენით გ.ბ.-ს მსჯავრი დაედო იმისათვის, რომ ჩაიდინა გამოძალვა, რასაც თან ერთოდა დაზარალებულის მიმართ სახელგამტეხი ცნობის გახმაურებისა და ისეთი ცნობის გავრცელების მუქარა, რამაც შეიძლება არსებითად დააზიანოს მისი უფლებები.

2001 წლის 19 სექტემბერს გ.ბ. და ზ.ჩ. ერთად გაემგზავრნენ გორის მიმართულებით დაქირავებული ტაქსით. მათ თან ჰქონდათ

ვიდეოკამერა. გორის რაიონში მათ გადაუხვიეს სოფელ ერგნეთის მიმართულებით, გაიარეს დაახლოებით ორი კილომეტრი და გააჩერებინეს მძღოლს ავტომანქანა იქვე მდებარე სოფელთან. მძღოლს სთხოვეს დალოდება, თვითონ კი ფეხით გააგრძელეს გზა რესტორან „ვენეციის“ მიმართულებით. რესტორნის მიმდებარე ტერიტორიაზე იდგნენ შსს საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს მეოთხე განყოფილების ინსპექტორები – გ.გ. და გ.კ., რომლებიც სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ. გ.ბ-მ და ზ.ჩ-მ თავიანთი ვიდეოკამერით გადაიღეს პოლიციელები, რის შემდეგაც დაბრუნდნენ დაქირავებულ ავტომანქანასთან, ჩასხდნენ და გაემართნენ რესტორან „ვენეციის“ მიმართულებით. როდესაც მიუახლოვდნენ საგზაო პოლიციელებს, ზ.ჩ-მ დაიწყო პოლიციის ინსპექტორ გ.კ-ს ვიდეოგადაღება. მის შეკითხვაზე, თუ ვინ იყვნენ და რა მიზნით აწარმოებდნენ ვიდეოგადაღებას, გ.ბ-მ უპასუხა, რომ იგი არის ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციიდან და მას ანტიკორუფციული საბჭოს დავალებით გადაღებული ჰქონდა ვიდეოფირზე მათი კანონსაწინააღმდეგო ქმედებანი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს და წარუდგინა მის მიერ დასახელებული ორგანიზაციის პირადობის მოწმობა. იქვე გ.კ-ს განუმარტა, რომ აღნიშნულ ვიდეოფირს გაუშვებდნენ სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერით. გ.ბ-მ პოლიციელებს დაუტოვა მობილური ტელეფონის ნომრები და უთხრა, რომ მათი უფროსი დაკავშირებოდა საკითხის გასარკვევად. იმავე დღეს ვითარების გარკვევის მიზნით გ.ბ-ს მობილურ ტელეფონზე დაუკავშირდა შსს საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს ოცმეთაური ი.მ., რომელსაც გ.ბ-მ უთხრა, რომ მის დაქვემდებარებაში მყოფი ინსპექტორების კანონსაწინააღმდეგო ქმედება გადაღებული ჰქონდა ვიდეოფირზე და თუ სურდა, სალაპარაკოდ შეხვდებოდა. 2001 წლის 20 სექტემბერს დათქმულ დროსა და ადგილას მართლაც მოხდა შეხვედრა. გ.ბ-მ და ზ.ჩ-მ ი.მ-ს შესთავაზეს, რომ გადაეხადა მათთვის 1500 ლოლარი, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრნენ, რომ მათ ხელთ არსებული ვიდეოფირის დემონსტრირებას ტელევიზიით მოახდენდნენ, რითაც გაახმაურებდნენ მათი სახელისგამტეხ ცნობებს. საბოლოოდ ისინი შეთანხმდნენ, რომ 1000 აშშ დოლარის საფასურად გ.ბ. და ზ.ჩ. გადასცემდნენ ი.მ-ს ვიდეოფირს და არ მოახდენდნენ ფირის დემონსტრირებას ტელევიზი-

ით. გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად ფულის გადაცემის დროს გ.ბ. დაკავებულ იქნა პოლიციის მუშაკების მიერ.

გ.ბ-ს მსჯავრი დაედო ჯგუფური გამოძალვისათვის საქართველოს სსკ 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით (საქმე № 1/282).

როგორც სასამართლო პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო, ამ კატეგორიის საქმეებზე სამართალშემფარდებელი ორგანოები, ძირითადად, შეცდომებს უშვებენ გამოძალვის დროს გამოყენებული მუქარის შინაარსის შეფასებაში, რის გამოც ხდება ძარცვისა და ყაჩაღობის გამოძალვად კვალიფიკაციის შემთხვევები.

საქართველოს სსკ 181-ე მუხლით განხილულ სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის ანალიზის შემდეგ დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ:

1) სსკ 181-ე მუხლით აღწერილ ქმედების შემადგენლობაში კანონმდებელს მხედველობაში აქვს მხოლოდ არარეალიზებული მუქარა. ძალადობის გამოყენება არ შედის გამოძალვის შემადგენლობაში, ამიტომ მუქარის რეალურად განხორციელება ქონების დაუფლების გარეშე უნდა განვიხილოთ როგორც დამოუკიდებელი დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ;

2) თუ გამოძალვას თან ახლავს ძალადობის გამოყენებით ქონების უშუალოდ ამოღება დაზარალებულისაგან, მაშინ იგი გადაიზრდება ძალადობრივ ძარცვაში ან ყაჩაღობაში და კვალიფიკაციაც ამ მუხლებით უნდა მოხდეს.

3) თუ ძალადობას დამნაშავე ერთსა და იმავე დროს იყენებს როგორც გამოძალვის მუქარის გასამყარებლად, ისე ქონების უშუალოდ (იმწუთიერად) დასაუფლებლად, მაშინ ასეთი ქმედება უნდა დაკვალიფიციირდეს დანაშაულთა ერთობლიობით – გამოძალვა და ძარცვა ან ყაჩაღობა.

4) სასამართლო პრაქტიკაში დაშვებული შეცდომებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაიხვეწოს სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლით აღწერილი ქმედების შემადგენლობა, როგორც მუქარის შინაარსის, ისე რეალური ძალადობის შესაძლო გამოყენების თვალსაზრისით, როცა ეს უკანასკნელი ამყარებს უფრო სერიოზული ძალადობის გამოყენების მუქარას, თუკი არ შესრულდება წაყენებული მოთხოვნა.

მუხლი 182. მიმვისება ან გაფლანგვა

1. სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მითვისება ან გაფლანგვა, თუ ეს ნივთი იმყოფებოდა მიმთვისებლის ან გამფლანგველის მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში, –

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადლით ოთხ წლამდე.

2. იგივე ქმედება:

ა) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;

ბ) არაერთგზის;

გ) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია;

დ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, –

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ორიდან შვიდ წლამდე თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

3. ამ მუხლის 1-ლი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი:

ა) ორგანიზებული ჯგუფის მიერ;

ბ) დიდი ოდენობით;

გ) იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლვეი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ექვსიდან თორმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი – „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე,“ 1, 2000, № 18, მუხლი 45-ე).

ამ დანაშაულისათვის დამაზასიათებელი თავისებურებაა სპეციალური ამსრულებლის არსებობა. ამსრულებლები არიან პირები, ვისაც სხვისი მოძავი ნივთი გადაცემული აქვთ შესანახად, დასაცავად, გასარემონტებლად (მაგალითად, ავტომანქანის გადაცემა ხელოსნისათვის გასარემონტებლად), გადასაზიდად (მაგალითად მძლოლ-ექსპედიტორს ჩააბარეს სათანადოდ გადათვლილი ან აწონილი რაიმე ნივთი გადა-

საზიდად), განკარგვისათვის (მაგალითად, მაღაზიის გამყიდველს თვლით და წონით ჩაბარებული აქვს ნივთები გასაყიდად ან მოლარეს ჩაბარებული აქვს რომელიმე ორგანიზაციის წევრებისათვის დასარიგებელი თვიური ხელფასი) და ა.შ. ამდენად, დანაშაულის ამსრულებლები აქ არიან მატერიალურად პასუხისმგებელი პირები.

მითვისება გამოიხატება მოძრავი ნივთის უკანონოდ (ე.ი. სათანადო უფლების გარეშე) და უსასყიდლოდ (ე.ი. სათანადო ანაზღაურების გარეშე) ამოღებაში მისი მესაკუთრისაგან და მის დაუფლებაში, როგორც საკუთარის განკარგვის მიზნით. მითვისება დამთავრებულია მაშინ, როცა მიმთვისებელს მიეცემა ამ ნივთის საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგვის შესაძლებლობა.

გაფლანგვა კი გულისხმობს მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში არსებული სხვისი მოძრავი ნივთის გაყიდვას, გასაჩუქრებას, გაცვლას, დახარჯვას ან სხვაგვარად გასხვისებას, როცა გაყიდვის ან გაცვლის შედეგად მიღებული ფული ან ნივთი ეძლევა არა გასხვისებული ნივთის კანონიერ მესაკუთრეს, არამედ გამფლანგველს უკანონო სარგებლობაში. გაფლანგვა დამთავრებულია ითვლება სხვისი ნივთის უკანონო, უსასყიდლო გასხვისების მომენტიდან. გაფლანგვა არ შეიძლება იყოს მითვისების შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა. მაგალითად, როდესაც საწყობის გამგემ მითვისა საწყობში არსებული ნივთი და შემდეგ გაყიდა იგი, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს არა გაფლანგვად, არამედ მითვისებად. ეს იმიტომ, რომ ნივთის უკანონო დაუფლების ხერხი მითვისებაა. საწყობის გამგის შემდგომი საქმიანობა (ნივთის გაყიდვა) მითვისებას ვერ გადააქცევს გაფლანგვად. ასევე არ შეიძლება ამ ქმედების დაკვალიფიცირება მითვისებად ან გაფლანგვად, რადგან იურიდიული მნიშვნელობა აქვს დამნაშავის ქმედებას მანამ, სანამ ნივთი კანონიერი მესაკუთრის ხელში იმყოფება. მესაკუთრის მფლობელობიდან ნივთის გასვლის შემდეგ ჩადენილ ქმედებას უკვე არა აქვს იურიდიული მნიშვნელობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გაფლანგვა შეიძლება მოხდეს იმ მოძრავი ნივთისა, რომელიც იმყოფება გამფლანგველის მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში, ხოლო მითვისებული ნივთი უკვე არ იმყოფება მიმთვისებლის მართლზომიერ მფლობელობაში, იგი მას უკვე უკანონოდ ფლობს.

მითვისებით მიყენებული ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები იმ ნივთის ღირებულება, რომელიც დამნაშავემ ამოიღო მესაკუთრის ქონებიდან და თვითონ ჩაიგდო ხელში. თუ დამნაშავის ქმედება არაა დაკავშირებული სხვისი ნივთის თავის უკანონო მფლობელობაში გადასვლასთან, საქმე მითვისებასთან არა გვაქვს, თუნდაც მისი ქმედებით მესაკუთრე ქონებრივადაც დაზიანდეს. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ხშირად არასწორადაა ერთმანეთისაგან გამიჯნული მითვისება და გაფლანგვა. მოგვყავს მაგალითი პრაქტიკიდან. 2002 წლის 5 ივლისს ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ დამნაშავედ ცნო გ-ე სხვისი მოძრავი ნივთის მითვისებისა და გაფლანგვისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. კერძოდ, გ-მ თბილისში დაიქირავა საცხოვრებელი ბინა, ორი კვირის შემდეგ მან ამ ბინიდან გამოიტანა ტელევიზორი, ღირებული 200 ლარად, წვენის სახდელი მოწყობილობა, ღირებული 150 ლარად, ოთხი ალუმინის ქვაბი, ღირებული 80 ლარად, ერთი თასი, ღირებული 30 ლარად. მითვისებული ნივთებიდან მის ნაცნობს კ-ს ვალის სანაცვლოდ მისცა ტელევიზორი, ხოლო დანარჩენი მითვისებული ნივთები გაფლანგვა. სასამართლომ საბოლოოდ გ. დამნაშავედ ცნო სხვისი ნივთების მითვისებისა და გაფლანგვისათვის¹.

როგორც ვხედავთ, სასამართლომ მითვისებად ჩათვალა გ-ს ქმედება მხოლოდ ტელევიზორის მიმართ, ხოლო დანარჩენი ნივთების მიმართ მისი ქმედება გაფლანგვად შეფასდა. როგორც საქმიდან ჩანს, მითვისებად ჩათვალეს იმ ნივთის დაუფლება, რომლის უკან დაბრუნება შესაძლებელი გახდა, ეს იყო ტელევიზორი, ხოლო ის ნივთები, რომლის კვალს ვერ მიაკვლიეს, ჩათვალეს გაფლანგვად. გამოდის, რომ მითვისებულად უნდა ჩაითვალოს ნივთი ყველა შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, იგი დამნაშავის მფლობელობაშია თუ სხვა პირს გადაეცა, თუკი მოხერხდა მისი ამოღება, ხოლო გაფლანგულად უნდა ჩაითვალოს ის ნივთი, რომლის ამოღება გამოძიებამ ან სასამართლომ ვერ შესძლო.

¹ იხ. ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს არქივი, საქმე № 0200134-1/56-02 წლის

საქმის ამგვარ შეფასებას ვერ დავეთანხმებით, რადგან, როგორც აღინიშნა, მითვისებას მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, როდესაც პირი მის უკანონო მფლობელობაში მოაქცევს სხვის ნივთს, რომელიც მანამდე გადაცემული ჰქონდა კანონიერ მფლობელობაში, ე.ი. როცა დაუფლებული ნივთი გადავა უკანონო მიმთვისებლის მფლობელობაში. სასამართლომ კი ყველა ნივთის მიმართ გ.-ს ქმედება მითვისებლად შეაფასა, ხოლო მას შემდეგ, რაც გ.-მ მითვისებული ნივთები გაანიავა, ეს ქმედება ჩათვალა მითვისებული ნივთის გაფლანგვად. მითვისებული ნივთის გაფლანგვა არ შეიძლება, რადგან გაფლანგვისას ნივთი უნდა იმყოფებოდეს პირის მართლზომიერ მფლობელობაში. მითვისებული ნივთი კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ იმყოფება პირის მართლზომიერ მფლობელობაში.

ამ საქმეზე წინასწარმა გამოძიებამ დაუშვა სხვა შეცდომაც, რომელიც საბრალოდ დასკვნაში გასწორდა. კერძოდ, გ.-ს მითვისებული ნივთების ღირებულებასთან ერთად ბრალად წარდგენილი ჰქონდა ნაქირავებ ბინაში ცხოვრების დროს ტელეფონით საუბრის თანხაც, რომელიც მას არ გადაუხდია. სატელეფონო საუბრით გადასახდელი თანხა არ შეიძლება ჩათვლოს მითვისებით ან გაფლანგვით გამოწვეულ ზიანად, რადგან მითვისებისა და გაფლანგვის დროს ადგილი აქვს პირის საკუთრებაში არსებული მოძრავი ნივთის ამოღებას, ანუ მისი რეალური ქონების შემცირებას ნივთის სხვა პირზე გადასვლის გზით. ამას კი ადგილი არა აქვს ტელეფონით საუბრისას.

როგორც უკვე აღინიშნა, მითვისება ან გაფლანგვა შესაძლებელია იმ მოძრავი ნივთისა, რომელიც უკვე იმყოფება სხვა პირის მართლზომიერ საკუთრებაში, ე.ი. რეალურად ირიცხება სხვა პირის ქონებრივ ფონდში. მაგრამ ისმის კითხვა: მაინც რა მომენტიდან ჩათვლება მოძრავი ნივთი პირის რეალურ ქონებრივ ფონდში არსებულად, როცა ეს ნივთი ფიზიკურად გადაინაცვლებს ამ ფონდში, თუ როცა გაფორმდება სათანადო დოკუმენტი ნივთის ამა თუ იმ პირის საკუთრებაში გადასვლის შესახებ? აქ პასუხი ერთმნიშვნელოვანი უნდა იყოს: მოძრავი ნივთი სამართლებრივი თვალსაზრისით გადასულად ითვლება პირის ქონებრივ ფონდში მაშინ, როცა გაფორმდება სათანადო დოკუმენტი ანდა სხვაგვარი გზით დაფიქსირდება ნივთის გადასვლა მესაკუთრის ქონებრივ ფონდებში (მაგალითად, თანხის გადანდის ქვითარი უკვე

გაიცა; ასევე გაიცა თეატრის ბილეთი; ტაქსის მრიცხველზე აღრიცხულია სათანადო თანხის მიღება; გაფორმდა წერილობითი თანხის გადაცემის ხელშეკრულება, მოლარეს გადაეცა თანხა და ამასთან ერთად, შესაბამისი დოკუმენტის მიღებაზე მან ხელი მოაწერა და ა.შ.). ამ მომენტიდან, თუკი მატერიალურად პასუხისმგებელი პირი მითვისებს ამ ნივთს თუნდაც მანამ, სანამ იგი მას რეალურად გადასცემდა კანონიერ მესაკუთრეს, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მითვისებად. მაგალითად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ტაქსის მძღოლმა დღის ბოლოს ტაქსის მრიცხველზე დაფიქსირებული თანხა ბუქალტერიაში კი არ ჩააბარა, არამედ თვითონ მითვისა. აქ ადგილი აქვს მითვისებას და არა სს კოდექსის 185-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს (ქონებრივი დაზიანება მოტყუებით). დაწესებულების მოლარემ ბანკიდან სათანადო დოკუმენტზე ხელის მოწერის შემდეგ აღებული თანხა არ მიიტანა ამ დაწესებულების სალაროში, არამედ სახლში წაიღო და მიისაკუთრა. ამ შემთხვევაშიც ადგილი აქვს სხვისი მოძრავი ნივთის მითვისებას.

საქართველოს სასამართლო პრაქტიკის შესწავლით გაირკვა, რომ ეს საკითხი სწორად არის გაგებული სასამართლოების მიერ. მაგალითად, 2002 წლის 21 ნოემბერს, მცხეთის რაიონულმა სასამართლომ დამნაშავედ ცნო ა. სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მითვისებაში, რაც ჩადენილი იყო შემდეგ გარემოებაში: ა. 2000 წლის 1 ნოემბერს დაღებული შრომითი ხელშეკრულებით მუშაობდა სოფელ დილომში ენერგოკომპანიის მცხეთის სამმართველოს უბნის ინკასატორად. მას სამსახურებრივად ევალეობდა ს. დილმის მოსახლეობის მიერ დახარჯული ელექტრო ენერჯის საფასურის თანხების ამოღება, მათზე მკაცრად აღრიცხული, ბეჭედდასმული ქვითრის გამოწერა, ქვითრის ერთი ნახევრის აბონენტისათვის დატოვება, ხოლო მე-2 ნახევრისა და ამოღებული თანხის ელექტროკომპანიის რეალიზაციის სამსახურსა და სალაროში ყოველთვიურად ჩაბარება. ა-მ სოფელ დილომში მცხოვრები ერთ-ერთი მოქალაქისაგან, 2000 წლის მარტში, ოქტომბერსა და დეკემბერში არაერთგზის ამოიღო შესაბამისად 205 ლარი, 40 ლარი და 65 ლარი, გამოწერა სათანადო ქვითრები, შემდეგ კი დაარღვია შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები. კერძოდ, ქვითრებში მითითებული თანხები

იმყოფებოდა რა ა-ს მართლზომიერ მფლობელობაში, არ შეიტანა ენერგოკომპანიის სალაროში და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, არაერთგზის მიითვისა ენერგოკომპანიის კუთვნილი თანხები, სულ 310 ლარის ოდენობით¹.

სასამართლომ სწორი შეფასება მისცა ა-ს ქმედებას. მართალია, მას სათანადო წესით ამოღებული თანხა ჯერ არ ჰქონდა შეტანილი ენერგოკომპანიის სალაროში, მაგრამ ქვითრების დადგენილი წესით გამოწერის შემდეგ ეს თანხა იურიდიულად უკვე ითვლება ენერგოკომპანიის ფონდებში არსებულად.

ზოგჯერ ხდება ისე, რომ სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისას დამნაშავე აზიანებს ქონებას. თუ ამ დროს მესაკუთრე მნიშვნელოვნად დაზიანდა, მაშინ ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ერთობლიობით: 182 და 187 მუხლებით. საქართველოს სასამართლო პრაქტიკის შესწავლით გამოვლინდა, რომ ზოგჯერ სასამართლოები ამ მიმართებით შეცდომებს უშვებენ. მაგალითად, 2002 წლის 17 ოქტომბერს ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რ-მა სასამართლომ დამნაშავედ ცნო მ-ი მასზედ, რომ მან სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისა, გაფლანგა და (სსკ 182 მუხლის 1 ნაწილი) და მოტყუებით დააზიანა (სსკ 185 მუხლის 1-ლი ნაწილი). საქმის მასალებით დადგენილია შემდეგი: 2000 წლის ოქტომბერში მ. მიიღეს თბილისის რკინიგზის სამგზავრო სადგურში მძღოლად, მას სადგურის ტერიტორიიდან ნაგვის გასატანად გადასცეს თვითმცლელი ავტომანქანა ზილი, რომელიც აღჭურვილი იყო ბუნებრივი აირის საწვავი აპარატურით. მან 2001 წლის მარტში ამ ავტომანქანიდან მოხსნა, მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისა და გაფლანგა შემდეგი ნაწილები: აირის აპარატის აირბალონები, ღირებული 1020 ლარად; აკუმულატორი, ღირებული 150 ლარად; საწვავის ავზისა და კარბურატორის შემაერთებელი მილი, ღირებული 9 ლარად; სამი საბურავი თავისი დისკებით, ღირებული 630 ლარად; მარჯვენა და მარცხენა მოხვევის მაჩვენებელი ფარები, ღირებული 6 ლარად; სულ 1806 ლარის ნივთები.

¹ იხ. ქ. მცხეთის რაიონული სასამართლოს არქივი, საქმე № 8702846 – 1/164-02; ასევე საქმე გადაწყვეტილი სხვა განაჩენებშიც. მაგალითად, მცხეთის რაიონული სასამართლოს მიერ განხილული საქმეები № 1/144-02 და № 1-163-02.

განაჩენით მ-ის ბრალი დაედო იმაში, რომ სხვისი ნივთი დააზიანა მოტყუებით. კერძოდ, აირის აპარატისა და 7 ბალონის მოხსნის შემდეგ ავტომანქანამ მიიღო მნიშვნელოვანი დაზიანება და მის აღდგენას 250 ლარი სჭირდებოდა. ამდენად, სასამართლომ მ-ს ქმედება დააკვალიფიცირა სსკ 182 მ. 1-ლი ნაწილით და 185 მუხლის 1-ლი ნაწილით¹.

მ-ს ქმედების საქართველოს სს კოდექსის 185-ე მუხლით დაკვალიფიცირება უხეშ შეცდომად უნდა ჩაითვალოს. 185-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას ადგილი აქვს მაშინ, როცა დანაშავე ეუფლება იმ ნივთს, რომელიც უნდა გადაეცა მესაკუთრისათვის. ამდენად, ამ დანაშაულის განხორციელებისას ქონებრივი ზიანი გულისხმობს სარგებლის მიუღებლობას, მაგრამ მესაკუთრის ხელში რეალურად არსებული ქონებრივი ფონდი არ მცირდება. ჩვენ მიერ განხილულ შემთხვევაში კი მ-ს ქმედებით დაზიანდა სხვისი ავტომანქანა „ზილი“. სასამართლოს შეეძლო ემსჯელა მ-ს ქმედებაში სხვისი ნივთის განზრახ (187-ე მუხლი) ან გაუფრთხილებლობით (188 მუხლი) დაზიანების შემადგენლობის არსებობაზე, მაგრამ, ვინაიდან განაჩენით სასამართლომ 1806 ლარის ღირებულების ნივთი არ ჩათვალა დაზარალებულისათვის მნიშვნელოვან ზიანად, ასეთ შემთხვევაში მანქანის შეკეთებისათვის საჭირო 250 ლარი, მით უმეტეს, არ შეიძლება ჩაითვალოს მნიშვნელოვან ზიანად. ამიტომაც მ-ს ქმედება არ უნდა დაკვალიფიცირდეს 182 მუხლთან ერთად 187-ე ან 188-ე მუხლების ერთობლიობით. სასამართლოს მ-ს ქმედება უნდა დაეკვალიფიცირებინა მხოლოდ 182-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

როდესაც პირს დაქირავებული აქვს სხვისი ბინა, მას მართლზომიერ მფლობელობასა და სარგებლობაში აქვს გადაცემული ამ ბინაში არსებული ნივთები: ავეჯი, ჭურჭელი და სხვ. ამ შემთხვევაში მართლსაწინააღმდეგო მითვისების საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ ამ ბინაში არსებული მოძრავი ნივთი, რომლის ბინის ფარგლებში თავისუფალი გადაადგილების უფლებაც აქვს ბინის დაქირავებულს. მაგრამ ბინის ისეთი შემადგენელი ნაწილი, როგორ-

¹ იხ. ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლოს არქივი, საქმე № 010165 - 1/374-02.

იცაა იატაკი, ფანჯარა, კარი და სხვა, იგი არ არის მითვისების საგანი. თუკი ბინის დამქირავებელი დაქირავებული ბინიდან მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლება ბინის ისეთ ნაწილებს, რომელიც ბინის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ქურდობით და სხვისი ნივთის განზრახი დაზიანებით. სასამართლო პრაქტიკის შესწავლით გამოკვლინდა, რომ ეს საკითხი არასწორად წყდება. მაგალითად, 2002 წლის 7 მარტს ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ დაძნაშავედ ცნო ო. მასზედ, რომ მან სხვისი მოძრავი ნივთი მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისა, როცა ეს ნივთი იმყოფებოდა მიმთვისებლის მართლზომიერ მფლობელობასა და გამგებლობაში, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. სასამართლომ დაადგინა, რომ ო-მ თბილისში იქირავა ერთოთახიანი საცხოვრებელი ბინა შიგ არსებული მოწყობილობით. იგი დაჰპირდა ბინის პატრონს, რომ თვეში გადაუხდიდა 140 ლარს. მან იცხოვრა ორი თვე და გადაუხადა მხოლოდ 180 ლარი. 100 ლარს კი ვერ უხდიდა. ამიტომ გადაწყვიტა, მიმალულიყო და მართლსაწინააღმდეგოდ მიეთვისებინა ბინაში არსებული ნივთები. ო. დანაშაულებრივად დაუკავშირდა თავის მეგობარ ს-ს, მათ ბინიდან გამოიტანეს და მიითვისეს შემდეგი ნივთები: სამი ცალი ფარდის კარნიზი, თითო ღირებული 18 ლარად, საკერავი მანქანა „ზინგერი“ ღირებული 40 ლარად, ფარდაგი, ღირებული 20 ლარად, ჩეხური ბრა, ღირებული 40 ლარად, სამი ცალი ფანჯრის ჩარჩო, თითო ღირებული 50 ლარად, კარების საკეტი, ღირებული 35 ლარად, რითაც ბინის პატრონი მნიშვნელოვნად დაზიანდა¹.

როგორც განაჩენიდან ჩანს, სასამართლომ მითვისებულ ნივთებში ჩათვალა ფანჯრის ჩარჩო, კარების საკეტი და ფარდის კარნიზიც. არადა სამივე ეს ნივთი ბინის შემადგენელი ნაწილია და, ამდენად, ოს არ ჰქონდა მათი თავისუფლად გადაადგილების უფლება სივრცეში. გარდა ამისა, როცა ო-მ ჩამოხსნა ფარდების კარნიზი, ამოიღო ფანჯრის ჩარჩოები და კარებს მოხსნა საკეტი, ამით მან დააზიანა და-

¹ იხ. ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი სასამართლოს არქივი, საქმე № 0200162 - 1/19-02.

ქირავებული ბინა. ამდენად, სასამართლოს ამ სამი ნივთის დაუფლება უნდა დაეკვალიფიცირებინა ქურდობდა და ასევე უნდა ემსჯელა სხვისი ნივთის განზრახ დაზიანებაზე, რაც არ გაკეთდა.

ამ საქმის გადაწყვეტის დროს სასამართლომ დაუშვა მეორე, აშკარად უდავო შეცდომა. კერძოდ, ო-ს და მისი მეგობრის ქმედება შეაფასა მითვისებად, ჯგუფის მიერ მაშინ, როცა ო-ს მეგობარი ს. არ ცხოვრობდა ამ ბინაში და ამდენად, მას არ ჰქონია ბინის შიდა მოწყობილობაზე ნაკისრი მატერიალური პასუხისმგებლობა. სს კოდექსის 182-ე მუხლს ჰყავს სპეციალური ამსრულებელი, კერძოდ, ის, ვისაც მართლზომიერად აქვს მინდობილი სხვისი მორავი ნივთი. ამდენად, ს-ს ქმედება უნდა დაეკვალიფიცირებულიყო დახმარებად ო-ს მიერ ჩადენილი დანაშაულისა. თვით ო-ს ბრალდებიდან კი უნდა ამოერიცხა მითვისება, ჩადენილი ჯგუფურად.

ზოგჯერ ხდება ისე, რომ მატერიალურად პასუხისმგებელი პირი სჩადის ორ დანაშაულს. კერძოდ, სხვის ქონებას აზიანებს მოტყუებით, ხოლო შემდეგ კი ითვისებს მას. ამ შემთხვევაში კვალიფიკაცია უნდა მოხდეს დანაშაულთა ერთობლიობით – სსკ 185-ე და 182-ე მუხლებით. სასამართლო პრაქტიკის შესწავლით ნათელი ხდება, რომ სასამართლოები ამ მიმართებით ზოგჯერ შეცდომას უშვებენ. მაგალითად, 2002 წლის 26 თებერვალს ქ. თბილისის გლდანინაძალადევის რაიონულმა სასამართლომ დამნაშავედ ცნო ო. მასზედ, რომ მან ჩაიდინა სხვისი მოძრავი ნივთის მითვისება და გაფლანგვა, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი. კერძოდ, მოქალაქე ტ-მ მას ერთი წლის ვადით, მართვის უფლებით, ქ. თბილისის ტერიტორიაზე, მინდობილობით გადასცა თავისი კუთვნილი მიკროავტობუსი. შეთანხმების ძალით ო-ს ავტობუსის მესაკუთრისთვის თვეში უნდა გადაეხადა 300 ლარი. შეთანხმების მიუხედავად, ო-ს მისთვის არასოდეს გადაუხდია ეს თანხა, ხოლო შეთანხმების დადებიდან რამდენიმე თვით შემდეგ მან მიკრო-ავტობუსი გაიყვანა რუსეთის ტერიტორიაზე და 2-3 თვის შემდეგ ტ-თან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე გაყიდა იგი, ხოლო აღებული თანხა მიითვისა.

როგორც ვხედავთ, ო-მ ჯერ მოტყუებით დააზიანა სხვისი ქონება, რადგან იგი სარგებლობდა რა ამ მიკრო-ავტობუსით, არ უხდოდა

მის მესაკუთრეს მიღებული მოგების ნაწილს – 300 ლარს, ატყუებდა ტ-ს, მოჰყავდა რა სხვადასხვა მიზეზი. ე.ი. მან ჩაიდინა სს კოდექსის 185-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, ხოლო ამის შემდეგ მან მესაკუთრესთან შეუთანხმებლად გაყიდა მიკროავტობუსი და აღებული თანხა მიითვისა, რითაც მნიშვნელოვნად დააზარალა ტ. ამდენად, მან ჩაიდინა სს კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულიც.

გლდანი-ნაძალადევის სასამართლომ ო-ს ქმედება დააკვალიფიცირა მხოლოდ 182 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტით. იმ ფაქტს კი, რომ ო. არ უხდიდა ტ-ს შეთანხმებისამებრ მოგების ნაწილს – 300 ლარს, არ მისცემია სისხლისსამართლებრივი შეფასება. სასამართლომ ტ-ს მიერ წარდგენილი სასარჩელო მოთხოვნის საფუძველზე ო-ს დააკისრა არა მარტო გაყიდული მიკროავტობუსის ღირებულება 8000 ლარი, არამედ აცდენილი სარგებელიც – 6000 ლარი, ე.ი. სულ დააკისრა 14000 ლარის გადახდა ტ-ს სასარგებლოდ. ამდენად, სასამართლომ ფაქტობრივად აღიარა, რომ ო-მ მითვისებასთან ერთად ტ. ქონებრივადაც დააზიანა აცდენილი მოგების სახით, მაგრამ ეს ფაქტი არ გაითვალისწინა მისი ქმედების კვალიფიკაციისას. რაიონული სასამართლოს განაჩენი უცვლელად დატოვა თბილისის საოლქო სასამართლომ 2002 წლის 25 ივლისს გამოტანილი განაჩენით¹.

სხვისი ქონების მითვისება და გაფლანგვა უნდა განვასხვაოთ ე.წ. „დროებითი სესხებისაგან“. აქ იგულისხმება შემთხვევა, როცა მატერიალურად პასუხისმგებელი ან ხელმძღვანელი პირი, ვისაც ოპერატიული გამგებლობისათვის აქვს ჩაბარებული სხვისი მოძრავი ნივთი, ახდენს მის უკანონო ამოღებას მესაკუთრის ფონდიდან არა სამისდღეში, არამედ დროებითი სარგებლობის მიზნით. ამასთანავე, მთავარია, რომ ნივთის ან მისი ღირებულების უკან დაბრუნების მიზანი პირს თავიდანვე ჰქონდეს. თუ ასეთი მიზანი მას ნივთის დაუფლების მომენტში არ ჰქონდა, მაგრამ შემდეგ იძულებული გახდა უკან დაებრუნებინა იგი, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მითვისებით ან გაფლანგვად. საქმის სწორი იურიდიული შეფასებისათვის

¹ ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რ-ლი სასამართლოს არქივი, საქმე № 0101222 – 1/88-02.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როდის დააბრუნა უკან პირმა დაუფლებული ნივთი – მანამ სანამ მის ქმედებას შეიტყობდა ნივთის მესაკუთრე თუ ადრევე. სასამართლო პრაქტიკის შესწავლით გამოვლინდა, რომ სასამართლოები მითვისებისა და სხვისი ნივთის დროებითი სარგებლობის (რომელიც არ გვაძლევს დანაშაულის შემადგენლობას) ურთიერთგამიჯვნისას ზემოთხსენებულ მომენტს არ აქცევენ სათანადო ყურადღებას. მაგალითად: ფოთის საქალაქო სასამართლომ 2002 წლის 3 იანვარს დამნაშავედ ცნო გ. საქართველოს სს კოდექსის 333-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ხოლო 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“ და „დ“ პუნქტებით წაყენებულ ბრალდებაში იგი გაამართლა. გ-ს ბრალი ედებოდა მასზედ, რომ მან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, არაერთგზის ჩაიდინა მის გამგებლობაში არსებული სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მითვისება, ასევე ბრალი ედებოდა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში. საქმის არსი მდგომარეობდა შემდეგში: გ. 1999 წლის მაისში დაინიშნა სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ერთ-ერთი საზღვაო დივიზიონის საპატრულო კატარლის მეთაურად. 2000 წლის ნოემბერში მან უბრძანა ერთ-ერთ მეზღვაურს კატარლიდან გადმოესხა და 20-ლიტრიანი ბიდონებით ტექნიკური საწვობების მხარეს გაეტანა 300 ლიტრი ღიზელის საწვავი, რაც მეზღვაურმა შეასრულა. გ-მ ეს საწვავი 150 ლარად მიჰყიდა გამოძიებით დაუდგენელ მძღოლს. მანვე, განმე-2-ბით იმავე თვეში უბრძანა სხვა მეზღვაურს გადმოესხა საპატრულო კატარლიდან 3 ცალი 200-ლიტრიანი კასრში ღიზელის საწვავი, რაც მეზღვაურმა შეასრულა. გ-მ ეს საწვავი 300 ლარად მიჰყიდა გამოძიებით დაუდგენელ პირს. გარდა ამისა, მას ნაწილ-ნაწილ გაჰქონდა კატარლიდან საწვავი. სულ გაიტანა 2400 ლიტრი ღიზელის საწვავი, ღირებული 1200 ლარად, რითაც მნიშვნელოვნად დააზიანა დივიზიონი.

სასამართლომ მიიჩნია, რომ გ. სს კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“ და „დ“ პუნქტებით წაყენებული ბრალდების ნაწილში უნდა გამართლდეს, იქიდან გამომდინარე, რომ მის ქმედებას არ ახასიათებდა სხვისი ქონების მითვისების სპეციალური მიზანი და ადგილი ჰქონდა სხვისი ქონების დროებით სარგებლობას.

ამგვარი დასკვნის გაკეთებისას სასამართლო დაეყრდნო მხოლოდ იმ ფაქტს, რომ გ.-მ ეს ქმედება ჩაიდინა დივიზიონის მეთაურის თურქეთში ყოფნისას და მის ჩამოსვლამდე უკან დააბრუნა 200 ლარის ღირებულების საწვავი, ხოლო საქმის სასამართლოზე განხილვის დროისათვის გ.-ს უკვე მთლიანად ანაზღაურებული ჰქონდა დანაკლისი.

საქმის სწორად შეფასებისათვის სასამართლოს უნდა გამოეკვლია, ჰქონდა თუ არა გ.-ს დროებითი მატერიალური გასაჭირი და თუკი ჰქონდა, რით აპირებდა იგი მომავალში დივიზიონისათვის ზიანის ანაზღაურებას. რაც მთავარია, სასამართლოს ყურადღება უნდა გაემახვილებინა იმაზე, გ.-მ 200 ლარის ღირებულების საწვავი როდის აანაზღაურა – სანამ მის მიერ ჩადენილი ქმედება გამჟღავნდებოდა, თუ მანამდე. საქმე ისაა, რომ პროცესზე მოწმის სახით დაკითხულმა სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის დივიზიონის მეთაურმა განაცხადა, რომ თურქეთში მივლინებისას გაიგო, რომ საპატრული კატარლიდან გაუგებარ ვითარებაში დაიკარგა დიზელის საწვავი. ეს ჩვენება კი მიუთითებს იმაზე, რომ დივიზიონის ხელმძღვანელობამ საწვავის დაკარგვის ფაქტი გ.-ს მიერ დაუფლებელი საწვავის უკან დაბრუნებამდე შეიტყო. ასეთ ვითარებაში კი სასამართლოს უნდა გაერკვია, გ.-ს მიერ 200 ლარის ღირებულების საწვავის უკან დაბრუნება ხომ არ იყო იმის შედეგი, რომ მისი ქმედების ამბავი უკვე შეიტყო ხელმძღვანელობამ და მას ემუქრებოდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. კერძოდ, უნდა გარკვეულიყო, იცოდა თუ არა გ.-მ საწვავის უკან დაბრუნებამდე, რომ საწვავის გაქრობის ფაქტი უკვე გამჟღავნდა. სასამართლომ არც ერთი ამ მომენტზე არ გაამახვილა ყურადღება. მან ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გაიზიარა გ.-ს ჩვენება და გაამართლა იგი 182-ე მუხლით გათვალისწინებული ბრალდების ნაწილში.¹

ამ საქმეში როგორც წინასწარმა გამოძიებამ, ისე სასამართლომ სხვა შეცდომაც დაუშვა. კერძოდ, საბრალდებო დასკვნით გ.-ს ბრალი ედებოდა მითვისებისათვის სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით და, ამავე დროს, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის,

¹ იხ. ფოთის საქალაქო სასამართლოს არქივი, საქმე № 22101010 – 1/78-02.

რაც თითქოს მდგომარეობდა იმაში, რომ გ.-მ უბრძანა მეზღვაურს კატარლიდან გადმოესხა საწვავი და ჩაეტანა საწყობში. ეს შემთხვევა არ შეიძლება შეფასდეს, როგორც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაშეცემა, რადგან, საერთოდ კატარლის, მეთაურს უფლება აქვს საჭიროების შემთხვევაში ამგვარი ბრძანება მისცეს მეზღვაურებს, მით უმეტეს, რომ ამ ქმედებას არ გამოუწვევია არსებითი ზიანი. გ.-მ მეზღვაური გამოიყენა მითვისების ჩადენაში. ამდენად, აქ 333-ე მუხლი გ.-ს მიმართ უსაფუძვლოდ არის წარდგენილი.

როდესაც მითვისებას სჩადის სახელმწიფო მოხელე ან ის, ვისაც კერძო სექტორში ხელმძღვანელის ფუნქცია უკავია და, ამდენად, სამსახურებრივ მდგომარეობას თავის სასარგებლოდ იყენებს, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სს კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ პუნქტით...

ამ შემთხვევაში მითვისებას ან გაფლანგვას სჩადიან არა მატერიალურად პასუხისმგებელი პირები, არამედ ხელმძღვანელობის უფლებით აღჭურვილი პირები, რომელთაც სხვისი ნივთი გადაცემული აქვთ ოპერატიული მმართველობისათვის (მაგალითად, საწარმოს ხელმძღვანელი, მთავარი ბუღალტერი, მთავარი ინჟინერი, სასწავლო დაწესებულების რექტორი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი და ა.შ.). მითვისება და გაფლანგვა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით გულისხმობს იმას, რომ პირი ბოროტად იყენებს სამსახურებრივ მდგომარეობას და, ამდენად, ქმედების კვალიფიკაცია დამატებით სსკ 332-ე მუხლით საჭირო არ არის. სასამართლო პრაქტიკის შესწავლა კი ცხადყოფს, რომ სასამართლოები ხშირად მსგავს ვითარებაში პირის ქმედებას აკვალიფიცირებენ სსკ 182-ე და 332-ე მუხლების ერთობლიობით. მაგალითად, 2002 წლის 12 ივლისს გორის რაიონულმა სასამართლომ დამნაშავედლ ცნო ხ.-ი მასზედ, რომ მან ჩაიდინა სხვისი მოძრავი ნივთის მითვისება, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი და რაც ჩადენილი იყო სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ასევე იმაში, რომ მან ჩაიდინა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, ე.ი. სსკ 182 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და „დ“ პუნქტებით და 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული. საქმის არსი მდგომარეობდა შემდეგში: ხ.-ი მუშაობდა გორის რაიპურკომბინატში მიმღებ-

გამანაწილებლად. მის მოვალეობაში შედიოდა გორის რაიპურ-კომბინატის ფუნქციონირებისათვის საჭირო პროდუქტების მიღება-განაწილება და მიღებული თანხების სალაროში შეტანა. 1996 წლის სექტემბერში ხ.-ს დაეწერა 60 ტონა უმაღლესი ხარისხის ფქვილი სარეალიზაციოდ, საერთო ღირებულებით 342 000 ლარი და 10 000 კგ. მარილი, საერთო ღირებულებით 2000 ლარი.

1996 წლის სექტემბრიდან იანვრამდე ხ.-მ რეალიზაცია გაუკეთა 55750 კგ ფქვილს და 2950 კგ მარილს. მან მიღებული თანხა შეიტანა სალაროში. სასამართლოს განაჩენში კვითხულობთ: დარჩენილ 1250 კგ ფქვილსა და 7150 კგ მარილს მან სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების გზით, საჯარო სამსახურის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, რეალიზაცია გაუკეთა გორის საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიაზე, 1998 წლის 14 იანვარს და მიღებული თანხა, 4239 ლარი მიითვისა. ხ.-მ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, მიითვისა მის მართლზომიერ გამგებლობაში არსებული სხვისი მოძრავი ნივთი, რამაც არსებითად დაარღვია იურიდიული პირის უფლებები და გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი.

გამოდის, რომ ხ.-მა სხვისი ნივთი მიითვისა სამსახურებრივი მდგომარეობისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით, ე.ი. ერთი და იმავე ქმედებით გამოიყენა სამსახურებრივი მდგომარეობა და ასევე ბოროტად გამოიყენა იგი¹. სინამდვილეში კი ხ.-ის მიერ მითვისება რომ სამსახურებრივი მდგომარეობს გამოყენებითა ჩაღწევილი, ეს იმას ნიშნავს, რომ მან ბოროტად გამოიყენა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა. ამდენად, აქ ზედმეტია კვალიფიკაცია 332-ე მუხლით. სს კოდექსის 182-ე მუხლთან ერთად 332-ე მუხლს ერთობლიობით კვალიფიკაცია მაშინ არის საჭირო, როცა პირი ითვისებს რა სხვის მოძრავ ნივთს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ამავე დროს, სჩადის სხვა ქმედებასაც, რომელიც გამოიხატება არა მითვისებაში ან გაფლანგვაში, არამედ სამსახურებრივი მდგომარეობის სხვაგვარად, ბოროტად გამოყენებაში.

¹ იხ. გორის რაიონული სასამართლოს არქივი №, საქმე № 8201873, 1) 220-02; იგივე ხასიათის შეცდომა დაშვებული გორის რ-ლი სასამართლოს 2002 წლის 13 დეკემბრის განაჩენში კვიცაშვილის მიმართ. საქმე № 8202861 - 1/352-02.

მუხლი 182¹. შავი და ფერადი ლითონების ან მათი შემცველი ნაქეთობების დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მისაკუთრების მიზნით¹

1. შავი და ფერადი ლითონების ან მათი შემცველი ნაკეთობების დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით,—

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე.

2. იგივე ქმდება:

ა) წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ;

ბ) არაერთგზის;

გ) საფლავის მიწისზედა ნაგებობების მიმართ;

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი კულტურის ძეგლის ან ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტის მიმართ;

ე) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია;

ვ) რამაც მოსახლეობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის დაწესებულების ან სატრანსპორტო საშუალების, ენერგეტიკული, სხვა განსაკუთრებული და სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტის დაზიანება, მწყობრიდან გამოყვანა, ანდა მისი ნორმალური მუშაობის შეფერხება გამოიწვია;

ზ) იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლვეი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების ან გამოძალვისათვის,—

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტწლამდე.

(საქართველოს 2002 წლის 21 ივნისის კანონი №1565-III, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, I, 2002 წ., №21, მუხლი 93-ე)

საქართველოს 2002 წლის 21 ივნისის კანონით საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილება-დამატებები, რის შედეგადაც კოდექსს დაემატა ახალი სპეციალური ნორმა კვალიფიციური შემადგენლობის სახით, რომელიც ითვალისწინებს გაძლიერებულ პასუხისმგებლობას სხვისი ნივთის მართლსაწინააღმ-

* საქართველოს 2004 წლის 11 ნოემბრის კანონით (იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე I, 2004, №34, მუხ.162) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილ იქნა ცვლილება, რომლის მიხედვითაც, ამოღებულ იქნა 182¹ მუხლი. ქვემოთ მოცემული ტექსტი შედგენილია სისხლის სამართლის კოდექსში ამ ცვლილების შეტანამდე.

დეგო დაუფლებისათვის მისაკუთრების მიზნით, მიუხედავად დაუფლების ხერხისა, თუ გატაცებული ნივთი წარმოადგენს შავ ან ფერად ლითონს ან მათ შემცველ ნაკეთობას. დაუფლება შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი ხერხით. პირი ყოველთვის მოქმედებს მისაკუთრების და არა ნივთის დროებითი გამოყენების მიზნით.

ერთ-ერთ სასამართლო პროცესზე მხარეთა შორის იყო დავა აღნიშნული კანონის ამოქმედების დროსთან დაკავშირებით რაიონული სასამართლოს განაჩენით ზ.ბ.-ს მსჯავრი დაედო სსკ-ის 182¹ მუხლის „ა“, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებისათვის. დანაშაულებრივი ქმედება ჩადენილია 2002 წლის 30 ივლისს, ღამით, დაახლოებით 23. 00 საათზე. თავის სააპელაციო საჩივარში მსჯავრდებული მიუთითებდა, რომ მის მიმართ ახალ კანონს არ უნდა მისცემოდა უკუქცევითი ძალა და უნდა დასჯილიყო უფრო მსუბუქი – ქურდობის მუხლით (სსკ-ის 177-ე მუხლი). სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ ქმედება სწორად დააკვალიფიცირა სსკ-ის 182¹-ე მუხლით ამ მხრივ, სასამართლომ უსაფუძვლოდ ჩათვალა სააპელაციო საჩივრის მოტივაცია, რომ განსასჯელის მიმართ კანონს არ უნდა მისცემოდა უკუქცევითი ძალა. სააპელაციო პალატამ ეს პოზიცია არ გაიზიარა შემდეგ გარემოებათა გამო: სსკ-ის 182¹-ე მუხლი ძალაში შევიდა 2002 წლის 27 ივლისს, გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს. ეს კანონი გამოქვეყნდა 2002 წლის 12 ივლისს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“, ქმედება კი ჩადენილი იყო 2002 წლის 30 ივლისს, ე.ი. კანონის ძალაში შესვლიდან მესამე დღეს. ამით სასამართლომ გამოიყენა ის კანონი, რომელიც მოქმედებდა ქმედების ჩადენის დროს და, ამდენად, ადგილი არ ჰქონია კანონისათვის პიროვნების საზიანოდ უკუძალის მინიჭებას. რაც შეეხება ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნების საკითხს, ეს ქმედება დასჯადი იყო მანამდეც, ოღონდ ძველი კანონი ითვალისწინებდა უფრო მსუბუქ სასჯელს. ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნება მოიცავს ქმედების დასჯადობის ცოდნას და არა სასჯელის ზომაზე ბრალდებულის ზუსტ წარმოდგენას.

ამ ნორმის შექმნას თავისი კრიმინალურ-პოლიტიკური დანიშნულება ჰქონდა და მიზნად ისახავდა 90-იან წლებში ფართოდ გავრცელებული ენერგოგადამცემი, კავშირგაბმულობისა და სატრანსპორტო სა-

შუალეების, ასევე სხვა სტრატეგიული ობიექტების დაზიანებისა და მწყობრიდან გამოყვანის თავიდან აცილებას.

ამ ნორმის გამოყენებას სასამართლო პრაქტიკაში ხშირად აქვს ასევე თავისი უკუეფექტი და ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პოლიტიკის ამოცანების მიღწევას. კერძოდ, სასამართლო პრაქტიკაში ხშირად გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა ორ-სამ არასრულწლოვანს ბაზრობის ტერიტორიაზე ან სამშენებლო ობიექტზე მოპარული აქვს შავი ან ფერადი ლითონის ნაკეთობა, მაგალითად, რკინის მილები, საერთო ღირებულებით 50-60 ლარი. ასეთი ქმედება კვალიფიცირდება სსკ-ის 182¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას რვიდან თხუთმეტ წლამდე. ეს სასჯელი აშკარად შეუსაბამოა ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან. მაშინ, როდესაც ამავე კოდექსის 108-ე მუხლით განზრახ მკვლელობისათვის გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა შვიდიდან თხუთმეტ წლამდე, ასეთი მაღალი სასჯელის დაწესება სსკ-ის 182¹-ე მუხლით აშკარად არაადეკვატურია, რის გამოც სასამართლოები, უმეტეს შემთხვევაში, სწორად იყენებენ სსკ-ის 55-ე მუხლს და განსასჯელებს უნიშნავენ სანქციით დაწესებულ მინიმუმზე დაბალ სასჯელს. ეს მუხლი მოითხოვს გადაუდებელ საკანონმდებლო ცვლილებას და შესაბამისობაში მოყვანას კოდექსის მთლიან სისტემასთან.

რაც შეეხება ქმედების კვალიფიკაციას სსკ-ის 182¹-ე მუხლით, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა რომ ექსპერტიზამ დაადგინოს არის თუ არა გატაცებული ნივთი შავი ან ფერადი ლითონისაგან დამზადებული ან მისი შემცველი.

ყველა ლითონსა და მათ ფუძეზე დამზადებულ შენადნობს ყოფენ შავ და ფერად ლითონებად და შენადნობებად. შავი ლითონები – ეს არის რკინისა და რკინის შენადნობების (ფოლადი, თუჯი, ფეროშენადნობები) ტექნიკური სახელწოდება. შავი მეტალურგია, როგორც მძიმე მეტალურგიის დარგი, აწარმოებს თუჯს, ფოლადს, ნაგლინს, ფეროშენადნობს, ფოლადისა და თუჯის მილებს და სხვ. ფერადი ლითონები – ეს არის ყველა ლითონისა და მათი შენადნობების ტექნიკური სახელწოდება, გარდა რკინისა და მისი შენადნობებისა.

ტექნიკაში მიღებულია ფერადი ლითონების პირობითი კლასიფიკაცია. იგი იყოფა: მსუბუქ (ალუმინი, მაგნიუმი, ტიტანი, ბერილიუმი, ლითიუმი და სხვ.), მძიმე (სპილენძი, კობალტი, ტყვია, კალა და სხვ.), ძნელდნობად (ვოლფრამი, მოლიბდენი, ქრომი და სხვ.), კეთილშობილ და სხვ. ლითონებად.

ლითონებს სხვადასხვა ტიპის ნაერთების წარმოქმნისა და ფაზური გარდაქმნების უნარი აქვთ, ამიტომ მათგან ღებულობენ საჭირო თვისების მქონე სხვადასხვა შენადნობებს.

ამრიგად, თანამედროვე ტექნიკაში მეტალურგიას ყოფენ შავ და ფერად მეტალურგიად. შავ მეტალურგიას მიაკუთვნებენ რკინისა და მისი შენადნობების წარმოებას. ფერადი მეტალურგია მოიცავს ყველა დანარჩენი ლითონის წარმოებას.

საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკაში არსებობს სსკ-ის 182¹-ე მუხლის გამოყენების პრაქტიკა, თუმცა იგი არ გამოირჩევა განსაკუთრებული თავისებურებებით. სასამართლო პრაქტიკა, ძირითადად, ერთგვაროვანია და სწორად არის განხორციელებული ამ ნორმის შეფარდება. ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ რამდენიმე მაგალითს სასამართლო პრაქტიკიდან:

რაიონულმა სასამართლომ განიხილა ა.ბ.-ის, ფ.გ.-ის, ნ.გ.-ისა და ლ.ჭ.-ის ბრალდების საქმე. მათ ბრალი დაედოთ იმ დანაშაულისათვის, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის მე-19, 182¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 182¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით. კერძოდ, შავი ლითონის ნაწარმის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლების მცდელობისათვის, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ და იგივე დამთავრებული დანაშაულის ჩადენისათვის, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, არაერთგზის.

პირთა ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაული იყოფა რამდენიმე ეპიზოდად: პირველი ეპიზოდი მოხდა 2002 წლის 15 ოქტომბერს, კერძოდ, ისინი წინასწარი შეთანხმებით ავიდნენ სარკინიგზო მატარებლის სატვირთო შემადგენლობაზე, რომელიც დატვირთული იყო ჯართით. მატარებლის გასვლიდან რამდენიმე ხნის შემდეგ მათ დაიწყეს ვაგონიდან ჯართის გადმოყრა. შემდეგ ისინი შეუდგნენ

გადმოყრილი ჯართის (1200კგ) შეგროვებას, რა დროსაც პოლიციელებმა დააკავეს. გატარებული ღონისძიების შედეგად ჯართი ამოიღეს. მეორე ეპიზოდი მოხდა იმავე წლის 22 ნოემბერს, რა დროსაც ისინი ფარულად დაეუფლნენ ერთერთი კერძო სამართლის იურიდიული პირის კუთვნილ 780კგ. ჯართს. მესამე ეპიზოდი მოხდა 2003 წლის 8 მარტს, კერძოდ, მათ წინასწარი შეთანხმებით განახორციელეს მსგავსი დანაშაულებრივი ქმედება, რა დროსაც ისინი დაეუფლნენ 310კგ. ჯართს. როდესაც მათ ჯართი სარეალიზაციოდ გადაჰქონდათ, ისინი სატრანსპორტო პოლიციის მუშაკებმა დააკავეს.

საქმეზე დაინიშნა სასაქონლო ექსპერტიზა სავაჭრო სამრეწველო პალატაში. ამ დასკვნის მიხედვით, 1000 კგ. შავი ლითონის ჯართის საბაზრო სარეალიზაციო ღირებულება შეადგენდა 150 ლარს, 310 კგ.-ის – 46,5 ლარს, ხოლო, შესაბამისად, 700 კგ.-ისა – 105 ლარს.

სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ოთხივე მსჯავრდებული აღიარებდა და ინანიებდა დანაშაულს. ისინი არ იყვნენ ნასამართლევი, არ გააჩნდათ პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები, რის გამოც გამოყენებულ იქნა სსკ-ის 55-ე მუხლი და მსჯავრდებულებს შეეფარდა სანქციით განსაზღვრულ უმდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი. სსკ-ის 63-64-ე მუხლების თანახმად, მათ მიმართ სასამართლომ გამოიყენა პირობითი მსჯავრი გამოსაცდელი ვადის დაწესებით.

რაიონულმა სასამართლომ განიხილა განსასჯელ ი.კ.-ს ბრალდების საქმე. მან ჩაიდინა დანაშაული, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 182-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, კერძოდ, შავი ლითონის ნაკეთობების დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.

საბრალდებო დასკვნით, ზემოაღნიშნული გამოიხატა იმაში, რომ ი.კ.-მ ღამით სავალი გზის საფარიდან მოხსნა 240 ლარად შეფასებული თუჯისაგან დამზადებული კავშირგაბმულობის ჭების სამი ხუფი, თითოეული ღირებული 80 ლარად, რომლებიც იქვე, ბურჩქებში, შეინახა. ამის შემდეგ ტაქსით გაემგზავრა სხვა ქუჩაზე, სადაც სავალი გზის საფარიდან მოხსნა 288 ლარად შეფასებული თუჯისაგან დამზადებული სანიღვრე ჭების სამი ხუფი, თითოეული ღირებული 96

ლარად და ისინიც შეინახა ბუჩქებში. ორი დღის შემდეგ იქირავა სატვირთო ავტომობილი და ეს ხუფები მიიტანა ბიძაშვილის სახლში და მის დაუკითხავად სახლის სარდაფში შეინახა.

სასამართლო სხდომაზე განსასჯელმა თავი მთლიანად ცნო დამნაშავედ და პატიება ითხოვა. მის მიერ დანაშაულის ჩადენა დასტურდება საქმეში არსებული მტკიცებულებებით, მათ შორის მოწმეთა ჩვენებებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განსასჯელმა ი.კ.-მ დააბრუნა მოპარული ხუფები და მთლიანად აანაზღაურა ზიანი.

სასამართლომ, საქმის მასალებისა და მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ საქმეში არ არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება, განსასჯელი პირველად სამართალში, განიცდის მძიმე ეკონომიკურ გაჭირვებას და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, სასჯელი პირობით არ გამოიყენა და გამოსაცდელ ვადად განსასჯელს დაუნიშნა 4 წელი.

სხვა შემთხვევაში, რაიონულმა სასამართლომ განიხილა ხ. რ.-ის ბრალდების საქმე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 182¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, კერძოდ, ფერადი ლითონების ნაკეთობის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.

საბრალდებო დასკვნით ზემოაღნიშნული დანაშაული გამოიხატა შემდეგში: ხ.რ.-მ რკინიგზის სალოკომოტივო დეპოს ტერიტორიაზე შეამჩნია დროსელ-ტრანსფორმატორის ყუთი, რომელშიც ეწყო სპილენძის მავთულები და გადაწყვიტა მათი დაუფლება. მან სახლიდან წაიღო ქანჩსაჭერი, საკენეტელა, ორი ტომარა და მივიდა ხსენებულ დეპოში, გახსნა დროსელ-ტრანსფორმატორი და ფარულად დაეუფლა 460 ლარად შეფასებულ, 33 კილოგრამი სპილენძის შემცველ ნივთს, ჩადო ტომარაში და შეეცადა მიმალვას, რა დროსაც პოლიციელებმა დააკავეს.

საქმეზე დაინიშნა ქიმიური ექსპერტიზა სატრანსპორტო პოლიციის დეპარტამენტის კრიმინალისტიკური ექსპერტიზის განყოფილებაში. ექსპერტიზამ უპასუხა კითხვებზე, თუ რა დასახელების ლითონისაგან იყო დამზადებული საექსპერტოდ წარდგენილი ნივთი – დროსელ-ტრანსფორმატორის ლითონის შიგთავსი და მიეკუთვნებოდა თუ არა იგი ფერადი ან შავი ლითონების ჯგუფს? ექსპერტიზის დასკვნით, ქიმიური კვლევიდან გამომდინარე, ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ლითონ-

ნის შენადნობი დიდი პროცენტული რაოდენობით შეიცავდა სპილენძს, დროსელ-ტრანსფორმატორის შიგთავსის ლითონის ხეიბი განეკუთვნებოდა ფერად ლითონებს, კერძოდ, სპილენძის შენადნობს.

მსჯავრდებულმა ხ.რ.-მ გულწრფელად აღიარა და მოინანია დანაშაული. მის მიერ დანაშაულის ჩადენა დასტურდება მოწმეთა ჩვენებებით. შემამსუბუქებელ გარემოებად სასამართლო მიიჩნევს იმას, რომ ეს განსასჯელის პირველი ნასამართლობაა და ჰყავს მცირეწლოვანი შვილი.

სასამართლო, საქმეში არსებული მასალებისა და მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ განსასჯელის მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოყენება არ იქნებოდა მიზანშეწონილი. ამდენად, სასამართლომ მას შეუფარდა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე შეუცვალა პირობითი მსჯავრით იმავე ვადით.

რაიონულმა სასამართლომ განიხილა ვლ.-სა და ა.ყ.-ის ბრალდების საქმე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 182¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტებით, კერძოდ, შავი ლითონის შემცველი ნაკეთობების დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც სატრანსპორტო საშუალების დაზიანება და ნორმალური მუშაობის შეფერხება გამოიწვია.

საბრალდებო დასკვნით ზემოაღნიშნული დანაშაული გამოიხატა შემდეგში: განსასჯელებმა წინასწარი შეთანხმებით გადაწყვიტეს, რომ სარკინიგზო ლიანდაგიდან მოეპარათ ლიანდაგის სამაგრი მოწყობილობები, ჩაებარებინათ ჯართის სახით და ფული გაენაწილებინათ ამ მიზნით, 24 საათზე, მოვრალეები, მივიდნენ წინასწარ შერჩეულ სარკინიგზო მონაკვეთზე და წინასწარ მომარჯვებული ხელსაწყოებით მოხსნეს ლიანდაგის სამაგრი მოწყობილობები, რომლებიც ჩაალაგეს ორ პოლიეთილენის ტომარაში, რა დროსაც დააკავეს პოლიციის მუშაკებმა. მათ თავიანთი მოქმედებით რკინიგზა 560 ლარით დააზიანეს. საქმეზე ჩატარდა სასაქონლო ექსპერტიზა ქუთაისის რეგიონულ სავაჭრო-სამრეწველო პალატაში.

მსჯავრდებულებმა გულწრფელად აღიარეს და მოინანიეს დანაშაული. მათ მიერ დანაშაულის ჩადენა დასტურდება მოწმეთა ჩვენებებით. სასამართლომ სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღო განსასჯელთა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები.

ვლ.-ის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად სასამართლო მიიჩნევს იმას, რომ პირველად არის სამართალში მიცემული, კმაყოფაზე ჰყავს ავადმყოფი მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი. ა. ყ.-ის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად სასამართლო მიიჩნევს იმას, რომ ისიც პირველადაა სამართალში, ახალგაზრდაა, გარდაცვლილი ჰყავს მამა, მის კმაყოფაზე არიან ავადმყოფი დედა და მცირეწლოვანი და. არც ერთ მათგანს არა აქვს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება.

სასამართლო, საქმეში არსებული მასალებისა და მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ განსასჯელის მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოყენება არ იქნებოდა მიზანშეწონილი. ამდენად, სასამართლომ მათ შეუფარდა 4-4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე პირობითი მსჯავრით შეეცვალათ, 5-5 წლით გამოსაცდელი ვადის დაწესებით.

შეიძლება ითქვას, რომ, სამართლებრივი თვალსაზრისით, არ არის დასაბუთებული, არის თუ არა აღნიშნულ შემთხვევაში ჩადენილი დამთავრებული დანაშაული. ვფიქრობთ, ეს ქმედება უნდა დაკვალიფიცირებულიყო დანაშაულის მცდელობად და არა დამთავრებულ დანაშაულად.

რაიონულმა სასამართლომ განიხილა მ.ს.-ის ბრალდების სისხლის სამართლის საქმე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 182¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით, კერძოდ, ფერადი ლითონის ნაკეთობის დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

საბრალდებო დასკვნით ზემოაღნიშნული დანაშაული გამოიხატა შემდეგში: მ.ს.-მ, გამოძიებით დაუდგენელ პირებთან წინასწარი შეთანხმებით, გადაწყვიტა ერთ-ერთი სოფლის კულტურის სახლის შენობიდან მოეპარა ალუმინის შიფერი. ისინი აძვრნენ სახურავზე, წინასწარ მომარჯვებული ნაჯახითა და „მკენეტავი“ იარაღების გამოყენებით ააძვრეს შიფერი და დაალაგეს იქვე არსებულ ფერმასთან. ამის შემდეგ ისევ მიბრუნდნენ დარჩენილი ნაწილის წასაღებად, რა დროსაც ისინი შეამჩნიეს საკრებულოს დარაჯმა, დამლაგე-

ბელმა და მისმა ვაჟმა. მათი დაძახების შემდეგ, ისინი გაიქცნენ, მივიდნენ ფერმასთან, სადაც შენახული ჰქონდათ სახურავიდან მოხსნილი შიფერები, აიღეს ისინი და მიიმაღლნენ. ამ ქმედების შედეგად მათ ფარულად გაიტაცეს 180 ლარის ღირებულების, 12 ცალი ალუმინის შიფერი, რომელიც მეორე დღესვე 70 ლარად ჩააბარეს ბაზრობაზე და ფული გაინაწილეს.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მსჯავრდებულმა მ.ს.-მ წინასწარ გამოძიებაში გულწრფელად აღიარა და მოინანია დანაშაული. თუმცა სასამართლო გამოძიებისას მან ჩვენება შეცვალა და აღნიშნა, რომ არავითარი დანაშაული მას არ ჩაუდენია, რაც სასამართლომ არ გაიზიარა. მის მიერ დანაშაულის ჩადენა დასტურდება მოწმეთა ჩვენებებით და სხვა მტკიცებულებებით.

სასამართლომ სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღო განსასჯელის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები. შემამსუბუქებელ გარემოებად სასამართლომ მიიჩნია ის, რომ ეს მისი პირველი ნასამართლობაა, ჰყავს მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი, მთლიანად აანაზღაურა ზიანი.

სასამართლო, საქმეში არსებული მასალებისა და მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ განსასჯელის მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოყენება არ იქნებოდა მიზანშეწონილი. ამდენად, სასამართლომ მას სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით შეუფარდა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე შეუცვალა 5 წლის გამოსაცდელი ვადით.

რაიონულმა სასამართლომ განიხილა ვ.ბ.-ს ბრალდების საქმე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის მე-19, 182¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით – შავი ლითონის შემცველი ნაკეთობის დაუფლების მცდელობა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

სასამართლომ, წინასწარი და სასამართლო გამოძიებით შეკრებილი მტკიცებულებების საფუძველზე, დადასტურებულად ცნო, რომ ვ.ბ., სხვა პირთან წინასწარი შეთანხმებით, ცდილობდა, ერთ-ერთი

სკოლის ეზოდან გაეტანა 70 ლარად ღირებული თუჯის საყვავილე, რომელიც მოათავსეს ცხენებზე ეტლზე და ცდილობდნენ მიმალვას, რა დროსაც ეს შეამჩნია სკოლის დამლაგებელმა, რომელმაც დასახმარებლად მიუხმო დარაჯს და ორივემ ერთად მოსთხოვა, დაებრუნებინათ საყვავილე. მათი მოთხოვნით განსასჯელებმა მიატოვეს საყვავილე და მიიმალნენ.

განსასჯელმა ვ.ბ.-მ სასამართლო სხდომაზე თავი მთლიანად ცნო დამნაშავედ, აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული. სასამართლო გამოძიებაც ამის საფუძველზე არ ჩატარებულა.

სასჯელის განსაზღვრისას სასამართლო ვ.ბ.-ს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად თვლის, რომ იგი პირველადაა სამართალში, არასრულწლოვანია, აღიარებს და ინანიებს ჩადენილს, ზასიათდება დადებითად, დამამძიმებელი გარემოება ამ საქმეზე არ მოიპოვება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ ვ.ბ.-ს სასჯელის სახით შეუფარდა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე მუხლის საფუძველზე შეუცვალა 4 წლით გამოსაცდელი ვადით.

საბრალდებო დასკვნითა და განაჩენით აღნიშნული ქმედება სწორად დაკვალიფიცირდა დანაშაულის მცდელობად, ვინაიდან იგი აღკვეთილი იქნა ადრეულ სტადიაზე – დანაშაულის ბოლომდე მიყვანამდე.

რაიონულმა სასამართლომ განიხილა ხ.ჯ.-ს ბრალდების საქმე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 182¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით – ფერადი ლითონის შემცველი ნაკეთობის დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

წინასწარი გამოძიებით დადგენილია, რომ მან, სხვა პირთან ერთად, განიზრახა, დაუფლებოდა ი.ბ.-ს საცხოვრებელი სახლის აივნის მოაჯირზე დამაგრებულ ალუმინის სხმულებს. ისინი, განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, იმავე დღეს მივიდნენ შემთხვევის ადგილზე, აძვრნენ აივანზე, სადაც წინასწარ მომარჯვებული ქანჩგასაღებით მოხსნეს 196 ლარის ღირებულების ალუმინის, 28 ცალი ასხმა, რითაც დაზარალებული მნიშვნელოვნად დააზიანეს. ამის შემდეგ ზემოაღნიშნული ნივთები 80 ლარად ჩააბარეს ფერადი ლითონების ჩამბარებელ პუნქტს.

სასამართლომ სასჯელის განსაზღვრისას განსასჯელის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად მიიჩნია მის მიერ ჩადენილი ქმედების მონანიება, ასევე ის გარემოება, რომ პირველადაა სამართალში, მეუღლე გარდაცვლილი ჰყავს, არის მცირეწლოვანი შვილის ერთადერთი მარჩენალი, საცხოვრებელი ადგილიდან ხასიათდება დადებითად, აგრეთვე დაზარალებულის თხოვნა, შეუმსუბუქონ სასჯელი. დამამძიმებელი გარემოება საქმეში არ მოიპოვება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ გამოიყენა სსკ-ის 55-ე მუხლი და განსასჯელს სასჯელის ზომად შეუფარდა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

რაიონულმა სასამართლომ განიხილა ზ.ბ.-ს ბრალდების საქმე დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 182¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით, კერძოდ, ფერადი ლითონის შემცველი ნაკეთობების დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, საფლავის მიწისზედა ნაგებობის მიმართ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

საბრალდებო დასკვნით ზემოაღნიშნული გამოიხატა იმაში, რომ ზ.ბ.-მ, მამასთან წინასწარი შეთანხმებით, ღამით ერთ-ერთი სასაფლაოს ღობიდან მოხსნა 258 ლარად შეფასებული, 28 ცალი ალუმინის დეკორატიული ფიგურა, რომლებიც ჩაალაგეს ორ ტომარაში, რა დროსაც ისინი შეამჩნიეს და დააკავეს სოფლის მცხოვრებლებმა.

მსჯავრდებულმა ზ. ბ.-მ გულწრფელად აღიარა და მოინანია ჩადენილი ქმედება, ჰყავს მცირეწლოვანი შვილები, ინვალიდი მამა და არის ოჯახის ერთადერთი მარჩენალი. ასევე მან სრულად ანაზღაურა ზიანი.

სააპელაციო სასამართლო, საქმეში არსებული მასალების ანალიზის საფუძველზე, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ უნდა შეცვლილიყო რაიონული სასამართლოს განაჩენი სასჯელის ნაწილში, კერძოდ, შეფარდებული სასჯელი – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მსჯავრდებულს შეუმცირა და, საბოლოოდ, შეუფარდა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ამ შემთხვევაშიც, სამართლებრივი თვალსაზრისით, დაუსაბუთებელია, გვაქვს თუ არა დამთავრებული დანაშაული, თუ ქმედება უნდა დაკვალიფიცირებულიყო დანაშაულის მცდელობად? ვფიქრობთ, დანაშაულებრივი ქმედება აღკვეთილ იქნა მცდელობის სტადიაზე, რის გამოც არასწორად მიგვაჩნია მისი დამთავრებულ დანაშაულად შეფასება.

რაიონულმა სასამართლომ განიხილა ე.ბ.-ს, შ.ჭ.-სა და გ.ჭ.-ს ბრალდების საქმე დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 182¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით. კერძოდ, ფერადი ლითონების შემცველი ნაკეთობების დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, საფლავის მიწისზედა ნაგებობის მიმართ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

საბრალდებო დასკვნით ზემოაღნიშნული გამოიხატა იმაში, რომ ისინი წინასწარი შეთანხმებით, პირველ იანვარს, ღამით მიკროავტობუსით, მივიდნენ სოფლის სასაფლაოს ტერიტორიაზე, სადაც სამ სხვადასხვა საფლავზე არსებულ მესერს, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მოხსნეს 94 ალუმინის ფიგურა, რომელთა საერთო ღირებულება შეადგენს 940 ლარს. ისინი არ დაკმაყოფილდნენ ამ მოქმედებით და გადაწყვიტეს, გაეგრძელებინათ მსგავს დანაშაულთა ჩადენა. იმავე წლის 8 იანვარს ისინი მივიდნენ სხვა სოფლის სასაფლაოზე, სადაც სამ სხვადასხვა საფლავის მესერს მოხსნეს 42 ალუმინის ფიგურა, შეფასებული 420 ლარად.

როგორც საქმიდან ჩანს, მათ ამის შემდეგაც არ შეწყვიტეს ანალოგიური ქმედებანი და იმავე თვის 20 რიცხვში, უკვე მესამედ, ჩაიდინეს მსგავსი სახის დანაშაული. ამჯერად მათ შეარჩიეს სხვა სოფლის სასაფლაო, სადაც გაქურდეს ოთხი საფლავი და წაიღეს 135 ალუმინის ფიგურა, შეფასებული 1680 ლარად.

მთლიანობაში, მათ მოახერხეს გაეძარცვათ 10 საფლავი, საიდანაც წაიღეს და მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრეს 3040 ლარის ღირებულების ალუმინის ნაკეთობები, რომლებიც წაიღეს ქ. ბათუმში და ჯართად ჩააბარეს, ხოლო აღებული თანხა გაინაწილეს.

წინასწარ გამოძიებაში მიცემულ ჩვენებაში სამივემ მთლიანად ცნო თავი დამნაშავედ, მოინანია დანაშაული და ყველაფერი აღწერეს ისე, როგორც ზემოთაა მითითებული, გარდა ერთი უმნიშვნელოვანესი დეტალისა. ეს დეტალი მხოლოდ სასამართლო გამოძიებისას გამოაშკარავდა; კერძოდ, მათ მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ვ.კ.-ს და ისინი მას ამ დანაშაულს შურისძიების მოტივით აბრალებდნენ, რადგან ეგონათ, რომ პოლიციაში მან დაასმინა.

სასამართლო, საქმეში არსებული მასალებისა და მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სამივე განსასჯელს სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით შეეფარდოს თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით.

რაიონულმა სასამართლომ განიხილა ვ.ა.-ს და დ.ა.-ს ბრალდების საქმე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 182¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით, კერძოდ, ფერადი ლითონის დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი არაერთგზის, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

საბრალდებო დასკვნით აღნიშნული გამოიხატა შემდეგში: ვ.ა.-მ, გამოძიებით დაუდგენელ სხვა პირებთან წინასწარი შეთანხმებით, განიზრახა მოეპარა ალუმინის ელექტროსადენები. ისინი ღამით მივიდნენ ერთ-ერთი შპს-ს ტერიტორიაზე და ბოძებიდან ჩამოჭრეს შვიდწვერიანი ელექტროსადენი, რომელიც დაჭრეს და ჩააბარეს ფერადი ლითონების ჩამბარებელ პუნქტს. მან შემდეგშიც განაგრძო ასეთი საქმიანობა და იმავე თვეში კვლავ ჩაიღინა მსგავსი დანაშაული. კერძოდ, იგი, სხვა პირებთან ერთად, მივიდა იმავე საწარმოს ტერიტორიაზე. მათ ჩამოჭრეს ბოძებიდან 100 მეტრი სიგრძის ელექტროსადენი, თუმცა განზრახვა ვერ მოიყვანეს სისრულეში, რადგან ისინი შეამჩნია პოლიციამ, რის შემდეგაც მოახერხეს გაქცევა. მიუხედავად ამ უკანასკნელი ფაქტისა, ერთი საათის შემდეგ კვლავ დაბრუნდნენ შემთხვევის ადგილზე ჩამოჭრილი კაბელის წასაღებად, რა დროსაც ისინი პოლიციამ დააკავა.

სასამართლომ სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღო განსასჯელთა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები. კერძოდ, დანაშაულის აღიარება და მონანიება, განსასჯელთა მძიმე ეკონომიკური გაჭირვება, დადებითი დახასიათება, სასამართლობის არქონა და სხვ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ ვ.ა. და დ.ა. გაამართლა სსკ-ის 182¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში. ვ.ა. ცნობილ იქნა დამნა-

შვედ სსკ-ის 19,182¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დანაშაულში და სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით შეეფარდა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დ. ა. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის მე-19,182¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით და სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით შეეფარდა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ვფიქრობთ, ვა.-ს ქმედების გადაკვალიფიცირება დამთავრებული დანაშაულიდან დანაშაულის მცდელობაზე სამართლებრივად არასწორია, ვინაიდან მას, დ.ა.-გან განსხვავებით, ბრალად ედება წინა ეპიზოდის ჩადენაც, რომელმაც დამთავრებული დანაშაულის სტადიას მიაღწია. სამართლებრივად ასევე არასწორად მიგვაჩნია განსასჯელთა გამართლება და მათი დამნაშავედ ცნობა იმავე დანაშაულის მცდელობისათვის. უფრო სწორი იქნებოდა გამართლების გარეშე მათი ქმედების პირდაპირ გადაკვალიფიცირება იმავე დანაშაულის მცდელობაზე. გამართლება ნიშნავს, რომ პირს არ ჩაუდენია დანაშაული, მაშინ, როდესაც განაჩენი საწინააღმდეგოს ამტკიცებს, კერძოდ, იმას, რომ ჩადენილ ქმედებას არ მიუღწევია დამთავრებული დანაშაულის სტადიისათვის.

შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო პრაქტიკა ამ კატეგორიის საქმეებზე, ძირითადად, ერთგვაროვნია, არ გამოირჩევა განსაკუთრებული თავისებურებით, რის გამოც სხვა მაგალითებს სასამართლო პრაქტიკიდან არ მოვიყვანთ. აღვნიშნავთ მხოლოდ ერთს: ჩვენ მიერ შესწავლილ საქმეებზე, რომლებიც, ძირითადად, სსკ-ის 182¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით იყო დაკვალიფიცირებული, სასამართლოებს განსასჯელებისათვის არასოდეს დაუნიშნავთ სასჯელი სანქციის ფარგლებში, მათ, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით, ყოველთვის შეფარდებული აქვთ სანქციით დაწესებული სასჯელის ზომის უმდაბლეს ზღვარზე ნაკლები, ხოლო ხშირ შემთხვევაში, სსკ-ის 63-ე, 64-ე მუხლების საფუძველზე, ასევე გამოყენებულია პირობითი მსჯავრი.

მართალია, სასამართლოები სწორად იყენებენ სსკ-ის 55-ე მუხლს, მაგრამ დანიშნული სასჯელები ზოგჯერ ღმობიერია. ასევე, განაჩენებში ზოგჯერ დაუსაბუთებელია პირობითი მსჯავრის გამოყენების აუცილებლობა და შესაძლებლობა.

საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, სსკ-ის 182¹-ე მუხლი არასწორადაა ჩამოყალიბებული არა მარტო სასჯელის ნაწილში, რაც აშკარად ქმედების შემადგენლობის არაადეკვატურია, არამედ დისპოზიციაც, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას შავი და ფერადი ლითონების ან მათი შემცველი ნაკეთობების დაუფლებისათვის, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. ასეთი ნივთი კი შეიძლება იყოს უამრავი, მათ შორის – ავტომანქანა, თუმცა ამ უკანასკნელის გატაცების შემთხვევაში ჩადენილი ქმედება გამოძიებას არასოდეს დაუკვალიფიცირებია ამ მუხლით, რაც სწორად მიგვაჩნია. აღნიშნული ნორმა მოითხოვს საკანონმდებლო დახვეწას როგორც დისპოზიციის, ასევე სანქციის ნაწილში.

ჩვენს მიერ სსკ-ის 182¹ მუხლის მიმოხილვის ტექსტის დაწერის შემდეგ საქართველოს კანონმდებლობამ განიცადა ცვლილება, კერძოდ, 2004 წლის 11 ნოემბრის კანონით (ძალაშია 2004 წლის პირველი დეკემბრიდან) სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოღებულ იქნა 182¹ მუხლი, ვინაიდან კანონმდებელმა ჩათვალა, რომ იგი აშკარად არასწორად იყო ჩამოყალიბებული და ეწინააღმდეგებოდა სისხლის სამართლის პოლიტიკის ამოცანებს. კანონის აღნიშნული ცვლილება არ ნიშნავს ამ ქმედების დეკრიმინალიზაციას, არამედ იგი წარმოადგენს მხოლოდ მის დეპენალიზაციას. წინასწარმა გამოძიებამ და სასამართლომ ამ მუხლით დაკვალიფიცირებული დანაშაულებრივი ქმედებები უნდა გადააკვალიფიცირონ სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლებზე, რომლებიც ითვალისწინებენ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისათვის. ძირითადად, ასეთი ქმედებების გადაკვალიფიცირება უნდა მოხდეს ქურდობის მუხლზე (სსკ-ის 177-ე მუხლი), შესაბამისი მაკვალიფიცირებელი ნიშნებით. იმ სისხლის სამართლის საქმეების მიმართ, რომლებზეც სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი შესულია კანონიერ ძალაში, გამოიყენება სსსკ-ის 593-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი განაჩენისა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილების ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯვის წესი. კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატა მოახდენს ასეთი განაჩენების ახალ კანონთან შესაბამისობაში მოყვანას, ვინაიდან ეს ახალი კანონი ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას აღნიშნული ქმედებისათვის.

აღიარებულია, რომ გონიერულობა კანონის ლეგიტიმაციის წყაროს წარმოადგენს. ძველი ლათინური დებულება ამბობს: *lex ratione constant* – კანონს შინაარსად გონიერულობა უდევს. კანონმდებელი მხოლოდ მაშინ ასრულებს სათანადოდ მის მიერ დასახულ მიზნებს, თუ დაცულია თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნები.

სწორედ ეს მომენტი გაითვალისწინა კანონმდებელმა, როცა 2004 წლის 17 ნოემბრის კანონით სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოიღო 182¹ მუხლი, რომელიც აშკარად არაგონიერულად აყალიბებდა სისხლის სამართლის ნორმის შინაარსს და აწესებდა სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

მუხლი 183. განსაკუთრებული ისტორიული,

კულტურული, მეცნიერული ან ეროვნული ღირებულების ნივთის ან დოკუმენტის დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით

1. განსაკუთრებული ისტორიული, კულტურული, მეცნიერული ან ეროვნული ღირებულების ნივთის ან დოკუმენტის დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ათ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) ჯგუფურად;

ბ) არაერთგზის, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე.

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №292 – საქართველოს საკანონმდებლო მაცნე I, 2000 წ., №18, მუხ. 45-ე).

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 183-ე მუხლი წარმოადგენს სპეციალურ ნორმას. იგი ცალკე მუხლად გამოყოფილია დანაშაულის საგნის განსაკუთრებული მნიშვნელობის მიხედვით. ამ კატეგორიის საქმეებზე სავალდებულოა ექსპერტიზის ჩატარება იმის დასადგენად, არის თუ არა ნივთი ან დოკუმენტი განსაკუთრებული ისტორიული, კულტურული, მეცნიერული ან ეროვნული ღირებულების მატარებელი. დანაშაულის ობიექტი შეიძლება იყოს როგორც ცალკეული ნივთი ან დოკუმენტი, ასევე კოლექცია.

საქართველოს 1999 წლის 25 ივნისის კანონი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ შეიცავს განსაკუთრებული ისტორიული, კულტურული, მეცნიერული ან ეროვნული ღირებულების მქონე ნივთების ჩამონათვალს, რაც შეიძლება წარმოადგენდეს ამ დანაშაულის საგანს. იგი შეიძლება იყოს:

1) ნებისმიერი მასალითა და ტექნიკით შესრულებული სახვითი ხელოვნების ნიმუში;

2) ნებისმიერი მასალითა და ტექნიკით შესრულებული დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუში;

3) ისტორიულ მოვლენებთან ან ისტორიულ პირთა მოღვაწეობასთან დაკავშირებული ნივთები;

4) არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ან კულტურულ ფენებში შემთხვევით აღმოჩენილი ნივთები ან/და მათი ფრაგმენტები;

5) ნებისმიერი მასალითა და ტექნიკით შესრულებული საკულტო დანიშნულების ნივთი;

6) ხელნაწერები, ინკუნაბულები, სიგელები, გუჯრები და ბეჭდვითი გამოცემები, რომელთაც აქვთ ისტორიული, მხატვრული და სამეცნიერო ღირებულება;

7) ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტები, მათ შორის, ფოტო-, ფონო-, კინო-, ვიდეომასალები;

8) ეთნოგრაფიული ნივთები;

9) უნიკალური ავეჯი და მუსიკალური ინსტრუმენტები;

10) მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებასთან დაკავშირებული ძეგლები;

11) სხვა მოძრავი ნივთები, რომლებსაც აქვთ ისტორიული, მხატვრული, სამეცნიერო და სხვა ღირებულება, მათ შორის, ისტორიული მნიშვნელობის მქონე არქიტექტურული ნაზაზები, სახვითი ხელოვნების ნიმუშების ასლები, აგრეთვე თანამედროვე წარმოების ტირაჟირებადი ნივთები.

დანაშაულის ეს შემადგენლობა შეიძლება განხორციელდეს დაუფლების ნებისმიერი ხერხით. როგორც ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული (მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი), განსაკუთრებული ისტორიული, კულტურული, მეცნიერული ან ეროვნული

ღირებულების მქონე ნივთის ან დოკუმენტის დაუფლება მისაკუთრების მიზნით შეიძლება მოხდეს როგორც ქურდობით, ისე ძარცვით, თაღლითობით, ყაჩაღობითა და სხვ. ამიტომ თვლიან, რომ, თუ დისპოზიციაში ჩამოთვლილი ნივთის ან დოკუმენტის დაუფლება მოხდა თავდასხმით და სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის მუქარით, მას დამატებითი კვალიფიკაცია – ყაჩაღობა არ სჭირდება. მართალია, სასამართლო პრაქტიკაში ჯერ ეს პრობლემა არ დამდგარა და კონკრეტული მაგალითებით ამ საკითხზე მსჯელობის შესაძლებლობა არა გვაქვს, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამ უკანასკნელ დებულებას სასამართლო პრაქტიკაში უდავოდ ექნება პრობლემები. კერძოდ: ყაჩაღობის ნორმა, სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილი, ითვალისწინებს ხუთ მაკვალიფიცირებელ ნიშანს, მათგან მხოლოდ ორი (ჯგუფურად და არაერთგზის) გათვალისწინებულია სსკ-ის 183-ე მუხლის მე-2 ნაწილში. თუ განსაკუთრებული ისტორიული, კულტურული, მეცნიერული ან ეროვნული ღირებულების მქონე ნივთის ან დოკუმენტის დაუფლება მოხდა ყაჩაღური გზით ჯგუფის მიერ ან არაერთგზის, ასეთ შემთხვევაში არავითარი სამართლებრივი პრობლემა არ წარმოიშობა – ქმედების კვალიფიკაცია მოხდება არა სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ექვსიდან თხუთმეტ წლამდე, არამედ უფრო მძიმე – სსკ-ის 183-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას რვიდან თხუთმეტ წლამდე. სამართლებრივი პრობლემა წარმოიშობა იმ დროს, როცა ასეთი ნივთის ყაჩაღური გზით დაუფლება მოხდება ბინაში, სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით ან იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევ სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების ან გამოძალვისათვის ან თუ გატაცებული ნივთის ღირებულება აღემატება ათი ათას ლარს. მაგალითად, თუ ბინაში უკანონო შეღწევით პირი ყაჩაღურად დაეუფლა ნივთს, რომლის ღირებულებაა ასი ლარი, მისი ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ექვსიდან თხუთმეტ წლამდე, ხოლო თუ იმავე გზით, ბინაში შეღწევით დაეუფლება ნივთს, რომელსაც აქვს განსაკუთრებული ისტორიული, კულტურული, მეც-

ნიერული ან ეროვნული ღირებულება, მისი ქმედება, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულების მიხედვით, დაკვალიფიცირდება სსკ-ის 183-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ექვსიდან ათ წლამდე. ასეთი კვალიფიკაცია, რა თქმა უნდა, ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პოლიტიკის ამოცანებს, რის გამოც აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება.

სამართლებრივი თვალსაზრისით, პრობლემას წარმოადგენს ასევე საკითხი, თუ როდის უნდა ჩაითვალოს დამთავრებულად განსაკუთრებული ისტორიული, კულტურული, მეცნიერული ან ეროვნული ღირებულების მქონე ნივთის ან დოკუმენტის დაუფლება, თუ იგი ჩადენილია ყაჩაღური გზით – თავდასხმის მომენტიდან, რომლის მიზანია ამ ნივთისა თუ დოკუმენტის დაუფლება, თუ მისი ფაქტობრივად დაუფლების მომენტიდან. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში (მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი) მიჩნეულია, რომ განსაკუთრებული ღირებულების მქონე ნივთის ან დოკუმენტის ყაჩაღური თავდასხმის გზით დაუფლება დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს იმ აუცილებელი პირობის დაცვით, რომ ამსრულებელი ფაქტობრივად დაეუფლა და თავის ან სხვა პირთა სარგებლობაში მოაქცია ეს ნივთი, ხოლო თუ თავდასხმა არ დამთავრდა ასეთი ნივთის დაუფლებით, ჩადენილი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 183-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის მცდელობად და არა დამთავრებულ დანაშაულად.

ეს ის საკითხია, რაც ასევე ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პოლიტიკის ამოცანებს. ძნელია, სამართლებრივი დასაბუთება მოუძებნო იმას, რომ თავდასხმა ჩვეულებრივი ნივთის დაუფლების მიზნით, დამთავრებულია თავდასხმის მომენტიდან, ხოლო, განსაკუთრებული ისტორიული, კულტურული, მეცნიერული ან ეროვნული ღირებულების მქონე ნივთის ან დოკუმენტის დაუფლების მიზნით თავდასხმა, ვიდრე მისი საბოლოო დაუფლება არ მოხდება, თავდასხმის მომენტში წარმოადგენს მხოლოდ დანაშაულის მცდელობას. ეს საკითხიც საკანონმდებლო მოწესრიგებას საჭიროებს.

სასამართლო პრაქტიკისათვის მნიშვნელოვანია ქმედების სუბიექ-

ტური შემადგენლობის დადგენა, რომელიც, როგორც წესი, პირდაპირ განზრახვაში გამოიხატება. ამასთან, დამნაშავეს განზრახვა უნდა მოიცავდეს იმის შეგნებას, რომ მის მიერ მისაკუთრების მიზნით დაუფლებული ნივთი ან დოკუმენტი განსაკუთრებული ისტორიული, კულტურული, მეცნიერული ან ეროვნული ღირებულების მატარებელია.

ამ კატეგორიის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკა არ არსებობს, რის გამოც ვერ ვახდენთ კონკრეტული მაგალითებით სასამართლო პრაქტიკის ანალიზს.

მუხლი 184. ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნის ბარეში

1. ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება დროებითი გამოყენების მიზნით, –

ისჯება ჯარიმით ან ტუსაღობით ვადით ოთხ თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) ჯგუფურად;

ბ) არაერთგზის;

გ) ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის მუქარით, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან შვიდ წლამდე.

3. ამ მუხლის 1-ლი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის მუქარით, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე.

შენიშვნა: თუ 24 საათის განმავლობაში დამნაშავე ნებაყოფლობით, დაუზიანებლად დააბრუნებს ავტომობილს ან სხვა მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებას, მას გაუნახევრდება სასჯელი.

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი – „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, I, 2000, №18, მუხლი 45-ე).

განსახილველი დანაშაული ხელყოფს საკუთრებით ურთიერთობას. დამნაშავე ავტომობილის მესაკუთრეს ან მის კანონიერ მფლობელს დროის რაღაც მონაკვეთში უსპობს სატრანსპორტო საშუალების თავისი შეხედულებისამებრ გამოყენების შესაძლებლობას. დამატებით ობიექტს წარმოადგენს ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

დანაშაულის საგანზე მითითებას თვით მუხლის დისპოზიცია შეიცავს. ესაა ავტომობილი ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალება. ანალოგიური მოქმედების ჩადენა სხვა მოძრავი ქონების მიმართ განსახილველი დანაშაულის შემადგენლობას არ ქმნის. მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებათა სანიმუშო ჩამოთვლა მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლში (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლოატაციის წესის დარღვევა), რომლითაც ისჯება „ავტომობილის, ტრამვაის, ტროლეიბუსის, ტრაქტორის ან სხვა მექანიკური ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლოატაციის წესის დარღვევა“. . . ზემოთ დასახელებულთა გარდა, მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებს მიეკუთვნებიან საგზაო, სამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა სპეციალური დანიშნულების თვითმავალი მანქანები: ექსკავატორი, გრეიდერი, სკრეპერი, ბულდოზერი, ასფალტის დამგები, ასევე მოტოციკლი, მოპედი და სხვა, რომელთაც გააჩნიათ შინაგანი წვის ძრავა ან ელექტროძრავა და რომელთა მოძრაობაც რეგულირდება საგზაო მოძრაობის წესებით. მაგალითად, ველოსიპედი არ არის მექანიკური სატრანსპორტო საშუალება და ამიტომ არ შეიძლება იყოს განსახილველი დანაშაულის საგანი.

საჰაერო ან წყლის ხომალდი, ასევე რკინიგზის მოძრავი შემადგენლობა არ წარმოადგენს განსახილველი დანაშაულის საგანს. ამიტომ მათი მართლსაწინააღმდეგო დაუფლება არ ქმნის 184-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას. ასეთ შემთხვევებში დამნაშავე პასუხს აგებს სსკ-ის 227-ე მუხლით (საჰაერო ან წყლის ხომალდის, ანდა რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება). ეს უკანასკნელი მიეკუთვნება საზოგადოებრივი უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კატეგორიას.

ქმედების ობიექტური მხარე გამოიხატება ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლებაში. დაუფლება გულისხმობს სატრანსპორტო საშუალების ამოღებას მესაკუთრის ან კანონიერი მფლობელის ფონდებიდან და დროებით გადასვლას დამნაშავეს მფლობელობაში. დაუფლება მართლსაწინააღმდეგო უნდა იყოს, ე.ი. დამნაშავეს სატრანსპორტო საშუალების ფლობისა და სარგებლობის არავითარი უფლება არ უნდა გააჩნდეს. სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში გაბატონებული თვალსაზრისის თანახმად, ოჯახის რომელიმე წევრის მიერ მესაკუთრის ნებართვის გარეშე ავტომობილით თვითნებური სარგებლობა მართლსაწინააღმდეგო დაუფლებად არ უნდა ჩაითვალოს. ამიტომ ასეთი ქმედება განსახილველი დანაშაულის შემადგენლობას არ ქმნის. ასეთ შემთხვევებში ოჯახის წევრი უმეტესად მოქმედებს ავტომანქანის მესაკუთრის სავარაუდო თანხმობის საფუძველზე. მაშინაც კი, როცა მესაკუთრე უკრძალავდა მისი ოჯახის წევრს მანქანით სარგებლობას, ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლით მიზანშეუწონელია. თუ ასეთი პირი თვითნებურად გამოყვანილი მანქანით მოახდენს ავარიას, რასაც შედეგად მოჰყვება ვინმეს დაშავება, სიცოცხლის მოსპობა ან ქონებრივი ზიანი, იგი პასუხს აგებს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლოატაციის წესის დარღვევა) ან 188-ე (ნივთის დაზიანება ან განადგურება გაუფრთხილებლობით) მუხლებით და არა 184-ე მუხლით. ჩემი აზრით, სხვაგვარად უნდა გადაწყდეს საკითხი იმ შემთხვევაში, როცა ავტომანქანა, დროებითი გამოყენების მიზნით, თვითნებურად მიჰყავს არა ოჯახის წევრს, არამედ ნათესავს (გარდა ახლო ნათესავისა), მეგობარს, მეზობელს და ა.შ. ამ პირებმა პასუხი უნდა აგონ სსკ-ის 184-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის. ამ გზით მიდის სასამართლო პრაქტიკაც.

გლდანი-ნაძალადევის რაიონულმა სასამართლომ მსჯავრი დასდო ჯ.ფ-შვილს საქართველოს სსკ-ის 184-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ჯ.ფ-შვილი ცხოვრობდა... ქუჩა №65-ში მშობლებთან და დასთან ერთად. მათი სახლის გვერდით ცხოვრობდა მისი ბიძა ა.ფ-შვილი, რომელსაც საკუთრებაში ჰყავდა

ავტომანქანა ვაზ 2101. 2002 წლის 19 ივლისს, დილის საათებში, ჯ.ფ-შვილმა გადაწყვიტა ესარგებლა ბიძის სახლში არყოფნით და გამოეყენებინა ამ უკანასკნელის ავტომანქანა პირადი საქმეების მოსაგვარებლად. სადენების გადაერთებით აამუშავა მანქანა და წავიდა მეგობრის ლ.ს-შვილის სანახავად, რომელიც ცხოვრობდა მუხიანის ქუჩაზე, ჩაისვა მანქანაში ლ.ს-შვილი და გაემართა ბენზინგასამართი სადგურისაკენ, რა დროსაც პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს.

2001 წლის 20 სექტემბერს, საღამოს საათებში, მეზობლები ა.ქ-ძე, გ.ჩ-შვილი და კ.ბ-შვილი ეზოში ერთად სვამდნენ სასმელს. კ.ბ-შვილის სახლში შესვლის შემდეგ ა.ქ-ძემ და გ.ჩ-შვილმა გადაწყვიტეს ბ-შვილის კუთვნილი ვაზ. 21 მარკის ავტომანქანით წასულიყვნენ სოფელ ნორიოში, ქ-ძის ნათესავეებისაგან წამოეღოთ ღვინო და ცხვარი და გაეგრძელებინათ ქეიფი. საჭეს ა.ქ-ძე მიუჯდა. სადენების მეშვეობით მათ აამუშავეს მანქანა და გაუდგნენ გზას ნორიოსაკენ. სოფლის შესასვლელში ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ა.ქ-ძემ ვერ დაიმორჩილა საჭე და შეეჯახა ხეს, რის შედეგადაც მანქანას გაუტყდა „გიტარა“. ქ-ძემ და ჩ-შვილმა მანქანა ჩააბარეს სოფლის მცხოვრებს და დაბრუნდნენ თბილისში, როგორც თვითონ განმარტეს, რათა ეს ამბავი კ.ბ-შვილისათვის შეეტყობინებინათ. სახლში მისულებს ეზოში დახვდათ შეგროვილი ხალხი, ამ დროს მოვიდნენ პოლიციის თანამშრომლები და ისინი დააკავეს.

ა.ქ-ძე და გ.ჩ-შვილი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს სსკ-ის 184-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. წინასწარი გამოძიებისა და საქმის სასამართლო განხილვისას განსასჯელები აღნიშნავენ, რომ დაზარალებული მათი მეზობელია და ორივეს ხშირად აძლევდა თავისი ავტომანქანით სარგებლობის უფლებას. დაზარალებულმა კ.ბ-შვილმა წინასწარი გამოძიების პროცესში განცხადებით მიმართა საქმის მწარმოებელ ორგანოს და განმარტა, რომ ზარალი აუნახლაურდა, ავტომანქანა ჩაბარდა, განსასჯელები მისი მეზობლები არიან, რის გამოც აპატია და შეურიგდა მათ.

თბილისის ისანი-სამგორის რაიონულმა სასამართლომ ქ-ძესა და ჩ-შვილს მსჯავრი დასდო სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე

მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით და შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა ორი წლის ვადით, საერთო რეჟიმის სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით. დანიშნული სასჯელი ჩაეთვალიათ პირობით და გამოსაცდელ ვადად დაენიშნათ ორი წელი.

სასამართლომ სწორად დააკვალიფიცირა ქ-ძისა და ჩ-შვილის ქმედება. ის ფაქტი, რომ ისინი დაზარალებულის ნებართვით ხშირად სარგებლობდნენ მისი ავტომანქანით, არ ათავისუფლებს ამ პირებს 184-ე მუხლით პასუხისმგებლობისაგან, რადგან მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში მათ დაზარალებულისაგან ნებართვა არ ჰქონდათ აღებული. ამ უკანასკნელს რომ უფლება მიეცა მათთვის საჭიროების შემთხვევაში ესარგებლათ მანქანით მისი სპეციალური ნებართვის გარეშე, ცხადია, გამოირიცხებოდა პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის. რაც შეეხება იმას, რომ დაზარალებული შეურიგდა ბრალდებულებს და აპატია მათ, არც ეს გარემოება გამოდგება სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველად. კოდექსის 184-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული საჯარო ბრალდების საქმეთა კატეგორიას განეკუთვნება. სისხლის სამართლის კოდექსის 69-ე მუხლის თანახმად, ბრალდებულისა და დაზარალებულის შერიგება მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი, თუ ჩადენილი დანაშაულისათვის კანონით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება სამი წლით თავისუფლების აღკვეთას. 184-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ორიდან შვიდ წლამდე.

სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლით არ უნდა დაკვალიფიცირდეს მანქანის თვითნებური გამოყენება იმის მიერ, ვისაც ეს მანქანა სამსახურებრივად ჰქონდა მინდობილი (მაგალითად, მძღოლმა მესაკუთრის ნებართვის გარეშე გამოიყვანა გარაჟიდან მასზე გაპიროვნებული მანქანა). საკითხის ასეთი გადაწყვეტა ეფუძნება იმას, რომ ასეთ პირს გარკვეული უფლება აქვს ამ მანქანის მიმართ. ამიტომ ასეთ შემთხვევებში შეიძლება დადგეს მხოლოდ მძღოლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი.

სატრანსპორტო საშუალების დაუფლება შეიძლება მოხდეს ფარულად, აშკარად, ძალადობით მანქანის მფლობელის მიმართ ან ძალადობის გარეშე. მოქმედების ხერხის მიხედვით კანონი გამოყოფს განსახილველი დანაშაულის კვალიფიციურ შემადგენლობებს. თუ ძალადობა არ არის საშიში სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის, პირი პასუხს აგებს სსკ-ის 184-ე მუხლის მე-2 ნაწილით, წინააღმდეგ შემთხვევაში კი – იმავე მუხლის მე-3 ნაწილით.

* * *

მოცემული კატეგორიის საქმეებზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქმედების სუბიექტური შემადგენლობის სრულყოფილ გამოკვლევას. კერძოდ, ჰქონდა თუ არა გამტაცებელს ავტომანქანის მისაკუთრების მიზანი. ამ მიზნის არარსებობა აუცილებელი პირობაა სსკ-ის 184-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის არსებობისათვის. თუ მანქანის გატაცება მისაკუთრების მიზნით მოხდა, მაშინ დამნაშავეს ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შესაბამისი მუხლით. „მანქანის გატაცების მიზნის დადგენა მტკიცების საკითხია. იგი საქმის კონკრეტული მასალების მიხედვით უნდა გადაწყდეს. მაგალითად, დამნაშავემ გატაცებული მანქანა შეღება, დაუყენა ყალბი სახელმწიფო ნომრები, შეადგინა ყალბი დოკუმენტები, გაყიდა, გააჩუქა და სხვ., ან დაშალა და შეუდგა მის ნაწილ-ნაწილ გაყიდვას. მოცემულ შემთხვევაში მტკიცების მხრივ დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს გატაცების მიზნის დადგენა, რადგან არსებული მატერიალური კვალი მიგვანიშნებს სუბიექტის განზრახვაზე – მიითვისოს მანქანა. დროებით გამოყენებად ითვლება მისი გატაცება გასასიერნებლად, სხვა რაიმე დანაშაულის ჩასადენად, გარკვეულ ადგილზე მისასვლელად, ტვირთის გადასატანად და სხვ.“¹

2002 წლის 17 მაისს, დაახლოებით 23 საათზე, ქ. თბილისში, მეტროს სადგურ „რუსთაველის“ მიმდებარე ტერიტორიაზე გ.შ-შვილმა გააჩერა გ.გ-იანის მართვის ქვეშ მყოფი მისივე კუთვნილი ავტომანქანა და მძღოლს სთხოვა სვანეთის უბანში წაყვანა. ამის შემდეგ თითქოსდა მისამართის ძებნაში მან ტაქსი აიყვანა ვერხანის ქუჩაზე,

¹ ჯ. ბაბილაშვილი, პასუხისმგებლობა ავტოსატრანსპორტო დანაშაულისათვის, თბ., 1977, გვ. 145, 144.

სადაც ძალადობის მუქარით აიძულა მძლოლი გადმოსულიყო მანქანიდან, შეუკრა ხელ-ფეხი და მოათავსა ავტომანქანის საბარგულში. გ.შ-შვილი დაჯდა საჭესთან და გაემართა დიღმის მიმართულებით. დავით აღმაშენებლის ხეივანში, ერთ-ერთ მშენებარე სახლთან მან ჩამოსვა გ.გ-იანი მანქანიდან, ქამრით მიაბა ხეზე და იქვე დატოვა. თვითონ კი გატაცებული მანქანით წავიდა სოფელ საგურამოში და მანქანა ტყეში დატოვა. ორი დღის შემდეგ, 19 მაისს, გ.შ-შვილმა ავტომანქანა რეალიზაციის მიზნით წაიყვანა ცხინვალის მიმართულებით. გორის რაიონის სოფელ ბროწლეთში მას შეხვდნენ ნაცნობები ი.ა-ია და გ.კ-ძე. გ.შ-შვილმა უთხრა, რომ ავტომანქანა ეკუთვნის მის ბიძას, რომელსაც მისი გაყიდვა უნდა. კ-ძე და ა-ია ჩასხდნენ მანქანაში, შ-შვილი კი წავიდა მყიდველის მოსაძებნად. იგი გამოელაპარაკა შემხვედრ უცნობ ახალგაზრდას და სთხოვა დახმარება მანქანის გაყიდვაში. უკანასკნელი შეჰპირდა, რომ მყიდველს მოუყვანდა და დაშორდა. შ-შვილი ჩაჯდა მანქანაში და დაუწყო ლოდინი ახალგაზრდას. მალე იგი პოლიციამ დააკავა.

წინასწარი გამოძიებისა და სასამართლოსათვის მიცემულ ჩვენებებში შ-შვილი აღნიშნავდა, რომ, ვინაიდან მატერიალურად ძალიან უჭირდა, გადაწყვიტა გაეტაცა ავტომანქანა და შემდეგ გაეყიდა. ყველაზე ადვილად კი ტაქსის გატაცება მიიჩნია.

დიღუბე-ჩულურეთის რაიონულმა სასამართლომ გ.შ-შვილს მსჯავრი დასდო საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლით – ძარცვისათვის, რადგან მან მანქანა გაიტაცა არა დროებითი გამოყენების, არამედ მისაკუთრების მიზნით.

2001 წლის 6 ივლისს, დაახლოებით 19 საათზე, ხ.ლ-ური იმყოფებოდა დიღმის მასივში, გამოძიებით დაუდგენელ ვინმე კახასთან ერთად. მათ გააჩერეს კერძო ტაქსი და მძლოლს – შ.ა-ურს სთხოვეს აგრარული უნივერსიტეტის დასახლებაში წაყვანა. როცა დასახლებას გასცდნენ და უკაცრიელ ადგილას გავიდნენ, გააჩერებინეს მძლოლს მანქანა, ძალის გამოყენებით გადაიყვანეს მანქანიდან, გაუჩხრიკეს ჯიბეები და ამოაცალეს 80 ლარი. შემდეგ თოკით შეუკრეს ხელ-ფეხი დაზარალებულს და დააწვინეს მიწაზე. ლ-ური კი მიუჯდა საჭეს და ავტომანქანა გაიტაცეს. დიღმის მასივში მდებარე

ლითონნაკეთობათა სახელოსნოსთან ავტომანქანას მოხსნეს საბურავები, აკუმულატორი, საქარე მინები (სულ 1100 ლარის ღირებულების), რის შემდეგაც მიატოვეს იგი და მიიმალნენ.

მოცემულ მაგალითში დამნაშავეებმა განკარგეს გატაცებული ავტომანქანა, როგორც საკუთარი, მოხსნეს რა მას საბურავები და სხვადასხვა ნაწილები. ამიტომ სახეზეა სატრანსპორტო საშუალების გატაცება არა დროებითი გამოყენების, არამედ მისაკუთრების მიზნით. აქედან გამომდინარე, ხ.ლ-ს მსჯავრი დაედო სსკ-ის 178-ე მუხლით – ძარცვისათვის.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს ისეთი შემთხვევაც, როცა გამტაცებელმა მესაკუთრეს მანქანის დაბრუნების სანაცვლოდ ფული მოსთხოვა. გატაცების ხერხის მიხედვით ეს იქნება ქურდობა, ძარცვა ან ყჩალობა (და არა გამოძალვა), რადგან დამნაშავე ფაქტობრივად განკარგავს – ყიდის თავის საკუთრებაში უკანონოდ მოქცეულ ქონებას.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ზშირად მანქანის გატაცების მიზნის დადგენას სათანადო ყურადღება არ ექცევა და ქმედების კვალიფიკაცია ხდება მხოლოდ ობიექტურ ნიშნებზე დაყრდნობით. ეს განსაკუთრებით შეეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც ავტომანქანის გატაცება ჩადენილია სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, ანდა ასეთი ძალადობის მუქარით. ზშირად ამგვარი ქმედება ყჩალობად კვალიფიცირდება, ისე, რომ არ არის შესწავლილი საკითხი: მანქანის გატაცება მისი მისაკუთრების მიზნით მოხდა თუ ამ მიზნის გარეშე.

2001 წლის 5 დეკემბერს ა.ღ-ძემ და ნ.ქ-ელმა (ორივე ქურდობისათვის ორჯერ იყო ნასამართლელი), ქ. თბილისში, თავისუფლების მოედანზე, გააჩერეს ავტომანქანა „ტაქსი“ და მძღოლს ხ.კ-ძეს სთხოვეს ვაჟა-ფშაველას გამზირზე წაყვანა. სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე ა.ღ-ძემ მძღოლს ყელზე დანა მიაბჯინა და უბრძანა, გადაბჯდარიყო გვერდით სავარძელზე. საჭეს ნ.ქ-ელი მიუჯდა. თავდაპირველად ისინი გაემართნენ ავლევის ქუჩისაკენ, სახლიდან გამოიყვანეს ქ-ელის მეგობარი გოგონა ნ.თა და მასთან ერთად წავიდნენ ნაძალადევის რაიონში, საჭიდაოს ქუჩაზე, სადაც მეგობრის სახ-

ლში ნ.თ-ას პირადი ნივთები ჰქონდა დატოვებული. ვინაიდან მეგობარი სახლში არ დახვდათ, უკან გამობრუნდნენ და მეტრომშენის დასახლებისაკენ გაემართნენ, სადაც მანქანის პატრონი – ხ.კ-ე ჩამოსვეს მანქანიდან და ქუჩაში დატოვეს. თვითონ კი წავიდნენ კვლავ ავლევის ქუჩისაკენ და სახლში მიიყვანეს ქ-ელის მეგობარი გოგონა. ამის შემდეგ ქ-ლმა და ღ-ძემ ამოიღეს ავტომანქანიდან მაგნიტოფონი, აუდიოკასეტები და შეინახეს თავიანთ დროებით საცხოვრებელ ბინაში. ისინი კვლავ ჩასხდნენ მანქანაში და სასეირნოდ წავიდნენ. შუალამისას, დაახლოებით 04 საათზე, ჭონქაძის ქუჩის ერთ-ერთ შესახვევთან ღ-ძემ დაარღვია მოძრაობის წესები და ელექტროგანათების ბოძს დაეჯახა, რის შედეგადაც დაზიანდა ავტომანქანა და თვითონაც მსუბუქად დაშავდნენ. მათ მიატოვეს მანქანა და მიიმალნენ. მე-2 დღეს ისინი დააკავეს პოლიციის თანამშრომლებმა.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს განაჩენით აღ-ძესა და ნ.ქ-ელს მსჯავრი დაედოთ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ე“ პუნქტებით (ყაჩაღობა, ჩადენილი ჯგუფურად, იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლვეი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის). მათ მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა შვიდი წლით და ექვსი თვის ვადით, მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მოხდით. თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატამ განაჩენი როგორც კვალიფიკაციის, ასევე სასჯელის ნაწილში უცვლელად დატოვა.

ჩემი აზრით, ღ-ძისა და ქ-ელის მიერ ჩადენილი დანაშაული არასწორად იყო მიჩნეული ყაჩაღობად. მოცემულ შემთხვევაში, მართალია ადგილი ჰქონდა დანის გამოყენებას, ე.ი. სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარას, მაგრამ მართლეს ნიშანი არ არის საკმარისი ყაჩაღობის შემადგენლობის არსებობისათვის. საჭიროა ასევე მისაკუთრების მიზნის არსებობა. სწორედ ამ ნიშნით განსხვავდება ყაჩაღობა 184-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისაგან (ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუ-

ფლება მისაკუთრების მიზნის გარეშე, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, ანდა ასეთი ძალადობის მუქარით). საქმის მასალების გაცნობა გვიჩვენებს, რომ წინასწარი გამოძიება და სასამართლო საერთოდ არ დაინტერესებულან ქმედების სუბიექტური მხარის გამოკვლევით. კერძოდ, იმის დადგენით, მანქანა მისაკუთრების მიზნით გაიტაცეს თუ ღროებით გამოყენების მიზნით. არც საბრალოდ დასკვნასა და არც სასამართლოს განაჩენში ამაზე არაფერია ნათქვამი. საქმის ფაქტობრივი გარემოებები კი არ მიუთითებენ დამნაშავეთა ქმედებაში მისაკუთრების მიზნის არსებობაზე. პირი, რომელიც ავტომანქანას მისაკუთრების მიზნით გაიტაცებს, უპირველეს ყოვლისა, შეეცდება იგი საიმედო ადგილას გადამალოს. მოცემულ შემთხვევაში მანქანის გატაცება მოხდა საღამოს, დაახლოებით 21 საათზე. ღ-ძე და ქ-ლი თითქმის მთელი ღამის განმავლობაში სეირნობდნენ ქალაქში გატაცებული მანქანით, შეიარეს რამდენიმე ადგილას პირად საქმეებზე, მეგობრებთან. ყურადსაღებია ის გარემოება, რომ მას შემდეგ, რაც მათ მანქანის პატრონი თავიდან მოიცილეს, ამოიღეს მანქანიდან მაგნიტოფონი, კასეტები და სახლში გადამალეს. შემდეგ კი კვლავ გააგრძელეს მანქანით სეირნობა, შუალაქმდე. იბადება კითხვა: გამტაცებლებს რომ მანქანის მისაკუთრების მიზანი ჰქონოდათ, რატომ ამოიღებდნენ იქედან სხვადასხვა ნივთებს და გადამალავდნენ? ყველა ეს საკითხი წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოს უნდა გაერკვია. როგორც აღნიშნული იყო, ისინი არ დაინტერესებულან ქმედების სუბიექტური შემადგენლობის გამოკვლევით. ასეთ ვითარებაში კი დამნაშავეთა ქმედებაში მისაკუთრების მიზნის არსებობა-არარსებობის ეჭვი მათ სასარგებლოდ უნდა გადაწყვეტილიყო. აქედან გამომდინარე, ღ-ძესა და ქ-ელს პასუხი უნდა ეგოთ არა სსკ-ის 179-ე მუხლით, არამედ 184-ე მუხლის მე-3 ნაწილით (ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნის გარეშე, ჩადენილი სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის მუქარით) და კიდევ 177-ე მუხლით – ქურდობისათვის, რადგან მანქანის გატაცების შემდეგ მათ ფარულად გაიტაცეს მან-

ქანიდან სხვადასხვა ნივთები. აღსანიშნავია ისიც, რომ მთვრალმა ა.ღ-ქემ გატაცებული მანქანით ავარია მოახდინა, ელექტროგანათების ბოძს შეასკდა და მანქანა დააზიანა, რის შედეგადაც მანქანის მესაკუთრე 2206 ლარით დაზარალდა. ამიტომ მას, გარდა ხსენებული მუხლებისა, პასუხი უნდა ეგო სსკ-ის 188-ე მუხლითაც (ნივთის დაზიანება ან განადგურება გაუფრთხილებლობით).

დამნაშავეთათვის სასჯელის განსაზღვრის დროს სასამართლოს ყურადღება უნდა მიექცია იმ გარემოებისათვის, რომ ორივემ დანაშაული მთვრალ მდგომარეობაში ჩაიდინა და დროის რაღაც მონაკვეთში მონაცვლეობით მართავდნენ გატაცებულ მანქანას. სიმთვრალეში მანქანის მართვა კი მომეტებულ საშიშროებას შეიცავს, საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას და ამიტომ დამნაშავე სხვა თანაბარ პირობებში უფრო მკაცრად უნდა დაისაჯოს. სასამართლო პრაქტიკის გაცნობა ცხადყოფს, რომ უმეტეს შემთხვევებში ნასვამ მდგომარეობაში მყოფ პირთა მიერ მანქანის გატაცებას მოსდევს მოძრაობის წესების დარღვევა და ავარია. ასევე მოხდა ამჯერად. ამიტომ ვერ დავეთანხმებით ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს იმაში, რომ განსასჯელთა ქმედებაში „პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები, გარდა მუხლის მაკვალიფიცირებული ნიშნებისა, არ აღინიშნება“. იგივე აზრია გატარებული სააპელაციო სასამართლოს განაჩენში.

ქმედების სუბიექტური შემადგენლობა, კერძოდ, ავტომანქანის გატაცების მიზანი სრულყოფილად არის გამოკვლეული ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს განაჩენში ს.ი-შვილის საქმეზე.

2000 წლის 17 მარტს ს.ი-შვილმა, მ.ი-ქემ და პ.გ-ქემ გადაწყვიტეს ფულის შოვნის მიზნით თავს დასხმოდნენ რომელიმე ბენზინ-გასამართ სადგურს ფონიჭალის ტერიტორიაზე. პ.გ-ქემ სახლიდან მოიტანა გადაჭრილი ორლულიანი თოფი, ეგრეთ წოდებული „აბრეზი“, მ.ი-ქემ კი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი. ვინაიდან დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად სატრანსპორტო საშუალება სჭირდებოდათ, მათ გადაწყვიტეს გაეტაცათ ავტომანქანა. დაახლოებით 17 საათზე, „ლალიძის წყლებთან“ გააჩერეს ავტომანქანა და

მძლოლს – ბ.ა-ძეს სთხოვეს ორთაჭალაში მდებარე სამშობიარო სახ-
ლთან მიყვანა. გზაში მძლოლის გვერდით მჯდომმა პ.გ-ძემ მას მიაბ-
ჯინა გადაჭრილი თოფი, ხოლო მ.ი-ძემ კი – ავტომატური იარაღი.
მძლოლს გზის პირას გააჩერებინეს მანქანა და უბრძანეს გადამჯ-
დარიყო უკანა სალონში. საჭესთან დაჯდა ს.ი-შვილი და განაგრძეს
გზა ფონიჭალის მიმართულებით. რადგანაც ავტომანქანაში საწვავი
თავდებოდა, მ.ი-ძემ მძლოლს მოსთხოვა ფული ბენზინის ჩასასხმელად.
ი-შვილმა მისცა რაც ჰქონდა – 8 ლარი. ერთ-ერთ ბენზინგასამართ
სადგურთან ამ ფულით ჩაასხეს საწვავი ავტომანქანაში და რუსთავის
მიმართულებით წავიდნენ. დაბნაშავებმა მძლოლს უთხრეს, რომ საქმეზე
მიდიოდნენ, რისთვისაც სჭირდებოდათ მისი ავტომანქანა. საქმის
დამთავრების შემდეგ კი მანქანას დაუბრუნებდნენ. რუსთავის გზატ-
კეცილზე ს.ი-შვილმა მანქანა გააჩერა და მძლოლს უბრძანა მან-
ქანიდან გადასულიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში ტყეში დაბმით დაე-
მუქრნენ. ბ.ა-ძეს არ უნდოდა მანქანის მიტოვება, რადგან არ იყო
დარწმუნებული, რომ მას დაუბრუნებდნენ. ამიტომ შესთავაზა დამნა-
შავეებს, რომ მანქანის საბარგულში ჩაჯდებოდა და მათ საქმეში
ხელს არ შეუშლიდა. მართლაც, ბ.ა-ძე მოთავსდა საბარგულში, ს.ი-
შვილმა კი გზა განაგრძო და მანქანა გააჩერა ერთ-ერთ ბენზინგასა-
მართ სადგურთან მასზე ყაჩაღური თავდასხმის მიზნით. მ.ი-ძე და პ.გ-
ძე გადავიდნენ მანქანიდან. მათ შენიშნეს, რომ ბენზინგასამართ სად-
გურთან იდგნენ დაცვის თანამშრომლები. ამიტომ განზრახვაზე ხელი
აიღეს, ჩასხდნენ კვლავ მანქანაში და ფონიჭალის მიმართულებით
წავიდნენ. საგზაო პოლიციის საგუშაგოსთან ჩავლისას პოლიციელებმა
მათ მანქანის გაჩერება მოსთხოვეს. ს.ი-შვილი არ დაემორჩილა მოთხ-
ოვნას და მომატებული სიჩქარით გააგრძელა გზა. მათ მანქანით უკან
დაედევნენ პოლიციელები. როცა შეატყვეს, რომ მდევრებს თავს ვერ
დააღწევდნენ, ს.ი-შვილმა და მასთან მყოფმა პირებმა მიატოვეს მანქა-
ნა და გაიქცნენ. გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა
შედეგად რამდენიმე დღის შემდეგ ს.ი-შვილი პოლიციამ დააკავა,
დანარჩენი ორის დაკავება ვერ მოხერხდა.

წინასწარმა გამოძიებამ არასრულყოფილად გამოიკვლია ქმედებ-
ის სუბიექტური შემადგენლობა და მიიჩნია, რომ მანქანა მისაკუთრე-

ბის მიზნით გაიტაცეს. ამიტომ ს.ი-შვილის ქმედება დაკვალიფიცირდა სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით (ყაჩაღობა, ჩადენილი ჯგუფურად). მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ მოუხსნა ი-შვილს ყაჩაღობისათვის წარდგენილი ბრალდება და მსჯავრი დასდო სსკ-ის 184-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის (ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნის გარეშე, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, ანდა ასეთი ძალადობის მუქარით). ამგვარი კვალიფიკაცია სასამართლოს განაჩენში შემდეგნაირად არის დასაბუთებული: „სასამართლოს მიაჩნია, რომ განსასჯელ ი-შვილს არ ჩაუდენია... თავდასხმა ავტომობილის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, არამედ მან ჩაიდინა ავტომობილის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება დროებითი გამოყენების მიზნით, პირთა ჯგუფთან ერთად, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით. სასამართლო ამ რწმენამდე მივიდა გამომდინარე იქედან, რომ ს.ი-შვილი და მასთან მყოფი პირები დათანხმდნენ დაზარალებულის წინადადებას, რომ იგი ავტომანქანის საბარგულში იქნებოდა მანამ, სანამ მათ დასჭირდებოდათ მანქანა პირადი მიზნებისათვის (განსასჯელ ს.ი-შვილის ჩვენებით, რომელიმე ბენზინგასამართ სადგურზე თავდასხმის განსახორციელებლად). ს.ი-შვილსა და მის თანმხლებ პირებს ავტომობილის მისაკუთრების მიზანი რომ ჰქონოდათ, ისინი მის მფლობელს, დაზარალებულ ბ.ა-ძეს თან არ იყოლიებდნენ მანქანის საბარგულში. ამასთან, დადგენილია ისიც, რომ ს.ი-შვილს და სხვებს არ უცდიათ ავტომანქანის საბარგულში მოთავსებული ბ.ა-ძის მანქანიდან ჩამოსმა და დატოვება, რაც გვარწმუნებს იმაში, რომ მათ გადაწყვეტილი ჰქონდათ ბ.ა-ძისათვის მანქანის დაბრუნება მას შემდეგ, რაც ავტომობილს გამოიყენებდნენ პირადი მიზნებისათვის.

განსასჯელი ს.ი-შვილი და მასთან მყოფი პირები დაზარალებულს თავიდანვე ეუბნებოდნენ, რომ მათი ჩანაფიქრის განხორციელების შემდეგ ავტომობილს დაუბრუნებდნენ. ასეთ ჩვენებას იძლევა ს.ი-შვილი წინასწარ გამოძიებაში ყველა დაკითხვისას და სასამართლო

სხდომაზეც. ამას ადასტურებს თვით დაზარალებული ბ.ა-ძეც. ყოველივე ეს მიუთითებს, რომ განსასჯელი და მასთან მყოფი პირები ავტომობილს დაეუფლნენ დროებითი გამოყენების მიზნით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით და არა მისაკუთრების მიზნით“ (სტილი დაცულია – თ.ე.).

სასამართლომ სწორად დააკვალიფიცირა ს.ი-შვილის ქმედება სსკ-ის 184-ე მუხლის მე-3 ნაწილით. საქმის მასალებით, მართლაც, დამაჯერებლად არის დასაბუთებული, რომ მანქანა გაიტაცეს არა მისაკუთრების, არამედ დროებითი გამოყენების მიზნით. კერძოდ, დამნაშავეებს სატრანსპორტო საშუალება სჭირდებოდათ სხვა დანაშაულის ჩასადენად – ბენზინგასამართ სადგურზე ყაჩაღური თავდასხმის განსახორციელებლად. მანქანის გატაცებისას კი ადგილი ჰქონდა მისი მფლობელის მიმართ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშ ძალადობას.

მართალია, მანქანის გატაცება დროებითი გამოყენების მიზნით მოხდა და ამ ნაწილში არა გვაქვს ყაჩაღობის შემადგენლობა, მაგრამ საყურადღებოა ის გარემოება, რომ გამტაცებლებმა მანქანის მფლობელს ფული წაართვეს. საქმის მასალების მიხედვით, მას შემდეგ, რაც დამნაშავეები სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის მუქარით (იარაღის გამოყენებით) ბ.ა-ძის მანქანას დაეუფლნენ და იგი უკანა სალონში გადასვეს, მას მოსთხოვეს ფული მანქანაში საწვავის ჩასასხმელად. ა-ძემ მისცა – 8 ლარი. ამ ეპიზოდთან დაკავშირებით სასამართლო სხდომაზე პროკურორმა უარი თქვა ბრალდებაზე, რასაც მხარი დაუჭირა დაზარალებულმა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 446-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „ბრალდებაზე პროკურორის უარის შემთხვევაში, თუ ბრალდების მხარდაჭერაზე უარი თქვა დაზარალებულმაც, სასამართლო წყვეტს სისხლის სამართლის საქმის წარმოებას“. პროკურორის მიერ ყაჩაღობისათვის წარდგენილი ბრალდების მოხსნას საფუძვლად დაედო შემდეგი გარემოებები: თანხა ა-ძემ „თავისი ხელით გადასცა ერთ-ერთ პირს, ამ თანხით შემდეგ მისსავე ავტომობილში საწვავი ჩაასხეს... ე.ი. თანხა მისაკუთრების მიზნით არ იყო გამორთმეული“.

ჩემი აზრით, მოტანილი არგუმენტებით ყაჩაღობისათვის წარდგე-

ნილი ბრალდების მოხსნა არასწორად უნდა ჩაითვალოს. მართალია, თანხა დაზარალებულმა „თავისი ხელით გადასცა“ დამნაშავეს და ფულის მოთხოვნის დროს იარაღის გამოყენებას ან სხვაგვარ ძალადობას ადგილი არ ჰქონია, მაგრამ, ცხადია, მოცემულ ვითარებაში იგულისხმებოდა ასეთი ძალადობის მუქარა, თუ მძლოლი დამნაშავეთა ფულის გადაცემის მოთხოვნას არ შეასრულებდა. სამი დამნაშავიდან ორი შეიარაღებული იყო. იარაღის მუქარით ისინი დაეუფლნენ ა-ძის მანქანას. აქედან გამომდინარე, დაზარალებულის ნება იმდენად იყო დათრგუნული, რომ სრულიად ზედმეტი იყო ფულის მოთხოვნისას ძალადობა ან ძალადობის მუქარა. ჩემი აზრით, არასწორია მითითება იმაზეც, რომ თანხა მისაკუთრების მიზნით არ იყო გამორთმეული, რადგან ამ თანხით დაზარალებულის ავტომობილში საწვავი ჩაასხეს. ფული დამნაშავეებს სჭირდებოდათ საკუთარი მიზნისათვის. კერძოდ, იმისათვის, რომ ჩაესხათ მანქანაში საწვავი და წასულიყვნენ ყაჩაღური თავდასხმის განსახორციელებლად. მართალია, საწვავი დაზარალებულის მანქანაში ჩაასხეს, მაგრამ საკუთარი საჭიროებისათვის. ამიტომ ჩემი აზრით, აქ მისაკუთრების მიზნის არარსებობაზე ლაპარაკი არასწორია. ამიტომ მოცემულ შემთხვევაში დამნაშავეებს პასუხი უნდა ეგოთ სსკ-ის 184-ე და 179-ე მუხლების ერთობლიობით.

გატაცების მიზნის დადგენა სირთულეებთანაა დაკავშირებული მაშინ, როცა დამნაშავეს აკავებენ მანქანის დაუფლებისთანავე ან დაუფლებიდან ხანმოკლე დროის განმავლობაში. ასეთ შემთხვევებში გამტაცებელი, როგორც წესი, აცხადებს, რომ მას მანქანის მისაკუთრების მიზანი არ ჰქონია. სხვა მტკიცებულებების მოპოვება, რომელიც დაეხმარებოდა სასამართლოს გატაცების მიზნის დადგენაში, ხშირად გაძნელებულია. თუ მისაკუთრების მიზნის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებების შეკრება ვერ მოხერხდა, სასამართლო უნდა დაეყრდნოს განსასჯელის ჩვენებას და ქმედება დააკვალიფიციროს სსკ-ის 184-ე მუხლით.

2001 წლის 27 მაისს, დაახლოებით 17 საათზე, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ე.გ-იანი (ადრე ძარცვისათვის ნასამართლვეი), რომელიც უკანონოდ ატარებდა ცეცხლსასროლ იარაღს, იმყოფებოდა წინამძღვრიშვილის ქუჩაზე. იგი წინ გადაუდგა გზად მიმავალ

ვაზ 2106 მარკის ავტომანქანას და დაიწყო ჰაერში ავტომატური იარაღიდან სროლა, თან იგინებოდა და ითხოვდა მანქანის გაჩერებას. გ-იანმა რამდენჯერმე გაისროლა მანქანის საბურავების მიმართულებით. მძღოლმა გ.ბ-ურმა მანქანა გააჩერა და დედასთან, მეუღლესთან და მცირეწლოვან შვილთან ერთად გადმოვიდა. შემთხვევის ადგილზე შეიკრიბა ხალხი. ე.გ-იანი მიუჯდა საჭეს და გაიტაცა მანქანა. დაახლოებით თხუთმეტი წუთის შემდეგ იგი დააკავეს პოლიციის თანამშრომლებმა. ავტომანქანის ტარების დროს გ-იანმა გაურკვეველ ვითარებაში დააზიანა მანქანის წინა ორი ფრთა, წინა მარჯვენა ბამპერი, მწყობრიდან გამოიყვანა მანქანის რედუქტორი. მთლიანად მანქანის მესაკუთრე 400 ლარით დააზარალა.

წინასწარი გამოძიებისა და სასამართლოსათვის მიცემულ ჩვენებებში ე.გ-იანი აღნიშნავდა, რომ მანქანის მისაკუთრების მიზანი არ ჰქონია. ლენტეხში მშობლებთან წასვლა უნდოდა და მანქანა ამიტომ გაიტაცა. ამგვარი გადაწყვეტილება უგონო სიმთვრალემ მიაღებინა. ახსოვს, რომ გზაში რაღაცას დაეჯახა და მანქანა დააზიანა, მაგრამ კონკრეტულად ვერ იხსენებს, თუ რა ვითარებაში მოხდა შეჯახება.

გ-იანს მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით (ყაჩაღობა, ჩადენილი არაერთგზის), 236-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, გადაზიდვა), 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით (ხულიგნობა, ჩადენილი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით) და 188-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება გაუფრთხილებლობით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია).

საბრალდებო დასკვნასა და სასამართლოს განაჩენში ყურადღება გამახვილებულ იქნა მანქანის გატაცების ხერხზე – დამნაშავემ მანქანა სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის მუქარით (იარაღის გამოყენებით) გაიტაცა. როგორც აღნიშნული იყო, მართო ეს ობიექტური ნიშანი არ არის საკმარისი ყაჩაღობის შემადგენლობის არსებობისათვის. საჭიროა მანქანა მისაკუთრების მიზნით იყოს გატაცებული. წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვისას სათანადო ყურადღება არ დათმობია გატაცების მიზნის გამოკვლევას. საქმის

მასალები კი არ მიუთითებენ მისაკუთრების მიზნის არსებობის ფაქტს. გ-იანი აღნიშნავდა, რომ მას ლენტეხში წასვლა უნდოდა და მანქანა ამიტომ გაიტაცა. სხვა რაიმე მტკიცებულება, რომელიც დამნაშავეის მოქმედების მიზნის დადგენაში დაგვეხმარებოდა, საქმეში არ მოიპოვება. ამიტომ, რაკი მისაკუთრების მიზნის არსებობა დადასტურებული არ არის, ქმედება უნდა დაკვალიფიცირებულიყო არა სსკ-ის 179-ე მუხლით, არამედ 184-ე მუხლის III ნაწილით.

შეცდომები სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება საპირისპირო ვითარებაში. კერძოდ, როცა საქმის ფაქტობრივი გარემოებები მიუთითებენ, რომ დამნაშავე მანქანას მისაკუთრების მიზნით დაეუფლა, მას კი მსჯავრი დაედო სსკ-ის 184-ე მუხლით.

2001 წლის 17 ნოემბერს, დაახლოებით 21 საათზე, ა.ბ-მე იმყოფებოდა ბელინსკის ქუჩაზე. მან შეამჩნია იქვე გაჩერებული დ.ა-შვილის კუთვნილი ავტომანქანა „ბმე-525“ (ღირებული 7.500 ლარად), მორგებული გასაღებით გააღო კარები, აამუშავა მანქანა და გაიტაცა. გატაცებული მანქანა დილოში მდებარე ავტოსადგომზე დააყენა. ხუთი დღის შემდეგ, 22 ნოემბერს, მან გამოცვალა ავტომანქანაზე სანომრე ნიშნები და სოფელ ერგნეთში გაემგზავრა. დაახლოებით 23 საათზე, გორის რაიონის სოფელ კარალეთთან ის პოლიციამ დააკავა.

ქმედების სსკ-ის 184-ე მუხლით კვალიფიკაციას საფუძვლად დაედო ა.ბ-ძის ჩვენება, რომელიც წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო პროცესზე დაკითხვისას აღნიშნავდა, რომ მანქანა დროებითი გამოყენების მიზნით გაიტაცა, ერგნეთში პირად საქმეზე მიემგზავრებოდა და გადაწყვეტილი ჰქონდა თბილისში დაბრუნებისას მანქანა ქუჩაში მიეტოვებინა. გასაღები კი დაახლოებით ერთი წლის წინ იშოვა და მას შემდეგ ატარებდა.

ჩემი აზრით, წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოს მეტი ყურადღება უნდა დაეთმო ქმედების სუბიექტური შემადგენლობის გამოკვლევისათვის. ბრალდებულის ჩვენება გატაცების მიზანთან დაკავშირებით საკმაოდ არააღმაჯერებელია და, რაც მთავარია, არ დასტურდება საქმის ფაქტობრივი გარემოებებით. ამგვარი დასკვნის საფუძველს იძლევა ის, რომ ბ-ძეს მანქანა ხუთი დღე გადამალული ჰყავდა. სავარაუდოა, რომ ამ ხნის განმავლობაში იგი აგვარებდა

მანქანისათვის სახელმწიფო ნომრების გამოცვლის საკითხს. ახალი სანომრე ნიშნების დაყენების შემდეგ კი გატაცებული მანქანით გაემგზავრა სოფელ ერგნეთში. სასამართლოს ყურადღება უნდა მიექცია იმ გარემოებისათვის, რომ ეს არის ფაქტობრივი საზღვარი ე.წ. სამხრეთ ოსეთთან, სადაც ჯერჯერობით საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდება და რომლის ტერიტორიაზეც ხდებოდა დანაშაულებრივი გზით შექმნილი ნივთებისა და, უპირველეს ყოვლისა, მანქანების რეალიზაცია. ამგვარი გარიგებების დადება და კლიენტების მოძიება კი, ძირითადად, სწორედ ცნობილ „ერგნეთის ბაზრობაზე“ ხდებოდა. ამიტომ გულდასმით უნდა ყოფილიყო შემოწმებული ბრალდებულის ჩვენება, რომ იგი „ერგნეთში პირად საქმეებზე მიდიოდა“. სამწუხაროდ, წინასწარი გამოძიება და სასამართლო არ დაინტერესებულა იმის დადგენით, თუ კონკრეტულად რა პირად საქმეებზე იყო საუბარი. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ავტომანქანის კარები ბ-ძემ გააღო მორგებული გასაღების გამოყენებით, რომელიც მისივე თქმით, ერთი წლის წინ იპოვა და მას შემდეგ სულ ატარებდა. იბადება კითხვა: ხომ არ მიუთითებს ეს იმაზე, რომ მანქანის გატაცებისა და შემდეგ გაყიდვის განზრახვა ბ-ძეს დიდი ხანია ჰქონდა და ხელსაყრელ მომენტს ელოდა რეალიზაციისათვის. ვფიქრობ, წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოს ამ საკითხისათვის მეტი ყურადღება უნდა დაეთმო.

როგორც აღნიშნული იყო, ბ-ძეს მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ-ის 184-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა 350 ლარის ანუ დღიური მინიმალური ანაზღაურების 175-მაგი ოდენობით. ქმედების სუბიექტური შემადგენლობის არასრულყოფილმა გამოკვლევამ დამნაშავისათვის ზედმეტად ლმობიერი სასჯელის შეფარდება გამოიწვია. თუ დადგინდებოდა, რომ ბ-ძე მანქანას არა დროებითი გამოყენების, არამედ მისაკუთრების მიზნით დაეუფლა, მაშინ ქმედება უნდა დაკვალიფიცირებულიყო სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტით (ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია), რომელიც გაცილებით მკაცრ სასჯელს ითვალისწინებს, ვიდრე 184-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

განსახილველი დანაშაული დამთავრებულად ითვლება ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების დაუფლების მომენტიდან. როგორც აღნიშნული იყო, დაუფლება გულისხმობს სატრანსპორტო საშუალების გადასვლას დამნაშაის ფაქტობრივ მფლობელობაში. დაუფლება დამთავრებულია მანქანის ამოძრავების ან ნებისმიერი ხერხით ადგილიდან დაძვრის მომენტიდან. არა აქვს მნიშვნელობა, დამნაშაემ ძრავა აამუშავა და წაიყვანა მანქანა, თუ დააგორა, ტრაილერით გადაიტანა, და ა.შ. თუ დამნაშაემ მანქანის ადგილიდან დაძვრა ვერ შეძლო მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, გვექნება განსახილველი დანაშაულის მცდელობა.

2001 წლის 21 ნოემბერს, დაახლოებით 03 საათზე, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა გ.ხ-მემ, რომელიც ხევძმარის ქუჩაზე იმყოფებოდა, გადაწყვიტა №... სახლის წინ მდგომი „ტრაილერის“ გატაცება დროებითი გამოყენების მიზნით. დასაკეცი დანისა და ქვის დახმარებით გააღო ავტომანქანის კარი, ჩამოყარა ძრავის ასამუშავებელი ელსადენები და ჩამრთველები და მათი გადაერთვით შეეცადა მანქანის ამუშავებას, მაგრამ ვერ შეძლო. იგი შეამჩნიეს მანქანის მფლობელმა და მისმა მეზობლებმა და შემთხვევის ადგილზევე დააკავეს.

ხ-მეს მსჯავრი დაელო საქართველოს სსკ-ის 19-184-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – ავტომობილის დაუფლების მცდელობისათვის.

2002 წლის 7 იანვარს, დაახლოებით 24 საათზე, გ.გ-მე თავის მეგობარ ლ.ჩ-ასთან ერთად იმყოფებოდა ქ. თბილისში, ყაზბეგის ქუჩაზე. მათ გააჩერეს კ.ჯ-ას კუთვნილი კერძო ტაქსი და მძღოლს სთხოვეს დოლიძის ქუჩაზე წაყვანა. მშენებარე ეკლესიასთან ლ.ჩ-ა გადავიდა მანქანიდან და წავიდა თავისი საცხოვრებელი სახლისაკენ. გ-მე კი დარჩა და მოითხოვა კვლავ ყაზბეგის ქუჩაზე წაყვანა, რაზედაც მძღოლმა უარი უთხრა. ამის გამო მათ შორის მოხდა შეკამათება. ვინაიდან ნასვამი გ-მე ძალიან აგრესიული იყო, მძღოლი შეშინდა, მიატოვა მანქანა და გაიქცა. გ-მე დაჯდა საჭესთან, ჩამოყარა სადენები, რათა აემუშავებინა მანქანა და წასულიყო სახლში. ამ დროს მასთან მივიდნენ პოლიციის მუშაკები და დააკავეს.

რაიონული სასამართლოს მიერ გ-მეს არასწორად დაელო მსჯავრი საქართველოს სსკ-ის 184-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. მას..პასუხი უნდა

ეგო მანქანის გატაცების მცდელობისათვის (19-184-ე მუხლებით). ასეთი კვალი-ფიკაცია ეფუძნება იმას, რომ დამნაშავემ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ შეძლო ავტომანქანის გადაადგილება, ე.ი. დაუფლება.

ზშირია შემთხვევები, როცა პირმა დაძრა მანქანა, მაგრამ მალე ჩაეკეტა საჭე, ან ჩაუქრა ძრავა, გაუთავდა საწვავი და ველარ შეძლო გზის გაგრძელება. ასეთ შემთხვევებში პასუხისმგებლობა უნდა დადგეს დამთავრებული დანაშაულის და არა დანაშაულის მცდელობისათვის. დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის არა აქვს მნიშვნელობა, რა მანძილზე გადაადგილა დამნაშავემ გატაცებული მანქანა. როგორც აღვნიშნეთ, დანაშაული დამთავრებულია სატრანსპორტო საშუალების ადგილიდან დაძვრის მომენტიდან. ამ გზით მიდის სასამართლო პრაქტიკა.

2001 წლის 18 დეკემბერს, დაახლოებით 22 საათზე, ა.ო-ძემ სადენების ჩამოყრითა და მათი პირდაპირი გადაერთვით დაქოქა თბილისში, შემელიძის ქუჩაზე მდებარე სასაუზმეს წინ გაჩერებული ვაზ-2105 მარკის ავტომანქანა. 7-8 მეტრის გავლის შემდეგ ძრავა გამოერთო. როდესაც კვლავ ცდილობდა მანქანის დაქოქვასა და გატაცებას, ის პოლიციამ დააკავა.

გლდანი-ნაძალადევის რაიონულმა სასამართლომ მას სწორად დასდო მსჯავრი საქართველოს სსკ-ის 184-ე მუხლით და არა 19-184-ე მუხლებით.

2002 წლის 29 მარტს, დაახლოებით 02 საათზე, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ზ.ს-შვილი, რომელიც მეგობართან იმყოფებოდა სტუმრად, ფეხით ბრუნდებოდა სახლში. მას არ ჰქონდა ტრანსპორტით სამგზავრო თანხა, ამიტომ გადაწყვიტა ავტომანქანის გატაცება, რათა სახლამდე მისულიყო. პეტრიაშვილის ქუჩაზე, ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის წინ გაჩერებულ ვაზ 21013 მარკის ავტომანქანას ძალის გამოყენებით ჩამოწია უკანა კარის საქარე მინა, გახსნა კარი, ჩამოყარა სადენები და მათი გადაერთვით სცადა მანქანის ამუშავება, მაგრამ ვერ შეძლო. ს-შვილმა დააგორა მანქანა დაღმართზე, მელიქიშვილის ქუჩის მიმართულებით, მაგრამ იქვე, დაახლოებით 25 მეტრში პოლიციამ დააკავა.

ამ შემთხვევაშიც გვაქვს დამთავრებული დანაშაული და არა

დანაშაულის მცდელობა. ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ ს-შვილს მსჯავრი დასდო საქართველოს სსკ-ის 184-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

სატრანსპორტო საშუალების დაუფლების შემდეგ შეუძლებელია როგორც განსახილველი დანაშაულის მცდელობა, ასევე მასზე ნებაყოფლობით ხელის აღება. ვინაიდან დანაშაული დამთავრებულია ავტომობილის დაუფლების მომენტიდან, დამნაშავემ კიდევ რომ დაუბრუნოს გატაცებული მანქანა მფლობელს, ის არ გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო. ეს გარემოება შეიძლება გათვალისწინებული იქნეს სასჯელის დანიშვნის დროს, როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი. 184-ე მუხლის შენიშვნის თანახმად, „თუ 24 საათის განმავლობაში დამნაშავე ნებაყოფლობით, დაუზიანებლად დააბრუნებს ავტომობილს ან სხვა მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებას, მას გაუნახვერდება სასჯელი“.

* * *

ხშირად მანქანის გატაცებას ღროებითი გამოყენების მიზნით თან ახლავს მძღოლისათვის ფულისა და სხვა ნივთების წართმევა. ასეთ შემთხვევებში დამნაშავე, გარდა სსკ-ის 184-ე მუხლისა, პასუხს აგებს საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შესაბამისი მუხლებით. ხშირია მანქანის მფლობელისათვის ხელ-ფეხის შეკერის, მისი ხეზე მიბმის, მანქანის საბარგულში მოთავსების შემთხვევები, რათა მან ღროულად ვერ შეძლოს მანქანის გატაცების ამბის სამართალდამცავი ორგანოებისათვის შეტყობინება. ასეთ ქმედებებს მოიცავს სსკ-ის 184-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტით და მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა (ავტომობილის დაუფლება მისაკუთრების მიზნის გარეშე, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით). ამიტომ დამატებით კოდექსის 143-ე მუხლით (თავისუფლების უკანონო აღკვეთა) კვალიფიკაცია საჭირო არ არის.

2001 წლის 1 დეკემბერს ლ-გ-ძე მეგობარ ჯ-უ-ძესთან ერთად ჭიათურაში მიდიოდა სტუმრად ნათესავებთან. იმის გამო, რომ დაავიანდათ მატარებელზე, ვეღარ შეძლეს გამგზავრება. დიდუბის ავტოსადგურის ტერიტორიაზე მდებარე კაფეში მათ მიიღეს ალკოჰოლური სასმელი და გამოვიდნენ ქუჩაში სასეირნოდ. სეირნობის დროს გაიცნეს

ჯარისკაცი დ.შ-ოვი, რომელმაც ასევე დააგვიანა მატარებელზე. შ-ოვი დაპატიჟეს სასადილოში და მასთან ერთად კვლავ დალიეს არაფი. ლ.გ-ძემ ჰკითხა შ-ოვს, იცოდა თუ არა მანქანის ტარება. ამ უკანასკნელმა დადებითად უპასუხა. მათ გადაწყვიტეს ვინმესთვის წაერთმიათ ავტომანქანა და ჭიათურაში წასულიყვნენ. დაახლოებით დამის ოთხ საათზე, ცენტრალურ გზაზე, ქალაქის პოლიციის სამმართველოს ზემოთ გააჩერეს ავტომანქანა „უიგული“ და ტაქსის მძღოლს – ს.შ-ძეს სთხოვეს დიდ დილომში გაყვანა. მძღოლის გვერდით დაჯდა ჯ.უ-ძე. დანარჩენი ორი კი მოთავსდა მანქანის უკანა სალონში. დიდ დილომს რომ მიუახლოვდნენ, ლ.გ-ძემ მძღოლს ყურის უკან მიადო „სანთებელა“ (რომელიც ამ უკანასკნელმა ცეცხლსასროლ იარაღად აღიქვა) და უბრძანა მანქანა ცენტრალური გზიდან გადაეყვანა და გაეჩერებინა. შეშინებულმა ს.შ-ძემ ბრძანება შეასრულა. მანქანის გაჩერებისთანავე დ.შ-ოვმა მძღოლს უკნიდან ყელზე კაშნე მოხვია და მოუჭირა. დახრჩობის მუქარით მოსთხოვეს მიეცა მათთვის ფული და სხვა ნივთები. დამნაშავეებმა ს.შ-ძეს გახადეს ქურთუკი, წაართვეს 150 ლარად ღირებული მობილური ტელეფონი „ერიქსონი“, 40 ლარად ღირებული მაჯის საათი, ფული – 34 ლარი. იმ მოტივით, რომ მძღოლს პოლიციაში არ განეცხადებინა ეს ამბავი, ძალით ჩასვეს მანქანის საბარგულში. თან შეჰპირდნენ, რომ ჭიათურაში ჩასვლისთანავე გაათავისუფლებდნენ და მანქანასაც დაუბრუნებდნენ. საჭესთან დაჯდა დ.შ-ოვი. საჩხერის რაიონის ტერიტორიაზე ავტომანქანას გაუტყდა „გიტარა“. მათ მიატოვეს მანქანა მძღოლთან ერთად და ფეხით გაემართნენ სოფელ კორბოულში, სადაც ცოტა ხნით გაჩერდნენ ლ. გ-ძის ახლობლის სახლში. დილით, დაახლოებით 9 საათზე, ფეხით წავიდნენ ჭიათურის მიმართულებით მალე ისინი დააკავეს პოლიციის თანამშრომლებმა.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ განსასჯელთა ქმედება დააკვალიფიცირა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „დ“ პუნქტებით (ყაჩაღობა ჯგუფურად, დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით), 184-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით და მე-3 ნაწილით (ავტომობილის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნის გარეშე, ჩადენილი ჯგუფურად, სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი

ძალადობის მუქართ) და 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ზ“ და „თ“ პუნქტებით (თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ვგუფის მიერ, სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით, სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, ანდა ასეთი ძალადობის მუქართ).

დამნაშავეთა ქმედების კვალიფიკაცია სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე და 184-ე მუხლებით სავსებით გამართლებულია. საქმის მასალებით დამაჯერებლად არის დადასტურებული, რომ მათ მანქანა არა მისაკუთრების, არამედ დროებითი გამოყენების მიზნით გაიტაცეს. გარდა ამისა, გამტაცებლებმა ყაჩაღობაც ჩაიდინეს: მძღოლს დახრჩობის მუქართ (კისერზე ნაჭრის შემოხვევითა და მოჭერით) წაართვეს ფული, მობილური ტელეფონი, მაჯის საათი და სხვა ნივთები. რაც შეეხება სსკ-ის 143-ე მუხლით ქმედების კვალიფიკაციას, ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ავტომანქანის საბარგულში მოთავსება, მართლაც, თავისუფლების უკანონო აღკვეთაა, მაგრამ, ვინაიდან დამნაშავეთა ქმედება დაკვალიფიცირდა 184-ე მუხლის მე-3 ნაწილით (ავტომობილის დაუფლება მისაკუთრების მიზნის გარეშე, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, ანდა ასეთი ძალადობის მუქართ), ეს ფაქტი (მანქანის საბარგულში მოთავსება) აისახა კვალიფიკაციაში და, შესაბამისად, პირს დაუმძიმდა პასუხისმგებლობა. ამიტომ დამატებით 143-ე მუხლით კვალიფიკაცია ერთი და იგივე გარემოების ორჯერ გათვალისწინებაა.

აღსანიშნავია, რომ დამნაშავეებს მსჯავრი დაედოთ 184-ე მუხლის II ნაწილის „ა“ პუნქტით და მე-3 ნაწილით. 184-ე მუხლის მე-3 ნაწილით ისჯება „ამ მუხლის 1-ლი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, ანდა ასეთი ძალადობის მუქართ“. ასე რომ, მუხლის ეს ნაწილი მოიცავს ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებულ ქმედებასაც. ამიტომ კვალიფიკაციის დროს ამ უკანასკნელზე მითითება საჭირო არ იყო. იგივე უნდა ითქვას 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ პუნქტით ქმედების კვალიფიკაციაზეც (ყაჩაღობა, ჩადენილი დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით). 177-ე მუხლის შენიშვნის თანახმად, საკუთრების წინააღმდეგ მიმა-

რთულ დანაშაულთა თავში „დიდ ოდენობად ითვლება ნივთის ღირებულება ათი ათასი ლარის ზევით“. მოცემულ შემთხვევაში დამნაშავეები არც რეალურად დაუფლებიან ამ ოდენობის ქონებას და არც საქმის მასალები მიუთითებს იმაზე, რომ მათ ასეთი მიზანი ჰქონდათ.

ხშირია შემთხვევები, როცა გამტაცებელი მანქანის მართვისას არღვევს მოძრაობის წესებს, ახდენს ავარიას, რასაც მოსდევს მანქანის დამტვრევა ან დაზიანება. საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსით ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლოატაციის წესის დარღვევა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას მოჰყვება ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე, მძიმე დაზიანება ან სიცოცხლის მოსპობა. კოდექსის 276-ე მუხლი (1960 წლის სსკ-ის რედაქციისაგან განსხვავებით) არ ითვალისწინებს ისეთი შემთხვევების დასჯადობას, როცა ამ წესების დარღვევამ მატერიალური ზარალი (მანქანის დამტვრევა, დაზიანება) გამოიწვია. ამიტომ ასეთ შემთხვევებში ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 184-ე და 188-ე (ნივთის დაზიანება ან განადგურება გაუფრთხილებლობით) მუხლების ერთობლიობით. სასამართლო პრაქტიკა არაერთგვაროვანია. ზოგჯერ ასეთი შემთხვევები კვალიფიცირდება ხსენებული მუხლების ერთობლიობით, ზოგჯერ კი მხოლოდ 184-ე მუხლით.

2002 წლის 10 ივნისს გ.ბ-შვილი იმყოფებოდა თბილისში, ხომტარიას ქ. №. . . ში, სადაც ცხოვრობდა ერთ-ერთი ქვეყნის საკონსულოს თანამშრომელი – მ.დ.ფ. სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე, შესაბამისი გასამრჯელოს საფასურად, გ.ბ-შვილს ევალბოდა სადარბაზოში უცნობ პირთა შესვლა-გამოსვლის კონტროლი. დაახლოებით 24 საათზე, მ.დ.ფ-მ გ.ბ-შვილს გადასცა თავისი ავტომანქანის გასაღები და სთხოვა საჭიროების შემთხვევაში დილით ადრე გადაეყენებინა მანქანა, რათა შესაძლებლობა მიეცა მეზობლად მცხოვრები მოქალაქისათვის გამოეყვანა თავისი ავტომანქანა. ბ-შვილმა განიზრახა მინდობილი მანქანით გასეირნება. გასაღებით აამუშავა მანქანა და გაემართა გლდნის მიმართულებით. გლდნის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე ვერ დაიმორჩილა საჭე და მოახდინა შეჯახება, რის შედეგადაც დაზიანდა ავტომანქანა. მან ეს ამბავი შეატყობინა ოჯახის წევრებს და გამოცხადდა პოლიციაში.

წინასწარი გამოძიების პროცესში დაზარალებულმა მ.დ.ფ.-მ მატერიალური ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შეტანილი სარჩელი უკან გაიტანა, ვინაიდან ჩათვალა, რომ გ.ბ.-შვილმა დანაშაული ახალგაზრდული ასაკის გამო ჩაიდინა.

გ.ბ.-შვილს მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ-ის 184-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და 188-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება გაუფრთხილებლობით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია). სასჯელის სახედ ორივე დანაშაულისათვის განესაზღვრა ჯარიმა შესაბამისად 400 და 200 ლარის ოდენობით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, საბოლოო სასჯელის სახით შეეფარდა ჯარიმა 400 ლარის ოდენობით.

2002 წლის 20 მარტს, დაახლოებით 20.00 საათზე, მ.მ.-იამ ქ. თბილისში ნუცუბიძის ქუჩაზე მდებარე სადღეღამისო ავტოსადგომიდან გაიტაცა მოქალაქე კ. ბ.-მის კუთვნილი ავტომანქანა „მერსედესი-124“. საქმის მასალების მიხედვით, მას მანქანის მითვისების მიზანი არ ჰქონდა, სურდა გატაცებული მანქანით წასულიყო ზუგდიდში, რადგან დაურეკა მეუღლემ, შეატყობინა შვილის ავადმყოფობა და სთხოვა სასწრაფოდ ჩასულიყო მათთან. მ.მ.-იამ გააღო „მერსედესის“ კარები, ააშუშავა ძრავა და სწრაფად გაიყვანა მანქანა სადგომიდან. მანქანის შესაკუთრე კ.ბ.-მ იმ დროს ავტოსადგომის მახლობლად იმყოფებოდა და მაშინვე დაედევნა გამტაცებელს პირად საკუთრებაში მყოფი მე-2 ავტომანქანა „ოპელ-ვექტრა“-თი. მ.მ.-იამ შეამჩნია, რომ მოსდევდნენ და დიდი სისწრაფით შეუხვია მარგიანის ქუჩაზე. ვინაიდან ამ ქუჩიდან გასასვლელი არ იყო, ჩიხში მოექცა და დაეჯახა ჯერ იქვე მდგომ ვაზ-2105 მარკის ავტომანქანას, შემდეგ კი ინერციით „ოპელ-ვექტრას“ უკანა მხრიდან. ავარიის შედეგად სამივე მანქანა დაზიანდა. სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, დაზარალებულ კ.ბ.-მეს მიადგა 4929, ხოლო ვაზ-2105 მარკის ავტომანქანის მფლობელს 5435 ლარის მატერიალური ზიანი.

ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ მ.მ.-იას მსჯავრი დასდო საქართველოს სსკ-ის 184-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელის ზომად განუსაზღვრა ერთი წლითა და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის სასჯელადსრულებით დაწესებულიებაში მოხდით.

ქმედების კვალიფიკაცია სსკ-ის 184-ე მუხლის 1-ლი ნაწილით სწორია, მაგრამ გარდა ამ მუხლისა, დამნაშავეს პასუხი უნდა ეგო კოდექსის 188-ე მუხლითაც. მით უმეტეს, რომ სასამართლომ დააკმაყოფილა დაზარალებულთა სამოქალაქო სარჩელი და მ.მ-იას დააკისრა მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

ზემოთ მოტანილი საქმე გამონაკლისი არ არის. ასეთი სახის შეცდომა საკმაოდ ხშირად გვხვდება სასამართლო პრაქტიკაში. მოსამართლეებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ გატაცებული მანქანით ავარიის მოხდენისა და მანქანის (ან სხვა ნივთის) დაზიანების შემთხვევაში დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს სსკ-ის 184-ე და 188-ე მუხლების ერთობლიობით. ამასთან პასუხისმგებლობა 188-ე მუხლით დგება მხოლოდ მაშინ, როცა დანაშაულმა „მნიშვნელოვანი ზიანი“ გამოიწვია. ამიტომ ყველა შემთხვევაში უნდა დადგინდეს ზიანის მოცულობა. „მნიშვნელოვანი ზიანი“ შეფასებითი ნიშანია. ის საკითხი, მნიშვნელოვანია თუ არა ზიანი, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში მოსამართლემ უნდა დაადგინოს საქმის გარემოებებისა და დაზარალებულის მატერიალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე. გვხვდება შემთხვევები, როცა საერთოდ არ არის დადგენილი ავტოავარიის შედეგად გამოწვეული ზიანის მოცულობა.

2001 წლის 27 მაისს, დაახლოებით 17 საათზე, ე.გ-იანი (აღრე ძარცვისათვის ნასამართლევნი), წინ გადაუდგა გზად მიმავალ ვაზ-21-06 მარკის ავტომანქანას და დაიწყო ჰაერში ავტომატის სროლა, თან იგი ებოძა და ითხოვდა მანქანის გაჩერებას. მძღოლი გ.ბ-ური დაემორჩილა მის მოთხოვნას და გადმოვიდა მანქანიდან. ე.გ-იანი მიუჯდა საჭეს და გაიტაცა მანქანა. დაახლოებით თხუთმეტი წუთის შემდეგ იგი დააკავეს პოლიციის თანამშრომლებმა. ავტომანქანის ტარების დროს ე-იანმა გაურკვეველ ვითარებაში დააზიანა მანქანის წინა ორი ფრთა, „ბამპერები“, სასიგნალო ნათურა, მწყობრიდან გამოიყვანა ავტომანქანის რედუქტორი. მთლიანად გამოიწვია 400 ლარის მატერიალური ზიანი.

წინასწარი გამოძიებისა და სასამართლოსათვის მიცემულ ჩვენებებში ე.გ-იანი აღნიშნავდა, რომ გზაში რაღაცას დაეჯახა და მანქანა

დაზიანა, მაგრამ ვინაიდან უგონოდ მთვრალი იყო, ვერ იხსენებს, თუ რა ვითარებაში მოხდა ავარია.

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ ე.გ-იანს მსჯავრი დასდო საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით (ყაჩაღობა, ჩადენილი არაერთგზის), 236-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 ნაწილებით (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, გადაზიდვა), 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით (ხულიგნობა, ჩადენილი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით) და 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია). სასამართლომ დააკმაყოფილა დაზარალებულის სამოქალაქო სარჩელი და ე.გ-იანს გ.ბ-ძისათვის ზიანის ასანაზღაურებლად 400 ლარის გადახდა დააკისრა. თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატამ განაჩენი უცვლელად დატოვა.

რაიონულმა და სააპელაციო სასამართლოებმა ყურადღება არ მიაკციეს იმ გარემოებას, რომ სსკ-ის 187-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სხვისი ნივთის განზრახ დაზიანებისა ან განადგურებისათვის. მოცემული საქმის მასალები არ მიუთითებენ ე.გ-იანის ქმედებაში მანქანის დაზიანების განზრახვის არსებობაზე. ამ გარემოებაზე ყურადღება გაამახვილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც შეასწორა განაჩენი 187-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის ბრალდების ნაწილში. პალატის განჩინებაში ვკითხულობთ: „საქმის მასალებით დადგენილი არ არის, რომ ე.გ-იანმა განზრახ დაზიანა მის მიერ გატაცებული მოქალაქე გ.ბ-ურის კუთვნილი ავტომანქანა. მართალია, ის ვერ უთითებს, რა ვითარებაში დაზიანა აღნიშნული მანქანა, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს მოხდა მის მიერ მთვრალ მდგომარეობაში მანქანის მართვის დროს გაუფრთხილებელი ქმედებით. ამის გამო, ამ ნაწილში ე.გ-იანის დანაშაულებრივი ქმედება უნდა დაკვალიფიციროდეს საქართველოს სსკ-ის 188-ე მუხლის I ნაწილით“.

განსახილველი დანაშაულის ჩადენისას გვხვდება გატაცებული მანქანის განზრახ დაზიანების შემთხვევებიც. ეს მაშინ ხდება, როცა

დამნაშავე ამტკრევს მანქანის კარებს მისი გაღების მიზნით, აზიანებს საჭის ჩამკეტს და ა.შ. სასამართლო პრაქტიკაში საკმაოდ ხშირია მანქანის კარების სახრახნისით, დანით გაღება, საქარე მინების ჩამტკრევა, საღებების ჩამოყრით მანქანის ამუშავება და სხვა. თუმცა ხშირად პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით არ დგება. ხსენებული მუხლით ისჯება სხვისი ნივთის განზრახ დაზიანება ან განადგურება, თუ მან მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

2002 წლის 5 მარტს, დაახლოებით 23 საათზე, დ.ს-ევმა დროებითი გამოყენების მიზნით გაიტაცა შ.ჩ-ძის კუთვნილი ვაზ-21-06 მარკის ავტომანქანა. სახრახნისის გამოყენებით დააზიანა წინა მარცხენა კარების ჩამკეტი, ღირებული 15 ლარად, გააღო კარები, ძალის გამოყენებით გატეხა საჭის ჩამკეტი, ღირებული 5 ლარად, ჩამოყარა ელექტროსადენები და ამუშავა მანქანა. გზაში მსვლელობისას ჩაუქრა ძრავა და პოლიციამ დააკავა. ს-ევის ქმედებას დაზარალებული-სათვის მნიშვნელოვანი ზიანი არ გამოუწვევია. ამიტომ მას მსჯავრი დაედო მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლით და არა 184-ე და 187-ე მუხლების ერთობლიობით.

2001 წლის 21 ნოემბერს, დაახლოებით 03 საათზე, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა გ.ხ-ძემ, რომელიც ხევეძმარის ქუჩაზე იმყოფებოდა, გადაწყვიტა №. . . სახლის წინ მდგომი „ტრაილერის“ გატაცება დროებითი გამოყენების მიზნით. დასაკეცი დანისა და ქვის გამოყენებით გააღო ავტომანქანის კარი, რითაც დააზიანა 30 ლარად ღირებული საკეტი, ასევე დააზიანა 100 ლარად ღირებული საჭე, ჩამოყარა ძრავის ასამუშავებელი ელსადენები და ჩამრთველები, სულ 90 ლარის ღირებულების და მათი გადაერთებით შეეცადა ძრავის ამუშავებას, მაგრამ ვერ შეძლო. ვინაიდან მანქანის დაუფლება ვერ მოახერხა, გადაწყვიტა გაეტაცებინა 810 ლარად ღირებული წინა საქარე მინა, მაგრამ იგი შეამჩნიეს მანქანის მესაკუთრემ და მისმა მეზობლებმა. ხ-ძემ ამოღებული საქარე მინა მოისროლა, რის შედეგადაც იგი დაზიანდა. წინააღმდეგობის გაწევის მიუხედავად, დამნაშავე შემთხვევის ადგილზევე დააკავეს. სულ მანქანის პატრონი 1030 ლარით დაზარალდა.

თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონულმა სასამართლომ სწო-

რად დააკვალიფიცირა ხ-ძის ქმედება. მას მსჯავრი დაელო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-184-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ავტომობილის დაუფლების მცდელობა), 19-177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტით (ქურდობის მცდელობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) და 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (სხვისი ნივთის განზრახ დაზიანება ან განადგურება).

* * *

184-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის სასჯელის განსაზღვრისას სასამართლოები სულ უფრო ხშირად მიმართავენ ჯარიმის შეფარდებას. გვხვდება პირობითი მსჯავრდების შემთხვევები. 184-ე მუხლის 1-ლი ნაწილის სანქცია (ჯარიმა ან ტუსალობა ვადით ოთხ თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთა ვადით სამ წლამდე) სათანადო პირობების არსებობისას პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესაძლებლობასაც იძლევა. სისხლის სამართლის კოდექსის 69-ე მუხლის თანახმად, „ის, ვინც პირველად ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება სამი წლით თავისუფლების აღკვეთას, შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ შეურიგდა დაზარალებულს“.

2002 წლის 26 იანვარს, დაახლოებით 21 საათზე, არასრულწლოვანმა ჯ.კ-იამ (15 წლის), წერეთლის გამზირზე ნახა ზ.მ-შვილის კუთვნილი ავტომანქანა ვაზ 21-06 და განიზრახა მისი დაუფლება დროებითი გამოყენების მიზნით. კ-იამ დამცველების ელექტროსადენით გადაერთების გზით აამუშავა მანქანა. რამდენიმე წუთის შემდეგ მან შენიშნა, რომ უკან მანქანით მოსდევდნენ და მიხვდა, რომ ეს მის მიერ გატაცებული მანქანის პატრონი იქნებოდა. შეშინებულმა ჯ.კ-იამ გააჩერა ავტომანქანა და კორპუსების მიმართულებით გაიქცა. ზ.მ-შვილი დაეწია მას და დააკავა, მაგრამ ჯ.კ-იამ მოახერხა ხელიდან დასხლტომოდა. იმავე დღეს იგი დააკავეს პოლიციის თანამშრომლებმა.

ჯ.კ-ია მიცემული იქნა სისხლის სამართლის პასუხისგებასა და

სამართალში საქართველოს სსკ-ის 184-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. სასამართლომ დაზარალებულის, სახელმწიფო ბრალმძებლისა და განსასჯელის შუამდგომლობის საფუძველზე ჯ.კ-ია გაათავისუფლა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან დაზარალებულთან შერიგების გამო, სისხლის სამართლის კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე.

მუხლი 185. ქონებრივი დაზიანება მოტყუებით

1. ქონების მესაკუთრის ან მფლობელის ქონებრივი დაზიანება მოტყუებით, თუ არ არის ამ კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, –

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდეან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან ტუსალობით ვადით ოთხ თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

2. იგივე ქმედება:

ა) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;

ბ) არაერთგზის;

გ) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, –

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

3. ამ მუხლის 1-ლი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი:

ა) ორგანიზებული ჯგუფის მიერ;

ბ) დიდ ოდენობით;

გ) იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლვეი სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

ამ მუხლით 2000 წლიდან სასამართლო პრაქტიკა არ არსებობს.

**მუხლი 186. წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი
გზით მოაოვებული ნივთის შექენა ან ბასალება**

1. წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შექენა ან გასალება, –

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოციდან ორას საათამდე ან გამასწორებელი სამუშაო-თი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

2. იგივე ქმელება, ჩადენილი:

- ა) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;
- ბ) არაერთგზის;
- გ) ავტომობილის მიმართ;
- დ) დიდი ოდენობით;
- ე) იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინაღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის, –

ისჯება ჯარიმით ან ტუსადობით ვადით ოთხიდან ექვს თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმელება, ჩადენილი:

- ა) ორგანიზებული ჯგუფის მიერ;
- ბ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლი სისხლისსამართლებრივ პასუხისმეგებლობას აწესებს წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შექენის ან გასალე-ბისათვის.

2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი ქმედების ანალოგიურ შემადგენლობას ითვალისწინებდა, მაგრამ ის კანონმდებლის მიერ კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მეათე თავში „დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ“ იყო მოთავსებული. გარდა ამისა, მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლი სამი ნაწ-

ილისაგან შედგება, მაშინ, როცა საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 229-ე მუხლი ორნაწილიანი იყო და მაკვალიფიცირებელ ნიშნებად ითვალისწინებდა ამ ქმედების ხელობის სახით ან დიდი ოდენობით ჩადენას.

ახალ სისხლის სამართლის კოდექსში კანონმდებელმა მაკვალიფიცირებელ ნიშნებად „დიდი ოდენობით ჩადენის“ გარდა, აგრეთვე გაითვალისწინა ამ ქმედების ჩადენა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ; არაერთგზის (ნაცვლად „ხელობის სახით“); ავტომობილის მიმართ; იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევ სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის; ორგანიზებული ჯგუფის მიერ და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. ამავე დროს, 229-ე მუხლი იყენებდა ტერმინს „ქონება“, ხოლო 186-ე მუხლი კი ტერმინს „ნივთი“.

2002 წლის განმავლობაში საქართველოს რაიონული სასამართლოების მიერ სსკ-ის 186-ე მუხლით განხილულია 12 სისხლის სამართლის საქმე.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შეძენის ან გასაღებისათვის დგება წინარე დანაშაულებრივი ქმედების არსებობისას, ანუ დანაშაულის, რომლის შედეგადაც ეს ნივთი იყო მოპოვებული. ეს ქმედება დანაშაულთა იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომლებიც „თუმცა მიზეზობრივად დაკავშირებული არ არის დანაშაულის ჩადენასთან, მაგრამ უერთდება მას და არ შეიძლება ჩადენილი იქნეს მთავარი დანაშაულის გარეშე“¹. ამის გამო დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შეძენა ან გასაღება სისხლის სამართლის თეორიაში გავრცელებული შეხედულების მიხედვით წარმოადგენს დანაშაულთან შემხებლობის ერთ-ერთ ფორმას (*delictum sui generis*)². დანაშაულებრივი ქმედების საქართველოს სისხლის სამართ-

¹ თ. წერეთელი, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულისა და დანაშაულის დაფარვისათვის, სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 79, თბ., 1959, გვ. 197.

² Сургеевский, Н. Д. Русское уголовное право. Пособие к лекциям. Часть Общая. Санкт-Петербург, 1905, с. 310.

ლის კოდექსის 186-ე მუხლით კვალიფიკაციის დროს, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოირიცხოს წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შეძენის ან გამსაღებლის ამ წინარე დანაშაულში თანამონაწილეობა.

წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შეძენა ან გასაღება განიხილება დანაშაულში თანამონაწილეობად, თუ ეს ქმედება წინასწარ იყო შეპირებული ამსრულებლისათვის დანაშაულის ჩადენამდე ან უშუალოდ მისი ჩადენის მომენტში, აგრეთვე მაშინ, როდესაც ეს ქმედება ატარებს სისტემატურ ხასიათს, რაც ამსრულებელს საფუძველს აძლევს მსგავსი ქმედების იმედი ჰქონდეს¹. ასეთ შემთხვევებში წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შეძენა ან გასაღება უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც წინარე დანაშაულში თანამონაწილეობა, კერძოდ, – ინტელექტუალური დახმარება, ვინაიდან დამხმარის მიერ ამსრულებლისათვის მიცემული წინასწარი შეპირება შეიძინოს ან გაასაღოს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთი მიზეზობრივ და ბრალეულ კავშირშია ამსრულებლის მიერ ჩადენილ ქმედებასთან.

აღნიშნული დებულება სისხლის სამართლის თეორიაში აზრთა სხვადასხვაობას არ იწვევს, სასამართლო პრაქტიკაში გამოყენების დროს კი, სამწუხაროდ, პერიოდულად სპეციალურ განმარტებებს საჭიროებს. ამაზე მიუთითებდა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მიერ შემუშავებული არაერთი სახელმძღვანელო განმარტება სისხლის სამართლის საქმეებზე².

¹ Комментарий к Уголовному кодексу Российской Федерации, М. издательство „Юристъ“, 1997, с. 448. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ფედერაციის სსკ-ის 175-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობა საქართველოს სსკ-ის 186-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობისაგან განსხვავებით, ფორმულირებულია როგორც „დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების წინასწარ შეუპირებული შეძენა ან გასაღება“.

² Постановление № 11 Пленума Верховного Суда СССР от 31 июля 1962 года „О судебной практике по делам о заранее не обещанном укрывательстве преступлений, приобретении и сбыте заведомо похищенного имущества“. В сб. Постановлений Пленума Верховного Суда СССР 1924-1977 г. г. Часть 2., М., 1981, с. 224-227. Постановление № 4 Пленума Верховного Суда СССР от 11 июля 1972 г. „О судебной практике по делам о хищениях государственного и общественного имущества“. Там же, с. 145.

ჩვენს მიერ შესწავლილი და განზოგადებული სასამართლო პრაქტიკის მასალებში შეგვხვდა ამ პრობლემის, ჩვენი აზრით, არასწორად გადაწყვეტის რამდენიმე მაგალითი.

ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 27 თებერვლის განაჩენით (საქმე № 1/210-2002) ს.ნ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ პუნქტებით, 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტითა და 186-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით და ერთობლივად, სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე, შეეფარდა ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე და 64-ე მუხლების შესაბამისად, ჩაეთვაალა პირობითად ოთხი წლის გამოსაცდელი ვადით.

ს.ნ.-ს მსჯავრი დაელო იმისათვის, რომ მან ჩაიდინა ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით (წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ბინაში უკანონო შეღწევით) და წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის არაერთგზის გასაღება.

ს.ნ.-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება ოთხი ეპიზოდისაგან შედგებოდა და გამოიხატა შემდეგში:

1. 2001 წლის 17 აპრილს ს.ნ.-ს ნაცნობმა, გამოძიებით დაუდგენელმა მ.უ.-მ, გამოძიებით ასევე დაუდგენელ ორ პიროვნებასთან ერთად წინასწარი შეთანხმების საფუძველზე შეაღწიეს ნ.მ.-ს კუთვნილ ბინაში, საიდანაც გაიტაცეს 600 ლარად ღირებული ნივთები. იმავე დღეს ჩადენილი ქურდობის ამბავი მათ აცნობეს ს.ნ.-ს და სთხოვეს დახმარება ნაქურდალის რეალიზაციაში. ს.ნ.-მ და მ.უ.-მ გაყიდეს ნაქურდალი ნივთები და თანხა გაინაწილეს.

2. 2001 წლის 22 აპრილს ს.ნ. შეხვდა მ.უ.-ს და წინასწარ შეუთანხმდა მოქალაქეთა ბინების გაქურდვაში. იმავე დღეს ს.ნ.-მ და მ.უ.-მ გაქურდეს გ.მ.-ს ბინა და შემდეგ მოახდინეს ნაქურდალის რეალიზაცია.

3. 2001 წლის მაისის შუა რიცხვებში მ.უ.-მ გამოძიებით დაუდგენელ ორ პირთან ერთად წინასწარი შეთანხმების საფუძველზე ნ.ჯ.-ს კუთვნილი ბინიდან გაიტანეს 400 ლარად ღირებული ნივთები, რომლებიც შესანახად ჩააბარეს ს.ნ.-ს, ამასთან, აცნობეს მათ

მიერ ჩადენილი ქურდობის ამბავი. ს.ნ.-მ და მ.უ.-მ ნაქურდალი ნივთები გაყიდეს და ფული გაინაწილეს.

4. 2001 წლის მაისის თვეში იმავე პირებმა მიაკითხეს ს.ნ.-ს და აჩვენეს ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის ბუნკერში მათ მიერ მოპარული ორი ტელევიზორი და აუდიომაგნიტოფონი, რომლებიც ს.ნ.-მ და მ.უ.-მ მიჰყიდეს მათთვის უცნობ მამაკაცს 550 ლარად.

ს.ნ.-ს მიერ ჩადენილმა ქმედებებმა სისტემატიური ხასიათი მიიღო, მ.უ.-ს და გამოძიებით დაუდგენელ ორ პირს, რომელთა მიერ ჩადენილი იყო ზემოთ ჩამოთვლილი ქურდობები, ნაქურდალი ნივთების გასაღებაში ს.ნ.-ს დახმარების იმედი ჰქონდათ, მით უფრო, რომ ქურდობის ერთ-ერთ (მე-2) ეპიზოდში ს.ნ. თანამსრულებელი იყო. შესაბამისად, მე-3 და მეოთხე ეპიზოდებში ს.ნ.-ს ქმედება უნდა დაკვალიფიცირებულყო არა როგორც არაერთგზის დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის გასაღება, არამედ ქურდობაში თანამონაწილეობა. საბოლოოდ კი, ს.ნ.-ს მიერ ჩადენილი ქმედება უნდა დაკვალიფიცირებულყო სსკ-ის 186-ე მუხლის პირველი ნაწილით, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ პუნქტებით, 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით, 25-177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ პუნქტებითა და 25-177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით.

* * *

ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 18 აპრილის განაჩენით (საქმე № 1/130-2002) ლ. ბ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ პუნქტებით, 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით, 186-ე მუხლის პირველი ნაწილით და 186-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით, ხოლო ე. ჩ. – სსკ-ის 186-ე მუხლის პირველი ნაწილით, 186-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით და 375-ე მუხლით. ამ განაჩენით, სსკ-ის 59-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, ლ.ბ.-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა საერთო რეჟიმის კოლონიაში მოხდით, ე.ჩ.-ს კი – ორი წლით თავისუფლების აღკვეთა საერთო რეჟიმის კოლონიაში მოხდით და დანიშნული სასჯელი, თანახმად სსკ-ის 63-66-ე მუხლებისა, ჩაეთვალა პირობითად ერთი წლის გამოსაცდელი ვადით.

2001 წლის თებერვალში ა.ხ.-მ და ე.ა.-მ წინასწარი შეთანხმებით

გამონგრეის საზღვარგარეთ მყოფი მეზობლის ლ.ლ.-ს საცხოვრებელი ბინის კედელი, შეაღწიეს ბინაში და ფარულად გაიტაცეს 230 ლარად ღირებული საოჯახო ნივთები. ქურდობის ამბავი მათ შეატყობინეს ა.ხ.-ს გერს – ლ.ბ.-ს და მასთან ერთად მცხოვრებ მეგობარს ე.ჩ.-ს, რომლებსაც გააყიდინეს ნაქურდალი ნივთები. მათ აგრეთვე აცნობეს ლ.ბ.-ს და ე.ჩ.-ს, რომ მათ მიერ გაქურდულ ბინაში კიდევ იყო სხვადასხვა ნივთი და იმავე საშუალებით შესაძლებელი იყო ამ ნივთების გამოტანა და გაყიდვა. ლ.ბ. დაეთანხმა მათ და ა.ხ.-სთან და ჟ.ა.-სთან ერთად არაერთგზის შეაღწია ლ.ლ.-ს საცხოვრებელ ბინაში, საიდანაც გაიტანეს 3500 ლარად ღირებული ნივთები, რის შემდეგაც ლ.ბ.-მ და ე.ჩ.-მ მოახდინეს ამ ნივთების რეალიზაცია.

განსასჯელების მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების კვალიფიკაციის დროს სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა მათ მიერ წინასწარ გამოძიებაში და სასამართლო სხდომაზე მიცემულ ჩვენებებს, კერძოდ, ლ.ბ.-მ და ე.ჩ.-მ არაერთხელ განაცხადეს, რომ მათთვის წინასწარ ცნობილი იყო ა.ხ.-ს და ჟ.ა.-ს მიერ ლ.ლ.-ს საცხოვრებელი ბინის ხელმოკრულ გაქურდვის განზრახვა. ლ.ბ.-მ აგრეთვე აღიარა აღნიშნული ბინის ქურდობაში თავისი მონაწილეობა, ხოლო ე.ჩ.-მ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთების გასაღების წინასწარი შეპირება მისცა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ე.ჩ.-ს მიერ ჩადენილი ქმედება უნდა დაკვალიფიცირებულიყო საქართველოს სსკ-ის 186-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით, 25-177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ პუნქტებით და 25-177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით, ვინაიდან ამსრულებლისათვის მიცემული წინასწარი შეპირება დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთების გასაღების შესახებ, როგორც ადრე აღვნიშნეთ, წარმოადგენს ამსრულებლის მიერ ჩადენილ დანაშაულში თანამონაწილეობას დახმარების ფორმით. აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, სასამართლო საბრალდებო დასკვნის ფარგლებში, ბუნებრივია, მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს იმსჯელოს ჩადენილ ქმედებაში უფრო მძიმე დანაშაულის ნიშნების არსებობის შესახებ. მაგრამ, ამავე დროს, სასამართლოს გააჩნია სამართლებრივი საფუძველი საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნებისა, რაც, ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში მას უნდა გაეკეთებინა.

რაც შეეხება ე.რ.-ს საქართველოს სსკ-ის 375-ე მუხლით დამნაშავედ ცნობას, უნდა აღინიშნოს, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულის დაფარვისათვის დგება იმ შემთხვევაში, თუ ის არ იყო წინასწარ შეპირებული (წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზეა დანაშაულში თანამონაწილეობა). განაჩენის მიხედვით ე.რ.-ს მიერ დანაშაულის დაფარვა გამოიხატა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთების გასაღებაში. მართალია, მისთვის ცნობილი იყო კონკრეტულად რომელი დანაშაულის შედეგად მოპოვებულ იქნა აღნიშნული ნივთები, რაც დანაშაულის დაფარვის აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს, მაგრამ ასეთ შემთხვევებში, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია დადგინდეს კონკრეტული მიზანი: გასაღების დროს, როგორც წესი, დამნაშავე მიზნად ისახავს მატერიალური გამორჩენის მიღებას, ხოლო დანაშაულის დაფარვის დროს – დამნაშავეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაში მიცემისათვის ხელის შეშლას. ამ ორივე მიზნის ერთდროულად არსებობისას სახეზეა დანაშაულის იდეალური ერთობლიობა. მოცემულ შემთხვევებში დანაშაულებრივი ქმედება ერთობლივად მიმართულია საკუთრებისა და დანაშაულის დროულად აღკვეთისა და გახსნის წინააღმდეგ და უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 186-ე და 375-ე მუხლების ერთობლიობით¹. ე.რ.-ს მიერ მიცემული ჩვენებების თანახმად, იგი მიზნად ისახავდა მხოლოდ მატერიალური გამორჩენის მიღებას. არც წინასწარ გამოძიებას და არც სასამართლოს არ დაუდგენია ე.რ.-ს ქმედებაში დანაშაულის დაფარვის, მის გახსნაში ხელის შეშლის მიზანი. ამიტომ, კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობდა აუცილებლობა ქმედების სსკ-ის 186-ე და 375-ე მუხლების ერთობლიობით კვალიფიკაციისა. ე.რ.-ს მიერ ჩადენილი ქმედება უნდა დაკვალიფიცირებულიყო სსკ-ის 186-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით.

ასევე არასწორად მიგვაჩნია ლ.ბ.-ს და ე.რ.-ს დანაშაულებრივი ქმედების სსკ-ის 186-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილით დაკვალიფიცირება. ლ.ბ.-მ და ე.რ.-მ ჩაიდინეს წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთების გასაღება ანუ ქმედება, რომელიც სსკ-ის 186-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით არის

¹ Кудрявцев В. Н. Теоретические основы квалификации преступлений. М., Госюриздат, 1963 г., с. 288.

გათვალისწინებული. ამ შემთხვევაში, ცხადია, მაკალიფიცირებული ნიშნით ჩადენილი ქმედება მოიცავს მის მარტივ შემადგენლობას.

* * *

მარნეულის რაიონული სასამართლოს 2002 წლის აპრილის განაჩენით (საქმე № 678-1/68) რ.ნ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტით, 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით, 186-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით და 260-ე მუხლის პირველი ნაწილით და სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე სასჯელის ზომად საბოლოოდ განესაზღვრა ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით იმავე განაჩენით ფ. გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 186-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით და 375-ე მუხლით და სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე სასჯელის ზომად საბოლოოდ განესაზღვრა ტუსალობა ხუთი თვის ვადით.

2001 წლის 24 დეკემბერს ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა რ.ნ.-მ განიზრახა გაექურდა ქ. მარნეულში, ნარიმანოვის ქ. № 28-ში მდებარე მერეთი. განზრახვის სისრულეში მიყვანის მიზნით დაახლოებით 23 საათზე ის მივიდა მერეთთან, ფეხით შეამტვრია შესასვლელი ხის კარები, შეაღწია შიგნით და ფარულად გაიტანა ხუთი ნოხი, რომლებიც დამალა იქვე გამავალ არხთან. ამის შემდეგ რ.ნ. მივიდა ტაქსების გაჩერებასთან, სადაც ნახა მძღოლი ფ.გ. და სთხოვა გაყოლოდა მას საქონლის წამოსაღებად. რ.ნ.-მ და ფ.გ.-მ ჩაალაგეს ნოხები ფ.გ.-ს ავტომანქანაში. რ.ნ.-მ სთხოვა ფ.გ.-ს ნოხების რეალიზაციაში დახმარება, რაზედაც ის დათანხმდა, და გაწეული სამსახურის სანაცვლოდ შეპირდა ერთი ნოხის ჩუქებას. გზაზე ავტომანქანაში ჩაისვენს რ.ნ.-ს მეზობელი – ი.მ., რომელსაც რ.ნ.-მ უთხრა, რომ ნოხები მოპარული ჰქონდა და დახმარება სთხოვა ნაქურდალის რეალიზაციაში, რაზედაც ი.მ. დაეთანხმა. ამის შემდეგ ისინი მივიდნენ რამოდენიმე მისამართზე ქ. მარნეულში, მაგრამ ნოხები ვერ გაყიდეს და იმ ღამეს ფ.გ.-ს სახლში დარჩნენ. რ.ნ.-მ ორი ნოხი აჩუქა ფ.გ.-ს, ხოლო ერთი მიყიდა 20 ლარად. მეორე დღეს ფ.გ.-ს ავტომანქანით რ.ნ.-მ მიუტანა და ნოხი აჩუქა თავის ნაცნობს ლ.ქ.-ს იმ მიზნით, რომ ღამით ესტუმრებოდა. იმავე დღეს რ.ნ.-მ შეიტყო პოლიციის თანამშრომლების მიერ

ი.მ.-ს დაკავების ფაქტი, აღნიშნული აცნობა ფ.გ.-ს, რის შემდეგაც ნაქურდალი ნოხები გადამალვის მიზნით მათ ერთად მიიტანეს რ.ნ.-ს ნათესავთან და უთხრეს, რომ მეორე დღეს წაიღებდნენ.

2001 წლის 26 დეკემბერს რ.ნ. პოლიციამ დააკავა. მისი ბინის ჩხრეკის დროს ნახეს ქაღალდში გახვეული ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“ 32,5 გრამის ოდენობით, რომელიც მან უკანონოდ შეიძინა და სახლში პირადი მოხმარების მიზნით ინახავდა.

საქმის ფაბულიდან გამომდინარე, რ.ნ.-მ ჩაიდინა ქურდობა, რომელიც საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლით განსაზღვრულია, როგორც ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი ნათლად მიუთითებს დამნაშავეს განზრახვაზე – ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს მოპარულ ნივთს, როგორც საკუთარს. ამ ქმედებით დამნაშავე თავისთავად ჩადის დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შეძენას.

თუ ქურდობის ჩადენის შემდეგ დამნაშავე ასაღებს ქურდობით მოპოვებულ ნივთს, მისი ქმედება არ საჭიროებს დამატებით კვალიფიკაციას სსკ-ის 186-ე მუხლით, ვინაიდან ამ შემთხვევაში ის მთლიანად მოცულია სსკ-ის 177-ე მუხლით.

სასამართლოს მიერ რ.ნ.-ს დანაშაულებრივი ქმედების 177-ე და 186-ე მუხლების ერთობლიობით კვალიფიკაცია უხეში შეცდომაა, ვინაიდან დანაშაულის ამსრულებელი (ისევე, როგორც დანაშაულის თანამონაწილე) არ აგებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას დანაშაულის დაფარვისათვის, შეუტყობინებლობისათვის და ამ დანაშაულის ჩადენის შედეგად მოპოვებული ნივთის შეძენისა ან გასაღებისათვის.

ჩვენი აზრით, სწორად მოიქცა სასამართლო, როდესაც ფ.გ.-ს დანაშაულებრივი ქმედება სსკ-ის 186-ე და 375-ე მუხლების ერთობლიობით დააკვალიფიცირა. წინასწარი გამოძიებისა და სასამართლოს მიერ შეგროვებული მტკიცებულებების საფუძველზე დადგენილია, რომ მატერიალური გამორჩენის მიღებასთან ერთად, ფ.გ. მიზნად ისახავდა რ.ნ.-ს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში მიცემისათვის ხელის შეშლას. ამ შემთხვევაში გვაქვს დანაშაულის იდეალური ერთობლიობა.

მუსლი 187. ნივთის დაზიანება ან განადგურება

1. სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, —

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ასიდან ას ოთხმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან ტუსალობით ვადით ორ თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი ცეცხლის წაკიდებით, აფეთქებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან რვა წლამდე.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან თხუთმეტ წლამდე.

(საქართველოს 2000 წლის 30 ივნისის კანონი — „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, I, 2000, № 27, მუხლი 83-ე)

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით დასჯადია სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება, რომელმაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსი ქმედების ანალოგიურ შემადგენლობას მე-100 მუხლით „სხვისი ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება“ ითვალისწინებდა და კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მეორე თავში „დანაშაული ქონების წინააღმდეგ“ იყო მოთავსებული.

საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-100 მუხლი, ახალი კოდექსის 187-ე მუხლისაგან განსხვავებით, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობის დაწესებისას არ ითვალისწინებდა ამ ქმედების აუცილებელ ნიშნად მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევას, სხვისი ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება დასჯადი იყო იმისდა მიუხედავად, გამოწვეულია თუ არა ამ ქმედებით მნიშვნელოვანი ზიანი.

ამავე დროს, მაკვალიფიცირებელ ნიშნებად, გარდა ამ ქმედების ჩადენისა ცეცხლის წაკიდებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუ-

ალებით და ადამიანის სიცოცხლის მოსპობით ან სხვა მძიმე შედეგით (რასაც აგრეთვე ახალი სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს), ასევე ითვალისწინებდა ამ ქმედების ჩადენას განმეორებით, პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით, ანგარებითი ქვენაგრძობით, აგრეთვე ტყის მასივების განზრახ განადგურებას ან მნიშვნელოვან დაზიანებას ცეცხლის წაკიდებით, ანდა ვენახის, ციტრუსოვანთა, დაფნის, ხილ-კენკროვან ან სხვა ნარგავთა დიდი ოდენობით განადგურებას ან დაზიანებას.

2002 წლის განმავლობაში საქართველოს რაიონული სასამართლოების მიერ სსკ-ის 187-ე მუხლით განხილულია 5 ნ სისხლის სამართლის საქმე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მუხლით მსჯავრდებულები, როგორც წესი, სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში არიან მიცემული სხვისი ნივთის დაზიანება-განადგურებისა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ სხვა დანაშაულებისათვის (ქურდობა, ძარცვა და სხვ.) ერთობლიობით.

ეს დანაშაული განეკუთვნება საკუთრებითი ურთიერთობების არაანგარებით ხელყოფათა რიცხვს. აღნიშნული დანაშაულის საგანი შეიძლება იყოს ნებისმიერი ნივთი, რომელსაც მატერიალური ღირებულება გააჩნია. გატაცებისაგან განსხვავებით, დანაშაულებრივი ხელყოფის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ისეთი ქონება, რომლის დაუფლება შეუძლებელია (შენობა-ნაგებობები და სხვა უძრავი ქონება).

დანაშაულის ობიექტური მხარე კანონში განმარტებულია, როგორც სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

განადგურება გულისხმობს მატერიალურ ნივთზე ისეთ გარეგან ზემოქმედებას, რომლის შედეგადაც იგი წყვეტს ფიზიკურად არსებობას ან სრულიად უვარგისი ხდება მიზნობრივი დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის. განადგურება შეიძლება მდგომარეობდეს ნივთის სრულ მოსპობაში გადაწვის, დანგრევისა და სხვა საშუალებით. ამ შემთხვევაში ნივთმა შეიძლება არ შეწყვიტოს ფიზიკური არსებობა, მაგრამ მოყვანილ იქნეს ისეთ მდგომარეობაში, როდესაც ის საერთოდ კარგავს თავის თვისობრივ განსაზღვრულობას და სასარგებლო თვისებებს. განადგურების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ნივთის აღდგენა რემონტის ან რესტავრაციის გზით შეუძლებელი ხდება.

დაზიანების ქვეშ იგულისხმება ნივთის თვისებების შეცვლა, რის შედეგადაც არსებითად უარესდება მისი მდგომარეობა, იკარგება სასარგებლო თვისებათა მნიშვნელოვანი ნაწილი და იგი ნაწილობრივ უუარგისი ხდება მიზნობრივი გამოყენებისათვის. განადგურებისაგან განსხვავებით, ნივთის დაზიანებისას ხდება მისი თვისებრივი გაუარესება, მაგრამ ნივთის აღდგენა შესაძლებელია რემონტის, რესტავრაციისა ან სხვა საშუალებით.

ეს დანაშაული მატერიალურ შემადგენლობათა რიცხვს განეკუთვნება. მის აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს მესაკუთრის ან სხვა კანონიერი მფლობელის მნიშვნელოვნად დაზიანება. ვინაიდან კანონმდებელი ამ ცნებას არ განმარტავს, დანაშაულის ეს ნიშანი შეფასებით ხასიათს ატარებს და თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს სასამართლოს მიერ საქმის ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე. არის თუ არა ზიანი მნიშვნელოვანი, განისაზღვრება არა მარტო განადგურებული თუ დაზიანებული ნივთის ღირებულებიდან გამომდინარე, არამედ დაზარალებულის მატერიალური მდგომარეობისა და მისთვის ამ ნივთის მნიშვნელობის გათვალისწინებით.

* * *

ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 13 თებერვლის განაჩენით (საქმე № 1/45-2002 წ.) გ.ა. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19-177-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 19-363-ე მუხლის მე-2 ნაწილით და სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლისა და 2 თვის ვადით.

ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 17 მაისის განაჩენით გ.ა. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილით და მიესაჯა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც შეეცვალა პირობითი სასჯელით ერთი წლის გამოსაცდელი ვადით.

გ.ა. არ დაადგა გამოსწორების გზას და 2001 წლის 1 ნოემბერს, დაახლოებით 22 საათზე, ნასკამ მდგომარეობაში მყოფმა, ფურცელაძის ქუჩაზე მოქ. ე.ჭ.-ს გაჩერებულ ავტომანქანა „ვოლვო“-ს ჩაუმტვრია გვერდითი საქარე მინა და ავტომანქანის სალონიდან მართლსაწინააღმდეგოდ ფარულად დაეუფლა ოდეკოლონ „ლოგო“-ს, სათვალეს, სიგა-

რეტსა და ე.ჭ-ს მძღოლის მოწმობას, ავტომანქანის ტექნიკურ პასპორტს, მინდობილობასა და სხვა საბუთებს. ავტომანქანის სალონში აუდიო მაგნიტოფონის მოხსნისას დააზიანა 300 ლარად ღირებული აუდიო მაგნიტოფონი, რითაც მნიშვნელოვნად დააზიანა დაზარალებული. როდესაც გ.ა. ცდილობდა დანაშაულის ჩადენის ადგილიდან მიმალვას, იგი დააკავეს.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, გ.ა.-ს ბრალი წაუყენეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 187-ე მუხლის პირველი ნაწილით და 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

აღნიშნული საქმის სასამართლოში განხილვის დროს პროკურორმა სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა მოეხსნათ გ.ა.-სათვის ბრალდება სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით და ამ ნაწილში იგი გაემართლებინათ, ხოლო ბრალდების სხვა ნაწილებში ქმედებები დაეკვალიფიციერებინათ მცდელობით.

ბრალმდებელის შუამდგომლობას საფუძვლად დაედო საქმის სასამართლოში განხილვის დროს დაზარალებულის მიერ ჩვენების შეცვლა.

წინასწარ გამოძიებაში მიცემულ ჩვენებებში დაზარალებული და მოწმეები აცხადებდნენ, რომ გ.ა. გადმოვიდა ე.ჭ-ს ავტომანქანიდან და გაიქცა, მაგრამ შეეჯახა გვერდზე მდგომ ავტომანქანას და წაიქცა, რა დროსაც ის დააკავეს. დაზარალებული აგრეთვე აცხადებდა, რომ გ.ა.-მ იგი 590 ლარით დააზიანა, რაც კანონით მნიშვნელოვან ზიანად ფასდება.

სასამართლოში მიცემულ ჩვენებაში კი დაზარალებული აცხადებდა, რომ სულ სხვა პიროვნებას გაეკიდა, მაგრამ ვერ დაეწია, ხოლო შემდეგ მიბრუნდა თავის ავტომანქანასთან და მძღოლის გვერდით სავარძელში ნახა გაუნძრევლად მჯდომი გ.ა., რომელიც ადგილზე დააკავა. რაც შეეხება მნიშვნელოვან ზიანს, ის არ არის გამოწვეული, ვინაიდან აუდიომაგნიტოფონის შეკეთება მას დაუჯდა 10 ლარი და ამის გათვალისწინებით ზიანი შეადგენს 203 ლარს, რაც დაზარალებულის განცხადებით მისთვის მნიშვნელოვანი არ არის.

ვინაიდან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ნივთის დაზიანების ან განადგურებისათვის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კანონმდებლის მიერ დაწესებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მნიშვნელოვანი ზიანია გამოწვეული, სწორად მოიქცა ბრალმდებელი, როდესაც მოითხოვა სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით გ.ა.-სათვის ბრალდე-

ბის მოხსნა და ამ ნაწილში მისი გამართლება. ასევე სწორად მოიქცა ბრალმდებელი, როდესაც იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით ბრალდების ფორმულირების შეცვლაზე აღნიშნულ დანაშაულთა მცდელობით. სასამართლოს ბრალმდებლის შუამდგომლობის გარეშეც უნდა გადაეკვალიფიცირებინა გ.ა.-ს მიერ ჩადენილი ქმედება ქურდობისა და პირადობის დამადასტურებელი მოწმობისა და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტების გატაცების მცდელობაზე. აღნიშნული ქმედებები მატერიალური დელიქტების რიცხვს განეკუთვნება. ამ შემთხვევებში დანაშაული დამთავრებულად ითვლება მას შემდეგ, რაც დამნაშავეს მიეცა შესაძლებლობა თავისი შეხედულებისამებრ განეკარგა ნაქურდალი¹. ეს შესაძლებლობა კი გ.ა.-ს არც ავტომანქანაში დაკავების დროს და არც ავტომანქანიდან გადასვლის და გაქცევის დროს არ ჰქონია, რადგან მაშინვე იქნა დაკავებული.

ამ კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის შესწავლის საფუძველზე აგრეთვე უნდა ითქვას, რომ არც საბრალდებო დასკვნასა და არც განაჩენში არ არის მითითებული სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის და, შესაბამისად, სსკ-ის მე-19-177-ე მუხლის მე-2 ნაწილის რომელი პუნქტით ჩადენილი ქმედება ედება ბრალად გ.ა.-ს. აღნიშნულით დარღვეულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 409-ე („საბრალდებო დასკვნა“) და 509-ე მუხლის („გამამტყუნებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი“) მოთხოვნები.

* * *

სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ნივთის დაზიანება ხორციელდება საკუთრების წინააღმდეგ მიმართული სხვა, უფრო მძიმე, დანაშაულის ჩადენისას და ამ უკანასკნელის ერთგვარ „ხერხს“ წარმოადგენს. ასეთ შემთხვევებში, დაზარალებულის მნიშვნელოვნად დაზიანების დროს ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ს 187-ე და იმ მუხლის ერთობლიობით, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას საკუთრების წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაულისათვის.

ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 2 ოქტომბრის განაჩენით (საქმე № 1/135-2002 წლის)

¹ იხ. სსკ-ის 177-ე მუხლის კომენტარი.

რ.დ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19-177 მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტითა და 187-ე მუხლის პირველი ნაწილით და სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე სასჯელის ზომად განესაზღვრა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა საერთო რეჟიმის სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით.

2002 წლის 22 თებერვალს რ.დ.-მ წინასწარ მომზადებული ელექტროსადენის გამოყენებით შენობის სახურავიდან შეაღწია თავისი მეზობლის საცხოვრებელ ბინაში, წასაღებად ამოარჩია ტელევიზორი და უთო. ნივთების გატანა შესასვლელი კარიდან დააპირა, რისთვისაც დაიწყო საკეტის დაშლა. ამ დროს სადარბაზოდან შემოესმა მეზობლების ხმაური, მიხედა, რომ კარებიდან ვეღარ გავიდოდა. აივნიდან ჩავიდა ქვემოთ, რა დროსაც დააზიანა ფანჯრის რაფა. რ.დ. ჩასვლისთანავე დააკავეს მეზობლებმა. ფანჯრის რაფის დაზიანებითა და საკეტის დაშლით მან ბინის პატრონი 60 ლარით დააზარალა (მნიშვნელოვანი ზიანი). აქედან გამომდინარე, რ.დ.-ს სწორად დაედო მსჯავრი სსკ-ის 19-177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის და 187-ე მუხლის პირველი ნაწილის ერთობლიობით.

სასამართლო პრაქტიკაში აგრეთვე ხშირია შემთხვევები რაიონული სასამართლოების მიერ საქართველოს სსკ-ის 69-ე მუხლის საფუძველზე, ანუ დაზარალებულთან შერიგების გამო, სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისა. აღსანიშნავია, რომ, როგორც წესი, ამ შემთხვევებში დაზარალებულს ზიანი უნაზღაურდება სასამართლო პროცესის გამართვამდე.

განსახილველი დანაშაული სუბიექტური მხრივ შეიძლება ჩადენილ იქნას მხოლოდ განზრახ. განზრახვა შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ მართლსაწინააღმდეგოდ აზიანებს ან ანადგურებს სხვის ქონებას, ითვალისწინებს მის მართლსაწინააღმდეგოდ შედეგს და სურს მისი დადგომა, ან ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგოდ შედეგს – მნიშვნელოვან ზიანს, არ სურს, მაგრამ შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება მის დადგომას.

ამ დანაშაულის მიზანი და მოტივი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს (შურისძიება, ეჭვიანობა, სამაგიეროს მიზღვა და სხვ.), ზოგჯერ

მიზნის დადგენას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დანაშაულებრივი ქმედების სწორი კვალიფიკაციისათვის. ქმედება სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით ვერ დაკვალიფიცირდება, თუ დამნაშავე ნივთს აზიანებს საზოგადოებრივი უშიშროების ხელყოფის, მოსახლეობის დაშინების ან ხელისუფლების ორგანოთა გადაწყვეტილებაზე ზემოქმედების მოხდენის მიზნით.

* * *

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2001 წლის 7 მაისის განაჩენით რ. თ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის მე-100 მუხლის მე-2 ნაწილით (1960 წლის სსკ) და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით.

აღნიშნული განაჩენი ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 1 თებერვლის განაჩენით შეიცვალა იმ მიმართებით, რომ რ.თ.-ს შეუმცირდა სსკ-ის მე-100 მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული სასჯელი და შეეფარდა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. დანარჩენ ნაწილში განაჩენი უცვლელად დარჩა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2002 წლის 21 მაისის განჩინებით ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 1 თებერვლის განაჩენი რ.თ.-ს მიმართ უცვლელად დარჩა¹.

რ.თ.-ს მსჯავრი დაედო იმისათვის, რომ ჩაიდინა სხვისი ქონების განზრახ განადგურება და დაზიანება ცეცხლის წაქიდეებით, რაც გამოიხატა შემდეგში: 2000 წლის 30 მარტს, ღამის საათებში, მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა, ოჯახური კონფლიქტის ნიადაგზე განაწყენებულმა რ.თ.-მ ცეცხლი წაუკიდა ფაქტიურ ქორწინებაში მყოფი მისი მეუღლის დედის, დაზარალებულ ნ.ც.-ს საქონლის სადგომს, რის შედეგადაც გაანადგურა და დააზიანა ნ.ც.-ს ქონება: საქონლის სადგომი ნაგებობა, საქონლის საკვები და ორი სული პირუტყვი, რითაც დაზარალებული 919 ლარით დააზარალა.

¹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2000, №7, გვ. 794-796.

საკასაციო საჩივარში მსჯავრდებული რ.თ. აღნიშნავდა, რომ მას შერაცხული დანაშაული განზრახ არ ჩაუდენია, საქონლის სადგომში პირუტყვის საკვებს ცეცხლი გაუჩნდა მისი გაუფრთხილებელი მოქმედების (დაუდევრობის) შედეგად. აღნიშნულიდან გამომდინარე, რ.თ. ითხოვდა მისი ქმედების გადაკვალიფიცირებას სსკ-ის მე-100 მუხლის მე-2 ნაწილიდან (1960 წლის სსკ) იმავე კოდექსის 101-ე მუხლზე და, შესაბამისად, სასჯელის განსაზღვრას.

ჩვენი აზრით, პალატამ მართებულად არ გაიზიარა საკასაციო საჩივრის მოთხოვნა და ჩათვალა, რომ სააპელაციო პალატამ სწორი იურიდიული შეფასება მისცა რ.თ.-ს ქმედებას. დადასტურებულად მიიჩნია, რომ შეკრებილი მტკიცებულებებით (დაზარალებულისა და მოწმეების ჩვენებები, შემთხვევის ადგილის დათვალიერების მასალები და სხვ.) უდავოაა დადგენილი, რომ რ.თ.-მ ჩაიდინა სხვისი ქონების განზრახ განადგურება და დაზიანება ცეცხლის წაკიდებით.

როგორც ვხედავთ, საქმეზე მტკიცებულებათა შეკრება და მათი სწორი სამართლებრივი ანალიზი სსკ-ის 187-ე და 188-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედებების გამიჯვნის საფუძველს წარმოადგენს.

ქმედება სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით მხოლოდ მაშინ დაკვალიფიცირდება, როცა განადგურებული ან დაზიანებული საგნები არ არის დაცული სპეციალური სისხლისსამართლებრივი ნორმებით. მაგალითად, სსკ-ის 257-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ისტორიის, კულტურის ან ბუნების ძეგლის დაზიანების ან განადგურებისათვის; სსკ-ის 258-ე მუხლი – საფლავის ძეგლის ან მისი სხვა მიწისზედა ნაგებობის დანგრევის ან დაზიანებისათვის.

ეუსლი 188. ნივთის დაზიანება ან განადგურება
გაუფრთხილებლობით

1. სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება გაუფრთხილებლობით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, —

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი ცეცხლთან ან მომეტებული საფრთხის წყაროსთან გაუფრთხილებელი მოპყრობით, —

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვს წლამდე.

(საქართველოს 2000 წლის 30 ივნისის კანონი — „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, I, 2000, № 27, მუხლი 83-ე)

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სხვისი ნივთის გაუფრთხილებლობით დაზიანების ან განადგურებისათვის დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მან მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. სხვა შემთხვევებში ზიანი უნდა ანაზღაურდეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსი ქმედების ანალოგიურ შემადგენლობას 101-ე მუხლით „სხვისი ქონების განადგურება ან დაზიანება გაუფრთხილებლობით“ ითვალისწინებდა და კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მეორე თავში „დანაშაული ქონების წინააღმდეგ“ იყო მოთავსებული.

საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 101-ე მუხლი, ახალი კოდექსის 188-ე მუხლისაგან განსხვავებით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებისას არ ითვალისწინებდა ამ ქმედების აუცილებელ ნიშნად მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევას, სხვისი ქონების გაუფრთხილებლობით განადგურების ან დაზიანებისათვის პასუხისმგებლობა დგებოდა იმ შემთხვევებში, თუ იგი ჩადენილი იყო ცეცხლთან გაუფრთხილებელი მოპყრობით ან სხვა

საყოველთაოდ საშიში საშუალებით, ან თუ მას მოჰყვა ადამიანთა უბედური შემთხვევები ან სხვა მძიმე შედეგები (რასაც მაკვალ-ფიცირებელ ნიშნებად ახალი სისხლის სამართლის კოდექსიც ითვალ-ისწინებს), აგრეთვე იმ შემთხვევებში, როდესაც ცეცხლთან ან მომე-ტებული საფრთხის წყაროსთან დაუდევარი მოპყრობის შედეგად ტყის მასივის განადგურებასა ან საგრძნობ დაზიანებას ჰქონდა ადგილი.

საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 101-ე მუხლისაგან განსხვავებით, ახალი კოდექსის 188-ე მუხლი სამი ნაწილ-ისაგან შედგება.

როგორც სსკ-ის 187-ე მუხლის კომენტარებისას აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანი ზიანის ცნება შეფასებითი კატეგორიაა და იგი თი-თოეულ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დაადგინოს სასამართლომ საქმის ფაქტობრივ გარემოებათა ანალიზის საფუძველზე.

განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარე სავსებით ემთხ-ვევა სსკ-ის 187-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექ-ტურ მხარეს. ეს ორი დანაშაული ერთმანეთისაგან მხოლოდ სუბიექ-ტური მხრივ განსხვავდება. ეს დანაშაული დამთავრებულად ითვლე-ბა მნიშვნელოვანი ქონებრივი დაზიანების მომენტიდან.

სუბიექტური მხრივ ეს დანაშაული, სსკ-ის 187-ე მუხლით გათვალ-ისწინებული შემადგენლობისაგან განსხვავებით, შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ გაუფრთხილებლობით. პირს გაცნობიერებული აქვს წინდახედულების ნორმით აკრძალული ქმედება, ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის – სხვისი ნივთის დაზიანების ან განადგურების – დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებს, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებს, ან პირს გაცნო-ბიერებული არ ჰქონდა ამგვარი შედეგის დადგომის შესაძლებლობა, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალებოდა და შეეძლო კიდევ.

2002 წლის განმავლობაში საქართველოს რაიონული სასამართ-ლოების მიერ სსკ-ის 188-ე მუხლით განხილულია 9 სისხლის სამართლის საქმე.

* * *

ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლომ 2002 წლის 5 ივნისის განაჩენით (საქმე №1/54-2002 წ.) ა.კ.-ს

საქართველოს სსკ-ის 184-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 188-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის ერთობლიობით სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით საერთო რეჟიმის სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოხდით.

თბილისის საოლქო სასამართლოს 2002 წლის 14 აგვისტოს განაჩენით და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2002 წლის 19 ნოემბრის განჩინებით ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 5 ივნისის განაჩენი ა.კ.-ს მიმართ დარჩა უცვლელად.

ა.კ.-ს მსჯავრი დაედო მასში, რომ 2000 წლის 17 დეკემბერს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, დანის მუქარით, დროებითი გამოყენების მიზნით ნ.კ.-ს გასტაცა ავტომანქანა ვაზ-21-07, მომეტებული სიჩქარით მსვლელობის დროს ვერ უზრუნველყო მისი სწორი მართვა, რის გამოც ავტომანქანა ამობრუნდა და დაზიანდა. ამით ა.კ.-მ ნ.კ. 773 ლარით დააზარალა, რაც დაზარალებულისათვის მნიშვნელოვანი იყო.

ა.კ.-ს ქმედება სასამართლოს მიერ სწორად იყო დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 184-ე მუხლის მე-3 ნაწილის და 188-ე მუხლის მე-2 ნაწილის ერთობლიობით.

რაც შეეხება ამ ქმედების სსკ-ის 188-ე მუხლის პირველი ნაწილით კვალიფიკაციას, აღსანიშნავია, რომ ა.კ.-ს მიერ ჩადენილია სხვისი ნივთის გაუფრთხილებლობით დაზიანება, რაც მომეტებული საფრთხის წყაროსთან გაუფრთხილებელი მოპყრობითაა გამოწვეული, ე.ი. დანაშაული, გათვალისწინებული სსკ-ის 188-ე მუხლის მე-2 ნაწილით. ამ შემთხვევაში არასწორად მიგვაჩნია ა.კ.-ს ქმედების აღნიშნული მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის ერთობლიობით კვალიფიკაცია, ვინაიდან მაკვალიფიცირებელი ნიშნით ჩადენილი ქმედება თავისთავად შეიცავს მის მარტივ შემადგენლობას.

ასევე უნდა აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ანალოგიური ქმედების შედეგად ჩადენილია საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა), იგი უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 188-ე და 276-ე მუხლების ერთობლიობით.

მუსლი 189. ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფა

1. საავტორო ან მომიჯნავე უფლების ობიექტის, გამოგონების, სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის, სასელექციო მიღწევის, ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის ავტორობის მითვისება, –

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე.

2. სხვისი საავტორო ან მომიჯნავე უფლების ობიექტის, გამოგონების, სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის, სასელექციო მიღწევის, ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის მართლსაწინააღმდეგოდ, კომერციული მიზნით გამოყენება ან მის თანაავტორობაზე იძულება, –

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე.

3. ამ მუხლის 1-ლი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება:

ა) ჩადენილი არაერთგზის;

ბ) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, – ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი – „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, 1, 2000, №18, მუხლი 45-ე)

1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსში ანალოგიური შემადგენლობა გათვალისწინებული იყო მოქალაქეთა პოლიტიკური და შრომითი უფლებების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში (მუხლი 147-ე, საავტორო და საგამომგონებლო უფლებების დარღვევა), ხოლო ახალ სისხლის სამართლის კოდექსში ეს დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შორის არის მოთავსებული. ეს სისტემური სიახლე იმით არის განპირობებული, რომ ავტორობის უფლების ხელყოფის ძირითადი მიზანი ქონებრივი გამორჩენის მიღებაა. გარდა ამისა, საავტორო უფლების ობიექტი საკუთრების უფლების სხვა ობიექტებისაგან არაფრით არ განსხვავდება. სიახლეა ისიც, რომ 189-ე მუხლით აღწერილი ქმედების შემადგენლობა სისხლის სამართლის წესით იცავს არა მარტო საავტორო უფლებებს, არამედ, ასევე მომიჯნავე უფლებებსაც.

1999 წლის 22 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“, რომლის მიზანია დაიცვას საავტორო ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნისა და გამოყენების დროს (საავტორო უფლებები), აგრეთვე ზოგიერთი მათი მომიჯნავე უფლება, დაკავშირებული შემსრულებლებთან, ფონოგრამის, ვიდეოგრამისა და მონაცემთა ბაზის დამამზადებლებსა და მაუწყებლობის ორგანიზაციებთან (მომიჯნავე უფლებები).

აღნიშნული კანონით დაწერილებით არის რეგლამენტირებული საავტორო და მომიჯნავე უფლებათა ობიექტების შექმნასა და გამოყენებასთან დაკავშირებული ურთიერთობები. საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევისათვის საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

საქართველოს სსკ 189-ე მუხლით აღწერილი ქმედების ობიექტური შემადგენლობა 1999 წელს გამოქვეყნებულ, მის პირვანდელ რედაქციასთან შედარებით უფრო შევიწროვებულია, სახელდობრ, ნაცვლად საავტორო და მომიჯნავე უფლების ხელყოფის ხერხების ფართო სანიმუშო ჩამონათვალისა, 189-ე მუხლის დღევანდელი რედაქცია გვთავაზობს პირველ ნაწილში – საავტორო ან მომიჯნავე უფლების ობიექტის ავტორობის მითვისებას, ხოლო მე-2 ნაწილში – მის მართლსაწინააღმდეგოდ, კომერციული მიზნით გამოყენებას ან თანავტორობაზე იძულებას. ასეთმა შეკვეცილმა შემადგენლობამ შესაძლებელია სასამართლო პრაქტიკას ერთგვარი დაბრკოლებები შეუქმნას საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სისხლისსამართლებრივი წესით დაცვაში იმის გამო, რომ ამ უფლებათა ხელყოფის ხერხები ამომწურავადაა მასში ჩამოთვლილი. გარდა ამისა, სხვისი საავტორო უფლების ობიექტის კომერციული მიზნით გამოყენება არ მოიცავს ამ ობიექტის უკანონოდ დამზადების, გამრავლების, გავრცელების, საჯაროდ შესრულების, გადამუშავების, ნაწარმოებში ცვლილებების შეტანისა და სხვა შემთხვევებს. სასამართლო პრაქტიკას კი, ცხადია, უფლება არა აქვს თვითონ გააფართოოს 189-ე

მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევათა წრე, ეს კი ხელს შეუშლის ხსენებულ შემთხვევათა სწორ იურიდიულ კვალიფიკაციას და დამნაშავეის სამართლიან დასჯას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის მიხედვით 2002 წელს საქართველოს საერთო სასამართლოებს განხილული აქვთ ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფის ორი სისხლის სამართლის საქმე. სახელდობრ, თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ სსკ 69-ე მუხლის საფუძველზე სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლა გ.კ. დაზარალებულთან შერიგების გამო.

საბრალდებო დასკვნით გ.კ-ს ბრალად ედებოდა სხვისი საავტორო უფლების ობიექტის მართლსაწინააღმდეგოდ, კომერციული მიზნით გამოყენება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, დანაშაული გათვალისწინებული სსკ 189-ე მუხლის მე-2 ნაწილით და მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტით.

დანაშაული ჩადენილ იქნა შემდეგ გარემოებებში: ინდემწარმე გ.კ-მ 2002 წლის ივნისში გადაწყვიტა სხვადასხვა პროდუქციის დაბეჭდვა და მოგების მიღება. ამ მიზნით იჯარით აიღო თბილისში ერთ-ერთი კომერციული ორგანიზაციის შენობაში მდებარე სტამბა. ბაზრობაზე შეიძინა თ.წ-ს ავტორობით გამოცემული I, II და III კლასების სასკოლო კალიგრაფიული რვეულები, რომლებზედაც ავტორს საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სახელმწიფო სააგენტოს მიერ მინიჭებული ჰქონდა საავტორო უფლება და შეუდგა მათ ბეჭდვას. გ.კ-მ დაბეჭდილი რვეულების ნაწილის – 60 ცალის რეალიზაცია მოხდინა ბაზრობაზე, ხოლო დანარჩენი პროდუქციის რეალიზაცია ვერ მოასწრო, რადგან მისი საქმიანობა აღკვეთილ იქნა პოლიციის მიერ. გ.კ-ს სტამბაში ჩატარებული დათვალიერების შედეგად ამოღებულ იქნა 770 ცალი მე-3 კლასის რვეული მზა პროდუქციის სახით, 452 ცალი აუკინძავი მე-3 კლასის რვეული, 500 ცალი რვეულის ყდა და სხვა პოლიგრაფიული მასალა. გ.კ-ს მიერ თ.წ-ს სახელზე რეგისტრირებული და საავტორო უფლებით დაცული „კალიგრაფიული რვეულების“ გამოცემითა და რეალიზაციით ავტორს მიაღდა 2000 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

ამრიგად, წინასწარი გამოძიებით დადგენილ იქნა, რომ თ.წ. იყო 1-ლი, მე-2 და მე-3 კლასის სასკოლო კალიგრაფიულ რვეულე-ბზე საავტორო უფლების მფლობელი, რაც რეგისტრირებული იყო საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სახელმწიფო სააგენ-ტოს რეესტრში. თავისი უფლების განცხადებისათვის ავტორს აღნიშნულ ნაშრომზე გამოყენებული ჰქონდა საავტორო უფლების დაცვის საერთაშორისო ნიშანი ©. ამ ნაშრომის უკანონოდ გამოყენე-ბა მე-3 პირთა მიერ ავტორის ნებართვის გარეშე აკრძალულია როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ისე საერთაშორისო სამართლის ნორმებით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სასამართლო სამსჯავრო სხდომაზე დაზარალებულმა იშუამდგომლა გ.კ.-ს მიმართ საქმისწარმოების შეწყვეტა მათ შორის მომხდარი შერიგების გამო. სასამართლომ დააკ-მაყოფილა დაზარალებულის შუამდგომლობა და გ.კ. გაათავისუფლა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან სსსკ 28-ე მუხ-ლის „ლ“ პუნქტის, ამავე მუხლის მეექვსე ნაწილის და სსკ 69-ე მუხლის საფუძველზე. გ.კ.-ს მიმართ საქმის წარმოება შეწყდა.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ 2003 წლის 13 იანვრის განაჩენით გ.ჭ დამნაშავედ ცნო ინტელექტუ-ალური საკუთრების ხელყოფაში, კერძოდ, საავტორო და მომიჯნავე უფლების ობიექტის მართლსაწინააღმდეგოდ, კომერციული მიზნით გამოყენებაში, რაც გამოიხატა შემდეგში: გ.ჭ თავის საცხოვრებელ ბინაში კუსტარულად მოწყობილ აუდიოსტუდიაში ხმის ჩამწერი აპარატურის საშუალებით ყოველგვარი ნებართვის გარეშე, საავ-ტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევით ამზადებდა ქართველ მუსიკოს შემსრულებელთა აუდიოპროდუქციის კონტრაფაქციულ ეგზემპლარებს და ბაზრობა „თერგის“ ტერიტორიაზე მდებარე ჯიხ-ურიდან ახდენდა აუდიო-კასეტების რეალიზაციას. მან 2002 წლის 10 მაისს ლილოს ბაზრობაზე შეიძინა 46 ცალი აუდიო კასეტა და თავის საცხოვრებელ ბინაში შპს სტუდია თბილისის მიერ გამოშვე-ბული აუდიოკასეტებიდან სხვადასხვა ქართული სიმღერები გადაწ-ერა 21 აუდიოკასეტაზე, დაამზადა აუდიოალბომები, გააყალბა ფირ-ნიშები. მე-2 დღეს 16 აუდიოკასეტა სარეალიზაციოდ წაიღო სავაჭრო

ცენტრ „თურგის“ ტერიტორიაზე. მაგრამ, გზაში იგი დააკავა შინაგან საქმეთა სამინისტროს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს მუშაკებმა, რა დროსაც ჩამოერთვა სარეალიზაციოდ გამზადებული კონტრაფაქციული აუდიო-კასეტები და ორი მაგნიტოფონი. იმავე დღეს, მისი ბინიდან ჩხრეკის შედეგად ამოიღეს 30 ცალი აუდიო კასეტა, ორი აუდიო მაგნიტოფონი და ქსეროკოპირებული ფერადი ფირნიშები. გ.ჭ-მ მართლსაწინააღმდეგო ქმედებით დაზარალებული შპს სტუდია თბილისი 360 ლარით დააზარალა. განაჩენით გ.ჭ-ს მსჯავრი დაედო სსკ 189-ე მუხლის მე-2 ნაწილით და შეეფარდა ჯარიმა. განაჩენი არ გასაჩივრებულა.

ამ საქმეში ჩვენი ყურადღება მიიპყრო განსასჯელის ადვოკატის შუამდგომლობამ, რომლითაც იგი მოითხოვდა სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტას იმ მოტივით, რომ სსკ 189-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული კერძო-საჯარო ბრალდებისა იყო და არ არსებობდა დაზარალებულის საჩივარი. ადვოკატმა ჩათვალა, რომ შპს სტუდია „თბილისის“ დირექტორი, რომლის საჩივრის საფუძველზეც აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, არ შეიძლებოდა დაზარალებული ყოფილიყო ამ კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეში.

წინასწარი და სასამართლო გამოძიებით დადგინდა, რომ შპს სტუდია „თბილისს“ გააჩნია ლიცენზია, ქართველ მომღერლებთან ხელშეკრულების საფუძველზე აწარმოოს მათი სიმღერების აუდიო კასეტებზე ჩაწერა-ტირაჟირება და რეალიზაცია პირდაპირ სტუდიიდან. სტუდია „თბილისს“ მართლაც გაფორმებული ჰქონდა ცნობილ ქართველ მომღერლებთან მათ მიერ შესრულებული სიმღერების ტირაჟირებისა და გავრცელების ხელშეკრულებები. აქედან გამომდინარე, მას თავისი დირექტორის მეშვეობით სრული უფლება ჰქონდა, როგორც მომიჯნავე უფლების მფლობელს განცხადებით მიემართა სამართალდამცავი ორგანოებისათვის. მეწარმეთა კანონით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ეკისრება დირექტორს, ამდენად, წინასწარმა გამოძიებამ სწორედ ის ცნო დაზარალებულად. ამ გადაწყვეტილების

სისწორეს ადასტურებს ისიც, რომ საავტორო და მომიჯნავე უფლებების საქართველოს კანონი, მომიჯნავე უფლებათა სუბიექტებად თვლის შემსრულებლებს, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლებსა და მაუწყებლობის ორგანიზაციებს (მუხლი 46-ე). ამავე კანონის 59-ე მუხლის თანახმად, მომიჯნავე უფლებათა მფლობელებს უფლება აქვთ მოითხოვონ დამრღვევისაგან უფლების აღიარება, იმ მოქმედებათა აღკვეთა, რომელიც არღვევს უფლებას ან ქმნის მისი დარღვევის საფრთხეს, ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით და სხვ.

ამგვარად, წინასწარმა გამოძიებამ სავსებით მართებულად წაუყენა ბრალდება გ.ჭ-ს საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევით კონტრაფაქციული აუდიოპროდუქციის დამზადებისა და რეალიზაციისათვის.

ადვოკატი შუამდგომლობის წამოყენების დროს, ერთის მხრივ, შეიძლება მართალიც იყო, რადგანაც სისხლის სამართლის პროცესი უნდა წარიმართოს საპროცესო კანონის ჩარჩოებში, რომელიც ამავე დროს, დაზარალებულად მხოლოდ ფიზიკურ პირს მოიაზრებს. მაგრამ, მე-2ს მხრივ, აღსანიშნავია ისიც, რომ საპროცესო კანონი კოლიზიაშია მატერიალურ სისხლის სამართლის კოდექსთან (მუხლი 189-ე), რომელიც იცავს მომიჯნავე უფლებებსაც, რომლის მფლობელი საავტორო და მომიჯნავე უფლებების კანონის 46-ე მუხლის თანახმად, შეიძლება იურიდიული პირებიც იყვნენ. ვფიქრობთ, რომ აღნიშნულ საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის დადგენით სასამართლომ საინტერესო პრეცედენტი შექმნა. თუმცა მოსამართლემ ნაწილობრივ გაიზიარა ადვოკატის შუამდგომლობა და ჩათვალა, რომ სტუდია „თბილისის“ დირექტორი არასწორად იყო ცნობილი დაზარალებულად. მოსამართლემ გააუქმა მ.შ-ს დაზარალებულად ცნობის დადგენილება, მაგრამ იმავდროულად იგი სამოქალაქო მოსარჩელედ აღიარა. ეს ფაქტი დამაფიქრებელია იმ თვალსაზრისითაც, რომ, ვიდრე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი სსკ 189-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე კერძო-საჯარო დევნას ითვალისწინებს, იურიდიული პირების მომიჯნავე უფლებათა რეალურად დაცვა შეუძლებელი იქნება. ამიტომ სისხლის სამართლის საპროცესო და მატე-

რიალურ კოდექსებს შორის აღნიშნული კოლიზია უნდა აღმოიფხვრას და 189-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე განხორციელდეს საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა¹.

დაბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამომხმარებლო-სარეალიზაციო ბაზარი გაჯერებულია უხარისხო, კონტრაფაქტიული პროდუქციით, რის გამოც ილაჩება, ერთი მხრივ, საავტორო და მომიჯნავე უფლებები, ხოლო, მეორე მხრივ, მომხმარებელთა უფლებები, სასამართლო პრაქტიკა საკმაოდ მწირია მსგავსი კატეგორიის დანაშაულთან დაკავშირებით. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით სისხლის სამართლის საქმეები აღძრულია გაცილებით დიდი რაოდენობით, მაგრამ ისინი ლოგიკურ დასასრულამდე ვერ აღწევენ. ალბათ, ამიტომაც საჭიროა საკითხის ამ კუთხით შესწავლა და იმის გარკვევა, თუ რა უშლის ხელს ამ კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეების ლოგიკურ დასასრულამდე მიყვანას – კანონის არცოდნა, ინტელექტუალური საკუთრების, როგორც კანონით დაცული ინტერესის მნიშვნელობის გაუცნობიერებლობა თუ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.

¹ მსგავს პოლემიკას ბოლო მოუღო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილმა ცვლილებამ (მუხლი 68), რომელიც დაზარალებულად აღიარებს როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირს, რომლის უფლებებიც უშუალოდ დაირღვა სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედების შედეგად. იურიდიული პირი პროცესში მონაწილეობას მიიღებს მისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მეშვეობით. ამრიგად, დასჯის მოთხოვნის უფლების მქონე პირი ყველა შემთხვევაში ჩაითვლება დაზარალებულად.

თავი XXVI

დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ

მუსლი 190. კანონიერი სამეწარმეო საქმიანობისათვის¹ ხელის შეშლა

დაუსაბუთებლად უარის თქმა საწარმოს რეგისტრაციაზე ან სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) გაცემაზე, ანდა მისი ეკონომიკური საქმიანობის უფლების ან თავისუფლების შეზღუდვა, საწარმოს საქმიანობაზე კონტროლის კანონმდებლობის დარღვევით განხორციელება, აგრეთვე მის საქმიანობაში ჩარევა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, –

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ანდა ტუსალობით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

ამ მუხლზე 2000 წლიდან სასამართლო პრაქტიკა არ არსებობს.

მუსლი 191. მიწასთან დაკავშირებული გარიგების შექონის რეგისტრაცია

მიწასთან დაკავშირებული გარიგების უკანონო რეგისტრაცია, სახელმწიფო მიწის კადასტრის სააღრიცხვო მონაცემების დამახინჯება, ანდა მიწის გადასახადის შემცირება ანგარებით, ანდა სხვა პირადი მოტივით, –

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ანდა ტუსალობით ვადით სამ თვემდე ანდა თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

ამ მუხლზე 2000 წლიდან სასამართლო პრაქტიკა არ არსებობს.

მუხლი 192. უკანონო სამეწარმეო საქმიანობა

1. სამეწარმეო საქმიანობა რეგისტრაციის ან სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) გარეშე, ანდა ლიცენზირების პირობის დარღვევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია ან რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება,—

ისჯება ჯარიმით ან ტუსაღობით ვადით ოთხ თვემდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) ჯგუფურად;

ბ) არაერთგზის;

გ) ასეთი დანაშაულისათვის მსჯავრდებულის მიერ,—

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

საქართველოს ახალმა სამოქალაქო კანონმდებლობამ მეწარმეობის თავისუფლება გამოაცხადა. კანონით ყველას აქვს უფლება მისდევდეს მეწარმეობას. უფრო მეტიც, სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეს შეუძლია განახორციელოს კანონით აუკრძალავი, მათ შორის კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი მოქმედება. მაგრამ, ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული სახელმწიფო არანაირ მონიტორინგს არ ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობაზე. ასეთი კონტროლი აუცილებელია საზოგადოებრივი უშიშროების, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ბუნებისა და კულტურულ ფასეულობათა დასაცავად. ამ მიზნით კანონმა შეიძლება აკრძალოს სამეწარმეო საქმიანობის ესა თუ ის სახე, ან სხვადასხვა ხასიათის საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვები დააწესოს მასზე. სახელმწიფო კონტროლი სამეწარმეო საქმიანობაზე აუცილებელია ასევე მეწარმის დასაბეგრად, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის შეესების მნიშვნელოვანი წყაროა. ამ მიზნების მიღწევას ემსახურება მეწარმის რეგისტრაციის დადგენილი წესი და ამა თუ იმ სახის სამეწარმეო საქმიანობაზე სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) მიღების აუცილებლობა. „მეწარმეთა კანონი“ სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევს მართლზომიერ და არაერთგვრად საქმიანობას, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად.

ფიზიკური და იურიდიული პირების სამეწარმეო საქმიანობა ექვემდებარება სავალდებულო სახელმწიფო რეგისტრაციას კანონით დადგენილი წესით. რაც შეეხება სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირებას, საქართველოს 1999 წლის 14 მაისის კანონში „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ განსაზღვრულია ლიცენზიით ნებადართული საქმიანობის სახეები და ლიცენზიის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანოები. ისეთი სახის სამეწარმეო საქმიანობის უფლება, რომელზედაც სავალდებულოა ლიცენზია, წარმოიშობა ნებართვის მიღების მომენტიდან და შეწყდება მისი მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ.

საქართველოს სსკ 192-ე მუხლით აღწერილი ქმედების შემადგენლობა ე. წ. მატერიალურ შემადგენლობათა რიცხვს მიეკუთვნება. მისი ობიექტური მხარე სამი ნიშნით ხასიათდება: ქმედება, შედეგი, რაც გამოიხატება მნიშვნელოვან ზიანში ან დიდი ოდენობით შემოსავლის მიღებაში და მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ობიექტური მხრივ ეს დანაშაული შესაძლებელია შემდეგ ფორმებში გამოიხატოს: 1) სამეწარმეო საქმიანობა რეგისტრაციის გარეშე; 2) სამეწარმეო საქმიანობა საჭირო ნებართვის (ლიცენზიის) გარეშე; 3) სამეწარმეო საქმიანობა ლიცენზირების პირობის დარღვევით. რაც შეეხება ქმედების სუბიექტურ შემადგენლობას, ის პირდაპირ განზრახვას გულისხმობს. მოტივი, როგორც წესი, ანგარებიითაა.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ დაგვარწმუნა¹, რომ ძირითადად პრაქტიკა სწორად აკვალიფიცირებს უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ფაქტებს, თუმცა ზოგჯერ შეცდომებს უშვებენ შემადგენლობის ცალკეული ნიშნების შეფასებისას. ხშირია დაუსაბუთებლად სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტისა და დანაშაულთა ერთობლიობის დროს არასწორი კვალიფიკაციის შემთხვევები.

192-ე მუხლი მოიცავს ქმედების სამ შემადგენლობას და ალტერნატიული შემადგენლობის მქონე დანაშაულის სპეციფიკიდან გამომდინარე, ქმედების თითოეული შემადგენლობა საკმარისი საფუძველია სისხლის-

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის მონაცემებით აღნიშნული კატეგორიის საქმეები სასამართლო პრაქტიკაში საკმაოდ იშვიათია.

სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის. თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ ერთდროულად ქმედების ორი შემადგენლობა გვქონდეს სახეზე. ასე, მაგალითად, თბილისის ისანი-სამგორის რაიონულმა სასამართლომ 2002 წლის 11 ნოემბრის განაჩენით ნ.მ. დამნაშავედ ცნო უკანონო სამეწარმეო საქმიანობაში, რაც გამოიხატა იმაში, რომ რეგისტრაციისა და სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) გარეშე, 2001 წლის ოქტომბრიდან 2002 წლის აპრილამდე, ეწეოდა სამეწარმეო საქმიანობას, კერძოდ, ქ. თბილისში, ერთ-ერთი სევაჭრო კომპანიისაგან იჯარით აღებულ ფართში განათესა აფთიაქი, შეიძინა სხვადასხვა დასახელების მედიკამენტი, რომელთა რეალიზაციით მიიღო დიდი ოდენობით შემოსავალი (2961 ლარი მოგება), ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტი 618,61 ლარით დააზარალა (საქმე №1/554-2002).

ქ. თბილისში საკმაოდ გავრცელებულია უკანონო სამეწარმეო საქმიანობა სათამაშო ბიზნესის სფეროში. ისანი-სამგორის რაიონულმა სასამართლომ 2002 წლის 11 ივლისის განაჩენით მ.კ. დამნაშავედ ცნო უკანონო სამეწარმეო საქმიანობაში, რაც იმით გამოიხატა, რომ მან რეგისტრაციისა და სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) გარეშე გახსნა ელექტროსათამაშო აპარატების სალონი, სადაც 71 დღის განმავლობაში ამუშავებდა ოთხ ცალ სათამაშო აპარატს. კანონით დადგენილი სხვადასხვა გადასახადის გადაუხდელობით სახელმწიფო ბიუჯეტს 2160 ლარი დააკლო (მნიშვნელოვანი ზიანი) (საქმე №31/398 – 2002).

ანალოგიური შინაარსისაა სისხლის სამართლის საქმე კ.ო-ს მიმართ, რომელსაც ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 2 ივლისის განაჩენით მსჯავრი დაედო უკანონო სამეწარმეო საქმიანობისათვის რეგისტრაციისა და სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) გარეშე. მან სათამაშო ბიზნესის უკანონოდ წარმოებით სახელმწიფო ბიუჯეტს დააკლო 5053 ლარი (საქმე №1/400 – 2002).

სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული საწარმო ულიცენზიოდ ანდა ლიცენზირების პირობის დარღვევით ეწევა უკანონო სამეწარმეო საქმიანობას. ასე, მაგალითად, თბილისის ისანი-სამგორის რაიონულმა სასამართლომ 2002 წლის 18 დეკემბრის განაჩენით

ა.ხ. დამნაშავედ ცნო უკანონო სამეწარმეო საქმიანობაში, კერძოდ, სამეწარმეო საქმიანობაში სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) გარეშე და ლიცენზირების პირობების დარღვევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება. ა. ხ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: მან 2001 წლის 13 ივლისს დააფუძნა ინდივიდუალური საწარმო და რეგისტრაციაში გაატარა კანონით დადგენილი წესით. მისი საქმიანობის საგანი იყო საქალაქო მარშრუტებზე მგზავრთა გადაყვანის ორგანიზება და სატრანსპორტო საშუალებების მომსახურება. ა.ხ-მ თავისი ინდივიდუალური საწარმოს სახელით შპს „ავტოსატრანსპორტული რეგულირებიდან“ მიიღო 1010 ცალი სატრანსპორტო საგზაო ბარათი, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელებზე (მომხმარებელზე) გასაცემად დადგენილი წესის შესაბამისად. თავისი სამეწარმეო საქმიანობის დროს ა.ხ-მ დაარღვია საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის კანონი, რომლის 5. 1. მუხლის მოთხოვნით საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის მგზავრთა გადაყვანის, ტვირთის გადაზიდვის, სატრანსპორტო საექსპლუატაციო და სხვა სახეობასთან დაკავშირებული საქმიანობა ხორციელდება სპეციალური ერთიანი ფორმის ნებართვის (სერთიფიკატის) საფუძველზე. მანვე დაარღვია სატრანსპორტო საგზაო ბარათის წარმოებისა და გამოყენების წესი, რომლის მიხედვითაც სატრანსპორტო საგზაო ბარათი ყველა შემთხვევაში არის ავტოსატრანსპორტო კონკრეტულ ერთეულზე ერთი ან მეტი დღის მოქმედების ვადით გაწერილი დოკუმენტი, ვადა განისაზღვრება სატრანსპორტო ამოცანებიდან გამომდინარე და დაფიქსირდება მისი ნებადართული სადგომი ადგილიდან გასვლა-დაბრუნების დროის მიხედვით. ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე ერთ დღეს, როგორც წესი, გაიცემა მხოლოდ ერთი სატრანსპორტო საგზაო ბარათი, სადგომიდან გასვლისა და დაბრუნების განსაზღვრული დროით და სატრანსპორტო საგზაო ბარათის ღირებულება არის 25 თეთრი.

ა.ხ-მ 2001 წლის სექტემბრის თვიდან 2002 წლის 12 აპრილამდე განვლილ პერიოდში ყოველგვარი ნებართვის (ლიცენზიის) გარეშე მოახდინა 1010 ცალი სატრანსპორტო საგზაო ბარათის

გაცემა მსუბუქი ავტომანქანების მძღოლებზე მგზავრების გადაყვანის მიზნით, ნაცვლად ერთი დღისა 15-30 დღის ვადით და თითოეულ მათგანს გადაახდევინა შესაბამისად 5-10 ლარი.

ზემოაღნიშნული უკანონო სამეწარმეო საქმიანობით ა.ხ-მ შპს „ავტოტრანსრეგულირება თბილისს“ დააკლო 5325 ლარი, ხოლო თვითონ კი მიიღო 7090 ლარის შემოსავალი, რითაც მან ჩაიდინა სსკ 192-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული.

უკანონო სამეწარმო საქმიანობის დროს მანვე ჩაიდინა ყალბი დოკუმენტის დამზადება და გასაღება, კერძოდ, არაერთგზის დაამზადა ყალბი საგზაო-სატრანსპორტო ბარათები და გაასაღა ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მფლობელებზე, რითაც ჩაიდინა 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული დანაშაული.

ანალოგიური შინაარსი აქვს სისხლის სამართლის საქმეს კ.ი-ს მიმართ, რომელსაც ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს განაჩენით 2002 წლის 2 მაისს მსჯავრი დაედო უკანონო სამეწარმეო საქმიანობისათვის სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) გარეშე და ლიცენზირების პირობების დარღვევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება.

კ.ი-ს დანაშაული გამოიხატა შემდეგში: მან 2000 წლის სექტემბრის თვეში დააფუძნა და რეგისტრაციაში გაატარა შპს „კემ“, რომლის საქმიანობის საგანი იყო სატრანსპორტო მომსახურება, სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვების განხორციელება და სხვ. მას გააჩნდა საქალაქო მარშრუტებზე მგზავრთა გადაყვანისას ორგანიზებული გადამყვანის შესაბამისობის სერტიფიკატი. მაშასადამე, შპს „კემ“-ს საქალაქო მარშრუტებზე მგზავრთა მომსახურების ნებართვა (სერტიფიკატი) ჰქონდა, მაგრამ არ გააჩნდა ნებართვა მგზავრთა საქალაქთშორისო რეგულარულ გადაყვანაზე. შპს „კემ“-მ 2001 წლის 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე, შპს „საქტრანსავტოსერვისიდან“ მიიღო 3680 ცალი საგზაო-სატრანსპორტო ბარათი (თითოეული ღირებული 25 თეთრად, რაშიც გადაიხდა 920 ლარი), საიდანაც 3111 ცალი გახარჯა მის დაქვემდებარებაში არსებულ ლიცენზირებულ სამარშრუტო ტაქსებზე, ხოლო 569 ცალი უკანონოდ გასცა მსუბუქი ტაქსების

მძლოლებზე, რომლებიც სახელშეკრულებო საფუძველზე მასთან კავშირში არ იყვნენ, თანაც ლიცენზირების პირობის დარღვევით ერთ ცალში – ერთი თვის ვადით, ნაცვლად 25 თეთრისა, გადაახდევინა 6 ლარი. მანვე დაუდგენელი პიროვნებისაგან საქტრანსავტოსერვისის შენობაში, ანუ იქ, სადაც ნამდვილი საგზაო-სატრანსპორტო ბარათების გაცემა ხდებოდა, იაფად შეიძინა 319 ცალი ყალბი ბარათი და მსუბუქი ტაქსის მძლოლებზე გასცა, 1 ცალი – 6 ლარად.

აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებით კ.ი-მ შპს „საქტრანს-სუზრუნველყოფას“ დააკლო 5436 ლარი, თვითონ კი უკანონო სამეწარმეო საქმიანობით მიიღო 5329 ლარის შემოსავალი.

ეჭვს არ ბადებს კ.ი-ს ქმედების კვალიფიკაცია უკანონო სამეწარმეო საქმიანობისათვის სპეციალური ნებართვის გარეშე და ლიცენზირების პირობის დარღვევით. მაგრამ მკითხველი, რომელიც ამ განაჩენს წაიკითხავს, ვერ მიხვდება, რატომ მოეხსნა განსასჯელს ბრალდება 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით.

წინასწარმა გამოძიებამ საკმაოდ დამაჯერებლად დაასაბუთა კ.ი-ს მიერ ყალბი საგზაო სატრანსპორტო ბარათების დამზადებისა და გასაღების ფაქტი (ამოღებული საგზაო-სატრანსპორტო ბარათებით, მოწმეთა ჩვენებებით, გრაფიკული ექსპერტიზის დასკვნით და სხვ.). უფრო მეტიც, ორი მძლოლი, რომლებზეც კ.ი-მ გასცა საგზაო სატრანსპორტო ბარათები, პოლიციამ დააჯარიმა ყალბი სატრანსპორტო საგზაო ბარათებით სარგებლობისათვის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 127¹ მუხლით – საავტომობილო ტრანსპორტზე საგზაო-სატრანსპორტო ბარათის წარმოებისა და მისი გამოყენების წესის დარღვევისათვის. თუკი ამ მძლოლების ქმედება აღმოჩნდა მართლსაწინააღმდეგო, მაშინ, ცხადია, ყალბი ბარათების გამსაღებლის პასუხისმგებლობაც უნდა დამდგარიყო, რადგანაც ამ ფაქტს პრეიუდიციული მნიშვნელობა აქვს. გარდა ამისა, მცდარია მოსამართლის მსჯელობა, რომ საგზაო-სატრანსპორტო ბარათი არ წარმოადგენს 362-ე მუხლით გათვალისწინებულ ოფიციალურ დოკუმენტს. 1998 წლის 22 ივნისს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით, კერძოდ, საავტომობილო ტრანსპორტში სახელმძღვანელო დოკუმენტის მიხედვით საგზაო-სატრანსპორტო ბარათი არის დოკუმენტი, რომელ-

იც იძლევა ინფორმაციას და წარმოადგენს პირველად (სადეკლარაციო) დოკუმენტს ავტომობილის რაობის, კუთვნილების, ტექნიკური მდგომარეობის, შესრულებული სატრანსპორტო სამუშაოს და ფისკალური შედეგის დასაფიქსირებლად. ამ ბლანკებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გასცემენ მხოლოდ შპს საქტრანსუზრუნველყოფასთან სახელშეკრულებო საფუძველზე ურთიერთობაში მყოფი ფიზიკური თუ იურიდიული პირები, რომლებსაც ვალდებულნი არიან დაიცვან მათი გაცემის დადგენილი წესი. ამგვარად, სატრანსპორტო საგზაო ბარათი არის მკაცრი აღრიცხვა-ანგარიშგების დოკუმენტი. 362-ე მუხლით აღწერილი ქმედების შემადგენლობა მმართველობის წესის საწინააღმდეგო დანაშაულთა თავშია და, ამდენად, მისი ამსრულებელი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ფიზიკური პირია. ე.ი. მოსამართლის მსჯელობა, რომ კ.ი. არ იყო საჯარო მოსამსახურე ან მასთან გათანაბრებული პირი, ამიტომ არ შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროს სამსახურებრივი სიყალბისათვის, სრულიად უსაფუძვლოა. საგულისხმოა, რომ ზუსტად ანალოგიური ქმედების ჩადენისათვის ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ 2002 წლის 8 ივლისის განაჩენით ა.ხ-ს მსჯავრი დასდო 192-ე მუხლის 1-ლი ნაწილის და 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის ერთობლიობით (საქმე №1-328-2002); მსგავსი უკანონო სამეწარმეო საქმიანობისათვის მ.ხ-ს ასევე 192-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის ერთობლიობით დაედო მსჯავრი (საქმე №1/440-02).

სასამართლო პრაქტიკის შესწავლისას შეგვხვდა ისეთი შემთხვევებიც, როცა ადამიანს ბრალად შერაცხეს უკანონო სამეწარმეო საქმიანობა სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) გარეშე, მაშინ, როცა მსგავსი საქმიანობა არავითარ ლიცენზირებას არ საჭიროებდა. ასე, მაგალითად, ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 7 თებერვლის განაჩენით ებ-ს მსჯავრი დაედო ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფისა და უკანონო სამეწარმეო საქმიანობისათვის სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) გარეშე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. დანაშაული ჩადენილ იქნა შემდეგ გარემოებებში: ებ-მ 1999 წლის 18 ივნისს მეწარმეთა კანონის შესაბამისად ინდივიდუალური საწარმო დააფუძნა, დადგა აღრიცხვაზე საგადასახადო

ინსპექციაში და მიენიჭა საიდენტიფიკაციო კოდი. საწარმოს საქმიანობის საგანი იყო პოლიგრაფიული საქმიანობა. ამ მიზნით მან იჯარით აიღო ფართი და შეუდგა სამეწარმეო საქმიანობას. 2001 წლის აგვისტოს ბოლოს ეკონომიკური გაჭირვების გამო ავტორებთან შეთანხმების გარეშე დაბეჭდა 720 ცალი მერვე კლასის რუსული ენის სახელმძღვანელო, საიდანაც ნაწილის რეალიზაცია მოახდინა, ხოლო მე-2 ნაწილი მისი სააქროდან საგანგებო ლეგიონის თანამშრომლებმა ამოიღეს. ამით მან ხელი შეუშალა ავტორებს ლეგალურად დაბეჭდილი წიგნის გასაღებაში და მნიშვნელოვნად დააზიანა ისინი.

ამ საქმეში ეჭვს არ ბადებს ე.ბ.-ს ქმედების კვალიფიკაცია 189-ე მუხლით აღწერილი შემადგენლობისათვის – ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფა, მაგრამ სრულიად უსაფუძვლოა მისი ბრალდება უკანონო სამეწარმეო საქმიანობისათვის. როგორც აღვნიშნეთ, იგი კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული მეწარმე იყო, მას პოლიგრაფიული საქმიანობისა და წიგნების ბეჭდვისათვის არავითარი სპეციალური ნებართვა-ლიცენზია არ სჭირდებოდა. უფრო მეტიც, ლიცენზირების კანონში არსად არ წერია, რომ სტამბის დაარსებას ან პოლიგრაფიულ საქმიანობას სპეციალური ლიცენზია სჭირდება. სხვა საქმეა ის, რომ ე.ბ.-მ ავტორებთან შეუთანხმებლად დაბეჭდა სახელმძღვანელო და მათი ინტელექტუალური საკუთრების უფლება დაარღვია, ამისათვის კიდევაც შეეფარდა მას სსკ 189-ე მუხლი, რომელშიც ზუსტად მსგავსი ქმედების შემადგენლობა არის აღწერილი. რაც შეეხება ბრალდებას 192-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, ვფიქრობთ, რომ ე. ბ. უსაფუძვლოდ მისცეს ჯერ პასუხისმგებლობა და შემდეგ დასაჯეს უკანონო სამეწარმეო საქმიანობისათვის (საქმე №1/243-02).

სენაკის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 16 სექტემბრის განაჩენით მ.ბ.-ს მსჯავრი დაედო უკანონო სამეწარმეო საქმიანობისათვის 192-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც გამოიხატა შემდეგში: მ. ბ. რეგისტრაციისა და სპეციალური ნებართვის გარეშე ეწეოდა სამეწარმეო საქმიანობას, კერძოდ, ჯართის შესყიდვასა და მის ჩაბარებას ქ. ფოთში შპს „მეტალექსში“. მან 2001 წლის განმავლობაში აღნიშნული ფირმას ჩააბარა 100 ტონამდე ჯართი და მიიღო 3262 ლარის დასაბეგრი შემოსავალი, ე.ი. დიდი ოდენობით შემოსავალი.

სენაკის საგადასახადო ინსპექციის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად მ.ბ-ს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 2806 ლარის გადახდა. ამრიგად, წინასწარი და სასამართლო გამოძიების მიერ მოპოვებული მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე სენაკის რაიონულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მ.ბ-მ ჩაიდინა უკანონო სამეწარმეო საქმიანობა, ე.ი. სამეწარმეო საქმიანობა რეგისტრაციისა და სპეციალური ნებართვის გარეშე (საქმე №1-89).

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ ჯართის შესყიდვა-ჩაბარებას არაერთი სპეციალური ნებართვა (ლიცენზია) არ სჭირდება. მე-2, ამ საქმის წაკითხვის შემდეგ განცვიფრება ვერ დავმალეთ წინასწარი გამოძიების ზერელობის გამო. კერძოდ, საქმეში არ მოიპოვება არანაირი საბუღალტრო დოკუმენტები შპს „მეტალექსიდან“, სადაც ჯართის ჩაბარება ხდებოდა. საქმეში დევს მხოლოდ შპს მეტალექსის ოთხხაზიანი წერილი (ისიც ბეჭდის გარეშე), რომელიც გვაუწყებს, რომ მ.ბ-ს 2001 წლის განმავლობაში ჩაბარებული აქვს 9457.10 ლარის ოდენობის შავი ლითონის ჯართი. ამ წერილის საფუძველზე მოკვლევის ორგანოს მოთხოვნით სენაკის საგადასახადო ინსპექციას გამოანგარიშებული აქვს ფიზიკური პირის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტისათვის გადაუხდელი თანხა. შემდგომ ამაზეა აგებული მ.ბ-ს მთელი ბრალდება. საგადასახადო ინსპექციის შემოწმების აქტში ერთი სიტყვა არ არის თქმული, თუ რა სახის ეკონომიკურ საქმიანობას ეწეოდა მ.ბ. აქტში ვკითხულობთ, რომ მ.ბ. ეკონომიკურ საქმიანობას ეწეოდა სახელმწიფო რეგისტრაციისა და საგადასახადო ორგანოებში აღრიცხვის გარეშე. კონკრეტულად რა საქმიანობას ეწეოდა, ვერ ვიგებთ. ეს აქტი შემდგომ სიტყვასიტყვით არის გადატანილი ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის დადგენილებაში და საბრალდებო დასკვნაში, და ვერც ამ დადგენილებიდან და ვერც საბრალდებო დასკვნის სარეზოლუციო ნაწილიდან ვერ გაიგებს მკითხველი, რაში სდებენ ბრალს მ.ბ-ს.

აბსოლუტურად იდენტური შინაარსი აქვს სისხლის სამართლის საქმეს რ.გ-ს მიმართ, რომელსაც ასევე სენაკის რაიონული სასამართლოს მიერ დაედო მსჯავრი 2002 წლის 24 ივლისს უკანონო სამეწარმეო საქმიანობისათვის (საქმე №1-86).

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ 192-ე მუხლით აღწერილი ქმედების შემადგენლობა ე.წ. მატერიალურ შემადგენლობათა რიცხვს მიეკუთვნება, ამიტომ კვალიფიკაციის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს უკანონო სამეწარმეო საქმიანობით მნიშვნელოვანი ზიანის ან დიდი ოდენობით შემოსავლის მიღების ფაქტის ზუსტად და უტყუარ მტკიცებულებებზე დამყარებით დადგენას. თუკი კონკრეტულად არ არის გარკვეული ვინ და როგორ დაზიანდა, ანდა რა ოდენობის შემოსავალია მიღებული უკანონო სამეწარმეო საქმიანობით, არ შეიძლება ქმედება დამთავრებულ დანაშაულად ჩავთვალოთ.

ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 25 სექტემბრის განაჩენით ს.მ-ს, რ.მ-სა და ნ.გ-ს მსჯავრი დაედოთ უკანონო სამეწარმეო საქმიანობისათვის სათანადო რეგისტრაციისა და სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) გარეშე ჯგუფურად და არაერთგზის, რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება. საქმის შინაარსი ასეთია: აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეები – ს.მ., რ.მ. და ნ.გ. არ იყვნენ რეგისტრირებული საქართველოს საგადასახადო ინსპექციაში ინდივიდუალურ მეწარმეებად და არ გააჩნდათ სპეციალური ნებართვა (ლიცენზია) საყოფაცხოვრებო მოხმარების საქონლის შექმნა-რეალიზაციისათვის. მიუხედავად ამისა, ისინი 2002 წლის მარტის თვიდან ჯგუფურად, სისტემატურად ეწეოდნენ ქ. თბილისში შპს „ვარკეთილი-96“-ში საოჯახო მოხმარების საქონლით ვაჭრობას, რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება; კერძოდ, 2002 წლის 12 ივლისს აღნიშნულმა პირებმა წინასწარი შეთანხმებით, დიდი ოდენობით შემოსავლის მიღების მიზნით, გარდაბნის რაიონის სოფელ ულიანოვკაში, დაუდგენელი მოქალაქისაგან, 3200 ლარად შეიძინეს 93 დასახელების უცხოური წარმოების პლასტმასის ნაწარმი (სხვადასხვა დანიშნულების საყოფაცხოვრებო ნივთები), რომლებიც იმავე დღეს 7636 ლარად რეალიზაციისა და დიდი ოდენობით, 4436 ლარის, შემოსავლის მიღების მიზნით გარდაბანი-თბილისის სამგზავრო მატარებლით ჩამოიტანეს თბილისში, მაგრამ საქონლის რეალიზაცია ვერ შეძლეს, რადგან ისინი რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე სატრანსპორტო პოლიციის მუშაკებმა ამხილეს.

პირველი დასკვნა, რაც ამ საქმის გაცნობის შემდეგ გავაკეთეთ არის ის, რომ საყოფაცხოვრებო დანიშნულების პლასტმასის ნაწარმით ვაჭრობას არავითარი სპეციალური ლიცენზია არ სჭირდება, ამიტომ გამოძიებისა და სასამართლოს შემაჯამებელ დოკუმენტებში იმის აღნიშვნა, რომ ადგილი ჰქონდა სამეწარმეო საქმიანობას სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) გარეშე, სრულიად ზედმეტია, თუმცა საეჭვო არ არის ის ფაქტი, რომ ისინი სამეწარმეო საქმიანობას ეწეოდნენ უკანონოდ, კერძოდ, რეგისტრაციის გარეშე. მე-2, წინასწარ გამოძიებას არ გაურკვევია კონკრეტულად რა შემოსავალი მიიღეს ამ ადამიანებმა უკანონო სამეწარმეო საქმიანობით, ანდა სახელმწიფო ბიუჯეტს რა დააკლეს. რ.მ-სა და ნ.გ-ს შპს „ვარკეთილი-96“-ის ბაზრობის ღირებულებასთან 2002 წლის 27 მარტს გაფორმებული ჰქონდათ საიჯარო ხელშეკრულება ერთი წლის ვადით, რომლის საფუძველზეც მათ ნაქირავეები ჰქონდათ ფართი ბაზრობის ტერიტორიაზე კომერციული საქმიანობისათვის. ისინი პოლიციამ ამხილა 2002 წლის 12 ივლისს, ე.ი. 2002 წლის 27 მარტიდან 12 ივლისამდე ეწეოდნენ უკანონო სამეწარმეო საქმიანობას, მაგრამ ამ პერიოდში კონკრეტულად რა შემოსავალი მიიღეს, გამოძიებას არ გაურკვევია და მათი ქმედების კვალიფიკაცია დაემყარა ვარაუდს, რომ საოჯახო მოხმარების საქონლით ვაჭრობას თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება. დიდი ოდენობით სარეალიზაციო საქონელი 12 ივლისს დააკავა პოლიციამ (სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით ამოღებული საქონლის ღირებულებამ შეადგინა 7636 ლარი). აქ შეიძლება საკითხი დაისვას დიდი ოდენობით შემოსავლის მიღების მცდელობაზე, წინასწარმა გამოძიებამ და სასამართლომ კი ეს ქმედება დამთავრებულ შედეგიან დანაშაულად შეაფასა. თუკი გამოძიებამ სხვა შემოსავლები ვერ დაამტკიცა და ამ ერთი ეპიზოდით გადაწყვიტა ქმედების კვალიფიკაცია, მაშინ მას მცდელობის შეფასება უნდა მისცემოდა და არა დამთავრებული დანაშაულის. საბრალოდ დასკვნაში თეთრზე შავით წერია, რომ „რ.მ-მ თავისი დანაშაულებრივი ქმედების ბოლომდე მიყვანა ვერ შეძლო მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო“. ეს კი დანაშაულის მცდელობაზე მიანიშნებს.

ადვოკატმა შუამდგომლობაც დააყენა და მოითხოვა წინასწარ გამო-

ძიებას დაკონკრეტებინა, თუ ვინ განიცადა მნიშვნელოვანი ზიანი ბრალდებულთა ქმედებით, ანდა როგორ უნდა მიეღოთ მათ 7636 ლარის სარეალიზაციო ღირებულების მქონე საქონლიდან დიდი ოდენობით შემოსავალი, რომელიც 10000 ლარი ან უფრო მეტი უნდა იყოს. ადვოკატს უარი უთხრეს შუამდგომლობაზე იმ მოტივით, რომ ბაზრობის ღირექციის ინფორმაციით ბრალდებულები რამდენიმე თვის მანძილზე ეწეოდნენ სამეწარმეო საქმიანობას. ვფიქრობთ, ეს არასაკმარისი არგუმენტი იყო ადვოკატის შუამდგომლობაზე უარის თქმისათვის.

ელემენტარულ არითმეტიკას თუ მოვიმარჯვებთ, რ.მ-სა და ნ.გ-ს 7636 ლარის სარეალიზაციო ღირებულების საქონლიდან, მისი შექენის თანხის გამოკლებით, დარჩებოდათ თითოეულს 2218 ლარის შემოსავალი, მაგრამ აქ ლაპარაკია მისაღებ შემოსავალზე და არა უკვე მიღებულ შემოსავალზე.

სასამართლომ განსასჯელთა ქმედების კვალიფიკაცია მოახდინა 192-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ პუნქტებით.

ქ. თბილისის სხვა რაიონულმა სასამართლომ მსგავსი ქმედება უკანონო შემოსავლის მიღების მცდელობად შეაფასა.

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ 2002 წლის 30 ივლისის განაჩენით ტ.ნ. დამნაშავედ ცნო მასზედ, რომ ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაციისა და სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) გარეშე 2002 წლის 6 მაისს, ქ. თბილისში, ცენტრალური სუპერმარკეტის ტერიტორიაზე, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან 3150 ლარად შეიძინა 450 კგ ზუთხის სახეობის თევზი, რომელიც შემდგომი რეალიზაციის მიზნით მაცივარში შეინახა. მანვე, 2002 წლის 17 მაისს იმავე პირისაგან შეიძინა 330 კგ. თევზი და იმავე მაცივარში მოათავსა. სულ ორივე შემთხვევაში შეიძინა 780 კგ ზუთხის სახეობის თევზი და გადაიხადა 5460 ლარი, ხოლო მისი რეალიზაცია უნდა მოეხდინა 8580 ლარად და მიეღო დიდი ოდენობით შემოსავალი, 3120 ლარის მოგება. იგი 2002 წლის 18 მაისს ამხილეს სატრანსპორტო პოლიციის თანამშრომლებმა. სასამართლომ ტ.ნ-ს ქმედების კვალიფიკაცია მოახდინა 19-192-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, ე.ი. როგორც უკანონო სამეწარმეო საქმიანობის მცდელობა.

ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონულმა სასამართლომ 2002 წლის 28 მარტის განაჩენით თ.ბ. დამნაშავედ ცნო უკანონო სამეწარმეო საქმიანობაში რეგისტრაციისა და სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) გარეშე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. წინასწარმა გამოძიებამ დაადგინა, რომ თ.ბ-მ 2001 წლის მარტის თვეში გლდანის რაიონის ტერიტორიაზე გახსნა ელექტროსათამაშო აპარატების სალონი, მიიტანა რამდენიმე სათამაშო ელექტრონული აპარატი და შეიღი თვის განმავლობაში ეწეოდა უკანონო სამეწარმეო საქმიანობას. საბრალდებო დასკვნის მიხედვით, თ.ბ-მ სახელმწიფო ბიუჯეტს მიაყენა 5900 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი. სასამართლო გამოძიებით დადგინდა, რომ სათამაშო აპარატების სალონი ფუნქციონირებდა არა 7, არამედ 3 სათამაშო აპარატი და სახელმწიფოსათვის გადაუხდელი თანხაც აქედან უნდა ყოფილიყო გამოანგარიშებული. ასევე დაზუსტდა სალონის ფუნქციონირების ვადაც, ნაცვლად შეიღი თვისა, ვადა 2001 წლის მარტიდან 16 ოქტომბრის ჩათვლით. აქედან გამომდინარე, სათამაშო ელექტრო აპარატების სალონის ორგანიზებაზე სალიცენზიო მოსაკრებელს – 1000 ლარს დაემატა ყოველთვიური გადასახადი თითოეულ ერთეულ სათამაშო აპარატზე და, საბოლოო ჯამში, სალონის ფუნქციონირების პერიოდში თ.ბ-მ სახელმწიფოს მიაყენა 1800 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი (საქმე №7401312).

ამ საქმის გაცნობისას ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმა, რომ სასამართლომ წინასწარი გამოძიების მიერ ეჭვებსა და ვარაუდებზე დამყარებული ზიანის ოდენობა უფრო დაზუსტა, ბრალიდან ამორიცხა შეიღი თვის მანძილზე შეიღი აპარატის ფუნქციონირება და ამის მიხედვით გამოანგარიშებული მნიშვნელოვანი ზიანი, საბოლოოდ კი მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებზე დაყრდნობით გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი, ეჭვები კი განსასჯელის სასარგებლოდ გადაწყვიტა. მართლაც, მსგავსი კატეგორიის საქმეებზე კვალიფიკაციისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზიანის ოდენობის ზუსტად დადგენას.

ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ 2002 წლის 17 ივნისის განაჩენით ბ.გ. დამნაშავედ ცნო უკანონო სამეწარმეო საქმიანობაში რეგისტრაციისა და სპეციალური ნებართვის გარეშე, რამაც

მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, რაც გამოიხატა იმაში, რომ მან ქ. თბილისში, დიდი დიდმის დასახლების ტერიტორიაზე, საიჯარო ხელშეკრულებით აიღო საწვავ-გასამართი კონტეინერი, სხვადასხვა პირებისაგან შეიძინა დიზელის საწვავი და სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორების გარეშე სამეწარმეო საქმიანობას ეწეოდა. შემოწმების შედეგად საგადასახადო ინსპექციამ ავტოგასამართი სადგურის ოპერატორის შავი ჩანაწერების რვეულიდან დაადგინა, რომ 2001 წლის იანვრიდან 12 თებერვლამდე მიღებული და რეალიზებული იყო 11345 ლიტრი დიზელის საწვავი. 2001 წლის 12 თებერვალს პოლიციის მიერ დალუქულ კონტეინერში აღმოჩნდა 627 ლიტრი საწვავი. საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად ბ. გ-ს განხორციელებული სამეწარმეო საქმიანობისათვის სახელმწიფო ბიუჯეტისათვის უნდა გადაეხადა საშემოსავლო გადასახადი, სამეწარმეო გადასახადი და საგზაო ფონდის არასაბიუჯეტო გადასახადი. ჯამში ამ თანხამ შეადგინა 130 ლარი და 46 თეთრი. განაჩენით ბ.გ-ს მსჯავრი დაედო 192-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

ამ საქმემ ჩვენი ყურადღება იმის გამო მიიქცია, რომ სასამართლომ სახელმწიფო ბიუჯეტისათვის 130 ლარი მნიშვნელოვან ზიანად შეაფასა (№7401074).

სისხლის სამართლის კოდექსის 192-ე მუხლით განხილულ საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, შემაჯამებელი დასკვნის სახით, შეიძლება აღინიშნოს შემდეგი:

1. უკანონო სამეწარმეო საქმიანობა ალტერნატიული შემადგენლობის მქონე დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება. 192-ე მუხლში მოცემულია ქმედების რამდენიმე შემადგენლობა, რომელთაგან თითოეული საკმარისი საფუძველია სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის. სამართალშემფარდებელი ორგანოები ხშირად არ აკონკრეტებენ 192-ე მუხლის აღწერილი ქმედების რომელი შემადგენლობა განხორციელდა, რეგისტრაციისა ან ლიცენზიის გარეშე, თუ ორივე ერთად. ზოგჯერ მხოლოდ ერთი შემადგენლობაა განხორციელებული და მაინც ორს მიუთითებენ, რაც მცდარ პრაქტიკად უნდა ჩაითვალოს.

2. 192-ე მუხლით აღწერილი ქმედების შემადგენლობა მატერი-ალურია, ამიტომ კვალიფიკაციის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს

უკანონო სამეწარმეო საქმიანობით მნიშვნელოვანი ზიანის ან დიდი ოდენობით შემოსავლის მიღების ფაქტის ზუსტად დადგენას. 192-ე მუხლში შედეგიც ალტერნატიულად არის წარმოდგენილი, ამიტომ პასუხისმგებლობისათვის საკმარისია ან მნიშვნელოვანი ზიანის დადგომა ან დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება. სასამართლო პრაქტიკაში ზოგჯერ არ ახდენენ ამ შედეგების დიფერენციაციას. ამასთანავე, სამართალშემფარდებლები ძალიან სუბიექტურნი არიან მნიშვნელოვანი ზიანისა და დიდი ოდენობის უკანონო შემოსავლის შეფასებაში. სისხლის სამართლის კოდექსის სისტემის ერთიანობიდან გამომდინარე, არ შეიძლება ბიუჯეტის დაზიანება და დიდი ოდენობით უკანონო შემოსავალი სხვადასხვა ქმედების შემადგენლობაში სხვადასხვანაირად გვესმოდეს. ასე მაგალითად, სსკ 194-ე მუხლი დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლად თვლის შემოსავალს ათი ათასი ლარის ზევით, ხოლო 214-ე მუხლი სახელმწიფო ბიუჯეტისათვის დიდი ოდენობის ზიანად მიიჩნევს 3000 ლარის ოდენობის ზიანს. ამ საკითხს სერიოზული შესწავლა სჭირდება, არც ეს უნდა იყოს ადვილი გადასაწყვეტი. მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანი ზიანის შეფასება საბოლოოდ მაინც მოსამართლის შეხედულებით უნდა მოხდეს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის სისტემის საფუძველზე, რაც შეეხება დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის მიღების ფაქტს, ვფიქრობთ, არასწორი იქნება, თუკი მას სხვადასხვაგვარად გავიგებთ სსკ 192-ე და 194-ე მუხლებით აღწერილ შემადგენლობებში.

3. რამდენადაც სამეწარმეო საქმიანობა ნორმატიული აქტებით რეგლამენტირებული საქმიანობაა, ამდენად, წინასწარი გამოძიებისა და სასამართლოს შემაჯამებელ დოკუმენტებში, 192-ე მუხლით ქმედების კვალიფიკაციის დროს, კონკრეტულად უნდა მიეთითოს თუ რომელი ბლანკეტური ნორმა დაირღვა, სამეწარმეო საქმიანობის კანონი, სალიცენზიო მოსაკრებლის კანონი და სხვ.

მუსლი 193. ცრუ მეწარმეობა

ცრუ მეწარმეობა, ესე იგი საწარმოს შექმნა სამეწარმეო საქმიანობის განზრახვის გარეშე, კრედიტის ან სხვაგვარი ქონებრივი სარგებლის მიღების ანდა აკრძალული საქმიანობის დაფარვის მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, —

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

განსახილველი დანაშაულის საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ საწარმო იურიდიულად შექმნილია, ე.ი. კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულია, მაგრამ შექმნილია ფიქტიურად. დამფუძნებლის მიზანია არა წესდებით გათვალისწინებული სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება, არამედ უკანონო ხერხებით ქონებრივი სარგებლის მიღება ან ფორმალურად ლეგიტიმური საწარმოს ზურგს უკან აკრძალული, მათ შორის დანაშაულებრივი საქმიანობის წარმოება (მაგალითად, იარაღის, ნარკოტიკული საშუალების წარმოება და ა.შ.).

ამგვარი ფიქტიური საწარმოს საქმიანობა აზიანებს სახელმწიფოს ფინანსურ ინტერესებს, ასევე ეკონომიკური საქმიანობის სხვა სუბიექტებსა და ცალკეულ მოქალაქეებს.

საწარმოს შექმნის წესი განსაზღვრულია კანონით „მეწარმეთა შესახებ“ და მოიცავს მთელი რიგი სადამფუძნებლო დოკუმენტების მომზადებას რეგისტრაციისათვის. საწარმოს შექმნის პროცესი მთავრდება მისი რეგისტრაციით, ასევე ამა თუ იმ სახის სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) მიღებით. ამით ფიქტიური საწარმოს გარეგნულად კანონიერი საქმიანობა მთავრდება. შემდეგ მისი დამფუძნებლები ახორციელებენ სხვადასხვა სახის მოქმედებებს ქონებრივი სარგებლის უკანონოდ მისაღებად ან აკრძალული საქმიანობის დასაფარად. ეს შეიძლება იყოს კრედიტის მიღება, უკანონო ფინანსური ოპერაციების განხორციელება, ფიქტიური გარიგებების დადება და ა.შ.

განსახილველი დანაშაულის შემადგენლობა მატერიალურია. დანაშაული დამთავრებულია მოქალაქის, ორგანიზაციის ან სახელმ-

წიფოს მნიშვნელოვანი დაზიანების მომენტიდან. მნიშვნელოვანი ზიანი შეფასებითი კატეგორიაა და იგი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლომ უნდა დაადგინოს საქმის გარემოებებიდან გამომდინარე. ამ საკითხის გადაწყვეტისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, მაგალითად, დაუბრუნებელი საბანკო კრედიტის ოდენობა, უკანონოდ გადასახადებისაგან გათავისუფლების ან საგადასახადო შეღავათების მიღების შედეგად სახელმწიფოს დაზიანების მოცულობა, მოქალაქეთაგან მოტყუებით მიღებული ფულადი სახსრების რაოდენობა და ა. შ. აუცილებელია დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი დამნაშავეს ქმედებასა და დამდგარ შედეგს-მნიშვნელოვან ზიანს შორის.

ქმედების სუბიექტური შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია მიზანი. ამიტომ მის დადგენას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს განსახილველი დანაშაულის არსებობისათვის. დამნაშავეს მიზანია არა კანონიერი სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება, არამედ მოგების მიღება უკანონო ხერხებით. ეს მიზანი უნდა არსებობდეს სამეწარმეო ორგანიზაციის შექმნის მომენტში. თუ ასეთი სპეციალური მიზანი დამფუძნებელს თავიდან არ ჰქონდა და იგი მხოლოდ საწარმოს შექმნის შემდეგ წარმოეშვა, განსახილველი დანაშაულის შემადგენლობა არ გვექნება.

ცრუ მეწარმეობა ლატენტურ დანაშაულთა რიცხვს განეკუთვნება. 2002 წლის განმავლობაში საქართველოში ამ დანაშაულისათვის მსჯავრდების სულ 7 შემთხვევა დაფიქსირდა. ძირითადად, ეს საქმეები შეეხება საწარმოს შექმნას იმ მიზნით, რომ ცრუ მეწარმემ საწარმოს დაფუძნების შემდეგ მიღებული საგადასახადო ანგარიშფაქტურების რეალიზაციის შედეგად შემოსავალი მიიღოს.

2002 წლის 19 სექტემბერს გ.კ-ოვმა რეგისტრაციაში გაატარა ინდივიდუალური საწარმო „გ.კ-ოვი“. მას მიენიჭა საიდენტიფიკაციო ნომერი, ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის საგადასახადო ინსპექციაში საწარმოში გაიარა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაცია, მასზე გაიცა სერტიფიკატი №06167. 20 სექტემბერს გ.კ-ოვის განცხადების საფუძველზე საგადასახადო ინსპექციიდან ინდივიდუალურ საწარმო „გ.კ-ოვზე“ გაიცა 50 ნომერი საგადასახადო ანგარიშფაქტურა სერია-აა-03 №078241-№078290 და ამდენივე სასაქონლო ზედნაღები სერია

ა-03 №106791-№106840. გ.კ-ოვმა მიღებული საგადასახადო დოკუმენტები, საწარმოს რეგისტრაციის დოკუმენტებთან ერთად, შეთანხმებისამებრ, საგადასახადო ინსპექციის შენობაშივე შეუვსებლად გადასცა ი.ბ-ელსა და დ.ა-ძეს. მათ რეალიზაცია გაუკეთეს მიღებულ საგადასახადო ანგარიშფაქტურებსა და სასაქონლო ზედნაღებებს სხვადასხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე. საწარმოს დაარსებიდან გ.კ-ოს არავითარი კომერციული საქმიანობა არ უწარმოებია.

საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის მონაცემებით, ინდივიდუალური საწარმო „გ.კ-ოვის“ საგადასახადო ანგარიშფაქტურებით სხვადასხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს ფიქციური მიწოდება-გადახდის პირობებში სახელმწიფო ბიუჯეტში დამატებითი ღირებულების გადასახადის სახით გადახდილად ჩათვალათ 186 288 ლარი, რითაც მნიშვნელოვნად დაზიანდა სახელმწიფო ინტერესები.

გ.კ-ოვმა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 193-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში თავი მთლიანად ცნო დამნაშავედ და აღნიშნა, რომ 2001 წლის სექტემბერში (რიცხვი არ ახსოვს), ბიძაშვილის ნ.კ-ოვისაგან შეიტყო, რომ ამ უკანასკნელის მეგობრები რეგისტრაციაში ატარებდნენ ინდივიდუალურ საწარმოებს, რის საფუძველზეც საგადასახადო ინსპექციებიდან იღებდნენ საგადასახადო ანგარიშფაქტურებს, რასაც უკეთებდნენ რეალიზაციას და შოულობდნენ ფულს. ნ.კ-ოვმა მასაც შესთავაზა დაეფუძნებინა ინდივიდუალური საწარმო და მიღებული საგადასახადო დოკუმენტები გაეყიდა. მცირე ყოყმანის შემდეგ იგი დათანხმდა, რადგან მატერიალურად ძალიან უჭირდა. 2001 წლის 19 სექტემბერს ნ.კ-ოვმა მას გააცნო ი.ბ-ელი და დ.ა-ძე, რომლებიც ცრუ მეწარმეებისაგან ყიდულობდნენ საგადასახადო ანგარიშფაქტურებს, შემდეგ კი სხვადასხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე ყიდდნენ. ი.ბ-ელი და დ.ა-ძე დაეხმარნენ გ.კ-ოს საწარმოს რეგისტრაციასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებაში. შემდეგ კი მისგან შეიძინეს საგადასახადო დოკუმენტები.

გ.კ-ოვმა ასევე აღნიშნა, რომ ინდივიდუალური საწარმო „გ.კ-ოვის“ რეგისტრაციისას მას სამეწარმეო საქმიანობის განზრახვა არ

ჰქონია და არც რაიმე უწარმოებია. მისი მიზანი იყო მხოლოდ საგადასახადო ანგარიშფაქტურების აღება და ი.ბ-ელისა და დ.ა-ძისათვის მიყიდვა. შეთანხმებისამებრ მათ მისთვის უნდა გადაეხადათ 500 ლარი, თუმცა პირობა დაარღვიეს და ნაწილ-ნაწილ მისცეს სულ 75 ლარი. გარდა ამისა, უყიდეს ნახმარი ქურთუკი. ბრალდებულმა ასევე აღნიშნა, რომ საგადასახადო დოკუმენტებში მას არაერთარი მონაცემები არ შეუტანია. ისინი მიღებისთანავე, საგადასახადო ინსპექციის შენობაშივე გადასცა ბ-ელსა და ა-ძეს. როგორ გამოიყენეს მათ ეს ანგარიშფაქტურები ან ვის მიჰყიდეს, მისთვის უცნობია.

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ 2002 წლის 26 აგვისტოს განაჩენით გ.კ-ოვს მსჯავრი დასდო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 193-ე მუხლით. სასჯელის დანიშვნისას სასამართლომ გაითვალისწინა, რომ გ.კ-ოვმა აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული, განიცდის მძიმე ეკონომიურ გაჭირვებას, კმაყოფაზე ჰყავს მეუღლე და არასრულწლოვანი შვილები. გ.კ-ოვს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლის ვადით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-65-ე მუხლების თანახმად, დანიშნული სასჯელი ჩაეთვალა პირობით ერთი წლის გამოსაცდელი ვადით. მას აეკრძალა დანიშნითი თანამდებობის დაკავება სახელმწიფო სამსახურში ერთი წლის განმავლობაში.

1999 წლის 30 დეკემბერს მ. გ-შვილმა რეგისტრაციაში გაატარა შპს „კროკუს-ინტერი“. 2000 წლის 3 თებერვალს მან, როგორც საწარმოს დამფუძნებელმა, დიდუბის რაიონის საგადასახადო ინსპექციიდან გამოიტანა 20 ერთეული საგადასახადო ანგარიშფაქტურა №193921-№193940, სერია „ე“. მ.გ-შვილმა შპს „კროკუს-ინტერის“ მრგვალი ბეჭედი და შეუვსებელი საგადასახადო ანგარიშფაქტურები გამოსაყენებლად გადასცა ბიძაშვილს – გ.გ-შვილს, რაშიც ამ უკანასკნელისაგან სხვადასხვა დროს გარკვეული თანხა მიიღო.

გ.გ-შვილმა, საგადასახადო ანგარიშფაქტურების გაყალბების გზით, შპს „კროკუს-ინტერის“ სახელით სხვადასხვა დროს განაზოციელა საფინანსო-სამეურნეო ხასიათის ოპერაციები, რომელთა შედეგად თავი აარიდა გადასახადების გადახდას ბიუჯეტის სასარგებლოდ. კერძოდ, დამატებითი ღირებულების გადასახადისა – 2651,14

ლარი, ეკონომიკური საქმიანობის გადასახადის – 1312,97 ლარი, მოგების გადასახადის-30017,08 ლარი. სულ სახელმწიფო ბიუჯეტს მიაღმა 57845,61 ლარის ზიანი.

მ.გ-შვილმა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 193-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ ცნო. როგორც მან აღნიშნა, ბიძაშვილი გ. გ-შვილი შეჰპირდა, რომ „ფულს გააკეთებინებდა“, თუ რეგისტრაციაში გაატარებდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, ხოლო შემდეგ ანგარიშფაქტურებსა და სხვა დოკუმენტებს მას გადასცემდა. ეკონომიკური გაჭირვების გამო იგი დათანხმდა ამ წინადადებას და სამეწარმეო საქმიანობის განზრახვის გარეშე დააფუძნა შპს „კროკუს-ინტერი“. დაფუძნებული საწარმოს სახელით მას არანაირი სამეწარმეო საქმიანობა არ განუხორციელებია და არავითარ დოკუმენტზე ხელი არ მოუწერია. „კროკუს-ინტერის“ სახელით საფინანსო-სამეურნეო ხასიათის ოპერაციებს გ.გ-შვილი ახორციელებდა, რომელსაც ჰქონდა ბეჭედი, ანგარიშფაქტურები და საქმიანობის შესახებ მას საქმის კურსში არ აყენებდა. ანალოგიური ჩვენება მისცა გ.გ-შვილმა.

სასამართლო-გრაფიკული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, შპს „კროკუს-ინტერის“ ბეჭდით დამოწმებულ შემოსავლის ქვითარზე, საგადასახადო ანგარიშფაქტურებზე მ.გ-შვილის სახელით ხელმოწერები შესრულებულია არა მ.გ-შვილის, არამედ გ.გ-შვილის მიერ.

მ.გ-შვილს მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ-ის 193-ე მუხლით და სასჯელის ზომად შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა ორი წლის ვადით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-65-ე მუხლების თანახმად, დანიშნული სასჯელი ჩაეთვალა პირობით, ორი წლის გამოსაცდელი ვადით.

მ.გ-შვილს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 5784,61 ლარის გადახდა.

ანალოგიურ შემთხვევებში პირი, რომელმაც დაიყოლია მე-2 პირი ცრუ მეწარმეობაზე, პასუხს აგებს სისხლის სამართლის კოდექსის 24-193-ე მუხლებით.

მუხლი 194. უკანონო შექმოსავლის ლეგალიზაცია

1. უკანონო შექმოსავლის ლეგალიზაცია, ესე იგი ფულისათვის ან სხვა ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა, აგრეთვე უკანონო შექმოსავლის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, ქონების ნამდვილი მესაკუთრის ან მფლობელის, ანდა ქონებრივი უფლების დამალვა,—

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

2. იგივე ქმედება:

ა) ჯგუფურად;

ბ) არაერთგზის;

გ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;

დ) რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შექმოსავლის მიღება,—

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათ წლამდე და ჯარიმით.

შენიშვნა: ამ მუხლში დიდ ოდენობად ითვლება შექმოსავალი ათი ათასი ლარის ზევით.

(საქართველოს 2000 წლის 30 ივნისის კანონი— „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, I, 2000. № 27, მუხლი 83-ე)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სასამართლო სტატისტიკისა და ინფორმატიზაციის განყოფილების მონაცემებით, სასამართლო პრაქტიკა ამ მუხლთან დაკავშირებით არ არსებობს.

მუხლი 195. მონოპოლიური საქმიანობა და კონკურენციის შეზღუდვა

მონოპოლიური საქმიანობა მონოპოლიურად მაღალი ან დაბალი ფასების დაწესებით, აგრეთვე კონკურენციის შეზღუდვა ბაზრის გაყოფის, ბაზარზე გავლენის შენარჩუნების, ეკონომიკური საქმიანობის სხვა სუბიექტის ბაზრიდან გაძევების, ანდა ერთიანი საბაზრო ფასის დადგენის ან შენარჩუნების გზით, –

1. ისჯება ჯარიმით ან ტუსაღობით ვადით სამ თვემდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) ჯგუფურად;

ბ) არაერთგზის; –

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე.

3. ამ მუხლის 1-ლი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით, აგრეთვე სხვისი ნივთის დაზიანებით ან განადგურებით, ანდა მისი დაზიანების, ან განადგურების მუქარით, თუ არ არსებობს გამოძალვის ნიშნები, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე და ჯარიმით.

ამ მუხლზე 2000 წლიდან სასამართლო პრაქტიკა არ არსებობს.

მუხლი 196. სასაქონლო ნიშნის ან სხვა კოეფერციული აღნიშვნის მართლსაწინააღმდეგოფ გამოყენება

1. სხვისი სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის იდენტური ან საფირმო სახელწოდების უკანონოდ გამოყენება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, –

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე.

2. არარეგისტრირებულ სასაქონლო (მომსახურების) ნიშანთან, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებასთან ან გეოგრაფიულ აღნიშვნასთან ერთად გამაფრთხილებელი აღნიშვნის ყალბი მითითება, –

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც სათამდე, ანდა გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე.

3. ამ მუხლის 1-ლი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი არაერთჯერად, –

ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან ტუსაღობით ვადით ოთხ თვემდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ანდა ჯარიმით.

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი – „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, 1, 2000, №18, მუხლი 45-ე).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალური სტატისტიკით 2002 წელს საქართველოს საერთო სასამართლოებში სსკ 196-ე მუხლით საქმეები არ განხილულა. თუმცა, როცა ჩვენ ფალსიფიკაციის სასამართლო პრაქტიკას ვეცნობოდით, მასთან ერთობლიობაში სხვისი სასაქონლო ნიშნის გამოყენების რამდენიმე შემთხვევა შეგვხვდა. იყო სწორი კვალიფიკაციის შემთხვევებიც და, ამავე დროს, დაუსაბუთებლად სისხლის სამართლის საქმეთა შეწყვეტის ფაქტებიც.

ამ პრეცედენტებზე მსჯელობა ქვემოთ, ფალსიფიკაციასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკის ანალიზის დროს გვექნება.

მუსლი 197. ფალსიფიკაცია

1. ფალსიფიკაცია, ესე იგი მოტყუებით ნივთის თვისებრიობის შეცვლა მწარმოებლის ან გამსაღებლის მიერ, ჩადენილი ანგარებით, - ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უმისოდ,-

2. იგივე ქმედება, ჩადენილი არაერთგზის,-

ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

3. ამ მუხლის 1-ლი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც საფრთხე შეუქმნა ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი - „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, 1, 2000, №18, მუხლი 45-ე)

ანალოგიური დანაშაული გათვალისწინებული იყო საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 162-ე მუხლითაც, მაგრამ ახალმა სისხლის სამართლის კოდექსმა, 197-ე მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, ფალსიფიკაციისათვის უფრო შეავიწროვა პასუხისმგებლობის საზღვრები. აღნიშნული ქმედების კრიმინალიზაცია იმთავითვე მიზნად ისახავდა დამატებითი გარანტიების შექმნას საქართველოს ერთიან სასაქონლო ბაზარზე მეწარმე სუბიექტების საქმიანობისათვის, საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობისა და საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობისათვის, აგრეთვე, სახელმწიფოს საფინანსო ინტერესების დაცვას, როცა ფალსიფიკაცია ბიუჯეტში შესატანი თანხების შესამცირებლად ხდება, მომხმარებელთა დაცვას პროდუქციის დამამზადებ-

ლის (გამყიდველის) არაკეთილსინდისიერებისაგან, პროდუქციის წარმოების სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის წესების დაცვას. აქედან გამომდინარე, ამ დანაშაულის უშუალო ობიექტი არა მხოლოდ სამეწარმეო ურთიერთობებია, არამედ, აგრეთვე სახელმწიფოს საფინანსო და მომხმარებელთა ინტერესები. დანაშაულის საგანი შეიძლება იყოს როგორც სამრეწველო, ისე სასურსათო საქონელი (ნივთები).

197-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის – ფალსიფიკაციის – ობიექტური მხარე გამოიხატება მოტყუებით ნივთის თვისებრიობის შეცვლაში. ნივთის თვისებრიობის შეცვლა-არშეცვლის საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა ამოვიდეს იქიდან, თუ რა სახის ნივთთან (საქონელთან, პროდუქციასთან) აქვს საქმე. ამასთანავე, ამ საკითხის გადაწყვეტა სპეციალურ ცოდნას მოითხოვს და ჩატარებულ უნდა იქნეს საქონელმცოდნეობის, ქიმიური ან სხვა სახის ექსპერტიზები. ფალსიფიკაციის ამსრულებელი შეიძლება იყოს ნივთის მწარმოებელი ან გამსაღებელი. რაც შეეხება დანაშაულის სუბიექტურ მხარეს, ის პირდაპირ განზრახვას გულისხმობს. სუბიექტური მხარის საეაღდებულო ნიშანია მოტივი – ანგარება.

ზოგადად ასე შეიძლება დავახასიათოთ მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ფალსიფიკაციის შემადგენლობა.

საქართველოს სასაქონლო ბაზარზე დღეისათვის შექმნილი მდგომარეობა ნათლად მიგვანიშნებს იმაზე, რომ სასაქონლო ბაზრის დიდი ნაწილი გაჯერებულია ფალსიფიცირებული პროდუქციით, რითაც ირღვევა როგორც კეთილსინდისიერ მეწარმეთა ინტერესები და მომხმარებელთა უფლებები, ისე სახელმწიფოს საფინანსო ინტერესები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის მონაცემებით 2002 წელს საქართველოს საერთო სასამართლოებს განხილული აქვთ ფალსიფიკაციის 196 საქმე. როგორი სურათია სასამართლო პრაქტიკაში?

მეტად საინტერესოა სისხლის სამართლის საქმე ვ. ადამიას მიმართ (გვარი ტექსტში შეცვლილია): წინასწარმა გამოძიებამ დაადგინა, რომ ვ. ადამიამ ჩაიღინა ფალსიფიკაცია, ე.ი. ნივთის თვისებრიობის შეცვლა

მწარმოებლის მიერ, ჩადენილი ანგარებით და არაერთგზის. მანვე უკანონოდ გამოიყენა სხვისი სასაქონლო ნიშანი, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი არაერთგზის; მანვე ჩაიდინა მომხმარებლის მოტყუება წონაში, მისთვის მცდარი წარმოდგენის შექმნით საქონლის სამომხმარებლო თვისებებისა და ხარისხის შესახებ, რამაც მომხმარებელი მნიშვნელოვნად დააზიანა. ვ. ადამიას მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: 2002 წლის 29 ნოემბერს ვ. ადამიამ ქ. თბილისის გლდნის რაიონის სასამართლოში რეგისტრაციაში გაატარა ინდივიდუალური საწარმო, რომლის ხელმძღვანელიც თვითონ იყო. იმავდროულად იგი გადასახადის გადამხდელად აღრიცხვაზე დადგა საგადასახადო ინსპექციაში და მიენიჭა საიდენტიფიკაციო კოდი. 2000 წლის 1 დეკემბერს ვ. ადამიამ ხელშეკრულება გააფორმა შპს „ალ-ან-სი“-სთან სამეურნეო ობიექტის სტანდარტის გამოყენების შესახებ. შპს „ალ-ან-სი“ წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული პატენტის „ხელოვნურ ხიზილალა“-ს, ასევე ამავე საზოგადოების სახელზე გაცემული „სოსტ 20421465-001-97-ის“ მესაკუთრეს. აღნიშნული ხელშეკრულებით „მოსარგებლე“ ვ. ადამიას უნდა დაემზადებინა შავი ხელოვნური ხიზილალა შემდგომი რეალიზაციის მიზნით. ამიტომ გლდნის მასივის ტერიტორიაზე მოაწყო ხელოვნური ხიზილალის მწარმოებელი საამქრო შესაბამისი მანქანა-დანადგარებით. ამის შემდეგ მან განიზრახა ანგარებით ფალსიფიცირებული ხიზილალის დამზადება და გასაღება. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მან 2001 წლის დეკემბრისა და 2002 წლის იანვრის თვეში, სამეურნეო ობიექტის სტანდარტის უხეში დარღვევით, რამდენჯერმე დაამზადა 113-გრამიან მინის ქილებში დაფასოებული შავი ხელოვნური ხიზილალა. ვ. ადამიამ დროის აღნიშნულ მონაკვეთში სულ დაამზადა 774 ქილა ფალსიფიცირებული ხიზილალა, საიდანაც 650 ქილას გაუკეთდა რეალიზაცია, ხოლო დანარჩენი 124 ქილა ამოღებულ იქნა მისი საცხოვრებელი ბინიდან. ამ ქმედებით მან ჩაიდინა სსკ 197-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული.

ვ. ადამიას მიერ სხვისი სასაქონლო ნიშნის უკანონოდ გამოყენება გამოიხატა შემდეგში: იმის გამო, რომ ვ. ადამიას მიერ ნებადართული სამეურნეო ობიექტის სტანდარტის აღნიშნული ნიშნით დამზა-

დებული ფალსიფიცირებული პროდუქცია სამომხმარებლო ბაზარზე ვერ პოულობდა სასაქონლო პოპულარობას და არ იყო კონკურენტუნარიანი, მან არაკეთილსინდისიერი კონკურენციისათვის თავის საამქროში დამზადებულ მინის ქილებში დაფასოებულ ფალსიფიცირებულ ხიზილალას ხუფებად გაუკეთა, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან შექენილი, რუსეთის ფედერაციის ქ. ასტრახანის ხიზილალის მწარმოებელი ქარხნის, სააქციო საზოგადოება „რუსული ხიზილალის“ ნატურალური, მარცვლოვანი, პასტერიზებული ხიზილალას სასაქონლო ნიშანი, რითაც ჩაიდინა სსკ 196 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული.

ვ. ადამიას მიერ მომხმარებლის მოტყუება გამოიხატა შემდეგში: ვ. ადამიამ 2002 წლის იანვრის თვის ბოლოს დამზადებული ფალსიფიცირებული შავი ხელოვნური ხიზილალიდან 500 ქილა გაასალა ქ. თბილისში შპს „კოლხას“ ბაზრობაზე მოვაჭრე მ. გ-ზე, რომელსაც შეუქმნა მცდარი წარმოადგენა საქონლის სამომხმარებლო თვისებისა და ხარისხის შესახებ. ასევე მოატყუა წონაში, კერძოდ, თითოეული ქილა 113 გრამის ნაცვლად, იწონიდა 95 გრამს, ასე რომ, 500 ქილა ხიზილალიდან მოატყუა 9000 გრამით. მანვე იმავე ხერხით ორჯერ მოატყუა საკონტროლო შესყიდვაში მყიდველის სახით ჩანერგილი მომხმარებელი დ.ჯ., რითაც ჩაიდინა სსკ 219-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული.

წინასწარმა გამოძიებამ ვ. ადამიას ქმედება დააკვალიფიცირა სსკ 197-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 197-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 196-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 196-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 219-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. ამავე კვალიფიკაციით არის იგი სამართალში მიცემული.

ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოში საქმის განხილვის პროცესში გამოვლინდა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევის უამრავი ფაქტი, რასაც ადგილი ჰქონდა თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს კორუფციასა და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლების მხრიდან მოცემულ საქმეზე მოკვლევის მიმდინარეობის სტადიაზე. ამ დარღვევების გამო სასა-

მართლმ სსსკ III-ე მუხლის შესაბამისად დაუშვებელ მტკიცებულებებად ცნო მთელი რიგი საპროცესო დოკუმენტები და, შესაბამისად, ვ. ადამიას მოუხსნა ბრალდება საქართველოს სსკ 197-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 196-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 219-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. საბოლოოდ, სასამართლოს განაჩენით 2002 წლის 31 ოქტომბერს ვ. ადამიას მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ 197-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 196-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა 600 ლარის ოდენობით.

მკითხველი, რომელიც ამ საქმეს გაეცნობა, დარწმუნდება რაოდენ დაბალია მოკვლევისა თუ წინასწარი გამოძიების დონე საქართველოში. მოკვლევის პროცესში საპროცესო კანონმდებლობის უხეში დარღვევების გამო დამნაშავემ თავიდან აიცილა ის სასჯელი, რომელსაც იმსახურებდა. ჯარიმა მსგავსი ქმედებისათვის ძალიან ღმობიერი სასჯელია, მით უფრო, რომ ფალსიფიკაციის არაერთგზისი შემთხვევა მოხდა და იმის გამო, რომ პროცესუალურად სწორად ვერ დაამაგრეს მტკიცებულებები, ეს მაკვალიფიცირებელი ნიშანი ბრალებიდან ამოირიცხა. საპროცესო ნორმების დარღვევების გარდა, წინასწარმა გამოძიებამ დანაშაულის კვალიფიკაციაშიც უცოდინარობა გამოავლინა, სახელდობრ, ბრალდებულის ქმედების 197-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილით, ასევე 196-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილის ერთობლიობით კვალიფიკაცია არასწორი იყო, ვინაიდან ეწინააღმდეგებოდა სსკ მე-15 მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს. მკითხველისათვის გაურკვეველი რჩება სასამართლო განხილვის სტადიაზე რატომ არ იქცა მსჯელობის საგნად ვ. ადამიას ქმედებაში სსკ 198-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობა – ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის დამზადება. წინასწარი გამოძიების დროს ჩატარებული ექსპერტიზებისა და სპეციალისტების დასკვნებით ვ. ადამიას მიერ დამზადებული და რეალიზებული შავი ხელოვნური ხიზილალა თავისი ფიზიკური და ორგანოლექტიკური მარევენებლებით არასტანდარტულ პროდუქციას წარმოადგენდა. სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის ცნობით, აღნიშნული პროდუქტი ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშია, უვარგისია კვებისათვის

და ექვემდებარება განადგურებას. ამის მიუხედავად, გამოძიებელმა გამოიტანა სსკ 198-ე მუხლით სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის დადგენილება. საქმის მასალებით ჩვენ ვერ დავრწმუნდით, რომ გამოძიებელს ამის საფუძველი გააჩნდა. არადა ამ საკითხის სწორად გარკვევას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქმედების კვალიფიკაციისათვის. ამა თუ იმ ქმედების კვალიფიკაციის დროს სსკ 197-ე და 198-ე მუხლები შესაძლებელია კონკურენციაში მოვიდეს ერთმანეთთან, ფალსიფიკაცია (მუხლი 197-ე) უფრო ზოგადი, ფართო ცნებაა, თანაც იქ ლაპარაკია ზოგიერთი დანიშნულების ნივთის თვისებრიობის შეცვლაზე, 198-ე მუხლში კი თავიდანვე ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის დამზადებაზეა საუბარი. წინასწარმა გამოძიებამ გადაწყვიტა ეს საკითხი ძალიან ზერელად.

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს 2002 წლის 5 აგვისტოს განაჩენით მ.ბ.-ს, ზ.ც.-სა და თა.-ს მსჯავრი დაედო სსკ 197-ე მუხლის 1-ლი ნაწილით ფალსიფიკაციისათვის. სასამართლომ დადგენილად ჩათვალა, რომ ზ.ც-მ იცოდა რა სამომხმარებლო ბაზარზე სარეცხი საშუალებების (მათუთრებელი „ბელიზნა“ და „პერსოლი“) მიმართ დიდი მოთხოვნილება, განიზრახა თვისებრივად შეეცვალა მათუთრებელი საშუალებების წარმოება და შემდგომ მწარმოებლის სასაქონლო ნიშნისა და საფირმო სახელწოდების გამოყენებით სამომხმარებლო ბაზარზე შეეტანა რეალიზაციის მიზნით. იგი 2001 წლის სექტემბრის თვეში დაუკავშირდა მ.ბ.-ს, რომელთან ერთადაც დაგეგმა საქმიანობის დეტალები, შეიძინა საჭირო ნივთიერებები და დანადგარები, იქირავა საწარმოო ფართი. სამუშაოდ მიიწვიეს კიდევ თა. გაინაწილეს ფუნქციები და დაიწყეს პროდუქციის გამოშვება. 2001 წლის დეკემბრის თვის დასაწყისში დაამზადეს 2500 ცალი ერთლიტრიანი პოლიეთილენის ბოთლებში ჩამოსხმული „ბელიზნა“ და დაახლოებით 4500 ცალი 250-გრამიანი პოლიეთილენის პარკებში დაფასოებული „პერსოლი“. დამზადებულ პროდუქციას გაუკეთეს კუსტარულად დამზადებული ყალბი შტამპით ამ პროდუქციის ორიგინალ ნიმუშებზე გამოსახული ეტიკეტები. ეს პროდუქცია მომხმარებელზე გაასაღეს ეტიკეტზე აღნიშნული ფირმის ნაწარმად. როგორც საქმიდან ჩანს, მათ 1000 ბოთლ მათუთრებელ საშუალება „ბელიზნას“ და 3000 ცალ „პერ-

სოლს“ გაუკეთეს რეალიზაცია თბილისსა და მარნეულში მდებარე საბითუმო ბაზრობებზე. ასევე რეალიზაცია მოახდინეს საწარმოს ტერიტორიიდანაც, რა დროსაც ამხილეს პოლიციის მუშაკებმა.

ექსპერტიზამ გააკეთა დასკვნა, რომ სარეცხის მათურებელი საშუალებები განსხვავდება ორიგინალური ნიმუშის პროდუქციისაგან, ის არ აცლის ყავის, ჩაისა და ღვინის ლაქებს, რის გამოც ისინი წარმოადგენენ თვისებრიობა შეცვლილ სარეცხის საშუალებებს.

განსასჯელების ქმედების კვალიფიკაცია მოხდა მხოლოდ 197-ე მუხლი 1-ლი ნაწილით. მათ მიმართ სრულიად დაუსაბუთებლად შეწყდა სისხლის-სამართლებრივი დევნა 196-ე მუხლით წინასწარი გამოძიების სტადიაზე, ხოლო მსჯელობის საგანი არც კი გამხდარა მომხმარებელთა მოტყუების ფაქტები არაერთგზის და უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ფაქტი.

ანალოგიური შინაარსი აქვს სისხლის სამართლის საქმეს კ.ბ-ს მიმართ, რომელსაც 2002 წლის 10 დეკემბერს მსჯავრი დაედო ფალსიფიკაციისათვის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს მიერ. კ.ბ-მ დაამზადა და რეალიზაცია გაუკეთა სხვადასხვა დასახელების სარეცხ საშუალებას, რომლებიც ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით არ იყო დამზადებული ტექნოლოგიური ინსტრუქციის მიხედვით, მათში შეცვლილი იყო კომპონენტები, რის გამოც არასტანდარტულ პროდუქციას წარმოადგენდა. საქმის წაკითხვით რწმუნდები, რომ კ.ბ-მ არაერთგზის მოახდინა ფალსიფიცირებული სარეცხი საშუალებების დამზადება და რეალიზაცია. წინასწარ გამოძიებას ან ერთიანი განგრძობადი დანაშაულის არსებობა უნდა დაესაბუთებინა, ანდა დანაშაულის არაერთგზის ჩადენისათვის წაეყენებინა ბრალდება. ეს საკითხი მსჯელობის საგანი არ გამხდარა, არც მომხმარებელთა მოტყუებისა და უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ფაქტი გახდა შეფასების საგანი. კ.ბ-ს მსჯავრი დაედო 197-ე მუხლის 1-ლი ნაწილით¹.

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 21 თებერვლის განაჩენით მ.გ-ს მსჯავრი დაედო სსკ 197-ე

¹ მსგავსი შინაარსი აქვს სისხლის სამართლის საქმეს ი.მ-ს მიმართ, რომელიც ქუთაისის საქალაქო სასამართლომ დაშინაშეუდ ცნო ფალსიფიკაციისათვის (№1/112-2002).

მუხლის 1-ლი ნაწილით ფალსიფიკაციისათვის, ე.ი. მოტყუებით ნივთის თვისებრიობის შეცვლისათვის მწარმოებლის მიერ ანგარებით. სასამართლო გამოძიებამ დაადგინა, რომ 1998 წლის 4 დეკემბერს მ.გ. რეგისტრირებულ იქნა ინდივიდუალურ მეწარმედ და მასზე ერთი წლის ვადით გაიცა შესაბამისობის სერტიფიკატი იატაკის საპრიალებელი მასტიკის წარმოებაზე, რის შემდეგაც საქსტანდარტმა 2001 წლის 10 დეკემბრამდე გასცა სამეურნეო ობიექტის სტანდარტი, რომლის ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად უნდა ეწარმოებინა მასტიკა. ერთი პერიოდი მან წამოიწყო კიდეც აღნიშნული სამეწარმეო საქმიანობა, მაგრამ მალე თავი მიანება, ვინაიდან კონკურენციას ვერ უწევდა უცხოური წარმოების მასტიკას. როცა თბილისის ბაზარზე შესაფერი პირობები შეიქმნა, მან განაახლა მასტიკის წარმოება, მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისობის სერტიფიკატს გასული ჰქონდა მოქმედების ვადა. კერძოდ, 2001 წლის ივნისის თვეში სტანდარტის ტექნიკური მოთხოვნების დარღვევით დაამზადა 1466 ქილა მასტიკა. აქედან 167 ქილა ჩააბარა თბილისის სავაჭრო ქსელს, საიდანაც 5 ქილა შეიძინა მ.კ.-მ, ცხრა ქილა დაუდგენელმა პირებმა, ხოლო დანარჩენი 153 ქილა სავაჭრო ქსელიდან და 1299 ქილა საამქროდან ამოიღეს პოლიციის მუშაკებმა.

ამ საქმის გაცნობისას ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ წინასწარი გამოძიების სტადიაზე სისხლის სამართლის საქმე არ აღიძრა სსკ 192-ე და 196-ე მუხლებით იმ მოტივით, რომ მ.გ.-ს უკანონო სამეწარმეო საქმიანობას არ მოჰყოლია მნიშვნელოვანი ზიანი ან დიდი ოდენობის შემოსავლის მიღება. ასევე არ გამოუყენებია მას სხვისი რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი, მაგრამ წინასწარმა გამოძიებამ შეფასების გარეშე დატოვა მომხმარებელთა მოტყუების ფაქტი. როგორც საბრალდებო დასკვნაში, ასევე განაჩენში აღნიშნულია, რომ მ.გ. მასტიკის გასაღების გაადვილების მიზნით, ქილებზე დააკრა უცხო ენაზე შევსებული ეტიკეტი. კერძოდ, მასტიკის ფალსიფიკაციის დასაფარად და გასაღების გასაადვილებლად მან მასტიკის ქილებს დააკრა მის მიერ გამოგონილი, მაგრამ იმპორტული სასაქონლო ნიშნისათვის მიმსგავსებული ეტიკეტები, რუსული და გერმანული ტექსტით, აღნიშნულ ეტიკეტებზე მან

მიუთითა თავისი სტანდარტის ნომერი და ინიციალები. ამან 14 მომხმარებელი მოატყუა, თუმცა გამოძიებამ მხოლოდ ერთი დაადგინა, საქმისწარმოებაც სწორედ ამ დაზარალებულის საჩივრის საფუძველზე დაიწყო. ყოველივე ამის მიუხედავად, მომხმარებლის მოტყუების ფაქტი შეფასების გარეშე რჩება. თუკი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი ვერ მოძებნა გამოძიებამ, ადმინისტრაციული გადაცდომა ზომ ცალსახად სახეზე იყო – მომხმარებლის უფლებების შელახვა (მუხლი 158¹-ე).

როგორც სასამართლო პრაქტიკის შესწავლით დაერწმუნდით, ფალსიფიკაციის საგანი, ძირითადად, ხდება უალკოჰოლო და ალკოჰოლიანი სასმელები, ძეხვი, ნაყინი, პური და სხვა კვების პროდუქტები. რა მტკიცებულებებს ემყარებიან სამართალშემფარდებლები ფალსიფიკაციის ფაქტის დასამტკიცებლად? ცხადია, პროდუქციის ხარისხის განსაზღვრა ექსპერტიზის საფუძველზე ხდება, რომელიც ხშირად არცთუ მაღალკვალიფიციურ დონეზე ტარდება, არადა, ქმედების კვალიფიკაციას სწორედ ეს მტკიცებულება წყვეტს. სასამართლო პრაქტიკაში ძალიან ხშირია ფალსიფიცირებული უალკოჰოლო სასმელის, კერძოდ, ლიმონათის წარმოების შემთხვევები. ფალსიფიკატორები ლიმონათის დამზადების დროს შაქრის ნაცვლად იყენებენ შაქრის შემცველს, რადგანაც ეს უკანასკნელი გაცილებით იაფია, შაქრის გამოყენება კი პროდუქციის თვითღირებულებას ზრდის და მოგებას ვეღარ ნახულობენ. ამასთანავე, ლიმონათის ჭურჭელზე (ბოთლებზე) ან საერთოდ არ არის ეტიკეტები ანდა არ აკეთებენ სავალდებულო აღნიშვნას, რომ პროდუქტი შაქრის შემცველით არის დამზადებული, რაშიც მომხმარებლის მოტყუებაც ვლინდება. სპეციალისტთა ერთი ნაწილი თვლის, რომ შაქრის შემცველებზე დამზადებულ პროდუქტებს არ გააჩნიათ საკვები ღირებულება (არაკონდიციურია), ამ ნივთიერებებს ორგანიზმი ვერ ითვისებს, რის გამოც ასეთი პროდუქტების გამოყენება ჯანმრთელი ადამიანისათვის მიზანშეწონილი არ არის. თუმცა მეორე ნაწილი თვლის, რომ ამ კომპონენტებს ფართოდ იყენებენ საზღვარგარეთ კვების მრეწველობაში და ამას დანაშაულად არავენ თვლის. სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად (გოსტი 28188-89) ჩვენთან სავალდებულოდ ითვლება ლიმონათის ეტიკეტზე შაქრის

შემცვლელის შემცველობის აღმნიშვნელი წარწერის გაკეთება, თუმცა ჩვენი მეწარმეები ამ მოთხოვნას ხშირად უგულებელყოფენ (გვერდს უკლიან). აი, ამის ნათელი მაგალითებიც:

ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონულმა სასამართლომ 2002 წლის 22 ივლისის განაჩენით ლ.კ. დანაშაუვად ცნო იმაში, რომ ჩაიდინა ფალსიფიკაცია, ე.ი. მოტყუებით ნივთის თვისებრიობის შეცვლა მწარმოებლის მიერ, ანგარებით, რაც გამოიხატა შემდეგში: ლ.კ. 2002 წლის იანვრის თვიდან მუშაობდა ტექნოლოგის თანამდებობაზე ერთ-ერთ ინდივიდუალურ საწარმოში, სადაც მზადდებოდა უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელები. ამავე წლის 20 თებერვლიდან ასრულებდა რა ინდივიდუალური საწარმოს ხელმძღვანელის მოვალეობას, ლიმონათის „მსხალის“ და „ფორთოხალის“ დასამზადებლად, ანგარების მიზნით შაქრის ნაცვლად გამოიყენა შაქრის შემცვლელი ნივთიერება და სარეალიზაციოდ დაამზადა 820 ბოთლი ლიმონათი, რომელიც არ შეესაბამებოდა სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. 2002 წლის 1 მარტს აღნიშნული საწარმოდან საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებმა ამოიღეს სარეალიზაციოდ გამზადებული უალკოჰოლო სასმელები – 820 ცალი 0,5-ლიტრიან ბოთლებში ჩამოსხმული ლიმონათები „მსხალი“ და „ფორთოხალი“ (საქმე №1/297-2002).

ქიმიურმა ექსპერტიზამ გააკეთა დასკვნა, რომ ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარდგენილი უალკოჰოლო სასმელები არ შეესაბამებიან სტანდარტს. ამის გამო სასმელს დაკარგული აქვს გამაგრილებელი სასმელისათვის დამახასიათებელი წყურვილის მოკვლისა და გამახალისებელი თვისებები. ამოღებული სასმელის ეტიკეტებზე არ იყო მითითებული შაქრის შემცვლელის დასახელება და მისი პროცენტული წილი.

ამგვარად, ლ.კ-მ ჩაიდინა საქართველოს სსკ 197-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული.

სასამართლო პრაქტიკაში ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა მოქალაქეები ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაციის გარეშე, სტანდარტის, ტექნოლოგიური ინსტრუქციისა თუ სხვა შესაბამისი დოკუმენტების გარეშე აწარმოებენ ამა თუ იმ სახის ფალსიფიცირებულ

პროდუქციას, ასე მაგალითად, ხაშურის რაიონულმა სასამართლომ 2002 წლის 16 დეკემბრის განაჩენით რ.კ. დამნაშავედ ცნო სსკ 197-ე მუხლის 1-ლი ნაწილით ფალსიფიკაციაში – მოტყუებით ნივთის თვისებრიობის შეცვლაში მწარმოებლის და გამსაღებლის მიერ ანგარებით. მან 2002 წლის აგვისტოს თვეში შეიძინა კუსტარული წესით დამზადებული დანადგარი და რეგისტრაციისა და სხვა სათანადო დოკუმენტების გარეშე (სტანდარტი, ტექნოლოგიური ინსტრუქცია, შესაბამისობის სერტიფიკატი) დაიწყო ლიმიონათის წარმოება. 2002 წლის 6 სექტემბერს ეს ფაქტი გამოავლინეს შიდა ქართლის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს კორუფციისა და ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა და მისგან ამოიღეს 220 ბოთლი ჩამოსხმული ლიმიონათი.

ექსპერტიზამ გააკეთა დასკვნა, რომ ამოღებული „ტარხუნის“ ეტიკეტისანი ლიმიონათის ნიმუშები არ შეესაბამებოდა ეტიკეტზე აღნიშნულ წარწერას, დამზადებული იყო შაქრის სიროფის ნაცვლად შაქრის შემცველზე, რაც არ იყო გათვალისწინებული ეტიკეტით. ამდენად, ლიმიონათი იყო არასტანდარტული და, შესაბამისად, თვისებრიობა შეცვლილი ჰქონდა (საქმე №1/169-2002).

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ 2002 წლის 8 ოქტომბრის განაჩენით გ. გ. დამნაშავედ ცნო 197-ე მუხლის 1-ლი ნაწილით ფალსიფიკაციაში, რაც გამოიხატა იმაში, რომ მან ქ. თბილისში თავისი დროებითი საცხოვრებელი სახლის ავტოფარეხში მოაწყო კუსტარული უაღკოპოლო სასმელების ჩამოსხმული საწარმო, რომელშიც ყოველგვარი დოკუმენტაციის გარეშე ჩამოასხა ფალსიფიცირებული ბორჯომი, კოკა-კოლა და ფანტა.

ექსპერტიზის დასკვნით, გ. გ.-სგან ამოღებული „ბორჯომის“ ნიმუშები არ აკმაყოფილებს მინერალურ წყალ „ბორჯომის“ სტანდარტის (გოსტ. 13273-88) მოთხოვნებს, რის გამოც იგი წარმოადგენს არასტანდარტულ პროდუქციას, რომელსაც შეცვლილი აქვს თვისებრიობა. გ.გ.-ს კუსტარული საამქროდან ამოიღეს სოდა, ინგლისური მარილი, იოდი და სხვა მასალები, რომლითაც მზადდებოდა ფალსიფიცირებული ბორჯომი. ექსპერტიზაზე წარდგენილი „კოკა-კოლას“ ნიმუში ასევე არ აკმაყოფილებდა სტანდარტით გათვალ-

ისწინებულ მოთხოვნებს, რის გამოც ის ჩაითვალა არასტანდარტულ პროდუქტად, რომელსაც შეცვლილი ჰქონდა თვისებრიობა. საქმეში არ მოიპოვება ცნობა, აღნიშნული სასმელები უქმნიდა თუ არა საფრთხეს ადამიანის ჯანმრთელობას. ამ საკითხით არავინ დაინტერესებულა. არც ის გაურკვევია ვინმეს, ჰქონდა თუ არა ადგილი სხვისი სასაქონლო ნიშნის გამოყენებას (საქმე 1/528-2002).

ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 3 დეკემბრის განაჩენით ხ.ე-ს მსჯავრი დაედო ფალსიფიკაციისათვის სსკ 197-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. მისი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: ხ.ე-მ 2002 წლის ივლისის თვის დასაწყისში დაუდგენელი პირებისაგან შეიძინა ალკოჰოლური სასმელების ჩამოსასხმელი დანადგარი, რომელიც დაამონტაჟა ნაქირავები ბინის ავტოფარეხში. შემდეგ მინის ტარის მიმღებ სხვადასხვა პუნქტებში შეიძინა არყის „ტრიუმფი“, კონიაკები „თბილისური“, „სარაჯიშვილი“, ღვინოების „სამეფო“ და „ბაგრატიონი“- ცარიელი ბოთლები, ასევე შეიძინა შესაბამისი ღვინომასალები და სხვა საჭირო ნივთები. 15-17 ივლისს დაამზადა ალკოჰოლური სასმელების 1-ლი საცდელი პარტია, ზემოთ დასახელებული სასმელების სხვადასხვა რაოდენობის სუროგატი. ეს სასმელები 18 ივლისს თავისი ნათესავის ავტომანქანით წაიღო „თურგის ბაზრობაზე, მაგრამ გზაში, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე პოლიციის მუშაკებმა დააკავეს და მისგან ამოიღეს 94 ბოთლი ალკოჰოლური სასმელი. მისი ბინის ჩხრეკის შედეგად ასევე ამოიღეს ღვინისა და კონიაკის ნაწარმი.

ქიმიურმა ექსპერტიზამ გააკეთა დასკვნა, რომ გამოსაკვლევად წარდგენილი ალკოჰოლური სასმელების ნიმუშები არასტანდარტული პროდუქციაა, მათი ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლები არ აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რაც განაპირობებს მათ თვისებრივ ცვლილებას და, შესაბამისად, ფალსიფიცირებულია.

ამ საქმის წაკითხვისას ჩვენი ყურადღება მიიქცია ხ.ე-ს ქმედებიდან სსკ 192-ე (უკანონო სამეწარმეო საქმიანობა) და 196-ე მუხლების (სასაქონლო ნიშნის მართლსაწინააღმდეგოდ გამოყენება) გამორიცხვის დასაბუთებამ წინასწარი გამოძიების სტადიაზე. კერძოდ, 2002 წლის 24 სექტემბრის სისხლის სამართლის საქმისა და

სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრაზე უარის თქმის დადგენილებაში, გამოძიებელი წერს, რომ „ფორმალურად ხ.ე-ს ქმედებაში თითქოსდა მოიპოვება საქართველოს სსკ 192-ე და 196-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, მაგრამ ვინაიდან ჩვენ საქმე გვაქვს ფალსიფიცირებული საქონლის წარმოებასთან და ზემოთ დასახელებული ორივე მუხლის დისპოზიციით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევის შემთხვევაში და ამ ზიანის განსაზღვრა მხოლოდ, სასამართლოს კომპეტენციაა, ამიტომ ამ ნაწილში ხ.ე-ს მიმართ არ უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე და სისხლისსამართლებრივი დევნა, ვინაიდან მისი ქმედება არ არის მართლსაწიანადმდებო“. ამ დადგენილების საწინააღმდეგო არგუმენტად შეიძლება იმის აღნიშვნა, რომ ჯერ ერთი, როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, წელიწადნახევარი გრძელდებოდა ფალსიფიცირებული ალკოჰოლური სასმელების წარმოება და ამდენად, ფალსიფიცირებული პროდუქტის სარეალიზაციო ფასის მიხედვით გამოძიებას უნდა ეცადა იმის დადგენა, თუ რა შემოსავალს მიიღებდა ხ.ე. ასეთი პრაქტიკით ვერასოდეს დავასაბუთებთ უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ფაქტს. ესეც რომ არ იყოს, მსგავსი ქმედება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 164-ე მუხლითაც არის გათვალისწინებული, რომელსაც სისხლის სამართლის ნორმისაგან განასხვავებს ის, რომ ამ გადაცდომის ჩადენისას პასუხისმგებლობისათვის საჭირო არ არის ზიანის არსებობა ან დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება და ამიტომ უნდა დამდგარიყო ამ ფაქტზე ხ.ე-ს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საკითხი, რაც საქმიდან არ ჩანს. ასევე დაუსაბუთებელია ხ.ე-ს პასუხისმგებლობის საფუძვლებიდან სსკ 196-ე მუხლის გამორიცხვა. სხვისი სასაქონლო ნიშნის გამოყენებით მნიშვნელოვანი დაზიანება არ გულისხმობს მხოლოდ კანონიერი მფლობელისა თუ მომხმარებლის ქონებრივ დაზიანებას. ზიანი შეიძლება გამოიხატოს მწარმოებლის საქმიანი რეპუტაციის შელახვაშიც. ზიანის მნიშვნელობის შეფასების დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ საქონლის ღირებულებაც, სხვისი სასაქონლო ნიშნის გამოყენების მოცულობაც — რა რაოდენობის პროდუქციაზე იყო იგი

გამოყენებული. ამის გარკვევა კი არავის უცდია წინასწარი გამოძიების სტადიაზე. ამდენად, საგამოძიებო სამსახურების მიერ ხშირად უარის თქმა სსკ 196-ე მუხლით საქმის აღძვრაზე იმ მოტივით, რომ მნიშვნელოვანი ზიანი არ დამდგარა, არასწორი პრაქტიკაა.

ამ საკითხზე საგანგებოდ იმიტომ შევჩერდით, რომ შესწავლილ სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა ფალსიფიკაციის პარალელურად ადგილი აქვს უკანონო სამეწარმეო საქმიანობის, ანდა სხვისი სასაქონლო ნიშნის უკანონოდ გამოყენებას და იმის გამო, რომ წინასწარი გამოძიების ორგანოები ვერ თუ არ ასაბუთებენ მნიშვნელოვანი შემოსავლის მიღებისა თუ დაზიანების ფაქტს, უარს ამბობენ ამ საფუძვლებით სისხლის სამართლის საქმის (ან დევნის) აღძვრაზე. ამის გამო კი ხშირად ფალსიფიკაციის ისეთ მაკვალ-ფიცირებელ ნიშანსაც გამორიცხავენ, როგორც არაერთგზისობაა.

რამდენიმე სიტყვით გვინდა შევეხოთ საკითხს, თუ რამდენად კვალიფიციურად არის გადაწყვეტილი სასამართლო პრაქტიკაში ფალსიფიკაციის არაერთგზისობის დასაბუთების, ანდა მისი გამორიცხვის შემთხვევები.

ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ 2002 წლის 22 იანვრის განაჩენით მ.ს. დამნაშავედ ცნო ფალსიფიკაციაში სსკ 197-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. მსჯავრდებულმა 2001 წელს ქ. თბილისში მოაწყო ჩამოსასხმელი საამქრო, რომელშიც კუსტარული წესით დაამზადა ფალსიფიცირებული „კოკა-კოლა“, „ფანტა“ და „ბორჯომი“. ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით მ.ს.-სგან ამოღებული სასმელები არ შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რაც განაპირობებს მათ თვისებრივ ცვლილებას. წინასწარი გამოძიების სტადიაზე დაკითხვების დროს მ.ს.-მ არაერთხელ განაცხადა, რომ დაახლოებით ათი-ოცი დღე იყო დაკავებული ფალსიფიცირებული სასმელების დამზადება-რეალიზაციისათვის. ბორჯომის ერთი პარტია (6 ყუთი) მარნეულში მიჰყიდა უცნობ პიროვნებას. დანარჩენი პროდუქციის რეალიზაცია ვერ მოასწრო, ვინაიდან როცა ის მანქანით გადაჰქონდა რეალიზაციის მიზნით, ხაშურში დააკავა პოლიციამ.

მიუხედავად მ.ს.-ს ამგვარი ჩვენებებისა, არავის უმსჯელია აქ ერთიან განგრძობად დანაშაულს ჰქონდა ადგილი თუ არაერთგზისო-

ბას. თუ დანაშაულის კვალიფიკაციის მიხედვით ვიმსჯელებთ, ამ შემთხვევაში ერთიან დანაშაულთან გვაქვს საქმე (სსკ 197-ე მუხლის I ნაწილი), მაგრამ ამ საქმის წამკითხველი ასეთ ცალსახა დასკვნებს ვერ გააკეთებს. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ მსჯელობის საგნად არც გამხდარა ს-ს მიერ უკანონო სამეწარმეო საქმიანობის და სხვისი სასაქონლო ნიშნის გამოყენების ფაქტი (საქმე №7401307).

გორის რაიონულმა სასამართლომ 2002 წლის 23 დეკემბრის განაჩენით კ.მ. დამნაშავედ ცნო ფალსიფიკაციაში, რაც გამოიხატა იმაში, რომ ინდივიდუალურობა მეწარმე კ.მ-მ 2002 წლის ივნისის თვეში ყოველგვარი ტექნოლოგიური ინსტრუქციის გარეშე გადაწყვიტა ლიმონათის ჩამოსხმა. ქ. თბილისში შეიძინა მსხლისა და ტარხუნის ესენცია, შაქრის შემცველი და სხვა საჭირო კომპონენტები. შექნილი მასალებით დაამზადა მსხლისა და ტარხუნის ლიმონათის ნაყენი და ჩამოსხმა 300 ბოთლი ფალსიფიცირებული ლიმონათი. წინასწარმა გამოძიებამ და სასამართლომ კ.მ-ს ქმედება დააკვალიფიცირა სსკ 197-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

წინასწარმა გამოძიებამ აქაც შეფასების გარეშე დატოვა კ.მ-ს უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ფაქტი. გარდა ამისა, როგორც ბრალდებული, ისე სამქროს მუშები აცხადებდნენ, რომ 1999 წლის ბოლოს დაიწყეს ლიმონათის ჩამოსხმა, ლიმონათის ასხამდნენ პერიოდულად, კვირაში 100-300 ბოთლის ოდენობით და რეალიზაციას უკეთებდნენ როგორც ადგილზე, ისე სხვადასხვა ჯიხურში, დანაშაული კი გამოვლინდა 2002 წლის 19 ივნისს. ეს ყველაფერი კი დანაშაულის არაერთგზისობაზე მიანიშნებს. წინასწარ გამოძიებას ან უნდა დაესაბუთებინა არაერთგზისი დანაშაული, ანდა გამოერიცხა სიმრავლის არსებობა, მაგრამ ამაზე არავინ დაფიქრებულა (საქმე №1/372).

ბორჯომის რაიონულმა სასამართლომ 2002 წლის 31 ივლისის განაჩენით თ.შ. დამნაშავედ ცნო ფალსიფიკაციაში, რაც გამოიხატა შემდეგში: ბორჯომის რაიონის ერთ-ერთ სოფელში მცხოვრებმა თ.შ-მ 2002 წლის 7 დეკემბერს თავის საცხოვრებელ სახლში კუსტარულად დამზადებული დანადგარით ჩამოსხმა მინერალური წყალი „ბორჯომი“, 825 ცალი 0,5 ლიტრის ტევადობის ბოთლი, რომელიც ჩატვირთა ავტომანქანაში და გადაჰქონდა ქ. ახალციხეში რეალ-

იზაციის მიზნით. თ. შ. იმავე დღეს დააკავა პოლიციამ, რომელმაც ავტომანქანიდან ბორჯომის წყალი ამოიღო.

ექსპერტიზამ გააკეთა დასკვნა, რომ თ.შ-ს კუთვნილი მინერალური წყლის ჩამოსასხმელი წარმოება უკანონო, არალეგალური, კუსტარული წამოებაა, რომელსაც არ გააჩნია საწარმოს ფუნქციონირებისათვის საჭირო ლიცენზია, სანიტარული სერთიფიკატი, სახელმწიფო სტანდარტის დასკვნა და სხვა დოკუმენტები. თ.შ-ს კუთვნილ წარმოებაში ჩამოსხმული მინერალური წყალი „ბორჯომი“, ორგანოლექტიკური ქიმიური და ბაქტერიოლოგიური მონაცემების მიხედვით, არ შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტის გოსტი 13273-88 მოთხოვნებს და შეცვლილი აქვს მინერალური წყალი – ბორჯომისათვის დამახასიათებელი თვისებრიობა.

საქმის მასალებიდან აშკარად ჩანს, რომ ფალსიფიცირებული ბორჯომის ჩამოსხმას არაერთგზის ჰქონდა ადგილი, მაგრამ დანაშაულის კვალიფიკაცია, მიუხედავად ამისა, მაინც 197-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მოხდა და არა მე-2 ნაწილით, რაც აშკარად არასწორია. წინასწარი გამოძიების სტადიაზე როგორც ბრალდებულმა, ისე მოწმეებმაც დაადასტურეს ორი წლის მანძილზე, ე.ი. ჩამომსხმელი საამქროს მუშაობის მანძილზე ფალსიფიცირებული ბორჯომის სამჯერ ჩამოსხმის ფაქტი, ეს კი არაერთგზისობაზე მიუთითებს.

წინასწარი გამოძიების სტადიაზე საქმე არ აღძრეს სისხლის სამართლის საქმის სსკ 192-ე მუხლით. მართალია, ადგილი ჰქონდა სამეწარმეო საქმიანობას ლიცენზიისა და რეგისტრაციის გარეშე, მაგრამ ჩადენილ ქმედებას არ გამოუწვევია მნიშვნელოვანი ზიანი ან დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება, რადგანაც ორი წლის განმავლობაში ჩამოსხმული იყო დაახლოებით 1800 ბოთლი ბორჯომი. დასაბუთებული უარი ითქვა საქმის აღძვრაზე სსკ 196-ე მუხლით – სასაქონლო ნიშნის მართლსაწინააღმდეგოდ გამოყენება, ვინაიდან ბოთლებზე მიკრული ეტიკეტები რეგისტრირებული არ იყო ბორჯომის მინერალური წყლის ჩამომსხმელი არც ერთი ლეგალური წარმოების მიერ.

ფალსიფიკაციის ათულობით საქმის შესწავლით დავინახეთ ამ კატეგორიის საქმეთა ერთი ნიშანდობლივი თავისებურება, კერძოდ ის, რომ

ფალსიფიკაცია ხშირად ერთობლიობაშია სხვა დანაშაულთან (სსკ მ.მ. 192, 196, 219) ან ადმინისტრაციულ გადაცდომასთან (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მუხლი 158, 164, 163-ე მუხლები), რასაც წინასწარი გამოძიება და სასამართლო ხშირად ან არაჯეროვან შეფასებას აძლევს, ანდა საერთოდ უყურადღებოდ ტოვებს და გვერდს უვლის, რაც არასწორი პრაქტიკაა. როგორც ზემოთ მოტანილი მაგალითებით დავრწმუნდით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამორიცხვა ფალსიფიკაციის მომიჯნავე შემადგენლობებისათვის სრულებითაც არ ნიშნავს, საერთოდ, იურიდიული პასუხისმგებლობის გამორიცხვას.

როგორც უკვე აღენიშნეთ, ფალსიფიკაციისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლების დასაბუთებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს ქიმიური, ბიოლოგიური თუ სხვა სახის ექსპერტიზის დასკვნა. და ეს ბუნებრივიცაა, სპეციალისტის დახმარების გარეშე პროდუქციის სტანდარტისა თუ ხარისხის მაჩვენებლების განსაზღვრა შეუძლებელია.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლის შემდეგ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ შევხებოდით ამ საკითხსაც და გაგვეანალიზებინა თუ რამდენად კვალიფიციურად ტარდება საქართველოში მსგავსი სახის ექსპერტიზები. რა საკითხის გარკვევაში უნდა დაეხმაროს ექსპერტი სამართალშემფარდებელს, რა არის გადამწყვეტი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის – ის, რომ ესა თუ ის პროდუქცია სტანდარტებთან, ტექნიკურ პირობებთან თუ კანონით დადგენილ სხვა მოთხოვნებთან შეუსაბამოა, თუ ის, რომ დადგენილ და სავარაუდო მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო პროდუქცია თვისებრივად შეცვლილია? როგორც გამოკვლევით დავრწმუნდით, ექსპერტები შებოჭილი არიან, ერთი მხრივ, სსკ 197-ე მუხლის ოდიოზური დისპოზიციით, მეორე მხრივ კი, სათანადო ნორმატიული ბაზის არქონით. ექსპერტები თავიანთ დასკვნებში ხან სახელმწიფო სტანდარტებს ემყარებიან (ზოგჯერ უკვე გაუქმებულსაც), ხან სამეურნეო ობიექტის სტანდარტსა და ტექნიკურ ინსტრუქციას, ხან პროდუქციის მარკირების მონაცემებს, ხოლო, თუკი ეს მონაცემები არა აქვთ – საკუთარ ფანტაზიას.

აი ამის კონკრეტული მაგალითებიც:

ხაშურის რაიონულმა სასამართლომ 2002 წლის 14 მაისის განაჩენით ზ.ტ. დანაშავედ ცნო ფალსიფიკაციაში, რაც გამოიხატა იმაში, რომ მან 1999 წელს შეიძინა კუსტარული წესით დამზადებული ლიმონათის ჩამოსასხმელი დანადგარი, რომელიც დაამონტაჟა თავის საცხოვრებელ სახლში, შეიძინა საჭირო მასალები და ჩამოსახა ლიმონათი. 2002 წლის 24 მარტს პოლიციამ შეამოწმა ზ.ტ-ს ჩამოსხმელი საამქრო, სადაც აღმოაჩინა აღნიშნული დანადგარი და 100 ბოთლი ჩამოსხმული ლიმონათი.

ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით ამოღებული უაღკოპოლო სასმელი თავისი ქიმიური მაჩვენებლებით არ შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტის მოთხოვნებს, დამზადებულია შაქრის შემცველზე, რითაც შეცვლილი აქვს თვისებრივი იერსახე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზ.ტ-ს არ გააჩნდა სამეურნეო ობიექტის სტანდარტი, ტექნოლოგიური ინსტრუქცია, არც შესაბამისობის სერთიფიკატი. არც ბოთლებზე დაკრულ ეტიკეტებზე არ იყო მითითებული ლიმონათის ჩამოსხმის თარიღი, სასმელის ტიპი და სხვა სავალდებულო მონაცემები. ქიმიური ექსპერტიზა კვლევის დროს დაემყარა გაუქმებულ სახელმწიფო სტანდარტს. დღესდღეობით ლიმონათის წარმოებაზე სახელმწიფო სტანდარტი არ არსებობს. იქნებ სჯობდა სამართალდამცავები ზ.ტ-ს სწორედ იმას შესდევებოდნენ, რომ სტანდარტის, ტექნოლოგიური ინსტრუქციისა და შესაბამისობის სერტიფიკატის გარეშე აწარმოებდა ლიმონათს და არა იმას, რომ არარსებული სახელმწიფო სტანდარტის შეუსაბამო პროდუქცია გამოუშვა, რომელსაც შეცვლილი ჰქონდა თვისებრივი იერსახე.

ჩვენ ხაშურის რაიონული სასამართლოს მიერ 2002 წელს განხილული რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე შევისწავლეთ, რომელთა მიხედვით მოქალაქეები ეწეოდნენ უკანონო სამეწარმეო საქმიანობას, სამეურნეო ობიექტის სტანდარტის, შესაბამისობის სერტიფიკატისა და სხვა დოკუმენტების გარეშე კუსტარულად აწარმოებდნენ უაღკოპოლო სასმელებს. მათ მიერ წარმოებულ პროდუქციას არანაირი მარკირება (ეტიკეტები) არ ჰქონდა. ქიმიურმა ექსპერტიზამ მათი პროდუქცია სახელმწიფო სტანდარტთან შეუსაბამოდ ჩათვალა, ვინაიდან ლიმონათი ჩამოსხმული იყო შაქრის შემცველით. ასეთა

სისხლის სამართლის საქმე ნ.ს-ს მიმართ (№1/117), გ.ო-ს მიმართ (№1-73/1), ა.ქ-ს მიმართ (№1/113), თ.ც-ს მიმართ (№1-187/1), შ.კ-ს მიმართ (საქმე №1-51/2). ეს უკანასკნელი ხაშურის რაიონულმა სასამართლომ 2002 წლის 21 მარტის განაჩენით დამნაშავედ ცნო ფალსიფიკაციაში სსკ 197-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. მან 2001 წლის ოქტომბერში თავის საცხოვრებელ სახლში დაამონტაჟა კუსტარული დანადგარი და სათანადო დოკუმენტაციის გარეშე ამზადებდა ლიმონათს, რომელსაც რეალიზაციას უკეთებდა გომი-საჩხერის გზის მონაკვეთზე მდებარე საკუთარ „სასაუზმეში“. 2001 წლის 26 ოქტომბერს პოლიციის მუშაკებმა შ.კ-ს სასაუზმიდან და სახლიდან ამოიღეს 90 ბოთლი უეტიკეტო ლიმონათი, რომელიც ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით შაქრის შემცველი იყო დამზადებული¹.

როგორც უკვე აღინიშნა, ლიმონათის წარმოების სახელმწიფო სტანდარტი არ არსებობს. ყველა სამეურნეო ობიექტს თავისი სტანდარტი აქვს. აქედან გამომდინარე, როცა ლიმონათი ჩამოსხმულია ყოველგვარი ტექნოლოგიური დოკუმენტაციის გარეშე და წარმოებულ პროდუქტს არც ეტიკეტი ახლავს, მაშინ ექსპერტმა-ქიმიკოსმა იგი სამი სახის ლიმონათს უნდა შეადაროს: დიაბეტურს, დიეტურსა და ჩვეულებრივს, ანუ შაქარზე დამზადებულს. თუ იგი თავისი ქიმიური შემადგენლობით ერთს მაინც დაემთხვა, მაშინ დასკვნაში უნდა დაიწეროს, რომ ექსპერტიზაზე წარდგენილი ნიმუში ამა და ამ სახის პროდუქტის შესაბამისია და მას ფალსიფიცირებულს ვეღარ უწოდებ, ვიდრე გამოძიება არ გაარკვევს მწარმოებელი რა სახის პროდუქტს სთავაზობდა მომხმარებელს – დიეტურს, დიაბეტურსა თუ ჩვეულებრივს. მხოლოდ ამ საკითხის გარკვევის შემდეგ შეიძლება შევედოთ მას ფალსიფიკაციაში. როცა მწარმოებელი არამარკირებულ (უეტიკეტო) პროდუქტს სთავაზობ მომხმარებელს, მის მოტყუებაზე ცალსახად მსჯელობა ძნელია. მეწარმე თუ მხოლოდ ეტიკეტს არ უკეთებს პროდუქციას, რომელმაც უნდა დაადასტუროს დამამზადებლის მიერ განცხადებული პროდუქციის ხარისხის მაჩვენებლები, ანდა ეტიკეტზე (განაცხადი) არ ასახავს პროდუქციის ხარისხს, მაშინ მას, ალბათ, პირველ რიგში, მომხმარებლის მოტყუებაზე უნდა ვედაოთ. 197-ე

¹ ანალოგიური სურათია ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ სისხლის სამართლის საქმეებზე (იხ. საქმე №1/75-2002, საქმე №1/36-2002 და სხვ.).

მუხლის დისპოზიცია სწორედ ამ სიტყვებით იწყება – მოტყუებით ნივთის თვისებრიობის შეცვლა; ვინ ტყუედება ფალსიფიკაციით, ცხადია, პირველ რიგში, მომხმარებელი. მართლა მოტყუედა თუ არა კონკრეტულ შემთხვევაში, ამას წინასწარ გამოძიებაში არავენ არკვევს. სხვა საქმეა, როცა პროდუქცია მარკირებულია, ეტიკეტზე მინიშნებულია, რომ იგი დამზადებულია შაქრით, სინამდვილეში კი გამოყენებულია შაქრის შემცველი, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ზემოთ ხსენებულ რ.კ-ს საქმეზე. ამ შემთხვევაში ნათლად ჩანს ფალსიფიკაცია და მომხმარებლის მოტყუებაც. ასეთივე სურათია სისხლის სამართლის საქმეზე პ.მ-ს მიმართ, რომელიც ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ 2002 წლის 20 დეკემბერს დამნაშავედ ცნო ფალსიფიკაციაში. მწარმოებლის განაცხადი ეტიკეტზე და ლიმონათის ქიმიური შემადგენლობა განსხვავებული იყო. შაქრის ნაცვლად მხოლოდ მისი შემცველი იყო დამზადებული (საქმე №31-623-2002). ასევე საეჭვო არ არის მ.კ-ს ქმედების კვალიფიკაცია ფალსიფიკაციით. იგი 2002 წელს მცხეთის რაიონის სასამართლომ გაასამართლა შემდეგი ქმედებისათვის: მ.ა-მ, რომელიც უკანონო სამეწარმეო საქმიანობას ეწეოდა, ტექნოლოგიური ინსტრუქციის დარღვევით, ანგარების მოტივით, შაქრის ნაცვლად მისი შემცველის გამოყენებით დაამზადა 100 ბოთლი გარგარის ესენციაზე დაყენებული ლიმონათი, მსხლის ეტიკეტების გამოყენებით. ე.ი. მწარმოებელი განაცხადს აკეთებს, რომ შაქარზე დამზადებულ მსხლის ლიმონათს სთავაზობს მომხმარებელს, სინამდვილეში კი ეს შაქრის შემცველია და გარგარის ესენციით დამზადებული პროდუქტია. ცხადია, პროდუქციის განაცხადით გაკეთებული და მისი რეალური შემადგენლობა უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს, აქ სადავო არაფერია. მაგრამ ზოგადად ჩვენ რა სურათი დავინახეთ სასამართლო პრაქტიკაში? საკმარისია ექსპერტმა დაწეროს, რომ ლიმონათი შაქრის შემცველით არის დამზადებული, ანდა ნაკლები აქვს მჟავიანობა, რითაც მისი თვისებრიობა შეიცვალა, რომ ეს საკმარის საფუძვლად ჩაითვალოს ფალსიფიკაციის ფაქტის დასასაბუთებლად. არადა, როგორც აღმოჩნდა, სახელმწიფო სტანდარტები ამ სფეროში გაუქმებულია, რაც რბილად რომ ვთქვათ, ექსპერტების ფანტაზიას დიდ გასაქანს აძლევს. ეს კი სასამართლო პრაქტიკის ერთგვაროვნებას ვერ უზრუნველყოფს. ერთ ექსპერტს

თავისი ფანტაზიით შეუძლია ერთ პროდუქტზე თქვას, რომ ის თვისებრიობა შეცვლილია და ფალსიფიცირებულია, ხოლო მეორეს, იმავე პროდუქტზე საწინააღმდეგო დასკვნის გაკეთება შეუძლია.

ცნობილია, რომ შაქრის შემცვლელების გამოყენება უალკოჰოლო სასმელების წარმოებაში არც ისეთი დარღვევაა, როგორც ამას ზოგჯერ ჩვენი საექსპერტო დაწესებულებები ხატავენ. მთელი მსოფლიო იყენებს მათ და ამით ქვეყნიერება არ დაღუპულა. გარდა ამისა, უალკოჰოლო სასმელებში მჟავიანობის უმნიშვნელო ნაკლებობა მის თვისებრიობას არ ცვლის, ამიტომ ამ მიზეზით ლიმონათის ფალსიფიცირებულად ჩათვლა საეჭვოა, მით უფრო, უეტიკეტო ლიმონათის პროდუქტზე ექსპერტებს ამდენი ფანტაზიის უფლება არა აქვთ. სპეციალისტები თვლიან, რომ, თუკი ლიმონათი მიკრობიოლოგიურად სუფთაა, ის მჟავიანობის ცვლილებით ქიმიურად ისე არ შეიცვლება, რომ ფალსიფიკაციად ჩაითვალოს. ისევე როგორც ლიმონათისათვის შაქრის დაკლება მის თვისებრიობას არ შეცვლის, თუმცა, ცხადია, სტანდარტი ორივე შემთხვევაში დაირღვევა. იგივე შეიძლება ითქვას ძეხვის პროდუქტზე – თუ მასში სახამებელი ან ტენიანობა ერთიორი დანაყოფით შეიცვლება, ეს არ ნიშნავს მის ფალსიფიკაციას, მაგრამ თუ მასში ნახევარზე მეტი სახამებელი (ფქვილი) აღმოჩნდება და მიკრობიოლოგიურად დაბინძურებული იქნება, მაშინ, ცხადია, ფალსიფიცირებულ პროდუქტად ჩაითვლება. ჩვენ არაერთი სისხლის სამართლის საქმე ვნახეთ, სადაც ძეხვის პროდუქტში სახამებლისა და ტენიანობის სტანდარტიდან უმნიშვნელო ცვლილების გამო ფალსიფიცირებულ პროდუქტად ჩათვალეს და მის მწარმოებლებს მსჯავრი დაედოთ. ასეთია, მაგალითად, სისხლის სამართლის საქმე მ.ა.-ს მიმართ, რომელიც დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ გაასამართლა ფალსიფიკაციისათვის (31/738-2002), სისხლის სამართლის საქმე ს.ა.-ს მიმართ, რომელიც დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლომ 2002 წლის 7 მარტს მსჯავრი დასდო ფალსიფიკაციისათვის (№1/219-2002), სისხლის სამართლის საქმე რ.ძ.-ს მიმართ, რომელსაც ქუთაისის საქალაქო სასამართლომ 2002 წლის 22 აპრილის განაჩენით მსჯავრი დასდო 197-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, ფალსიფიკაციისათვის (№1/175-2002) და სხვ.

ჩვენი საექსპერტო დაწესებულებები, ხშირად, არაკონდინციური

პროდუქტის დამზადებასაც ფალსიფიკაციად თვლიან, რაც, სპეციალისტების აზრით, არასწორი პრაქტიკაა.

ამრიგად, ათეულობით სისხლის სამართლის საქმის შესწავლამ და სპეციალისტებთან კონსულტაციამ დაგვარწმუნა, რომ ბერი საექსპერტო დასკვნა ექსპერტების ფანტაზიის ნაყოფი და სუბიექტური შემოქმედების პროდუქტია, რაც დაუსვებელია. არადა სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ექსპერტს ვერც გაამტყუნებ, როცა სამართალდამცავი ორგანოს მუშაკი მოითხოვს მისგან ამოღებული პროდუქტის თვისებრიობის შეცვლის, თუ არშეცვლის დასაბუთებას, ანუ ისეთი რამის დასაბუთებას, რომლის ზუსტად გარკვევა არცთუ ისე იოლია. სპეციალისტებთან კონსულტაციებით მე პირადად ვერ გავარკვიე, რას ნიშნავს ზუსტად ნივთის თვისებრიობის შეცვლა, რასაც უკავშირდება სსკ 197-ე მუხლით პასუხისმგებლობა. აქ ბუნებრივად გაგვიჩნდა კითხვა – ფალსიფიკაციის შემადგენლობის ნიშნების ჩამოყალიბებისას კანონმდებელმა რატომ გადაიტანა აქცენტი ისეთ საორჭოფო და არაზუსტ ტერმინზე, როგორიც ნივთის თვისებრიობის შეცვლა? მაშინ, როცა ექსპერტი-ქიმიკოსები თავიანთ დასკვნებში ცდილობენ დაემყარონ ან აქცენტი მაინც გადაიტანონ სტანდარტებსა, ტექნოლოგიურ ინსტრუქციებზე, შესაბამისობის სერტიფიკატებზე და სხვა დოკუმენტებზე. სინამდვილეში გამოძიებაც ამ დოკუმენტებთან პროდუქციის შესაბამისობას უნდა ამტკიცებდეს და არა იმას, რომ მეწარმისაგან ამოღებული პროდუქტია თვისებრივად შეცვლილია თუ არა. წინასწარი გამოძიება რეალურად სწორედ ამას ამტკიცებს. თუნდაც ექსპერტის წინაშე დასმულ შეკითხვებს რომ გადავხედოთ, ადვილად დავრწმუნდებით ამაში. ექსპერტს ყოველთვის ეკითხებიან სტანდარტულია თუ არა შესამოწმებლად წარდგენილი პროდუქტი; ამ შეკითხვას შემდეგ უმატებენ სსკ 197-ე მუხლის დისპოზიციის არაფრისმთქმელ სიტყვებს – შეიცვალა თუ არა მისი თვისებრიობა. ექსპერტების პოზიტიურ პასუხებში კი ვკითხულობთ, რომ პროდუქტის წარმოების სტანდარტი დარღვეულია და რადგან სტანდარტი დარღვეულია, ამიტომ მისი თვისებრიობაც შეცვლილია.

მაგრამ აქ კიდევ ერთი კითხვა ჩნდება – რა ვუყოთ იმ შემთხვევებს, როცა სპეციალური გამოკვლევებით მტკიცდება, რომ პროდუქციის

წარმოების სტანდარტი დარღვეულია, მაგრამ მისი თვისებრიობა შეცვლილი არაა? საინტერესოა ამ მხრივ საქმე №1/338-2002 ი.გ-ს მიმართ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონულმა სასამართლომ 2002 წლის 22 ოქტომბრის განაჩენით ი.გ. დამნაშავედ ცნო ფალსიფიკაციაში, რაც გამოიხატა იმაში, რომ 2001 წლის 23 ოქტომბერს მან თავის დროებით საცხოვრებელ ბინაში უკანონოდ დაამზადა, მისი შემდგომი გასაღების მიზნით, ოთხი დასახელების ალკოჰოლური სასმელი („ტრიუმფი“, „უშბა“, „სარაჯიშვილი“ და „ვისკი“), რაც 2001 წლის 24 ოქტომბერს გასასაღებლად მიკროავტობუსით წაიღო ვაგზლის მოედანზე არსებულ ბაზრობაზე, მაგრამ გზაში დააკავეს პოლიციის მუშაკებმა. მიკროავტობუსიდან და საცხოვრებელი ბინიდან სულ ამოღებულ იქნა 239 ბოთლი ალკოჰოლური სასმელი, რომლის საბაზრო სარეალიზაციო ღირებულებამ 730 ლარი შეადგინა. ამ საქმეში ჩვენი ყურადღება მიიქცია ქიმიური ექსპერტიზის დასკვნამ, რომლის მიხედვითაც ექსპერტიზაზე წარდგენილი ალკოჰოლური სასმელების ერთი ნაწილი არასტანდარტული სასმელის ნიმუშებია, რომელიც განაპირობებს მათ თვისებრივ ცვლილებას, ხოლო მე-2 ნაწილი, კერძოდ, ალკოჰოლური სასმელი „ბალტიკა“ და მაგარი სასმელი „თბილისური“ არასტანდარტულია, რაც არ განაპირობებს მათ თვისებრივ ცვლილებას. ეს დასკვნა მეტად საყურადღებო პრაქტიკული დოკუმენტია. ამრიგად, ქიმიურმა ექსპერტიზამ გააკეთა დასკვნა, რომ ექსპერტიზაზე წარდგენილი ყველა ალკოჰოლური სასმელი არასტანდარტულია, მაგრამ ქიმიური შემადგენლობის მიხედვით მათი ერთი ნაწილი თვისებრივად შეცვლილია (ნორმით დადგენილი და ფაქტობრივი), ხოლო მე-2 ნაწილი თუმცა არასტანდარტულია, მაგრამ თვისებრივად არ არის შეცვლილი.

მსგავსი საექსპერტო დასკვნა სხვა საქმეშიც შეგვხვდა, მაგალითად, სისხლის სამართლის №1/295-2002 საქმეში გ.გ-ს მიმართ, რომელსაც გლდანი-ნაძალადევის სასამართლომ 2002 წლის 10 ივლისს მსჯავრი დასდო ფალსიფიკაციისათვის. მან შაქრის შემცველის გამოყენებით დაამზადა ლიმონათი.

საყურადღებოა ექსპერტის დასკვნა ამ საქმეზე, კერძოდ, ექსპერტი წერს, რომ შესამოწმებლად წარდგენილ ლიმონათის ნიმუშებში მშრალი ნივთიერების მასიური კონცენტრაცია, ასევე მჟავიანობის

მაჩვენებელი არ შეესაბამება სტანდარტით დადგენილ ნორმებს. თუმცა ექსპერტი იქვე აღნიშნავს, რომ ეს დარღვევები არ განაპირობებს პროდუქციის თვისებრივ ცვლილებას.

პროდუქციის წარმოების სტანდარტის დარღვევა ყოველთვის არ ნიშნავს მისი თვისებრიობის შეცვლას. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა კი სწორედ ამ უკანასკნელს უკავშირდება (სსკ 197-ე მუხლი).

შესწავლილი სისხლის სამართლის საქმეების ანალიზი საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ, საბოლოო ჯამში, ფალსიფიკაციისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველად მიჩნეულია სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის წესების დარღვევა. მაშასადამე, ფალსიფიკაციის ფაქტის დასადასტურებლად გადამწყვეტი პროდუქციის სტანდარტთან ან დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობაა და არა მისი თვისებრიობის შეცვლა თუ არ შეცვლა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ-ქიმიკოსების მოსაზრებით, სსკ 197-ე მუხლში გამოყენებული ტერმინი – „თვისებრიობა“ ჰუმანიტარულ ელფერს ატარებს. ზუსტ მეცნიერებაში ეს ტერმინი, ალბათ, უნდა გავიგოთ, როგორც ერთობლიობა ფიზიკურ-ქიმიური, მექანიკური ორგანოლეპტიკური, საექსპლუატაციო და სხვა თვისებებისა. თუ ამ მოსაზრებას დავეყრდნობით, მაშინ ცალსახად უნდა ითქვას, რომ თუ პროდუქტში დამატებულია სხვადასხვა დანამატი (განურჩევლად იმისა, დაბალი ღირებულებისაა იგი თუ მაღალი), იგი ცვლის საწყისი პროდუქტის თვისებრიობას (ქიმიური შემადგენლობის თვალნათლივი ცვლილების გარდა, შეიცვლება თუნდაც სიმკვრივე, გარდატეხის მაჩვენებელი და სხვა თვისებები). მაგრამ, სულ სხვა საკითხია დანამატი ცვლის თუ არა ამა თუ იმ ნივთიერების ან პროდუქტის სტანდარტს (ტექნიკურ პირობებს). ამდენად, პრაქტიკაში მთავარია პროდუქციის სტანდარტის ცნება. თუ პროდუქტი აკმაყოფილებს სტანდარტის ყველა მოთხოვნას, იგი ხარისხიან პროდუქტად ითვლება; თუ პროდუქტი არ აკმაყოფილებს სტანდარტის თუნდაც ერთ მოთხოვნას – იგი ითვლება უხარისხოდ. მეცნიერ-ქიმიკოსები გვთავაზობენ, რომ „თვისებრიობის შეცვლა“ არ არის ზუსტი ტერმინი, უკეთესი იქნება ვისარგებლოთ „სტანდარტით დაშვებული ნორმებით“.

საგულისხმო რეკომენდაციაა მართლაც, სასურველია, რომ ნორმატიული აქტებით გაირკვეს, სადაა ზღვარი არასტანდარტულ ან არაკონდიციურ პროდუქტსა და ფალსიფიკაციას შორის. ეს ნორმატიული ბაზა სამაგიდო სახელმძღვანელო იქნება ყველა ექსპერტისათვის და მათ გარკვეულ ჩარჩოებშიც მოაქცევს.

ამ საკითხს წმინდა იურიდიული თვალსაზრისით თუ შევხედავთ, ადვილად დავრწმუნდებით, რომ გაცილებით ძნელია მოქალაქეს უმტკიცო შენი პროდუქცია თვისებრიობაშეცვლილიაო, მაშინ, როცა უფრო ადვილია სტანდარტთან შეუსაბამო პროდუქციის გამოშვება დაუმტკიცო. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ფალსიფიკაციის სუბიექტური შემადგენლობის ანალიზს სამართალშემფარდებლები ზოგჯერ არც კი აქცევენ ყურადღებას. საგულისხმოა ამ მხრივ სისხლის სამართლის საქმეები ლ.ჭ-სა და მ.გ-ს მიმართ. მათ 2002 წელს ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ მსჯავრი დასდო ფალსიფიკაციისათვის. ისინი მუშაობდნენ ქ. ზუგდიდში ერთ-ერთ ინდივიდუალურ საწარმოში მწარმოებლებად და გამსაღებლად. მათ სხვადასხვა დროს რძის ფხვნილისა და სხვა სათანადო კომპონენტების გამოყენებით, შემდგომი რეალიზაციის მიზნით, დაამზადეს თვისებრივი იერსახე-შეცვლილი ნაყინი, რითაც დაარღვიეს სახელმწიფო სტანდარტის მოთხოვნები. ქიმიურმა ექსპერტიზამ დადგინა, რომ ნაყინში არ იყო ცხიმი და ამის გამო შეცვლილი იქნა მისი თვისებრივი სახე. ლ.ჭ-მ და მ.გ-მ ფალსიფიკაციის ფაქტი ნაყინის მასალის შესაძლო უხარისხობას დააბრალებს. მასალების ხარისხზე კი საწარმოს მეპატრონე იყო პასუხისმგებელი, რომელიც სასამართლოზე არც დაკითხულა, ხოლო წინასწარი გამოძიების დროს კი განაცხადა, რომ მართალია, მასალები მას შეჰქონდა საწარმოში, მაგრამ პროდუქციის ხარისხზე პასუხისმგებელი იყვნენ მწარმოებლები – ლ.ჭ და მ.გ. ცხადია, როცა ასეთი წინააღმდეგობა იყო მეწარმისა და მისი ხელქვეითების ჩვენებებს შორის, წინასწარ გამოძიებას უნდა გაერკვია ეს საკითხი. მათი დაკითხვა სწორედ იმ კუთხით უნდა წარმართულიყო, თუ რატომ დააკლეს წარმოებულ პროდუქტს საჭირო კომპონენტი. ასევე უნდა წარედგინათ სტანდარტი და ამის მიხედვით დაეკითხათ – როგორი ტექნოლოგიით უნდა დაემზადებინათ ნაყინი

და სინამდვილეში, რა დაამზადეს. სწორედ აქ გამოიკვეთებოდა ბრალდებულთა თუ განსასჯელთა მიერ თავიანთი მოქმედების მართლწინააღმდეგობის გაცნობიერების მომენტი. საკითხავია, რაღაში ცნეს თავი მთლიანად დამნაშავედ, თუკი მათ ანგარების მიზანი არ ამოძრავებდათ (საქმე №1/248-2002, №1/235-2002).

ანალოგიურია სისხლის სამართლის საქმე ნ.კ-ს მიმართ. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს განაჩენის მიხედვით მან ჩაიდინა ფალსიფიკაცია, რაც გამოიხატა იმაში, რომ იგი მუშაობდა ერთ-ერთ ინდივიდუალურ საწარმოში საქონელმცოდნედ და პასუხისმგებელი იყო გამოშვებული პროდუქციის ხარისხზე. 2002 წლის 22 მაისს აღნიშნული საწარმოს პურის საცხობში, შემდგომი რეალიზაციის მიზნით, სახელმწიფო სტანდარტის მოთხოვნათა დარღვევით, გამოაცხო 500 ცალი (600 კგ) პური, რომლის რეალიზაცია ვერ შეძლო, რადგან პოლიციამ იმავე დღეს ამოიღო. სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით პურის ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლები: ტენიანობა, მჟავიანობა და ფორიანობა არ შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტის მაჩვენებლებს.

ამ საქმის მკითხველი ვერ გაიგებს, რაში გამოიხატა ნ.კ-ს როლი ფალსიფიკაციაში, რატომ დაირღვა სტანდარტი, რა წვლილი შეიტანა მან ამაში. ბრალდებულმა განაცხადა, რომ პურის ფქვილი შეჰქონდა ზუგდიდის ბაზრობიდან და პურის ცომს არავითარ ქიმიურ ელემენტებს არ უმატებდა. ასეთი განცხადების შემდეგ, ცხადია, გამოძიებას უნდა გაერკვია, რისი (ან ვისი) ბრალია გამომცხვარი პურის უხარისხობა. საკითხავია, ფქვილის უხარისხობისათვის მხოლოდ პურის მცხობელს უნდა მოეთხოვოს პასუხი? იქნებ, მის ცოდნას აღემატებოდა ფქვილის ქიმიური შემადგენლობის ანალიზი? ალბათ უნდა გარკვეულიყო სად შეიძინა კონკრეტულად ფქვილი, როგორი შეფუთვა ჰქონდა მას, რა პირობებში მომზადდა ცომი და ა.შ. არც ერთ დასმულ კითხვაზე საქმეში პასუხი არ მოიძებნება. ამ საკითხების გარკვევის გარეშე რა ფასი აქვს იმის განცხადებას, რომ თავს მთლიანად ცნობს დამნაშავედ. რაში იცნო თავი დამნაშავედ, ფქვილი რომ შეიძინა და პური გამოაცხო? აღსანიშნავია, რომ ამ საქმის მასალებში არის ტექნოლოგიური ინსტრუქცია ხორბლის ფქვილისაგან პურის წარმოებაზე – სსტ 23-99-ის მიხედვით. ბრალდებული

სწორედ ამ ინსტრუქციის გარშემო უნდა დაკითხულიყო, რატომ დაარღვია პურის ცნობის რეცეპტურა და ტექნოლოგიური პროცესი (ანდა საერთოდ თუ დაარღვია), რა მიზეზებმა განაპირობეს და ა.შ. სწორედ ამ დეტალების გარკვევით უნდა დაზუსტდეს და დასაბუთდეს მისი ქმედების სუბიექტური შემადგენლობა. თუ ჩვენ განზრახვის ფორმულას წარმოვიდგენთ, მართლაც, ძნელი დასაჯერებელია ადამიანს პირდაპირი განზრახვით ჩადენილი ქმედება შეერაცხოს, მას კი გაცნობიერებული არ ჰქონდეს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა. ეს კი ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვის ოქმებიდან უნდა ჩანდეს, საქმეში კი, პურის ამოღების ფაქტის დადასტურების გარდა, ვერაფერი ამოვიკითხეთ. ალბათ, საგამოძიებო სამსახურების თანამშრომლები თვლიან, რომ რადგანაც ექსპერტიზამ ნივთის თვისებრიობის შეცვლა დაადასტურა, აღარ არის საჭირო იმის ძიება და მტკიცება, თუ რამ განაპირობა ეს. ყოველივე ამის შემდეგ პარადოქსულად გვეჩვენება, როცა ბრალდებული თუ განსასჯელი აცხადებს – თავს მთლიანად ვცნობ დამნაშავედ.

ამ საქმეების მკითხველს ბუნებრივად გებადება კითხვა: თუკი საკუთარი ქმედების მართლწინააღმდეგობა გაცნობიერებული არა გაქვს, მაშინ, რაღაში ცნობ თავს დამნაშავედ. ამ კითხვაზე პასუხით არავინ ინტერესდება, მაშინ, როცა ძალიან ადვილად შეიძლება მასზე პასუხის მიღება, თუკი საგამოძიებო ორგანოები სამეურნეო ობიექტის სტანდარტის, სახელმწიფო სტანდარტის, შესაბამისობის სერტიფიკატისა და სხვა დოკუმენტების მოშველიებით დაჰკითხავენ ფალსიფიკაციაში ეჭვმიტანილ ადამიანებს და მხოლოდ ექსპერტის დასკვნას არ დაემყარებინ. ამა თუ იმ მეწარმეს (ან უკანონო მეწარმეს), რომც არ გააჩნდეს პროდუქციის წარმოების შესაბამისი დოკუმენტაცია, ზოგადსაველდებულო ნორმების საფუძველზე შეიძლება დავუმტკიცოთ თავის ქმედების მართლწინააღმდეგობა. მაგალითად, საქართველოს 1996 წლის 6 სექტემბრის პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის კანონი ადგენს საქართველოში პროდუქციის სავალდებულო და ნებაყოფლობითი სერტიფიკაციის სამართლებრივ საფუძველებს. სავალდებულო სერტიფიკაციას დაქვემდებარებული პროდუქციის ნუსხაში შედის ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები,

ხორცის პროდუქტები, პურპროდუქტები და ა.შ. სამეწარმეო საქმიანობისათვის ეს ის ელემენტარული საკითხებია, რომლის არცოდნით ვერაინ იმართლებს თავს და ყველასათვის ნათელია¹.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონის საერთო სასამართლოების მიერ 2002 წელს განხილულ საქმეთა შორის ნავთობპროდუქტების ფალსიფიკაციის არც ერთი საქმე არ შეგვხვედრია. მაშინ, როცა ქართული ბაზარი გაჯერებულია ფალსიფიცირებული ნავთობპროდუქტებით.

ჯერ კიდევ 1999 წელს გამოცემულ ეკონომიკური დანაშაულის კომენტარში ჩვენ ვწერდით ფალსიფიკაციის საკანონმდებლო კონსტრუქციის არასრულყოფილებაზე². იგი სირთულეებს უქმნიდა და ახლაც უქმნის სამართალდამცავ ორგანოებს. საქართველოში საკმარისად გავრცელებულია ნავთობპროდუქტების ფალსიფიკაცია, კერძოდ, სარეალიზაციოდ შექმნილ ან დამზადებულ ბენზინის პროდუქტიაში სხვადასხვა დაბალი ღირებულების ნავთობპროდუქტების გარევა, რის შედეგადაც მკვეთრად ეცემა საქონლის ხარისხი, ზიანდება ეკოლოგია, მომხმარებელი, რომ აღარაფერი ვთქვათ ბიუჯეტის ზარალზე. ამავე დროს, ხსენებულ ფალსიფიკატორთა მიმართ სამართალდამცავი ორგანოები ვერ ახერხებდნენ 1960 წლის სსკ 162-ე მუხლის (ფალსიფიკაციის ძველი რედაქცია) შეფარდებას იმის გამო, რომ მაღალი ოქტანობის საწვავში დაბალი ოქტანობის ნავთობპროდუქტების გარევა პრაქტიკულად თითქოსდა არ იწვევს საქონლის თვისებრივი და გარეგნული იერსახის შეცვლას. სსკ 162-ე მუხლი კი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მხოლოდ და მხოლოდ ამ უკანასკნელ ნიშნებს უკავშირებდა. სისხლის სამართლის ახალი კოდექსის 197-ე მუხლში მოცემული ფალსიფიკაციის

¹ ჩვენი დიდი მცდელობის მიუხედავად, „თვისებრიობის“ შეცვლის ზუსტი მნიშვნელობა ვერ დავადგინეთ. მეცნიერ-ქიმიკოსთა აზრით ტერმინი „თვისებრიობა“ ქუვანიტარულ ელფერს ატარებს. სამართალშეფარდებულები კი ამ გაურკვეველი, შეფასებითი მნიშვნელობის მქონე საკითხის გარკვევას ექსპერტ-ქიმიკოსებსა და ბიოლოგებს ანდობს, თუკი კანონმდებელმა ფალსიფიკაციის არსის გადმოსაცემად ქუვანიტარული (შეფასებითი) ტერმინი გამოიყენა, მაშინ შეფასება იურისტმა უნდა მოახდინოს და ექსპერტს არ გადასცეს ეს ფუნქცია. ექსპერტს შეიძლება ნიუთის სტანდარტთან შესაბამისობის დადგენა ეკითხოთ, ხოლო საბოლოო შეფასებები სამართალშეფარდებულებმა უნდა გააკეთონ.

² მ. ლეკვიშვილი, გ. მაშულაშვილი, „პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის“, თბ., 1999, გვ. 100-101.

შემაღგენლობა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას კვლავ მოტყუებით ნივთის თვისებრიობის შეცვლას უკავშირებს. ამდენად გამოდის, რომ სამართალდამცავი ორგანოები ახალი კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგაც თითქოსდა იმავე პრობლემის წინაშე დგანან¹.

როგორც ზემოთ შევეცადეთ დასაბუთებას, თუ პროდუქტში დამატებულია სხვადასხვა ნაერთი, იგი ცვლის საწყისი პროდუქტის თვისებრიობას (შეიცვლება თუნდაც სიმკვრივე და სხვა თვისებები). მაშასადამე, ნებისმიერი ნივთიერება, თუ ის ნარევია, ერთი კომპონენტის შეცვლითაც კი სხვა თვისებრიობას შეიძენს. ასე რომ, დასჯის საფუძველი უწინაც იყო და ახლაც არის. ამ თვალსაზრისით დღევანდელი რედაქციის მქონე სისხლის სამართლის ნორმითაც შეიძლება ნავთობპროდუქტების ფალსიფიკატორების წინააღმდეგ ბრძოლა. მაგრამ, გამომდინარე თავად „თვისებრიობის“ ცნების უზუსტობიდან და მისი სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციის შესაძლებლობიდან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სსკ 197-ე მუხლის დისპოზიციის შეცვლა იმგვარად, რომ ფალსიფიკაციისათვის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას საფუძველად დაედოს არა მხოლოდ ნივთის თვისებრიობის შეცვლა, არამედ მისი ხარისხის განზრახ დაქვეითება ან შეცვლა. მით უფრო, რომ ეტიმოლოგიურად ფალსიფიკაცია გულისხმობს რისამე ხარისხის გაუარესებას. საგულისხმოა ისიც, რომ ამ ტერმინის განმარტება მოცემული გვაქვს საქართველოს სურსათისა და თამბაქოს კანონში, სადაც ვკითხულობთ: „ფალსიფიკაცია – პროდუქციის წარმოებისას ანდა რეალიზაციისას მისი გაყალბება, ჭეშმარიტი (ნამდვილი) პროდუქციის შეცვლა ყალბით“. ამავე კანონის მე-8 მუხლში ვკითხულობთ: „სურსათი და თამბაქო ფალსიფიცირებულად ითვლება, თუ თანდართულ შესაბამის დოკუმენტებში მითითებული ხარისხი არ შეესაბამება სურსათისა და თამბაქოს რეალურ ხარისხს, შეცდომაში შეჰყავს მომხმარებელი და სახიფათოა მისი ჯანმრთელობისათვის“. როგორც ვხედავთ, კანონი ხაზს უსვამს პროდუქტის სტანდარტით დადგენილი და რეალური ხარისხის შესაბამისობის აუცილებლობას. ცხადია, დაუშვებელია,

¹ მთარული ხმებით, თავის დროზე ასეთი რედაქციის ნორმის შეტანას სსკ-ში ლობირება გაუწიეს იმ პარლამენტარებმა, რომლებიც ნავთობის ბიზნესით იყვნენ დაკავებული.

რომ სასურსათო პროდუქციის მიმართ ფალსიფიკაციის ერთი გაგება გექონდეს და სხვა სახის პროდუქციის მიმართ განსხვავებული. აქედან გამომდინარე სსკ 197-ე მუხლის დისპოზიცია შეიძლება ასე ჩამოყალიბებულიყო: „ფალსიფიკაცია, ე.ი. ანგარებით ნივთის წარმოების სტანდარტის ან სერტიფიკაციის წესების დარღვევა, რასაც მოჰყვა მისი ხარისხის გაუარესება, ჩადენილი მწარმოებლის ან გამსაღებლის მიერ, ისჯება“..... ანდა „სტანდარტით დაშვებული ნორმების შეუსაბამო პროდუქციის დამზადება ან რეალიზაცია ანდა მისი ხარისხის განზრახ დაქვეითება მწარმოებლის ან გამსაღებლის მიერ ანგარებით“, ისჯება.....

რეკომენდაციები

1. წინასწარი გამოძიების ორგანოებმა დიდი ყურადღება უნდა დაუთმონ ფალსიფიკაციის როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური შემადგენლობის ნიშნების დადგენას. აგრეთვე, ქმედების მართლწინააღმდეგობის პოზიტიურად დადგენას, რამდენადაც ფალსიფიკაციის დროს ადგილი აქვს სხვადასხვა ბლანკეტური ნორმების დარღვევას (სტანდარტები, ტექნოლოგიური ინსტრუქციები და სხვ.), ამდენად, უნდა გაირკვეს კონკრეტულ შემთხვევაში ეწინააღმდეგება თუ არა ქმედება ბლანკეტური ნორმის მოთხოვნებს. ამის შემდეგ უნდა გაირკვეს გაცნობიერებული ჰქონდა თუ არა ამა თუ იმ პირს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა.

2. უნდა აიკრძალოს ექსპერტიზების ჩატარება საექვო წარმომავლობის, არააკრედიტირებულ დაწესებულებებში, რომლებიც სრულ განუკითხაობას ქმნიან სასამართლო პრაქტიკაში.

3. სსკ 197-ე მუხლის დისპოზიცია უნდა შეიცვალოს და მასში აისახოს სტანდარტით დაშვებული ნორმების შეუსაბამო, უხარისხო პროდუქციის გამოშვება ანდა რეალიზაცია.

**მუხლი 198. ადამიანის სიცოცხლისათვის ან
ჯანმრთელობისათვის საშიში აროდუქციის
დამზადება, შემოტანა ან რეალიზაცია**

1. ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის დამზადება, შემოტანა ან რეალიზაცია, ანდა ასეთ პროდუქტიაზე ეტიკეტის უკანონოდ გამოყენება, –

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

2. იგივე ქმედება, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან თორმეტ წლამდე.

ამ მუხლზე 2000 წლიდან სასამართლო პრაქტიკა არ არსებობს.

მუხლი 199. ეკომარკით უკანონოდ სარგებლობა

ეკომარკით უკანონოდ სარგებლობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, –

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სასამართლო სტატისტიკისა და ინფორმატიზაციის განყოფილების მონაცემებით, სასამართლო პრაქტიკა ამ მუხლთან დაკავშირებით არ არსებობს.

**მუხლი 200. მარკირებას დაქვემდებარებული
აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე
ბამოშვება. შენახვა. რეალიზაცია და გადაზიდვა**

1. აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია ან გადაზიდვა,—

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან ტუსაღობით ვადით სამ თვემდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) არაერთგზის;

ბ) დიდი ოდენობით,—

ისჯება ჯარიმით ან ტუსაღობით ვადით ხუთ თვემდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.

3. ამ მუხლის 1-ლი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით,—

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე.

შენიშვნა: 1. ამ მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება, როდესაც აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის ღირებულება აღემატება ორას ლარს.

2. ამ მუხლში დიდ ოდენობად ითვლება საქონლის ღირებულება ორი ათასიდან ათი ათას ლარამდე, ხოლო განსაკუთრებით დიდ ოდენობად — საქონლის ღირებულება ათი ათასი ლარის ზევით.

2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი ანალოგიურ შემადგენლობას ითვალისწინებდა 173³-ე მუხლში, რომელსაც არსებითი ცვლილება არ განუცდია ახალ სისხლის სამართლის კოდექსში. საქართველოს სინამდვილეში, პირველად, მსგავსი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობა შემოღებულია 1998 წლის 28 ნოემბრის კანონით.

„საქართველოში ალკოჰოლიანი სასმელების, ლუდისა და თამბაქოს ნაწარმის წარმოებაზე, იმპორტსა და რეალიზაციაზე აქცი-

ზური მარკების შემოღების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 28 მაისის ბრძანებულებით 1999 წლის 1 თებერვლიდან აიკრძალა მარკირებას დაქვემდებარებული ალკოჰოლიანი სასმელების, ლუდისა და თამბაქოს ნაწარმის წარმოება და იმპორტირება, ხოლო 1 მარტიდან მათი რეალიზაცია – აქციზური მარკების გარეშე. ეს ღონისძიება მიზნად ისახავდა სააქციზო მოსაკრებლის მნიშვნელოვან გაზრდას და საქართველოს ტერიტორიაზე აქციზური საქონლის არალეგალურად შემოტანისა და რეალიზაციის აღკვეთას.

ცნობილია, რომ აქციზი არაპირდაპირი გადასახადია ფართო მოხმარების საგნებზე და სახელმწიფოს ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. საბაზრო ეკონომიკის პრინციპების უგულვებელყოფის, სახელმწიფო საზღვრების დაუცველობისა და საჯარო მოხელეთა უპასუხისმგებლობის გამო საქართველოს ტერიტორიაზე ყოველწლიურად აქციზური მარკების ნიშნდების გარეშე აქციზური საქონლის გამოშვების, რეალიზაციისა და გადაზიდვის მრავალი ფაქტი ხდება. ამგვარი მოქმედებებით ქვეყანა უზარმაზარ საბიუჯეტო შემოსავლებს კარგავს. ამრიგად, სსკ მე-200 მუხლით გათვალისწინებული ქმედებების კრიმინალიზაცია მიზნად ისახავს ქვეყნის საფინანსო ინტერესების დაცვას. დანაშაულის საგანია მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონელი – ალკოჰოლიანი სასმელები, ლუდი და თამბაქოს ნაწარმი.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით კრიმინალიზებულია აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია და გადაზიდვა. მე-200 მუხლის 1-ლი ნაწილით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დადგება მაშინ, როცა აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის ღირებულება აღემატება 200 ლარს. პასუხისმგებლობა ალკოჰოლიანი სასმელების, ლუდისა და თამბაქოს ნაწარმის აქციზური მარკებით მარკირებისათვის ეკისრებათ საქართველოში წარმოებული აქციზური საქონლის მწარმოებლებს, საქართველოში იმპორტირებული აქციზური საქონლისათვის – იმპორტიორებს, ხოლო ასეთი საქონლის შენახვის,

რელიზაციისა ან გადაზიდვისათვის როგორც მწარმოებელს ან იმპორტიორს, ისე ნებისმიერ სხვა პირს.

ჩვენ შევისწავლეთ და გავაანალიზეთ თბილისის რაიონული სასამართლოების, ასევე საქართველოს სხვადასხვა რეგიონების რაიონული სასამართლოების პრაქტიკა სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით. სასამართლო პრაქტიკაში არსებული ტენდენციების ჩვენებას შევეცდებით კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეების საფუძველზე.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ სასამართლოები არსებითად სწორად წყვეტენ მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვების, შენახვის, რელიზაციისა თუ გადაზიდვასთან დაკავშირებულ საქმეებს, თუმცა ნაკლოვანებებიც შეგვხვდა, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

განსახილველი დანაშაულის საგანი ჩვენს სასამართლო პრაქტიკაში, ძირითადად, უაქციზო სიგარეტია. სისხლის სამართლის საქმეების უმრავლესობა ერთნაირი ტრივიალური შესავლით იწყება: „ბრალდებულმა გორის რაიონის სოფელ ერგნეთში, ე.წ. ბაზრობაზე, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან რელიზაციის მიზნით შეიძინა საქართველოს აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული ამა და ამ რაოდენობის უაქციზო სიგარეტი, რომელიც გადაზიდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მიმართულებით“. სასაქონლო ექსპერტიზის მეშვეობით განსაზღვრულია ამოღებული უაქციზო სიგარეტის საბაზრო-სარელიზაციო ღირებულება კონკრეტული პერიოდისათვის და კვალიფიკაციაც ამის შესაბამისად არის გაკეთებული. აი ამის ტიპური მაგალითი:

ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონულმა სასამართლომ 2002 წლის 4 ივლისის განაჩენით ც. ბ. დამნაშავედ ცნო სსკ მე-200 მუხლის 1-ლი ნაწილით, მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გადაზიდვისათვის, რაც გამოიხატა შემდგომი: 2002 წლის 30 აპრილს ც. ბ-მ გორის რაიონის სოფელ ერგნეთში, ე.წ. ბაზრობაზე, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან, შემდგომი რელიზაციის მიზნით, შეიძინა საქართველოს აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული სხვადასხ-

ვა დასახელების იმპორტული წარმოების უაქციზო სიგარეტები, რომლებიც ორ ცალ მუყაოს ყუთში ჩააწყო და სამარშრუტო ტაქსით გადაზიდა ქ. თბილისში. იმავე დღეს, დაახლოებით 20 საათზე, თბილისში დაბრუნებისთანავე, ავტალის გზატკეცილზე იგი შეაჩერეს პოლიციის მუშაკებმა და მისგან ამოიღეს ზემოთ აღნიშნული სიგარეტი. სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ ც. ბ-ს მიერ შექმნილი და თბილისში გადმოზიდული უაქციზო სიგარეტის საერთო საბაზრო-სარეალიზაციო ღირებულება, აქციზის გადასახადის ჩათვლით, შეადგენს 297 ლარს და 50 თეთრს⁶⁷ (საქმე №1/275 – 2002).

სასამართლო პრაქტიკის ანალიზით დავრწმუნდით, რომ სასამართლოები ზოგჯერ ნაკლებ ყურადღებას უთმობენ სსკ მე-200 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ნიშნების ზუსტად დადგენას. აღნიშნული მუხლით აღწერილი ქმედების შემადგენლობა ე. წ. ალტერნატიულ შემადგენლობათა რიცხვს მიეკუთვნება, რაც იმას ნიშნავს, რომ ქმედების ობიექტურ შემადგენლობას ქმნის როგორც აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, ისე მისი შენახვა, რეალიზაცია ან გადაზიდვა. თითოეული ქმედება საკმარისი საფუძველია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის, თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ ერთდროულად ქმედების რამდენიმე შემადგენლობის რეალიზაციას ჰქონდეს ადგილი.

ჩვენს მიერ შესწავლილ სისხლის სამართლის საქმეებში როგორც წინასწარი გამოძიების, ისე სასამართლოს შემაჯამებელ დოკუმენტებში, ერთი და იგივე ქმედება ზოგჯერ შეფასებულია მხოლოდ უაქციზო საქონლის გადაზიდვად, ზოგჯერ კი – შენახვადაც და გადაზიდვადაც. სახელდობრ, გორის რაიონის სოფელ ერგნეთის „ბაზრობიდან“ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მიმართულებით უაქციზო სიგარეტის გადატანა ხან მხოლოდ მის გადაზიდვად არის შეფასებული, ხან კიდევ, მის შენახვადაც და გადაზიდვადაც. ასე, მაგალითად, სისხლის სამართლის საქმეზე ლ.ხ-ს მიმართ (№1/378 – 02), იბ-ს მიმართ (№1/565), გ.თ-ს მიმართ (№1/470 – 2002), მ.ი-ს

⁶⁷ ამ თანხიდან სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ მიუღებელი შემოსავალი, აქციზის გადასახადის სახით, 180 ლარია.

მიმართ (№1/299 – 2002), ნ.ზ.-ს მიმართ (№1/586-2002), თ.ბ.-ს მიმართ (№9001184) და სხვ. გორის რაიონის სოფელ ერგნეთის ბაზრობიდან უაქციზო სიგარეტის საზოგადოებრივი თუ პირადი ტრანსპორტით გადაზიდვა შეფასებულია მის შენახვადაც და გადაზიდვადაც. ნიშნდობლივია ამ მხრივ სისხლის სამართლის საქმე ს.შ.-ს მიმართ (№1/568 – 2002). იგი თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ დამნაშავედ ცნო 1520 ლარის ღირებულების უაქციზო სიგარეტის გორის რაიონის სოფელ ერგნეთის ბაზრობიდან სარეალიზაციოდ თბილისში გადმოზიდვაში. საბრალდებო დასკვნაში აღნიშნულია, რომ მან ჩაიდინა აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის აქციზური მარკის გარეშე შენახვა, გადაზიდვა და რეალიზაცია, ხოლო სასამართლომ დადასტურებულბად მიიჩნია, რომ ს.შ.-მ ჩაიდინა აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის აქციზური მარკის გარეშე შენახვა, გადაზიდვა რეალიზაციის მიზნით. სინამდვილეში, ობიექტურად მისი მოქმედება გამოიხატა იმაში, რომ 2001 წლის 3 სექტემბერს გორის რაიონის სოფელ ერგნეთის ბაზრობაზე უკანონოდ შეიძინა 1520 კოლოფი უაქციზო სიგარეტი და იმავე დღეს სამარშრუტო ტაქსით გადმოზიდა თბილისში. იგი თბილისის რკინიგზის სადგურში დააკავეს სატრანსპორტო პოლიციის თანამშრომლებმა.

იგივე სურათია სისხლის სამართლის საქმეზე თ.მ.-ს მიმართ (№1/131 – 2002). იგი დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ დამნაშავედ ცნო იმაში, რომ 2001 წლის 25 სექტემბერს ქ. გორის აგრარულ ბაზარში, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან რეალიზაციის მიზნით შეიძინა, შეინახა და იმავე დღეს მატარებლით თბილისში გადმოზიდა 308 ლარის ღირებულების სხვადასხვა დასახელების უაქციზო სიგარეტი. იმავე დღეს, იგი თბილისში, ბორჯომის ვაგზლის ტერიტორიაზე დააკავეს სატრანსპორტო პოლიციის თანამშრომლებმა. ამგვარად, მატარებლით გორიდან თბილისში უაქციზო სიგარეტის წამოღება შეფასებულია როგორც მის შენახვად, ისე გადმოზიდვად.

საკითხავია, რამდენიმე საათი ბარგის ტრანსპორტში დება შენახვად უნდა შეფასდეს თუ მხოლოდ გადაზიდვად?

ვფიქრობთ, რომ აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე ობიექტური

შემადგენლობის ნიშნებით ისეთი თავისუფალი მანევრირება, რაც ჩვენ ვნახეთ, არასწორია. არ შეიძლება, რომ გამოძიებისა თუ სასამართლოს შემაჯამებელ დოკუმენტებში ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშნების აღწერა არ შეესაბამებოდეს, ანდა სცილდებოდეს ობიექტურად განხორციელებულს.

სწორედ იმის გამო, რომ ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშნები არასწორად შეაფასა წინასწარმა გამოძიებამ და სასამართლომ, შეცდომა იქნა დაშვებული როგორც ქმედების კვალიფიკაციაში, ისე სასჯელის დანიშვნაში. ასე, მაგალითად, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 18 იანვრის განაჩენით ვგ-ს მსჯავრი დაედო აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის აქციზური მარკის გარეშე შენახვისა და რეალიზაციის მცდელობისათვის. სახელდობრ, 2001 წლის 10 სექტემბერს ინდივიდუალურმა მეწარმე ვგ-მ, რომელიც ადრე ნასამართლები იყო იმავე დანაშაულისათვის, შპს „იმერეთის“ ტერიტორიაზე განთავსებულ მისივე თამბაქოს სარეალიზაციო ჯიხურთან, დაუდგენელი პირისაგან შემდგომი რეალიზაციის მიზნით, შეიძინა 214 ლარისა და 50 თეთრის ღირებულების 1225 კოლოფი სხვადასხვა დასახელების სიგარეტი აქციზური მარკის გარეშე და შეინახა იმავე ჯიხურში. მან უაქციზო სიგარეტის რეალიზაციის განზრახვის სისრულეში მოყვანა ვერ შეძლო, ვინაიდან მე-2 დღეს საგანგებო ლეგიონის თანამშრომლებმა მისი ჯიხურიდან ამოიღეს მუყაოს ყუთებში შენახული უაქციზო სიგარეტი. აღნიშნული ქმედებისათვის ვგ-ს მსჯავრი დაედო მე-200 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით და მე-19-200-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით. მოსამართლემ სასჯელი დანიშნა დანაშაულთა ერთობლიობისათვის და გამოიყენა სასჯელთა შთანთქმის პრინციპი. განაჩენი არ გასაჩივრებულა (საქმე №1/152 – 2002).

ანალოგიური სურათია სისხლის სამართლის საქმეზე ლ.ხ-ს მიმართ. მას ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 31 იანვრის განაჩენით მსჯავრი დაედო აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის აქციზური მარკის გარეშე შენახვის, გადაზიდვისა და რეალიზაციის მცდელობისათვის.

ლ.ხ-მ 2001 წლის 13 მაისს გორის რაიონის სოფელ ერგნე-

თის „ბაზრობაზე“ შეიძინა 277 ლარის ღირებულების 290 კოლოფი უაქციზო სიგარეტი და სამარშრუტო მიკროავტობუსით გადაზიდა ქობულეთის რაიონის მიმართულებით. ხარაგაულის რაიონის ტერიტორიაზე იგი დააკავეს საგანგებო ლეგიონის თანამშრომლებმა და მისგან ამოიღეს აღნიშნული უაქციზო სიგარეტი. წინასწარმა გამოძიებამ და სასამართლომ ლ.ხ-ს ქმედება დააკვალიფიცირა სსკ მე-200 მუხლის 1-ლი ნაწილით და მე-19-200-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლომ გამოიყენა სასჯელთა შთანთქმის პრინციპი. განაჩენი არ გასაჩივრებულა (საქმე №1/51 – 2002).

მკითხველის ყურადღებას, უპირველეს ყოვლისა, იპყრობს ზემოაღნიშნულ ქმედებათა მცდარი კვალიფიკაცია. სისხლის სამართლის ანბანური ჭეშმარიტებაა ის, რომ, როცა დანაშაული ალტერნატიული მოქმედებისაგან შედგება, თუკი ერთ-ერთი მოქმედებაც კი დასრულდა, დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება და მე-2 ალტერნატიული მოქმედების მომზადებაზე ან მცდელობაზე მსჯელობა უსაგნო ხდება, მით უფრო, სასჯელის დანიშვნა დანაშაულთა ერთობლიობის წესებით. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენ მიერ შესწავლილი ორმოცდაათამდე სისხლის სამართლის საქმე, რომელიც ქუთაისის საქალაქო სასამართლოს აქვს განხილული, ერთნაირი ხელწერით ხასიათდება. იშვიათი გამონაკლისის გარდა, სსკ მე-200 მუხლით აღწერილ ალტერნატიულ ქმედებებს ცალ-ცალკე კვალიფიკაცია აქვს მიცემული, თუმცა სასჯელი, ზემოთ მოტანილი ორი გამონაკლისის გარდა, საბედნიეროდ, ერთი დანაშაულისათვის არის დანიშნული.

შეგვხვდა ისეთი გამონაკლისი სისხლის სამართლის საქმეებიც, რომლებზედაც წინასწარი გამოძიების მიერ დანაშაულთა ერთობლიობად შეფასებული ალტერნატიული ქმედებების კვალიფიკაცია შეიცვალა სასამართლო პროცესზე. სახელდობრ, რამდენიმე სისხლის სამართლის საქმეზე განსასჯელებს მე-19-200 მუხლით წარდგენილი ბრალდება მოეხსნათ პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე იმ მოტივით, რომ განსასჯელთა მხრიდან აღგილი ჰქონდა არა უაქციზო სიგარეტის რეალიზაციის მცდელობას, არამედ მომზადებას, დანაშაული აღკვეთილ იქნა რეალიზაციის მომზადების სტადი-

აზე. მომზადება კი დასჯადია მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულისა. სინამდვილეში, განსასჯელებს მე-19-200-ე მუხლით წარდგენილი ბრალდება აღნიშნული მოტივით კი არ უნდა მოხსნოდათ, არამედ იმის გამო, რომ ალტერნატიული შემაღგენლობის მქონე დანაშაულის ერთ-ერთი ქმედება უკვე დასრულებული იყო, კერძოდ, უაქციზო საქონლის გადაზიდვა.

აღსანიშნავია, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ანალოგიური ხელწერა აქვს ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ სისხლის სამართლის საქმეებს. კერძოდ, ჩვენ მიერ შესწავლილ ოცამდე სისხლის სამართლის საქმეზე სსკ მე-200 მუხლით გათვალისწინებულ ალტერნატიულ ქმედებებს ცალ-ცალკე კვალიფიკაცია აქვს მიცემული, თუმცა სასჯელი ერთიანი დანაშაულისათვისაა დანიშნული. ასე, მაგალითად, ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 16 სექტემბრის განაჩენით ზ.შ-ს მსჯავრი დაედო დიდი ოდენობით უაქციზო სიგარეტის გადაზიდვისა და რეალიზაციის მცდელობისათვის – სსკ მე-200-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით და მე-19-200-ე მუხლის „ბ“ პუნქტით და შეეფარდა ჯარიმა.

ზ.შ-მ 2002 წლის 3 აპრილს გორის რაიონის სოფელ ერგნეთის „ბაზრობაზე“ 3000 ლარად შეიძინა 10923 კოლოფი სხვადასხვა დასახელების სიგარეტი და საკუთარი ავტომანქანით გადაზიდა ქ. ზუგდიდის მიმართულებით ზესტაფონის რაიონის ტერიტორიაზე იგი ამხილეს საგანგებო ლეგიონის თანამშრომლებმა (საქმე №1/125 – 2002).

პროკურორის სააპელაციო საჩივრის საფუძველზე განაჩენი გასაჩივრდა ქუთაისის საოლქო სასამართლოში სასჯელის ღმობიერების მოტივით. ქუთაისის საოლქო სასამართლოს 2003 წლის 28 იანვრის განაჩენით ცვლილებები შევიდა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს განაჩენში. კერძოდ, მან, მართალია, სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა, მაგრამ სააპელაციო პალატამ სავსებით სამართლიანად ჩათვალა, რომ „ერთი და იგივე დანაშაულის დისპოზიციით გათვალისწინებული ქმედებების დამთავრებულ და დაუმთავრებელ დანაშაულთა იდეალური ერთობლიობა ცალ-ცალკე დაკვალიფიციერებას არ საჭიროებს, რის გამოც ზ.შ-ს უნდა ამოერიცხოს გასაჩივრებული განაჩენიდან საქართველოს სსკ მე-19-200

მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით მსჯავრდების ეპიზოდი, როგორც ზედმეტად შერაცხული“.

ანალოგიური შეცდომა ჰქონდა დაშვებული ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს დ.ქ-ს საქმეზე (№1/124 – 2002), რომელიც ასევე გამოასწორა ქუთაისის საოლქო სასამართლომ.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მიერ განხილული ის სისხლის სამართლის საქმეები, რომლებიც არ გასაჩივრებულა, მცდარი კვალიფიკაციით არის კანონიერ ძალაში შესული. მაგრამ, ზესტაფონის რაიონული სასამართლოს შეცდომა ქუთაისის საოლქო სასამართლომაც ვერ შენიშნა მე-ს საქმეზე.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 16 სექტემბრის განაჩენით მე-ს მსჯავრი დაედო აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული დიდი ოდენობით საქონლის აქციზური მარკის გარეშე შენახვის, გადაზიდვისა და რეალიზაციის მცდელობისათვის, რაც გამოიხატა იმაში, რომ მან 2002 წლის 15 მაისს გორის რაიონის სოფელ ერგნეთის „ბაზრობაზე“ შეიძინა 5275 ლარის ღირებულების 8000 კოლოფი სიგარეტი, რომელიც თავისი საკუთარი ავტომანქანით გადაზიდა ქუთაისის მიმართულებით შემდგომი რეალიზაციის მიზნით. მისი დანაშაულებრივი ქმედება ზესტაფონის რაიონის ტერიტორიაზე უშიშროების სამინისტროსა და საგანგებო ლეგიონის თანამშრომლებმა აღკვეთეს. როგორც წინასწარმა გამოძიებამ, ისე რაიონულმა სასამართლომ მე-ს ქმედება დააკვალიფიცირა მე-200 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით და მე-19-200 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით და სასჯელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა.

პროკურორის სააპელაციო საჩივრით რაიონული სასამართლოს განაჩენი, სასჯელის ლმობიერების მოტივით, გასაჩივრდა ქუთაისის საოლქო სასამართლოში.

ქუთაისის საოლქო სასამართლომ 2003 წლის 13 იანვრის განაჩენით ზესტაფონის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა კანონიერ ძალაში. სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

საინტერესოა, რომ საოლქო სასამართლოს სამ პროფესიონალ მოსამართლეს აზრად არ მოუვიდა რაიონული სასამართლოს განაჩენის

შესწორება კვალიფიკაციის ნაწილში, სახელდობრ, მათ ვერ შენიშნეს, რომ მე-19-200 მუხლი უსაფუძვლოდ იყო შერაცხული მე-ს მიმართ.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზის დროს ისეთ ფაქტებსაც გავე-
ცანით, როცა უაქციზო სიგარეტის შენახვის ან გადაზიდვის მცდე-
ლობა დამთავრებულ დანაშაულად იყო შეფასებული (დაკვალიფიცირ-
ებული) ანდა პირიქით. ასე მაგალითად, ხაშურის რაიონულმა სასა-
მართლომ ლ.მ-ს მიერ უაქციზო სიგარეტის გადაზიდვის მცდელობა
დამთავრებულ დანაშაულად შეაფასა (საქმე №1/156 – 2002); ზუგ-
დიდის რაიონულმა სასამართლომ ზ.ქ-ს მიერ უაქციზო სიგარეტის
შენახვისა და გადაზიდვის მცდელობა, ასევე დამთავრებულ დანა-
შაულად ჩათვალა (საქმე №1-ა-212-2002 წ.); დაუმთავრებელი დან-
აშაული იყო დ.ქ-ს ქმედებაც, რომელიც ქუთაისის საქალაქო სასა-
მართლომ დამთავრებულ დანაშაულად შეაფასა (საქმე №1/161-2002
წ.); ასევე დაუმთავრებელი იყო ნ.კ-ს ქმედება, რომელიც ქუთაისის
საქალაქო სასამართლომ დამთავრებულ დანაშაულად შეაფასა (საქმე
№1/29 – 2002 წ.) და სხვ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენს მიერ შესწავლილ რიგ საქმეებში
საკვებით სწორად არის შეფასებული ქმედების ობიექტური შემად-
გენლობის ნიშნები. ასე, მაგალითად, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ-
მა სასამართლომ 2002 წლის 10 დეკემბრის განაჩენით ლ. წ.
დამნაშავედ ცნო აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემ-
დებარებული საქონლის აქციზური მარკის გარეშე შენახვაში და
გადაზიდვაში, სსკ მე-200 მუხლის 1-ლი ნაწილით. ამ საქმეში,
მართლაც, გამოკვეთილია უაქციზო საქონლის შენახვაც და გადა-
ზიდვაც. მსჯავრდებულმა ლ.წ-მ 2002 წლის 6 ოქტომბერს გორის
რაიონის სოფელ ერგნეთში, ბაზრობაზე შეიძინა 1086 ლარის ღირე-
ბულების სხვადასხვა დასახელების უაქციზო სიგარეტი, რომელიც
გადაზიდა გორის რაიონის ერთ-ერთ სოფელში, თავის საცხოვრებელ
სახლში, მე-2 დღეს კი აღნიშნული სიგარეტი მატარებლით გადაზი-
და თბილისში, სადაც ბორჯომის ვაგზლის ტერიტორიაზე დააკავეს
სატრანსპორტო პოლიციის თანამშრომლებმა.

ასევე ეჭვს არ იწვევს განაჩენი სისხლის სამართლის საქმეზე
ნ.კ-ს მიმართ (საქმე №1/242 – 2002). იგი 2002 წლის 25 აპრი-

ლის განაჩენით დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ დამ-
ნაშავედ ცნო მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის
აქციზური მარკის გარეშე შენახვასა და რეალიზაციაში. მან დიდუბის
რაიონის ტერიტორიაზე არსებულ „ბავშვთა სამყაროს“ მიმდებარე
ტერიტორიაზე გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან შეიძინა უაქცი-
ზო სიგარეტი, რომლის სარეალიზაციო ღირებულება შეადგენდა
349,40 ლარს. აღნიშნული სიგარეტი შეინახა სავაჭრო ცენტრ
„ბავშვთა სამყაროს“ ქვეშ განლაგებულ შემნახველ საკანში. 2001
წლის 16 დეკემბერს აღნიშნული სიგარეტის ნაწილი სარეალიზა-
ციოდ მოათავსა იმავე ტერიტორიაზე მდებარე სავაჭრო დახლზე,
ვაჭრობის დროს დააკავეს საგანგებო ლეგიონის მუშაკებმა.

ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშნები სწორად არის
შეფასებული სისხლის სამართლის საქმეზე ე.მ-ს მიმართ (№1/197
– 2002), ქ.მ-ს მიმართ (№1/322 – 2002), ნ.ც-ს მიმართ (№1/331
– 2002) და სხვ. ასევე სადავო არ არის ობიექტური შემადგენლო-
ბის ნიშნების შეფასება ო.კ-ს ქმედებაში. მის ქმედებაში ადგილი
ქონდა უაქციზო საქონლის გამოშვებასაც, შენახვასაც და რეალ-
იზაციასაც. ო.კ. მუშაობდა შპს „აღვეთამბაქოს“ მთავარ ტექნოლოგად.
იმ დროს, როცა იგი უშუალოდ ხელმძღვანელობდა საწარმოს მთლიან
საქმიანობას, ფულადი გამორჩენის მიღების მიზნით, გამოუშვა 1730,30
ლარის ღირებულების 9000 კოლოფი უფილტრო სიგარეტი, რომ-
ლის ერთი ნაწილის რეალიზაცია მოახდინა სხვადასხვა პირებზე,
ხოლო მე-2 ნაწილს – ინახავდა საწარმოში.

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ 2002
წლის 11 ივლისის განაჩენით მას მსჯავრი დასდო სსკ მე-200
მუხლის 1-ლი ნაწილით (საქმე №1/493 – 2002).

სსკ მე-200 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექ-
ტური შემადგენლობის სავალდებულო ნიშანია მარკირებას დაქვემ-
დებარებული აქციზური საქონლის ღირებულება, რომელიც გან-
საზღვრულია ამავე მუხლის შენიშვნაში. სახელდობრ, მე-200 მუხ-
ლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისათვის სისხლის-
სამართლებრივი პასუხისმგებლობა მაშინ დგება, როდესაც აქცი-
ზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონ-

ლის ღირებულება ორას ლარს აღემატება. უფრო ნაკლები ღირებულების უაქციზო საქონლის გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია ან გადაზიდვა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას გამოიწვევს.

მიუხედავად იმისა, რომ მე-200 მუხლით ქმედების კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს უაქციზო საქონლის ღირებულების ზუსტად დადგენას, სასამართლო პრაქტიკის ანალიზის დროს ისეთი განაჩენებიც ვნახეთ, რომლებშიც უაქციზო საქონლის ღირებულება მითითებული არ არის, უფრო მეტიც, ზოგიერთ სისხლის სამართლის საქმეზე სასაქონლო ექსპერტიზაც კი არ არის საერთოდ ჩატარებული, რაც, ცხადია, მანკიერ პრაქტიკად უნდა ჩაითვალოს. ასე, მაგალითად, თბილისის ისანი-სამგორის რაიონულმა სასამართლომ 2002 წლის 19 თებერვლის განაჩენით კ.წ. დამნაშავედ ცნო მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე შენახვისათვის, კერძოდ, წინასწარი და სასამართლო გამოძიებით შეკრებილი მტკიცებულებების საფუძველზე დადგენილად ჩაითვალა ის, რომ კ.წ-მ 2001 წლის 26 აგვისტოს, ქ. თბილისში, ნავთლულის ტერიტორიაზე გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან შეიძინა 1000 კოლოფი უაქციზო სიგარეტი, რაშიც გადაიხადა სამასი ლარი და შეინახა თავისი ნაცნობის გ.პ-ს ავტომანქანის საბარგულში, სადაც აღმოჩენილი იქნა პოლიციის მუშაკების მიერ ავტომანქანის ჩხრეკის შედეგად (საქმე №1/201 – 2002).

სასაქონლო ექსპერტიზამ ამოღებული უაქციზო სიგარეტის სარეალიზაციო ღირებულება განსაზღვრა 650 ლარით. ეს თანხა არც საბრალდებო დასკვნაში და არც გამამტყუნებელ განაჩენში ნახსენები არ არის. არადა დანაშაულის კვალიფიკაციას სწორედ უაქციზო საქონლის ღირებულება განსაზღვრავს. წინასწარი გამოძიების სტადიაზე ვინმე მ.მ-სა და ი.ე-ს მიმართ უარი ითქვა სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე სწორედ იმ მოტივით, რომ მათ მიერ შეძენილი უაქციზო სიგარეტის ღირებულება არ აღემატებოდა ორას ლარს. თუმცა ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ არც ეს დადგენილება არის სრულყოფილი, ვინაიდან გამომძიებელს უნდა დაესაბუთებინა, რომ 500 კოლოფი სიგარეტი, რომლიდანაც 250-250 კოლოფი ეკუთვნოდა თითოეულს, რა ღირებულების იყო. სწორედ იმის გამო, რომ უაქციზო სიგარეტის

ღირებულება ორას ლარს არ აღემატებოდა, მ.მ-სა და ი.ე-ს მიმართ გამოიყენეს ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომები.

ისან-სამგორის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 3 მაისის განაჩენით თ.ს. დამნაშავედ ცნეს მასში, რომ 2001 წლის 29 ოქტომბერს გორის რაიონის სოფელ ერგნეთის ბაზრობაზე შეიძინა სხვადასხვა დასახელების უაქციზო სიგარეტი, რომლის მთლიანმა საბაზრო სარეალიზაციო ღირებულებამ სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული ქართული აქციზური მარკების ფიქსირებული გადასახადის გათვალისწინებით შეადგინა 1591 ლარი (იხ. სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნა). განაჩენში ეს თანხა ნახსენები არ არის, თუმცა თ. ს-ს ქმედების კვალიფიკაცია სწორედ ამის საფუძველზე მოხდა მე-200 მუხლის 1-ლი ნაწილით (№1/298 – 2002).

ასეთივე სურათია სისხლის სამართლის საქმეზე ი.ბ-ს მიმართ (საქმე №1/565 – 02 დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლო), ე.დ-ს მიმართ (საქმე №1/455 – 02 დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლო) და სხვ.

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ 2002 წლის 11 იანვრის განაჩენით ლ.დ-ს მსჯავრი დასდო იმისათვის, რომ მან ჩაიდინა აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის აქციზური მარკის გარეშე გადაზიდვა და შენახვა, რაც გამოიხატა შემდეგში: 2001 წლის 16 აგვისტოს ლ.დ-მ, ქ. გორში, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან, შეიძინა რუსული წარმოების უაქციზო სიგარეტი, სულ 530 კოლოფის ოდენობით და შემდეგ გადაზიდა თბილისში. დიდუბის ავტოსადგურში იგი დააკავეს პოლიციის მუშაკებმა და მისგან ამოიღეს აღნიშნული სიგარეტი. სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, ლ.დ-სგან ამოღებული 530 კოლოფი სიგარეტის საერთო-სარეალიზაციო ღირებულება სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული ქართული აქციზური მარკების ფიქსირებული გადასახადის გათვალისწინებით, 2001 წლის 16 აგვისტოს მდგომარეობით, შეადგენს 245 ლარს. განაჩენში უაქციზო საქონლის ღირებულება მითითებული არ არის, არადა, ქმედების საბოლოო კვალიფიკაცია სწორედ ამ თანხის მიხედვით განისაზღვრა მე-200 მუხლის 1-ლი ნაწილით.

სწორედ უაქციზო საქონლის ღირებულებამ განსაზღვრა განსასჯელთა ქმედების კვალიფიკაცია მე-200 მუხლის მე-2 ნაწილის

„ბ“ პუნქტით. ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონულმა სასამართლომ 2002 წლის 25 სექტემბრის განაჩენით გ.ჩ. და კ.კ. დამნაშავედ ცნო იმისათვის, რომ მათ ჩაიდინეს აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული დიდი ოდენობით საქონლის აქციზური მარკის გარეშე შენახვა, რეალიზაციის მიზნით, რაც გამოიხატა შემდეგში: ჩ-მ და კ-მ 2000 წლის დასაწყისში ერთად დაიქირავეს სავაჭრო დახლი ბაზრობა „თერგის“ ტერიტორიაზე, სადაც სხვადასხვა დასახელების სიგარეტით ვაჭრობენ. 2002 წლის დასაწყისში მათ გადაწყვიტეს შემდგომი რეალიზაციის მიზნით შეეძინათ უაქციზო სიგარეტი, რომელიც შედარებით იაფი ღირდა და უკეთესად იყიდებოდა. ამ დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანა დაიწყო 2002 წლის მარტის თვის შუა რიცხვებში, როდესაც გამოძიებით დაუდგენელი პირებისაგან, დაახლოებით ათი ღლის განმავლობაში, ბორის ჰაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონისა და სავაჭრო ცენტრ „ბავშთა სამყაროს“ მიმდებარე ტერიტორიაზე შეიძინეს სხვადასხვა დასახელების, რუსეთის ფედერაციის წარმოების ფილტრიანი სიგარეტი, რომელსაც დართული არ ჰქონდა ქართული აქციზური მარკები. შეძენილი უაქციზო სიგარეტი გადაჰქონდათ და ინახავდნენ მათი საცხოვრებელი კორპუსის ქვეშ მდებარე კ.კ-ს კუთვნილ სარდაფში. გ.ჩ-სა და კ.კ-ს უაქციზო სიგარეტის რეალიზაციით ამონაგები თანხები ურთიერთშორის უნდა გაენაწილებინათ, მაგრამ 2002 წლის 26 მარტს მხილებულ იქნენ პოლიციის მიერ. მათ დამსწრეთა თანდასწრებით ამოიღეს და დალუქეს სარეალიზაციოდ გამზადებული ხუთი დასახელების 4590 კოლოფი რუსეთის ფედერაციის წარმოების უაქციზო ფილტრიანი სიგარეტი, რომლის მთლიანმა საბაზრო-სარეალიზაციო ღირებულებამ სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული ქართული აქციზური მარკების ფიქსირებული გადასახადის გათვალისწინებით შეადგინა 3113 ლარი (№1/436 – 2002)¹.

¹ ამ საქმეში ქმედების ობიექტური შემაღენლობის ნიშნები ისეა დაფიქსირებული, რომ დანაშაულის სიმრავლესთან გვაქვს საქმე – უაქციზო სიგარეტის შეძენა და შენახვა არაერთგზის. არც წინასწარ გამოძიებასა და არც სასამართლოს არ გაურკვევია ერთიან განგრძობად დანაშაულს ჰქონდა ადგილი თუ არაერთგზისობას, თუმცა ქმედების საბოლოო კვალიფიკაცია ერთიან დანაშაულზე მიგვიანიშნებს.

ხაშურის რაიონულმა სასამართლომ 2002 წლის 23 დეკემბრის განაჩენით შ.ა. დამნაშავედ ცნო უაქციზო სიგარეტის შენახვასა და გადაზიდვაში დიდი ოდენობით და არაერთგზის, რაც გამოიხატა შემდეგში: 2001 წლის 24 ივლისს შ.ა. გაასამართლა ქობულეთის რაიონულმა სასამართლომ სსკ მე-200 მუხლის 1-ლი ნაწილით და დაჯარიმა 400 ლარით. ნასამართლობამ მასზე ვერ მოახდინა პრევენციული გავლენა და 2002 წლის 28 სექტემბერს გორის რაიონის სოფელ ერგნეთის ბაზრობაზე, შემდგომი რეალიზაციის მიზნით, უცნობი პირისაგან შეიძინა 2469 კოლოფი უაქციზო სიგარეტი, რომლის მთლიანმა სარეალიზაციო ღირებულებამ შეადგინა 3398 ლარი. აღნიშნული სიგარეტის თბილისი-ბათუმის მატარებლით გადაზიდვისას, ხაშურის რკინიგზის სადგურზე იგი ამხილეს პოლიციის მუშაკებმა და ამოიღეს უაქციზო სიგარეტი (საქმე №1/164).

სასამართლო პრაქტიკის უფრო დიდ მანკიერებად უნდა ჩაითვალოს ის შემთხვევები, როდესაც მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის ღირებულების დასადგენად საერთოდ არ ტარდება სასაქონლო ექსპერტიზა. ასე, მაგალითად, ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ 2002 წლის 19 ივნისის განაჩენით გ.ქ. დამნაშავედ ცნო სსკ მე-200 მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რაც გამოიხატა იმაში, რომ მან 2000 წლის 25 ივლისს, ქ. ზუგდიდის ბაზარში, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან შეიძინა 450 ლარის საერთო-საბაზრო ღირებულების 500 კოლოფი უაქციზო სიგარეტი, რომელიც ზუგდიდი-თბილისის სამგზავრო მატარებლით გადაჰქონდა ქ. თბილისის მიმართულებით. უაქციზო სიგარეტის გადაზიდვის დროს რკინიგზის ერთ-ერთი სადგურის ტერიტორიაზე იგი ამხილეს პოლიციის მუშაკებმა (№1/16 – 2002).

ასევე, ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ 2002 წლის 8 იანვრის განაჩენით მ.ც. დამნაშავედ ცნო იმაში, რომ ჩაიღინა მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე შენახვა და გადაზიდვა, რაც გამოიხატა შემდეგში: 1999 წლის 23 მაისს მ.ც-მ ქ. ზუგდიდში შპს „სუპერმარკეტის“ ტერიტორიაზე გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან შეიძინა 470 ცალი კოლოფი უცხოური წარმოების უაქციზო სიგარეტი, სულ 470 ლარის ღირე-

ბულების, რომელიც სარეალიზაციოდ გადაქონდა თბილისში, მაგრამ რკინიგზის სადგურ ზუგდიდის ბაქანზე იგი შეამოწმეს სატრანსპორტო პოლიციის მუშაკებმა და მისგან ამოიღეს უაქციზო სიგარეტი (№1/11 – 02).

არც ერთ ზემოხსენებულ სისხლის სამართლის საქმეზე ქ. ზუგდიდის შესაბამის საგამოძიებო სამსახურს სასაქონლო ექსპერტიზა არ ჩაუტარებია. საგამოძიებო სამსახურს ქ. ფოთის სავაჭრო-სამრეწველო პალატიდან გამოთხოვილი აქვს ცნობა, თუ რა საბაზრო ღირებულება ჰქონდა ერთ კოლოფ სიგარეტ „ვაისროის“. პასუხად პირველ შემთხვევაში მიღებულია 90 თეთრი, ხოლო მე-2 შემთხვევაში – ერთი ლარი. ამ ინფორმაციის საფუძველზე გამოძიებელს ერთი კოლოფი ამერიკული წარმოების სიგარეტის – „ვაისროის“ ფასი გამრავლებული აქვს ამოღებული უაქციზო სიგარეტის რაოდენობაზე და, შესაბამისად, გ.ქ-ს ბრალად შერაცხული აქვს 450 ლარის საბაზრო ღირებულების უაქციზო სიგარეტის (500X90 თეთრზე = 450 ლარს), ხოლო მ.ც-ს 470 ლარის საბაზრო ღირებულების (470X1 ლარზე = 470 ლარი) უაქციზო სიგარეტის გადაზიდვა.

ამასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ, ჯერ ერთი, თავისუფალი საბაზრო საცალო-სარეალიზაციო ფასები შესაძლებელია არ დაემთხვეს ქ. ფოთსა და ქ. ზუგდიდში, მეორეც, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გამოძიებელს სასაქონლო ექსპერტის ფუნქციის შეთავსების უფლება არა აქვს.

აღსანიშნავია ისიც, რომ კერძო საექსპერტო დაწესებულებებში ჩატარებული ექსპერტიზების ხარისხი ძალიან დაბალია და ზოგჯერ ელემენტარულ კრიტიკას ვერ უძლებს. ასე, მაგალითად, ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ 2002 წლის 8 მაისის განაჩენით გ.რ. დამნაშავედ ცნო იმისათვის, რომ ჩაიღინა უაქციზო საქონლის შენახვა და რეალიზაცია, რაც გამოიხატა შემდეგში: 2002 წლის იანვრის თვის დასაწყისში, თბილისში, რკინიგზის სადგურთან მდებარე ბაზრობაზე, გ.რ-მ უცნობი პირისაგან შემდგომი რეალიზაციის მიზნით, შეიძინა 245 ლარის საერთო ღირებულების სხვადასხვა სახის სპირტიანი სასმელი ქართული აქციზური მარკის ნიშნდების გარეშე. 2002 წლის 17 იანვარს მან ეს სასმელები სარეალიზაციოდ გაიტანა

ქ. ზუგდიდის ბაზარში, რა დროსაც საქონელი პოლიციამ ამოიღო (№1-ა133). ხსენებულ სისხლის სამართლის საქმეზე სასაქონლო ექსპერტიზა ჩატარებული აქვს შპს ფირმა „ზუგდიდექსპერტიზას“. საექსპერტო დასკვნის გრაფაში – ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები – ვკითხულობთ: „აქციზირებისა და ფასის დადგენა“. ამ საექსპერტო დასკვნას საერთოდ არ გააჩნია კვლევითი ნაწილი. მასში ჩამოთვლილია გამოძიების მიერ ამოღებული ალკოჰოლური სასმელების სახელწოდებები და გვერდით მიწერილი აქვს სარეალიზაციო ფასები სამეგრელოს რეგიონში. ბოლოს ვკითხულობთ, რომ სულ 17 დასახელების სპირტიანი სასმელის საერთო ღირებულება შეადგენს 245 ლარს. ჩვენ ეს საექსპერტო დასკვნა სანიმუშოდ მოგვაქვს, თორემ იგი ამ ფირმის მიერ სისხლის სამართლის სხვა საქმეებზე გაცემულ საექსპერტო დასკვნებზე უკეთესი არ არის. ისინი ძალიან დაბალ პროფესიულ დონეზე შედგენილი. ამ საექსპერტო დასკვნებს საერთოდ არ გააჩნიათ კვლევითი ნაწილი – რას იკვლევენ, რა მოცულობის (ლიტრაჟის) ობიექტს, მათში არ არის მითითებული სასაქონლო ნომენკლატურის კოდი, საკვლევი ობიექტის ფიზიკურ-ტექნიკური და ორგანოლექტიკური მაჩვენებლები და სხვ. იმის გამო, რომ ხშირად საექსპერტო დასკვნებში საგამოძიებო ორგანოების მიერ ამოღებული ალკოჰოლური სასმელების ლიტრაჟი არ არის დადგენილი, ძალიან ძნელია სახელმწიფოს მიერ მიუღებელი შემოსავლების ოდენობის განსაზღვრა. საქმე იმაშია, რომ აქციზური გადასახადის განსაზღვრა ხდება ალკოჰოლური სასმელის სახეობისა და ლიტრაჟის მიხედვით⁶⁹. იმის გამო, რომ სისხლის სამართლის საქმის მასალებში არსად არ არის გარკვეული (მითითებული), თუ რა მოცულობის ჭურჭელშია განთავსებული ამოღებული ალკოჰოლიანი სასმელები, შეუძლებელია სახელმწიფო ბიუჯეტის ზარალის ოდენობის ზუსტი დადგენა. მაგალითად, თუ ჰიპოთეტურად დავეუშვებთ, რომ ე.რ.-ს საქმეზე გამოძიების მიერ ამოღებული 18

⁶⁹ აქციზური მარკების გაცემა მეწარმე სუბიექტებზე ხდება განაცხადში აღნიშნული ტარის მოცულობის (ლიტრაჟის) მაჩვენებლის მიხედვით. არც ერთ საექსპერტო დასკვნაში ეს მაჩვენებელი არ იყო, ამიტომ გავეიჭირა ზუსტი გათვლების წარმოება ბიუჯეტისათვის მიყენებული ზიანის დასადგენად.

ბოთლი კონიაკი ერთი ლიტრის ტევადობის ჭურჭელში იყო განთავსებული, მაშინ გამოვა, რომ სახელმწიფოსათვის დამალული აქციზის გადასახადის ოდენობა არის 36 ლარი.

ასევე ხარვეზები ახლავს სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნებს უაქციზო სიგარეტის ღირებულების დასადგენად. ამ დასკვნებში, იმისდა მიხედვით, თუ რომელი საექსპერტო დაწესებულების მიერ არის გაცემული, უაქციზო სიგარეტის სარეალიზაციო ღირებულებაში ზოგჯერ ნაგულისხმებია ქართული აქციზური მარკის ფიქსირებული გადასახადიც, ზოგჯერ კი მასში გათვალისწინებული არ არის აქციზის გადასახადი. ასე, მაგალითად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამმართველოს მიერ გაცემულ დასკვნებში ტიპიურად ასეთ მსჯელობას ვხვდებით: „ამოღებული უაქციზო სიგარეტის საერთო სარეალიზაციო ღირებულება სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული ქართული აქციზური მარკის ფიქსირებული გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს აძღენ და აძღენ ლარს“. მაშასადამე, ამ საექსპერტო დასკვნებში უაქციზო საქონლის ღირებულება განსაზღვრულია ლეგალურ ბრუნვაში მყოფი ანალოგიური საქონლის „საბაზრო-სარეალიზაციო ფასის შესაბამისად, მაშინ როცა, შპს „ქუთექსპერტიზას“ მიერ გაცემულ საექსპერტო დასკვნებში უაქციზო საქონლის ღირებულება გამოანგარიშებულია მათი არალეგალური საბაზრო სარეალიზაციო ღირებულების საფუძველზე, ქართული აქციზური მარკების ღირებულების ჩაუთვლელად.

ქვემო ქართლის მხარის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ექსპერტიზისა და სერტიფიკაციის ბიუროს საექსპერტო დასკვნები ასევე ემყარება აქციზური საქონლის ფასს არალეგალურ ბაზარზე ანუ თავისუფალ საბაზრო ფასს აქციზის გადასახადის გაუთვალისწინებლად.

აქ ბუნებრივად ჩნდება კითხვა – ხომ არ შეიძლება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში აქციზური საქონლის ღირებულების გამოანგარიშების წესი სხვადასხვა იყოს, მით უფრო მაშინ, როცა ქმედების კვალიფიკაცია სსკ მე-200 მუხლით დამოკიდებულია აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის ღირებულებაზე?!

ცნობილია, რომ ფასწარმოქმნას თავისი ეტაპები აქვს, საბოლოო ეტაპი ის ფასია, რაც ოფიციალური ლეგალური გაყიდვის დროს ადევს პროდუქციას. ამიტომ ლოგიკურია, რომ სასაქონლო ექსპერტიზა აქციზური საქონლის ფასის განსაზღვრის დროს დაემყაროს ლეგალურ ბრუნვაში არსებული იდენტური საქონლის ღირებულებას, ანდა მასთან მიახლოებული ხარისხის (კლასის) საქონლის ღირებულებას ქართული აქციზური მარკის ღირებულების ჩათვლით, ვინაიდან საქართველოს ტერიტორიაზე აკრძალულია ალკოჰოლიანი სასმელების, ლუდისა და თამბაქოს რეალიზაცია ქართული აქციზური მარკების გარეშე.

იმის გამო, რომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სასაქონლო ექსპერტიზა სხვადასხვა მეთოდით ხელმძღვანელობს აქციზური საქონლის საბაზრო-სარეალიზაციო ფასის განსაზღვრის დროს – ზოგჯერ ლეგალური, ზოგჯერ კი – არალეგალური ფასებით, ერთი და იმავე რაოდენობის აქციზური საქონლის ქართული აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია ან გადაზიდვა საქართველოს ერთ რეგიონში შეიძლება მე-200 მუხლის 1-ლი ნაწილით დაკვალიფიცირდეს, ხოლო მე-2 რეგიონში – მე-2 ან მე-3 ნაწილით, რაც, ცხადია, იურიდიული ნონსენსია. და ეს ყველაფერი ფიქსირებულია კანონიერ ძალაში შესულ ათულობით გამამტყუნებელ განაჩენში.

სისხლის სამართლის საქმეების ანალიზმა ცხადყო, რომ სასამართლო პრაქტიკაში ზოგჯერ შეცდომებს უშვებენ მე-200 მუხლის ისეთი მაკვალიფიცირებელი ნიშნის შეფარდებისას, როგორცაა არაერთგზისობა.

არაერთგზისი დანაშაულის ცნებას განმარტავს სსკ მე-15 მუხლი, რომლის მიხედვით, არაერთგზისი დანაშაული ნიშნავს ამ კოდექსის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენას. დანაშაულის სიმრავლის ამ ფორმის (სახის) კვალიფიკაციის წესი მოცემულია მე-15 მუხლის მე-3 ნაწილში, კერძოდ, „თუ არაერთგზისი დანაშაული ამ კოდექსით გათვალისწინებულია გარემოებად, რომელიც უფრო მკაცრ სასჯელს იწვევს, პირის მიერ ჩადენილი ორი ან მეტი დანაშაული დაკვალიფიცირდება ამ კოდექსის მუხლის შესაბამისი ნაწილით, რომლითაც გათვალისწინებულია სასჯელი არაერთგზისი დანაშაულისათვის“. კანონის

ასეთი ცალსახა განმარტების მიუხედავად, სასამართლო პრაქტიკა ამ მაკვალიფიცირებელი ნიშნის მიმართ არაერთგვაროვანია. აი ამის კონკრეტული მაგალითებიც: თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ 2002 წლის 12 ნოემბრის განაჩენით მ.ჩ-ს მსჯავრი დასდო სსკ მე-200 მუხლის 1-ლი ნაწილით და მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით. მ.ჩ. 2002 წლის 23 მაისს გაასამართლა მცხეთის რაიონულმა სასამართლომ სსკ მე-200 მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელის ზომად განუსაზღვრა ჯარიმა 50 ლარის ოდენობით. მიუხედავად ამისა, 2002 წლის 24 აგვისტოს მან კვლავ ჩაიდინა ანალოგიური დანაშაული, კერძოდ, გორის რაიონის სოფელ ერგნეთში, „ბაზრობაზე“, შეიძინა 267,70 ლარის ღირებულების 388 კოლოფი უცხოური წარმოების უაქციზო ფილტრიანი სიგარეტი, რომელიც სამარშრუტო მიკროავტობუსით გადმოზიდა ქ. თბილისში, რა დროსაც იგი დააკავეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგანგებო ლეგიონის მუშაკებმა.

აღნიშნული ქმედებისათვის წინასწარმა გამოძიებამ მ. ჩ-ს ბრალი დასდო მე-200 მუხლის 1-ლი ნაწილით და მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით. ეს კვალიფიკაცია უცვლელად დატოვა სასამართლომაც, რაც არ შეესაბამება როგორც საქმის შინაარსს, ისე სსკ მე-15 მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს. მ.ჩ-ს ქმედების კვალიფიკაცია უნდა მომხდარიყო მხოლოდ მე-200 მუხლი მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით. დანაშაულის კვალიფიკაციის დროს დაშვებულმა შეცდომამ, თავის მხრივ, განაპირობა სასჯელის არასწორად შეფარდება, კერძოდ, სასამართლომ მ.ჩ-ს სასჯელი დაუნიშნა დანაშაულთა ერთობლიობის წესით (სსკ მუხლი 59) და გამოიყენა სასჯელთა შთანთქმის პრინციპი, რაც ასევე არასწორია (საქმე №1642 – 02).

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ 2002 წლის 22 ივლისის განაჩენით ზ.მ. დამნაშავედ ცნო იმისათვის, რომ 2002 წლის 20 მარტს ქ. ზუგდიდში აგრარული ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე უცნობი პირისაგან 115 ლარად შეიძინა 250 კოლოფი უაქციზო სიგარეტი, რომელიც რეალიზაციის მიზნით შეინახა ავტომანქანის საბარგულში. ეს სიგარეტი იმავე დღეს ამოიღეს საგანგებო ლეგიონის თანამშრომლებმა. მანვე, 2002 წლის 18 აპრილს, ზუგდიდის აგრარული

ბაზრის ტერიტორიაზე გამოძიებით დაუდგენელი სხვადასხვა პირისაგან შეიძინა 500 ლარის საბაზრო ღირებულების 500 კოლოფი უაქციზო სიგარეტი და ავტომანქანის საბარგულში შეინახა. მე-2 დღეს, 19 აპრილს ეს სიგარეტი მისგან ამოიღეს პოლიციის მუშაკებმა.

წინასწარი გამოძიების ორგანოებმა ზ.მ-ს მიმართ 2002 წლის 25 მარტსა და 2002 წლის 29 აპრილს ორი დამოუკიდებელი სისხლის სამართლის საქმე აღძრეს, რომლებიც 2002 წლის 8 მაისს ერთ წარმოებად გაერთიანდა. 2002 წლის 28 მაისს ზ.მ-ს ბრალდება წარედგინა, სავსებით მართებულად, მხოლოდ მე-200 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით და შემდგომ, ამ კვალიფიკაციით წარიმართა საქმე სასამართლოში. სასამართლოს განმწესებელი სხდომიდან ეს საქმე უკან დაუბრუნდა წინასწარ გამოძიებას იმ მოსაზრებით, რომ ზ.მ-ს ქმედების თითოეულ ეპიზოდს ცალკე კვალიფიკაცია უნდა მისცემოდა. წინასწარმა გამოძიებამ ზ.მ-ს ხელახლა წარუდგინა ბრალდება მე-200 მუხლის 1-ლი ნაწილით და მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით და სასამართლოს საბოლოო განაჩენიც სწორედ ამ კვალიფიკაციით იქნა გამოტანილი.

სასამართლო აქ აშკარად შეცდა ქმედების კვალიფიკაციაში და შეაცდინა წინასწარი გამოძიებაც, რომელსაც თავდაპირველად სავსებით სწორად ჰქონდა ზ.მ-ს ქმედება დაკვალიფიციკრებული მე-200 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით. სასამართლოს მიერ ქმედების კვალიფიკაციაში დაშვებულმა შეცდომამ განაპირობა სასჯელის არასწორი შეფარდება, სახელდობრ, ზ.მ-ს სასჯელი დაენიშნა სსკ 59-ე მუხლით დადგენილი წესით, რაც, ცხადია, არასწორია (31/ა-180 – 2002).

საპირისპირო შემთხვევა მოხდა თბილისში, სადაც წინასწარი გამოძიების მიერ დანაშაულის კვალიფიკაციის დროს დაშვებული შეცდომა რაიონულმა სასამართლომ გამოასწორა. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ ს.ბ. დამნაშავედ ცნო აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის აქციზური მარკის გარეშე შენახვასა და გადაზიდვაში არაერთგზის, რაც გამოიხატა შემდეგში: ს.ბ-ს 2002 წლის 22 იანვრის განაჩენით სსკ მე-200 მუხლის 1-ლი ნაწილით სასჯელის ზომად შეეფარდა ჯარიმა 50 ლარის ოდენობით. აღნიშნული განაჩენის გამოტანამდე 3

დღით ადრე, 2002 წლის 19 იანვარს, მან გორის რაიონის სოფელ ერგნეთის „ბაზრობაზე“ უცნობი პირისაგან 230 ლარად შეიძინა სხვადასხვა დასახელების 290 კოლოფი უაქციზო სიგარეტი, რომელიც შემდგომი რეალიზაციის მიზნით, უკანონოდ გადმოზიდა თბილისში. 2002 წლის 20 იანვარს ეს სიგარეტი ამოიღეს საგანგებო ლეგიონის მუშაკებმა. ამ დანაშაულისათვის ს.ბ. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს სსკ მე-200 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით და საქმე არსებითად განსახილველად გადაეგზავნა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს. საქმის განხილვამდე, ამავე სასამართლოში, ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურიდან გადაიგზავნა სისხლის სამართლის საქმე იმავე პიროვნების მიმართ უაქციზო სიგარეტის შენახვა-გადაზიდვისათვის სსკ მე-200-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით. ამ უკანასკნელ ეპიზოდში, საბრალდებო დასკვნის მიხედვით ს.ბ-ს ბრალი ედებოდა იმაში, რომ მან „არაერთგზის ჩაიდინა რა უაქციზო სიგარეტის შენახვა და გადაზიდვა, 2002 წლის 23 სექტემბერს გორის რაიონის სოფელ ერგნეთის ბაზრობაზე, შემდგომი რეალიზაციის მიზნით, 270 ლარად შეიძინა სხვადასხვა დასახელების 320 კოლოფი უაქციზო ფილტრიანი სიგარეტი, რაც იმავე დღეს სამარშრუტო მიკროავტობუსით გადაზიდა თბილისში, სადაც დააკავეს პოლიციის მუშაკებმა და ჩამოართვეს აღნიშნული სიგარეტი“.

იმის გამო, რომ ზემოთ აღნიშნული დანაშაულები ჩადენილი იქნა ერთი და იმავე პირის მიერ, ორივე სისხლის სამართლის საქმე გაერთიანდა ერთ წარმოებად. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ 2002 წლის 27 ნოემბრის განაჩენით ს.ბ-ს მსჯავრი დასდო მე-200 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით.

ჩვენი შეხედულებით, სავსებით მართებულად მოიქცა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლო, როცა ს.ბ-ს სსკ მე-200 მუხლის 1-ლი ნაწილითა და ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით წარდგენილი ბრალდებიდან ამორიცხა მე-200 მუხლის 1-ლი ნაწილი და საბოლოო კვალიფიკაცია მოახდინა მე-200 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით (საქმე №1/579 – 2002).

ამ საქმეში საინტერესოა ის ფაქტი, რომ დიდუბე-ჩუღურეთის საგ-

ამოდიებო სამსახურის გამომძიებლის მიერ შედგენილ საბრალდებო დასკვნაში არაერთგზისობა სწორად არის შეფასებული მხოლოდ მე-200 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით, ხოლო ვაკე-საბურთალოს საგამომძიებო სამსახურის გამომძიებლის მიერ შედგენილ საბრალდებო დასკვნით ს. ბ-სათვის ბრალად შერაცხულია როგორც მე-200 მუხლის 1-ლი ნაწილი, ისე მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტი. ამგვარად, არაერთგზისობის ცნება დიდუბე-ჩუღურეთის საგამომძიებო სამსახურს სხვაგვარად ესმის და ვაკე-საბურთალოს საგამომძიებო სამსახურს – სხვაგვარად.

ასევე სწორი კვალიფიკაცია აქვს მიცემული მა-ს ქმედებისათვის თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს – სსკ მე-200-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით (საქმე №1/237 – 2002).

წინასწარი გამოძიების ორგანოსა და რაიონული სასამართლოს შეცდომა ქმედების კვალიფიკაციასა და სასჯელის შეფარდებაში გამოასწორა თბილისის საოლქო სასამართლომ.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ 2002 წლის 19 ნოემბრის განაჩენით ლ.ტ. დამნაშავედ ცნო აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის აქციზური მარკის გარეშე შენახვისა და რეალიზაციისათვის არაერთგზის, რაც გამოიხატა შემდეგში: ლ.ტ. 2002 წლის 2 აპრილს გაასამართლა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ სსკ მე-200 მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა. მიუხედავად ამისა, მან კვლავ ჩაიდინა ანალოგიური დანაშაული, რისთვისაც გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 3 იელისის განაჩენით მსჯავრი დაედო სსკ მე-200 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით და სასჯელის ზომად შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლის ვადით, რაც შეეცვალა პირობითი მსჯავრით – 2 წლის საგამოცდო ვადით. გამოსაცდელი ვადის გასვლამდე მან ისევ გადაწყვიტა უაქციზო სიგარეტის შექმნა და რეალიზაცია. ამ მიზნით 2002 წლის 24 აგვისტოს გორის რაიონის სოფელ ერგნეთის „ბაზრობაზე“ გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან შეიძინა სხვადასხვა დასახელების 660 კოლოფი უაქციზო სიგარეტი, რომლის საერთო სარეალიზაციო ღირებულებამ შეადგინა 322,50 ლარი. მან აღნიშნული სიგარეტი

იმავე დღეს სამარშრუტო მიკროავტობუსით გადმოვიდა თბილისში, რა დროსაც დააკავეს საგანგებო ლეგიონის თანამშრომლებმა და ჩამოართვეს უაქციზო სიგარეტი.

როგორც წინასწარმა გამოძიებამ, ისე რაიონულმა სასამართლომ ლ. ტ-ს ქმედება დააკვალიფიცირა მე-200 მუხლის 1-ლი ნაწილით და მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით. კვალიფიკაციაში დაშვებულმა შეცდომამ, თავის მხრივ, განაპირობა სასჯელის არასწორად დანიშვნა, სახელდობრ, ლ.ტ-ს სსკ მე-200 მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის განესაზღვრა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო მე-200 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის ერთი წლითა და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა ქალთა საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, სასამართლომ სასჯელთა შთანთქმის პრინციპის გამოყენებით ლ.ტ-ს სასჯელად განუსაზღვრა ერთი წლითა და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაუმატა გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს მიერ 2002 წლის 3 ივლისის განაჩენით მისჯილი სასჯელის მოსახდელი ნაწილი, 6 თვე და საბოლოო სასჯელის ზომად განუსაზღვრა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა ქალთა საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით.

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს განაჩენი გასაჩივრდა თბილისის საოლქო სასამართლოში, რომლის 2003 წლის 15 იანვრის განაჩენით თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს განაჩენი შეიცვალა როგორც კვალიფიკაციის, ისე სასჯელის ნაწილში. კერძოდ, ლ.ტ-ს მოეხსნა ბრალდება სსკ მე-200-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, როგორც უსაფუძვლოდ წარდგენილი. განსასჯელს სსკ მე-200 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლითა და 6 თვით, რასაც დაემატა წინა განაჩენით დადგენილი სასჯელიდან 6 თვე და საბოლოოდ სასჯელთა შეკრების წესით მოსახდელად დაუდგინა ორი წელი, რაც სსკ 63-64-ე მუხლების საფუძველზე კვლავ შეეცვალა პირობითი მსჯავრით და გამოსაცდელ ვადად დაენიშნა 3 წელი.

ამრიგად, წინასწარი გამოძიებისა და რაიონული სასამართლოს შეცდომა დანაშაულის კვალიფიკაციისა და სასჯელის დანიშვნისას გამოასწორა თბილისის საოლქო სასამართლომ. გაუგებარია ან საბრალდებო დასკვნით ანდა რაიონული სასამართლოს განაჩენით რა საფუძველით შეუფარდეს ლ.ტ-ს მე-200 მუხლის 1-ლი ნაწილი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლ.ტ-ს მიმართ 2002 წლის 3 ივლისს გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოს ჰქონდა გამოტანილი განაჩენი სსკ მე-200 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით და სასჯელის ზომად შეფარდებული ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით, რაც საქართველოს სსკ 63-64-ე მუხლების საფუძველზე შეეცვალა პირობითი მსჯავრით – ორი წლის გამოსაცდელი ვადით. ამ ვადის გასვლამდე მან კვლავ ჩაიდინა ანალოგიური დანაშაული. ალბათ, საგამოძიებო ორგანომ და რაიონულმა სასამართლომ გლდანი-ნაძალადევის სასამართლოს მიერ განხილულ დანაშაულს ხელახალი შეფასება მისცეს მე-200 მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს 2002 წლის 19 ნოემბრის განაჩენის გამოტანისას გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს განაჩენით დანიშნული სასჯელი მთლიანად ან ნაწილობრივ უნდა მიემატებინა ახალი განაჩენით დანიშნული სასჯელისათვის, რაც კიდევაც გააკეთა თბილისის საოლქო სასამართლომ.

წინასწარი გამოძიების არასრულყოფილებამ და გამოძიების მუშაკთა არაპროფესიონალიზმმა განაპირობა კვალიფიკაციის შეცვლა სასამართლოში. აი, ამის ნათელი მაგალითიც, საბრალდებო დასკვნით რ. ა-ს ბრალი დაედო იმისათვის, რომ მან ჩაიდინა აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის აქციზური მარკის გარეშე შენახვა, გადაზიდვა, რეალიზაცია არაერთგზის, რაც გამოიხატა შემდეგში: რ.ა. დაახლოებით სამი წლის მანძილზე, ვაჭრობდა სიგარეტით თბილისში, „თერგის“ ბაზრობაზე. იგი კერძო პირებისა და ფაბრიკებისაგან იღებდა სიგარეტებს და მომატებული ფასით ყიდდა. სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე, დაახლოებით ერთი თვით ადრე, მან დაიწყო უაქციზო სიგარეტის შესყიდვა და რეალიზაცია. გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან იგი ყიდულობდა

რუსეთის ფედერაციაში წარმოებულ საქართველოს აქციზური მარკის არმქონე სიგარეტებს და სხვადასხვა გზით რეალიზაციას უკეთებდა მათ. დაახლოებით 2002 წლის 6 აგვისტოს 1052,50 ლარად მან შეიძინა სამი დასახელების 907 კოლოფი სიგარეტი, რომელსაც არ ჰქონდა საქართველოს აქციზური მარკა და თავისი ავტომანქანის საბარგულში შეინახა. მე-2 დღეს, 2002 წლის 7 აგვისტოს რ.ა. დააკავეს პოლიციის თანამშრომლებმა ქ. თბილისის ბორჯომის ვაგზლის ტერიტორიაზე, როცა იგი რეალიზაციას უკეთებდა შეძენილ სიგარეტს. წინასწარმა გამოძიებამ მას ბრალდება წაუყენა სსკ მე-200-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. წინასწარმა გამოძიებამ ეს ბრალდება რ.ა-ს შერაცხა, ერთი მხრივ, თვითგანთქმის და, მეორე მხრივ, მისგან ამოღებული რვეულის საფუძველზე, რომელშიც გაკეთებული იყო ჩანაწერები შესყიდული და რეალიზებული სიგარეტის შესახებ. წინასწარი გამოძიების სტადიაზე რ.ა-მ ჯერ განაცხადა, რომ დაახლოებით ერთი თვე ვაჭრობდა უაქციზო სიგარეტით, ხოლო შემდეგ, ეჭვმიტანილის სახით დაკითხვისას, გადათქვა ეს ჩვენება, ასევე უარყო ამოღებული რვეულის მისდამი კუთვნილება, რომელშიც შესყიდული და რეალიზებული სიგარეტის მონაცემები იყო. მიუხედავად ამისა, მას აღნიშნული ბრალდება – მე-200 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის არაერთგზის ჩადენისათვის, სწორედ ამ რვეულის ჩანაწერების საფუძველზე წაუყენეს. საგულისხმოა, რომ ნივთმტკიცების ამოღებაში მონაწილე „დამსწრეებმა მოწმის სახით დაკითხვისას დაადასტურეს ის ფაქტი, რომ რვეული ჩანაწერებით ეკუთვნოდა რ.ა-ს. მას ამოღების დროს განუცხადებია, რომ აღნიშნულ რვეულში ახდენდა შეძენილი და გაყიდული სიგარეტების აღრიცხვას, რაც შემდგომ უარყო. ალბათ, გონივრული იქნებოდა თუკი გამოძიებელი გრაფიკულ ექსპერტიზას დანიშნავდა და მისი შედეგების მიხედვით გაამყარებდა თავის ვარაუდს, რომ გამოძიების მიერ ამოღებულ რვეულში ჩანაწერები მართლაც რ.ა-ს ეკუთვნოდა და ამის საფუძველზე შერაცხავდა მას ბრალად „არაერთგზისობას“. სწორედ წინასწარ გამოძიების ამ სუსტი ადგილის გამო იშუამდგომლა ბრალდებულის ადვოკატმა ქმედების კვალიფიკაციის შეცვლა

მე-200 მუხლის მე-2 ნაწილიდან პირველ ნაწილზე, რაც არ გაიზიარა წინასწარმა გამოძიებამ. სასამართლო პროცესზე მხარეთა კამათის დროს პროკურორმა თავის საბრალდებო სიტყვაში თავად მოითხოვა დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლა სსკ მე-200 მუხლის მე-2 ნაწილიდან პირველ ნაწილზე, ვინაიდან რა-ს ქმედების არაერთგზისობის დამადასტურებელი სხვა მტკიცება ვერ იქნა მოპოვებული. ამავე სიტყვაში პროკურორმა აღნიშნა, რომ „როგორც წინასწარი გამოძიებით დადგინდა, ერთი თვის მანძილზე მიყოლებით, განსასჯელის მიერ ერთიანი მიზნითა და განზრახვით უაქციზო სიგარეტების შექმნა არ ჩაითვლება არაერთგზისობად“. ამ სიტყვებით პროკურორი ფაქტობრივად მინიშნებას აკეთებს განგრძობად დანაშაულზე, თუმცა არც ამის მტკიცება შეიძლება ცალსახად, ვინაიდან საქმის მასალებიდან ეს არ ჩანს. მართალია, ამ საქმეში განსასჯელის უტყუარად მამხილებელი უაქციზო სიგარეტით არაერთგზის ვაჭრობის არავითარი მტკიცებაც არ მოიპოვება, მაგრამ ამ საქმის წამკითხველს მაინც გაურკვეველი რჩება ერთიან განგრძობად დანაშაულთან გვაქვს საქმე თუ სიმრავლესთან. წინასწარმა გამოძიებამ იმთავითვე ქმედების არაერთგზისობაზე აიღო ორიენტაცია, ხოლო სასამართლო პროცესზე ამან ვერ პოვა სათანადო დასაბუთება, რამაც განაპირობა კვალიფიკაციის შეცვლა. სასამართლო პროცესზე განსასჯელმა განაცხადა, რომ მას ადრე არასოდეს შეუძენია უაქციზო სიგარეტი, რაც შეეხება მოკვლევის ორგანოს მიერ ამოღებულ რვეულს, ის მას არ ეკუთვნის. ამრიგად, წინასწარი გამოძიების არასრულყოფილების გამო რა-ს ქმედების არაერთგზისობის დამადასტურებელი მტკიცებულებები ვერ მოიპოვა სასამართლომ.

საბოლოოდ, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ 2002 წლის 28 ოქტომბრის განაჩენით რა. დამნაშავედ ცნო სსკ მე-200 მუხლის 1-ლი ნაწილით. ვფიქრობ, სასამართლომ საეხებით მართებულად განმარტა ეჭვი განსასჯელის სასარგებლოდ და მოუხსნა მას ბრალდება მე-200 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით.

წინასწარმა გამოძიებამ არა თუ ბრალად შერაცხული მე-200 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული ქმედების დასაბუთება ვერ შეძლო, არამედ ყურადღების გარეშე დატოვა ის

ფაქტიც, რომ რ.ა. საგადასახადო ინსპექციაში ინდივიდუალურ მე-წარმედ რეგისტრირებული არ იყო. თუკი წინასწარი გამოძიება სათანადო ყურადღებას გაამახვილებდა ამ ფაქტზე, მაშინ მას უნდა გაერკვია რ.ა. უკანონო სამეწარმეო საქმიანობას ზომ არ ეწეოდა ანდა გადასახადის გადახდას ზომ არ არიდებდა თავს და თავი უნდა დაენებებინა „ქმედების არაერთგზისობის“ უნაყოფო მტკიცებისათვის, რამაც, საბოლოო ჯამში, მაინც ვერ პოვა დასაბუთება სასამართლო პროცესზე (საქმე №1/621 – 2002).

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ 2002 წლის 15 თებერვლის განაჩენით მ.გ-ს მსჯავრი დასდო მე-200 მუხლის 1-ლი ნაწილით – უაქციზო სიგარეტის შენახვისათვის რეალიზაციის მიზნით, რაც გამოიხატა შემდეგში: 2001 წლის 2 ოქტომბერს მ.გ-მ თბილისში, დიღმის მასივის ტერიტორიაზე, მის მიერ იჯარით აღებულ კომერციულ ჯიხურში, გამოძიებით დაუდგენელი პირებისაგან, რეალიზაციის მიზნით შეიძინა 458 კოლოფი სხვადასხვა დასახელების უაქციზო სიგარეტი, რომლის სარეალიზაციო ღირებულებამ შეადგინა 527,70 ლარი და შეინახა იმავე ჯიხურში, რა დროსაც ამხილეს საგანგებო ლეგიონის მუშაკებმა.

მ.გ-მ ეჭვიმითანილად დაკითხვისას განაცხადა, რომ იჯარით აღებულ ჯიხურში 2000 წლიდან ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, უცნობმა პირებმა მას რამდენჯერმე ჩააბარეს უაქციზო სიგარეტები. მიუხედავად ასეთი ჩვენებისა, წინასწარმა გამოძიებამ არ გაარკვია ქმედების არაერთგზისობას ჰქონდა ადგილი თუ მხოლოდ ერთ შემთხვევას. ეჭვიმითანილი სხვა განცხადებას აკეთებს, ბრალდებული კი ერთი ფაქტის გამო იკითხება. წინასწარ გამოძიებას ან უნდა გამოერიცხა არაერთგზისობა ანდა მისი არსებობის გამო პასუხისმგებლობა დაემძიმებინა. წინასწარ გამოძიებას არც უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ფაქტზე უმსჯელია, 2000 წლიდან 2001 წლის 2 ოქტომბრამდე რა შემოსავალი მიიღო მ.გ-მ, თუ ეს შემოსავალი უმნიშვნელო იქნებოდა, მაშინ უარი უნდა თქმულიყო ამ ნაწილში სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე.

ეს საქმე ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ არ უნდა წარმოებდეს წინასწარი გამოძიება.

გარდა იმისა, რომ ქმედების მცდარი კვალიფიკაციის გამო ხდება სასჯელის არასწორად დანიშვნა, რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, სასამართლო პრაქტიკის ანალიზის დროს ისეთი განაჩენებიც ვნახეთ, სადაც მხოლოდ სასჯელის შეფარდებაშია შეცდომა დაშვებული. ასე, მაგალითად, თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ 2002 წლის 19 დეკემბრის განაჩენით სსკ მე-200 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით ნ.დ-ს მსჯავრი დასდო აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის აქციზური მარკის გარეშე გადაზიდვისათვის არაერთგზის, რასაც ადგილი ჰქონდა შემდეგ გარემოებებში: 2002 წლის 6 ივნისს ნ.დ. გაასამართლა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ აქციზური საქონლის ქართული აქციზური მარკის გარეშე გადაზიდვის ფაქტზე სსკ მე-200 მუხლის 1-ლი ნაწილით, რისთვისაც მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით. სსკ 63-64-ე მუხლების საფუძველზე ნ.დ-ს მიმართ დანიშნული სასჯელი ჩაითვალა პირობითად და მას დაენიშნა გამოსაცდელი ვადა – 1 წელი. მიუხედავად ამისა, ნ.დ-მ არ გაითვალისწინა სასამართლოს წინაშე ნაკისრი მოვალეობა და გამოსაცდელი ვადის გასვლამდე 8 თვითა და 6 დღით ადრე კვლავ ჩაიდინა ანალოგიური დანაშაული – აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის აქციზური მარკის გარეშე გადაზიდვა, რაც გამოიხატა იმაში, რომ 2002 წლის 1 ოქტომბერს გორის რაიონის სოფელ ერგნეთის ბაზრობაზე, უცნობი პირისაგან შემდგომი რეალიზაციის მიზნით, შეიძინა 410 კოლოფი რუსეთის ფედერაციის წარმოების უაქციზო სიგარეტი, რომლის მთლიანმა საბაზრო ღირებულებამ აქციზის ფიქსირებული გადასახადის გათვალისწინებით შეადგინა 295 ლარი. შეძენილი უაქციზო სიგარეტი ნ.დ-მ იმავე დღეს მიკროავტობუსით გადაზიდა თბილისში, სადაც დიდუბის ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე შეაჩერეს პოლიციის მუშაკებმა და მისგან ამოიღეს უაქციზო სიგარეტი.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ ნ.დ. დამნაშავედ ცნო სსკ მე-200 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული ქმედების ჩადენაში და სასჯელის ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით და ექვსი თვით

საერთო რეჟიმის სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით, სსკ 63-64-ე მუხლების საფუძველზე დანიშნული სასჯელი შეიცვალა პირობითი მსჯავრით, კონტროლი მის ყოფაქცევაზე დაევალა პრობაციის სამსახურს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ამ განაჩენში საგულისხმოა ის, რომ სასამართლომ განსასჯელის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ჩაუთვალა დანაშაულის ჩადენა ანალოგიური დანაშაულისათვის პირობითი სასჯელის მოხდამდე, ე.ი. გამოსაცდელი ვადის გასვლამდე, მაგრამ საბოლოო სასჯელის დანიშვნის დროს დაარღვია სსკ 67-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, „თუ პირობით მსჯავრდებულმა გამოსაცდელ ვადაში განზრახი დანაშაული ჩაიდინა, სასამართლო აუქმებს პირობით მსჯავრს და მსჯავრდებულს სასჯელს დაუნიშნავს სსკ 61-ე მუხლით გათვალისწინებული წესით“ (ე.ი. სასჯელთა შეჯამებით). ამრიგად, მოსამართლეს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი მთლიანად ან ნაწილობრივ უნდა შეეჯამებინა ახალი განაჩენით დანიშნულ სასჯელთან, რაც მან არ გააკეთა (№1/641 – 02).

რუსთავის საქალაქო სასამართლომ 2002 წლის 14 თებერვლის განაჩენით, სსკ მე-200 მუხლის 1-ლი ნაწილით მ.მ. დამნაშავედ ცნო 746,6 ლარის ღირებულების უაქციზო სიგარეტის შეძენაში და რეალიზაციის მიზნით ქ. რუსთავში გადაზიდვაში. მან 2001 წლის 19 დეკემბერს გორის რაიონის სოფელ ერგნეთის „ბაზრობაზე“ შეიძინა სხვადასხვა დასახელების 1047 კოლოფი უაქციზო სიგარეტი, რომელიც შემდგომი რეალიზაციის მიზნით ავტობუსით გადაზიდა რუსთავში და შეინახა თავის საცხოვრებელ ბინაში.

ამ საქმეში სადავო არ არის ქმედების კვალიფიკაცია, მაგრამ არასწორად არის შეფარდებული სასჯელი. კერძოდ, სასამართლომ განსასჯელს ჯარიმა შეუფარდა არა დღიური ანაზღაურების სისტემით, როგორც ამას სისხლის სამართლის კანონი ითვალისწინებს, არამედ უაქციზო სიგარეტის ღირებულების იდენტურად, მოჭრილი თანხით. განაჩენში ვკითხულობთ, „გამოყენებულ იქნეს ჯარიმა დაახლოებით იმ ოდენობით, რა ღირებულების სიგარეტიც იქნა მ.მ-ს მიერ უკანონოდ შენახული“. ჯარიმის დანიშვნის ამგვარ წესს სისხლის სამართლის კოდექსი არ იცნობს.

რამდენიმე სიტყვით მინდა შევეხო არსებულ სისხლის სამართლის პოლიტიკას სსკ მე-200 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად.

აღნიშნული კატეგორიის სამასამდე სისხლის სამართლის საქმე შევისწავლეთ და როგორც პრაქტიკის გაცნობამ დაგვარწმუნა, მსგავს დანაშაულს ყველაზე ხშირად სჩადიან სოციალურად გაჭირვებული ადამიანები, რომლებიც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფებიან. ამ ადამიანების ეკონომიკური მდგომარეობა ისეთია, რომ მათზე სისხლის სამართლის სასჯელიც ვერ ახდენს პრევენციულ ზეგავლენას. ასე, მაგალითად, თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ 2002 წლის 4 ნოემბრის განაჩენით ი.ლ. დამნაშავედ ცნო აქტიური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის აქტიური მარკის გარეშე გადაზიდვაში არაერთგზის. იგი 2002 წლის განმავლობაში ორჯერ გაასამართლა ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ (13 მარტს და 4 ნოემბერს) უაქციზო საქონლის რეალიზაციის მიზნით გადაზიდვისათვის (საქმე №31/432 – 02).

ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილ საქმეებზე ლ. ტ-ის (№1/641), ნ.ძ-ის (№1/716), ს.ბ-ის (№1/579), მ.ა-ს(№1/237 – 02) და სხვათა რეციდიულმა ქმედებებმა დაგვარწმუნა, რომ აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე სასამართლოს განაჩენი ვერავითარ პრევენციულ ზემოქმედებას ვერ ახდენს და საჭიროა პრობლემის მოგვარების სხვა გზები ვეძიოთ¹. როცა საფინანსო კონტროლის ორგანოთა თვალწინ ხდება კონტრაბანდული საქონლით ვაჭრობა და ისინი სათავეშივე არ აღკვეთენ მას, ეს პრობლემის პოლიტიკურ მხარეზე მიანიშნებს. სახელმწიფო და საბაჟო საზღვრების ჯეროვნად დაცვისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარეშე ეს პრობლემა ვერ მოგვარდება. სისხლის სამართალი კი,

¹ სასჯელის მუქარის არაეფექტურობას სასამართლო პრაქტიკა ადასტურებს. მაგალითად, ლ. ტ. 2001 წლის 2 აპრილს, 2002 წლის 3 ივლისსა და 2002 წლის 19 ნოემბერს სამჯერ გაასამართლა ჯერ დიდუბე-ჩუღურეთის, შემდეგ გლდან-ნაძალადევის, ბოლოს კი ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ. ბოლო დანაშაული წინა დანაშაულისათვის შეფარდებული პირობითი მსჯავრით დადგენილი გამოსაცდელი ვადის გასელაპდეა ჩადენილი (№1/641). უფრო მეტიც, მ.ა-მ იმ დროს, როცა მის წინააღმდეგ სსკ მე-200 მუხლის 1-ლი ნაწილით წინასწარი გამოძიება მიმდინარეობდა, განმეორებით ჩაიღინა ანალოგიური დანაშაული (№1/237 – 02).

ჯერ ერთი, პოლიტიკურ პრობლემებს ვერ გადაწყვეტს და, მეორეც, საკუთარი ქვეყნის მოქალაქეებისათვის, ერთი მხრივ, მოქმედების თავისუფლების მიცემა უაქციზო საქონლის შესაძენად და შემდეგ ჩასაფრება და პასუხისგებაში მიცემა, უსამართლობასთან ერთად უზნეობაცაა. სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან ცალკე წარმოებად საქმის გამოყოფა გამოძიებით დაუდგენელი უაქციზო საქონლის რეალიზატორის დასადგენად, მინდორში ქარის დევნას ჰგავს. ამ პირთა მხილებისა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ვერც ერთი შემთხვევა სასამართლო პრაქტიკაში ჩვენ ვერ ვნახეთ. ერთიანი უმართლობის მონაწილე ორი მხარიდან ერთი ისჯება, მე-2 კი – არა. რამდენად სამართლიანია ამგვარი პრაქტიკა და პოლიტიკა ცალკე საუბრის თემაა.

ამ კატეგორიის საქმეების წამკითხველს ზოგჯერ იმის ეჭვიც კი გიჩნდება, შეგნებული ჰქონდა თუ არა უაქციზო საქონლის შემქენ ყველა ადამიანს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა. როცა საზღვრები სრულიად დაუცველია, საქართველოს ნებისმიერი კუთხიდან თავისუფლად შეუძლია მოქალაქეს ჩავიდეს გორის რაიონის სოფელ ერგნეთში, შეიძინოს სხვადასხვა საქონელი და უპრობლემოდ გადმოზიდოს, რატომ უნდა შეეპაროს ეჭვი თავისი ქმედების მართლზომიერებაში?! სასამართლო პრაქტიკის ანალიზის დროს ხშირად გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა უაქციზო საქონლის შემქენები აცხადებენ, რომ მათ არ იცოდნენ მსგავსი ქმედება დასჯადი თუ იყო. მართლაც, არ შეიძლება ცალსახად იმის გამორიცხვა, რომ რომელიმე მოკვდავმა ესა თუ ის ბლანკეტური ნორმა არ იცოდეს. როგორც ცნობილია, როცა ბლანკეტური ნორმების დარღვევასთან გვაქვს, საქმე მართლწინააღმდეგობა პოზიტიურად უნდა დადგინდეს, ე.ი. უნდა გაირკვეს, ეწინააღმდეგება თუ არა ქმედება ბლანკეტური ხორმის მოთხოვნებს. შესაძლებელია ობიექტური მართლწინააღმდეგობა მართლაც სახეზე იყოს, მაგრამ სუბიექტურად ეს გაცნობიერებული არ ჰქონდეს ადამიანს, რამაც შეიძლება ბრალის გამორიცხვამდეც კი მიგვიყვანოს. თუ ჩვენ განზრახვის ფორმულას წარმოვიდგენთ, მართლაც, ძნელი დასაჯერებელი იქნება ადამიანს პირდაპირი განზრახვით ჩადენილი ქმედება შეერაცხოს, მას კი არ ესმოდეს ქმედების სუბიექტური შემადგენ-

¹ იგივე სურათია სამეგრელოში, ენგურის ხიდზე.

ლობის შინაარსი. სამწუხაროდ, ამ პრობლემაზე სამართალშემფარდებლები არ ფიქრობენ. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ადამიანი, რომელიც ექვემდებარება თუ ბრალდებულის მდგომარეობაში აცხადებს, არ ეიცოდი სამართლის ნორმას თუ ვარლევდიო, დაკითხვის ბოლოს განაცხადოს, რომ „თავს მთლიანად ვცნობ დამნაშავედ“. საკითხავია, თუკი შეგნებული არ ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, მაშინ რალაში ცნობს თავს დამნაშავედ?! გასაგებია, რომ სამართალშემფარდებლები თავს იზლევვენ, მაშინ როცა კონკრეტულ საქმეებზე ქმედების მართლწინააღმდეგობის დამამტკიცებელ არაერთ არგუმენტს უყურადღებოდ ტოვებენ.

ნიშნდობლივია ამ მხრივ სისხლის სამართლის საქმე ე.ს-ს მიმართ. იგი თბილისის დიდუბე-ჩულურეთის რაიონულმა სასამართლომ 2002 წლის 28 ივნისის განაჩენით დამნაშავედ ცნო იმისათვის, რომ 2001 წლის 22 ოქტომბერს გორის რაიონის სოფელ ერგნეთის ბაზრობაზე გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან შეიძინა 209 ლარის ღირებულების უცხოური წარმოების სხვადასხვა დასახელების სიგარეტი, რომელიც იმავე დღეს გადმოზიდა თბილისში, სადაც დიდუბის ავტოსადგურის ტერიტორიაზე დააკავეს პოლიციის მუშაკებმა.

ამ საქმეში საინტერესოა ის ფაქტი, რომ განსასჯელმა სიგარეტის რეალიზაციის ნაწილში არ ცნო თავი დამნაშავედ. მან განაცხადა, რომ წერილმან ვაჭრობას ეწეოდა და ამით არჩენდა ოჯახს. უაქციზო სიგარეტის შექმნა თუ ისჯებოდა, არ იცოდა, თანაც იგი შეიძინა პირადი მოხმარებისათვის. განსასჯელის განცხადების გულწრფელობაში ეჭვის შეტანა გაგვიჭირდა, რადგანაც მას რომ ათი ლარით ნაკლები ღირებულების სიგარეტი შეეძინა, საერთოდ არ დადგებოდა მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი. სწორედ, მართლწინააღმდეგობის შეგნების არარსებობის გამო ადვოკატმა შუამდგომლობა დააყენა წინასწარი გამოძიების დამთავრებისას და მოითხოვა საქმისწარმოების შეწყვეტა. ეს შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა. რამდენადაც ბრალდებული წერილმან ვაჭრობას ეწეოდა და ამჯერადაც ამ მიზნით იყო ჩასული სოფელ ერგნეთის „ბაზრობაზე, ამიტომ წინასწარმა გამოძიებამ ჩათვალა, რომ „მის მიერ სიგარეტის შექმნაც შემდგომი რეალიზაციის მიზნით მოხდა. გარდა ამისა, მისი განცხადე-

ბა იმის შესახებ, რომ არ იცოდა უაქციზო სიგარეტის გადაზიდვა და რეალიზაცია თუ ისჯებოდა, მას უფლებას არ აძლევდა მსგავსი ქმედება ჩაედინა, ვინაიდან კანონის არცოდნა პიროვნებას არ ათავისუფლებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან“.

წინასწარი გამოძიების ამ არგუმენტის საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ ჯერ ერთი, სისხლის სამართლის კოდექსი უშვებს იურიდიული შეცდომის შესაძლებლობას (მუხლი 36-ე), რომელიც შესაძლებელია მიტევებულ იქნეს, მე-2ც, ხომ შესაძლებელია ჩვეულებრივ მოკვდავს, მით უფრო არაქართველს, არ სცოდნოდა საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 28 მაისის №355 ბრძანებულება, რომელმაც ქართული აქციზური მარკების გარეშე სიგარეტის რეალიზაცია აკრძალა? ე.ს-ს ამ კონკრეტულ ფაქტამდე ფართო მოხმარების საქონლის ყიდვა-გაყიდვას არავინ უშლიდა, ეს საჯაროდ ხდებოდა, ბაზრობაზე, საბაჟოს თანამშრომლების თვალწინ, რაც საფუძველს აძლევდა თავისი ქმედება მართლზომიერად ჩაეთვალა⁷².

როგორც ჩანს, უაქციზო საქონლით ვაჭრობის პრობლემის სათავე იმაშია, რომ საქართველოს საჯარო ხელისუფლების უკონტროლო ტერიტორიაზე თავისუფლად ხდება ამ საქონლით ვაჭრობა. აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნული კატეგორიის დანაშაულის ჩადენა ხშირად თანამონაწილეობით ხდება, კერძოდ, თუ უაქციზო საქონლის რეალიზატორი არ არსებობს, მაშინ არც მისი შემძენი თუ გადამზიდავი იარსებებს. მაშასადამე, აქ აუცილებელ თანამონაწილეობასთან გვაქვს საქმე, მაგრამ ერთიანი უმართლობის ერთი თანამონაწილე – რეალიზატორი ყოველთვის დაუსჯელი რჩება, ხოლო შემძენი და გადამზიდავი ყოველთვის ისჯება. ჩვენ მიერ შესწავლილ სამასამდე სისხლის სამართლის საქმეში ერთიანი უმართლობის თანამონაწილე რეალიზატორი არსად არ დასჯილა. საუკეთესო შემთხვევაში წინასწარი გამოძიების ორგანოს დადგენილება გამოაქვს და ცალკე წარმოებად გამოყოფს საქმეს სიგარეტის ან ალკოჰოლიანი სასმელების რეალიზატორის დასადგენად, ანდა წერილობით მიმარ-

⁷² ალბათ, საფიქრებელია, პასუხისმგებლობის დიფერენციაციაც უაქციზო საქონლის პირადი მოხმარებისათვის შეძენისა და რეალიზაციის მიზნით შეძენის შემთხვევებს შორის.

თავენ შესაბამის უწყებას მათ დასაძებნად. უარეს შემთხვევაში კი, წინასწარი გამოძიების ორგანოები საერთოდ გვერდს უვლიან ამ პრობლემას. სისხლის სამართლის საქმეთა უმრავლესობაში ფორმალურადაც კი არ არის დადგენილება გამოტანილი უაქციზო საქონლის რეალიზატორების დასადგენად და დასაძებნად.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზმა იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ შესაბამის უწყებებს ხელს არ აძლევთ უაქციზო საქონლის რეალიზატორთა გამოვლენა და დასჯა, ვინაიდან კონტრაბანდასთან ბრძოლის მოჩვენებითი ატმოსფეროს შესაქმნელად, ხშირად უაქციზო საქონლის შემძენთა გამოვლენა პროვოკაციის მეშვეობით ხდება.

ორიოდე სიტყვით ვთქვათ, რა მეთოდებით ებრძოდა საგანგებო ლეგიონი და ებრძვის პოლიცია უაქციზო საქონლის შემძენთ. ნიშანდობლივია ამ მხრივ სისხლის სამართლის საქმე ც.ყ-ს მიმართ. რუსთავის საქალაქო სასამართლომ 2002 წლის 26 ივნისის განაჩენით იგი დამნაშავედ ცნო იმაში, რომ აქციზური მარკის გარეშე შეინახა აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონელი – 289,10 ლარის ღირებულების უაქციზო სიგარეტი, რაც გამოიხატა შემდეგში: „2002 წლის 28 მარტს, დაახლოებით 13 საათზე, გამოძიებით დაუდგენელმა პირმა ქ. რუსთავში ინდივიდუალურ მეწარმე „ჭილაშვილის“ მალაზიაში სარეალიზაციოდ შეიტანა რუსული აქციზური მარკის მქონე სხვადასხვა დასახელების ფილტრიანი სიგარეტი და იქ გამყიდველად მომუშავე ც.ყ-ს შესთავაზა მათი შეძენა, რაზეც ამ უკანასკნელმა უარი განუცხადა, მაგრამ შესაძლო შეძენისათვის მალაზიის მფლობელზე საჩვენებლად უცნობ მამაკაცს დათანხმდა სიგარეტის რამდენიმე ბლოკის დატოვებაზე, მაგრამ მან დაუტოვა ყველა სიგარეტი და მალაზიიდან გავიდა, თან მიადანა, რომ საღამოს მოვიდოდა და თვითონ დაელაპარაკებოდა სიგარეტის ყიდვის თაობაზე მალაზიის მფლობელს. მისი გასვლიდან მალევე (15 წუთის შემდეგ) მალაზიაში მივიდნენ პოლიციის მუშაკები და ამოიღეს უაქციზო სიგარეტი“.

დიდი შორსმჭვრეტელობა არ სჭირდება იმის მიხედვრას, რომ დანაშაულის პროვოკაციას ჰქონდა ადგილი. „უცნობი მამაკაცი“ შედის მალაზიაში და უაქციზო სიგარეტს უფასოდ უტოვებს მისთვის

უცნობ გამოიღველს, თან ამ უკანასკნელს უბარებს, რომ საღამოს გამოივლის და დაელაპარაკება მალაზიის მესაკუთრეს უაქციზო სიგარეტის შექმნის თაობაზე. მისი გასვლიდან უმაღვე (დაახლოებით 15 წუთში, იხ. ჩხრეკისა და ამოღების ოქმი) მალაზიაში შედიან პოლიციის თანამშრომლები და ახდენენ უაქციზო სიგარეტის ამოღებას. აქ ნათლად ჩანს ძველი მენტალიტეტით მომუშავე პოლიციელები, რომლებიც ავადსახსენებ საბჭოთა პერიოდში სპეკულანტებს უწყობდნენ პროვოკაციებს მათი გამოვლენისა და დასჯის მიზნით. მართალია, ამ „უცნობი მამაკაცის“ მიმართ საქმე ცალკე წარმოებად გამოიყო, მაგრამ ეს მხოლოდ პროვოკაციის კვალის დასაფარად არის გაკეთებული, რაც მანკიერ პრაქტიკად უნდა ჩაითვალოს. მართალია, უაქციზო საქონლის შენახვის ფაქტი სახეზეა, მაგრამ პროვოკაციის კვალიც კარგად არის გამოკვეთილი, რაც პოლიციელთა უნიჭობაზე მიანიშნებს (საქმე №1202065).

იგივე სურათია სისხლის სამართლის საქმეზე მ.გ-ს მიმართ, რომელზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. იგი თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ გაასამართლა უაქციზო სიგარეტის შენახვისათვის. მ.გ. იჯარით აღებულ კომერციულ ჯიხურში სიგარეტით ვაჭრობდა. 2001 წლის 2 ოქტომბერს, დაახლოებით 17 საათზე, მასთან მივიდა ორი უცნობი და შესთავაზა 458 კოლოფი სხვადასხვა დასახელების უაქციზო სიგარეტის „ნისიად“ შექმნა, მათი რეალიზაციის შემდეგ ანგარიშსწორების პირობით. უაქციზო სიგარეტის აღებიდან 15-20 წუთის გასვლის შემდეგ მ. გ-ს ჯიხურთან მიდიან საგანგებო ლეგიონის თანამშრომლები და ამხელენ მას უაქციზო სიგარეტის შენახვაში.

ვერაფერს იტყვი, „კარგი ნამუშევარია“, ავადსახსენებელ „ობხსს“-ს არ ჩამოუვარდებოდა საგანგებო ლეგიონი პროვოკაციების მოწყობაში. ეს უწყება თუნდაც ამის გამო იმსახურებდა გაუქმებას.

საგანგებო ლეგიონს არც ლ. მ-ს დანაშაული „გამოეპარა“, რომელიც ხაშურის რაიონულმა სასამართლომ 2002 წლის 22 ოქტომბერს დამნაშავედ ცნო 448 ლარის ღირებულების უაქციზო სიგარეტის შექმნაში ხაშურის აგრარულ ბაზარში, საიდანაც რეალიზაციის მიზნით უნდა გადაეზიდა ახალციხეში. ლ.მ. ავტობუსის გაჩერებაზე

მყოფი დააკავეს საგანგებო ლეგიონის თანამშრომლებმა. საკითხავია ლეგიონერებმა რატომ ვერ დაადგინეს უაქციზო სიგარეტის რეალიზატორი, ის ხომ იქვე უნდა ყოფილიყო, რამდენიმე მეტრის დაშორებით (მანძილი ხაშურის აგრარულ ბაზარსა და ავტობუსების გაჩერებას შორის რამდენიმე მეტრია) ანდა საქმიდან ცალკე უნდა გამოყოფილიყო მასალები მის დასაძებნად და პასუხისგებაში მისაცემად. დაუშვათ, რომ უაქციზო საქონლის რეალიზატორთა დადგენა ვერ ხერხდება გორის რაიონის სოფელ ერგნეთის ბაზრობაზე (ან ენგურის ზიდთან), ასე ვთქვათ, საქართველოს საჯარო ხელისუფლებისათვის უკონტროლო ტერიტორიაზე, მაგრამ ქ. ხაშურში ხომ შეიძლებოდა ამის გაკეთება. ძალაუფლებურად ეჭვი გიჩნდება ამ საქმის მკითხველს, რომ ლ.მ-ს პროვოკატორი მიუგზავნეს და ამ გზით „ამხილეს დანაშაულში“ ორი არასრულწლოვანი ბავშვის დედა.

იგივე სურათია დასავლეთ საქართველოშიც.

ასე მაგალითად, ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ 2002 წლის 5 ნოემბრის განჩინით გ. რ. დამნაშავედ ცნო იმაში, რომ 2002 წლის 9 სექტემბერს ქ. ზუგდიდში, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან, შემდგომი რეალიზაციის მიზნით, შეიძინა უცხოური წარმოების სხვადასხვა დასახელების 280 კოლოფი სიგარეტი ქართული აქციზური მარკების გარეშე. აღნიშნული სიგარეტი რამდენიმე წუთის გასვლის შემდეგ ამოიღეს პოლიციის მუშაკებმა. ამ საქმის შინაარსიდანაც ნათლად იკვეთება პროვოკაციის კვალი. ბრალდებულმა დაკითხვის დროს განაცხადა, რომ, მართალია, წერილმანი ვაჭრობით ირჩენდა თავს, მაგრამ უაქციზო სიგარეტით არასოდეს უვაჭრია. 2002 წლის 9 სექტემბერს, დღით 10 საათისთვის, როცა მას თავისი საეაჭრო საქონელი მიჰქონდა დახლზე დასალაგებლად, ქ. ზუგდიდის შპს სუპერმარკეტის უკანა შესასვლელი კარებიდან 10-15 მეტრის დაშორებით შეხვდა უცნობი ქალბატონი, რომელმაც იაფად შესთავაზა უაქციზო სიგარეტები. ისიც დათანხმდა და შეიძინა 280 კოლოფი, საიდანაც მას 20-30 ლარის მოგება დარჩებოდა. შეძენილი სიგარეტით, რომელიც ორ პოლიეთილენის პარკში ეწყო, გ. რ. შევიდა სუპერმარკეტის ტერიტორიაზე. შესასვლელში შეაჩერა პოლიციამ და უაქციზო საქონელი აღმოუჩინა. ეჭვის აღმძვრე-

ლია ის ფაქტი, რომ დილის 10 საათისათვის გ.რ-ს სთავაზობენ უაქციზო სიგარეტს და რამდენიმე წუთში მას ამხელს პოლიცია. პოლიციის „ფხიზელ თვალს“ რამდენიმე წუთის შუალედში არ გამოეპარა ბაზრის ტერიტორიაზე უაქციზო სიგარეტის შეტანის მცდელობა, მაგრამ, რატომღაც, რამდენიმე მეტრში მხედველობის არედან დაკარგა უაქციზო სიგარეტის რეალიზატორი, რომელიც პროვოკატორის შთაბეჭდილებას ტოვებს (საქმე №8302911).

იგივე სურათია სისხლის სამართლის საქმეზე რ.ფ-ს მიმართ (საქმე №9002324).

შესწავლილი სისხლის სამართლის საქმეების ანალიზი საფუძველს გვაძლევს. განვაცხადოთ, რომ მცირე თანხებით უაქციზო საქონლით ვაჭრობას ახორციელებდნენ სოციალურად ყველაზე გაჭირვებული ადამიანები და მათ წინააღმდეგ პროვოკაციების მოწყობა ზნეობრივადაც გაუმართლებელია. როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, ეს ადამიანები, ხშირად სესხად აღებული მიზერული თანხებით მიდიან გორის რაიონის სოფელ ერგნეთის ბაზრობაზე თუ ენგურის ზიდზე, საბაჟო და სხვა მაკონტროლებელი ორგანოების თვალწინ იძენენ უაქციზო საქონელს. ისინი, ვისაც ვვალებათ მსგავსი ქმედების აღკვეთა, არავითარ ზომებს არ ღებულობენ, რომ სათავეშივე აღკვეთონ ასეთი კანონსაწინააღმდეგო ქმედება. პირიქით, ისინი შესაძლებლობას აძლევენ მათ შეიძინონ უაქციზო საქონელი და შემდეგ, გადაზიდვის პროცესში, უკვე სამხილით აკავებენ და კონტრაბანდასთან „ბრძოლის“ ეფექტურ სტატისტიკასაც ქმნიან. მაგალითად, 2002 წელს საქართველოს საერთო სასამართლოებს ოთხასზე მეტი ასეთი კატეგორიის საქმე აქვთ განხილული.

ჩვენი ანალიზით, უაქციზო საქონლით მოვაჭრეთა მხილების ასეთი სქემა იკვეთება: ვთქვათ, იგივე საგანგებო ლეგიონი, შესაძლებლობას აძლევს ამა თუ იმ მოქალაქეს შეიძინოს უაქციზო სიგარეტი თუ სხვა საქონელი, შემდეგ ამ მოქალაქის გარეგნულ ნიშნებსა და ტრანსპორტს, რომლითაც ის უაქციზო საქონლის გადაზიდვას ახდენს, მობილური ტელეფონით გადასცემს ოპერატიულ ჯგუფს, რომელიც აკავებს უაქციზო საქონლის გადამზიდავებს. ამ კატეგორიის საქმეთა წარმოება ამა თუ იმ უწყების ოპერატიული მუშაკების ასეთი ტრივიალური პატაკით იწყება: „მაქვს ოპერატიული ინფორ-

მაცია რომ ხდება უაქციზო საქონლის გადაზიდვა. გთხოვთ, შემდგომი მოქმედებების ჩასატარებლად ნებართვას“ და ა.შ.

ოპონენტი შეიძლება შემოგვედავოს კიდევ, რომ ოპერატიულ სამძებრო საქმიანობაში დასაშვებია საიდუმლო თანამშრომლის გამოყენება. პასუხად უნდა აღვნიშნოთ, რომ 1999 წლის 30 აპრილის კანონი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ, მართალია, ითვალისწინებს საიდუმლო თანამშრომლის (კონფიდენტის) გამოყენების შესაძლებლობას ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის პროვოკაციებისათვის უნდა გამოიყენონ. პროვოკაცია სისხლის სამართლი დანაშაულია (მუხლი 145-ე) გარდა ამისა, აღნიშნული კანონის მე-3 მუხლში, რომელიც ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის პრინციპებს ადგენს, აღნიშნულია, რომ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა ემყარება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და პატივისცემის, კანონიერების პრინციპებს. აკრძალულია იმ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარება, რომელიც დაკავშირებულია მოტყუებასთან, ძალით დაყოლიებასთან, დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენასთან.

როგორც ზემოთ მოტანილი მაგალითებიდან და, საერთოდ, სასამართლო პრაქტიკის ანალიზით დავრწმუნდით, ხშირად, ამ დანაშაულის სუბიექტი მოტყუებულია ოპერატიული მუშაკებისაგან.

დაბოლოს, ისევ უაქციზო საქონლის ღირებულების განსაზღვრის არსებული წესის შესახებ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება, როდესაც აქციზური მარკის საჯალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის ღირებულება ორას ლარს აღემატება.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ამა თუ იმ საქონელზე თავისუფალი საბაზრო ფასი განსხვავებულია და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ერთსა და იმავე საქონელს შესაძლებელია სხვადასხვა სარეალიზაციო ფასი ჰქონდეს. ეს კი ვერ უზრუნველყოფს სასამართლო პრაქტიკის ერთგვაროვნებას ქვეყნის მასშტაბით. მაშასადამე, ერთი და იმავე საქონლის რაოდენობამ, მისი თავისუფალი საბაზრო ფასიდან

გამომდინარე, შესაძლებელია, ერთ რეგიონში დააფუძნოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ვთქვათ, მიაღწიოს ორას ლარს, მე-2 რეგიონში კი – არა. გარდა ამისა, ერთი და იგივე საქონელი, ვთქვათ, იმავე მარკირებას დაქვემდებარებული, თუ საბაჟო საზღვარზე უკანონო გადატანის ან გადმოტანის დროს დააკავეს, მაშინ სსკ 214-ე მუხლის შენიშვნის მიხედვით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ობიექტური საფუძველი დადგინდება ნივთზე საბაჟო გადასახდელის გადაუხდელი თანხის ოდენობის მიხედვით, ხოლო თუ იმავე უაქციზო საქონლის ქვეყნის შიგნით გადაზიდვა მოხდება, მაშინ სსკ მე-200 მუხლით პასუხისმგებლობას დააფუძნებს აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის ღირებულება და არა გადაუხდელი აქციზის ოდენობა, როგორც ეს ხდება საბაჟო წესის დარღვევის შემთხვევაში.

აქ ბუნებრივად ჩნდება კითხვა – თუ კონტრაბანდის ოდენობის განსაზღვრის დროს სისხლის სამართლის კანონი და სასამართლო პრაქტიკა ემყარება სახელმწიფოს მიერ დაკარგული ფინანსური შემოსავლის ოდენობას (ნივთზე საბაჟო გადასახდელის გადაუხდელი თანხა), რატომ იმავე პრინციპით არ უნდა ვიხელმძღვანელოთ უაქციზო საქონლის გადაზიდვისა თუ რეალიზაციისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგენის დროს? ვფიქრობთ, მიუღებელია ასეთი ორმაგი სტანდარტი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ობიექტური საფუძვლის დადგენის დროს.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზის დროს ჩვენ იმის გარკვევასაც შევეცადეთ, თუ რა რაოდენობის თანხებს კარგავს სახელმწიფო აქციზის ფიქსირებული გადასახადის სახით.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნები შედგენილია ძალიან დაბალ პროფესიულ დონეზე, გარდა ამისა, ზოგჯერ ამ დასკვნებში უაქციზო საქონლის საერთო სარეალიზაციო ღირებულებაში ნაანგარიშებია ქართული აქციზური მარკის ფიქსირებული გადასახადიც, ამიტომ გაგვიძნელდა ზუსტი გათვლების წარმოება და სახელმწიფო ბიუჯეტის დაზარალების დასადგენად მხოლოდ ჰიპოთეტურ გამოთვლებს დავჯერდით.

საექსპერიმენტოდ ავიღეთ სსკ მე-200 მუხლით დაკვალიფიცირ-

ებული ასი სისხლის სამართლის საქმე. აღნიშნული ასი სისხლის სამართლის საქმის მონაცემებით მოკვლევისა და საგამოძიებო ორგანოების მიერ ამოღებული უაქციზო სიგარეტის საერთო-სარეალიზაციო ფასმა შეადგინა 72171 ლარი ქართული აქციზური მარკის ფიქსირებული გადასახადის გათვალისწინებით. თუ ჰიპოთეტურად დავუშვებთ, რომ 72171 ლარის სარეალიზაციო ღირებულების უაქციზო სიგარეტი 72171 კოლოფი ფილტრიანი სიგარეტია, ხოლო თითო კოლოფი ფილტრიანი სიგარეტის ფასი ერთი ლარია აქციზის ფიქსირებული გადასახადის ჩათვლით (ერთი კოლოფი ოცდერიანი ფილტრიანი სიგარეტი იბეგრება 40 თეთრის ფიქსირებული გადასახადით), მაშინ 72171 ლარის საერთო-სარეალიზაციო ღირებულების უაქციზო ფილტრიანი სიგარეტის რეალიზაციიდან სახელმწიფო ბიუჯეტი დაკარგავდა 28867 ლარისა და 40 თეთრის შემოსავალს.

ცხადია, ეს თანხა ზღვაში წვეთია იმ თანხებთან შედარებით, რასაც სახელმწიფო ბიუჯეტი კარგავს სიგარეტის კონტრაბანდით და უაქციზო სიგარეტის რეალიზაციით.

უფრო შთამბეჭდავია კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეების მიხედვით უაქციზო საქონლის რეალიზაციით სახელმწიფოს მიერ მიუღებელი შემოსავლები. ასე, მაგალითად, ჩვენ მიერ ზემოთ მოხსენებულ სისხლის სამართლის საქმეზე ე.ს. მიმართ (№1/240 – 02), ამოღებული 209 ლარის სარეალიზაციო ღირებულების უაქციზო ფილტრიანი სიგარეტი უნდა დაბეგრულიყო 83 ლარისა და 60 თეთრის ფიქსირებული გადასახადით. სისხლის სამართლის საქმეზე ნ.ც. მიმართ (№1/331 – 02), რომელიც ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ 2002 წლის 22 მაისის განაჩენით დამნაშავედ ცნო 250 კოლოფი სიგარეტის აქციზური მარკის გარეშე შენახვისა და რეალიზაციისათვის, ამოღებული სიგარეტი უნდა დაბეგრულიყო 100 ლარის ფიქსირებული გადასახადით. სისხლის სამართლის საქმეზე გ.რ-ს მიმართ (№1/ა-262), რომელიც ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ 2002 წლის 5 ნოემბრის განაჩენით დამნაშავედ ცნო მასში, რომ შემდგომი რეალიზაციის მიზნით შეიძინა 280 კოლოფი სიგარეტი აქციზური მარკების გარეშე, ამოღებული სიგარეტი უნდა დაბეგრულიყო 112 ლარის ფიქსირებული გადასახადით. სისხლის

სამართლის საქმეზე ზ. ნ. მიმართ (№1/ა-75), რომელიც ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ 2002 წლის 4 თებერვლის განაჩენით დაძაწვედ ცნო 212 ლარის საერთო-საბაზრო სარეალიზაციო ღირებულების 11 დასახელების უაქციზო სპირტიანი სასმელების შექენაში შემდგომი რეალიზაციის მიზნით, პოლიციის მიერ ამოღებული უაქციზო ალკოჰოლიანი სასმელები, ჩვენი ჰიპოთეტური გათვლით, უნდა დაბეგრილიყო მაქსიმუმ 21 ლარითა და 50 თეთრით. სისხლის სამართლის საქმეზე ე. რ.-ს მიმართ (№1/ა-133 – 2002), რომელიც ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ 2002 წლის 8 მაისის განაჩენით დაძაწვედ ცნო 245 ლარის საბაზრო-სარეალიზაციო ღირებულების 18 დასახელების ალკოჰოლიანი სასმელების ქართული აქციზური მარკის გარეშე შენახვასა და რეალიზაციაში, ჩვენი ჰიპოთეტური გამოთვლით, თუ დავუშვებთ, რომ გამოძიების მიერ ამოღებული 18 ბოთლი კონიაკი ერთი ლიტრის ტევადობის ჭურჭელში იყო განთავსებული, მაშინ სახელმწიფოს მიერ მიუღებელი აქციზის ფიქსირებული გადასახადის ოდენობა 36 ლარია.

მითითებული მაგალითები ნათლად ადასტურებენ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის ასეთი მიზერული ზიანისათვის, საზოგადოების სოციალურად ყველაზე შეჭირვებული ფენის წარმომადგენელ ადამიანთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა უსამართლობაა. მსგავსი შემთხვევებისათვის, ჩემი აზრით, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება საკმარისი იქნებოდა. ამავე დროს, მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვების, შენახვის, რეალიზაციის ან გადაზიდვისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა დაემყაროს არა აქციზური საქონლის ღირებულებას, როგორც ეს ახლა არის დადგენილი სსკ მე-200 მუხლის შენიშვნაში, არამედ დასაბეგრი აქციზური საქონლის ფიქსირებული გადასახადის ოდენობას, ე.ი. იმავე პრინციპს, როგორც ეს სსკ 214-ე მუხლის შენიშვნაშია დადგენილი საბაჟო წესის დარღვევით ნივთის გადატანის ან გადმოტანისათვის.

მიზანშეწონილი იქნებოდა სსკ მე-200 მუხლით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლად ჩაგვეთვალა მინიმუმ 500 ლარის ოდენობის ფიქსირებული გადასახადით დაბეგრისათვის თავის არიდება.

რეკომენდაციები

საქართველოს სსკ მე-200 მუხლთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე გვინდა რამდენიმე რეკომენდაციის გაკეთება:

1) სსკ მე-200 მუხლით აღწერილი ქმედების ობიექტური შემაღენლობის ნიშნები წინასწარი გამოძიებისა და სასამართლოს შემაჯამებელ დოკუმენტებში ზუსტად უნდა იყოს მითითებული, ვინაიდან ეს შემაღენლობა ალტერნატიული მოქმედებებისაგან შედგება. დამთავრებული და დაუმთავრებელი დანაშაულის გასამიჯნად ობიექტური შემაღენლობის ნიშნების ზუსტად დადგენა მეტად მნიშვნელოვანია. ამავე დროს, თუკი ერთ-ერთი ალტერნატიული მოქმედება დასრულებულია, დანაშაული დამთავრებულად ითვლება და სხვა ალტერნატიული მოქმედების მომზადებაზე ან მცდელობაზე მსჯელობა უსაგნო ხდება;

2) რამდენადაც სსკ მე-200 მუხლით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაფუძნებულია აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის ღირებულებაზე, ამდენად, ეს თანხა აუცილებლად უნდა იქნეს მითითებული სასამართლოს განაჩენში;

3) საჭიროა სასაქონლო ექსპერტიზის ხარისხის ამაღლება. კარგი იქნებოდა, თუ სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნის კვლევით ნაწილში იმსჯელებდნენ აქციზური საქონლის დაბეგერის რეჟიმზეც. სტატისტიკისათვის მნიშვნელობას მოკლებული არ უნდა იყოს, რა რაოდენობის ფიქსირებულ გადასახადს კარგავს სახელმწიფო ბიუჯეტი თამბაქოსა და ალკოჰოლიანი სასმელების ქართული აქციზური მარკების გარეშე რეალიზაციით. შესწავლილი სისხლის სამართლის საქმეების მიხედვით, სამწუხაროდ, მსგავსი დასკვნების გაკეთება შეუძლებელია. ამავე დროს, წინასწარი გამოძიების ორგანოებმა თავი უნდა შეიკავონ საეჭვო წარმომავლობის, კერძო საექსპერტო დაწესებულებებში ექსპერტიზის ჩატარებისაგან;

4) ქვეყნის მასშტაბით სასამართლო პრაქტიკის ერთგვაროვნების უზრუნველსაყოფად, სასურველია, კანონმდებელმა ცვლილება

შეიტანოს სსკ მე-200 მუხლის შენიშვნაში, კერძოდ, მიზანშეწონილი იქნებოდა აღნიშნული მუხლის 1-ლი ნაწილით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლად ჩაგვეთვალა მინიმუმ 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის ფიქსირებული გადასახადით დაბეგვრისათვის თავის არიდება. მაგალითად, ასეთი რედაქციით: „შენიშვნა: ამ მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება, როდესაც აქციზის ფიქსირებული გადასახადის გადაუხდელი თანხა აჭარბებს ხუთას ლარს“.

5) აუცილებელია სისხლის სამართლის საქმეში აისახოს განაჩენის აღსრულების შედეგი. ჩვენ მიერ შესწავლილი არც ერთი სისხლის სამართლის საქმიდან არ ჩანს, თუ რა ბედი ეწია ამოღებულ და ნივთმტკიცებად ცნობილ უაქციზო საქონელს – მართლა განადგურდა თუ ისევ სასაქონლო ბრუნვაში მოექცა.

მუსლი 201. ყალბი რეკლამა

რეკლამის დამკვეთის, მწარმოებლის ან გამავრცელებლის მიერ მომხმარებლის განზრახ შეცდომაში შეყვანა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია,—

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან ტუსალობით ვადით სამ თვემდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სასამართლო სტატისტიკისა და ინფორმატიზაციის განყოფილების მონაცემებით, სასამართლო პრაქტიკა ამ მუხლთან დაკავშირებით არ არსებობს.

**მუხლი 202. კომერციული ან საბანკო საიდუმლოების
შემცველი ინფორმაციის უკანონოდ შეზღვევა
ან გაზრდილობა.**

1. კომერციული ან საბანკო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის უკანონოდ შეგროვება მისი უკანონოდ გახმაურების ან უკანონოდ გამოყენების მიზნით,-

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან ტუსალობით ვადით ორ თვემდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკალების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

2. კომერციული ან საბანკო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის უკანონოდ გახმაურება ან გამოყენება ანგარებით, ან სხვა პირადი მოტივით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია,-

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე, თანამდებობის დაკალების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე ან უამისოდ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სასამართლო სტატისტიკისა და ინფორმატიზაციის განყოფილების მონაცემებით, სასამართლო პრაქტიკა ამ მუხლთან დაკავშირებით არ არსებობს.

**მუხლი 203. პროფესიული სპორტული შეჯიბრის
ანდა კომერციულ-სანახაობითი კონკურსის მონაწილის
ან ორგანიზატორის მოსყიდვა**

1. პროფესიული სპორტული შეჯიბრის მონაწილის, მსაჯის, მწვრთნელის, გუნდის ხელმძღვანელის ან ორგანიზატორის, აგრეთვე კომერციულ-სანახაობითი კონკურსის ორგანიზატორის ან ჟიურის წევრის მოსყიდვა შეჯიბრის ან კონკურსის შედეგზე ზეგავლენის მიზნით,-

ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე, ანდა ტუსალობით ვადით ორ თვემდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) ორგანიზებული ჯგუფის მიერ;

ბ) არაერთგზის,—

ისჯება თავისუფლების შესლუდვით ვადით სამ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

3. პროფესიული სპორტული შეჯიბრის მონაწილის მიერ უკანონოდ ფულის, ფასიანი ქაღალდის ან სხვა ქონების მიღება, ანდა ქონებრივი მომსახურებით სარგებლობა შეჯიბრის ან კონკურსის შედეგზე ზეგავლენის მიზნით,—

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

4. პროფესიული სპორტული შეჯიბრის მსაჯის, მწვრთნელის, გუნდის ხელმძღვანელის ან ორგანიზატორის, აგრეთვე კომერციულ-სანახაობითი კონკურსის ორგანიზატორის ან ჟიურის წევრის მიერ უკანონოდ ფულის, ფასიანი ქაღალდის ან სხვა ქონების მიღება, ანდა ქონებრივი მომსახურებით სარგებლობა შეჯიბრის ან კონკურსის შედეგზე ზეგავლენის მიზნით,—

ისჯება ჯარიმით ან ტუსაღობით ვადით სამ თვემდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

შენიშვნა: სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება ის, ვინც ნებაყოფლობით განუცხადებს ხელისუფლების ორგანოს, რომ ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებულ რომელიმე პირს გადასცა ფული, ფასიანი ქაღალდი ან სხვა ქონება, ანდა გაუწია მას ქონებრივი მომსახურება.

საქართველოს რაიონულ სასამართლოებში სასამართლო პრაქტიკა ამ მუხლთან დაკავშირებით არ არსებობს.

**მუსლი 204. საბუღალტრო წიგნის
წარმოების წესის დარღვევა**

ეკონომიკური საქმიანობის ამსახველი საბუღალტრო წიგნის ან აღრიცხვის სხვა დოკუმენტის წარმოების წესის დარღვევა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია,—

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 204-ე მუხლი ზოგადი ხასიათისაა. იგი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სამეწარმეო და სხვა ეკონომიკური საქმიანობის ამსახველი საბუღალტრო წიგნის ან აღრიცხვის სხვა დოკუმენტის წარმოების წესის დარღვევისათვის, თუ ამ ქმედებამ მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. სამეწარმეო საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს საწარმოთა სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. ამ მუხლით გათვალისწინებული ეკონომიკური საქმიანობა გულისხმობს არა მარტო სამეწარმეო, არამედ ასევე არასამეწარმეო საქმიანობასაც. მაგალითად, ნოტარიუსს არა აქვს უფლება, ჩამოყალიბდეს მეწარმეთა კანონით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით მიუხედავად ამისა, არასამეწარმეო საქმიანობის მონაწილეები (მაგალითად, ნოტარიუსები) საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, ისევე იბეგრებიან, როგორც მეწარმეები. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ, დადგენილი წესის შესაბამისად, ისევე უნდა აწარმოონ თავიანთი ეკონომიკური საქმიანობის ამსახველი საბუღალტრო წიგნი და აღრიცხვის სხვა დოკუმენტი, როგორც სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტებმა.

სწორი საბუღალტრო აღრიცხვის მიზანია ეკონომიკური საქმიანობის კანონიერად წარმართვა და მასზე საჯარო კონტროლის განხორციელება. საბუღალტრო აღრიცხვის წესებს აწესრიგებს საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“.

სისხლის სამართლის კანონი ეკონომიკური საქმიანობის ამსახველ საბუღალტრო წიგნსა და აღრიცხვის სხვა დოკუმენტებში გულისხმობს: საბუღალტრო დავთრებს, სალაროს წიგნებს, ნებისმიერ სააღრიცხვო ფორმებსა და ცხრილებს, სხვა საბუღალტრო დოკუმენტ-

ებს. დანაშაული ჩადენილად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქმედებამ მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. სასამართლო პრაქტიკაში არ არსებობს ერთიანი კრიტერიუმები მნიშვნელოვან ზიანთან დაკავშირებით.

შევისწავლეთ სასამართლო პრაქტიკა, რომელმაც გვიჩვენა შემდეგი: რაიონულმა სასამართლომ განიხილა ლ.თ.-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმე. იგი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს სსკ-ის 204-ე მუხლით. კერძოდ, მას ბრალი დაედო ეკონომიკური საქმიანობის ამსახველი საბუღალტრო წიგნის ან აღრიცხვის სხვა დოკუმენტის წარმოების წესის დარღვევისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

საქმის მასალების მიხედვით, ლ. თ. არის ერთ-ერთი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების გენერალური დირექტორი, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ქვის მოსაპირკეთებელი სამუშაოების შესრულება. იგი სამსახურებრივად პირდაპირ ვალდებული იყო, ეწარმოებინა ფირმის ეკონომიკური საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია, ანუ საბუღალტრო წიგნი, თუმცა მან ეს ვალდებულება არ შეასრულა. რაიონის საგადასახადო სამსახურში აღნიშნული შპს მან გააფორმა ფუნქციონირებაზე წყვეტილ წარმოებად, რეალურად კი აგრძელებდა საქმიანობას და ასრულებდა კერძო შეკვეთებს, რომელიც საბუღალტრო წიგნში არ ფიქსირდებოდა, რითაც სახელმწიფო მნიშვნელოვნად დააზიანა. კერძოდ, გამოძიებით დადგენილი ზიანის ოდენობა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომელზეც აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, შეადგენს 343 ლარს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საბრალდებო დასკვნითა და განაჩენით, ლ.თ.-ს მიერ ჩადენილი ქმედება წარმოადგენს სსკ-ის 204-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს.

წინასწარ გამოძიებასა და სასამართლო სხდომაზე განსასჯელმა თავი მთლიანად ცნო დამნაშავედ და ითხოვა პატიება. მისი ბრალდება დასტურდება მოწმეთა ჩვენებებითა და საგადასახადო ინსპექციის რევიზიის დასკვნით. სასამართლომ, საქმეში არსებული მასალებისა და მტკიცებულებების გაანალიზების საფუძველზე, იმის გათვალისწინებით, რომ განსასჯელის ქმედებაში არ არის პასუხისმგებლო-

ბის დამამძიმებელი გარემოება, ლ.ს.-ს სასჯელის სახით შეუფარდა ჯარიმა 300 ლარის ოდენობით.

სხვა შემთხვევაში, რაიონულმა სასამართლომ განიხილა ე.ქ.-ს ბრალდების საქმე. იგი პასუხისმგებლობაში იქნა მიცემული სსკ-ის 204-ე მუხლით, კერძოდ, ეკონომიკური საქმიანობის ამსახველი საბუღალტრო წიგნისა და აღრიცხვის სხვა დოკუმენტის წარმოების წესის დარღვევისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; სსკ-ის 210-ე მუხლით, კერძოდ, ყალბი საგადასახადო დოკუმენტის დამზადებისათვის გასაღების მიზნით, ჩადენილი არაერთგზის და სსკ-ის 218-ე მუხლით, კერძოდ, განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადისათვის თავის არიდების გამო, ჩადენილი არაერთგზის.

ე.ქ. ერთერთი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონეა, რომელსაც მინდობილობით მიენიჭა უფლება, საგადასახადო ინსპექციიდან გამოუტანა ფირმისათვის საჭირო რაოდენობის საგადასახადო ანგარიშფაქტურები და შესაბამისი სასაქონლო ზედნაღებები. გამოიტანა რა აღნიშნული საგადასახადო ანგარიშფაქტურები, მათი მეშვეობით მან მოახდინა მილნამზადების რეალიზაცია ორ სხვადასხვა შპს-ზე, საერთო თანხით 9739 ლარი. ამის შემდეგ, მსჯავრდებულმა ე.ქ.-მ განიზრახა ზემოხსენებულ ფირმებზე რეალიზებული მილნამზადების საკუთარი შპს-ს შემოსავალში აღება, რათა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიეღო დამატებითი ღირებულების გადასახადის ჩათვლა. ამ მიზნით იგი დაუკავშირდა თავის ნაცნობ შ.ბ.-ს და სთხოვა, მისთვის მიეტანა ორი შეუვსებელი საგადასახადო ანგარიშფაქტურა (რამიც ამ უკანასკნელმა მიიღო 200 აშშ დოლარი), რომელშიც მან შეიტანა ყალბი მონაცემები და ამ გზით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიღო ჩათვლა 16239 ლარი, ანუ არაერთგზის თავი აარიდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადის გადახდას. ამ გზით მან განახორციელა სსკ-ის 210-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა.

ე.ქ.-ს ფირმას გამოუვლინდა სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისი 9689 ლარის ოდენობით, მათ შორის, დღგ – 16149 ლარი, რომელიც მან არ შეიტანა ყოველთვიურ დეკლარაციაში და არ წარადგინა საგადასახადო ინსპექციაში, რითაც თავი

აარიდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადის გადახდას. აღნიშნულიდან გამომდინარე, განხორციელდა სსკ-ის 218-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა.

ე.ქ-მ დაარღვია სსკ-ის 204-ე მუხლის ბლანკეტური ნორმის მოთხოვნა და არ აწარმოა ეკონომიკური საქმიანობის ამსახველი საბუღალტრო დოკუმენტაცია, კერძოდ, არ აღრიცხა მის მიერ რეალიზებული 328260 ლარის ღირებულების საქონელი, საიდანაც მას ბიუჯეტში უნდა გადაეხადა 23150 ლარი.

საერთო ჯამში, მის მიერ განხორციელებული არაკანონიერი მოქმედებებით სახელმწიფო ფინანსურად განსაკუთრებით დიდი ოდენობით დაზარალდა, რაც მთლიანობაში შეადგენს 23150 ლარს.

ზემოაღნიშნული ფაქტებით, მოწმეების ჩვენებებით, რევიზიის აქტითა და საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით სასამართლომ უტყუარად დადგენილად მიიჩნია ე.ქ.-ს მიერ აღნიშნულ დანაშაულთა ჩადენა.

სასჯელის დანიშნისას სასამართლო, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებათა გათვალისწინებით, რომ იგი არის მართობელა დედა, არ არის ნასამართლევნი, ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არ არის აუცილებელი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება და 3 წლით თავისუფლების აღკვეთა სსკ-ის 63-65-ე მუხლების გამოყენებით განსასჯელს შეუცვალა 5 წლით პირობითი მსჯავრით.

სისხლის სამართლის კოდექსის 204-ე მუხლის გამოყენების სასამართლო პრაქტიკა არ არის მდიდარი სხვადასხვაგვარი საქმეებით, რომ შესაძლებელი იყოს მათი აქ მაგალითის სახით მოყვანა. სასამართლოებმა განიხილეს სულ რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე. ეს, უპირველეს ყოვლისა, აიხსნება იმ გარემოებით, რომ ამ კატეგორიის საქმეთა გამოვლენა არ არის ადვილი. საქართველოში არ არის ჩამოყალიბებული ეკონომიკური საქმიანობის ამსახველი საბუღალტრო წიგნისა და აღრიცხვის სხვა დოკუმენტების წარმოების ერთიანი სისტემა, რომელიც მკაცრ სამეურნეო-სამართლებრივ კონტროლს იქნება დაქვემდებარებული. სასამართლო პრაქტიკის ანალიზის მიხედვით, რეალური ვითარება ცხადყოფს, რომ აღრიცხვის დოკუმენტების მწარმოებელი

პირები ხშირ შემთხვევაში ცდილობენ, არ გააკეთონ ზუსტი აღრიცხვა, რათა სახელმწიფოსთან არ მოხდეს სწორი ფინანსური ანგარიშსწორება, რაშიც მათ ასევე ხელს უწყობენ ის სახელმწიფო მოხელეები, რომელთაც სამსახურებრივად ვეალებათ ამ საქმიანობის კონტროლი.

მუხლი 205 უკანონო მოქმედება გაკოტრებისას

გადახდისუუნარობის ან ზედავალთანების დროს ქონების იმ ნაწილის განკარგვა ან დამალვა კრედიტორისათვის ხელმიუწვდომლობის მიზნით, რომელიც გაკოტრების წარმოების გახსნის შემთხვევაში მოექცეოდა გაკოტრების მასაში, აგრეთვე მეურნეობის სწორად გაძღოლის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ მისი დაზიანება, გაუვარგისება ან განადგურება, –

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

საქართველოს რაიონულ სასამართლოებში სასამართლო პრაქტიკა ამ მუხლთან დაკავშირებით არ არსებობს.

მუხლი 206. საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევა გაკოტრებისას

გადახდისუუნარობის ან ზედავალთანების დროს საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევა, რამაც რეალური ქონებრივი მდგომარეობის შეფასება გაართულა, –

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 204-ე მუხლი, რომელიც აწესებს პასუხისმგებლობას ეკონომიკური საქმიანობის ამსახველი საბუღალტრო წიგნის ან აღრიცხვის სხვა დოკუმენტის წარმოების წესის დარღვევისათვის, ზოგადი ხასიათის ნორმაა. სსკ-ის 206-ე მუხლი კი ამ ზოგად ნორმასთან მიმართებაში წარმოადგენს სპეციალურ ნორმას. ეს მუხლიც აწესებს პასუხისმგებლობას საბუღალტრო აღრიცხვის წიგნის წარმოების წესის დარღვევისათვის, ოღონდ იმ შემთხვევაში, როცა კერძო სამართლის იურიდიული პირი გაკოტრების წინა პერიოდში გადახდისუუნარობისა და ზე-

დავლიანების მდგომარეობაში იმყოფება. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება ხდება იმის გამო, რომ ასეთ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწორი საბუღალტრო აღრიცხვა, რათა არ გართულდეს რეალური ქონებრივი მდგომარეობის შეფასება. დანაშაულის შემადგენლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში გვაქვს სახეზე, როცა სწორედ ასეთი შეფასება გართულებულია.

როგორც ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული (მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი), დანაშაულის უშუალო ობიექტია კრედიტორთა ინტერესები და ნაწილობრივ, გაკოტრების სასამართლოს ინტერესებიც, რომელმაც გაკოტრების წარმოების გახსნის შესახებ სწორი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. დანაშაულის საგანია საბუღალტრო წიგნები და აღრიცხვის სხვა დოკუმენტები.

დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა გამოიხატება მოვალის მიერ გაკოტრების წინა პერიოდში გადახდისუუნარობის ან ზედავალიანების დადგომისას საბუღალტრო აღრიცხვის წესის დარღვევაში, რათა გაკოტრების მასის მოცულობა კონკრეტული მომენტისათვის აისახოს არაზუსტად და მოვალის ქონება შემცირებული ზომით მოხდეს გაკოტრების მასის შემადგენლობაში ან ფაქტების, ხდომილებების, ურთიერთობების დამახინჯება და არაორგანიზებულად წარმოება საბუღალტრო დოკუმენტაციის მეშვეობით. კონსტრუქციით ეს დანაშაული მატერიალურია, ამიტომ კანონში მითითებულ ქმედებებს შედეგად უნდა მოჰყვეს რეალური ქონებრივი მდგომარეობის შეფასების გართულება, რასაც არსებითი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გაკოტრების საქმისწარმოების გახსნისა და საგაკოტრებო მასის დადგენისათვის.

ქმედების სუბიექტური შემადგენლობა გულისხმობს განზრახ ბრალს. პირს შეგნებული აქვს, რომ გაკოტრების წინა პერიოდშია და სწადის დისპოზიციაში მითითებულ უკანონო ქმედებებს და სურს ან შეგნებულად უშვებს ამგვარი ქმედებით რეალური ქონებრივი მდგომარეობის სურათის შეფასების გართულებას.

ამ კატეგორიის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკა არ არსებობს, რის გამოც მოკლებული ვართ შესაძლებლობას, წარმოვადგინოთ კონკრეტული მაგალითების ანალიზი.

მუხლი 207. განცხადების შეუტანლობა გაკოტრებისას

ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირის ან ლიკვიდატორის მიერ გადახდისუნარობის ან ზედავალიანების დროს განცხადების შეუტანლობა გაკოტრების წარმოების გახსნის შესახებ, —

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 207-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა სამეურნეო დანაშაულის ერთ-ერთი სახეა, რომელიც დაკავშირებულია სამეწარმეო და გაკოტრების სამართალთან.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად, კერძო სამართლის კომერციული იურიდიული პირები თავიანთ სამეწარმეო საქმიანობას ეწევიან საწარმოთა სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, რის გამოც ხდება მათი დაფუძნება კანონით დადგენილი წესით. საწარმოს გადახდისუნარობის ან ზედავალიანების დროს წარმოიშობა ვალდებულება გაკოტრების წარმოების გახსნის განცხადების შეტანის თაობაზე. მეწარმეთა კანონის 14.1.3. მუხლის მიხედვით, თუ საწარმო გადახდისუნარო გახდება, 9.1 მუხლში დასახელებულმა პირებმა ბრალეული გაჭიანურების გარეშე, მაგრამ საწარმოს გადახდისუნარობის დადგომის დღიდან არაუგვიანეს სამი კვირისა, უნდა განაცხადონ გაკოტრების საქმისწარმოების გახსნა. ეს წესი გამოიყენება ზედავალიანების შემთხვევაშიც. განცხადების ბრალეულ გაჭიანურებად არ მიიჩნევა, თუ ზემოხსენებული პირები გაკოტრების საქმისწარმოების გახსნას ეპყრობიან 9.7 მუხლით გათვალისწინებული კეთილსინდისიერებით.

ჩვენ მიერ შესწავლილმა სასამართლო პრაქტიკამ ამ კატეგორიის საქმეებზე შემდეგი სურათი წარმოაჩინა:

საგადასახადო ინსპექციის სამხარეო განყოფილების უფროსმა ლ.ტ.-მ სისხლის სამართლის საქმე აღძრა რ.კ.-ს მიმართ, რომელიც სისხლის სამართლის პასუხისგებაში იყო მიცემული სისხლის სამართლის კოდექსის 207-ე მუხლით. კერძოდ, მას ბრალი დაედო იმის გამო, რომ იყო რა ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე, გადახდისუნარობისა და ზედავალიანების პირობებში არ შეიტანა სასა-

მართლოში გაკოტრების წარმოების გახსნის განცხადება.

საქმის მასალების მიხედვით, რ.კ. ერთ-ერთი სააქციო საზოგადოების დირექტორია. გარკვეული ფინანსური კრიზისის საფუძველზე, აღნიშნულ სააქციო საზოგადოებას დაუგროვდა დიდძალი დავალიანება (197.385 ლარის ოდენობით) და გახდა გადახდისუუნარო. როგორც აღინიშნა, მეწარმეთა კანონი მსგავს გარემოებათა არსებობის შემთხვევაში ითვალისწინებს, რომ შესაბამისი ორგანოების შეტყობინებიდან სამი კვირის ვადაში ორგანიზაციის ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირი ვალდებულია, სასამართლოში შეიტანოს გაკოტრების საქმისწარმოების გახსნის განცხადება, რაც მან არ გააკეთა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რ.კ.-ს ქმედება წარმოადგენს სსკ-ის 207-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს. საქმეში არსებული მასალებით, მოწმის ჩვენებითა და თვით განსასჯელის აღიარებითი ჩვენებით მისთვის ბრალად შერაცხული დანაშაული სასამართლომ მიიჩნია უტყუარად დადგენილად. სასამართლომ საქმეში არსებულ მასალებსა და მტკიცებულებებზე დაყრდნობით გამოიტანა განაჩენი, რომლითაც რ.კ.-ს სასჯელის სახით შეუფარდა ჯარიმა 150 ლარის ოდენობით.

სხვა ანალოგიურ შემთხვევაში, საგადასახადო ინსპექციის სამხარეო განყოფილების უფროსმა თ.კ.-ს მიმართ აღძრა სისხლის სამართლის საქმე სსკ-ის 207-ე მუხლით. კერძოდ, მას ბრალი დაედო, რომ იყო რა ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე, გადახდისუუნარობისა და ზედავალიანების პირობებში არ შეიტანა სასამართლოში გაკოტრების წარმოების გახსნის განცხადება.

საქმის მასალების მიხედვით, თ.კ. ერთ-ერთი სააქციო საზოგადოების დირექტორია. გარკვეული ფინანსური პრობლემების გამო, აღნიშნულ სააქციო საზოგადოებას დაუგროვდა დავალიანება (16.116 ლარის ოდენობით) და გახდა გადახდისუუნარო. აქაც დირექტორმა არ შეასრულა მეწარმეთა კანონის მოთხოვნა, რომელიც მსგავს გარემოებათა არსებობის შემთხვევაში ითვალისწინებს შესაბამისი ორგანოების შეტყობინებიდან სამი კვირის ვადაში ორგანიზაციის ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირის მიერ სასამართლოში გაკოტრების საქმისწარმოების გახსნის განცხადების შეტანის ვალდებულებას, რაც მან არ გააკეთა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საბრალდებო დასკვნამ დადგენილად მიიჩნია, რომ თ.კ.-ს ქმედება წარმოადგენს სსკ-ის 207-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს. საქმეში არსებული მასალებით, მოწმის ჩვენებითა და თვით განსასჯელის აღიარებითი ჩვენებით სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია განსასჯელის მიმართ ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენა. სასამართლომ, საქმეში არსებულ მასალებზე დაყრდნობით, გამოიტანა განაჩენი, რომლითაც თ.კ.-ს სასჯელის სახით შეეფარდა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც შეეცვალა პირობითი მსჯავრით, 1 წლით გამოსაცდელი ვადის დაწესებით.

რაიონულმა სასამართლომ ასევე განიხილა საქმე ებ.-ის მიმართ, რომელსაც ბრალი ედებოდა სსკ-ის 207-ე მუხლით. კერძოდ, მას ბრალი დაედო იმაში, რომ იყო რა ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე, გადახდისუუნარობისა და ზედავალთანების პირობებში არ შეიტანა სასამართლოში გაკოტრების წარმოების განხნის განცხადება.

საქმის მასალების მიხედვით, ებ. ერთ-ერთი სააქციო საზოგადოების დირექტორის მოვალეობის შემსრულებელია. 1996 წლიდან აღნიშნულ სააქციო საზოგადოებას დაუგროვდა ვალი (28. 700 ლარის ოდენობით) და გახდა გადახდისუუნარო. 2002 წელს საგადასახადო ინსპექციამ მას გაუგზავნა შეტყობინება, რათა კანონით განსაზღვრულ დროში (სამ კვირაში) გამოცხადებულყო საოლქო საგადასახადო ინსპექციაში და სასამართლოში შეეტანა გაკოტრების წარმოების განხნის განცხადება.

საქმეში არსებული მასალებით, დაზარალებულის ჩვენებით, საგადასახადო ინსპექციის შეტყობინებითა და განსასჯელის აღიარებითი ჩვენებით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია განსასჯელის მიმართ ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენა. რაიონული სასამართლოს განაჩენით ებ.-ს სასჯელის სახით შეეფარდა ჯარიმის გადახდა 100 ლარის ოდენობით.

რაიონული სასამართლოს მიერ განხილული ერთ-ერთი სისხლის სამართლის საქმის მიხედვით, რ.ბ. სისხლის სამართლის პასუხისმგებაში იყო მიცემული სსკ-ის 207-ე მუხლით. როგორც წინა შემთხვევებში, მასაც ბრალი დაედო იმაში, რომ იყო რა ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე, გადახდისუუნარობისა და ზედავალ-

იანების პირობებში არ შეიტანა სასამართლოში გაკოტრების წარმოების გახსნის განცხადება.

საქმის მიხედვით, რ.ბ. ერთ-ერთი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დამფუძნებელია. 1996 წელს აღნიშნული ფირმა, რომელიც აწარმოებდა საქონლის ექსპორტ-იმპორტს, შეამოწმა კონტროლის პალატამ, რის საფუძველზეც მას ბიუჯეტის სასარგებლოდ დაერიცხა 54 100 ლარის გადახდა, რაც მას არ გადაუხდია, რადგან იყო გადახდისუუნარო. 2002 წელს საგადასახადო ინსპექციამ მას გაუგზავნა შეტყობინება, რათა კანონით განსაზღვრულ დროში (სამ კვირაში) გამოცხადებულყო საოლქო საგადასახადო ინსპექციაში და სასამართლოში შეეტანა გაკოტრების წარმოების გახსნის განცხადება, რაც მან არ გააკეთა, რის შედეგადაც სახელმწიფო ბიუჯეტმა განიცადა ძირითადი გადასახადი თანხის – 10069 ლარის ზარალი.

საქმეში არსებული მასალებით, მოწმეთა ჩვენებებით, საგადასახადო ინსპექციის შეტყობინებითა და განსასჯელის აღიარებითი ჩვენებით დადგენილია მის მიერ ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენა. რაიონული სასამართლოს განაჩენით განსასჯელს სასჯელის სახით შეეფარდა ჯარიმის გადახდა 150 ლარის ოდენობით.

რაიონულმა სასამართლომ განიხილა საქმე ა.ს.-ს მიმართ, რომელიც სისხლის სამართლის პასუხისმგებაში იყო მიცემული სსკ-ის 207-ე მუხლით. კერძოდ, მასაც ბრალი დაედო იმაში, რომ იყო რა ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე, გადახდისუუნარობისა და ზედავალიანების პირობებში არ შეიტანა სასამართლოში გაკოტრების წარმოების გახსნის განცხადება.

საქმის მასალების მიხედვით, ა.ს. ერთ-ერთი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დამფუძნებელია. ეს ფირმა ეწეოდა თევზის რეწვას, თუმცა აღნიშნული სამეწარმეო საქმიანობით იზარალა, განდა ზედავალიანების მქონე (40 800 ლარი) და გადახდისუუნარო. 2002 წელს საგადასახადო ინსპექციამ მას გაუგზავნა შეტყობინება, რათა კანონით განსაზღვრულ დროში (სამ კვირაში) გამოცხადებულყო საოლქო საგადასახადო ინსპექციაში და სასამართლოში შეეტანა გაკოტრების წარმოების გახსნის განცხადება, რაც მან არ გააკეთა.

საქმეში არსებული მასალებით, დაზარალებულისა და მოწმეთა ჩვენებებით, საგადასახადო ინსპექციის შეტყობინებითა და განსასჯელის აღიარებითი ჩვენებით დადგენილია მის მიერ ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენა. რაიონული სასამართლოს განაჩენით ა.ს.-ს სასჯელის სახით შეეფარდა ჯარიმის გადახდა 150 ლარის ოდენობით.

რაიონულმა სასამართლომ განიხილა ანალოგიური საქმე კ.ღ.-ს მიმართ, რომელიც პასუხისგებაში იყო მიცემული სსკ-ის 207-ე მუხლით. კერძოდ, საბრალდებო დასკვნით მასაც ბრალი დაედო იმაში, რომ იყო რა ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე, გადახდისუუნარობისა და ზედავალიანების პირობებში არ შეიტანა სასამართლოში გაკოტრების წარმოების გახსნის განცხადება.

საქმის მასალების მიხედვით, კ.ღ. არის ერთ-ერთი კოოპერატივის ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე, აღნიშნული კოოპერატივი კი ეწეოდა სამშენებლო-სარემონტო საქმიანობას. კოოპერატივმა თავისი სამეწარმეო საქმიანობით იზარალა, გახდა ზედავალიანების მქონე (300000 ლარი) და გადახდისუუნარო. 2002 წელს საგადასახადო ინსპექციამ მას გაუგზავნა შეტყობინება, რათა კანონით განსაზღვრულ ვადაში (სამ კვირაში) გამოცხადებულიყო საოლქო საგადასახადო ინსპექციაში და სასამართლოში შეეტანა გაკოტრების წარმოების გახსნის განცხადება, რაც მან არ გააკეთა.

განსასჯელმა კ.ღ.-მ წინასწარი გამოძიებისას მისი გაკოტრებისა და მსგავს მდგომარეობაში ჩავარდნის მიზეზად დაასახელა შემდეგი: მან ერთ-ერთი საზღვაო დივიზიონის ხელმძღვანელობასთან დადო ხელშეკრულება სამშენებლო-სარემონტო საქმიანობაზე, რომლის ღირებულებაც შეადგენდა 23800 ლარს. სამუშაოს შესრულების შემდეგ აღნიშნული თანხა უნდა ჩარიცხულიყო მისი საწარმოს ანგარიშზე, რაც არ შესრულდა და სწორედ ამის გამო საწარმოს დარჩა დავალიანება ბიუჯეტის სასარგებლოდ.

საქმეში არსებული მასალებით, დაზარალებულისა და მოწმეთა ჩვენებებით, საგადასახადო შეტყობინებითა და განსასჯელის აღიარებითი ჩვენებით დადგენილია მისთვის ბრალად შერაცხული დანაშაული. განაჩენით ა.ს.-ს სასჯელის სახით შეეფარდა ჯარიმის გადახდა 50 ლარის ოდენობით.

ანალოგიურ შემთხვევას წარმოადგენს რაიონული სასამართლოს მიერ განხილული საქმე ჰ.კ.-ს მიმართ, რომელიც პასუხისგებაში მიცემულ იქნა სსკ-ის 207-ე მუხლით. როგორც წინა შემთხვევებში, მასაც ბრალი დაედო იმაში, რომ იყო რა ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე, გადახდისუუნარობისა და ზედავალიანების პირობებში არ შეიტანა სასამართლოში გაკოტრების წარმოების გახსნის განცხადება.

საბრალდებო დასკვნისა და განაჩენის მიხედვით, ჰ.კ. არის ერთ-ერთი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირი. აღნიშნული შპს-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა ტვირთების გადაზიდვა. ასევე, მათ ერიცხებოდათ ორი ჰექტარი მიწის ნაკვეთი, რომლის წლიური გადასახადიც 64000 ლარს შეადგენდა. 2002 წელს საგადასახადო ინსპექციამ გაუგზავნა შეტყობინება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მას ერიცხებოდა დავალიანება 72500 ლარის ოდენობით და იგი ვალდებული იყო, კანონით განსაზღვრულ დროში (სამ კვირაში), გამოცხადებულიყო საოლქო საგადასახადო ინსპექციაში და სასამართლოში შეეტანა გაკოტრების წარმოების გახსნის განცხადება, რაც მან არ გააკეთა.

საქმეში არსებული მასალებით, დაზარალებულისა და მოწმეთა ჩვენებებით, საგადასახადო ინსპექციის შეტყობინებითა და განსასჯელის აღიარებითი ჩვენებით დადგენილია მისთვის ბრალად შერაცხული დანაშაული. რაიონული სასამართლოს განაჩენით ჰ.კ.-ს სასჯელის სახით შეეფარდა ჯარიმის გადახდა 150 ლარის ოდენობით.

რაიონულმა სასამართლომ განიხილა იმავე კატეგორიის ბრალდების საქმე ჯ.ც.-ს მიმართ, რომელიც პასუხისგებაში მიცემულ იქნა სსკ-ის 207-ე მუხლით. კერძოდ, მასაც ბრალი დაედო იმაში, რომ იყო რა ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე, გადახდისუუნარობისა და ზედავალიანების პირობებში არ შეიტანა სასამართლოში გაკოტრების წარმოების გახსნის განცხადება.

სისხლის სამართლის საქმის მასალებით, ჯ.ც. არის ერთ-ერთი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირი. აღნიშნული შპს-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა, მიღებული შეკვეთების თანახმად, საქართვე-

ლოს თავდაცვის სამინისტროს საზღვაო კატარღის შეკეთება. 2002 წელს საგადასახადო ინსპექციამ საწარმოს ხელმძღვანელს შეატყობინა, რომ მის საწარმოს ერიცხებოდა დავალიანება 73376 ლარის ოდენობით, ამიტომ იგი ვალდებული იყო, კანონით განსაზღვრულ დროში (სამ კვირაში), გამოცხადებულიყო საოლქო საგადასახადო ინსპექციაში და სასამართლოში შეეტანა გაკოტრების წარმოების გახსნის განცხადება, რაც მან არ გააკეთა.

როგორც სხვა ანალოგიურ შემთხვევებში, აქაც საქმის მასალებით, დაზარალებულისა და მოწმეთა ჩვენებებით, საგადასახადო ინსპექციის შეტყობინებითა და განსასჯელის აღიარებით ჩვენებით დადგენილია მის მიმართ ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენა. რაიონული სასამართლოს განაჩენით ჯ.ც.-ს სასჯელის სახით შეეფარდა ჯარიმის გადახდა 50 ლარის ოდენობით.

რაიონული სასამართლოს მიერ განხილული ერთ-ერთი საქმის მასალების მიხედვით, ლ. ხ. პასუხისგებაში მიცემულ იქნა იმავე სსკ-ის 207-ე მუხლით, ხოლო ბრალდების ფორმულირების მიხედვით, იყო რა ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე, მისი საწარმოს გადახდისუუნარობისა და ზედავალიანების პირობებში არ შეიტანა სასამართლოში გაკოტრების წარმოების გახსნის განცხადება. საქმის მიხედვით, ლ.ხ. ერთ-ერთი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დირექტორია. ამ საწარმოს ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა ნავთობპროდუქტების შემოტანა და რეალიზაცია. გარკვეული ფინანსური პრობლემების გამო, აღნიშნულ საზოგადოებას დაუგროვდა დიდძალი ვალი (214. 615 ლარის ოდენობით) და გახდა გადახდისუუნარო. ბრალდების მხარე ამ საქმეშიც ბრალდებულს ედავებოდა კანონის მოთხოვნის შეუსრულებლობაში, რითაც საწარმოს ხელმძღვანელმა განახორციელა დანაშაულის შემადგენლობა, კერძოდ, ისევე როგორც წინა შემთხვევებში, მეწარმეთა კანონის მოთხოვნის უგულებელყოფას, რომელიც ითვალისწინებს კანონით განსაზღვრულ ვადაში ორგანიზაციის ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონის ვალდებულებას – სასამართლოში შეიტანოს გაკოტრების საქმისწარმოების გახსნის განცხადება, რაც მან არ შეასრულა.

საქმეში არსებული მასალებით, საგადასახადო შეტყობინებითა და

განსასჯელის აღიარებითი ჩვენებით დადგენილია მისთვის ბრალად შე-
რაცხული დანაშაულებრივი უმოქმედობა. საქმეზე არ ჩატარებულა სასა-
მართლო გამოძიება. სასჯელის ზომის განსაზღვრისას კი სასამართლომ
გაითვალისწინა ლ. ხ.-ს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ხასიათი და
ხარისხი, ასევე პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, კერ-
ძოდ ის, რომ განსასჯელი პირველადაა სამართალში, ქალია, გულწრ-
ფულად აღიარებს და ინანიებს დანაშაულს, ითხოვს პატიებას.

სასამართლოს განაჩენით ლ. ხ.-ს სასჯელის სახით შეეფარდა
ჯარიმის გადახდა 350 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის
სასარგებლოდ.

რაიონულმა სასამართლომ განიხილა საქმე გ.კ.-ს მიმართ, რომელიც
ასევე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ იქნა სსკ-ის
207-ე მუხლით. მასაც ამ მუხლით ბრალი დაედო იმაში, რომ იყო
რა ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე, გადახდისუუნარ-
ობისა და ზედავალიანების პირობებში არ შეიტანა სასამართლოში
გაკოტრების წარმოების გახსნის განცხადება.

საბრალდებო დასკვნით დადგენილია, რომ გ.კ. იყო ერთ-ერთი
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დირექტორი და
ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე, რომლის ძირითად
საქმიანობას წარმოადგენდა გემების აგენტირება. 1997 წლიდან
აღნიშნულ შპს-ს დაუგროვდა დიდძალი ვალი (24. 700 ლარის
ოდენობით) და გახდა გადახდისუუნარო. ბრალდების ფორმულირე-
ბის მიხედვით, 2002 წელს საგადასახადო ინსპექციამ მას გაუგზა-
ვნა შეტყობინება, რათა კანონით განსაზღვრულ დროში (სამ კვირა-
ში) გამოცხადებულიყო საოლქო საგადასახადო ინსპექციაში და
სასამართლოში შეეტანა გაკოტრების წარმოების გახსნის განცხა-
დება, რაც მან არ შეასრულა.

საბრალდებო დასკვნისაგან განსხვავებით, სასამართლომ განაჩენ-
ით დადგენილად მიიჩნია, რომ გ.კ.-მ სასამართლოს ნამდვილად მიმა-
რთა გაკოტრების საქმისწარმოების გახსნის განცხადებით, რომელიც
გატარებულია სასამართლოს შემოსავლების ჟურნალში; ამასთან, სასა-
მართლომ განმცხადებელს დაუწესა ორკვირიანი ვადა ხარვეზის შესაე-
სებად. ვინაიდან მითითებულ ვადაში გ.კ.-მ ხარვეზი არ შეავსო, სასა-
მართლომ მისი განცხადება უმოძრაოდ დატოვა. აქვე უნდა აღინიშ-

ნოს, რომ ხარვეზის შევსების განჩინება მას არ ჩაბარებია, რის გამოც მისთვის არ იყო და ვერც იქნებოდა ცნობილი გაკოტრების საქმის გაუხსნელობის შესახებ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ გ.კ.-ს დანაშაული არ ჩაუდენია, რაც იძლევა მისი გამართლების საფუძველს. ამასთან ერთად, სასამართლოში პროკურორმა, კანონით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, უარი თქვა ბრალდებაზე და მოითხოვა გამამართლებელი განაჩენის დადგენა გ.კ.-ს მიმართ. ამ მოთხოვნას დაეთანხმა დაზარალებულიც.

საქმეში არსებულ მასალებზე დაყრდნობით სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გ.კ.-ს ქმედებაში არ არის სსკ-ის 207-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები, რაც გ.კ.-ს გამართლების საფუძველი გახდა.

როგორც სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ ცხადყო, კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობაში წარმოიშობა გადახდისუუნარობის ან ზედაკალიანების მდგომარეობა, რაც გაკოტრების წარმოების გახსნის აუცილებელი წინაპირობაა. ასეთი მდგომარეობა წარმოშობს სამართლებრივ ვალდებულებას, ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირის ან ლიკვიდატორის მიერ გაკოტრების წარმოების გახსნის შესახებ განცხადების შეტანის თაობაზე. შესწავლილი საქმეების მიხედვით, მეწარმეთა კანონის მოთხოვნის მიუხედავად, შეზღუდული პასუხისმგებლობის ან სააქციო საზოგადოების ღირექტორები არ ასრულებენ კანონით მათზე დაკისრებულ ვალდებულებას და არ შეაქვთ განცხადება ასეთი მდგომარეობის შექმნიდან სამი კვირის ვადაში, მაშასადამე, ისინი თავიანთი განზრახვი დანაშაულებრივი უმოქმედობით ახორციელებენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 207-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულის შემადგენლობას.

სისხლის სამართლის კოდექსის 207-ე მუხლის სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ ცხადყო, რომ ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასებები, ძირითადად, ერთგვაროვანია, ჩვენ მიერ განხილული შემთხვევების მსგავსია და არ გამოირჩევა განსაკუთრებული მრავალფეროვნებით. სასამართლოების მიერ დანიშნული სასჯელი კი თითქმის ყველა შემთხვევაში დაბალ ფულად ჯარიმას წარმოადგენს, რაც ხშირად ხელს უშლის სისხლის სამართლის ამოცანებისა და მიზნების განხორციელებას.

სარჩევი

კერძო ნაწილი	4
კარი მერვე	4
თავი XXV	4
დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ	4
მუხლი 177. ქურდობა	4
მუხლი 178. კარცვა	30
მუხლი 179. ყაჩაღობა	73
ყაჩაღობა, ჩადენილი ჯგუფურად	98
ყაჩაღობა, ჩადენილი არაერთგზის	104
ყაჩაღობა ბინაში, სადგომში ან სხვა საცავეში უკანონო შეღწევით	106
ყაჩაღობა, ჩადენილი დიდი ოდენობით ნივთის დაუფლებების მიზნით	112
მუხლი 180. თაღლითობა	127
მუხლი 181. გაყოკალვა	146
მუხლი 182. მითვისება ან გაფლანგვა	164
მუხლი 182 ¹ . შავი და ფერადი ლითონების ან მათი შემცველი ნაკეთობების დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით	178
მუხლი 183. განსაკუთრებულისტორიული, კულტურული, მემორიალური ან ეროვნული ღირებულების ნივთის ან დოკუ- მენტის დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით	193
მუხლი 184. ავტომობილის ან სხვა მქანნიკური სატრანსპორტო საშუალებების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნის გარეშე	197
მუხლი 185. ქონებრივი დაზიანება მოტყუებით	226
მუხლი 186. ფინანსური უმცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შექმნა ან გასაღება	227
მუხლი 187. ნივთის დაზიანება ან განადგურება	236
მუხლი 188. ნივთის დაზიანება ან განადგურება გაუფრთხილებლობით	244
მუხლი 189. ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფა	247

თავი XXV	254
დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ	254
მუხლი 190. კანონიერი სამეწარმეო საქმიანობისათვის ხელის შეშლა	254
მუხლი 191. მიწასთან დაკავშირებული ბარიზების უკანონო რეგისტრაცია	254
მუხლი 192. უკანონო სამეწარმეო საქმიანობა	255
მუხლი 193. ტრუ მეწარმეობა	270
მუხლი 194. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია	275
მუხლი 195. მონეოპოლიური საქმიანობა და კონკურენციის შეზღუდვა	276
მუხლი 196. სასაქონლო ნიშნის ან სხვა კომერციული აღნიშვნის მართლსაწინააღმდეგოდ გამოყენება	277
მუხლი 197. ფალსიფიკაცია	278
რეკომენდაციები	307
მუხლი 198. ადაიანის სიტოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის დაფუძნება. შემოტანა ან რეალიზაცია	308
მუხლი 199. მოკარკით უკანონოდ სარგებლობა	308
მუხლი 200. მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონ- ლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია და გადაყიდვა	309
რეკომენდაციები	351
მუხლი 201. ყალბი რეკლამა	352
მუხლი 202. კომერციული ან საბანკო საიდუმლოების შეცვლილი ინფორმაციის უკანონოდ უგროვება ან გავრცელება.	353
მუხლი 203. პროფესიული საორტული შეჯიბრის ანდა კომერ- ციულ-საწარმოო კონკურსის მონაწილის ან ორგანიზა- ტორის მოსყიდვა	353
მუხლი 204. საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევა ..	355
მუხლი 205. უკანონო მოქმედება გაკოტრებისას	359
მუხლი 206. საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევა გაკოტრებისას	359
მუხლი 207. განცხადების შეუტანლობა გაკოტრებისას	361

რედაქტორი მანანა ჩიკვილაძე
ტექნიკური რედაქტორი მარინა ჩიკვილაძე
კორექტორი მარინე კილაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27.12.04
საბეჭდი ქალაქი 60X84 1/16
პირ. ნაბეჭდი თაბახი 23,25
შეკვეთა №28 ტირაჟი 1000

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „მერიდიანი“,
თბილისი, აკ. წერეთლის გამზ., 112